პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 18 მარტი 1925 წელი

ფასი 3 შაური

# ტარტაროზი

№ 5—(8) გაზ. „მუშა"-ს ორკვირეული უფასო დამატება. № 5—(8)



მართალია, შენ არ მოგწონს"
ამ დროშების ელვარება;
ამ ამბებით კიდევ უფრო
დაგეტყობა, მღელვარება—

მაგრამ ჩვენ კი აქ ერთმანეთს
მეგობრობის ვაძლევთ სალამს
და არ დავხრით ძირს „არადროს"
გამარჯვების დროშა-ალამს.

# ცოდვის კუთხე

**ანუ მეჭეში, რომელიც აღმოჩნდა რკ. გზ. სადგურის ცხვირზე.**



შედგენილი დუროვის კუდუსუნის ძვალზე. ამოღებული „ათას ერთ ცოდვიდან“.

სცენა წარმოადგენს რკ. გზის სადგურს. (სად, ამას თქვენ თვითონ მიხვდებით).

სადგურს აქვს: 123 ფანჯარა და 10 სალარო სარკმელი.

„პლატფორმაზე“ მდიდრულად და მედიდურად დაგოგმანობს მაღალკანჭებიანი დუროვის მამალი, რომელიც **პირველ მამლად** ითვლება. შესავალთან დგანან წყვილწყვილად დარაჯები. ბუფეტი სავსეა მდიდრულად მორთულ **ძროხებით, კუროებით, მაიმუნებით.**

დარბაზში დასეირნობს სამი ცალთვალა **ძაღლი**; მათ შორის ერთი ცოფიანი. სალაროს სარკმელებიდან მოსჩანან მშვენიერი თავები ტურფა, გათხოვილ და გაუთხოვარ **ვარიების.** მათ შორის ერთი ძალიან მსუქანია. სადაალაქო გამშვენებისა სავსეა გასაპარსავ **კუროებით.**

საღამოს 9 საათია. დარბაზი განათებულია.

ისმის ზარი;

ჰყივის ამაყი მამალი, ყველანი გაშეშდებიან;

მოქმედება უნდა დაიწყოს, მაგრამ ტარტაროზი არსად სჩანს, რომ ფარდა ახადოს. გამოჩდება ტარტაროზის კუდი და ასწევს ფარდას. დაიწყო მოქმედება.

**მამალი** ჰეი, ჩემო ქვეშევრდომო დიდკუდო მელია! წადი და მომგვარე ეხლავე ჩასუქებული ვარია... მინდა რომ . . .

**მელია** (რომელიც სათვალეებს ზევიდან იყურება) დიდო მეფეო და ბრძანებელო მთელ სადგურისაო! მადლი მაჰხმადისა თქვენზედა! გვიბრძანეთ რომელი ვარია მოგგვაროთ თქვენს არამხანიდან (ტარტაროზის კუდი ფარდიდან ისმენს ყველაფერს).

**მამალი** (ძალზე ნერვებალეწილი) რომელი ვარია! რომელი ვარია! ჰოი, ბრიყვო ცხოველო! თითქოს არ იცოდე, თუ როგორი ვარია უნდა ჩემს აშმორებულ ახურუშებას?!

**მელია** მეფეთ-მეფეო და მმართველო უწმინდეს არამხანათა! მადლი ტარტაროზისა თქვენზედა! სალარო-სარკმლებში ვარიები ისე ჩასუქდენ, რომ ძნელია ამორჩევა; წყალობითა თქვენითა საკენკი ბლომათ აქვთ და ზოგჯერ მგზავრთა ჯიბიდანაც ამოკენკავენ ცხელ ასეულებს... რომელი მოგგვაროთ?

**მამალი** (ისე შეჰყვირებს, რომ მელია ძირს დაეცემა და სათვალეები დაუზიანდება).

ჩერჩეტო! გაუნათლებელო და სულელო **მხეცო!** ურყევია ჩემი ნება! გიბრძანებ: ეხლავე მომიყვანე საუკეთესო ვარია ჩემი არამხანიდან და თუ ეს ვერ შეასრულე, გიჯობს შენივე ხელით თავი მოიჭრა... ყარა-უსუფ! (ამის გაგონებაზე მელია წივილ-კივილით გავარდება. მამალი ყელწაღერებული გაივლის ბაქანზე და ვარიის და დედლებს თვალებს უპაჭუნებს; მელია დაფეთებული მიადგება ერთ-ერთ სალარო-სარკმელს; მგზავრებს შეანგრეშემოანგრევს და ვარიკას შესძახებს):

— ჩიტო, ჩიტო ვარიკაო, შენი კურტუმო გამომიგდე, თორემ შავს დღეს დაგაყენებ! მამალს მოვიყვან დაუნდობსა და გაგიმწარებს უბედურს დღესა.

ვარიკამ მელიას ახედ-დახედა და უთხრა: შენ რომ ჩემთვის მსუქანი სე-ჩე არ მოგეშორებიაო?

მელია ახტა-დახტა, მივიდა სე-ჩესთან, რომელიც კანტროლს ურტყამდა ვარიას და უთხრა:

— **სე-ჩე!** დაეხსენ ვარიასა! ვარიკა თამამად აკენკავს საკენკსა, გაუსუქდება კურტუმო. კურტუმოს მიუტან მამალსა, მამალი მომცემს წარჩინების ჯაგარსა, დავგრეხ თოკსა მაგარსა, ჩავაგდებ და ამოვიყვან მსუქანსა მოთალსა.

**სე-ჩემ** უთხრა:

— შენ რომ ჩემთვის უწინდელი მოთალი არ გაგიზიარებიაო!

მელია ახტა-დახტა, მივიდა თავის პორტფელთან და უთხრა:

— მომე პორტფელო მოთალი; მოთალს ჩავაცეცხლებ სე-ჩესა; **სე-ჩე** მოეშვება ვარიასა, ვარია აკენკავს საკენკსა; გაისუქებს კურტუმოს; კურტუმოს ჩავასანსლიებ მამალსა: მამალი მოიკლავს ხურუშსა; მომცემს წარჩინებასა; დავგრეხ კანაფს, ჩავაგდებ და ამოვარშავაშვალებ მოთალსა ერთი წლისასა.

„უკვე დაიწყო სახალინიდან იაპონიის ჯარების გაყვანა“.



„წასვლა სჯობს წარმავალისა, არ დაყოვნება ხანისა“.
— თორემ კიდევ მეტს იგემებს სიმწვავეს კარახანისა.

პორტფელმა უთხრა: აი ეგერ ფარდიდან რომ იჭყიტება წყეული ტარტაროზის კუდი, შენ რომ ჩემთვის ის არ მოგიშორებიათ!

მელია ახტა-დახტა, მივიდა ტარტაროზის ძლევა-მოსილ კუდთან და უთხრა:

— კუდოჯან, დაეხსენ სიშჩიკობასა; მაშინ პორტფელი ამოალაგებს ძველ ცოდვებსა, მას გაუნაწილებ მსუნაგ სეჩესა; სე ჩე დაეშვება ვარიასა; ვარია აკენკავს საკენკსა. გაისუქებს უმანკო კურტუმოსა; კურტუმოს მივაცეცხლებ მამალსა, მამალი მომიგლეჯს ნამცეცსა წარმატებისა და ამოვაშვარშვალებ მოთალსა მსუქანსა.

ტარტაროზის კუდმა უთხრა: აქიდან დაიკარგე, თორემ იმდენს გირტყამ, რომ!..

მელია გაშეშდა! არ ელოდა ასეთ შეხვედრას. ახტა-დახტა და არ იცოდა სად წასულიყო; ბოლოს იფიქრა: მოდი მივმართავ რამეს ძია ტარტაროზსა, ეგებ შეიდეს ჩემს მდგომარეობაში. შორიდან ისმოდა მამლის ღრიალი. გაიქცა ტარტაროზთან. ბრძენი ტარტაროზი იჯდა თავის სავარძელში. გარშემო ეხვია სხვა და სხვა ფრთოსნები და ოთხფეხნი; მათ შორის ნახავდით აუარებელს ცხვირ-პირ ჩამოტირებულ დედლებს და უცოდველ გვრიტებს. ყველანი ჩიოდა მამლის უნამუსობაზე, მის დაუცხრომელ ხურუშზე და მსუნაგობაზე.

— ჰოი ძლიერო ტარტაროზო! რისხვა უფლისა გადმოგვევლინა თავზე. უნამუსო მამალს არ ჰყოფნის ცოდვები; გვეუბნება: თუ არ გასუქდით და კურტუმოები არ მომართვით ფეშქეშად—ყველას ადგილებიდან დაგითხოვთო.

— ჰოი, ტარტაროზო! ჩვენ ასეთებს არა ვართ ჩვეული! ჩვენ გვინდა წმინდა და პატიოსანი მუშაობა! დაგვიხსენი მამლისგან! დაითხოვა ბევრი საბრალო კრუხი და ქათამი იმიტომ, რომ... მის მაგიერ დააყენა მშვენიერი და ლამაზი ვარიები, მხურვალენი და მოგოგმანენი, იმიტომ რომ...

ამ დროს ტარტაროზმა შეამჩნია მელია და უთხრა: ვინა ხარ შენა?

— ჰოი ტარტაროზო! მე გახლავარ უფროსი თანაშემწე მამლისა! მოვსულვარ, რომ გთხოვო თქვენი კუდის გაროზგვა. ის არხეინად დგას ფარდასთან და არ იძლევა ფარდის ჩამოშვების ნებას, რომ დაიფაროს მთელი სადგურის საიდუმლოება, რათა თამამად მომცეს ძველი ცოდვების მოთალი ჩემმა პორტფელმა, რომ მოთალი ჩავაცეცხლო სე-ჩეს პირში; რომ სე-ჩემ თავი დაანებოს ვარიას რევიზიასა; რომ ვარიამ თამამად კენკოს საკენკავი; რომ გაისუქოს კურტუმო და გაახაროს მამალი; რომ მამალმა მიბოძოს წარჩინება, რომ დავგრიხო ბიწარი მაგარი; ჩაუშვა და ამოვაშვარშვალო კარგი მოთალი.

ტარტაროზი უსმენდა მელიას. აყვირდენ დედლები და ვარიები და შეუტიეს მელიას:—დასახვრეტი ხარ, ლურსმნით მოსაკლავი ხარ კუდაბზიკავ! შენ ეხმარები მამალს თავის ცოდვებში! შენ და მამალმა დაგვ[illegible] ამდენი ხალხი...

# ამოცანა*)



„სიყვარულის „ახსნა“ „სფინქობია“ „ფიზიკური ვარჯიშობა“

*) ვინც გამოიცნობს, თუ სად ხდება ეს ამბავი, მიიღებს საჩუქარს. (თუ გამომცნობი სტუდენტი იქნება, მას ჩაეთვლება ერთი საგანი ჩაბარებულად).

და ატყდა ცემა-ტყეპა, აირია მონასტერი. უცებ მოვიდა ცნობა სადგურიდან:

„სადგურზე მოხდა საშინელება:

ღამის სამი საათია სადგურზე ცოტაა მგზავრები. არ არის მამალი; ვეძიეთ ყველგან, მაგრამ ამაოდ; ეძებენ მსუქან ვარიას, რომელიც საბრალო მამლიამ ათ წუთის უკან მშვიდობიანად დასტოვა, არ არის არც ვარია. ბოლოს წავ წყდით კაბინეთის კარებს. ის შიგნით არის დაკეტილი. ჭუჭრუტანიდან შევხედეთ, მაგრამ... ტარტაროზო! სირცხვილია, ვერ გადმოგცემ

ბოლოს გაიღო კარები და გამოვიდნენ დარცხვენილი ვარია და მამალი. გოგმანით გაიარეს სადგური... ამ ცნობაზე ქათმებმა მორთეს კაკანი.

მელია კი ტირის, ტირის კვდება ტირილითა“...

ნუ თუ ეს მართლა ხდება სადმე, გაიფიქრა ტარტაროზმა.

ამ დროს მოუვიდა „ათას ერთ ცოდვიდან“ ამოღებული ვრცელი უსტარი, რომელიც ადასტურებდა ამ ცნობას.

ტარტაროზის კუდი.

## სესია რიკაძე.

(გლახუნა კირკიტაძის ნაამბობი)

შემინთო ქალმა ცეხლი, წაი და წაი ქალაქსო; ლორის კანი პუდრი. უნდა მოყიდო და მომიტანოო.

რა მექნა, ძაან გავჯანჯალდი, მარა, უნდა იცოდე ყმაწვილო, რო—ქალის მოკიდებული ცეხლი, ყოველნაირ ღადარზე ცხელია. თუ შეგიჩუჩხურა—შვიდობით და გამარჯვებით;

რას ვიზმდი — ჩევრდე მარჯვენა გულჯიბეში ჩემი ბალდათი და ვრინჩხალე. ჩევედით ქალაქს, მარა რიდა ამისანა ჩასვლას.

ბიჭო, ამდენი ქალი და კაცი რამ თოვა და რამ წუმა., როგორ გინახავს ჯინჭველე თლად მოდებული იყო ყოლგან. ძაან მეინდომე გარევა ჩემ პკუაზე, მარა ვერ მოგაითვეს; რო ღამიფ ვიტინეს, ბელურასავით გული გამისკდა., ბიჭო, შე საწყალო ჩემო თავო თქვა; არაფერ ჯარში ასე არ დავკავებულვარ და აჰანე რა მომივიდა თქვა, წევიკაპიწე ჩოხის კალთები, ჩამევიწიე თავზე ჩემი ფაფანაკე და შით შვა გულში ვძვგვლოფე თავი.

გავაყურე—რას ნახავ—ქალი, კაცი, პეტერე და დიდი

—სესიას გოუმარჯოს, სესიასო—ყვირის;

შემიხიჩინა გუნებაში—მე ვთქვი, ამდენი ხალხი ყველე თუ ჩვენ სესიელას უცრის და იმიზა თუ არიან თავმოყრილითქვა, მეც კაი პატივი მექნება თქვა. გავიწიე წინ. ახლა ცოტა ხმა მაღლა ვლიპარიკოფ. სესია რიკაძე მოყვარეა ჩემი თქვა—ჩემი ცოლის ძმის შვილის მაზლის სიძეა თქვა—რავაც კი წამომცდა ევი და იმისანა კი მყეყვა ვინცხამ თავში რომ ძნეყეა მომადინა. შევტრიალდი, მარა ვის შამოკრავ! ამდენ ხალხში ვინაა ჩემი მტერი რა ვიცი. შემიზილეს გვერდები.

გავათავე ომი; ოფლი, ყმაწვილო, ჩოხის ნაოჭებში სლიკინ-სლიკინით ჩამომდიოდა.

რას ნახავს ჩემი თვალები: ელსაზედი ელსაბეჯზე, ელსაპედი, ელსიბედზე—ასტრონობილი, ჯარი, ვაყალერია, ანკელარია, ჩხრეკა, ყველა ნაირი ლაჩანიკები, რა სორტის გინდა.

ბიჭო კაცი ჩამევედი ქალაქს და ისე რავა წევედე იგი რო არ გევიგო, რა მოხთა თქვა.

წევედი, შევეხვეწე ერთს.

—შენი ჭირიმე ბიჭო, შევიშალე კაცი და ერთი მითხარი, რა ამბავია თქვა.

შე კაი კაცო, თელმა ქალაქმა გეი-გო და შენ რავა არ იცი; რუსეთი-დან ჩამევიდენ ბევრი მეხანიკებით საქმეების გადასაწყვეტათო. აქანე იქ-ნება ხაზედანეო და ეგი ხაზედანიე სესიო არის: საბელი ქვიათ სესიით.

აქანე დარდგინებული პრიგოულები ყოლგან წავა—წამოვა და საქმე კა-ლონში ჩაიწერება.

დამცხა; მე ეთქვი, აპა, რავა გინდა ჩვენ სესიელას აქანე რავა გაარჩიე-ბენ' თქვა:

შეღამდა, აანთეს სანთლები; ღედა-ღმერთო ამან სულ გამაშტერა, ისე მეგონა სულ წითლად წვავენ ყოლ-ფერსთქვა, ნეფსი რო დაგვარდნოდა— ნახავდი.

ქორთუ, ხიარულობა—გულაობა; მეც კაცი ვარ, ჩქარა მევიდინე, ჩევედი ბადეგალში, იმისანა გიახელი ერთი შე-ნი მოწონებული, რო უკეთესი არ მოხერხდება და ჩავარტყი—„სა-დაც არ უნდა ვიყავ, მე ფეშვენიერ გა-ხარებულზე“.— ჩევიქეთ— ჩამევიქციეგ-იგი სესიო ქე გევედე და ჩამცევედი,— ახლა, ბატონო, უნდა წევიდე და ჩვე-ნი სესია რიკამე რაა, იმას უნდა უთხრა რო მ თვალ დამდგარს ამისანა კაი სახლი-კაცი ყოლია და რაღა ატირებს აწი.

ლადო.

ქვეყანას ღუპავს ჭამა,
ჭამა ჰნთქამს ქვეყნის ნაშრომს.
ჭამა თხოულობს სმასა
სმა კი ღვინის ტბას აშრობს.

მთელ დღესა რასაც ვაჭრობ
ყლაპავს სუყველას კუჭი
და გამდიდრების ფიქრი
რჩება ამაო, ფუჭი.

ქვეყანას ღუპავს კუჭი,
—მაგრამ არ ადევს ბრალი;
ვერ ვჭამდი, რომ არ მქონდეს
კბილები მე მრავალი.

ადგა გიგო და... რაღაც
ტკივილი მას აწუხებს;
თითქოს ვიღაცა მტრობით
მაგრად სდებს ყბებს მარწუხებს.






## კბილის „ექიმი“

ყოველ სადამოს გიგო
ფულებს დითვლიდა დახლში;
მაგრამ დაჰკეტდა კასს—
გაუდგებოდა სახლში.

იყიდდა პურს და ლორქოს
(თარჯაველა ორასამ აბაზს)
კვირა-უქმე დღეს კიდევ
სამ შაურის კალმახს.

ფიქრობდა: რომ არ ვჭამდე,
გავმდიდრდებოდი მალე,
დიდ ვაჭრად გავხდებოდი
ერთ წელში მეწვრილმანე.

ნახა ექიმი კბილის,
უამბო გასაჭირი.
საჩქაროდ დაჯდა იქვე
ფართოდ დაღო პირი.

დახრულის და მტკივანი
უჩვენა ექიმს კბილი...
შეცდა ექიმს და გიგოს
მოსთხარა სალი წყვილი.

გიგომ შესძახა წყრომით:
—დაიქცეს შენი კერა—
მაგრამ ექიმი კბილსა
თამამად დაეძგერა.

გიგომ იყვირა—მაგრამ
ექიმმა გაახამა...
კარგია— ფიქრობს—აწ მე
მეყოფა ცოტა ჭამა.

ხილი.

## „მაშ ხუხე“-ს პარტია.

ზაჰესში დაარსდა ახალი პარტია **„მაშ ხუხე!“**

კრება ხშირად იმართება მცხეთაში **აჯიასთან.** თავჯდომარეთ ერთხმად არის არჩეული მემანქანე **ივანოვი,** მდივნათ **სერგო გიორგობიანი.** კანდიდატებათ: **ტერ-არუთუნოვი** და **დუდნიკოვი.**

კარგა შეზარხოშების შემდეგ კრებას მიესალმა თავჯდომარე **ივანოვი,** რომელმაც თავის ვრცელ და მხურვალე სიტყვაში აღნიშნა, რომ პარტიის საგარეო პოლიტიკა ძალიან კარგია და მისი მდგომარეობა კიდევ უფრო მტკიცე იქნებოდა, რომ ხელს არ უშლიდენ შიგნით მტრები, ე. ი. უპარტიო ელემენტები, რომლებიც უნდობლობას უცხადებენ „მაშ ხუხე“ პარტიას.

მაგრამ—ამბობს ორატორი—იმედია ჩვენ ყველა ამ დაბრკოლებებს გადავლახავთ და ჩვენი „პარტია“ შეიქნება იმდენად მძლავრი და გავლენიანი, რომ ჩვენ, როგორც გვიცნო აჯიამ და გაგვიხსნა დიდი კრედიტი,—ისე გვიცნობენ მცხეთის ყველა მიკიტნები და უარის უთქმელათ გადაგვიშლიან თავიანთ დავთრებს ნისიების ჩასაწერათ.

ეს ცნობა აუცილებლად უნდა მოხდეს, რადგან ამას თხოულობს ჩვენი ღვინის მადა და; რასაკვირველია, კიდევ უფრო მათი ჯიბეების ინტერესები.

მაშ გაუმარჯოს ჩვენ „პარტიას“ და მის დევიზს: „ДО ДНА!“

თავჯდომარის სიტყვა დაიფარა აურზაურით, რომელსაც მოჰყვა სიმღერა:

„მაშ ხუხე, ძმობილო
სულ გამოსცალე“

ამბობენ, თითქოს, მისუტას ხელის გულზე მაზოლები გაუჩნდა ბევრი ტაშის ცემითო.

როგორც ეტყობა ძალიან ვრცელი და საგრძნობი სიტყვით უნდოდა გამოსვლა ტრიბუნაზედ სერგო გიორგობიანს, მაგრამ თავჯდომარის სიტყვებმა ისე იმოქმედა მასზე, რომ ლაპარაკის დაწყების დროს ენა ჩაუვარდა, სლოკინი დააწყებინა და ბოლოს პირიდან დაუწყო რაღაცნაირ სითხის ამოსხმა. ბოროტი ენები ამბობდენ, რომ სერგოს პირიდან აღებინაო, მაგრამ ყველა ესენი სერგომ გააბათილა და დაუმტკიცა მოპირდაპირეებს, რომ მან ტეხნიკური მოსაზრებით თავის კუჭს „პროდუვკა“ უყო მეტი და მავნე ნარჩენ ღვინისაგან.



რადგან სერგო პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას: არ აცდენს არც ერთ კრებას და უფრო ხშირად თვითონ ღებულობს კრების შეკრების თაოსნობას—ამიტომ მემანქანის თანაშემწეთა მინდობილობით იოსებ დარაბეგოვმა (ამ „პარტიის“ წევრი არ არის) და ტიმოფეევმა გადასცეს გიორგობიანს, (რადგან ხშირად უხდება თავის პარტიის წევრების მდინარე არაგვის გაღმა ნაპირზე გაყვანა), „კვერთხი მოსესი“.

**ბელტიულაპიხ.**

## „რევიზია“

**ოზურგეთისათვის.**

მო, ტარტაროზო, ვესტუმროთ
განწიგნის მაღაზიასა,
რომელიც როგორც ეტყობა
ემსხვერპლა რევიზიასა.
მთელი ერთი თვე სრულდება
კაცი ვერ ნახავს ღიასა;
ნუ თუ ამდენი დრო უნდა
შედგენას წიგნთა სიასა!
შარშანდელ ანგარიშებმა
მთლად იუბნიეს კვალია,
მაგრამ ძველ გამგე ქიქიკოს
მაინც დაადვეს ვალია.
ახალ გამგესაც დაუფრთხო
ამ რევიზიამ ძილია;
რაც ის დაიწყო მას შემდეგ
ყოველთვის მოწყენილია.
სარევიზიო ფიქრებთან
აქვს გამართული დუელი;
ასჯერ რომ მისცე სალამი
პასუხს ერთხელაც ნუ ელი.
ნოქარს შიში აქვს დათხოვნის
ებუზღუნება მოლარეს:
— რა გიჭირს, ვერ დაგითხოვენ
ვითარცა მაროს მოყვარეს.
ეჰ, ნეტა როდის მოვრჩებით
ერთთვიან რევიზიისა...
გამოზაფხულდა და იქნებ
ვეღირსოთ კარებს ღიასა.

**ნ. ჟმსი.**

# ახალციხე.

(შიკრიკის ხელით ტარტაროზს)

თანახმად ბრძანებისა და დისციპლინისა, მე გავემგზავრე საქართველოს ძველის ძველ მხარეში: **სამცხე-საათაბაგოში** (ეხლანდელი ახალციხის მაზრა).

სიტყვა **სამცხე წარმოდგება „მოსცხე“**-საგან. (იხილეთ ივ. ჯავახიშვილის „ქართველ ერის ისტორია“ **ტომი** 104).

მოსაცხები და გასამათრახებელი სწორედ ბევრი აღმოჩნდა და არის აქ.

—

I) მთლიანი მომხმარებელი საზოგადოება.

ჭეშმარიტად **მთლიანი. და მომხმარებელი** ორგანიზაციაა. მოსამსახურე და თანამშრომლები ყველა ერთმანეთზე არიან დაკავშირებულნი მთლიანად: ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დეიდაშვილი, დისწული, ძმისწული, მამიდა, ბიძია და სხვა; ისე, რომ საქართველოში ძნელათ თუ მოიპოვება ასეთი მთლიანი ორგანიზაცია.

ცხადია, **მოხმარება** თანაბარი და კანონიერი იქნება, რადგან **შინაურები** მშვიდობიანად მორიგდებიან.

მომარაგება მეტად შესაფერია:

— **ასანთი**—იოხტურ!
— **ნავთი**—იოხტურ!
— **საპონი**—იოხტურ!
— **ნარმა**—იოხტურ!

სამაგიეროთ ბევრია:

შოკოლადი!
კაკაო!
შევიოტი! (ამის შესახებ ქვემოთ)
აბრეშუმის „ჩულქები“!
ხავერდი...

II. **ელექტრო-ფიკაცია**—

ჰო, მართლა, ახალციხეში ყველას ჰგონია, რომ ელექტრონის განათება აუცილებლად მოესწრება ახლად დაბადებულებს, როცა ისინი ღრმა მოხუცნი იქნებიან.

Э Т. Ц. Р-ის ინჟენერი სმირნოვი ყოველ დღე ხან ასწევს და ხან დასწევს ბოძებზე გაყვანილ მართულებს.

—

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს **შივიოტიცაზიას.**

ამ გარემოებს დედათ ხელს უწყობს ერთის მხრივ საზღვართან სიახლოვე და მეორეთ, რაც უმთავრესია, საბაჟო, მილიცია და სანაპირო რაზმი.

**ჩუმად გეტყვი ტარტაროზო** (შე გენაცვალე ეს არ გამოაქვეყნო), **რომ არც ერთი ცენტრიდან ჩამოსული კონტროლიორი**, როგორც ფინკომისარიატის, შინკომისარიატის, ისე მ./გ. ინსპექციის, **აქედან ხელ ცარიელი რა წასულა.** სულ უკანასკნელი: **სამი მეტრი შივიოტი—ერთი „საკოსტიუმე“ მაინც წაუღია.**

—

წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია კარგად მიდის.

არ არის შენობა, მასწავლებელი, სახელმძღვანელო, ფანქარი, ქაღალდი.

უკვე ხდება წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო პუნქტების ლიკვიდაცია.

ასე რომ, ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწავლის ათი წლის თავზე ლენინის სიტყვები: არც ერთი უცოდინარი არ უნდა იყოს-ო, აქ შესრულებული იქნება და თითეულ ას კაცზე უცოდინართა არც ერთის მაგივრად, იქნება ას ერთი.

**დევი.**

# „დიდი კაცი“.

— დილა მშვიდობის, პუპი.

— იცოცხლე, ჩემო ელპიტი.

— შენ ახლა გადიდკაცებული იქნები. გოროდში იყავი შვილთან და...

— არ მართებს გადიდკაცება თუ... შვილი დიდი კაცი მყავს და ყოლიფერი...

— რავა, სერგომ კიდომ მოიმატა ჩინ..?

— ნენავ, ნენავ, ნენა... მოიმატა, მარა მერე რამდენი... კისერზე ქალო, იმას კი ვენაცვალე კისერში, ორი ფერი: წითელი და მწვანე ჩინი აქვს. მთელი ქალაქი მას აბარია; ღამე სულ გარეთ არის... რა ჰქნას, მთავრობას მაგისთანა პატიოსანი კაცი ბევრი არ ჰყავს. მას ჩააბარა ჩვენს ეზოზე უფრო მეტი ადგილი და უთხრა: აბა ჩემო



სერგო, შენი ჭირიმე, შენს მეტს ვერ ვინდობით—და აბა შენ იციო.

მერე იცი, რა ძალა და პრავა აქვს? ლივერი ყოველთვის ჰკიდია... აბა გაბედოს აქანე სოფელში ვინმემ დეიკიდოს...

ძალიან ჰკვიანია, ტყვია ლივერში არასოდეს არა აქვს. მარა, ტყვია რათ გინდა, როცხა ისეთი პრავა აქვს, რომ-ნუ იკითხავ.

მაჯაზე არ უჩანა და ისე ჰკიდია შიშტოკი... მახსოვს შარშან ფულების ბრიჟაზე რო გამოვიდოდა, იმოდენა ხალხი რომ იყო, მერე რაფერი ხალხი: ყველა ღალსტუკიანი და დიდკაცი—ხოდა რომ დაუფშიტინებდა,

ყველა გარბოდა... ყველას ეშინოდა, დიდიკაცი იყო და პრესტიჟიც დიდი ჰქონდა.

ახლაც ასეა...

ერთ კვირეს ბაზარში წამიყვანა...

ჭეიარა, მისი ჭირიმე, დამამშვენა...



„ჩხუბი“

დეინახა ვინცხები ჩხუბობდენ,. დააფშვიტინა, შენც არ მომიკვდე, არ ეთხოვიან ჩხუბს... მერე ჩავარდა შუაში და სულ დედას აგინებდა. მასაც ბლომათ მოხდა, მარა იგინიც დაიჭირა და გაგზავნა. კომისარმა მთელი ნახევარი საათი გააჩერა მოჩხუბრები.

— აბა, ჯამაგირი დიდი ექნება...

— ჯამაგირი.. ჰო, ჯამაგირს მანდამაინც არ თხოულობს. ჩვენი მთავრობა ღარიბია და როგორ უნდა მოეთხოვო ბევრი ფული.



„ხეშიჩკა“

რავს... ჰოდა ასე იოლათ და მუქთად გადის. აწი რა მიჭირს, მოვხუცდი მარა ჩემი სერგიე თუ მიდლემჩი ასე „დიდი კაცი“ იქნება, სიკვდილის არ შემეშინება.

ზმუკი.



„ჩისტი“

მაგრამ ჯამაგირი რათ გინდა .. გეოგოლის ქუჩაში, მივა ჩისტიან, ფეხებს გააწმენდინებს და კაპეიკსაც არ მისცემს. შეხდება სემიჩკის გამყიდველი ბიჭებს, ჰკრავს კალათაში ხელს, ერთ ტორს სემიჩკას ამოიღებს... გაჩერდება სამიკიტნოს იხლოს, ან ვინმე ჩაიყვანს, ინდოეთიდან ჩავა, ერთ-ორ სტაქან ღვინოს რაც უნდა იყოს, მაინც გადაჰკრავს...

# „ერთი სიყვარულის თავგადასავალი“.

ასეთ სათაურით კნუტ ჰამსუნსაც აქვს ერთი რომანი.

რით უნდა მჯობდეს მე ეს მწერალი! ეროვნებით, მამულიშვილობით, გვარიშვილობით თუ სწავლა-განათლებით?

რაც საქართველოში ტეხნიკუმები და უნივერსიტეტებია, ყველას შესავალ-გასავალის კარები ვიცი. ყველა ზედა და ქვედა სართული დავლილი მაქვს.

საქართველოს ყველა დაბა-სოფლებში და ქალაქებში ვარ ნამყოფი. ტფილისში ვერ ნახავთ ისეთ დაწესებულებას, თეატრებს, კინოებს და სხვა, რომ ყველგან თუ შიგ არა, იხლოს მაინც არ გამევლოს.

ყველა კავშირებში ვყოფილვარ, (რადგან ყოველთვის დაეძებდი სამსახურს) ერთის გამოკლებით; ეს არის ღამის ქარავანთა კავშირ.

ერთი მითხარით, რით მჯობია მე კნ. ჰამსუნი?

მაშ რატომ მე არ უნდა დავწერო ჩემი ამბავი?

შვიდი წელი იქნება რაც შეყვარებული ვარ. უნდა გამოგიტყდეთ გულახდილათ: მე და ჩემი შეყვარებული კარგად დაახლოვებული ვართ ერთმანეთთან. ჩვენს შორის ყველაფერი დაშვებული, გარდა „ერთისა“. მე ამ „ერთისაც“ თანახმა ვარ, მაგრამ იგი არ არის ყაბულს.

დიდი ხანია ამაზე ვფიქრობდი და ბოლოს გამოვარკვიე, თუ რატომ არის წინააღმდეგი.

— თუ არ დავკანონიერდით, ისე არ შეიძლება ის „ერთი“.

მე კი ისევ დატყვევებული ვარ მისი სიყვარულით, რომ ყველაფერზე ვეთანხმები, მხოლოდ მეტირსოს...

---

უკვანტო საკვანტოთ გავიხადე. სადაც მინდოდა იქ წავიდოდი; ჩინაც მინდოდა, მას გავყვებოდი. ახლა თუ ვინმეს გავყევი, ან სადმე წავედი— უბედურება დამატყდება თავს.

— ვინ იყო ის ქალი?

— სად იყავი?

— რატომ მიჰყვებოდი?

— რას ელაპარაკებოდი?

— სად გაიცანი?

— რა არის შენი?

და სხვა და სხვა.

ამ ბოლო დროს მიჩიჩინებს:— გინდა თუ არ გინდა ხელი უნდა მოვაწეროთ მმაჩში. სული ცოდვილი, დრო კი არის. წლოვანებით არც ისე პატარა ვარ: 44 წლის, 10 თვის, 9 დღის და 11 საათის 20 წლის გამოკლებით.

ზემოხსენებული რიცხვში არ შედის 9 თვის ბრალეგალური და 26 დღის „უკანონოთ ცხოვრება“.

იქნებ ცოტა შექანჯალებულიც ვიყო, მარა, როგორც ამბობენ:—გენიალობა დიდათ ენათესავება შეშლილობას.

ერთი რამ აშკარაა ჩემთვის: სამუდამოდ უნდა მედგმება კისერზე.

უკიდ-მიკილი.

# მეცნიერება და ტექნიკა.

ეცხოეთის მეცნიერები ტყვილად იკვეხნიან, რომ ისინი მალე შეისწავლიან და სავსებით გამოსცნობენ მარსსა და სხვა პლანეტებს.

ჩვენშიც არიან ასეთი ნიჭიერნი, მაგრამ ვინ აფასებს მათ?

განა მარსის გამოკვლევაზე უფრო საინტერესო და კაცობრიობისათვის სასარგებლო არ არის, რომ ვიცოდეთ, თუ ვინ იქნება ჩვენი „ბედ-იღბალი“?

ჩვენში, მართალია, აკვანიდან თუ გადმოადგა ბავშმა ფეხი, მაშინათვე სიყვარულის ხელობის შესწავლას შეუდგება ბოლმე, მაგრამ უმრავლესობამ მათში მაინც არ იცის თუ ბოლოს ვინ-ვის „შერჩება“, რადგან სიყვარულია სიმრავლის გამო შეუძლებელია მათი ამორჩევა.

მაგრამ ამიერიდან ეს საკითხიც გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს:

ეს იშვიათი გამოგონება და მისი სავსებით გამოყენება ამას წინათ ქობულეთს ბერხეს ზესტაფონის ტექნიკუმის ორმა მოწაფე ქალმა: ელენა გაჩეჩილაძემ და ლიუბა ლეინჭალიამ.

იღბალის გამოცნობის, ესე იგი, თუ ვინ იქნება საქმრო, ისინი ამ გვარად ახერხებენ: იღებენ სარკეს, ორივე მხარეს აანთებენ ქართობილის სანთლებს და სარკის წინ წყალით სავსე ჩაის ჭიქაში შაისდებენ ბეჭედს.



— გოგო, ელენე, შეხედე ჩემს საქმროს რამოდენი ცილინდრი ახურავს? კიდევაც ვიცნობ, უმაღლესი სასწავლებელი აქვს გათავებული.

ლიუბა სიხარულით ცას სწვდება. შემდეგ მაგიდას მიუჯდა ელენე...

— რაჭქენი. გოგო. ვერაფერი დაინახე?

— ჯერ. არაფერი არ ჩანს... ვაიმე რა ვქნა, რომ არავინ სჩანს... რაღაც მგონია... მგონი კაცია, მაგრამ კარგად ვერ ვხედავ.

ელენემ ვერ დაინახა თავისი საქმრო და დაღონებული ადგა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გამოგონება მიუღებელია და ყალბი.

რა უყოთ?!. იქნებ ელენეს ბედმა ისე-უმტყუნოს, რომ „სტარაია დევა“ დარჩეს.

ამ ცდამ ყველა ამხანაგებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. საჭიროა ამ გამოგონებას ყურადღება მიექცეს.

დამნახველი.

# „პ ო ე ტ ი“

იყო პოეტი ერთი
(ასე უძახდა ყველა):
იმისი ლექსებიდან
ალარსად იყო შველა.
ავსებდა ყოველ ჟურნალს,
არც გაზეთს ჰყავდა მწყრალათ
და მონოთარებს მუდამ
ჯიბეს იწყობდა წყნარად.
დიდხანსა პოეტობდა,
სახელი ჰქონდა დიდი;
სალამს აძლევდნენ კრძალვით;
ჰქონდათ ხათრი და რიდი.
ჩვენს პოეტს პოეტურად
ეჭირა მუდამ თავი
—და სულ წინ მიცურავდა
მისი ცხოვრების ნავი.

—

არ მახსოვს როდის იყო,
დღე იყო—ღამე არა,
პოეტმა გრძელი ლექსი
რედაქტორს მიუტანა.
—არ მოეწონა ლექსი,
ვერც ავტორს გაუბედა...
—დატოვე—უთხრა—ვნახოთ,
შემოიარეთ ზეგა.
გადის თვე—ისმის ხვალე:
ხვალ მივა—კიდევ ხვალე...
იმედს არ ჰკარგავს, ფიქრობს:
—ნეტა გათენდეს მალე.
თენდება... კვლავ ღამდება
არ უჩანს ბოლო „ხვალეს“,
რომ მოაბეზრა თავი
შეგ პირში მიახალეს:
—რას დაჩერჩეტობ ამდენს,
ვერ მიგიხვედრეთ ძალით,
რომ ლექსი გადაგვზავნეთ
სარედაქციო კალათს—
გულს ეცა ცივი ელდა,
გზა აბნეული დადის...
სიმშილი... ხმელი პური
მარად მის თვალწინ დარბის.

—

მიდის წინ... აღარ ლაგებს.
ოთახთან აიტუზა,
—ვნახო, შევიდე, ზოგა.
იქნებ მიიღეს მუზა...
...და კიდევ ჯდაბნის ფურცლებს,
დასწერავს, ისევ დახევს...
თმას იგლეჯს, შელანძღა ლექსს
და პირში ფურცლს ნახევს.

იბი.

# ახალი სახის "ცირკ-თეატრი".

**(ქ. ონში, რაჭის მაზრა).**

ქ. ონში ამ ოთხი თვის წინად დაარსდა გერასიმე შეზარადაშვილის (იგივე არამზადაშვილის) დუქანში „ცირკ-თეატრი", რომლის მნიშვნელობა მეტად დიდია.

ამ დუქანში მოწაფეთა თაოსნობით ცხვება მჭადი, მაგრამ მჭადი თქვენ არ წარმოიდგინოთ ჩვეულებრივი. მეპურეს (ან მეჭადეს) მიღწევები და გამარჯვებანი სწორედ იმაშია, რომ მჭადი ცხვება შემდეგი საკმაზებით: ნახშირი, ქატო ნაცარ-შეზავებული, ჩხირები დიდი და პატარა ზომის და ბეწვეულობა. ყველა ესენი მჭადთან ერთად შეზავებული იძლევა პირველ (მაგრამ უკანასკნელ) ხარისხის გამომცხვარ მჭადს?

აი ამ იშვიათ მჭადის გამოტანას ფურნიდან მოწაფეობა დიდი ზარით და ზეიმით ეგებება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ განუწყვეტლივ მუშტი კრივს მოწაფეთა შორის. ასეთი სანახაობას ხალხი კმაყოფილებით ესწრება. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მაყურებლების ყურადღებას იპყრობს „დეკორაცია"; მოწყობილია შესანიშნავი ძირფასათ დამტვრეული დაზგა, იქვე სდგას ევროპიული ბოჭკა საუცხოვო მყრალი თევზით სავსე და რადგან მაყურებლებს ჰაერი აღარ ყოფნის, გარშემო არის ხელოვნურათ დამტვრეული მინები, საიდანაც ამ ზამთარში პაპანაქება—სიცხეების დროს შემოდის ჰაერი და სიგრილე. შესვლა უფასოა; უფასო კი არა შეიძლება შემსვლელმა მიიღოს საჩუქარიც (რაც გამოიხატება ცხვირში სისხლის დენაში).

განზრახულია და გამოტანილია რეზოლიუცია, რომ თბილისის ქუჩები, სახლები და სხვა მოწყობილობები (ხალხით რა თქმა უნდა) გადმოტანილი იქნეს ონში ქ. თბილისში მყოფ რაჭველი მუშების ხარჯზე (თავიანთი ზურგით). რადგან ქ. ონში მიწის სივიწროვეა, ამიტომ ნაწილი შენობებისა და ქუჩებისა უნდა მოეწყოს მდ. რიონზე და ნაწილი კი რიონის ხიდის თავზე.*) ეს იმიტომ რომ თბილისის საზოგადოებამ თავიანთი ბედნიერი თვალებით ნახონ ასეთი სანახაობა.



ომი მჭადის გაყოფის დროს.

მაგრამ გაფრთხილებთ „ოჩკებიანი" არავინ გამოუშვათ, რადგან შესაძლებელია „არტისტი"-ს მიერ ჰაერში გასროლილი ხელი მოხვდეს სათვალეს და თვალი დაუზიანდეს, (თვალის ექიმი არ მოგვეპოვება).

საამისო ნაბიჯები უკვე გადადგმულია ჯერ-ჯერობით ონიდან ტყიბულამდე. რაც შეეხება წარმოდგენების შინარსს, როგორც ზევით აღვნიშნეთ მიდის „მუშტი—კრივობია" და მასთან დამატებით „მჭამლობია" (ოპერატკა ორ გაკვეთილს შორის, ხან და ხან კი ნორმის გადაცილებით გაკვეთილის დაკლებით და მასწავლებლის მიერ კლასში არ შეშვებით). დასასრულ ვუსურვებ ყველა კლუბებს, თეატრებს და ცირკებს მიჰბაძონ ასეთ მაგალითს.

**„უმი მჭადით მუცელ ატკივებული".**

---

## ჭაგანი.

გულით მომსურდა შევაქო
ჩემი სოფელი ჭაგანი,
დღეს ღირსი კვლევა ძიების
და ყურადღების საგანი.

—

მაშინ, როცა ჭაგნის თემი
მამასახლისს მორჩილებდა
— მისი ძლევა-მოსილება
ირგვლივ თემებს აჩრდილებდა.

ახლოს-ცალი არვინ ჰყავდა,
შორს ისმოდა ქება მისი;
კუდათ ჰქონდა გამობმული
ხუნჯულორი და ჩხენისი;

მაგრამ ბედი ვის-ღა შერჩა,
რომ ის ჭაგანს შერჩენოდა
და მით ცრემლი მწუხარების
თვალთაგან არ დადენოდა.

უძლურება მოერია,
გაჰქრა სადღაც ძველი ძალა,
ნეტარების ტკბილი ჟამი
მწარე შხამად შეიცვალა.

რა იგრძნეს რომ ჭაგნის ბედი
დაღმართისკენ გადაგორდა,
ჩხენისი და ხურჯილონი
თავისთავად ჩამოშორდა.

ღანირსა და ჭაგნის შორის
გამოცხადდა ბრძოლის წესი;
რა შერიგდენ, ღანირს ერგო
ჭაგნის მხარე უკეთესი.

*) თუ იქაც არ დაეტიოს მაშინ შამშე ლეჩხოვის შოვში გადაიტანეთ; ლომის და ჰაგრის უბნებს!

ტარტაროზი




იოსებსაც არ ექნება
ჩვენისთანა გასაჭირი.
რატომ არის ლექციებში
უცხო სიტყვა ასე ხშირი?

ერთი სიტყვის ძებნას უნდა
ორი დღე და ცხრა სიტყვარი,
ხშირად მათშიც არ შეხვდება
სიტყვა შენი საძებარი.

---

გადარჩენილ ნახევარმა
რომ ვერ შესძლო ფეხზე დგომა,
მომვლელად და გამომზრდელად
მამობილი მოინდომა,

ამის გამო თავის ნებით
ის კულაშის თემს ჩაბარდა
და ჰაგნელი ვინც კი იყო
კულაშელად გადაგვარდა.

—

ფარ-ხმალ დაყრილ ჰაგნის სოფელს
ახლა მხოლოდ ის ახარებს,
რომ იქ გამვლელ გამომვლელი
ღიად ხედავს დუქნის კარებს,

სადაც ტკბილად ძმა-ბიჭები
დარდს იხშობენ ღვინის სმაში
და მხურვალე ადღეგრძელებით
სიტყვას ამბობს ტოლუმბაში—

და რომ ვინმემ უცხო პირმა
შურითა და მტრობის ნდომით
გაუზრდელად არ ჩასთვალოს—
ღვინოს სვამენ ფეხზე დგომით.

რომ ღვინოში არ ჩაიხრჩოს
ყმაწვილობა დარდ აშლილი,
იქვე ახლოს გასართობად
ნარდი არის გადაშლილი.

დღეს რომ ნარდი კარტს სჯობია
ცხადი არის და ნათელი,
ამისათვის შუაღამემდე
მიჰხტის - მოჰხტის კამათელი.

პირველ დუქანს სხვა დუქნები
მაგალითში მით ჰბაძავენ,
რომ მეგობრულ შეთანხმებით
ხალხს თავისკენ იზიდავენ.

ალმასკომის თავმჯდომარე
სოფელ ჰაგანს როცა ჰყავდა,
ყურძნის წვენის სიყვარულით
ის დუქნებში დაბინავდა.

რომ გიორგი ქვეთაია
(ასე ერქვა თავმჯდომარეს)
მძიმე საქმეს ამთავრებდა—
აშურებდა დუქნის მხარეს.

ფეხებს დინჯად აბიჯებდა
მწარ-ფიქრებით დანაღონი;
გვერდით ახლდენ განუყრელათ
ერისტო და იასონი.

—

თუ წარსულმა ჰაგნის სკოლას
მწვავე დაღი დააჩინა—
დღეს წყლულების გასაკურნათ
მხსნელთა გუნდი მოევლინა.

ხუთიოდე ქალი არის
მასწავლებლად ჩამოსული;
აწ იქ ველარ გაიხარებს
მამაკაცთა უნდო სული.

და იქ, სადაც წინა წლებში
აბოლებდენ მხოლოდ თუთუნს,
პირველობა დარჩენია
მარწყვის საპნის და პუდრის სუნს.

ლორიგანის მაცდურ კოლოფს
ვერ იძენენ თითო-თითოს;
მაგრამ ამას ვინ დასცინებს
ორმა ერთი რომ იყიდოს.

პუდრს იყოფენ ჩაის კოვზით,
თითს უსვამენ ზემოდ „ლალად“
რადგან არ აქვთ სხვა საზომი
მათ გასაყოფ იარაღათ.

დღეს ახალი გეგმა არის
— ერთი სახლი ააშენონ,
რომ ქალებმა იქ შეფარვით
პუდრით სახე დაიმშვენონ.

მათ შემყურე ვლადიმერსა
ის უშფოთებს გულსა და სულს,
რომ აწ ველარ დაიბრუნებს
სიყმაწვილის ჟამს-გადასულს.

შავ-ფიქრებით შებოჰკვილი
მით ატარებს მწარე დროებს,
რომ უკითხავს ამხანაგებს
თავის ახალ ნაწარმოებს.

გულ დადაგულ სკოლის ერთგულს
ის-ღა უშრობს ცრემლსა ცხარეს,
რომ ნუგეშათ გვერდით ჰხედავს
ნამღვდლევ სახელ მოზიარეს.

ლარიბი.



# „ᲒᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ"

(შეიგულტარტაროზიდან)

რუსთაველის პროსპექტზე სამგლოვიარო პროცესია მიდის. შტატის გარეშე დარჩენილი ხუცები და დიაკვნები მღერიან: „მამაო ჩვენო"—ს. პროცესია სიქიოსკენ მიემგზავრება. და გზის მიმართულებას აძლევს თეთრ ცხენზე მჯდომარე წინმიმავალი ტარტაროზი.

ბილდახინზე მოთავსებულია არღანი წარწერით: ძველი პოეზია. არღანი მოშლილია და თავისთავად მღერის:

მოხრაკულ კვერცხის სურნელება
ყვითელ ერბოში
და ლაბრაწული იმერული
მწიფე ნიყვები...
რა კარგი იყო ვქეიფობდით,
სულო, ერთ დროში..
ამ საუკუნეს სავსე ყანწით
მაყრათ მივყვები.

სულს ენატრება შებრაწული
წითლით ბატკანი
და გურულ კეცზე გამომცხვარი
ხაჭაპურები...

თოთხმეტი მეტრი ტკბილი კვერი;
ფართო ითგანი,
ო, მე მიყვარდა, სულო ჩემო,
ხარჯვა ფულების

და ვერის ხიდზე ჭლექიანი
ყვავი დაწივის...
ღმერთი მყინვარზე იკრიბატი
ხოხავს შაურით:

ო, სულო ჩემო, მომენატრა
ქათმის საცივი;
მსურს გადავფრინდე ერკეთისკენ
ჩოხატაურით.

ქორწილში, ძმებო, უნდა ვიყოთ
ყველა მუშები,
მივხარშოთ ქვაბში მწიფე მთვარე
ნავარაყებით.

ომ, რა კარგია დიდი გობით
ფელამუშები,
მაისის თაფლი, გოზინაყი
და არაყები.

ღმერთო ხარობო, ყველაფერი
შენ მოგიცია,
დალიილამა, ციფელი,
ინჩეს ხარებულს.

გამაძღარია კვაწარახით
მხნე პროვინცია...
მიეცით ქალი ღვთის გულისთვის
იმ შეყვარებულს...

მამადავითზე დასეირნობს
თეთრი არწივი,
და ბახმაროზე არ შიყობენ
მწვანე ნაძვები...

ერკეთში დნება მოლოდინი
მწიფე მარწყვივით;
კახურ ღვინოში დაილუპა
ყველა „ყანწები".

ტარტაროზის ფეხი

---

# ᲤᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲮᲔ

საშობაოთ რომ დაგვითხოვეს, სახლში წაველი. 18 იანვარს უკან უნდა წამოვსულიყავი, მაგრამ მე ქიათურიდან 20 იანვარს წამოველი.

არ ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტის მიერ მოცემული ლიტერი გამეუქმებინოს. 18 გადავაკეთე 28 და მშვენივრად გიახელით თბილისში!

ფული ბევრი გამომატანა მამა ჩემმა: სულ ერთი თუმანი; ეს იყო გზის ფული; ოთახის ქირა, წიგნების შესაძენი და ერთი თვის სახარჯო.

სამ მანეთ ნახევარი გზის და ოთახის ქირამ წაიღო. დამრჩა ექვსი და ათი შაური; გავიდა დღეები და ეს თიხა აბაზზე ჩამოვიდა.

დღიურად ჩემს ხარჯს შეადგენდა ორი გირვანქა პური. ამას შედეგად ის მოჰყვა; რომ სამი გირვანქა მოვიკელი ერთ თვეში.

აბაზი მქონდა ჯიბეში, როცა მეორნესთან შეველი. ერთი გირვანქა პური იქვე ჩავდველე და ორი შაურით გავუდექი უნივერსიტეტისაკენ.

საღამომდე უნივერსიტეტში გავატარე დრო.

როცა დავბრუნდი, ვერის ხიდზე პატარა დუქანში შევიხედე; ხალხი ბლომად შეგროვილიყო.

ფეხები მომტეხოდა და იქ არ შევსულიყავი. დაუდგამთ ათასგვარი ფულის მახეები. მე თოფის სროლა ვამჯობინე ყველას. ორი შაური ღირდა ერთი გასროლა. გახვრეტილ კარდონში უნდა გამეძვრინა ბურთები. ხუთში ვინც გაიძვრენდა ერთ მანეთს მოიგებდა.

ვიფიქრე: გავკეთდი კაცი, სახარჯო ფულს აწ ყოველთვის ვიშოვნი მეთქი.

მივეცი ჩემი უკანასკნელი ორი შაური და ვესროლე. ისე ჩემ მტერს ასცილდეს ბედნიერება, ისე მე ამცილდეს მტრის ტყვია, როგორც ბურთები ასცილდა იმ ნახვრეტს და ორი შაური ჩემს ჯიბეს.

ცოტა ხანს უყურე. ერთმა მუშამ ექვსი აბაზი წააგო. ეს რომ არ დამენახა, იმ ღამეს დარდისაგან არ დამეძინებოდა, და არც დამძინებია, რადგან მშიერი კუჭი მოსვენებას არ მაძლევდა.

სამი წერილი მივსწერე მამა ჩემს და ერთის პასუხი ძლივს მივიღე. მწერდა:

თითით რომ დამკიდო კაპეიკი არ გამომივარდება ჯიბიდან... შვილო, მოითმინე და ცოტნობია ჰქენი...

რჩევა კარგია, მაგრამ შესრულებისა რა მოგახსენო.

კოლ-ტანი.

---

# ᲒᲣᲠᲣᲚᲘ ᲒᲚᲔᲮᲘᲡ ᲜᲐᲐᲛᲑᲝᲑᲘ

(ნამდვილი)

არა, არა, კოლიფერი მეგონა და ამას თუ იქდენ მაი კი არ მეგონა.

რაცა, ახლა აგი გაკოტრებული ეკლესიები ზელთხილო თუ გეიხსნებოდა—აგი კი არ მეგონა!

ჩვენში დიდი ხანია თავისთავად დახურული იყო. მღვდელი შიგ არ დადიოდა; თუ ვინმე შეიდოლდა, იგი სარშიყოთ ან სატალიკუნოთ იარებოდა და თვალს წყალს ალევებდა.

მე დაჯერებული მაქვს ნაღდათ, გამოსვლები რომ იყო შარშან მარიოზისთვეში, იგინის პოკლამაციაში ეწერა თურმე, რომ ურწმუნო კომუნისტები ამფერი და იმფერიაო;- განა იგინი არ იყვნენ ყოლიფერი რომ გასანსლეს გრანიცაში?! მთ ტყუილი სალაპარაკო მასალა იშოეს; ვითომდა იგინი ხალხის სურვილს და ჩვეულებებს იცავდენ.

ისე დეიცვეს იგინმა თავისი თავი ჩხუბში.

არა, მე რა მენაღლება. არც კომნისტი ვარ და არც მენშევიკი; მარა აგი კი ვიცი, რომ მე და ჩემისთანები ბევრია იქნე რომ არ შევბლთ და იმ წვერცამეტი იონის არ ვაკოცებ მის გამურულ ხელზე.

ისე უშენდა ოჯახი იქნე მიმსვლელს რომ იგი სულით და გულით მლოცველია, ეკლესია, ხატი და ჯვარი სწამს. ზოგიერთი ყაძახი შევა შით, ილოცავს და სადამოს მეზობლის საკარიდან მოჰვას მეიპარავს.

არა, ძმავ, არა; დეილოცოს ჩვენი მარჯვენაი და პატიოსანი შრომა, თორემ მაგი ღმერთები და მისი ეშმაკის მოციქულები აფერს არ მოგვიტანს.

ყირიმტარტარი.

## ფიხო და მიხო

სოფელში ხმა გავარდა, რომ ქალაქში ყველაფერი იაფათ არისო.

ფიხოს პერანგი არ ჰქონდა და იფიქრა—მოდი, ქალაქში ცოცხებს წავიღებ გასასყიდათ და ერთ პერანგს მაინც ვიყიდიო.

ფიხომ დილით ადრე ქალაქში ჩამოიტანა რამოდენიმე ცოცხი, მაგრამ ვერ გაყიდა და ისევ სოფლისკენ გაბრუნდა თავის ცოცხებით:

გზაზე შეხვდა ქალაქისკენ მომავალი მიხო, რომელსაც შეშა მოჰქონდა გასაყიდათ.

— ფიხოს გამარჯვება.

— მიხოს გაუმარჯოს.

— როგორ მალე დაბრუნებულხარ? გზაში ხომ არაფერი შეგხვედრიაო?

— გზაში კი არა ქალაქში შემხვდა: ცოცხები ვერ გავყიდე..

— რატომ?

— იმიტომ, რომა რადაც ბუნება არისო, ცოცხის მაგივრათ იმას ხმარობენ. ჩვენ რომ ყურები გვაქვს ქარიდან გამოყრუებული, ტფილისში ქარი თავის სასარგებლოთ გამოუყენებიათ. ქარი ქუჩებში მოუმწყვდევიათ და ისე მაგრად უბერავს, რომ რაც ნეხვი და მტვერია ქუჩებში, ყველას-ავლაბრისაკენ ჰყრის მტკვარში და ამიტომაც ალარავის უნდა ჩემი ცოცხები. ასეა, ძმაო, ქალაქში ყველაფერს თავის სასარგებლოთ იყენებენ.

— მაშ ვერც მე გავყიდი შეშას?

— აი მიზეზდ მოგახსენებენ, რომ ის მზე რომ არისო, იგი უნდა დაიჭიროთ, ერთ ყუთში უნდა მოვათავსოთ და შემდეგ მზის სითბო იქიდან უნდა ვიხარჯოთო.

— კაცო, რას ლაპარაკობ, რომ არ გაგიჟდი? მზესთან ვინ მივა?

— თუ კი ჰაერში დაფრინავენ, მზეც იქ არ არის; ცოტას აიწევიან და ქე მივლენ მზესთანაც.

ამ ამბავმა მიხო მეტად დაალონა, მაგრამ რა უნდა ექნა—შეშის ისევ სახლში წაღება არჩია და ფიხოსთან მიხოც გაბრუნდა შინისკენ.

ხ. ჯგარელი.

## ჩემი ამბავი.

დილის ათი საათი იქნებოდა, როცა ზესტაფონის სადგურში მივედი, მაგრამ სადგური ისე ცარიელი დამხვდა, როგორც ქალაქის სამკითხველო.

ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ თავში ერთი პუსტიო აზრი მომივიდა: გადავწყვიტე სოფლისაკენ წავსულიყავი საქეიფოდ, რადგან ამინდების გამო თავისუფალი ვიყავი. სიცივისაგან ცხვირზე წუნწკლი ჩამომდიოდა და სახელოთი ვიწმენდი. ასე წასვლა სოფელში არ ივარგებდა და გავეშურე „გლეხკომისაკენ" ცხვირსახოცის საყიდლად, მაგრამ დახე ჩემს უბედურებას, „გლეხკომი" თავის ადგილას აღარ დამხვდა.

იქვე სხვა სტუდენტებთან ერთად ი. გაბრიჭიძეც იყო ატუზული და იმას შევეკითხე: „გლეხკომი" სად წავიდა-თქო; მან მითხრა, რომ მეიდარი ქალის შესართავად წავიდა; რადგან ქანქარი შემოვლიაო. ამოვყევი ჩევითკენ, ბევრი ძებნა არ დამჭირდა და „გლეხკომი" მივაგენი. არც მას დასჭირდა ბევრი ძებნა: მეიდარი ქალი უკვე მიეგნო და „ეპოს" დასიძებოდა. ერთმა ამხანაგმა კიდევაც მითხრა; „კაცო რა დროს წასვლაა არის, მალე ქორწილიც იქნებაო". ქორწილის გაგონებაზე პირში ნერწყვი მომივიდა, და, რომ მალე მომელო სოფელი, ვიქირავე ცხენი და გავეფრინდი სოფლისაკენ. უნდა გითხრათ სიმართლე, რომ არც ზესტაფონის ელსადგურში მოუნდებიან იმდენხანს ახალი მანქანის დადგმას, რამდენიც ჩემი მფრინავი მოუნდა სოფელში ასვლას.

ბევრი ვიარე, თუ ცოტა ვიარე, მივედი ერთ მასპინძელთან. თქვენს მტერს იმისთანა მე რომ იქ ქეიფი ვნახე. მასპინძელმა დილით მინამ სადილს მოამზადებდა, ექვსი წვეთი არაყი ჩამისხა ჭიქაში და ჩასატანებლად ორი ტკავეული ბამბის ძაფი მომიტანა, რომლის ბოლოში გოზინაყის კუდი კონწიალობდა. მეც ავიღე და ძაფიანა გადავძახე პირში, რადგან ეტყობოდა ამ ძაფზე ოდესღაც გოზინაყი ყოფილიყო აცმული და რომ დაველეჭავ ცოტა გემო მაინც გამოუვათქვა, ვიფიქრე. ამის ამარა ვიცადე სადილობამდე.

ცოტა ხნის შემდეგ იმდენი მეზობლები მოვიდენ, რომ გეგონებოდათ, ჩემთვის კი არა კომისრის სანახავად მოდიანთქვა. მოსვლისთანავე გამაცნეს ქალიშვილები. დაიწყეს მასხარობა და სიცილი. მეც ძალდატანებით ვიცინოდი და მუცელზე ხელს ვიჭერდი, (სიცილის გამო კიარა—სიმშილისაგან კუჭი მეწოდა). ჩამსვეს ბარიშნებში: ისინი ყველა მე მიყურებდნენ და იცინოდნენ; მეც რასაკვირველია, ვიჭყანებოდი და თანაც ამით ვსარგებლობდი: ხან ერთ ბარიშნას მოვეპარავდი ბარკალს და ხან მეორეს (სხვა ბარკალი არ გეგონოთ, ქათმის ბარკალზე ვამბობ) და დამშეულ მუცელი ცოტათი გამოვიბერე. ტოლუმბაშათ მე ამირჩიეს, მაგრამ იმდენი მოწინააღმდეგე ფეოდალ კაპანაძესაც არ ჰყოლია, რამდენიც ჩემ რეჩებს ჰყავდა. ეს იმიტომ, რომ ჩემი რეჩი, მარტო „იცოცხლეთ, გაგიმარჯოთ"-ს შეიცავდა.

როგორც იქნა გათავდა „ქეიფი", შევჯექი ჩემ მფრინავზე და გამოვსწიე

ზესტაფონისკენ. გულში ერთი ბარიშნის ჯავრი ჩამყვა: იქ ვერაფერი გაუბედე და თემის ალმასკომში დაუტოვე „აბიასნენია ლიუბვი“-ს წერილი. ერთი კაცი მიყურებდა ალმასკომში და მითხრა: შენ საწყალო, ქალალდი ტყუილად დაგიხარჯავს, ეს წერილი მაშინ მიუვა პატრონს, როცა ზესტაფონში აბრეშუმის პარკის ფული მოვაო. გამოუდექ ჩემ გზას. ზესტაფონში, რომ ჩამოვედი, ჯიბეში თაგვები მითამაშობდენ და გავეშურე მომხმარებელ საზოგადოებისკენ ფულის სასესხებლად. მაგრამ ბანკის თანხა ორ თანამშრომელს გაეყო და მე ქე დავრჩი კუდამოძუებული. ასე გათავდა ჩემი მგზავრობა და ეხლა ისევ ზესტაფონში დავყანყალობ.

„გიგოს ბიჭი“.

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### მუშათა სახლების შესახებ.

(სანიმუშოდ აღებულია კალინინის ქუჩაზე მდებარე მუშათა სახლი. დადგენილება ეხება ყველა მუშათა სახლებს).

1. გაუქმებულ იქნას მინები შუშაბანდებში და მათ ნაცვლად ფანჯრებში ჩადგმულ იქნას კარდონები ან თხელი ფიცრები.

2. მოიშალოს კიბის სახელურები, რათა თავისუფლად ჩამოგორდენ ბავშები მესამე სართულიდან.

3. ჩამონგრეულ იქნას კედლები, რათა გამოჩნდეს სახლი ტკეჩის და აგურის არის, თუ უბრალო მარმარილოსი.

4. დაუყონებლივ იქნას გადაყვანილი საქათმეებიდან ფრინველები და წვრილფეხი საქონელი მესამე სართულზე.

5. დაცულ იქნას ისეთი სისუფთავე, რომ ღორსაც ესიამოვნოს.

6. სახლკომს მიენდოს მხოლოდ მიწერ-მოწერა.

7. ყველა ქალალდები სახლის შესახებ მავთულით იქნეს ჩაკერებული საქმეში და შენახული ცხრაკლიტულ ფოლადის ყუთში.

ამ დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან ჩვიდმეტ გირვანქიან პორტფელის თარებით.

ტარტაროზის რწმუნებული

ჩესმა.

## შ ა რ ა დ ა*)

შარადისათვის გვქირია
განყენებული საგანი
და ასოები იმისი:
„ანი“ იქრება, თუ „განი“ —

შორს არა წავალთ, ავიღოთ
სინათლე ან და ნათელი,
რომლის,—თქმა აღარა უნდა,—
ჩვენ სუყველა ვართ მნახველი.

გამოვყოთ ერთი მარცვალი—
შარადის მესამედია,
მაგრამ სიფრთხილე კი გვმართებს,
რა ძნელი გასაბედია...

ახლა ვეწვიოთ ლუარსაბს
ოთახში სადაც გორავდა,
სადაც დრო უტარებია,
სადაც ძილისგან ზმორავდა.

და შეუპყრია აქიდან
იმ პირველ ერთიც მარცვალი
და თითქმის სახელს მივიღებთ—
არ არის გამოსაცვალი.

მაგრამ, რადგანაც ცუდია,
რომ პიროვნება დამცირდეს,
ჩვენც ხელთ ავიღოთ შანდალი—
ბოდიში რომ არ დაგვექირდეს.

აქედანც ერთი მარცვალი
ორს მივუწებოთ მარჯვენით...
და ეს შარადაც სრულია
საკვლევათ მოემზადენით.

—

უბრალო კი არ გეგონოთ,
ის დიდი ვინმე ბრძანდება,
ბავშებისათვის მეხია
იმისი შემოლანდება.

სხვარიგ კარგია ყველაფრით,
არ არის შესალახია,
თუ არ გაჯავრდა და ბავშებს
წიგნი არ გადაახია?

გულკეთილია მეტად ის,
არ გავს ავს და არამზადებს:
თუ ყავს ღარიბი მოწაფე,
ათ-ათ მანეთად ამზადებს.

ჰკუას, თუ იტყვით, ამას სულ
ლაპარაკიც არ სჭირია,
ჰკუით სავსეა, (არ ვხუმრობ,
განა უბრალო პირია?)

თქვენმა მზემ, ვერ შეედრება
მას სხვა ვიღაცა ქალები...
ოჰ, რომ იცოდეთ, რა არის
იმისი კისრის ძალები?

—ის არ გეგონოთ თქვენ სუსტი,
მერხევი როგორც ალამი,—
ის უძრავია... და მიტომც
მას ეზარება სალამი.

მაგრამ რა უყოთ... ხომ იცით,
რომ ეს „ზრდილობის“ წესია,
და „უზრდელობის“ კანონში
ის ხომ აღარა სთესია?

სალამიც იმას თვის დროზე
უთუოთ ელოდინება,
თუ რევიზორი ჩამოდის,
უფროსი მოეელინება.

(ეს ხომ არ არის გინება)
მანამდისინ კი სალამი
კი უნდა... მოიგვიანებს.
როგორ იკადრებს „ბიჭ-ბუჭებს“

მოწაფე—ცხრა წლიდიანებს?...
მაგრამ აწ კმარა... შარადაც
სულ თვალსაჩინოთ გავხადე,
შორს გადავყევი ნამეტრათ
და მით ნიღაბი ავხადე.

ნ. დაფნარელი.

*) ვინც გამოიცნობს წლის ბოლომდე „ტარტაროზს“ მიიღებს უფასოდ.



# დეპეშები

(ტარტაროზის საკუთარ აგენტები-
საგან)

**ოზურგეთი.** ექიმი **შაქარიშვილი** (ყაფიალდელი) მიუხედავად იმისა, რომ მისი გვარი შაქრისაგან წარმოდგება, ქინასავით მწარეა. იგი არ კადრულობს ცხენით მგზავრობას სოფელში ავათმყოფის სანახავად და თხოულობს ფაეტონს.

— ადგილობრივ საავადმყოფოში, ვინაიდან სალამოობით მორიგე ფერშალი (ოთხთვალა) და მოწყალების და (იგივე „სიდელკა") ერთმანეთის ალერსში ატარებენ დროს და არ-სცალიათ ავადმყოფებს მიხედონ, ამიტომ ავადმყოფები ვალდებული არიან მოუარონ თავიანთ თავს.



**შორაპანი.** განათლების ინსპექტორი **ელეფთერ ზახარიჩი** არ ეთანხმება ამხ. ზინოვიევს, (რომელმაც განაცხადა მასწავლებლის ერთ ადგილიდან გადაყვანა უნდა აიკრძალოსო) და მასწავლებლებს ისე ისვრის ოთხივე მხარეზე, როგორც რეზინის კარგ ბურთს.

—მასწავლებლებს ჯამაგირი არ მიეცემათ, მინამ არ გაიხსნება 1926 წლის კრედიტი. ელეფთერის მიერ შემუშავებულ ამ კანონს დიდი აღფრთოვანებით შეხვდა მასწავლებლობა, რადგან ჯამაგირები უპროცენტოთ ენახებათ კასაში.

დოსტი.

**ზემო სვანეთი.** წითელი სასადილოს გამგეთ აღმასკომის თავჯდომარემ დანიშნა აზნაური ყიფიანი, რომელმაც მოსამსახურეებათ წითელ სასადილოში აიყვანა თავისიანები. ამჟამად მწერლად ჰყავს მისი კურთხევა რომანოზ გვიშიანი. (უწინ კი იყო ქურდიანი, რომელიც ეხლა ქუთაისის ციხეში სწირავს).

„ხვანელი მელა"

**სამტრედია.** კატუშა ახობაძე, რომელიც ცნობილია როგორც პორებრს სიუკეთესო გამომგონი და გამავრცელებელი: მიუხედავათ „ახალი სინათლის უბნის" ვაგზლის ქუჩის 16 მცხოვრებთა მოთხოვნილებისა, მისი მოშორების შესახებ, თავს მაინც არხეინათ გრძნობს და განაგრძობს თავის მოქმედებას.

„16"

**სად. ჯუმათი** მოქალაქეებს ეკრძალებათ ონოფრეს მოედანზე ბნელ ღამეში ქალებზე და კაცებზე ფანრების მინათება, ვინაიდან ეს მყუდროების დარღვევაა.

—საბჭოს არჩევნები ჩინებულად დამრთავდა- თუმცა ქურდები გამორიცხული იყვნენ ხმოსანთა სიიდან, მაგრამ ერთი მათგანი მაინც შეიპარა საბჭოში.

—გურიის სამაზრო საექიმო კონფერენციაზე ადგილებიდან მოხსენებების შემდეგ გამოირკვა, რომ სოფლის გლეხობა მთელ თავის სიცოცხლეში მხოლოდ სამჯერ იბანს ტანს და ისიც გობზე, ან სკამზე დამჯდარი.

პირველად იბანს დაბადებისას (ალბათ ნიშნათ მისი ამ ქვეყნად გაჩენისა).

**მეორედ**—დაქორწინებისას (ალბათ ნიშნათ ახალ ცხოვრების დაწყებისას) და

მესამედ—გარდაცვალებისას. (ალბათ არ სურს წაიღოს ამ ქვეყნის ცოდავები).

მიიღო რა ყველა ეს მხედველობაში, კრებამ დაადგინა: მოეწყოს სოფლებში უფასო აბანოები და მოწვეული იქნეს სტამბოლის მექისეები: ყველასათვის სავალდებულო იქნეს თვეში ერთხელ მაინც ტანის დაბანა. წინაღმდეგ შემთხვევაში თითეული ოჯახის წევრი გადაიხდის ხუთ თუმან ჯარიმას და დამნაშავეს ტანს იძულებით დააბანიებენ.

ხუშტური.

**ნიგვზიანი.** დანიშნულია სილამაზის კონკურსი. კონკურსში მონაწილეობის მისაღებათ ბათუმიდან ჩამოყვანილია კანდიდატი, რომელიც ამ ჟამად იმყოფება ფერშლის ოჯახში. ამ სილამაზის შემფასებელ კომისიაში შედის მოხე; ამ ნიადაგზე მოსალოდნელია მოსეს და ბაბის შორის უთანხმოება.

ლამისპირელი.






სარედაქციო კოლეგია.

მთავლიტი 876 ამიერ-კავკასიის რკინის გზების სტამბა-ლითოგრაფია. ტირაჟი 8.100

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 5 აპრილი 1925 წელი

ფასი 3 შაური

# ტარტაროზი

№ 6—(9) გაზ. „მუშა“-ს ორკვირეული უფასო დამატება. № 6—(9)



## პრეზიდენტის კანდიდატები გერმანიაში.

ყველას ამშვენებს კრახმალი და ყელზე ბანტები.
იჭიმებიან, რომ გამოჩნდნენ მეტად ფრანტები.

# ბრძანება № 2.

დედანს აწერია:
სასწრაფოდ ასასრულებლად
ყველა ჩვენს აგენტებს
და თანამშრომლებს.
ტარტაროზი.



კიდითკიდე
ყველგან დამყარდა
მის მეუფების
ხელისუფლება—
და **ტარტაროზმა**
თავის აგენტებს
აწ მიანიჭა
დიდი უფლება.

მეუფე დიდი
და ბრძანებელი
უბრძანებს ყველა
თავის აგენტებს·
— დაუყოვნებლივ
გვაცნობოს ცენტრში
რომელ კუთხეში
ვინ რას აკეთებს.

კარგი ხანია
არ მიგიღიათ
მისი ბრძანება
პროვინციაში;
ძღვენს არ აგზავნით,
მაგრამ მაინც ხართ
ჩვენი აგენტთა
გრძელსა სიაში
და ეხლა ბრძანებს
გარისხებული;
— რაკი მოგვადგა
კარზე აღდგომა
— ყველ ამ იცოდეთ:
მის შესახვედრად
საჭირო არის
მზადება, შრომა.
იყო დრო, როცა
ყველას გიყვარდა
ღვდელ-დიაკვანი
და მათი ცოლი; *)
მათ აგზავნიდით
უხვად და მლომად.

(შეჯიბრებაში
არ გყავდათ ტოლი).
მოვალეობის
არ შესრულების
**მეუფის მიერ**
თქვენ გადევს ბრალი
და ეხლა დრო გაქვთ
გამოისყიდოთ
— რის საშვალებაც
არის მრავალი.
რა წამს მიიღოთ
ეს ბრძანება
ფეხზე დადექით
მთელი ამალა
და სამშაბათსა
აუცილებლად
გამოაგზავნეთ
ყველა მასალა.
ტარტაროზის მდივანი:
**ჭინჭარი.**
საქმეთა მმართველი:
**ყიამეთი.**
ტარტაროზის სასახლე.

*) ამ უკანასკნელის სიყვარულზე არც ახლა იტყვით უარს.

# საერთაშორისო მდგომარეობა

## ამხ. ტარტაროზის მოხსენება „ტარტაროზინტერნი"-ს

### პირველ კონგრესზე.

შინაგანი მტრები ტარტაროზინტერნის ძლიერების წინაშე ქედს იხრიან ვინც გაბედავს მის მტრობას, არ ასცდება ტარტაროზის ჩანგალი და რისხვა!

გარეშე მტრების მდგომარეობა შერყეულია. ისინი აღარ წარმოადგენენ ტარტაროზინტერნისათვის დიდ საფრთხეს. ახლოვდება ჟამი, როცა ტარტაროზი ავტომობილით გაივლის მსოფლიოს ყველა სატახტო ქალაქებში და გადასძახებს ყველას:

## გაუმარჯოს ტარტაროზინტერნს.

# და რომ ეს ასე მოხდება, ამას ამტკიცებს შემდეგი საერთაშორისო მდგომარეობა








**ჩემბერლენი** სამი თვალით ეძებს მოკავშირეებს ჩვენს წინაღმდეგ. პორტფელში **ზინოვიევის წერილის** მეტი არაფერი უწყვია. **კერზონმა დემონსტრატიულად** დატოვა ინგლისი და გადასახლდა საიქიოს, რამაც მეტად დაამწუხრა **ჩემბერლენი.**

**გერმანიის** „სოც-დემოკრატები“ თანდათან იხვეჭენ „უკვდავების სახელს“. ებერტმა „ვერ გაუძლო“ სირცხვილს და ამჯობინა საიქიოს თავის შეფარება.

საპრეზიდენტო ცილინდრი ამ ჟამად თავისუფალია და მისთვის დაეძებენ ისეთ „**თავს**“, რომელიც ყოფილ პრეზიდენტის თავზე უფრო „**თავიანი**“ იქნება. მაგრამ ასეთი „თავები“ მრავალი აღმოჩნდა და აპირებენ ამ „თავები“-დან ერთ **ბუჯაბხანდალურ თავის** გაკეთებას.

**პოლონეთის** პროფკავშირები პანებისათვის თავსატეხი კედელია. ჩვენ **არაფერი** გვაქვს მათი თავის გატეხის საწინააღმდეგო.

მუსოლინი დღითიდღე ელოდება მის თავზე მეხის რისხვას. უკანასკნელ დროს ფაშისტები სასტიკად მარცხდებიან არჩევნებში.








**ამერიკამ** ამ ბოლო დროს ყურები ჩამოჰყარა, რადგან ბევრი უსიამოვნება შეხვდა: „მოკავშირეები“ ინგლისი და საფრანგეთი ვალს არ უხდიან. **იქით არის-და იაპონიამაც წაუმტკავლა: ს.ს.რ. კ-თან ხელშეკრულება დასდო.**

**პრემიერის ძირითადი ხელი:** ა. კოფილმა პრემიერმა ხაზინიდან გაიტაცა 20 000.000 კრონი. რატომ აქაც არ უნდა მოხდეს ასე, როცა გერმანიაში ყველა მინისტრები ასე იქცევიან?!

**ესპანეთში** ყველაზე უფრო **სწორი სასწორია.** მთავრობამ ორი კომუნისტი დაიჭირა და დაიტოვა ძევლად მეფის სიცოცხლის უზრუნველსაყოფად. თუმცაღა მეფის სიცოცხლე არც თვით მთავრობას შეუფასებია დიდათ, მაგრამ ჩვენ ორ მუშის სიცოცხლეს მეტად ვაფასებთ, ვიდრე ერთ მეფის. აქვე ახლოს **პორტუგალიაც** ჰფიქრობს „იცნოს“ **საბჭოთა კავშირი..**

ნეტავი მას თუ ვინმე **სცნობს?!**



ჩინეთში — ბურჟუაზიისათვის საუცხოვო სანახაობა ხდება. ჩვენ კი ურჩევდით: ნუ აძლევთ მტრებს ასეთ სიამოვნებას. ერთმანეთს რას ერჩით? თუ შევიძლიათ მტრებს ადინეთ ცხვირიდან სისხლი.

იაპონიას ძალიან ეშინია „წითელი საფრთხის“ და ბოლო დროს წითელმა შიშმა აიძულა ეცნო წითელი ფერი;



მეფის ვალები საფრანგეთის ბურჟუაზიას სიზმარშიაც არ აძლევს მოსვენებას.



სამხრეთ-სლოვეთის საუკეთესო იარაღები არჩევნებისათვის. აქ ამ იარაღებით არჩევნებში გაიმარჯვეს ბურჟუაზიის ფინიებმა.

მეზობლათ რუმინეთი საშიშარ სიზმარშია: ვაი თუ ვრანგელის ფლოტი საბჭოთა რესპუბლიკებს დაუბრუნეს—.



უმარტივეს საშვალება მეფის ვალების საკ. ხის მოსაგვარებლად.

## 41°

დიდი ხანია სურდათ
პოწაფეებსაც შრომა.
გამოდის „მოწაფის სმა“
ასოულდა, მათი ნდომა

და კოლეგია ახლა
წვრილებს ბლომად იღებს;
მაგრამ დაშიმდე ს წერილს
არასდროს არ აღირსებს.

გოგიაშვილის მუზამ
ახსნა კულტურის კარი.
აღმოაჩინა ახლად
„მაზუთის ხალხთა რასა“.

„რეგულიატორი“ არის
„ღითონის დირიჟორი“,
„იწვის, ინგრევა“ „ქარის
პენ,ბირი“ „ყვავილობი“.

ქყვავის გენია თავში,
(უფრო ცხელდება ჰავა)
აშკარად სჩანს რომ მაღლა
45°-ზე ავა

მას მუზა „ვერტიკალის“
აიყვანს ზენიტამდე ს.
„ფეხი აქვს ოდრიკალის“,
„თუჯის დრეკადით“ დადის

ღამე აძინებს ქალაქს
მისი გიპნოზის ძალა
და მგზრის ვერტიკალად
თვალს „ფენომენი“ ქალაქს.

გაწერელია არჩევს
„კოსმიურ დიდ პრობლემებს“,
(„ხმების დუგლუგში“ დარჩეს
მისი გენიის თემა).

ის სულ რეფერატს ეძებს,
არ დააკლდება კრებას,
„აინშტაინზე“ იგი
ეხლა სწერს მოხსენებას.

მოველით დღეებს მზიანს
—ამ ორ გენიის დაშლას
რადგან გვაძლევენ ზიანს
სჯობია მათი დაშლა...

პოწაფე ტიკული

## არქეოლოგიური აღმოჩენა.

როგორც ტარტაროზის სელჩოს კუაში იტყობინება, სიქოის მოუხდენით ფრიად შესანიშნავი ახალი არქეოლოგიური გათხრა, რომლის დროსაც აღმოუჩენიათ ფარაონ მენშ-მუსივადანეს-ესერ-ფედ-კადეტის აკლდამა (მეფობდა სიბნელისუფლის დაბადების წინ მეოთხე საუკუნეში), სადაც უნახავთ მრავალი ძვირფასი ისტორიული მასალები.

აქ არის ლურსმული ასოებით ნაწერი მაშინდელ პარტიების სახელწოდებანი შემოკლებით. აქვეა მაშინდელ მეორე ინტერნაციონალის მოღვაწეთა სახელწოდების (გვარის) ძირითადი წყაროები, თუ საიდან მომდინარეობენ.

თუმცა, დროთა და ჟამთა ვითარების გამო ზოგან ადგილები დამპალია და აღარ სჩანს წარწერანი, მაგრამ ზოგიერთის გარჩევა კიდევ მოხერხდა იქ საგასტროლოდ ჩასულ ებერტის, ბრანტინგის და სხვათა შემწეობით.

ესდეკი — წარმომდგარა სიტყვიდან: „შესდეგ!“, რომელიც წარმოუთქვამს მშრომელთა უბნის მეშვას—

გუშაგს, როდესაც მას შეუმჩნევია ჩათთან მოსატყუებლად მისული სოციალ-დემოკრატი, რომელიც გაუგდია იქიდან.

**ესფერი** — წარმომდგარა ერთ-ერთ პომპეიელ ცნობილ სენატორის სიტყვიდან, რომელიც წარმოუთქვამს ერთ-ერთ ისტორიულ სხდომაზე, როცა დაუნახავს წითელი ფერი: „მე არ მომწონს ეს ფერი“.

**შნერი** — წარმომდგარა ერთ-ერთ სახელმწიფო მოღვაწის სიტყვიდან: „მე არ მომწონს ეს ერი, რადგანაც ამ პატყუარა ესერებს აბოგინებს თავის წიაღში“.

**მუსავატი** — წარმომდგარა სიტყვიდან: „ფუქსავატი“.

**დაშნაკი** — წარმომდგარა სიტყვიდან: „შენისთანა მცველს თავის ერისას, გულში ვკარი დაშნა კი“?

**კადეტი** — წარმომდგარა სიტყვიდან: „ვ ჩორნოი მანტიი ნადეტი“.

**ეპერტი** — წარმომდგარა სიტყვიდან: „ბურჟუაზიის ტყავ ლაქია და ამ პოსტზე შებერდი, თუ არ მომკვდარიყავი, სულერთია. შეგბერტყდი“.

**ბრანტინგი** — წარმომდგარა სიტყვიდან: მეორე ინტერნაციონალში დაბავდებულ ცინგით გასვრილი დინგი“.

ტარტაროზის ადიუტანტი.

# „წითელი კიმერა“

**ტრაღედია 4 მოქმ. და ეპილოგით.**

(სცენა წარმოადგენს მდიდრულად მორთულ სასადილოს. მოსადილენი მოელიან სადილს. აქა-იქ დაფუსფუსებენ კელნერები თეთრ ხელსახოცებით მკლავზე გადაკიდული. მუსიკა უკრავს „ჩუმ-ჩაიარა“-ს)

**მოქმედება პირველი.**

1 **მოსადილე**—(ამთქნარებს)

2 **მოსადილე**—(არაკუნებს. პაუზა).

**მოქმედება მეორე**

იგივე სცენა.

(I-ელ და II მოქ. შუა გადის 1 საათი).

1 მოსადილე (კელნერს) — შეიძლება სადილი!...
(ღრმა პაუზა).

2 მოსადილე (კელნერს)—უკაცრავად ამხანაგო, მომხედეთ!
(პაუზა).

1 მოსადილე (კელნერს)—ტავარიშ! (საერთო სიჩუმე).

2 მოსადილე (კელნერს)—გასპადინ. კელნერ!

1 მოსადილე (კელნერს)—თქვენო აღმატებულებავ!

2 მოსადილე (კელნერს)—ვაშე სიატელსტვო კელნერ!
(რაკუნი და შემდეგ სიჩუმე. ისმის ხვრინვა. მუსიკა უკრავს „ნანა“-ს).

**მოქმედება მესამე.**

იგივე სცენა.

(მე II და მე III მოქმედების შუა გადის 2 საათი).

1 მოსადილე—(აზმორებს. მიმართავს კელნერს)—ბატონო... ამხანაგო, თუ შეიძლება, გთხოვთ უმორჩილესად, მიიღეთ მხედველობაში ჩვენი მუცლის სერიოზული მდგომარეობა და კეთილ ინებეთ მოგვიტანოთ, თუ არ შეწუხდებით, სადილი პურით და ერთი ბოთლი ღვინოთ!

კელნერი—იზვინაუს! ნე ვაშა ოჩერედ პაკა!

1 მოსადილე—(ჯდება).

2 მოსადილე—(კელნერს)—შენი ჭირიმე! პრასტიტე ზა ბეზპაკოისტვო, პრინესიტე მნე პაჟალუსტა ადინ აბედ!

კელნერი—ნე მაგუ! ეტო ნე მოი სტოლ!

**მოქმედება მეოთხე.**

იგივე სცენა.

(მე III და მე IV მოქმ. შუა გადის 2 საათი).

საერთო ღრიანცელი. ყვირილი. ისმის ხმები: ასტაროჟნო, პაჟალუსტა! დაროგუ პრაშუ! მხაბარდა! კამუ ბორში! კამუ ხლებ! ვისია ვტაროი! ხუთი პერვი და სამი ვტაროი! ამხანაგო, მოგვიტანე პური, პირველი უპუროდ ვჭამე! ტავარიშ, დაიტე ნაკანეც ვტაროი! კაცო! რად მინდა ამდენი პური რომ მომიტანე? მე მეორე გითხარი და არა პური! კაცო პური! პური, შე ოჯახდასაქცევო, გამიცივდა სუფი! სიჩას! დაროგუ, მადამ ვას გავარიატ! ასტოროჟნო! პალუჩაიტე ვტაროი ბლუდა! კაცო რად მინდა ვტაროი, ჯერ პირველი არ მიჭამია! სიჩას! იზვინიაუს! ადინ ბიშტექს... დვა კატლეტ!....
(ხმაურობა. მუსიკა უკრავს „ჩუმ-ჩაარა“-ს).

ფ ა რ დ ა.

**ეპილოგი.**

ცოცხალი სურათი.

1 მოსადილე (მეორეს) ისადილე?

2 მოსადილე—ვისადილე უპუროდ და ეღვინოთ!

1 მოსადილე—მე! ბედი არ გქონია! მე კი ერთი პორციის მაგიერათ ორი მომიტანა და ღვინოც დამაყოლებია, არც კი მომითხოვია ისე.

2 მოსადილე—მე! ჩასე სწორედ მეც მოვითხოვე, მაგრამ არ მომიტანა?..

თინო.



# ამაო ძებნა.

(ზუგდიდელებისათვის)

სახალხო სახლსა ეძებდენ,
ვერ ნახეს დაკარგულიყო;
დიდი დარბაზი შენიშნეს
მაღლა რომ ამართულიყო.
 მიუხმატკბილეს: გეთაყვა,
 ჩვენ აქ მოგვეცი ბინაო,
 გვინდა: გართობა, კულტურა —
 სულ შრომა მოგვაწყინაო.
კლუბმა მიუგო: „მობრძანდით,
თქვენ როგორ გეტყვი ვარსაო,
გაერთეთ, თანაც განათლდით
— თუ გაგვისტუმრებ ვალსაო“.
 თეატრში ფარდა ახადეს,—
 გამოჩნდა უცხო სცენაო,
 მსახიობები იძახდენ:
 „ჯამაგირს ვითხოვთ ჩვენაო“.
დინამომ იწყო გუგუნი,
მოტორიც აჰყვა ხელადო;
კინო სწერს: — ფული გვჭირია
ბენზინის სასყიდელადო.
 არ ეჰაშნიკა მაძებართ
 ასეთი მოთხოვნილება,
 კლუბსა, თეატრსა და კინოს
 დაუწყეს უხვად გინება.
დაგვიწყებიათ ადათი,
სტუმარ-მასპინძლის მცნებაო;
ფულს რომ გვთხოვთ, ერთი გვითხარით,
ვინ მოგცათ ამის ნებაო.
 რით გავისტუმროთ ვალები,
 არა გვაქვს ჯამაგირიო;
 ან რატომ ვიდოთ ჩვენს თავზე
 ასეთი ვასაკირიო.
დებო, თქვენ მაინც გვიშველეთ,
ვერსად მოვაწყვეთ კრებაო;
კლუბს ვთხოვეთ, მაგრამ არ მოგვცა
უფულოდ შესვლის ნებაო.
 ქალებმა უთხრეს დარცხვენით:
 არ გვინდა თქვენი წყენაო,
 მაგრამ გჩვევიათ ყვირილი,
 რასაც ვერ იტანს სმენაო.
თანაც დარბაზი მცირეა,
ძლივს-და ვეტევით ჩვენაო.
თვენ რომ მიგიღოთ ბინაზე
არ მოგვიწონებს „ზენაო“.
 დღესაც დადიან ქუჩებში,
 საღმე სხვა ნახონ დარბაზი,
 კულტ-ფონდი ყუთში უწყვიათ,
 არ ემეტებათ აბაზი.

ბუქი.

# ჩემი მგზავრობა კახეთში.

რვა წელიწადია რკ. გზაზე ვმსახურებ და ამ ხნის განმავლობაში არც ერთი შაბათი არ მახსოვს ისეთი, რომ ჩხუბი და აურზაური არ მქონდეს ჩემს ცოლთან.

გათენდება თუ არა შაბათი დამიწყებს ცოლი:

— აი, დღეს შაბათია, წადი კახეთში და ჩამოიტანე: ღვინო, არაყი, ჩურჩხელა და სხვა.



მე კი ვეუბნები: — დედაკაცო, რა გინდა ჩემგან? მე კახეთში წასვლას, სახლში დასვენება მირჩევნია; გარდა ამისა მე ღვინის შეტყობა არ ვიცი და ვერც მოვახერხებ ყიდვას-მეთქი...

ცოლი მიმითითებს ჩემს მეზობლებზე: იგ ნი თუ კი ძიდიან, შენ რაღა ხარ? მაგრამ ღმერთს შენთვის შნო და ცხოვრების უნარი არ მიუციაო.

—

და გასულ შაბათს გადავსწყვიტე კახეთში გამგზავრება.

წაველი ამხანაგთან ტიკის სათხოვნად. მათხოვა ერთი ვედროიანი ტიკი ერთ კვარტ ღვინოზე ქირით. ვიფიქრე: ერთი ვედროსათვის როგორ წავიდე კახეთში და მეორე ამხანაგსაც ვსთხოვე ტიკი. მათხოვა ორ ვედროიანი ტიკი მხოლოდ იმ პირობით, რომ ნახევარი ვედრო ღვინო მისთვის მომეტანა ტიკის თხოვნებისათვის.

ცოლი მეტად გამხიარულდა; ჩამიწყო კალათაში ორი გირვანქა მოხარშული კარტოფილი, პური და მარილი და გზა დამილოცა...

—

სადგურში ოთხი საათი ვიდექი სარივით ბილეთების რიგში. ბოლოს როცა კასასთან მივედი, კასა დახურეს და ბილეთი დამირჩა შეუმოწმებელი.

ვდგავარ და ვფიქრობ: სად წავიდე ახლა? უკან სახლში დაბრუნება სახიფათოა: ცოლი ძალლივით მომვარდება და ვერ გადაურჩები... ამ დროს საიდღანაც გამოვიდა ნაცნობი ქალი და მას უამბე ჩემი გასაჭირი. მან ბილეთი გამომართვა და ორიოდე წუთის შემდეგ შემოწმებული გადმომცა.

—

გურჯაანის სადგურში რომ გადმოვედი, გლეხები დამხვდენ.

— ე, ამხანაგო, თუ ღვინო და არაყი გინდა, მე მოგყიდი, წამო, აქა ახლოსა ვარ.

მეც გავყევი ერთ გლეხს და იმ ოჯახქორმა ოთხი ვერსი მატარა. ბოლოს, როგორც იქნა მივედი.

— დედაკაცო, მუშტარი მოვიყვანე; პური მოიტა, კაცი ნამგზავრია—

მოიტანეს პური, ხაჭო და დიდი სტაქნით არაყი. მე არაყის დალევაზე უარი განვაცხადე, მაგრამ მაინც დამალევინეს. არაყი მუცლის მაგივრად თავში ავარდა და უთხარი ჩემს მასპინძელს: — თუ კაცი ხარ მალე გამისტუმრე, თორემ დამაგვიანდება-თქო.

წამიყვანა მარანში, ახადა სანახევროდ ცარიელ ქვევრს და მითხრა: — აბა, ნახე ამისი გემო! ასეთი ღვინო აქ არავის არა აქვს.

მყრალ არაყის შემდეგ მე ღვინო კარგი მომეჩვენა და მეც მოვიწონე.

დამუქირე ჩემი ტიკი; ჩაასხა თუ არა ღვინო დაიწყვარა 'და ნათხარ მიწით

ისევ ქვევრში ჩავიდა (თურმე ტიკი გაცვეთილი ყოფილიყო). დამიწყო ჩხუბი—შენმა ტიკმა ღვინო წამიხდინაო. ბოდიში მოუხადე .. მეორე ტიკი გავავსე, გარიგებაზე მეტი გადამახდევინა, რადგან ღვინო წაუხდინე—და მე გამოვუდექი უკან ჩემს გზას. გზაში ორჯერ გამისკდა ტიკი და ნახევარზე მეტი დავღვარე.



ჩამოვედი ქალაქში., სადგურზე ჯერ წამართვეს ტიკი და, მერე ისევ მომცეს.. მოვედი სახლში და ჩემს ცოლს რიხიანად უთხარი:

—აბა, ჭიკა მოიტა; ნახე რა საუცხოვო ღვინოა...

დაუსხი, პირთან მიიტანა, დასუნა და ცხვირ-პირში შემასხა.

დამიწყო ჩხუბი და მეზობელი რომ არ მომშველებოდა, ეხლა მე საავათმყოფოში ვიქნებოდი ვვერდებ ჩამტვრეული.

მერე მეზობელმა გასინჯა ღვინო და ჩუმად მითხრა: გალახვის ღირსი ქე ყოფილხარ: რატომ სწამლავდი ცოლს? ეს ხომ მოჰკლავდა მას!

ამ საქმით ერთი რამ კარგი ვქენი, მეზობლის ყველა ქალებს ძმარი ჩემს ცოლიდან მიაქვს და იგიც გულუხვად არიგებს.

დონატო.

# «ვაჟკაცები»

**წნორის წყალი**, რომელიც ბევრმა ჩვენმა მკითხველმა შეიძლება არც კი იცოდეს, მალე მიიპყრობს მსოფლიო ყურადღებას.

ექიმი მალია აქ აწარმოებს მეცნიერულ ცდებს, რომლებიც ბრწყინვალე შედეგს იძლევიან.

ექიმი თავისი გამოგონებით სულ ადვილად ახდენს მეტად რთულ ოპერაციებს.

მის ლაბორატორიაში მუშაობენ და „ახალ მეცნიერს" ეხმარებიან ქალწულნი: **ნინა და ჟანნა**. (ქართველებია, მხოლოდ ძალიან უყვართ „უცხო"), რომლებიც გადასახლდენ ექიმთან და ეწევიან დღით და **ღამით** მუშაობას.

ბოროტი ენები ამბობენ, რომ მასწავლებელი თამარა იმდენად უვიცია, რომ არ მიუღია ამ საქმეში მონაწილეობა და ისევ შერჩენია ქმარს, რითაც დაუმსახურებია ექიმის და მის თანაშემწე „ქალწულთა" უნდობლობა.

იგივე ენები ლაპარაკობენ, რომ ექიმის მეუღლე იმდენად შეუგნებელი ქალი ყოფილა, რომ ვერ შეუგნია ქმრის საკაცობრიო იდეალები და ყოველ დღე თავის ქმარს სცენებს უწყობს იჭვიანობის ნიადაგზე.

საბრალო მეცნიერი!?!.

რა შეუფერებელი მეუღლით სჯის მას განგება?..

პირველი ცდები „მეცნიერმა" ნინაზე მოახდინა, რამაც ბრწყინვალე შედეგები გამოიღო: მეორე კვირასვე ქალი დაინიშნა და ჩქარა ქორწინდება კიდეც. (ლაპარაკობენ: ამ ცდებს ეხლაც განაგრძობს ექიმიო და მიზნად ჰქონებია ჯვარის წერის დღეს მიულოცოს საქმროს მისი ქალწულობის მოწმობა).

მხოლოდ მეორე თანაშემწე, იმდენად მშიშარა გამომდგარა, რომ ჯერჯერობით ვერ თანხმდება თავის თავზე მოახდინოს ცდა.

თავის მხარეზე გადასაყვანად ექიმი მას უკითხავს ლექციებს „**ზნეობისა და მორალის ცვალებადობის**" შესახებ და იმედია, ურჩი ქალი შეიგნებს ყოველივეს და დაეთანხმება.

ექიმს მისთვისაც საქმრო უ 30 ჰყოლია არჩეული... ლაპარაკობენ ამ მიზნით ბენიას უახლოვდება და უმეგობრდებაო.

ლაბორატორია მუშაობს სრული 24 საათის განმავლობაში ჯერ ჯერობით მუშაობა ფარულია და იქ შესვლა არავის შეუძლია გარდა მეცნიერისა და მისი თანაშემწე ქალებისა.

* * *

ავთანდილმა სრულიად შეუმჩნევლად, მოახდინა შტატის შემცირება; სხვებთან ერთად დაითხოვა ალექსანდრეც და მის ნაცვლად მიიღო თავისი სიძე პავლე.

**ავთანდილი უხვად დაჯილდოვებულია მჭერმეტყველების უნარით.**

25 თებერვალს, როცა ნესტორს აცილებდენ და ვახშამი გაუმართეს, ავთანდილმა, როგორც თამადამ, ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ შიგ უხვათ იყო ჩართული ბრძნული სიტყვები.

როგორც საერთო აზრია, სრულიად ფასს არ უკარგავს ავთანდილის მჭერმეტყველებას ის, რომ საბოლოოდ მის მიერ თქმულ სიტყვიდან არაფერი არ გამოვიდა. როგორც თითონ აღიარებს, ის არის იმ რუსთველის მიმდევარი, რომელმაც რაღაც ზღაპრით, რომელიც თავისი შინაარსით არაფერს წარმოადგენს, მოიხვეჭა უკვდავება.

მარგალიტები ავთანდილის სიტყვაში ბევრია; მაგ: „**ღალადა ხახე**", „**სირმის წვერები**", „**გადანახკვული გული ჩამოყალიბებულ კედლებში**", „**პატიოსნება სინიდისის სარჩულში ამოდებული**", „**ვინც ამას ვერ გაიგებს, ის თავის თავად გამოტყინებულია**", „**ამაზედ ლაპარაკი აქსიომაა**" და სხვა.

ზოგ შეუგნებელ თანამოსუფრეთ არ მოეწონათ, რამაც გამოიწვია პატარა, ჩუმი მუსაიფი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

მხოლოდ ავთანდილი, თავისი აზრის დასაბუთებას შეუდგა მუშტით და რევოლვერით...

რევოლვერმაც ლამაზი სიტყვა სთქვა, რამაც ისეთი დამამშვიდებელი გავლენა იქონია, რომ ყველა სტუმრები მა-

შიგვე ადგენ და ნელნელა გაიპარენ. დიდ აღფრთოვანებაში მოვიდენ აგრეთვე მეზობელ ოთახში მყოფი ბავშვები, რომლებმაც გალვიძებისთანავე სადიდებელი ჰიმნი უმღერეს შეწყობილ ხმებით შეუდარებელ ავთანდილს.

აჩითმაჭყულისებმ და ბრბოს აღფრთოვანებულმა შეხვედრამ აუწყვილა გულის ბუნებით კეთილ ავთანდილს და ფუშალა ნერვები. თავისი სხვის პაკლეს რჩე იყო. (რომელიც კანტორის გამგეთ არის უვარგისი თორემ, სხვა მხრივ გენიალური ყმაწვილია) მან ნერვების დასამშვიდებლად გადაწყვიტა მეღლო ყოველკვირეულათ თითო კანტორის მოხელე.

მაგრამ კანტორის მოხელის მაგიერ კბილი ჩაავლო მოანგარიშე ჭუჩასპაშვილს, რომელიც მეტად ძვალმსხვილი გამოდგა და ავთანდილს ყელში გაეჩხირა...

ექიმების აზრით აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ოპერაცია, მაგრამ იგივე ექიმები აღნიშნავენ სამწუხარო ფაქტს, რომ შეიძლება ამ ოპერაციას ავადმყოფი თანაც დაჰყვეს...

განსაკუთრებული ყურადღების და მადლობის ღირსია ადგილობრივი მუშკორიც, რომელმაც დიდი ნიჭი და უნარი გამოიჩინა საქმის მითუჩენების და მორიგების საქმეში, რისთვისაც ავთანდილმა ის ჯეროვანად დააფასა და... ოთხშაბათს, 18 მარტს ცხენ ბი ათხოვა სილნალში ქალებთან გასასეირნებლად...

ღრენჭა.



ქალი. რას გვეხართ? მე მრცხვენია თქვენთან-გარება, როგორ სცვეთ ასე ფეხსაცმელებს?

ვაჟი. უკაცრავად, მაგრამ მე ფეხებს მიწას ვაბიჯებ. თქვენ კი, ალბად... ჰაერში დაფრინავთ.



ჭიათურის განათლების განყოფილებას.

## განცხადება:

ვინაიდან ზოგიერთ სკოლებში ქალი მასწავლებლები სჭარბობენ რიცხვით ვაჟებს და ზოგან უკანასკნელნი ქალებს, რაც იწვევს სკოლებში არა სასურველ შედეგს, მით რომ თუ სკოლაში, მაგ. ათი მასწავლებელია და მათ რიცხვში ოთხი ქალი, აქ თანასწორი შეფარდება არ გამოდის, რადგან ვაჟები მეტია ოთხზე და თუ ქალი ექვსია და ვაჟი ოთხი, მაინც დიდი უხერხულობაა, მით რომ გაკვეთილებამდი ან გაკვეთილების გათავების შემდეგ თივანზე სეირნობის დროს, რომ ოთხმა ვაჟმა მასწავლებელმა გაუყაროს „პოდრუჟკა" ოთხ ქალს და ორი კი გაუყრელი დარჩეს, ეს საწყენად რჩება უკანასკნელებს[1]) და, რომ ასეთ მოვლენებს მომავალში ადგილი არ ექნეს—ვთხოვოთ განათლების განყოფილებას, რათა მომავალ სამოსწავლო წლიდან მოხდეს მასწავლებელთა თანასწორი გადაჯგუფება (ყველა სკოლებში იყოს თანასწორი რიცხვი ვაჟებისა და ქალ მასწავლებლებისა).

შენიშვნა: ამავე განცხადებას დართული აქვს შემდეგი წარწერა: „ტეკერძალოს ცოლიანსა და ქმრიან მასწავლებლებს-აზაპ მასწავლებელთა ფერხულში ჩარევა".

ტვლიპი.

1) შეუძლიათ ორ ქალს გაუყაროს ერთმა ვაჟმა: მოუჯდეს და მოუცხონოს.

ტ ა რ ტ ა რ ო ზ ს

(ბათომიდან)

ბათომი ისევ ბათომობს,
ზღვაც მის ადგილას მდგარია:
შიგ საბანაოდ დადიან:
ქეთო, ელპიტე, დარია.
ისევ გამრავლდნენ აქ ბლომად
ლევანები წვერ გასაკრეჭი.
(თუმც ძვ ლებურად არა აქვთ
კურკუმო, თეძო, ბეჭია).
ვაჭრები ჰკეტენ დარაბებს,
(ეს მუშკომპის ბრალია).
კომუნხოზს ფული არა აქვს.
ვერ გაგვისტუმრა ვალია.
სხვაც ბევრი არის ახალი:
გასახარელი გულისა,—
მოლოდინი აქვთ ზოგიერთს
ამ ტურფა გაზაფხულისა,
—როცა თამამად ზღვის პირად
თვის საქმეს შეექცევიან;
ზოგს აწვალებენ ზემოდან,
ზოგს ქვემოდ მოექცევიან.
მეტს არას მოგწერ და ვჩქარობ
ან მალე შენსა ნახვასა;
ვერ გაუძელით უშენოთ
ასეთ ძნელ ხანგრძლივ მარხვასა
ნუ მოგვიძულებ, ტარტაროზ,
და ნუ მოგვაკლებ ზრუნვასა.
თორემ ჩვენ შევეწირებით
შენს უნახვობის ურვასა.

შენი ბლიკეი.

# „დიდი მოურავი."

თამაზაშვილი ისაკა
კლიენტების მოურავია,
რომელიც დ. დი-ხანია
დამრჩა კბილ-გაუკრავია.
შეჭფერის თანამდებობა,
არ არის გამოსაცვალი
და ისე დადის მდგმურებში,
ვით გზირი, ანუ ნაცვალი.

სადაც ყოველ-ღამ თაგვები
უშიშაროდ ცეკვავენ
და ახალ ტრამვაისათვის
ფქვილებში გზები გაჰყავენ.
განრისხებული ისაკა
ასკდება მდგმურთა კარებსა
და რომ ვერაფერს გახდება
ეორეიკას დაიხმარებსა.



გულის სატკბარად ამოხდის
რუსულ-ქართული გინება.

ეხოში სისუფთავისთვის
ყავს მოწვეული ლორები,
რომ ტილით მდგმურთა კარებსა
ჰყრიან დინგი ანაშმორები.
ზოგლოდ-დროს მეტად გაჯავრდება,
ფულს არ აძლევენ მდგმურები
და თან ფვით მოურავზედაც
გაისმის საყვედურები.
როგორ არ ჰმართებს მოურავს
მათზე რისხვა და ყვედრება,
—სახლი უქირავებ ისეთი
სასახლეც ვერ შეედრება—

ეორეიკა წუნარი ქაცია.
არ უყვარს ტყუილ-მართალი
და მით ისაკას ძველ-დარდებს
კვლავ მიემატა ახალი.
ზრაზ-მორეულსა მოურავს
აწ უკვე არ ეცინება,
გულის სატკბარად ამოსდის
ქართულ-რუსული გინება.
ფულის აღება სწადია,
მაგრამ ფულები არ მოდის
და მუდამ ამის ფიქრში—
ვინ რამდენს მისცემს და როდის

რა უნდა მისცეს ღარიბმა
და მისმა ამხანაგებმა?
აღარ ირგია ისაკას
მათთან ბრძოლაში ან შებმა.
მაშინ სხვა არის, არ იყოს
დღეს პროფკავშირის წევრები.
სინსილა გამოლეულნი,
შვიდი-თვის უმუშევრები.
ღვინისგან შეხურებული
სეტყვას ჰყრის და მეხს აქუხებს
ფანჯრებიდანაც აძლევენ
მას შესაფერისა პასუხებს.
ასეთ მდგმურების პატრონი,
მეც ვგრძნობ, რომ შესაბრალისა.
მაგრამ, რა უყო, რომ არ მაქვს
ეგ ფული ღმერთ-გამწყრალის.
ამისთვის, ძმაო ტარტაროზ,
მაქვს შენთან სათხოვარია,
რომ ადრე მომცე მე ჩემი
კუთვნილი გონორარია—
რომ ჩემს ოთახის ქირისთვის
იქ შევიტანო იგია,
სადაც მოითხოვს კანონი,
სადაც წესი და რიგია.

ღარიბი

# გურულის წერილი.

გამარჯობა გრიშა! ძიკო. შენი გამოგზავნილი წერილი მივიღე: მეც მინდოდა პასუხის მოწერა, მარა მარკის და ქაღალდის ფასი აღარ იყო—ხინკილიზაცია არის ჩემთან და ამიზა დამიგვიანდა.

შენ ოზურგეთის ამბავი გენატრება. აქეთ შვიდობაა. აგერ ცოტა ხანია მოლვაწეობა და მოტაცებიც გაზშირდა ლამეზი, თაზე კოოპერატივის და მეც ქამეშინია ჩემი ჯოჯოყარ არავინ წაიჩაჩალოს და იმას ვეპარაულობ ხელ.

გუშაამ, ძიკო, კოოპერატივი გატეხეს და ცოტა—ორმა ათასი მანეთი ფულიან საქონლიანა წაიღეს ამბანი გურათ; დადიან ქალაქში... ჩივიან შინიდგან მოწყობილი არისო და სხვები რალაზედ ეძებენო. რა ვიცი როფელ ეძებდება მოფერი ლიპარიტ ნამდვილაც რომ იყოს. ძიკო, შენ რომ წადი იმას შერე ჯაფიალადობა ძალიან ნაცლებაა და შენ ყოფილხარ, მეშინია შენ, აბა ახლა რაც ლვინოა, ვერ მისწავლებლობას და ექიმებს აღარ ყოფნის და სხვებს რაღა დარჩება.

შენ მერე ... [illegible]

სო—მწყევლი თუ რაი, რომ ვიცოცხლო რა ვქმნა, ფული მე არ მაქვს და ქონება; შენ მაინც კი იცი—ძროხა რომ დაწვება ჩემს იდგილში, კუდი სხვის მიწაზე აქვს; ძაღლი უქმელობით დასულტებულია, დაწოლილი ყეფს და ნაფოტას ჰამს. მოგეცა ლხენა, ჩეკაში რომ ვიყო—სულ ჩაშივიოტებული ვიქნები, კოტრაბანდები იხრათაა. იწერები, საბაჟოში ვარია—და აბა იწე შენ კაცს არ იკადრებ. საბაჟოების ამხანაგებმა იციან მხრების და ცხვირის აწევა მაღლა.

ერთი მეც ქე შინდოდა მენახე მაქანაი; ლამაზი გოგოებიაი, კოდრაბანდ ლოთრიგანს ამოუტანდი, მარა, რამოდენიმე ხელ ვისესხე ძლივს ხამგზავრო ფული და აი დალოცვილი სადგურის უფროსი ჩემს იღბალზე მუდამ მთვრალი დამხვდა და ბილეთის იღება არ მეღირსა;

ზაფხულზე ამოვალი—კაია ღმერთმანი. ერთი პაწაი ციცაი შენც წაიტაცე და თუ არ მოგეწონება—შინჯე და ორ-სამ დღეს მერე ქე დააბრუნე უკან. ასეა აქეთ ახალი მოდა.

მეტი რა მოგწერო. კარგად ვარ ქეტიეითო იწერები და იყავი, რა მენაღვლება, ჩემს ზურგზე ხომ არ იარები.

ყირიმტარტარი.



# ქ. ზესტაფონი.

ჩავჯექი ჩემ განუყრელ თანამგზავრ „მაქსიმ გორკ“-ში და რამდენიმე დღის შემდეგ მივადექი ზესტაფონს.

ბაქანიდან მოწაფეების მხიარული სიმღერა და სიცილ-კისკისი ორთქმავლის ქშენას ჰფარავდა. მე გამიკვირდა: ეს მოწაფეები ეხლა რატომ სკოლაში არ არიან!

მაგრამ ჩემი გაკვირვება შესაფერი პასუხით დავაკმაყოფილე: ალბად ჩემი ჩამოსვლა შეიტყვეს და ასე მხიარულად შემეგებნენ-თქო. მეც ნაპოლეონის პოზით ჩავუარე მათ და „ღლოუმის“ მიღებას ვაპირებდი, რომ უცებ გავშეშდი,—არც-ერთი მათგანი მე სრულებით ყურადღებას არ მაქცევდა და უძილო-ნამთრალევი თვალებით ერთმანეთს რაღაცას ანიშნებდნენ.

ჩემი თავმოყვარეობა უხვად შეილახა და გაშტერებული ვიდექი შუა ბაქანზე. უცებ რაღაც ძლიერი დაჯახება ვიგრძენი. უხილავმა ძალამ რამდენიმე ნაბიჯზე სასწრაფოდ გადამისროლა და აუცილებლად საბარგო ტომრებში შევარდებოდი, რომ ფრთხილ და თავაზიან დარაჯს უკანვე არ გადმოესროლე.

მოსწავლე ქალები სახეში სცემდენ ფურცლებად ქცეულ წიგნებს და რვეულებს. საჩქაროდ გავცილდი, რომ ჩემი ისედაც მგზავრობით დამტვრეული გვერდები ზედმეტისაგან გადამერჩინა და გავსწიე ცხრაწლედისაკენ. (ჩემი ახალი კალოშები დღესაც სოყავრის ტალახებში განისვენებს).

მინდოდა მენახა გამგე და ყველაფერი დაწვრილებით გამომეკითხა.

—„მე ნუ მაცდენთ, ამხანაგო, თუ რამის შეტყობა გსურთ—მიმართეთ მოწაფეთა საბჭოს.—მიპასუხა გამგემ. დაავლო ხელი ერთ-ერთ მასწავლებელს და ზურგზე მოიგდო, მაგრამ ეს უკანასკნელი მაგრად დაუხვდა და ხვრხიანი მიწოლით სამჯერ ყირამალა გადაატრიალა.

—„ჩვენი სწავლა მარტო წიგნების „ზუბრით“ არ გამოიხატება. მოწაფეებში „თავისუფალი“ ქცევა-ყოფით იწვრთებიან სკოლის გარეთაც“. ამაყად მომიგო მოწაფეთა საბჭოს თავჯდომარემ.

გავუყევი ქუჩებს, რომელთაც ამკობდა ელექტრონის სვეტები, ხოლო ლამფა არც ერთ მათგანზე არ სჩანდა. თურმე ბოროტ-მოქმედებს ოთუპარავთ და ვინაიდან დენა ხშირად წყდება და ქალაქში მაინც მეტ წაწილად სიბნელეა, შუშები აღარ დაუკიდიათ. ღამე აქ არ დადიან და თუ ვინმე გაბედავს და წავა, აუცილებლად ფანარი თან უნდა ჰქონდეს, რომ თავ-ფეხი დამტვრევას გადაარჩინოს, თორემ დაზღვევა ვეღარ უშველის.

შევიარე ყველა მნიშვნელოვან დაწესებულებებში. ყველგან ჩვეულებრივი სიწყნარე და მყუდროება სუფევდა, რომელსაც თანამშრომელი ქალის მხიარული კისკისი თუ დაარღვევდა „დელოვოდის“ ჩქმეტით ან სიცინით გამოწვეული, რაც სავარძელში გადაწოლილ მძინარე ბუჰალტერს შეაკრთობდა და გამოაღვიძებდა.

ხმაურობა იყო მხოლოდ აღმასკომში, სადაც სიმონის მქუხარე ხმა ყველას ძილს სამარადისოთ უკარგავდა და აფხიზლებდა.

მთელი დღის ხეტიალით დაქანცული, საღამოს გავემგზავრე თეატრისაკენ. მიდიოდა დამსახურებულ მსახიობის კ. ც-ძის გასტროლები. თეატრში ძალზე ყინავდა და პალტოში გახვეულს სულ მალე ღრმად ჩამძინებოდა. ტკბილ სიზმრებში ვიყავი, რომ თითქოს ჩემს ახლოს მეხი გავარდა და ზედ კოფოზე დამეცა. ტკივილისაგან გამომეღვიძა.

—აღარ მიეთრევი შე ოჯახ-ამოსაგდევგო, წარმოდგენა გათავდა!? „პატიოსნად“ მეუბნებოდა თეატრის დარაჯი.

გვერდებ-გაყინული ძლივს გავფარფატდი გარეთ. მომაგონდა: ამ რამდენიმე თვის წინად ამავე თეატრში რწყილების იერიში, მათგან დასიებული ფეხები, რომელნიც ეხლაც ისე მეწოდენ და დავიფიცე: 365 წელს რომ ვიცოცხლო თეატრში მაინც აღარ წავალ-თქო.

როგორც იქნა მივატანე სადგურს და, რომ მალე მოვცილებოდი იქაურობას, აღარ დაუცადე „მაქსიმ გორკს“—ჩქარ მატარებელზე ავიღე ბილეთი და წამოვედი.

ოთარ-ბეგი.



# განკარგულება

ახლოვდება რა ზაფხული, რომლის სიცხეები მანდილოსნებს მეტად შეაწუხებს—ამიტომ ვსცემ შემდეგ განკარგულებას:



10-დან 11 საათამდე.

ქალთა შრომა ამიერიდან იქნება შემდეგნაირად განაწილებული:

დილის 8—9 საათ. ლოგინიდან ადგომა; 9—10 საათ. პროსპექტების ტკეპნა. 10—11 საათ. სამსახურში სარკის წინ „პრანჭიობა“, 11—2 საათ. მუშაობა, საუზმე, მომსვლელის თავიდან-ფეხებამდე ათვალიერება და ლაწერა. ორი საათის შემდეგ მზადება ისევ სარკის წინ სახლში წასასვლელად. სალამოობით გამგეებთან შეხვედრა და „ჟაახლოვება“ (СМЫЧКА).

ამ განკარგულების დამრღვევი ქალები დაისჯებიან თვენახევარი შეღავათების მიცემით ჯამაგირის შენახვით.

ჩეხზა.

# სარძევე ფერმა

(წერილი პროვინციიდან)

მიწათ-მოქმ. სახალხო კომისარიატის „სარძევე ფერმა“, კაი ხანია არსებობს და რამოდენიმე გამგეც გამოიცვალა, მაგრამ არც ერთ გამგეს არ შეუმჩნევია მისი ავადმყოფობა გარდა ბ-ძისა, რომელმაც დეფიციტის ავადმყოფობა უწოდა და შემჩნევისთანავე აცნობა კომისარიატში გამგეობას.

გამგეობამ ავადმყოფის განსაკურნავათ მიიღო ზომები: მან გაადიდა გამგეების შტატი—ერთი იყო, მეორეც მიუმატეს, ვინაიდან ერთი ვერ ასწრებდა საქმეს: თვეში ერთხელ უნდა გამოეწერა ჯამაგირი რვა მუშისთვის და თვის ბოლოში უნდა წარედგინა ანგარიში, თუ რამდენი ბოთლი რძე დალიეს მუშებმა თვის განმავლობაში.

კომისარიატში იყო ორი გამგე, მიუმატეს მესამეც, რომელსაც ევალება: მოვიდეს თვეში ორჯერ ფერმაში და გამოიანგარიშოს, თუ რამდენი გირვანქა თივა სჭირია თვეში ხბოებს. გამოიწეროს ყარაიაზიდან კარგი ჯიშის თივა ამის წინათ გამოწერილ სამი ვაგონი დამპალის მაგიერათ.

ამ რიგათ, ასეთი დავალებების შესასრულებლათ შევსებულია გამგეების შტატი ფერმის სახელზე ხუთი კაცისაგან, რისგამოც მოსალოდნელია ავადმყოფის სრული განკურნება. იმ შემთხვევაში, თუ ფერმას დაეტყო უარესობა, მაშინ განზრახულია გაადიდონ ექიმების რიცხვი, ვინაიდან ფერმას ჰყავს ერთი ექიმი და ერთი ფერშალი, რომლებსაც გამგეებზე არა ნაკლები საქმე აქვთ და ვერ ასწრებენ. ფერშალს ეგონება: ორ თვეში ერთხელ მოვიდეს ფერმაში და ჯიბეში დახვეული ქაღალდები დაუდგას საწამლავი; ძროხა რომ მოკვდება, (თუ შეხვდა იღბალი), აცნობოს ექიმს. ექიმის მოსვლისათანავე მკვდარ ძროხას გაუჭრას მუცელი და ამოუყაროს შიგანი, რომ ექიმს ხელი არ დაესვაროს. (გატყავება და დამარხვა ამათ არ ევალებათ). წრეულს დიდი შრომა გადახდათ. თითქმის ხუთამდე ძროხას ამოუყარეს შიგანი და გაუშინჯეს ტყლიპი, რის გამოც ექიმს წლის განმავლობაში ხუთჯერ დასჭირდა ფერმაში მოსვლა ავტომობილით. რაც შეეხება ხბოების მოვლას, გულკეთილ ფერშალს ექიმი არ შეუწუხებია. რაკი ხბოები სუქნები იყო, მან სიკვდილამდე თვითონვე წასჭრა კისერი და გაუშინჯა გემო. ასეთი საექიმო დახმარების შემდეგ კიდევ თუ გაგრძელდა დეფიციტის ავადმყოფობა, მაშინ გადაწყვეტილია იმდენათ გაადიდონ ფერმის სახელზე მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვი, რომ თითო მეწველ ძროხას ორი მოსამსახურე ჰყავდეს.

რადგან დღეს ფერმას ჰყავს ხუთმეტი მეწველი ძროხა და მუშა-მოსამსახურე კი მარტო თექვსმეტი კაცი, ამიტომ ფერმის უკანასკნელი მდგომარეობა კრიტიკულია და მოსალოდნელია მისი გარდაცვალება.

ნიკრიჭი.

# ცოლ-ქმარი.

(ყურმოკრული)

დედაკაცო, რის მიცივდებიხარ მახატებს? ეჩურჩულები, ეჩურჩულები, მუხლებზე საქალამნე ტყავი გადაგძვრა, ბუტბუტებ, ბუტბუტებ და მაბუტბუტითა არაფერი გამოვიდის...

რომ გეუბნები ქვეყანაზე ღმერთი არ არის მეთქი, არ გიყურება? ქალო, რაღაც პლანტენია გამოჩენილა, ქვეყანა გადასახლებას აპირებს და შენ კიდევ მაღმერთებს მიცივდებიხარ! ღმერთის გეფიცები... დალახვრა ტარტაროზმა ე ღმერთია თუ რაღაც ვერ დავივიწყე და ვერა; რამდენჯერ დავიფიცე არ წამომცდეს მეთქი, მარა მაინც წამოვაყრანწუალებ და მაინც.

—აი მეხი კი დაგეცა მაგის თქმისათვის: რა ღირსა ხარ ღმერთების

ხსენებისა. ღმერთო, ნუ უწყენ შენი მადლისა და წვერების ქირიმე.

— ქალო, რა დროს ღმერთია, რა დროს წვერები. ქვეყანა რაღაც პლანეტენია—მარსზე გადასახლებას აპირობს, იქიდან რაღაც რადიათ იმით უძახიან აქაურ მეცნიერებს აქ ამოდით, აქ ნამდვილი სამოთხე არისო, და შენ კიდევ ღმერთებზე ლაპარაკობ?

აი მე ხეპრე შენა, გატყუებენ და შენც როგორ ადვილად უჯერი. იქ რომ მოვკვდებით მაშინ წავალთ, იქ არის სამოთხეც და ჯოჯოხეთიც, ზოსიმეც ამბობს— სახარებაში წერიაო.

— ქალო, ზოსიმე ვინ არის, მეცნიერები ამბობენ, მეცნიერები: ვერ გაიგე რომ გიჩიჩინებ.

— ეშმაკს უჩიჩინე. მე იცოდე შენა, ღმერთს ნუ სცოდავ, გონს მოდი. რაც შენ ღმერთზე გული აიყარე, მერე აპა ჩამოთვალე, რამდენი ზარალი მოგვივიდა: ბატ-ინდოური გაგვიწყდა, ცალი ხარი კლდეზე დავვეშტვერა, ქათმები კვერცხებს აღარ დებენ.

ზოსიმემ სთქვა — როცა, კაცი ღმერთს შესცოდებს, იმას კარგი არაფერი დაუყრებაო... რომ ღმერთი არ ყოფილიყო, ჩვენი მთავრობა ზოსიმეს ეკლესიის გახსნის ნებას არ მისცემდა. მაგრამ ღმერთი არის იმის ტახტის ქვეშ. ქათამი რომ წყალს დალევს ღმერთს შეხედავს, ღმერთი არის და იმიტომ იცის ქათამმა ასე.

— რა ქათამი, რის ქათამი! ქათამზე მეტი ჭკუა მაინც არ გაქვს. არა, მე შენთან ლაპარაკის თავი არ მაქვს; შენ ზოსიმეს უჩენიკების დავთარში ჩაწერილხარ იმას უყურე შენ და ვნახოთ რომელი ავალთ მარსზე. მე სიცოცხლეში ავალ და შენ კი იმას უცადე—შენი ზოსიმეთი როდის მოკვდები.

— პაპილო, მეც რომ წამიყვან.

წაგიყვან შვილო; ეხლა წამოდი, ძროხის დროც არის, დედა შენი ისე გაიბრუტნა, რომ მგონი აღდგომამდე არც კი მომეკაროს.

გრი— ლი.



# მ ო თ ქ მ ა

(ოზურგეთიდან)

ახალგაზრდა გვრიტებო
იქვენ კი გენაცვალეთ,
თუ მრავალჯერ მაჰხარეთ
რაღად გამაწვალეთ?
ნეტარება, ბოლომდინ
აღარ დამაცალეთ
და ღირსება, პატივი
ხელად ამაცალეთ

—

ჩამოგშორდი უდროოდ
ჩემო კარგო ვენახო.
აწ მე სადღა წავიდე,
ანდა ვის, დავენახო?
მოჰკაპიკე მერცხლები
რა ყოველდღე ვერ ვნახო
—მაშინ ჩემთვის სჯობია
ცოცხლად რომ დავიმარხო.

—

ხან. ოთახში ვსტკბებოდი,
ხანაც აბანოშია;
(ხშირად მარტო ამბორით
მოვიკალი ხოშია)
მაგრამ მაგრად შემბერტყეს.
მომინგრიეს ყბებია
და ვიძახდი: მიშველეთ,
ბაბუა და ბებია.

„ხალახტოი“



# მესტვირულისებური

(თერჯოლისათვის)

არა გულისა სდღინინოთ
ავახმატკბილე სტვირია
არამედ გითხრა, გიამბო
შენ ჩვენი, გასაჭირია.

—

ეჰ! ტარტაროზო ძლიერო,
ჩვენ შენი შველა გვჭირია,
თორემ თერჯოლში სულ მალე
ყველას მოგვეტყდება ცხვირია:
არცა შეგვრჩება კბილები,
(ჩამტვრევა მეტად ხშირია),
რადგან აქ პევრი არიან
„მკლავაძეები“ გმირიი.

—

აკაკიმ [1]; გრიშამ [2]), გიორგიმ [3])
დღე გაგვითენა შავია,
ვით ნიკოლოზის „პრისტავმა“
გაგვაძრო ტანზე ტყავია.
დიდი ხანია გვჩაგრავენ,
ვერ დავაღწიეთ თავია;
ძნელია მათი გარჩევა,
რომელი უფრო ავია.

—

ძველ დროში ბაგრატიონი
იყო თერჯოლის მფლობელი.
მისივე იყო ღვანკითი
და ახლოს ბევრი სოფელი.

—

თუმცა გლეხობა იმათი
იყო ყოველთვის მგმობელი,
მაგრამ ამ ყოფას სჯობია
იმ ბედში ვიყოთ მყოფელი.

—

გასაბჭოების დღიდანვე
ხელთ იგდეს მათ რევკომია,
შემდეგ ადვილად დაიპყრეს
მთელ თემის „აღმასკომია“.
(თუმც ასეთ „გამარჯვებისთვის“
არ შეხვედრიათ ომია...
ანდა გლეხობა რას იქმდა,
როცა ისინი „ლომია“)

—

მიწების კომისიასაც
მაგრად ჩაავლეს ხელია,
რადგან იქიდან გამოდის
ქრთამების ქადი ცხელია.

—

ორი თუ სამი დღიური
ვისაც აქვს მინდორ-ველია
—ყველას წაართვეს და ასე
გადასჭრეს საქმე ძნელია..
კვლავ დაუბრუნეს უკანვე,
რომელსაც მისცეს ქრთამია.
(ეს სულ ერთია—ფული თუ
ქრობები ან ქათამია).

—

[1]) ქარიაშვილი.
[2]) ხიმშილაძე,
[3]) სეჯოიანი

ერთხელ ანტონს 1) მიწის მზომელს
მათთან ომი მოუვიდა,
რადგან ქრთამში აღებული
ჟუნაგირი ვერ გაჰყიდა.
(საზიარო ჟუნაგირი
იყო მათში გასაყოფი
და ერთმანეთს „მეგობრები“
ეცენ მტრობით განაცოფი).
ამის გამო ამ გმირებმა
ძირს დაჰყარეს ხმალი, ფარი;
თერჯილებმა იგრძნეს შვება,
ყველა იყო განახარი.

—

მაგრამ, აი, დატრიალდა
კვლავ უკუღმა ბედის ჯარა
და გლეხობამ მხიარულმა
კვლავ ყურები ჩამოჰყარა—
როს უფროსად მილიციის
კვლავ დაბრუნდა „ძველი გმირი“.
ეხლა ხალხსა ზარდაცემულს
ამოევსო წყლითა პირი.

—

და მეც, ჩემო ტარტაროზო,
აქ შევჩერდი, დავიღალე.
ამ ამბების გაგრძელებას
კვლავ მოგაწვდი ფოსტით მალე.

1) ბარბაქაძე.

გაბედული.



# მოხუცფაკი

(მეგობრული)

### ჯერ „გაყმაწვილება“

მოხუცფაკი გაიხსნა ძველი, მოხუცი ამხანაგების მოთხოვნილებით. რადგან მოხუცებულობის ჟამს სწავლის შეთვისება ძნელია, ამიტომ ამ ამხანაგებმა გადასწყვიტეს: ჯერ „გაყმაწვილება“, რისთვისაც მიმართეს სადაც ჯერ არს—გამოეწერა მათთვის ფოთიდან ექიმი ხარატიანი, რომელიც მათ გააყმაწვილებდა.

ამხ. კაპასიშვილი მოხუც ამხანაგების მოთხოვნილების წინააღმდეგ წავიდა, მაგრამ ბოლოს გამონახეს საშუალო გზა და ორივე მხარე დაკმაყოფილდა: ამ მოხუც ამხანაგების დაბადების ქორონიკონი დაიწყო ოქტომბრის რევოლუციიდან,— და ამგვარად თვითეული ეს ამხანაგები გახდენ რვა წლისა ე. ი. სკოლაში მისაცემ ბავშვის ასაკისა.



„გაკვეთილი“

### „გაკვეთილი“

მასწავლებელი. ბატონო ამხანაგო, რა ფრინველია ეს?

მოწაფე. ეს არის იხვი.

მასწავლებელი. აბა წაიკითხეთ, ამხანაგო ბატონო.

მოწაფე. ი...ხ...ვ...ი..

მასწავლებელი. ერთად რას ამბობს?

მოწაფე. კვატა..

მასწავლებელი. კიდევ წაიკითხეთ და შემდეგ გკითხავთ... აბა თქვენ, ბატონო ბავშვო, ეს რა ცხოველია.

მოწაფე. ეს არის თხა.

მასწავლებელი. აბა წაიკითხეთ.

მოწაფე. თ...ხ...ა.

მასწავლებელი. ერთად რას ამბობს.

მოწაფე. ქაცარი, ბატონო.

მასწავლებელი. არც თქვენ გისწავლიათ, ბატონო ამხანაგო, იცოდეთ, თუ ახე ისწავლეთ, ყურებს აგიწევთ.

### „გრამატიკა“

მასწავლებელი. დამისახელეთ უსულო ან სულიერი საგანი.

მოწაფეები. (თითს სწევენ) მე ვიტყვი, მე... მ...მ...მ...მ.

მასწავლებელი. (მოწაფეს) აბა დაასახელეთ თქვენ, ამხანაგო ბატონო.

მოწაფე. ვირი, ბატონო.

მასწავლებელი. აბა, დააბრუნეთ.

მოწაფე. სახელობითი—რა?... ვირი. ნათესაობითი—რისი? ვირის.

გაზეთ „მუშა“-ს ხელის მომწერნო!
ტარტაროზი-ს
№ 10 და № 11
მიიღებენ
19 და 30
აპრილს

მიცემითი—რას?... ვირს.
მოთხრობითი—რომ?... ვირმა.
მოქმედებითი—რითი... ვირით.
ვნებითი—რად?... ვირად.
წოდებითი—რაო?... ვირო, ბატონო.

**მასწავლებელი.** თქვენ, ბატონო მოწაფევ, ცოტა ზრდილობიანად მოიქეცით.

### მათი ნიჭი.

თამაშობაში ყველა ერთმანეთს სჯობნის. **ანგარიშში** ყველაზე უკეთესია



„ანგარიში"

აბრამი, რომელმაც სწორად გამოაკლო



„ანეკდოტები"

**თორმეტს** სამი და დარჩა ათი. გვარიანია ანეგდოტებში ამხ. სიბიტელ. ჩიბუხის გაბოლებაში არაქელას ვერავინ შეედრება.

ერთი იმათთაგანი.

# ქრონიკა.

◆ საორგანიზაციო კომიტეტის დავალებით რაჟ. გვეტაძემ თავისი ლურჯა ჩოჩორით ჩამოიარა საქართველო და გამოიკვლია, რომ თითეულ ქართველზე ასი პოეტი არის საქართველოში.

◆ ვლდ. გაფრინდაშვილმა ტერენტი გრანელს აუკრძალა ლექსების წერა გაზაფხულის შესახებ, რადგან სიტყვა გაზაფხული მხოლოდ ვალერიანს ეკუთვნის. ეს ამბავი ტერენტიმ რესტორანში გაიგო და ისე გაბრაზდა, რომ ორი კვარტის მეტი არ დაულევია.

◆ კინო - სტუდიაში მარგარიტას ყველა სტუდიელ ქალებმა მიბაძეს და ყველა ეწევა პაპიროსს.

(რაკობა).

◆ **სისწრაფის რეკორდი.** სამი თვის განმავლობაში ამანათმა რკ. გზებზე და საფოსტო უწყებებში გაიარა ორასი ვერსი. მიმღებმა მხოლოდ უწყება მიიღო და უჯრა, რომელშიც ოდესმე (გამოგზავნისას) ყოფილიყო სხვადასხვა ნივთები.

(მაუ).

◆ რკ. გზ. სამმართველოს ადგილკომის დრამ. წრე მოლხვა გაზაფხულის სითბოთი და ემჩნევა საყვარლის ნიშნები.

◆ რკ. გზ. სატყეო განყოფილებამ, რომელსაც ზამთრის განმავლობაში შეშა არ ჰქონდა, კვლა შეიძინა დიდძალი შეშა და ყველას ეხვეწება წაღებას, მაგრამ მსურველი არავინ არის.

(რუხი).

◆ საერთო საცხოვრებელი (პლეხანოვის პრ. № 121) მსმენელები ყველა საგნებზე უფრო სწავლობენ **რომანტიზმს.** ქალების მიღწევა ამ მხრივ საუცხოვოა: თითოს ორი შეყვარებული მაინც ჰყავს.

(ალლაჰბილარ).

# დეპეშები.

(ტარტაროზის საკუთარი აგენტებისაგან).

**შემოქმედი.**—(გურია) ზაფხულის მოახლოვების გამო მდ. ბჟუჯის პირად გაიხსნა ჰორიკანობისა და მაჭანკლობის კურსები, რომელსაც ხელმძღვანელობს **ნინა**. ადმინისტრატორად არის მისი ძმა თიფო. კურსებზე მიიღებიან მხოლოდ 10 წლ. ჰასაკიდან 100 წლ. მსურველებს შეუძლიათ მიმართონ **ანის.**

მორი.

**ოზურგეთი.**—გაქურდეს ემო-ს განყოფილება. მიღებულია ზომები მოროტ-მომქმედების დასამალავად.

— **იასონ** გასულდიდებულიძე, რომელიც ხალხს წინდაწინ ჰპირდებოდა ტყავის გაძრობას, დახვრეტას და გადასახლებას თუ იგი საბჭოში გავიდოდა—ეხლა ყურჩამოყრილია, რადგან გააშავეს.

მუარი.

**ოზურგეთი.** ცხრაწლედის გამგეს ისე უყვარს მოწაფეები, რომ მათ მოფერებითი **სახელით** უწოდებს ვირიხებს.

— ამავე სკოლის მასწავლებელმა ვანომ სწავლის ახალი მეთოდი შემოიღო. მოწაფე ქალებს სახლში იბარებს და „მეცადინეობას" ისე „**იბასშობა".** ამ ნიადაგზე მას ამის წინად **ვაჟიშვილიც გაუკეთეს.**

ჭინკა.

**ბანძა** (წკიმურტები).

უფიმ ჭამა ხინკლისა
სასადილოში **იზარდა.**

ლოლოცვილი ჭანტის ეკლ
საქეიფოთ ყველას ეყო.

გაიგონე შენ მკითხველო,
სახლებშია სამკითხველო.

„პატარა"

**ხაშური.**—მდ. მტკვარი მეტად ადიდდა. რომ თევზები არ დამხვრჩვალიყო ვასო ლომსაძემ პრ/5 სახელოსნოში ვააკეთა წყლის გადასაყვანი ბიჯგები; ალბად მალე შეუდგება თევზების ხმელეთზე გადმოყვანას.

ესტატე.

**მცხეთა.**—ცრუკომის მდივანი გრიშა ნადარეიშვილი გაფაციცებით დაეძებს ახალ გაზეთებს, თუ რომელი წერილი გამოადგება გადასაწერად კედლის გაზეთისათვის.

გაგრი.

**ზემო სვანეთი.**—რადგან აქ ფარტოსი არ იშოვება, მის მაგივრად მილიციის უფროსი ყიდულობს ნაპარევ ცხენებს. (ფასი 2½0 არშინი ნარმა). უწინ კი სოხაძე ნაპარევ ლაფშაში იძლეოდა ჩამონართმევ ლევორველს. ყინტოვკას ანდა გაქაფულ ფართალს. თარხნიშვილი კიდევ უფრო ქველგამლილი იყო; მან ერთ ნაპარევ მედაურში ხუთი ძროხა მისცა ქურდს.

ასეთი მსახურნი მეტად საჭიროა ისეთ ხალხში, როგორც არის სვანები. ისევ შენი იმედი გვაქვს, ჩვენო ტარტაროზო.

სვანეთის შვილი.

**ონოლია.** ნათქვამია: თუ ეშმაკი გწყალობს ღმერთი რას დაგაკლებსო. და მართლაც-თუ გწყალობს **განათლების ინსპექტორი**, მაშინ რას დაგაკლებს მუშკორი.

**ვასილ ბედაური** შეიძლება პირველი მასწავლებელი იყოს, რომელმაც გადმოისროლა და ცხოვრებაში გაატარა ლოზუნგი: **,,ნებაყოფლობით შვრთვას სჯობს მოტაცება ძალითა".**

**არ შედრკე ბედაურო**, თქვენს მახეს კიდევ მოხდება რომელიმე ლამაზი ქალი. გაიტაცეთ ორი-სამი დღით და მეტითაც, რა გენაღვლება —**განათლების** განყოფილება ისევ შენი მფარველი იქნება.

,,ისევ ის".



**გურჯაანი.** — ვინიიდან ფოსტალიონი ემსახურება ფოსტის უფროსის ცოლს და დრო აღარ რჩება წერილების დასარიგებლად, ამიტომ წერილი უნდა მოიკითხონ მათ, ვისაც ეკუთვნის.

— **ეპო** კარგ პოლიტიკას ატარებს სოფლის ქალაქთან დაახლოვების საქმეში. თუ კერძო ვაჭრები გლეხებს 10 მან. აძლევენ ვედრო არაყში, ეპო აძლევს 5 მანეთს. ამიტომ გლეხების სიხარულს საზღვარი აღარ აქვს, რადგან **ეპოს** მიერ მიყიდულ დამპალ ჩითებისაგან შეკერილი ჯიბეები ფულის სიმძიმის გამო აღარ დაეხევათ.

— **ალიხანოვზე** ხმებია, თითქოს მას **„გაიმასექნებიოს"** და ეს ნაიმასაქნარი **„ეყლუნწოს"**.

არჩევნების დროს აღმასკომის საქმის მწარმოებელმა სიას კენჭი უყარა, ხმა მისცა, ერთი ხმით გაიყვანა და აღმასკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო თვითონ მან მთელი კრების სახელით.

იბი.

**თავგახის თემი** (შორაპნის **მაზრა**). საბჭოს ერთმა ჯგუფმა—კალისტრატე მარიტაძის, მიხა შეყრილაძის და იაგორა წიწილოშვილის მეთაურობით გადაწყვიტეს თავგახის თემის სამმართველოს გადატანა „ცენტრში", სადაც არ უნდა იქნეს: გზა, წყალი და მ ხოვრებლები, რომლებიც ხელს არ შეუშლიან აღმასკომს მუშაობაში.

ამავე ჯგუფს გადაწყვეტილი აქვს სოფ. თავგახიდან სოფ. ვარდიგორაში გადაიტანონ: მდინარე ძუსა თავისი წისქვილებით.

მითივე გადაწყვეტილებით ქალ. **ტფილისი გადმოტანილი უნდა იქნეს რესპუბლიკის ჯვარედინ ცენტრში.** ასეთ **ცენტრად ასახელებენ** სადგურ წიფას.

**იქ·დანვე.** გაიგეს რა მათხოვრის **სახალხო სახლის დაწვა**, ადგილობრივი მცხოვრებნი სამძიმარს უცხადებენ და ფიცს **სდებენ, რომ თავასის თემში არ ააშენონ არავითარი სახალხო შენობა, რათა თავ დან აცილებულ იქნეს სტიქ.ური უბედურება.**

პლ. ცინაძე.

**ლანჩხუთი.** ლაშისღელის სრუტეში მალე დაიწყება გემების მიმოსვლა, ამიტომ ქალაქის მმართველობამ დაადგინა: **არ შეაკეთონ შარა-გზები, რადგან გემების შემოსვლით ქალაქს მეტი სარგებლობა ექნება.**

— **ექიმ სულაკოვს ,,აბორტებზე"** მუშაობა მეტად შეუმცირდა, რადგან ორსული ქალები ყირამალას გადადიან გზების გაკეთების დროს დარჩენილ **ჯინკებზე**, რითაც ,,აბორტი" უფასოდ კეთდება.

— **შვიდწლედის სკოლის**, ეზოს გალავანის შეუკეთებლობა ამჯობინეს, რადგან მოწაფეები თხებზე და ღორებზე ჯირითობას სწავლობენ.

,,ლიძი"

# ჩვენი ფოსტა.

**ბორჯ გესპერს.** ქართული არ გცოდნია და გერმანულს „ებლაუპები". გულახდილად გირჩევთ: დაეთხოვეთ წერას, თორემ მოსალოდნელია ასეთ „გენიოსურ შემოქმედების" დროს ჭკუა გეყრძნოს. (თუმცაღა თქვენ უზრუნველყოფილი ხართ ასეთ კატასტროფისაგან).

**„გოგია"**-ს (მკითხველს ცნობილი გოგია არ ეგონოს) ბორჯ გესპერსის პასუხით გაკმაყოფილებთ.

**დურაკს.** თქვენი ფსევდონიმი მთელ თქვენ წერილად ღირს და ამიტომ წერილს აღარ ვბეჭდავთ. წერილის შინაარსი სავსებით ამართლებს თქვენს ფსევდონიმს.

თუ თქვენ შეგეძინათ წინააღმდეგ თქვენი და თქვენი ცოლის ხურვილისა ასული

ნუ იდარდებთ

სამშობიარო საავადმყოფო

იაფად და მოხერხებულად ჩამოგიცვლის

ვაჟზე.

უფულოთვის მოთავსება

გადასაცვლელ ქალების და ასულების ბაზარი.




სარედაქციო კოლეგია.

მთავლიტი 492 ... ტირაჟი 8.500

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 19 აპრილი 1925 წელ(ი)

# ტარტაროზი

№ 7—(10) გაზ. „მუშა“-ს ორკვირეული უფასო დამატება. № 7—(10)




დღესაც ხინჯაგენ თავის იღბალს განწირულნ, მაგრამ
— საგუშაგოზე ჯარისკაცი სდგას უფრო მაგრად.

**ყოველ დაკრაზე ასე არის და ასე ხდება:**

[illegible]

## ტარტაროზის საპარიკმახეროში



## შენც სხს და მეც სხს
### ანუ გაკრეჭილი მღვდელი.

იყო ჩვენს სოფლად თომა,
და როგორც მღვდელსა—მასაც
უყვარდა აშიკობა
და არ ჭარობდა სმასაც.

—

სულ ყველას სიყვარულსა
ითხოვდა მაცხოვარი
და ქრისტეს ამა მცნებას
იცავდა ეს მორწმუნე მოძღვარი.

—

იმზობდა—სხვისი ცოლი
გიყვარდეს უფრო მეტად;
თვისი მიგაჩნდეს ნუშად
და სხვისი ტკბილ კამფეტად.

—

ჰყავდა მას ცოლი პუპა
მეტად მსუქანი ქალი,
მაგრამ გოგიას ცოლზე
მაინც ურჩებოდა თვალი.

—

უნდა სიმართლე ითქვას
—პუპიც თვის ქმარსა ჰგავდა;
გოგიას სიყვარულსა
იგიც თვის გულში ჰრგავდა.

—

იცოდენ ეს გოგიამ
და მისმა ცოლმა მარომ
და გადასწყვიტეს იმათ
თვითონვე დაეხმარონ

—

დაღამდა... წვიმს შოდის
ღამეა მეტად ბნელი.
გაიწყო სუფრა მარომ,
შეიპატიჟა მღვდელი.

დასცალა სამი ბოთლი
და დათვრა სწრაფ მოძღვარი;
ქოთხეში გადისროლა
ანაფორა და ჯვარი.

ლუკურიც დაუარა...
მიწვა ლოგინზე მთვრალი...
ტრიალებს ჰერი .. სახლი...
დახუჭა თომამ თვალი.

— და ჩაეძინა ტკბილად...
ამ დროს გაიღო კარი
და შემოვიდა სახლში
გოგია მაროს ქმარი.
შეხედა: ღრმა ძილშია,
აიღო მაკრატელი
და ცოლიც მიეხმარა
—გაკრიჭეს თომა მღვდელი.

—

მაგრამ მარტო ეს თომას
გოგიამ არ აკმარა;
რა მორჩა მის გაკრეჭას
პუპისკენ გაეჩქარა.
ცოლს უთხრა—ნაშუაღამეს
გამოაღვიძე თომა,
თითქოს მოვედი უცბად
რათა დამეტყოს კრთომა;
თითქოს მე ვიდგე კართან,
მას არ გაუღო კარი,
ფანჯრიდან გაისტუმრე,
ხელში მიეცი ჯვარი.

—

ავიდა აივანზე...
პუპის ოთახში ბნელა..
გოგიამ ჩაიცინა,
დააკაკუნა ნელა...

ჰყვიან შორს მამლები
და ტკბილად სძინავს თომას.
ეტყობა სიზმარშია,
არ ფიქრობს ის ადგომას.
მაგრამ დრო დადგა და მას
დაუფრთხო მარომ ძილი
და თომაც წამოვარდა
სასწრაფოდ ჰით შეშლილი
— მამაო, დამიღუპე,
მოვიდა ჩემი ქმარი...
გადაჰხტი ფანჯრიდანო...
აჰა, ანაფორა, ჯვარი...
თომამ ისკუპა გარედ,
მოისმა მისი კვნესა:
თურმე საზრალდ გეურდით.
დაეცა მოჰრილ ხესა.
მაგრამ მოჰკრიბა ძალა,
მოჰკურცხლა სახლისკენა;
შიშით და ტკივილებით
მას ჩაუვარდა ენა.

—

ავიდა აივანზე,
მიადგა ფანჯარასა,
შეხედა, წააყურა—
თვალებს ხედავს რასა?!!
ხელი იტაცა წვერში—
მაგრამ სადა ხარ, წვეროთ?!
შემდეგ შეეხო თმასა—
არ არის ერთი ღერო.

—

მიხვდა ყველაფერს თომა
და გული გაიმაგრა;
ჩვეულებრივად კარზე
დააკაკუნა მაგრად...

—

გოგიამ თავს უშველა..
—ქმარს შეეგება ცოლი...

შეხედა თომას—შეჰკრთდა
შიშისგან ანათრთოლი...

„რა მოგივიდა, თომა?
„რა არის შენსა თავსა?
„ნუ თუ მოძღვარი კაცი
„შეებოლი საქმეს ავსა?".

— შენც სხს და მეც სხს, პუპი
ქვით ვართ ორივე ჩვენა;
ვიცი ვინც გვქვედს წელან
და სჯობს გავკმიდონ ენა—

„კი მაგრამ სვალე, თომა
„შენ როგორ უნდა სწირო?.
„დავკარგეთ საკურთხევა
„და როგორ არ ვიტირო?!

— გავიპარსებით-დილით,
ვიქნები ბიჭი კოხტა;
ნუ სტირი დაკარგულზე,
რაც მოხდა უკვე მოხდა—
— გამოვაცხადებ ხალხში,
რომ ვტოვებ მე ჩემს მღვდლობა
ვიცი ამისთვის ბევრი
მეტყვიან დიდ მადლობას.—
— მივმართავ: თქვენი ძმა ვარ,
ჩამწერეთ თქვენს სიაში.
„სოციალ-დემოკრატი".
მიმიღეთ პარტიაში.—
— სხვებს ეერ არგებ, თუნდაც
თავი იტეხო ქვითა;
ეხლა შენც სხს და მეც სხს
და ორივე ვართ ქვითა.—
„ხელი გაუხშეს ვინც შენ
„გაგპუტა, როგორც ბატი".
— ნუ სწყევლი, პუპი... მე ვ
„სოციალ დემოკრატი".

„ვიზინტი"

P-71.4

# „ნალოგი“

(სცენა ავეტიქას ხაწვრიმალოში)

მყიდველი.—ერთი გირვანქა ყველი ამიწონეთ.

ვაჭარი.—(უწონის). ინებეთ.

მყიდველი.—რა გერგებათ?

ვაჭარი.—ოთხი აბაზი.

მყიდველი.—(გაკვირვებული) რაო? რამდენი აბაზი?

ვაჭარი.—ოთხი აბაზი.

მყიდველი.—რაო, კაცო რა ამბავია?!..

ვაჭარი.—როგორ თუ რა ამბავია ჩემო ძმაო? ეს გადასახადები რო არის, ეს ამ ყველმა უნდა გადაიხადოს.

მყიდველი.—მერე და რამდენს გადასახადსა ვითომ?

ვაჭარი.—რამდენი და რამდენიც თავზე ბალანი მაქვს.

მყიდველი.—(ათვალიერებს ვაჭრის მელოტ თავს) მაშ ბევრი არ ყოფილა, რადგანაც თქვენ ბალანი თითებზე ჩამოსათვლელი გაქვთ.

ვაჭარი.—ნუ ხუმრობ თუ ძმა ხარ: გაიხედავ და მოვა იზვეშჩენია, რასტვორის ნალოგი გადაიხადეთ; ავდგები და მივდივარ გორისპოლკომში, ჩავდგები ოჩერედში და გადავიხდი, მეორე დღეს, სითთა არც კი მაქვს ალებული, მოდის კიდევ იზვეშჩენია: პატენტის სროკი გავიდა, ახალი უნდა აიღოო. მეც ვიღებ, მეტი რა გზაა. ვფიქრობ. ახლა კი დავისვენე თქო.—შენც არ მომიკვდე! ორი დღის შემდეგ მოდის იზვეშჩენია:—პირდაპირი (ანუ პრიამოი) ნალოგი შემოიტანეო! შემაქვს; თან ვამბობ: ეს რა ხათას გადავეკიდე?! სუბსარქის, შენ დამიფარე თქო!

ამასაც არ ჯერდებიან!

მოდის კიდევ ის ოხერი იზვეშჩენია: არა პირდაპირი ნალოგი მოიტანეო! ბიჭი ხარ და ნუ მიიტან! დუქანს მოგიკეტენ. მიმაქვს.

ღონე მიხდილი და ჯიბე გამოცალიერებული მოვდივარ. გადის რამოდენიმე დღე: გავიხედოთ, ის ვერანა იზვეშჩენია კიდევ მოდის. — ცელევოი ნალოგი შემოიტანეო, თორემ ამ დუქანს მოგიკეტამთო!.. ვაჰ, კაცო, ეს რა ჭირს გადავეკიდე, ეგ ცელევოი რაღაა მეთქი.

თურმე იცი რის ნალოგია? მუშებს ბინები უნდა აუშენონ და გადასახადი ჩვენთვის შეუწერიათ. ჩვენ ვაჭრები თურმე არა მშრომელ ხალხში ჩაუწერივართ.

მოდი და ამდენი ნალოგის შემტანი საქონელს ნუ გააძვირებ; იმ ოხერ კომპერატიას არაფერი ნალოგი არა აქვს და რა გასაკვირია, რომ იაფად გაყიდოს!

ჩემ დუქანში მუშტარი იშვიათად დადის და ვინც დადის, იმასაც თუ ორ აბაზიანი ყველი ოთხ აბაზათ არ მივყიდე, ჩემ ცოლშვილს ვინ აჭმევს. მაინც ის ოხერი სულ ახალ-ახალ ნალოგის ქაღებს მთხოვს!

ოჰ! გორისპოლკომის თავმჯდომარევ! ჩემის ცოდვით კაი რამე არ მოგივა, ემოდენა ნალოგები სულ შენი მოგონილია.

აბასი.

# როგორ [illegible]



# კიმკილაური კირაღვაძე

**საშინელი ამბავი, რომელიც მოხდა მიუხედავად იმისა, რომ სრულიად არ უნდა მომხდარიყო**

ამ ამბავს მე დავიწყებ ისე, რომ აჯაბსანდალის ნაცვლად ყაურმა არ გამოვიდეს. (ყოველ შემთხვევაში, არც ყაურმაა ძალიან უგემური).

იყო თბილისში დუროვი, კაცი ღვთისაგან სვიანი,
მოთამაშე და მგეშველი, ტეხნიკი, გახვებიანი
მის გამოსვლებსა დაესწრო ბრძენ—უგუნური—ჭკვიანი
და მან მოაწყო რკინის-გზა რელსიან-სადგურიანი.
აჰკვიანებდა კაცებსაც, (ეს კაცი ბრძენთა ბრძენია);
მაგრამ ვაი რომ საბრალოს მყის შეუმოკლეს დღენია.
ზოგს რკინისგზელსა ეწყინა და მით გაუჩნდათ სენია.
სთქვეს—ეს რკინის-გზა უთუოდ, დაცინვა არის ჩვენია.

ამ დროს ამ ქვეყნად ტარტაროზს ჰყავდა ძლიერი კუდია.
ვერ ასცდებოდა მის თვალებს ავაზაკი და ქურდია.
განურჩეველად ცოცხავდა, იყო კოპლი თუ მრუდია
და ამ საქმისთვის მას ერთხელ ლამის მოხვდეს ქუდია.

სხვა ძე არ ესვა ტარტაროზს მარტო ოდენ დახთა დასულა.
დუროვის მჭვრეტელს წაერთვა გული, გონება და სული.
აილო, დრამა დასწერა მუზაში ცამდის ასული,
შიგ გამოხატა მამალი, დედლებთა რიგშა გასული.

ეწყინა ესე ვიღაცას, სთქვა—ეს რა მიუქარავსო;
ტარიელი ვარ ჯან ლონით, წავაქცევ დამპალ კარავსო.
ვინ ჩამოსულა დუროვი, ალბად რაღაცას ჰფარავსო;
ვუტირებ მე მას იედასა, საქმეს ვიქ გულშემზარავსო.
რა ესმა ესე დუროვსა, ყალყზე დაუდგა თმანია.
აწ ამისთანა სარკაზმით ჩვენ ვინ მოგვივა სხვანია.
წასულა და თან თავისი მამალიც წაუყვანია

**აქა ამბავი მეორე, უფრო საშინელი, რომელიც გადახდა სტამბულის ვაჭარს, როცა დარდნელისკენ მიერინავდა**

იყო სტამბულში მედუქნე, უზვი პურმარილიანი.
მისი დუქნების კარები მარადის იყვნენ ღიანი;
შიგ შედიოდი მრავალი უმეცთო და მალომლეთიანი
და სურნელებით ათრობდა შენ გაფუჩქნილი იინი.
ვაჭარს კედელზე ეკიდა სარკე დიდი და მაღალი.
მან რა იცოდა, რომ სარკეს შეეძლო აყალმაყალი

და მახინჯ სახის ნახვითა, გაჯავრდებოდა „ნახალი“...

თურმე ეწყინა ვიღაცას, რომ ნახა თავის სახეო.
სთქვა—ნუ თუ მე ვარ ის კაცი, ვისაც მიჩვენეს სარკეო.
ალბად ვაჭარი მტერია და მან დამიგო მახეო,
რომ ჩემი თავი ყოფილა, ის ვინც სარკეში ენახეო.
ადგა და სარკე გატეხა, ვაჭარს გაუდგა ხელითა.

ვაჭარი ჰყვირის: „მიშველეთ, კაცი მკლავს საქმით ბნელითა,
რა დაუშავე ასეთი მე სარკით საკვირველითა—
და ზღვისკენ გადაირბინა სრუტითა დარდანელითა.
მახინჯი გაჰყვა ვაჭარსა, გადაიარა ზღვანია;
მაგრამ მას დღესაც იქიდან ვერავინ მოუყვანია.
სარკემ მომტრეულ გვერდითა ტარტაროზს მისცა ბანია
და დღესაც ყვირის: „ასეთი, ღმერთო მრავალი სხვანია".

**აქა ამბავი მესამე, უფრო საშინელი, რომელიც დემართა მხატვარს.**

იყო არაბეთს მხატვარი, გენიოსი და ძლიერი
და მან დახატა სურათი კაცისა დიდი იერით.
დაჰკიდა გამოფენაზე სახითა მომღიმარითა
და უგალობდა ამ სურათს მგოსნური მუზა-თარია.
თურმე ვიღაცა გამვლელსა, ეწყინა ამის ნახვაო—
სურათი ესე სულ მე მგავს, ჩემებრ ეტყობა ჩმახვაო
დახია, მხატვარს გიუდგა უშველებელი როზგითა,
მხატვარი პირხმ გადარჩა მადლიან ტარტაროზითა.

აქა ამბავი მეოთხე უფრო საშინელი, რომელსაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება სახელითა კუდისათა, და ძისათა, და უწმინდურ სულისათა, აწ და მარადის.

ერთხელ დავიძინე ჩემს სარეცელში და მესიზმრა საოცარი სურათი: ვნახე — მე და ტარტაროზი სადღაც უცხო ქვეყანაში დუროვის მატარებლით მივემგზავრებოდით. ბოლოს მივადექით ერთ-ერთ სადგურს, რომელსაც ქონდა ათი სალარო და ბევრი ფანჯარა.

გამომეღვიძა ძალზე აღელვებულს; ეს სიზმარი უამბე ტარტაროზს და დავაპირე რამე კარგი დრამის დაწერა ცხოველთა სამეფოდან. ამ დროს თვით დუროვიც ჩამოვიდა ჩვენს ქალაქში და სიზმარი ამითი გამართლდა. დავწერე დრამა და ის იყო სტკბებოდი მისი კითხვით, რომ ამ დროს ჩემთან მოვიდა ერთი კრუხი და ჩამჩურჩულა: „შენმა სიზმარმა აალელვა მთელი საქათმე; იქ ერთი ქაქანია და ძიებაა; ილონე რამე"-ო

ვაჰ! ვაჰ! ეს კი სწორეთ ხათაა! მე რომ მესიზმრებოდეს, სხვას რა კუჰი ეწვასმეთქი, გავიფიქრე; ვაჰ, შენ ჩემო სამოცწლიანო თავო! ქურდს რომ ქუდი ეწვოდეს, ცეცხლი უსათუოდ მე უნდა ჩავაქრო? მართლაც ხომ არ უცხუნა ვინმეს ჩემმა ცხონებამ? მაშ მე უფლება არ მქონებია რამე დამესიზმროს? დიდება შენდა უფალო, გამჩენო ჩემი ხარაზ მამისა, რამეთუ შენ დამანახო ის გერიტი, რომელსაც ასე ულერთოდ აეწვა ზურგი სიზმრისგან.

**იქა ამბავი ყველაზე უფრო სატირალი, რომელიც გადახდა ჩემსა მელოტ გოგრასა, ჟამსა დიდისა სიბერისასა.**

როდესაც ვწერდი ჩემს თავზე, გამიტყდა კალმის წვერია
და რაცა კალმით ვერ ვწერე, სისხლითა დამიწერია.
დამაწყევზინა ხველება, მომტეხა თითო ცერია
და ჩემი გული ბედკრული ფრჩხილებით დამისერია.
სიტყვა-პასუხი მკვახე მაქვს, მაგრამ არა ვარ ბერია;
ჩემს ცხოვრებაში მესტვირეს გუდები გამიბერია...
მაგრამ ვაგლახ რომ ნაცარში, ბევრი ყოფილა მტვერია.
როცა იტყვიან: სადგური, თბილისი ნურვის გგონია,
რადგან თბილისის გარდა სხვას სადგური ბევრი ჰქონია.
როცა იტყვიან „ვარია" თავი ნორავის გგონია
თორემ ამითი პირმწვარხა შეხთაკლდება ქონია.

კითხვა: რას ქვია სადგური? პასუხი: სადგური არის ის ადგილი, რომელიც ხელს უწყობს მგზავრებს მისვლა-მოსვლაში და ბილეთების შეძენაში. კითხვა: სად არის სადგური? მარტო თბილისში თუ სხვაგანაც? პასუხი: სადგური არის ბევრგან, მაგრამ ყველა სადგური თბილისის სადგურად ნურავის ნუ მოეჩვენება.
კითხვა: ვინ არის დუროვი? პასუხი: დუროვი არის კაცი მომჭკვიანებელი, როგორც ოთხ-ფეხთა, ისე ორფეხთა; რომელმაც აიფრთოვანა ტარტაროზის კუდის სიზმარი და დააწერია უკვდავი დრამა ოთის ერთ ცოდვიდან; მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ყველას დრამაში სიზმარი და დუროვი ენახა, თავისი თავიც შიგ გაიკვეხა. კითხვა: არის თუ არა სადგური საზოგადო სიტყვა? პასუხი: არის. როცა სადგურს იტყვიან ეს იმას არ ნიშნავს, რომ უსათუოდ ბათომი, ბაქო, თბილისი იყოს, ვინაიდან მგონი როსკოვსაც და ლენინგრადსაც აქვს სადგური. კითხვა: მამალი ფრინველია თუ კაცი? პასუხი: მამლობითი სქესი ყველგან არის, მაგრამ დუროვის მამალი არასდროს არ ყოფილა კაცი, თუმცა-და ორი ფეხით დადიოდა.

შენიშვნა: 1) დღიდან გამოქვეყნებისა უნდა მოისპოს რაც ქვეყანაზე დედალია, ან მამალია, გოჭია ან მიიმუნია, ვინაიდან ზოგს არ სჯერა, რომ დედალ-მამლობა პიროტყვებშიაც მეფობს და ვისაც ეს არ სიამოვნობს, მიმართოს შტეინახს ან ხარატიანს.

2) აკრძალულია წერა, როგორც ბოროტება.

3) აკრძალულია სიზმარი, როგორც ანორმალობა; ამიტომ გირჩევთ სალამოობით ცოტა სჭამოთ.

4) მეზობლის კრუხს რომ მამალი დაეცეს, ჩემი კრუხი ამითი არ ილანძღება.

ტარტაროზის კუდი.

## მორიდებული მადლობა ჩემს ქურდებს

თქვენ ჩემი ბინის ღია სარკმელში,
საიდგანაც მზის სხივთ სჩვევიათ ფრქვევა,
შემოდით ჩუმად შუაღამის ბნელში,
მოულოდნელი იყო ეგ წვევა.
იყავით ორი, (ან იქნებ-სამი)
სჩანს, საქმე იყო მონაგვარები,
თორემ, ჭსთქვათ, რათ არ შეინძრა სკამი?
არ გაჰრაჭუნდა რისთვის კარები?
ან მეეზოვე, ღამის ასასი,
სად იდგა ამ დროს? რაზედ ფიქრობდა?
თუ ღამე ძილის მანც იცის ფასი,
თუ სადმე ტროფოსის წყურვილს იცხრობდა!.
ხელს გიმართავდათ ის ღამე ბნელი,
მთვარეც რომ იყო ჩამქრალი ცაში.
ჩემი გაქურდვა არ დარჩა ძნელი
და ისარგებლეთ, სჩანს ამით მაშინ.
წაიღეთ ჩემი ტანისასოსი,
ფული, საათი და ხელთნაწერი,
თქვენს წინ მე ვსდუმდი, როგორც სალოსი,
რომ არ ეელოდი დამძლევდა მტერი!..
რადგან მე, მომხრე განზოგადების,
ჩემ „საკუთრებას" არ ვუთმობ ქურდებს!
არა მაქვს თავი აქ განმარტების,
ან ასეთ რამეს დღეს ყურს ვინ უგდებს?
ამ მხრივ სიმართლე ჩემი ცხადია
და სათქმელადაც ერთობ მარტივი:
მქონდეს, არ მოგცემ, თუ არ მწადია,
შენ გაქვს და მეც მაქვს მისი პატივი!
თქვენ კი გამქურდეთ განუკითხავად,
არ გქონდათ რიდი, არც სამართალი,
მაგრამ ამ ფაქტში ერთს თავისთავად
ვსჭვრეტ და... მოგცემს, გითხრათ მართალი:
თქვენ ხელთნაწერი სულ დამიბრუნეთ,
იქვე დაჰყარეთ დასანახ ადგილს;
გმადლობთ, რომ მასზე ასე იზრუნეთ,
ვეთაყვანები შორით თქვენს აჩრდილს.
რადგან ქურდებში თქვენ ხართ პირველი,
ჩემს ნაწერებს რომ ეცით პატივი —
ამიტო ჩემი მადლობა წრფელი,
და, როგორც წრფელი, ისე მარტივი!..

ნ. ზომლეთელი.

## რადიო

(არც ფეჟოოსი ლხინობა შეარცხვენის)

— გამარჯობა სტრიქონ! სად მიხვალ კაცო ასე აჩქარებული?

— იცოცხლე ჯიბო! აგერ მივალ, უნდა ჩავეწერო რადიო მოყვარულ ობშჩესტვაში.

— რის რადიო, რის ობშჩესტვა, კაცო: სამსახურს ხომ არ ეძლევიან?



# როგორ არის ეხლა



— უი, ბიძია, რა ჩამორჩენილი ყოფილხარ შენ! ეგი რაეა არ იცი, რაია რადიო, ან რის მაქნისია!.. ვერ წეიკითხე რა ამბავია ამერიკის სახელმწიფოში? რად მინდა, ჩემო ბატონო და, აგერ რო ჯიხარ ახლა შენთვის, ეგერ ამერიკაში რო მინისტრების კრება გეიმართება, ქე დეესწრები ზეთ აქიდან პირდაპირ!

— რას ამბობ, კაცო! რაფრათ კაცო? მითხარი თუ ძმა ხარ, არაფერი არ მესმის!

— რაფერ ჩემო ბატონო და გამოყვანილია იქიდან უმავთულო პროვოლკაზე რადიო, აქამდე ჩვენამდის, ესე იგი რო იწყება ამერიკაში, გამეივლის ფრანციას, გერმანიას მერე რუსეთს, სათათრეთს, მეგრელიას, ბათომს, იმერეთს და პირდაპირ შენ კარებზე ჩამოგირაკუნებს. იქინე ჩეეწერები ობშჩესტვაში, ეტყვი, რადიო მინდათქვა, მოგიწიკავენ პეტერაჩ ამ უმავთულო პროვოლკას, შეიტან სახლში, შეიდებ ყურში და გიყვარდეს მერე გაგონება თუ სადმე საზრანეთ იქნა ან ვინმემ რეჩი თქვა. აპა! ჩასაწერად მიედიეარ ახლა. სიმართლე გითხრა, ჩემმა ცოლმა უფრო ამტეხა ამაზე, თვარა მე არც ქე მინდოდა იმდენათ. დეიჯინა, გინდა თუ არა, მეიტანე რადიოეო, ყოველ საღამოს ალათიასთან რომ დაედიეარ, მერე არ დამჭირდება წასვლა; რასაც დეილაპარიკებს იგი იქინე შევიდეფ აქანე რადიოს და ქე გევიგონეფ რაცარც მინდაო; საზრანიების ზასედანიასაც ქე გევიგონებთ ამერიკაშიო. თუ რამე ეიჩემა, ვაი ჩემ დღეს მერე. ნიკოლოზის დროს იყო და, მაგ არჩევნებაზე გამახსენდა, პოპაშნიკათ ეიყავი სოფელში. მომცენ მერე მამასახლისობა, მარა მომისწრო რევოლიუციის პერევაროტმა და ჩამომაბრძანეს. შემიჩთა მაშინ ცოლი, აქანე აღარაა ახლა ხეირი და ქუთეისს წევიდეთ, მენშევიკები კომისრობას არიგებენო. გამაყიდვია ყორიფელი სოფელში და გარმოვსახლდი ქუთეისს. დაედექი ლაჩში მელიციონათ, მარა მოხდა მერე კიდო პერევაროტი და მიკრეს პანღური იქიდანაც.

ამიტყდა კიდო ჩემი დედაკაცი: წევიდეთ ქალაქში, ყველე იქინე მიდის, ბოლშევიკები ბრიჯაში აყენებენ ხალხსო; წამევედი თფელისში და ბრიჯაც დაკეტეს ჩემ იღბალზე და ქე დავდიეარ მერე ასე. ახლა იმ რადიოთ მაინც გევიკეთებ გულს და ცოლსაც დაეაწყნარეფ, სანამ არ ატყდება და ამერიკაში არ ამომაკრევიებს თავს.

— კი მარა ეს ამერიკული, ფრანცული როდის ისწავლე კაცო, რომ....

— არა შე კაცო, იქინე რო დეიწყებენ ლაპარიკს, აქანე ქართულათ გეიგეფ ყოლიფერს—აპა? ისე კი არაა შე რო გგონია! ახალი მოგონებაა. ახალი. წამოდი თუ გინდა შენს თავსაც ჩაეაწერიეფ! არ გეინტერესება შე კაცო ქვეყნის გაგება? იმიზაა ეს რადიო. რომ მთელი ქვეყნის ამბები მოგივა აგერ შენ სახში. გინდა დამჯდარი, გინდა ამდგარი და გინდა დაწოლილი... აპა!



ნარდსაც თამაშობენ და ლექციებსაც იხმენენ



ვაჰხ! რა კარგი ყოფილა ეს რადიო!! კიდეც ვქეიფობ და კიდეც არშინ-მალალანსაც ვიხმენ.

— იიი! დამანებე თუ ძმა ხარ თავი; მე რაცხა ხეირი იყო მეგონა მაგ შენ რადიოში და კინაღამ გითხარი — ჩამწერეთქვა! შე კაცო, ჩემ სახლში იმისთანა რადიო მაქ, რომე, შეარცხვინოს ღმერთმა შენი რადიო იმასთან!

შენ იქიდან ლებულობ მაგ რადიოს; — ჩემსას კი ჩემი ცოლი იქით აძლევს სხვას რადიოს! რომ გამოუდგება ამ მეზობლებში დილიდან საღამომდი თუ ვინმემ რამე სთქვა, ან მოხდა — ყოლიფერს ისე დამილაგებს საღამოს სახლში, რომ ნიპრიწ უკეთესი! ამერიკაში, ფრანციაში და გერმანიაში რო იტყვიან რეჩს, შენ მერე გეიგონეფ მაგ შენი რადიოთი, მე კი ჩემის ცოლის წყალობით წინდაწინ ვიცი რას იტყვის. მაგი კი არა, საიქიოს რასაც ლაპარაკობენ ის იცის, თვარა აქაურს თავი დაანებე! არა, ძმაო, არა; ჩემი რადიო უკეთესი ყოფილა: სანამ შენი იტყოდეს, ჩემმა წინდაწინ იცის უკვე ყოლიფერი! შეიდობით!

პო, მეთქი.

# სააღდგომო მილოცვები

(დიდი-ჯიხაიშისათვის)

### მღვდლებს

ანაფორა გაძერეთ
ორი წლისა წინეთა.
ჩოხები წამოისხით,
ხალხი გააცინეთა.

### სამკითხველოს

ხარ მდიდარი ყველაფრით
ქონებით და ფულითა;
თაროები სავსე გაქვთ
ძველი სამლეთო რჯულითა.

### საამშენებლო კომისიას

აშენეთ და აშენეთ
ბაზრად. ქურა-ხანები.
ატყუილეთ შონვაძე,
დაუყენეთ თვალები.

### ბანკის გამგეობას

დავდივარ და ვქეიფობ,
ლავე ბანს გვეუბნება:
ღარიბნო ჩამოდექით
— მდიდრები მობრძანდება.

### წარმოკავშირს

სასადილო შენია,
კოხტად მოწყობილია.
ჩვენს მიკიტნებს ერიდე,
რომ არ გკრან კბილსა,
თორემ ველარ გვიშველის
დახლიდარა ილია.

### მასწავლებლებს

ბავშვებს აღარ ასწავლით,
თავს არ იტკენთ წიგნებით;
სავაისოდ სულ ყველა
ლექტორებად იქნებით.

ბაბაცა.

# ოზურგეთი

გურია მდებარეობს შავი ზღვის აღმოსავლეთით, გურია-აჭარის მთების ჩრდილოეთით და სამეგრელო-იმერეთის სამხრეთით დასავლეთ საქართველოში.

რომ გურიის სატახტო ქალაქი ოზურგეთია, არც ეს არის საეჭვო, მაგრამ როგორ და საიდან წარმოდგა სახელწოდება ოზურგეთი, აი ეს არის სადავო და გამოსაკვლევი.

ისტორიკოსებმა ჯერჯერობით გამოიკვლიეს მხოლოდ ის, რომ ეს სიტყვა ოსმალურია და შესდგება ორი სიტყვისაგან: ოზურ და გეთი. აგრეთვე ამ ბოლო დროს გამოიკვლიეს რომ სიტყვა „გეთი“ ნიშნავს —წადი (გაიქეცი). მხოლოდ სიტყვა „ოზურ“ გამოურკვეველია და მისი გამოკვლევა მინდობილი აქვს ოსმალურ ენის კარგ მცოდნეთ. ბოლქვაძეს.

ესლა საჭიროა ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენს თვით ქალაქი ოზურგეთი.

იგი არც ისე დიდია, რომ მას ქალაქი უწოდოთ; არც იმდენაა რომ მას დაბა დავარქვათ და არც ისე პატარაა, რომ სოფელი უწოდოთ. მაგრამ რაც უნდა იყოს, იგი მაინც გურიის სატახტო ქალაქია და მას, როგორც ქალაქს, აქვს: ბაზარი, თეატრი, აბანო, ელექტრონის სადგური, ქუჩები, სახლები, საავადმყოფო და სხვა.

და რადგანაც ის ასეთია, აქაც, როგორც სხვა ქალაქებში, იცავენ სანიტარულ და გიგიენურ პირობებს და მეც ამ შემთხვევაში მაინტერესებს მხოლოდ ეს მხარე.

პატივცემულ მკითხველებს ალბად ეცოდინებათ ერთი ცხოველი, რომელსაც უწოდებენ ღორს.

ღორი ვერ არის მთლად პატიოსანი და ლამაზი ცხოველი, მაგრამ ისინი ძრიელ ერთი დამამშვენებელი არიან ამ ქალაქის. ქალაქში სადაც გნებავთ იქ შეხვდებით მათ

ქალაქის ძველმა კომუნალურმა მეურნეობამ სასტიკი ომი გამოუცხადა ღორებს მათ წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებდა და ხელმძღვანელობდა გამოცდილი მებრძოლი ალექსანდრე მარგველაშვილი.

მართალია, პირველ ხანებში ღორებმა ვერ გაუძლო სასტიკ იერიშებს და ოზურგეთის მიდამოები დასტოვეს, მაგრამ როგორც კი მათ წინააღმდეგ რეპრესიები და ბრძოლა შენელდა და სახელოვანი მთავარსარდალი ალექსანდრე მოიხსნა—ღორებმა მკაცრი იერიშები მიიტანეს ქალაქზე და ერთი დაკვრით დაიკავეს მოედანი, ბაზარი და მთავარი ქუჩები.

ამ მდგომარეობამ გამოიწვია კომუნალურ მეურნეობის კაბინეტის კრიზისი, რასაც მოჰყვა ახალი კაბინეტის შედგენა.

ყველა მოელოდა, რომ ახალი კაბინეტი შემოსულ მტრებს გარეკავდა, მაგრამ ახალმა კაბინეტმა გადასინჯა რა ღორთა ძალები და მათი სტრატეგიული მდგომარეობის უპირატესობა, ბრძოლაზე ხელი აიღო და დროებითი ზავი შეჰკრა მათთან; მაგრამ ეს დროებითი ზავი, როგორც სჩანს, მუდმივად დარჩა, რადგან ღორთა ძალები უფრო მატულობს, რაც აიძულებს ახალ კაბინეტს შეურიგდეს მდგომარეობას,

# როგორ იყო წინეთ



ასეთი გამარჯვებით გასულდგმულებული ღორები დღეს თარეშობენ მთელ ქალაქში. მათ თავხედობას საზღვარი არა აქვს.

იყო ასეთი შემთხვევა: შუადღისას შუა ბაზრიდან ღორებმა გაიტაცეს ტარანი და ყველი და რომ მჭედლები ენერგიულად არ დახვედროდნენ, ღორები მიიმალებოდნენ.

ხალხი გაიძახის—კმარა მოთმინება და ღორებთან ლოიალური პოლიტიკის წარმოება. ქალაქი ან იმათ უნდა დარჩეს, ან და ჩვენ. ყოფნა არ ყოფნის საკითხი დგანა. ჩვენ მზად ვართ ვიბრძოლოთ, უკანასკნელ სისხლის წვეთამდი და სამკვდრო-სასიცოცხლო ომი ვაწარმოოთ მათ წინააღმდეგ-ო.

ვნახოთ, ახალი კაბინეტი რა ყურადღებას მიაქცევს ოზურგეთის მცხოვრებთა ასეთ ღელვებას და კანონიერ მოთხოვნილებას.

ტოქსინი.



# ბიჭო ანდრია

ვითომ პოემა

პროლოგი (შეზავებული ფილოსოფიით).

ადამიანსა ვინ ჩაწვდეს გულში,
კაცის გუნება უცნაურია;
ერთს რაც მობეზრდა თითქმის ყელამდის
მეორეს იგი ხარბად სწყურია...
ყველას თავისი გვაღელვებს ზრახვა,
ჩვენ-ჩვენ მიზნისკენ მივეშურებით.
ერთს რომ მივაღწევთ უკვე სხვას ვეტრფით,
ამოგვისუნთქავს როდისმე შვებით?
ცხოვრების ტალღებს მივყევართ საით?..
რად გვაქვს ჩვენ გზები სხვადასხვა ასე?..
რად არის ჩვენი მოკლე ცხოვრება
ამდენ დუხჭირით ვარამით სავსე?..
ბრძოლით თუ ცრემლით მივდივართ ჩვენ-
თვის.
მივდივართ... სხვებიც მოგვდევენ უკან.
ზოგისთვის ეს გზა „გოლოვინსკია“,
და ზოგისათვის ყრუ სოფლის შუკა.
რაიმე მცირე, უსასარგებლო
ჩვენ გვეჩვენება შორიდან განძად;
ვინ აასრულოს ყველას ნატვრები
გადახლართულნი ურთ-ერთში კვანძად...
როცა ქალაქში გვეხუთვის სული
და გვეღირსება ჩვენ შვებულება,
ბედნიერებით უფრო ალსავსე
მაშინ არავინ არ გვეგულება.
დროს ვუფრთხილდებით, ვღელდებით, ვცხა-
რობთ,
რომ ვხედავთ თავს კვლავ ქალაქში მყოფელს,
საჭირო ნივთებს შევკრიბავთ სწრაფად
და მივაშურებთ საჩქაროდ სოფელს.
როცა ცხოვრება გვიბდება სოფლად,
ჩვენ გვენატრება ასე თბილისი...
მოწყენილობის მწარე წუთებში
თვალწინ გვიდგია სახე იმისი.
ქუჩები მუდამ ხმაურით სავსე,
გასართობები, კინო, თეატრი,
და გაზეთები ახალ-ახალი
ამ ბნელ-სოფელში ასე ნანატრი.
და თუ ოდესმე ვიხელთეთ დროი,
და თან ჯიბეშიც ფული თუ იქნა,
მსწრაფლ თბილისისკენ გავეშურებით
რომ ორიოდ დღით ვიცხოვროთ იქა.
იმას არ ვფიქრობთ, რომ იქ ქალაქში
გველის ყოველ წუთს საფრთხე რამდენი...
თვალწინ მიდგია პოემის გმირი,..
შრებიან თვალნი ცრემლებ ნადენნი.
ფიქრით მოვლენილ ჩვენებათ ზვავში
ეს ერთი სახე ასე ბადრია...
ო, დაღუპულო ასე უდროოდ,
სიცოცხლით სავსე, ბიჭო ანდრია!..

თავი პირველი

სწორედ იმ ადგილს, სად ერთვის მტკვარსა
აქაფებული თეთრი რიონი
და შემდეგ ერთად გოჭის ტბისაკენ
ასე თანხმობით მიდიან ორნი;
იქ სადაც ყოველ მთვარიან ღამეს
დაცქერს მიდამოს ზევიდან მთარე,
და ძილში მყოფი ყველა სულდგმული
ძილს მისცემია ძილს უმშვოთვარესს,

# როგორ არის ეხლა



იქ სადაც თეთრ დღეს სცვლის ისევ ღამე
კოშკის ნანგრევთა ცოტათი დაშლა —
გაშენებულა კაცის ხელიდან
ულამაზესი პატარა დაბა.
არავინ უწყის პირველად სახლი
იმ ადგილს როდის დაუდგამს კაცსა;
ცნობა ამაზე საუბედუროდ
არ შერჩენია ისტორიასაც.
როცა პატარა შვილიშვილები
მოხუც ბაბუებს კითხავდნენ:—ბაბა,
გვითხარი, ალბათ გეცოდინება,
ვინ დაარსა ეს ჩვენი დაბა?..
მოხუცნი რაღაც უხერხულ გრძნობით
ქალარათმიან კოჩორის ფხანით
უპასუხებდნენ:—ჩვენს მამა-პაპათ
აღარც კი ახსოვთ ის დრო და ხანი...
რაღას იტყოდენ შვილიშვილები
და ჩვენს ამ ამბავს ნუ ჩავდევთ ძირში.
ვინ გამოიცნობს საიდან არის
ყოველი თვალი ალმასთ ძძივში.
დავეწდოთ ისევ ისტორიკოსებს,
ჩვენთვის არ არის სხვა არჩევანი.
დადგება დრო და გამოირკვევა
ზემოდთქმულ დაბის ავანჩავანი.

### თავი მეორე

შესავალია რაც ვთქვით ამდენხანს,
დიდი ნაწილი წინ გვიდევს ამბის;
„გოქოურა"-ა სახელწოდება
ზემოხსენებულ პატარა დაბის.
იქნებ არ მოგწონთ თქვენ ეს სახელი
და მოელოდით ჩემგან უკეთესს,
მაგრამ, მკითხველნო, არ გაუწბილოთ
გოქოურელებს, მე გირჩევთ, თქვენ ეს!
სახელწოდება ესე იმათვის
საამპარტავნო არის საგანი.
მივიღოთ იგი, თუნდაც იმისთვის
რომ გვეპატება ჩვენ გასაქანი.
თუმც რომ ვთქვათ გულზე ხელის დადებით
იქნებ არც კია ეს გასამხელი,
ამ ქვეყანაზე ყველას, ყველაფერს
შესაფერისი ქვია სახელი.
ჩვენ რა თქმა უნდა, არ გვიხარია,
საუბედუროდ ეს როა ასე,
სახელწოდება გოქოურასი
ღრმა შინაარსით არის ალსავსე.

და მეთოდები ლინგვისტიური
ყოვლად ზედმეტი იქნება ჩვენთვის,
თუ ვიკალოებთ და არ დაგვჭარდება
გოქოურაში გარება ერთი.

### თავი მესამე

ყოველმხრივ შემკულ გოქოურაზე
ჯერ სათქმელი გვაქვს რაწდენი კიდევ.
სურათების ტყეს აღძრულს ოცნებით
არ უჩანს ბოლო, არ უჩანს კიდე.
ვინ ამოწუროს თემა სავსებით,
ზემოდ ნათქვამი მხოლოდ წვეთია.
ჩვენი განზრახვის ასრულებისთვის
არ იქნებოდა მგონი მეტია,
რომ ცოტა რამე გვეთქვა იქაურ
ადათებზე და ჩვეულებებზე,
თუ უმთავრესად რაზე მსჯელობენ
„ამხანაგები" ხშირ-ხშირ კრებებზე
და როგორია განწყობილება
მათ სიტყვებსა და საქმეებს შორის,
როგორ გადაწყდა ბოლოს და ბოლოს
ძნელი საკითხი ფოსტის სიშორის,
და საზოგადოთ დაბის მამები.
არიან ღირსნი ძრახვის თუ ქების,
გვეთქვა იმაზეც, თუ როგორია
მდგომარეობა მასწავლებლების,
რას მოელიან და რას მოუტანთ
ხანტად მავალი დღეები სიმწრის
და ახლო მახლო-მახლო სოფლებში როგორ
სწორად ჩატარდა რეფორმა მიწის.
მსხვილ ოჯახებში ჩუმად, ფარულად
წუთით შეხედვა გვაწყენდა როდი..
სამეურნეო გადასახადსაც
თან გაკვრით მაინც რომ შევხებოდით...
მაგრამ ყველა ეს შორს წაგვიყვანდა
დაგვაშორებდა პირვანდელ მიზანს
და გაჩუმებით ამ მოვლენებზე
მგონი უფრო მეტ სიკეთეს ვიზამთ.

### თავი მეოთხე

თუ შეამჩნიეთ, როდესაც გაკვრით
გოქოურაზე გვქონდა ბაასი,
მას ბევრ რამეში დავდევით წუნი
და არაფერში დაგვიდევსთ ფასი.
მაგრამ ყველა ეს ჩვენ ვქენით განზრახ,
შეგნებით შავი ავილეთ ფერი,
რადგან სიკეთე ამ ქვეყანაზე
არის ისედაც ძალიან ბევრი.
და ენერგიის მასზე დახარჯვა
ცოტა დაგვზარდა თუ არ შეგვშურდა,
თუმც გამოტეხით რომ ვთქვათ სიმართლე
გვეხსენებია ჩვენ იგი უნდა.
მაგრამ რაც მოხდა,—მოხდა, გათავდა,
გამოსწორება ძნელია მისი;
შემდეგში მაინც ვეცადოთ, ვნახოთ
მისთვის ადგილი შესაფერისი.
რამეზე მარტო ცუდის ხსენება
ეს იქნებოდა ამოყრა ჯავრის,
მხოლოდ ყოველმხრივ განხილვა საგნის
მოგვცემს შეძლებას დადებას მსჯავრის.
და შემთხვევები ამ მიზნისათვის
მომავალშიაც თუ არ მოგვეცა,
მაშინ თქვენს პროტესტს სწორს სამართლიანს
ხმას შეუერთებთ გვერწმუნეთ ჩვენცა.

### თავი მეხუთე

უკვე ოთხს თავსა მოუღეთ ბოლო
თუ არ მივიღებთ სახეში პროლოგს;
ეს იმას ნიშნავს: წერდე ბოსტანზე
და ვერ გასცილდე ჯერ კიდევ ბოლოკს.
მაგრამ, რას იზამთ, ჭეშმარიტ ქართველს
ჩვეულება აქვს ასეთი მუდამ:
უბრალო რამეს თორმეტჯერ მეტი
წინ შესავალი მიაბას უნდა.
იტყვის ამაზე, იტყვის იმაზე,
შემდეგ კვლავ ამას დაუბრუნდება,
მისი მხნეობა, მისი ძალღონე,
მარტო წინასწარ ცნობებს უნდება.
და როცა ბოლოს მივა იმაზე
იმისი სიტყვის რაც იყო თემა,
როცა გარშემო მსმენელთა შორის
გამეფებულა მთქნარება, თვლემა—
მთავარ საგანზე ქანც-მილეული,
ღონე მიხდილი იტყვის სიტყვას ორს.
ვინ შეედაროს და შეეჯიბროს
მოკლედ თხრობაში ქართველ „ორატორს".
და თუ დაბოლოს მორჩება ამას,
და ტრიბუნიდან ჩასვლა ენება,
რამდენ სახეზე უგულწრფელესი
აღიბეჭდება სიამოვნება.
მსწრაფლ თვალებიდან გაქრება ძილი
სადაც სიფხიზლე დაივლის ტანში
და ყოველ მხრიდან ზღვის ტალღებივით
გვრგვინვით წამოვა მქუხარე ტაში...

### თავი მეექვსე

მაგრამ აქ ერთად „ორატორებთან"
რომ არ ვახსენოთ მწერლები ჩვენი.
ვინ იცის ჩვენზე როგორი მკაცრი
გამოიტანონ მათ განაჩენი.
მეორე რიგში არ უყვართ დგომა.
კრიტიკანობა კი უყვართ მეტად,
ისეთ სიტყვებით მოგვიხსენებენ,
რომ ჩხირი ხვეტად მოგვეჩვენებათ.
ამიტომ ვდგევართ იმ თვალსაზრისზე,
რომ ვიხსენიოთ ყველანი ქებით,
და მით უმეტესს ქართველ მწერლებზე
რამე ცუდის თქმა არ გვსურს სრულებით.
ცუდს თუ დავმალავთ უნდა ვთქვათ კარგი,
თორემ კაცი კაცს გადაამტერებს,
ჩვენც წინააღმდეგ რა გვაქვს ამისა,
მაგრამ ეს კარგი სად არის მერე?..
და თუ არსებობს გამონაკლისი
ეს გასახარი ჩვენდღევის როდია,
ყოველი უცხო და უჩვეულო
„ქართველ კაცისთვის" გულზე ლოდია...

თავი მეშვიდე

არ შევეხები ქართველ „ხალხისას“
ჩვეულებებს და წესებს დანარჩენს,
რაც უცაბედათ წამოგვეცდა წელან
სჯობია ისიც ჩვენს შორის დარჩეს.
ვინ იცის როგორ წავა ეს ხალხში.
იქნებ კიდევაც დაგვეწამონ რამე,
რომ ჩვენს ნათქვამში ჩაქსოვილია
ცუდი ზრახვები, აზრები მავნე!..

თავი მერვე

უკვე მეშვიდე შესრულდა თავი,
ახ, როგორ ზანტად მიდის პოემა...
ნუთუ იმისა აჩქარებისთვის
ჩვენ ძალა აღარ მოგვეპოვება?..
ნუთუ შემდეგშიც ასე ხშირ ხშირად
ჩვენ მოგვიხდება ახვევა გზიდან?
და მკითხველების სამართლიანი
საყვედურების ატანა, ხიდვა?..

როდესაც ზემოთ მოვიხსენიეთ
ქართველი კაცის ერთი თვისება,
(რაც შეიძლება ზოგს არ მოსწონდეს
ზოგმა კი მასში ნახონ ღირსება).
რომ საზოგადოთ ჩვენებურ კაცსა
უყვარს ცოტათი გრძლად ლაპარაკი.
და გუნებაში გულუბრყვილოდ
თქვენც დაგვეთანხმეთ ამაში რა კი.
იმ მაშინვე უნდა შეგვეგნოთ
ყველა ამბები მოსალოდნელი
წინ წაიწევდა პოემა სწრაფად
თუ იქნებოდა ის ასე ნელი...
ცხლა კი სწორი, თუ უმიზეზო
საყვედურები არიან მეტი;
ტყუილ-უბრალოდ, დასალუპავად
არ გვემეტება სტრიქონიც ერთი!..

(გაგრძელება იქნება)

ხინკალი.



# ტელეფონთან

(ხალ. ჯუჯათიხათვის)

— ტრ...ტრ...ტრ...

ლინჩხუთი ვარ.

— მომეცი კვერთხი მესამე ნომრისათვის.

— შენ ვინა ხარ?

— მორიგე.

— რომელი მორიგე?

— ჩხარტიშვილი.

— ასეთ მორიგეს არ ვიცნობ!

ჩხარტიშვილი ნიტიფო ეპოს თავჯდომარეა და არა სადგურის უფროსის თანაშემწე.

— მერე რა? ეპოს თავმჯდომარეც ვარ და ხანდახან ამასაც ვასრულებ. ორი კაცი საქმეს ვერ აუდიან, რადგან აქ ეხლა ბევრი საქმე გვაქვს და მეც ვეხმარები.

— რა საქმე გაქვთ ამდენი?

— მინდა ფოთთან პირდაპირი მიმოსვლა მოვაწყო, რომ ჩემს ეპოს საქონელი ბლომად მოვაწოდო.

— ჯუმათი აქ რა შუაშია, მერე?

— იმ შუაშია, რომ აქედან გაგვყავს ვიწრო ლიანდაგი მდ. ფიჩორის ნაპირამდის და იქიდან კი ნავებით ვიმგზავრებთ.

— თქვენ საქმე არ გქონებიათ და მოგიცლიათ, ძმაო. ხუმრობთ რაღა.

— სრულებითაც არა. მე სერიოზულად გელაპარაკები. გრიშა მგალობლიშვილმა გამოაწყო ეს საქმე.

— რომელი გრიშაა?

— როგორ არ იცნობ, კაცო, ფოთის ფინანსიურ განყოფილების გამგეა; მალთაყვიდან ფოთამდის ზღვაზე ხიდის გადებას რომ აპირებს, აი ის გრიშაა... რით, რაო?!.. სულელი?!... სულელი შენ თვითონ ხარ...

— შენ ვინ მოგცა ნება, რომ არა რკინისგზელმა ტელეფონი არახუნო და კვერთხი მოგვთხოვო? მაქ მორიგე ან უფროსი არ არის, თუ რაშია საქმე?

— რა გაყვირებს, შენ ვინცა ხარ? ეგენი სადგურის უფროსს არ სცალია.

— რას აკეთებს?

— რას აკეთებს და კახიანებს ფუკიკავებს და გარედ აგდებს.

— მერე რატომ?

— იმიტომ რომ რკინის-გზის მუშას ნება არა აქვს სადგურში შემოვიდეს... რაო რაო?.. გაიმეორე რა სთქვი... ჯანდაბას შენი თავი .. გაბრაზდა .თორემ პრასი არ დამაკრა კიდევ.

ხუმტური.

# ჩოხატაური

„ეპო“

ამბობენ საწყალ წაველას
ჩამოსცვენია კბილები.
ვერცა ჰკბენს და ვერც იმხელს
რაც არის გასამხილები.

წიგნების საყაპრონდანა
უამრავ ცოდვებს ხედავსო,
მაგრამ გაგდების შიშითა
სიტყვის თქმას ვეღარ ბედავსო.

(ნეტავი მართლაც თუ ასე
მსჯელობენ საცოდავები!
ერთი სიკვდილით ქვეყანას
ჯერ არ ჩაუყვავს შავები).

მიწა ქალამნად მაცვია
მაღლა ცა მხურავს ქუდათა.
ვინ წამჭრის ენას, მე რომ ვსთქვა:
„ეპო“-ს საქმეა ცუდათა?!

წევრების მცირე რიცხვითა
ცარიელია კასები.
ამიტომ საქმეს ვერ შველის
ერახტოს მტკიცე უახები.

„მოქნილი სიტყვა“ კაცამის,
სჯობს კეთილი ზრახვები.
არც დიდათ არგებს ჩვენს „ეპო“-ს,
ბანკების სესხით ქანქრები.

არც ხროვა ბუღალტრებისა,
„სწორი“ ბალანსით დაფთრები.
(რა, თუ საქმე წავიდა
ადვილად ჩაიხლართები).

არცა აქა-იქ თვრამეტი
გამოფხეკილი დუქნები
და მიულებელ საქონლის,
„პროტესტში“ თამასუქები.

პროცენტებით და ვალებით
ორ წლით ძვირობს ფართალი,
ამიტომ ხალხი „ეპო“-დან
ჩარჩებთან გარბის დაფრთხალი.

„ეპო“-ს კონდახში მომშლელი
კიდევ სხვა არის წყალობა:
საქონლისათვის ჯამგეთა
ორის „წკაპ-წკაპად“ მგზავრობა.
ლანძღვა-გინება ჩუმ-ჩუმით
(ასეთი არის ზრდილობა).
„არ მე გჯობნი“, „არა მე“
არის ამაზე ცილობა.

კიკოლა



# უნივერსიტეტი

რომელმა შექმნა თბილისი და მისი მიდამოები:
უნივერსიტეტს უბრძანა: „ქალაქს ბოლოში მოება".
სტუდენტებს მოგვცა ქონებათ მეცნიერთ სამკვიდროება,
რჩეული ფილოსოფოსთა, მწერალთა ნაწარმოები–

მას ეყუდრება მარად ჟამს ღარიბი, უქონელია.
შემიმსუბუქოს ცოდვები, ასაწეველად ძნელია,
მისთვის ნადირობის ჟამს ყოველი კუთხე ბნელია,
რათა უშოვო ტარტაროზს ყუმბეში მისაძღვნელია.

ბოროტში მცირის მკითხველსა, დღეს გახსნილება სწორეა,
ჩვეულებრივ სიჩუმე მას არ აკლია, ცხადია,
უნდა ხმარაკი შეეწიროს, რომ იყოს, თუნდაც ხვალია,
—აღარ დავშურავ არაფერს, რაცა კი მე მაბადია.

თუმც ხშირად სიბულ-ნასმენის გადაკიწყება მჩვევია,
მაინც, თუ შევძელ, აღვნიშნავ რაც ოდენ შემიმჩნევია,
ან ყურით მომისმენია, ან ყნოსვით გამირჩევია,
თუ—ვის რა მადლი უქნია, ან ცოდვა დაუნთხევია.

კარგად ვგრძნობ, რომ სული ჩემი ცოდვის ტალით ავაჭრელე.
აღარ ვიცი რა მომელის, თუ დროზე თავს არ უშველე,
ერთ ადგილზე არ ასვენებს აზრს სიმშავე, გულს სიხელე:
—ახლა მინდა აქ მოვმართო, სადაც მოქუხს სიბრძნის ღელე,

აქ კედლები ვერ იტევენ მეცნიერულ ზედ-წარწერებს,
თქვენს თავს ვფიცავ, თუ რომ ვინმე ამ წარწერებს არ უმტერებს,
მეორმოცე საუკუნის ერთ მეცნიერს შეაჯერებს
(მანამდის კი ამ კედლებმა თუ გაუძლეს ფანჯრის წვერებს).

სხვადასხვა განცხადებებიც კედლებზე გამოკრულია:
„ყველამ იცოდეს, რომ კრება პარასკევს დანიშნულია.
„წეს-რიგი კარგად დაიცვას სტუდენტი ვალდებულია".
„ხუმრობა" ჰიმი კედლებში სასტიკად აკრძალულია".

თუ კი ლექცია დაიწყო, (როგორც მოითხოვს ბუნება),
დაგვიანებულს წესად აქვს კარებზედ მიბრუნება,
მაღაზე მოსულ პროფესორს სურთ შეუცვალონ გუნება;
რომ კათედრიდან იკადროს კარისკენ გამობრუნება.

ამ სასწაულს ვინღა ალწერს, რაც რომ ხშირად ჩვენთან ხდება,
დღისით ნათობს ელექტრონი ღამით კი ეს არ ხერხდება,
ჩვენს მისვლამდე განათებულს, ჩვენ რომ მივალთ სული ჰხდება,
თითქოს ჩვენი მასპინძელი დასაწოლად ემზადება.

ხმა გავრცელდა, რომ სადგური თითქოს იყოს ფეარგისი,
და ამიტომ არ გვშორდება ჩვენ ამ გვარი დანაკლისი.
—მე მივაწერ მას განგებას, ვამბობ: —ნება არის მისი,
მას თუ სწადდეს, ამ ადგილზე არ იქნება დღეს თბილისი.

ყველამ იცის, რომ განგებას ის ტანჯული ებრალება,
ვისაც გული მძლავრად ღელავს, ალმურს უნთებს ტრფიალება
და თან ცას თუ ევედრება, რომ მოილოს მოწყალება
და მას ლხინად შეუცვალოს სულის შფოთვა და წვალება.

ამის გამო თუ სინათლე ღამით ჩვენთან უცებ ჰქრება,
ეს იცოდეთ, რომ ვილაცა ჩუმად ზეცას ევედრება,
რათა ჩქარა მოეველინოს, რომ გამეფდეს მდუმარება.
ეს ის არის, ფანჯარასთან ვინც რომ ლანდებს ეფარება.

ვაჟს ამაყად გადმოცქერის ქალი ზევით გადმომჯდარი,
ტრფობის ცეცხლით იწვის ვაჟი, გასდის ცრემლი ნაგუბარი
მას ხელობად აულია ეს ხელობა საქებარი...
–ქალს ფანჯრიდან ჩამოიყვანს ვაჟი ტკბილად მოუბარი.

არის ერთი ხელოვნება ქალთა ცეცხლთა მომდებარი:
არშიყობა ეწოდება (სხვა ტერმინი არსად არი).
არშიყობა სხვა რამეა, არ სიბრძნისა დასადარი,
—იგი სხვაა, სიბრძნე კი სხვა, ვით რაში და სახედარი.

მეც მის გამო მაგონდება დღეს სამოთხე დანაკარგი,
და როს ვხედავ, ასე ვამბობ:—რა ტურფაა და რა კარგი
კოხტა ქალის კოხტა კაბა, კაბა ჭრელად მონაქარგი,
კაბის ქარგვა უნდა იყოს იშვიათი სიბრძნის დარგი.

იასონმაც შეისწავლა ეს ძვირფასი ხელოვნება,
თუმც არ უნდა, მაგრამ რა ქნას, არ ასვენებს მწველი ვნება,
ფეხის თითებს მიაბიჯებს, თან წყნარ-წყნარად ეცინება,
ოქროს კბილის ნაზი შუქი მთელ მიდამოს ეფინება.

აჰა, მაირთვი ტარტაროზ, რაც ოდენ მომირთმევია
და კვალად ისე მაგულე, ვითარცა წინედ მჩვევია:
სამსახურს კიდევ გაგიწევ (ძლევენი არ შემომლევია)
თუ ამ ხელობამ ხაფანგში თავი არ გამარგვევია.

ლარიბი.

# „ადვილი საქმე"

(გურული სცენა)



ყველაზე უფრო ძნელი საქმე

— აბა, ყარამან, დაჯექი აქანე და დამიკაკლე, თუ რა ნახე თბილისში.

— რა გიამბო, კაცო... მეც არ ვიცი, რომელი გითხრა; ყოლიფერი ისე ინტერესნია, რომე, პირდაპირ აღარ ვიცი, რა გითხრა.

— მოყევი და ყოლიფერი ილაპარაკე; ნუ გეშინია. კი გიყვარს ბევრი ლაპარაკი.

— კაცო, ამხელა კაცი გევიზარდე, სად არ ვყოფილვარ—ბათომში ვაზნის დროს სპირტი ყოველ დღე მიმქონდა; ფოთიდან ყველა ტარანაი მე მოვზიდე მგონი: აი ჩვენი ოზურგეთიაა და ხუთ თითისავით ვიცი. სად არ ვყოფილვარ, მარა თიფლისისანა ქალაქი, ბერეგის, ძმაო, საქართველოში კი არი, მგონი სამეგრელოშიც არ იქნება.

დედავ შენი ჰირიმე, ვნახე პარა რა ვნახე... უკაცრავად, მარა შენისანა იქინე, ძმაო, არ ვიცი თუ რამეს გეიკლოუს... სუნ-

თლა, რომ რა იყოს, ანტონობილს მაინც დიეძგერება და მერე მშვიდობით, იმ ქვეყანას გადაბარგდები.

პირველად მეც ქე შემეშინა... მოდი და ნუ შეგეშინა—გიეიხედე და ქიარ მორბის რაცხა: არც ცხენია შით და არც ხარი...

— ბიჭო, ანტონობილი იქნებოდა, შე გაჭივრებულო.

— უკაცრავად, ანტონობილი მინახავს მე. (ერთი ჩვენს ალმასკომსაც ჰყავს დამტვრეული), მარა ანტონობილი არ იყო. რაცხა ტრანვაიაო, იგი იყო. ჰოდა მორბის ერთი იქიდან, მეორე აქედან. ვიფიქრე: აია ახლა დიეჯახა ერთმანეთს მეთქი და თავზე ხელი მჭვიპირე... გევიხედე და ქიარ მირბიან; თურმე გადაახტენ ერთმანეთს თავზე. პირჯვარი დევიწერე და ღმერთს მადლობა უთხარი.

წაველი მშვიდობიანი ქუჩით, სადაც ანტონობილი და ტრანვაი არ დადის. მომესმა ყვირილი; ვინცხა თავგატეხილივით ყვიროდა: რიბი... რიბი... ლოქო... ტარხუნა... ტარხუნაა... ჰიპ—პა—პა—პა...

ვიფიქრე—რაცხა ამ კაცს დიდი გაჭირვება აქვს მეთქი და გევიქეცი მისკენ, მარა მან არხეინად დიედო დიდი ვობი და მიდიოდა.

— შე გაჭივრებულო აქანე, რომ მუაშურე მჭადს და ლობიოს, ერთი ხეირიანი სამსახური ვერ იშოვე იქინე?

— მაგაზე ახლა გეტყვი... მეც მინდოდა, მარა ადვილი საქმე ვერაფერი ვნახე.

— მილიციონერობა კი შეგეძლო და რეიზა არ ქენი?

— არა, ძმაო, თიფლისში მილანციონერობაზე უფრო ძნელი სამსახური სხვა არ არის. მთელი ცისმარა დღე ქუჩაში უნდა იდგე. ამ ქუჩაში დაჰქრის ანტონობილი და ტრანვაია. კაცი საქმე ელანძზეა... იქნებ დაგესხა აშლილ ხმაურობაში ტარაბუა და და ანტონობილს ან ტრანვაის ველარ შუარე და ქე მიექეცი ქვეშ. ხომ იცი ტრანვაი ურემი არ არის, რომ შეიძლებოდეს მისი გადახვევა... არა, ძმაო, სახიფათო საქმეს ხელს არ მოვკიდებ. რომ რამე დამემართოს, ცოლშვილი ძაღლის საჭმელად დამიცვა და მერე შენ გუუწევ ჩემს მაგიერობას თუ?!

— კი მარა ჩვენები იქინია და სხვა ხეირიანი სამსახური ვეფერი იშოვე?

— აგერ გითხრა... ერთ საღამოს ჩვენებმა ოპერიაში წამიყვანეს. ნეტა განახვა, კაცო, რა სანახავია. რომ შევხედე მაღლა სარხინავში, პირდაპირ გადვირიე კაცო. ვინ ევიდა იქინე და დახატა ანგელოსნები, ანდა ჩამოჰკიდა ლამფა!! პირდაპირ გადასარევი საქმეა... დაიწყო წარმოდგენა, მარა მე ვეფერი მივხვდი. ხალხი ტირის, იცინის, ჩხუბობს, ლაპარაკობს თუ ცეკვობს, ყოველთვის მღერის. კაცო, კაცმა კაცი მოკლა ხანჯალით; დაჭრილი კაცი კვდებოდა და მღეროდა. მისი ცოლი იქინე იყო... როცხა კაცი მოკვდა, იმ ოჯახდაქცეულმა, ქიარ დეიწყო სიმღერა?

გავშტერდი კაცი... მერე რაფერ მღეროდა ქალი! პირდაპირ ბულბულიაო. ყოლიფერი



ყველაზე უფრო ადვილი საქმე.

მინახავს და აგი კი არ მინახავს. რა დააბერებს ასეთ ხალხს. მოკვდება—მღერის, სტკივა—მღერის, ჩხუბობს—მღერის და სულ მღერის და მღერის. არ ვიცი სწორედ, გულმოსულ კაცს რა ამღერებს.

ჰოდა იმას გეუბნებოდი, როცხა სცენაზე ასე მღერის ყველა, ერთი კაცი აქეთ დგანა და პატარა ჯოხს იქით-აქეთ აქნევს. მე გადარეული მეგონა და ჩვენს ანდროს უთხარი: კაცო, ამ გადარეულს აქედან ვერ გაათრევს მეთქი... მერე იცი მან რა მითხრა?

— ეს კაცი მიუძღვება ამ წარმოდგენას...

— ჯამაგირს თუ ღებულობს-მეთქი... თურმე ღებულობს და მერე რამდენს!? თვეში მგონი ორას—სამას მანეთს აკეთებს.

— კი მარა, ვინ არის ასე დიდი კაცი? ალბად პარტიული იქნება!

— პარტიული კრა იგი არ გინდა... იგი მიღლმეჩი არ ყოფილა არც ერთ პარტიაში თურმე...

ანდროს უთხარი—ახლა გასაქანი არ გაქვს, გინდა თუ არ გინდა აი კაცი გადააყენე და აი ადგილი მე მომეცი; ასეთი ადვილი საქმე ამ ქალაქში არავის ექნება-მეთქი...

მარა დეიწყო სიცილი: შენ ეს არ შეგიძლიაო; ეს კაცი დიდი ჯორია...

— ვითომ რას ნიშნავს აგი?

— ალბად იმას ნიშნავს, რომ დიდი ჯორია და როგორც ჯორმა იცის ჯიუტობა, ისე ეს კაციც გაჯიუტდება და თავის ადგილს არ დაგითმობსო... მე უთხარი—დიდი ჯორია თუ პაწა ჯორია, ჩემდა სულ ერთია—გადააყენე და მე მომეცი აი ადვილი საქმე-მეთქი, მარა შენც არ მომიკვდე; მან სიცილში ჩაატარა ჩემი თხოვნა.

— ალბათ არ უნდა შენთვის სამსახურის მოცემა, თვარა მაგაზე უფრო ადვილი საქმე სხვა რაღა იქნებაა?!

— მეც ასე ვფიქრობ.

ზმუკი.

გაზ. „მუშა“-ს
აპრილის ხელისმომწერლები
„ტარტაროზი“-ს
შემდეგ ნომერს მიიღებენ
30 აპრილს



ყველა ეკლესიები უპატრონოთ დარჩა და მათ ტარტაროზი დაეპატრონა

## „მედიატორე“

„შეურაცყოფილთა“ საყურადღებოთ

ვისაც კი მოხდა ტარტაროზის
კუდი მაგარი
და შიშის გამო თავზე ადგა
თმა და ქაგალი;
ვისაც არ გიყვარს ჩაქუჩი და
მასთან ნამგალი
და ტარტაროზის თქვენ დაგესო
გულში ჩანგალი,
—ან, სულერთია, ჩვენს აგენტთა
მოუხდათ მათრახი,
(რაც უსათუოდ იქნებოდა
თქვენს თავზე ახი)
—შესწყვიტეთ ყველამ მითქმა-მოთქმა
ასე საზარი,
თორემ შეშლეგში დაგეცემათ
კვლავ რისხვის ზარი.

—

ხშირია თქვენგან, რომ სიმართლეს
უწოდებთ ქორებს.
სასამართლოსთვის ასახელებთ
მედიატორეს...
სასაცილოა საქციელი
თქვენი ასეთი;
(ალბათ გგონიათ „ტარტაროზი“
არის გაზეთი.)

—

მაგრამ ჩვენ მაინც უარს არ ვეტყვით
სასამართლოსა;
მხოლოდ ამ ქვეყნად არ გვცალია
—არ ვკარგავთ დროსა.
—და ვისაც გინდათ გაიმართლოთ
„უმანკო თავი“
და დაამტკიცოთ, რომ ქორია
„თქვენი ამბავი“—
გთხოვთ დილით ადრე ცხრა საათზე
გარდაიცვალოთ
და რადიოთი ჯოჯოხეთში
შემოგვითვალოთ,
რომ თქვენ მოდიხართ ამ ქვეყნიდან
საიქიოსა.
(გამოატანეთ ესე ცნობა
ქარს ან სიოსა.)

—

დაესხდებით ბჭობათ სასამართლო
ჯოჯოხეთს შინა;
(თქვენთვის ერთია: იქ გექნებათ
უფასო ბინა)
რაც დაგვაულით ამა ქვეყნად
იმას არ ვჩივით,
რადგან იმ ქვეყნად თქვენ ხართ მაინც
ჩვენი არჩივი.

ტარტაროზი.



## ნისია

თუმც ასაღები არა მაქვს ბევრი,
მაგრამ ჯამაგირს დღე-დღეზე ველი.
ვაჭრებისაგან ნისია მომაქვს,
აბაზობითა შევჭამე ძველი.

მაგრამ გუშინ კი მეფურნემ მითხრა:
— პურსა აწ ჩემგან ვერ წაიღებო;
თუ როგორ უნდა ნახარჯს გადახდა
იმას კი აწი შენ გაიგებო.

მეხორცემ ასე შემოშითვალა:
— თუმც ნათლია ხარ ჩემი შენაო,
მაგრამ დამეხსენ, არ შემიძლია
კიდევ მე შენთ ხორცით რჩენაო.

რაც რომ დახარჯე იმას თუ მომცემ,
— შენ გაისწორებ ჩემთან პირსაო,
თორემ შეგხვდები და სულ მტერად გიქცევ
მაგ უსირცხვილო ცხვირს და პირსაო.

მეწვრიმალემაც უარესი მითხრა;
— შენი ფასია დამპალი ჩირი.
შენს შემქნელ-მშობელს ისა ერჩია,
რომ გაეჩინა შენს ნაცვლად ვირი.

ცალ ცალკე ყველას კი გადაურჩი,
გამოვეპარე ვითარცა კატა;
სწორედ ცეცხლში ვარ მე ჩავარდნილი,
თუ ბიუჯეტმა არ მოიმატა.

იმდენს მარტყამენ და იმდენს მცემენ,
რომ ვერ დაითვლის თვით ტარტაროზი,
— თუ თავის დროზე აღარა მომცემს
კუთვნილ ჯამაგირს ჩვენი კომხოზი.

ბლიკვი.

## მხოლოდ სიზმრად

შუაღამე რომ გადავიდა
ატყდა ყველგან ზარის რეკა.
მღვდელმა უკვე ტანთ ჩაიცვა,
გაალვიძოს უნდა ეკა.

თითქოს ასე ეუბნება:
მაგ საბანში რაღას ძვრები.
ადე ჩქარა და წამოდი,
საკურთხებით გამოძღები.

საყდრისაკენ უკვე მიდის
ჩემი მრევლი, როგორც ფარა;
ჩვენც ავხვეტოთ შენაწირი,
დავტრიალდეთ როგორც ჯარა.

მოიკაზმეს და გასწიეს,
საკურთხების ნახეს გორა;
იქ ულპიტი მღვდელს დაეძებს,
აქ დარუხანს იაგორა.

საკურთხების მთა-გორასა
მსუნაგსავით უთვალთვალებს;
სიხარულით მათე მღვდელი
ძილში კრთის და თან კანკალებს.

და ეკა კი გაოცებით
მძინარ მათეს თავს დაჰყურებს;
აღვიძებს და გამეტებით
ხან ცხვირს უსრესს და ხან ყურებს.

პ. ობოლი.



ტარტაროზი ლექციას უკითხავს ტარტაროზკომსომოლებს

# ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲓᲐᲜ

ხელთ შეიღდისარი ავიღე, მოვმართე ნელა ნელაო,
კარგი ხანია გათენდა, ალარსად ალარ ბნელაო.
ტარტაროზ, ტანი კარგი გაქვს, შენ შემოგნატრის ყველაო,
შენი მათრახის შიშისგან ბევრმა ითხოვა შველაო.
ტარტაროზ! მოინადირე ზღვა-ხმელი, მთა და ბარია,
ეგ შენი ჰინჯრის ქამანდი, უწყის ალლახმა, მწარია,
არ შეგაშინებს ორგულმა ბევრიც რომ მოგდოს შარია:
შენი სიცოცხლე არც ვაჰარს და არც სპეცს არ უხარია.
ტარტაროზ! გიყვარს ქალაქში პროსპექტზე სეირნობაო.
სოფელშიც მოგვეელინევი, გთხოვ გაგვიწიე ძმობაო,
რას გარგებს გვარიშვილობა თუ კუჰმა გიწყო ხმობაო.
ძლიერ ძნელია შენშა მზემ სოფლის ამბავის მზობაო.
ჩვენ მაზრის გლეხკომს, ეპოებს შემოეჩვია თაგვება,
თარროებს ბუდეთ აჩენენ (ეს კი არ არის საქმები)
ეპოის გამგე სეირნობს არა აქვს საწოლ საგები,
გლეხმა ვერ პოვა ეპოში შაქარ-ფართალი საკვები.
ტარტაროზ, ცალიერ ეპოს რა თავში ვიხლი მენაო,
სახნის-საკვეთი მინდოდა --მპირდება ქალაქს რბენაო,
კრედიტი, ამხანაგობა ბანკმა გაგვიხსნა ჩვენაო,
შიგ გროში ფული არ არის, იქაც თავს უყვარს რბენაო.
ტარტაროზ! ქოხ-სამკითხველო გავხსენით სოფელზედაო
სამ-სამი კვირის გაზეთი შიგ ყრია ზედი-ზედი-ზედაო,
სახლშიაც გამოვიწერე, განათლებასა ვბედაო,
ერთ თვეში ღრი მივიღე (მაქ ხომ გამოდის ნეტაო!?)
ბევრი რაღაც მოგწერო, რა სტკივა სოფელს რა შია
გზები ისეა მორთული, შიგ ვერ გაცურავს რაშია,
სტუმრად თუ მოდი მეშინის --არ ჩარჩე შუა ტალახშია,.
მინდოდა ქალაქს წამოსვლა, ვერ გამოვედი გზაშია.
ორშაბათ დილა გათენდა რა ავი დარი დგებაო,
თემ-საბჭოს თავმჯდომარესა ალარ სჭირდება ქებაო;
ჩვენს მასწავლებელს სჭირდება უდიდი რამე კვებაო,
თორემ უჯამაგიროთ საწყალსა სული სძვრებაო.

ლანჭიძა.

# ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲔᲡᲢᲕᲘᲠᲣᲚᲘ

დღეს აღდგომაა, ძმობილნო,
და მეც მოვმართე სტვირია;
ცარიელ კუჰით სიმღერა,
თქვენც იცით გასაჭირია.

—:—

მარელისიდან წამოველ,
სადგურს არა აქვს კარია.
იქაურ გლეხებს ვაკვთნე
საყდარი უმღვდლოთ მდგარია.

—:—

მატარებელში ჩავჯექი
„მანდატი" მთხოვეს სტვირისა.
ყველა ვაგონში სკამებს ქვეშ
ბავშთან გოჰებიც ჰყვირისა.

—:—

მოვახტი მარდად „პრიცეპკას",
გადავრჩი გვერდთა მტვრევასა.
მათხოვრებს ბავშებს აცვიათ
როგორც ადამს და ევასა.

—:—

ჩამოვხტი, გადავიკითხე
დაფაზე მისამართია:
რუსთაველის ოცდათორმეტი,
მეც იქით გავემართია—

—:—

მაგრამ დასწყევლოს წყეულმა,
საქმე მომიხდა ავია;
შინგან სახკომის მაგიერად,
საკვასეს ვტაკუცე თავია.

—:—

ქებაძე რომ არ გაშავდეს
მივართვი ფიჰვის ჩრდილია;
„ევკოგრუზს" კუჰის კატარი,
ზედ წამლად „პუდრი ხსნილია"

—:—

ბანკებს, გოსტორგებს, კოოპებს
ვსთხოვ ყურადღება მიაქციონ:
რაც მუშა ხელში ჩაიგდონ
„ბარონ-გრაფებად" აქციონ.

—:—

ეხლა გისურვებ სულყველას
ვინც კარგ ადგილზე მსახურობთ,
პასკები ბევრი დაგეცხოთ
და ღვინოც ჩააკახუროთ.

—:—

უმუშევრებმა ილხინეთ,
არ ჩამოჰყაროთ ყურია:
სხვებმა პასკები მიირთვან,
თქვენ სჭამეთ ხმელა პურია.

:

პროსპექტის მტკეპნელთ სჭირიათ
„სპეციალური გალია",
მაგრამ ამაზე შემდეგში,
ეხლა კი ალარ მცალია.

ჩუხმა.



ტარტაროზი თავადის როლში

(„წარსულის კოშმარები"-დან).

# ოსიკო ცულუტაძე

იშვიათი ბეჯითი სტუდენტი იყო ოსიკო ცულუტაძე.

ჩვეულებად ჰქონდა გვიან ადგომა, რადგან სამსახურში არ აგვიანდებოდა.

უნივერსიტეტშიც ირიცხებოდა, თუმცა თვეში ერთხელაც არ გაივლიდა მის ახლოს.

საგნების ცხრილი საწოლთან ჰქონდა გაკრული. მზის სხივებს ისე გაეხუნებია, რომ აღარ შეიძლებოდა მისი ამოკითხვა.

არც ერთი სამეცადინო წიგნი არ ჰქონდა, გარდა „ფილოსოფიის შესავალი"-სა.

ოსიკო დიდი მორიდებული კაციც იყო. მოკრძალებით სთხოვდა ხოლმე ამხანაგს იაფ ფასიან თავშესაქცევ „სემიჩკის" ხურდას და გაუდგებოდა რუსთაველის პროსპექტს.

რუსთაველის პროსპექტზე ყველა ვიტრინებში საქონლის ფასები ზეპირად იცოდა. განსაკუთრებით „ტეკოგრუზის", რომელსაც არ უყვარს ხშირად ვიტრინების გამოცვლა.

ერთ დღეს ჩვეულებრივ დროზე წამოდგა. ფანჯრების გამოღებისთანავე გულწითელა ჩიტმა ორჯერ ჩაუჭიკჭიკა...

ცრუმორწმუნოების არაფელი სწამდა, მარა მაინც მიაძახა, მიჯობნიაო, რადგან უსაუზმო იყო, თუმცა სასაუზმეც არაფერი ჰქონდა!..

11 ს. იქნებოდა როცა კარის რაკუნი მოესმა, კარი გაალო და მის წინ წერილების დამტარებელი იდგა.

— უკაცრავად. ოსიკო ცულუტაძე თქვენ ბრძანდებით?

— დიახ, მე გახლავარ.

უპასუხა ოსიკომ და სწრაფად წერილი ჩამოართვა.

პირველადვე წერილის ბოლოში ამოიკითხა: „პატივცემით ბრაწაძის ასული".

გვარი არ ეპიტნავა, შეუდგა კითხვას.

„პატივცემულო ოსიკო!"

დიდი ხანია თქვენი გაცნობა მსურდა...

უნდა გამოგიტყდეთ—თქვენ მე ისე დამატყვევეთ. რომ თქვენი გაცნობა მინდა.

გთხოვთ დღეს სრულ 7 საათზე გამოცხადდეთ „სახელმწიფო ოპერას"-თან. შესავალ კარებიდან მარცხნით. ჩემი ნიშანი იქნება ჩულქის გასწორება.

გელოდებით.

პატივცემით ბრაწაძის ასული".

ოსიკომ დაათავა კითხვა და ჩაიცვა.

სრულ 7-ზე ოსიკო ატუზულიყო ოპერის თეატრთან.

დიდი ხანი არ გასულა და ელექტრონის სინათლეზე დაინახა მისკენ მომავალი ქალი.

ქალმა გაისწორა ჩულქი და აიმართა... ოსიკომ ვეღარ მოითმინა და მიესალმა.

— უკაცრავად, ოსიკო ცულუტაძე გახლავარ.

ხელი გაუწოდა... ქალმა გაკვირვებით შეხედა, და ბოლოს იძულებული იყო ხელი გაეწოდებია...

ქალმა ზრდილობიანად დაემშვიდობა. ოსიკოს იმედი არ დაუკარგავს—ფიქრობდა ალბად ის არ იყოო.

უცებ გვერდით ამხანაგი მიესალმა.

— გამარჯობა ოსიკ! აქ რას უცდი?

— „ღმერთო ამოაგდე ამის ოჯახი, ესეც რაღას ამეტორღიალა"?!

გაივლო გულში ოსიკომ და ამხანაგს ხელი ჩამოართვა.

— რას უნდა უცდიდე? დაილოცოს რუსთაველის პროსპექტი, რამდენ უსაქმო ხალხს იტევს? ბევრი საარშიყო დავიალე, შევამოვისვენე და ეხლა კი სახლისკენ გავუყვები.—

სუსტი კილოთი დაათავა ოსიკომ, რომ ამხანაგიც დასცილდა.

— წინ წყალი, უკან მეწყერი, შუაში შენ გამოემწყვდეი... რა დროს შენი აქ მოსვლა იყო? სოდომგომორით შენი თავი. იქნება შენი აქ ყოფნით ქე დამიკარგე ლუკმა. —

მიალაპარაკა ოსიკომ, ერთიც ლაზათიანაც ამოიოხრა და გაერთო ფიქრებში...

რა ექნა? გული უკვდებოდა, მარა მისი ბრაწაძის ასული არსაიდან გამოჩნდა...

ასე დამთავრდა ოსიკო ცულუტაძის დღიური. მან დღესაც არ იცის წერილის ავტორის ვინაობა.

ყველა ფაკულტეტი დავლილი აქვს. სამწუხაროდ დღესაც პირველ კურსზე ითვლება.

დამზადებული აქვს ყველა საგნები, ვფიქრობთ ერთში მაინც ჩააბარებს. სახელდობრ „ფილოსოფიის შესავალში", რომელშიც ერთი თავიც არ გადაუკითხავს.

უკოლ-მიკოლი.



# კუპლეტები

(ოზურგეთისათვის)

მცირე ბაზრის კვალობაზე
ოზურგეთიც ქალაქია:
ხუთიოდე მეწაღე ჰყავს,
სამი-ოთხი დალაქია.

—

ეს ქალაქი თავს იწონებს
კოოპერაციებითა.
გამგეობა ავად არის
ცხელებით და ციებითა.

—

ყველასათვის ცნობილია
იქაური საფინგანი.
ჯამაგირს აქ თავის დროზე
ვერ მიიღებს ჩვენთაგანი.
თუ კასაში ფული არის
თვით იციან მისი განი.
მუშამ უნდა მოითმინოს,
სხვა არ არის გასაქანი.

—

ჯამაგირი თუ არ გვყოფნის
ჩვენთვის ისიც საყოფია.
ეხლანდელი ჩვენი კლუბი
წინად საყდრად ნაშყოფია.

კრებას გახსნის ილარიონ,
გაგვაცინებს პროკოპია.
ზოგს სახრავი მეტიც კი აქვს;
მაგრამ ვინ გაგვაყოფია.

—

კავშირების გადასახადს
სწრაფად იღებს პროფკავშირი.
მარტო სიტყვის სარახუნოთ
კრებებიც კი არის ხშირი.
სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა
შუაში უძევს დიდი ჩხირი.
საქმეს მაინც ვერ უშველი
რომც დაალო დიდზე პირი.

—

ოზურგეთში მაღაზია
გაუხსნიათ ინვალიდებს;
მაგრამ მასში უფრო ვხედავთ
ჩარჩებსა და ვაჭრებს დიდებს.
ჯერ ცოტა აქვთ საქონელი,
მაგრამ (ვფიქრობთ) გაადიდებს.
ის არ ვიცით, მის მოგებას
თუ ჯიბეში ვინ ჩაიდებს.

—

მთელი მაზრა მოიფინა
მრავალგვარი გლეხკომებით.
კერძო ყაჭრებს ვერას ვაკლებთ,
მაგრამ ეპოს ვეომებით.
თავმჯდომარე ახალია,
ვიხსენიებ ჯერ მას ქებით.
(წინანდელი გავასუქეთ
კარაქით და ნაზუქებით).

„ხალასტოი".

# შარადა

ქვაზს რით ათეთრებს მკალავი
დამისახელეთ ჩქარადა;
წინ ერთი ასო დაუმატეთ,
თუ გვინდა შესდგეს შარადა-
და რაც დარჩება დაწერეთ
გახსოვდეს, ძმაო, მარადა.
(თუ იგი დაგავიწყდება
აღარ შედგება შარადა).

—:—

სიტყვა „თქვენ" გადამითარგმეთ
რუსულ ენაზე ჩქარადა
და მიუწერეთ პირველსა,
ასე იხოუნლობს შარადა.

—:—

რა შეგვიძლია ვიხმაროთ
სიტყვა „ვაჟი"-სა ნაცვლადი?
ქალის მაგივრად -ასული,
ვაჟისა თქვენ სთქვით მართლადა.

—:—

ეს სიტყვაც მათ მიუმატეთ—
და უკვე შესდგა შარადა;
თუ მოიფიქრებთ—მიხვდებით
ვით ორჯერ ორსა ჩქარადა.

—:—

ამ გვარის მასწავლებელი
ეკუთვნის შრომის სკოლასა;
გაკვეთილის დროს ეწევა
გარს შემოიდევს გოროსა.

## ტარტაროზი სადილობს



ვაჰ! რა გემრიელია. რატომაც არ იქნება, მან შესჭამა მთელი სოფელი

სკოლაში შუასა ადგილსა
წამომჯდარია სკამზედა;
ფეხზე ჰკიდია რა ხდება
მის ცოტა იქით განზედა.
ზოგი ჰკიდობს და ზოგიც
დუელში იწვევს ერთმანეთს.
ის ყურს იყრუებს სიტყვებით;
—მე ხომ ვასრულებ ჩემს საქმეს—

—:—

უცებ მოესმა ხმა მძლავრი
რევიზია ჩქარაო.
აუკანკალდა მას გული,
თვალთაგან ცრემლი ღვარიო.
—თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებო,
არ შემირცხვინოთ გვარიო,
თქვენ-თქვენს ადგილას ისხედით
ვითა ჰკვიანი ცხვარიო.
მოგცემთ დღესა მეორეს—
მკლავზე შეუბამს შავიო.
სტიროდა—ცოლი მომიკვდა,
აწ რაღად მინდა თავიო.
ჩვენც ეს სიმართლე გვეგონა,
ვისხედით განაბულები;
რევიზიამაც შეგვაქო
სწავლისა ვით ერთგულები.
რა წავიდა—სიხარულით
მაღლა ჰერში არტყა თავი
და მაშინვე შემოიძრო
ცოცხალ ცოლზე გლოვის შავი.

„ხოლ—ხამ".



ხაშური. სადგურის უფროსმა განკარგულება გასცა, რათა ბილეთების მთელი შემოსავალი ჩაებაროს ხაშურის მოლარე მ. კიკნაძეს, რომელსაც მეტად უყვარს ჩაყლაპვა. აქამად იგი იმყოფება სამშობიარო ჩეკაში.

ბორჯომი. საკონფლიქტო კომისიამ დაადგინა: ჯამაგირი ყველას მიემატოს, გარდა გრძელ ცხვირიანებისა.

იქიდანვე. საგარაჯო სეზონის მოახლოვების გამო დანიშნულია შვიდი ვირა პორტფელების გადასაზიდავად.

ბოლოზა.

სოფ. საზანო (შორაპნის მაზრა) ორი მასწავლებელი: ვაჟი (გლეხია) და ქალი („აზნაური") ერთმანეთის თანხმობით დაქორწინდენ, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა და აურზაური გამოიწვია თავად-აზნაურთა ბანაკში. ამბობენ—როგორ გაუბედა ყაზახმა ჩვენი ქალის წაყვანაო. აისხეს იარაღი და მასწავლებელზე იერიში მიიტანეს. პირველი შეტევა უნაყოფოდ ჩაიარა; აზნაურები დამარცხდენ; მაგრამ ბოლო დროს ქაათურიდან ამ საქმისათვის საგანგებოდ გამოიწვიეს „მთავარსარდალი" მინიკა (მოძველებული მარიშნაა აზნაურთა ბანაკიდან), რომელიც შეუდგა ახალი რაზმების შეგროვებას ხელახალი შეტევისათვის.

მართალია ქ-ნი მინიკა დიდათ დახელოვნებულია ასეთ საქმეებში, მაგრამ მისი დამარცხებაც მოსალოდნელია, რადგან მისი რაზმი შესდგება გაფუჭებულ და გაძვალტყავებულ ყოფილ თავად-აზნაურებიდან, რომლებიც სურსათ-სანოვაგის ნაკლულოვანებას საგრძნობლად განიცდიან; ამას კი ომში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს.

— საშინელი ავადმყოფობა გავრცელდა თემში. ავადმყოფობას ჰქვია: სურვილი ალმასკომის თავმჯდომარედ ყოფნისა.

მაზრიდან ჩამოსულმა ექიმებმა ამ სენს ვერა გაუგეს რა; იგი თანდათან ძლიერდება და ეპიდემიურ ხასიათს ღებულობს. საჭიროა დროზე ზომების მიღება, თორემ ეს ავადმყოფობა დიდ ზარალს მოუტანს თემს.

ნიამი.

ქუთაისი. მილიციას დავალებული ჰქონდა მიეღო სასტიკი ზომები ქუჩებში. მოსეირნე ლორების წინააღმდეგ, რომლებიც ანგრევდენ ისედაც დანგრეულ ქუჩებს. ლორებმა განაცხადეს, რომ ისინი ეხმარებიან ალმასკომს, რომელსაც ნაკლები ხარჯის გაღება მოუწევს, თუ ქუჩების შეკეთებას შეუდგება, რადგან ქუჩების შესაკეთებლად საჭიროა ჯერ მათი მიწლით-დანგრევა, რაც დიდ მუშაობას და ხარჯს თხოულობს, და ისინი კი (ლორები) ამ საქმეს უფასოდ აკეთებენ, რითაც ეხმარებიან ალმასკომს.

ალმასკომმა მოიწონა ლორების წინადადება და განკარგულება გააუქმა, მაგრამ დავიწყების გამო მილიციას ვერ აცნობა ამის შესახებ, რასაც მოჰყვა სამწუხარო შედეგი: 30 მარტს ერთ უბანში მილიცია პირისპირ შეხვდა ლორების რაზმს და აუტეხა სროლა. ლორების მხრივ მსხვერპლი სამია. დამარცხებული ლორები სხვა უბნებს შეეფარენ. ხდება ყველა ქუჩებში მოსეირნე ლორების მობილიზაცია, რის შემდეგ მოხდება გენერალური ბრძოლა. შედეგს გაცნობებთ.

კეც.

ჯურუყვეთი. დაარსებულია ლოთობის ჩვეულებრივთა სალიკვიდაციო კომისია დავით და გიორგის მეთაურობით. კომისიაში შედის აგრეთვე ალმასკომის შემადგენლობა. მეცადინეობა სწარმოებს დილიდან საღამომდე. ვინც არ შევა ლოთობის ჩვეულებრივთა სალიკვიდაციო წრეში, ისინა მიჰყავთ ძალით. სასჯელად ორ ჩაის ჭიქა არაყს გადააცეცხლიებენ და ჯარიმად აბდევინებენ მთელ დახარჯულ თანხას. ამზომებით, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო ხანში ლოთობის ჩვეულებრივი აქ არავინ იქნება.

ხუშტური.

„ქუთაისი. ვალიკოს გაცილება დიდი ამბებით მოხდა. ამხანაგები სავსე გუდებით და ჯიბეებით გამოვიდენ ქუჩებში. გაცილებამ დღესასწაულის ხასიათი მიიღო.

გამოთხოვებისას ტოლუმბაშმა აცრემლებული ხმით მიმართა დამსწრეებს.

ამხანაგებო! დღეს ჩვენ ვემშვიდობებით ჩვენს საყვარელ ვა-ლი-კოს... ხალხმა და გაუმაძღარმა თბილისმა, იგი ჩვენ ხელიდან გამოგვაცალა. დღეს სტირის სვირი, ბაღდადი, ხვანჭკარა, და ამათ ჭურჭლეულობაზედ ზეიმობს და ნეტარობს კახური, რადგან მისკენ მიდის ჩვენი ვა-ლი-კო.

მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენ არ ვარ ჩვეული ცრემლი ვღვაროთ. ამხ. ვალიკო არ გადაუხვევს მის მიერ ერთხელ არჩეულ სწორ გზას, არ უღალატებს ჩვენს ამხანაგობას და სადაც არ უნდა იყოს იგი, ყოველთვის თავის სიმაღლეზე იქნება.

გაუმარჯოს ჩვენს ვალიკოს...

მშვიდობით ამხ. ვა-ლი-კო".

ვალიკოს უნდოდა საპასუხო სიტყვაში მადლობის გადახდა, მაგრამ ამ დროს უეცრად შემოვარდნილმა ჯიხვმა, რქა ჰკრა პირში და ენა დაუზიანა.

— პურიკანობის ყრილობა მოწვეულია კოოპერაციის კლუბში. დელეგატებს ლაპარაკი რადიოთი გადაეცემა მთელ საქართველოს. წინასწარი მუშაობა უკვე დაწყებულია.

ჭანაძალი.

ოზურგეთი. საავადმყოფოში აღმოჩენილია ბალღინჯოების შეთქმულება. ხშირად ხდება მათი აჯანყება. აჯანყებულები საგრძნობ ძალას წარმოადგენენ და დასუსტებული ავადმყოფები მათ იერიშებს ვერ იგერიებენ. ბრძოლას პარტიზანული ხასიათი აქვს. დაცემა ხდება ღამ-ღამობით; დღით მიიმალებიან. ავადმყოფებმა მიმართეს საავადმყოფოს ადმინისტრაციას დახმარებისათვის, მაგრამ უკანასკნელმა დახმარებაზე უარი განაცხადა, რადგან ნეიტრალიტეტს ვერ დაარღვევს.

ზემო-თავსუჯები (გურია). კოოპერატივი სამი წლიწადია რაც დაკეტილია. შიგ მომწყვდეული და დატუსაღებული თაგვები დიდ გაჭირვებას განიცდიან სიმშილობის ნიადაგზე. რადგან ადგილობრივი საბჭო მათ ყურადღებას არ აქცევს, ამიტომ



გადასწყვიტეს საჩივარი აღძრან ცენტრში.

იქიდანვე. ფუმცის წოდება გაუქმდა, მაგრამ აზნაურის თხებს მაინც დიდი მოწონება აქვთ. მასწავლებლის ეზო მათთვის მუდამ გაშლილია. გამგეც დიდი პატივისმცემელობა, რადგან თვითონაც „აზნაურია".

მნახველი.

ნიგვზიანი. დიდი ვაივაგლახით მოსემ დაასრულა „სოფლიმო კურსები" და ამ ქამად აფთიაქი გახსნა თავის საკუთარ ჯიბეში ცხოვრებს: მოსე ფერშალი მოსე მწერალზე უფრო გულკეთილია, რადგან ეგ წამლებში ერთ ძროხაზე მეტს არავისართმევს.

ლამისპირელი.



ოზურგეთის საავადმყოფო

იქიდანვე. ტარტაროზის განკარგულებამ გასჭრა და ამჟამად ვანო, რომელიც საპიროებდა ვანებს, მოთავსებულია „ვირის აბანოში".

— ტიტიკო, რომელმაც ამას წინად ასი მანეთი მოულოდნელად გადაყლაპა, ქალბატონ ბიძიაშვილმა მოარჩინა და ისევ შეუდგა სამსახურს.

ყირიმტარტარი.

ხარაგოული. რადგან წითელი სასადილო მოსპობს მიკიტნებს და მოქეიფეებს, რითაც მთავრობას შემოსავალი მოაკლდება, ამიტომ ადგილობრივი წითელი სასადილო იჯარით გადასცა დიდ სტაჟიან მიკიტნებს და ამგვარად „ხარაგოულის ვლეხთა დამხმარე კომიტეტის სასადილო" დარჩა მიკიტნების დამფარე.

ჩბერელი..

P-4141




სარედაქციო კოლეგია

მთავლიტი 604 პირველი სტამბა პოლიგრაფიულ გან. ს. მ. უ. ს. ტირაჟი 12.000.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მაისი, 17 აპრილი 1925 წელი.

# ტარტაროზი

№ 9—(12) გაზ. „მუშა“-ს ორკვირეული უფასო დამატება. № 9—(12)

(ცანკოვის მთავრობამ საშინელი შური იძია“)



„ბევრი არის, მაგრამ მაინც არ მეყოფა... კიდევ მინდა...
სისხლის სმა და გვამთა კორტნა მე ჯერ კიდევ არ მომწყინდა“

# რა ხდება საქართველოში



**მასალები, რომლებიც უნდა გამოიყენოს ემიგრაციამ დემაგოგიისათვის და პროვოკაციისათვის უცხოეთში**

## თეზისები

ოთხი წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლება ანგრევს და ანადგურებს სახელმწიფოს, მაგრამ ჩვენს მიერ სამი წლის განმავლობაში იმდენი იყო გაკეთებული, რომ ოთხ წელს ვერ შესძლებს მისი დანგრევა.

ამ ბოლო დროს კიდევ უფრო მეტი ენერგიით შეუდგენ ყველაფერის გაცამტვერებას. სანიმუშოდ ავიღოთ მარტო თბილისი. თბილისმა დაჰკარგა თავის სახე და მიიღო სულ სხვა ელფერი. ანგრევენ სახლებს, რათა გაიყვანონ და გააფართოონ ქუჩები. მთელი მეხუთე უბანი, სადაც უნდათ აბანოებამდე გაიყვანონ ტრამვაი თავისუფლების მოედნიდან და ამით ქალაქს გაუადვილონ მიმოსვლა, სოლომ-გომორივით დანგრეულია. ბევრ ადგილზე, სადაც ჩვენს დროს ქოხები მაინც იდგა, ყველაფერი გაატიალეს და გააშენეს ხეები, რომ ქალაქი ტყეს დაამგზავსონ. ვერ ნახავთ ისეთ ქუჩას, სადაც თხრილები არ იყოს ამოღებული. შიგ გაჰყავთ ელექტრონი, დებენ ასფალტებულ მასალებს, რითა აავეთქონ თბილისი, როცა მათ განდევნას შეუდგებით.

არ ინდობენ არავის. საწყალ ვაჭრებს ართმევენ სავაჭროებს, ქუჩებში ყრიან და თვითონ კი აწყობენ ისეთ უნივერსალურ მაღაზიებს, რომლებიც არ ჩამორჩებიან ევროპის და ამერიკის მაღაზიებს. კერძო ვაჭრობას არ აძლევენ გასაქანს და თვითონ აცხადებენ სახელმწიფო ვაჭრობის მონოპოლიას.

# „შეფი“



შაბათს—„პირი სოფლისაკენ“

კიდევ ერთხელ და კიდევ მრავალხელ
ისევ ძველ საკითხს ჩვენ უბრუნდებით.
ვიცით ამ საქმის კარგად გადაჭრას,
ჯერ კიდევ დიდხანს ჩვენ მოუნდებით—

მაგრამ გზა გრძელი და ეკლიანი
ჩვენ ვერასოდეს ვერ შეგვაშინებს;
არ დავეთხოვით, მინამ სოფელი
ვენსავით ტკბილად არ იღიღინებს;

ანდა რა გულით ჩვენ აქ, ქალაქში,
უნდა ვცხოვრობდეთ ასე განცხრომით,
როცა სოფელში ჩვენი მოძმენი
კუჭს ვერ იძღებენ მჭადით და ღომით.

ჩვენ აქ გვამშვენებს ყელზე კრახმალი,
ან საზაფხულოთ თეთრი ხალათი.
ყოველდღე დილით ბაზრიდან მოაქვს
ჩვენს მსახურ გოგოს სავსე კალათი—

და შიგ უწყვია: ერბო, კვერცხები,
ყველი, ქათამი და წიწილები.
სამსახურიდან მოვალთ შუადღისას,
გალესილი გვაქვს ყველა კბილები:

— და შევექცევით გემრიელ სადილს,
ვამაყობთ ცოლთან ასე გაძღომით—
და გვავიწყდება, რომ იქ, სოფელში,
კუჭს ვერ იძღებენ მჭადით და ღომით.

## პირველი ქართული ენციკლოპედიური ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

**შედგენილი და გამოცემული შემდგენელის და გამომცემლის მიერ**

ტირაჟი 0000 კუპლიტი № 0101.

### უკანასიტყვაობა

საქართველო დიდი ხანია იტანჯებოდა ენციკლოპედიური ლექსიკონის უქონლობით და ზოგიერთ საგულისხმო სიტყვების უცოდინარობით. მივიღე რა ყოველივე ეს მხედველობაში, ბრძანებითა ტარტაროზისათა გადავწყვიტე მისი შედგენა. მე დარწმუნებული ვარ, რომ უკვდავი „აზორდია ჩემს ღვაწლს არ დაივიწყებს და ჩამნიშნავს მორიგ იუბილიართა წრეში. ლექსიკონი ესე დაიბეჭდა პირველად სირაკუზაში, შემდეგ ბანოჯაში, ერმიაძინში, ჯანდაბეთში და ეხლა უნდა დაიბეჭდოს ყოვლად წმინდა ტარტაროზის ფხაზე. არ გამოსტოვოთ არც ერთი ნომერი. მარგალიტივით გაბნეული იქნება ყოველგან თანამედროვე მეცნიერება და კულტურა.

### იწყება ლექსიკონი

**წერა**—რუსული სიტყვაა. ქართულად ნიშნავს ზოგჯერ ბედს და ზოგჯერ კალმის გასმა გამოსმას. აქიდან ცხადია, რომ ვისაც გასმა-გამოსმა შეუძლია, ის უსათუოდ ჩაირიცხება სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის სინდიკატში, სადაც იყიდება იაფად და ნისიად ყოველგვარი ნედლი თუ ხმელი მასალა.

**მემარცხნეობა**—ეს ისეთი ეპიდემიაა, რომელიც განურჩევლად სქესისა და წოდებისა, მუსრავს ყველა ახალგაზრდას. ახლო მონათესავე წერის. ვისაც წერა შეეყრება, მას უსათუოდ მემარცხნეობა ხვითოსავით ხელში ჩაუვარდება.

**ფუტურიზმი**—მეგრული სიტყვაა, რაიც ლათინურად ნიშნავს ფუტურო ხეს, ზოგჯერ ბარაბანს. იტალიაში ეს ხე ერთბელ ბრინჯივით ხარობდა. მებაღე ბარინეთმა მასზე ათასჯერ კვახი დაამყნო, მაგრამ ხე მაინც ფუტუროდ დარჩა. საქართველოში ეს ხე სრულიად არ ხარობს. მეგრულ მებაღეებმა, სახელდობრ, ჩიქვუნაამ, ჩაჩამ, შენგელაიამ, გორდეზიამ და სხვადასხვამ, მას ასხურეს ანტისანიტარული ხსნარი h2s04, მაგრამ არ იქნა და არ იქნა. მხოლოდ გამოირკვა, რომ ამ ხისთვის საქართველოს მაიაკოვსკური ნიადაგი ჭნაყოფო ყოფილა. მეორეჯერ მორწყეს მშვენიერ

P-7141



## კვირას—ღვინო პირისაკენ

დღეს ყველა ვამბობთ: ჩვენ ყურადღება
უნდა მივაპყროთ აწყამად სოფელს;
დღეს უნდა შველა და დახმარება
ჩვენსა გლეხობას ცუდ ბედში მყოფელს.

მართლაც ასეა და ასეც ხდება—
ყველამ ვიბრუნეთ სოფლისკენ პირი,
რომ მოვსპოთ უცბად დაკვრითი წესით
სოფლის ვაება და გასაჭირი.

საქმე თანდათან (თუმც კუს ნაბიჯით)
წინ მიდის, ვხედავთ, და გვიხარია;
თუ ყველა არა, ნაწილი მაინც
სოფლად ჩვენსავით დღეს მაძღარია.

ყველას უცხადებთ ჩვენ დიდ მადლობას,
აწყამად სოფელს ვინც ეხმარება,
და სათითაოდ მათი ჩამოთვლა
(დრო არა გვაქვს და) ჩვენ გვეზარება...

მაგრამ რა მაგრად წელში გაგვიჯდეს
სიზარმაცე და თან დაღლილობა—
გვერდს ვერ ავუვლით ერთს ჩვენს ნაცნობ
შეფს,
(თუმც ჩვენ არა—გვრწამს „ბიძაშვილობა“).

ერთ ალმასკომის ერთ თავმჯდომარემ
„იშვილა“ ერთი პატარა დაბა;
პირველ ნახვაზე ძღვნად მიუტანა
დამპალი ჩითის ნახჭარი კაბა.

გაეცნო შეფი დაბის მიდამოს
(ცხენით მახლობლად შემოიარა);
ფიქრობს:—რად ვსწუხვართ ასე სოფელზე?
უმნიშვნელოა მისი იარა.

არის სოფელში ღვინო და პური,
ეზოში ორი მამალი ჰყივის,
ჰიშკართან ბღავის მშიერი ძროხა
და საღორეში გოჭები ჰყივის.

ვაჰ! ასე კარგად მეც ვერა ვცხოვრობ,
ვერ ცხოვრობს ასე გამგე და სპეცი,
ერთ გოჭს, ერთ ქათამს და ორ კვარტ
ღვინოს
ველარ ყიდულობს დღეს ჩერვონეცი.

კაცს გაქვს სურვილი, შეძლება არა—
(ჩატეხილია მათ შორის ხიდი)...
აქ კი, რას ამბობ, ერთ ჩერვონეცათ,
სულო და გულო, რას არ იყიდი...

მეც ასე ვფიქრობ—„პირი სოფლისკენ“
მიტომ იძახის ამ ჟამად ყველა,
რომ ყველაფერი სოფლად იაფობს
და თან ქალაქში აწ უკვე ცხელა.

ფიქრობენ—წავალთ ზაფხულში სოფლად,
ვეტყვით—მოვედით თქვენდა საშველად...
სუფრას გაუშლის სოფელი სტუმრებს
—და გაწვებიან ჩრდილოში ველად...

---

ასე ფიქრობდა ეს ჩვენი შეფი,
რომ მ ს მოესმა ამ დროს მაყრული;
ამ სიმღერაზე...ო, ვერაგობავ,
მას დაებადა ფიქრები კრული...

იფიქრა:—არა, რატომ „ვიშვილო“?..
ეს ჩემგან ითხოვს ხარჯსა და ფულსა;
ისევ სჯობია „დავნიშნო“ იგი
—და ეს მას ჩემს წინ ჰყოფს ვალდებულსა.

---

თავის „ნაშვილებს“ ურცხვად, უტიფრად
გამოუცხადა მან სიყვარული:
უთხრა—კაცი ვარ და თავმჯდომარე,
რისთვის ვატარო გრძნობა ფარული,

შენ შემიყვარდი—და შენ ამაში
არ ნახო ცუდი და დასაძრახი...
ისე გაცხოვრებ, როგორც მეფის დროს,
თუ თავზე მხურავს მე ეს პაპახი...

---

გულში სხვას ფიქრობს: გავკეთდი კაცი...
გიყვარდეს ჭამა... ქეიფი და სმა...
მდიდარი არის... ყველას გვცემს პატივს,
თუ გინდ ვესტუმროთ უეცრად ასმა...

ზაფხულში ცოლშვილს გამოვაგზავნი,
თვით ვესტუმრები შაბათს და კვირას.
ადვილად გავალ—როგორც შეფიდან
არ აიღებენ საჭმელში ქირას...

---

სიხარულისგან ცას სწვდა სოფელი,
რომ მათ გაუჩნდა დიდი დამხმარე...
აწ გაუკეთებს სოფელს ყველაფერს
შეფი-სასიძო და თავმჯდომარე.

მართლაც ერთგულად ემსახურება—
მან იცის კარგად თავისი ვალი:
შაბათობითა ჩაჯდება ეტლში
თვისი ამქრებით კუჭ გამომშრალი

---

**არომატით:** „ლიტერატურა და სხვა“—ვაი თუ ამან სამუდამოდ დაასამაროს.

**დადა**—იგივე ხასდაგვარი. საშუალო მეოცე საუკუნის წყალსანაყი ქარხნის ლიბრეტი. ხუთი თვის ბავშების დედა-ენა.

**სიმბოლიზმი**—იგივე „ამინ მაირისაგან“. თუ შეგეფეთება, ქალწულ მარიამის კისერზე დაგაწყებინებს სრიალს. ერთდაგვარი თვალის მაზოლი, რომელიც ზოგიერთებს კეთროვანივით უდაბნოში მიაფრენს

**ყანწები**—ნიამორების რქებიდან გაკეთებული ერთნაირი სასმისი, ხელიდან ხელზე საგოგმანები; მონადირეთა, ლოთთა და ყარაჩოღელთა მუდმივი ძმა-ბიჭი, რომელიც რაც უნდა აშრო, აშრო, კუჭის ძმარსავით მშრალია.

**დუროვი**—სატარტაროზო რესპუბლიკის პირის ზიარება. ერთი ჯიშის სარკე, სადაც ყველა თავის შიგნეულობას ხედავს.

**მალშტრემ**—ინტერპლანეტარული სიტყვა. ექსპერანტო მარსიანელების, რომელიც გენიოსმა რუბაქმა გადმოიტანა მიწაზე საექსპერიმენტოდ.

**შანშიევ**—მწერალი, პოეტი, მელექსე, მესტვირე, მგოსანი, დრამატურგი, ანტიკი, ნეოპლატონიკი, სოფისტი, რომანტიკი, სანტიმენტალიკი, ხურო: დალაქი, მეჯინიბეთ-უხუცესი, პატიოსანი კაცი და ყველაფერი ის, რაც კი შობილა ამ ცოდვილ დედამიწაზე.

**შპიგელმენშ**—ქართული ორიგინალური პიესა შანშიაშვილის, რომელიც საუცხოოდ უთარგმნია უნიკო ვერხარნს.

**ტრაღედია ოხ**—ანუ მისტერია ბუფ! ჩინური ორიგინალური პიესა, რომელიც ქართულად, რომ წაიკითხო, სახლში ბევრს წაიღებ; რომლის დადგმას ამ მოკლე ხანში კისრულობს 50 წლის დამსახურებული რეჟისორი კარლო.

**დურუჯი**—მთის ნიაღვარი, რომელიც საქართველოს წარღვნას პირდება, თუ დროზე კიდობანი არ დამზადდა.

**გამსახურდია**—ფრანგული გვარია, მეგრულად ნიშნავს „ჩემი ქვეყანა, რომლის ნახვა რამდენი ხანია მინდა და ვერ ვნახე“.

**ტიციანი**—ტიციან მეფის კანონიერი ასული. შთამომავლობით რომაელი, რომელიც პოეზიაზე დაქორწინების შემდეგ ისე გასუქდა, რომ ქუჩებზე ძლივს მიათრევს კურტუმოს.




## ორშაბათს—ზურგი სოფლისაკენ

მიდის და მიაქვს ძველი პორტფელი,
(შიგ „საქმეები“ პორტფელზე ძველი);
თითქოს აწყვია შიგ ბონბსაცით
ჩერვონეცები ჯერ გაუხსნელი.

—

კვირა დღე დილით ეცნობა სოფელს
ძვირფასს სტუმრების მოსვლის ამბავი.
გაშალეს სუფრა... ზოგს მოაქვს ღვინო,
ზოგს ინდაური და ზოგს კი კრავი.

პირველი სიტყვა შეფს მიაკუთვნეს
და მან წარმოსთქვა სიტყვა მარტივი:
—ამხანაგებო, ჩვენ აქ მოვედით,
რომ თქვენ გაგიხსნათ კოოპერატივი...

აგიგოთ სკოლა, სახალხო სახლი
და გაგიყვანოთ სოფელში გზები...
დაგეხმარები ყველა საქმეში,
როგორც მკვიდრი და ნამდვილი ძმები.

„რომ ლხინში ყოფნი ჩვენ ძმად მოგვაჩნდეს
„ის ვერაფერი სიყვარულია,
„საქმე ის არის,—უნდა გვიყვარდეს,
„ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“

დიახ! ასეა... მდგომარეობა
თქვენი ამ ჟამად მეტად ძნელია,
მაგრამ სულ-მალე გამოსწორდება,
რა კი მოგეცით ძმურად ხელია.

მაშ გაუმარჯოს სოფლის ქალაქთან
დაახლოვებას და მეგობრობას,
და გაუმარჯოს ამ მიზნისათვის
ჩვენს აქ შეხვედრას და ჩვენს შეფობას...

—

დაღამდა კვირა... დათვრენ სტუმრები,
მაგრამ ქეიფი მაინც გრძელდება,
და ჰკვირის შეფი: „სუფრას ნუ მოშლით
და სმა განაგრძეთ.. აწ გათენდება“...

—

გათენდა დილა... მზემ ამოსწვერა
(საზარელია დღე ორშაბათი)
ო, რაოდენი უნდა იტანჯო,
მინამდე მოვა ისევ შაბათი.

—

იქ ვერ მოასწრეს ყველაფრის შეჭმა
და წამოიღეს გზაში საგძალი:
ტიკჭორით ღვინო, პურები ბლომად,
ერთი გოჭი და ღორის ბარკალი.

პინჟარი

---

პაოლო I პატიოსანი კაცი, რომელიც მუშტს ისე არ გაიქნევს, რომ სამჯერ პირჯვარი არ გადისახოს. დიდი ახოტნიკი ძაღლების და ეცვნების.

პაოლო II—პაოლო I-ის კანონიერი გერი, რომელიც ამ მოკლე ხანში სირაკუზაში აპირებს წასვლას, დაჩვეულ სიყვარულის დასამთავრებლად.

ჯაფრინდაშვილი—არავითარი ახსნა არ სჭირია. საქართველოში ძაღლმაც კი იცის, ვინ არის იგი.

გრიშაშვილი—სომხური სიტყვაა, რაიც ქართულად ნიშნავს გრიშკა რასპუტინს, აჯი-ბაბას ანუ ქალთა შინაგან ავადმყოფობის ექიმს.

— ირრუბაქიძე—შტეინახის მარადი ექსპერიმენტი. საზღაპრო კაცი, რომელიც დღითი-დღე თითო „რ“-ს მატულობს და ახალგაზდავდება.

გალაქტიონი—ერთგვარი ლურჯი სუხარი, რომელიც ტერენტისტებმა ხრეს, ხრეს და მისგან დარჩა ნიხტ.

ტერენტიზმი—ბაირონიზმის ნაკუდარი, გალაქტიონიზმის სითხით ნასხური; ერთგვარი დეზინტერია, „ახალგაზრდობას ესენი მემარცხნეობაზე არა ნაკლებ ედება, რაც საჭიროა დროზე აილაგმოს. ტერენტიზმით შეპყრობილი გზაზე არც ერთს სქესს უკოცნელად არ გაუშვებს. ეს არის ერთგვარი რეკლამა კარიერისკენ და კაცთმოყვარეობისკენ (ფირმა—ბალდახინი მის პოეზიას).

ჯვეტაძე—როდესაც ნაზარეველი აცხადებდა თავის თავს მესიად, მაშინ პატარა რაჟდენა ტვანში ქმნიდა ახალს სამყაროს სავსეს ვირებით.

— ჩიკოვანი—ხუცური სიტყვაა, მეგრულად ნაშნავს გოსხაპია ხვიტიას: თომა ჩიქვანაიას მონათესავეს; ქოჯგალე-გენაცვალეს და სხვა და სხვა თარალე-ჰარალეს პესნებს; პირველი კაცი თავის ავტონომიურ საბჭოში.

პოეტი—უცნაური სახელი, რომელიც არ ვიცი, ვაჭრობაა თუ გაიძვერობა, წუწკიკრივი თუ ჭიდაობა, ნესტორ ესებუა თუ

**მარქსი.** გილოცავთ პრეზიდენტად არჩევას. (თავის გულში) ვაი, ჩემო უბედურო თავო, მე უნდა ვყოფილიყავი პრეზიდენტად და ეხლა ეს არის...

**ჰინდერბურგი.** მეც ასევე მოგილოცავდით, რომ თქენ გაემარჯვათ არჩევნებში. (თავის გულში) მოგილოცავდი კი არა— სამარეს გაგითხრიდი.



გლდანელი; თითისტარის ტრიალი თუ პორიკანობა, კარიერა თუ იმპერიალიზმი; ქაქანი თუ კვერცხების მტვრევა. თვით მკითხველისთვის მიმინდვია მისი განმარტება, რადგან თანამედროვე პოეტებში ვერსად ვპოვე მისი სწორი ახსნა. ბრძენ ბიძინა აბულაძის თქმით ის უნდა იყოს: პირს უკან გინება და პირში კი უშნო ღრეჯა.

**მწერალი**—გაუსვი და გამოუსვი; ქეიმასქენი და გაიმასქენი, მიიმასქენი და ქე მოიმასიზამ რაღაცას. მიაშავე და ქე ხარ მწერალი.

**სტუდენტი**—თავისუფალი მოხელე; ტანწერწეტიზმი და ტკბილ-მოუბარი, როელიც ძალიან კაპას კურსისტკასაც კი ააფრენს საზუდარიდან.

**ვერის დაღმართი**—ჯანდაბეთის გზა. ტუბერკულიოზის ტრესტი და ხოლერის კავალერია. მტვერის აბანო, კაცთა სასაკლაო. თუ გასულხარ ფეხით, გეტირება ბრონხები; თუ გასულხარ ეტლით, გეტირება ჯიბე.

**ზესტაფონი**—იგივე საქარა, ზელანდიის სატახტო ქალაქი. იქ ისეთი ტალახის აბანოებია, რომ მორჩენისგან—ამან შაირისაგან.

**ტარტაროზი**—ყოვლად პატიოსანი და მიარწმუნე ბერი. ძალიან უყვარს საალდგომოდ დალაქიაბა. რქიანი კაცია. დაგიფაროს ღმერთმა ყველა მის მათრახებისგან.

აქ სრულდება პირველი თავი. დანარჩე თავებში იქნება იმდენი რამ უცხო და ახალი, რომ თმები ყალყზე აგიდგებათ. ნუ გან მოსტივებთ ნურცერთ ნომერს. ვისაც გაქვთ შესაკვეთი, მომმართეთ მე: ქ. სირაკუზა, ტარტაროზის ქუჩა, სახლი № 0,001.

**ტარტაროზის კუდი.**



# გიჟო ანდრია

გაგრძელება

IX

წასულ თავებში ჩვენ გოჰოურას
ასე თუ ისე შევასხით ქება...
(განა სიმართლის ღირდა დამალვა
რომ ალალადდენ შემდეგში ქვებმაც?..)
თუმცა ბევრი რამ არ გვითქვამს მაინც,
როცა გაიგეთ გოჰოურაში
ჩვენდა საჩუქრად მზადდება კეტი.
რომელ კეტზეა აქ ლაპარაკი
ამაზე სიტყვა გვექნება შემდეგ;
თუ კი ამ კეტის მოხდა მოქნევაც,
ჩვენს ჟურნალიდან გაიგებთ შედეგს:
პირველ ფურცელზე, ან სადმე ბოლოს,
ან და საერთოდ იმ არე-მარეს,
ნახავთ არშიას სამგლოვიაროს
და წაიკითხავთ შიგ ცნობას მწარეს:

ნათესავების ყველა მოდგმის და ყველა ჯურის
გარეშე სქესის, ეროვნების, ხნობის და რჯულის,
ცრემლშეუშრობი ტარტაროზი, გულღვიძლ
დამწვარი,
უბედურება ეწვია რა მძიმე და მწარი,
აუწყებს ყველას: ამხანაგებს, მტრებს და მეგობრებს,
ჯერ თანაგრძნობას უცხადებს რა დარჩენილ ობლებს,
რომ მიმავალი გოჰოურას წუხელლამ მარტოთ
მხაკვრულ ხელიდან დაეღუპა ძმა

სინემატო

და აუწყებს რა მრთელ ქვეყანას ამ საზარ ცნობას
ნიცნობებთაგან ელის ჭუგეშს და თანაგრძნობას.

როცა ამ ცნობას გადაიკითხავთ
აი, მაშინ კი მიხვდებით სწორეთ,
რომ ყოველგვარი ანგარიშები
ხსენებულ კეტთან ჩვენ გავასწორეთ.
ეხლა კი კეტის, თუ სხვა მუქარის
არა გვაქვს შიში ფრჩხილის ოდენაც,
და დამშვიდებით ბედის ლოდინში
დაწყებულ ამბის განვაგრძოთ დენა...

X

კოოპერატივს გოჰოურაში
დიდი სახელი ქონდა თავიდან,
განსაკუთრებით კი იმის შემდეგ
რაც ძველი გამგე სხვაგან გადვიდა
და მის მაგივრად დანიშნეს ვინმე
ყმა შავგრემანი, საშუალო ტანის,
ყოველ საქონლის საფუძვლიანად
მცოდნე გატანის და შემოტანის.
დაბადებიდან დღევანდელ დღემდე
სხვა რამე საქმე არ უკადრია.
კოოპერატივს მეტის ძალღონით
ვინ უთავდება ვიდრე ანდრია?
და მართლაც, დუქანს ჩვენმა ანდრიამ
ისეთ ძალღონით მოჰკიდა ხელი,
რომ არ დასტოვა ამოუვსები
არც ერთი თაგვის არც ერთი ხვრელი.
გადააშენა ყველა ვირთხები,
ლამე წრიპინიც არ ისმის ერთი...
ალმოსაფხვრელად ყოველგვარ ავის
დროზე მიიღო ზომები მკვეთრი.
მორჩა რა იგი ამ პირველ საქმეს,
დუქანს გარშემო უყო რემონტი,




ნემსის ოდენა პუშრუტანაც კი
ამოუვსები დასტოვა როდი.
ააკრა კედლებს ფიცრები, ტკეჩი
და გულმოდგინეთ ისე შელესა,
რომ მზის სხივიც კი, თუ სხვა არ რამე,
მაღაზიაში შეძვრება ვერსად.
(თუმცა ამბობდენ ჩურჩულ-ჩურჩულით
გოჭოურაში ენები ფლიდი,
რომ ჩრდილოეთით დარჩა ანდრიას
ერთი ხვრელიო საკმაოდ დიდი.
მაგრამ ხომ იცით რა არის ენა,
ენა მტრებისა, ავსავსე შურით,
რომ მათ ღვარძლიან ნალაპარაკევს
ადამიანმა ათხოვოს ყური?)
ისე გაერთო საქმეში ანდრო,
რომ არც კი მიდის ცოლშვილთან სახლში..
დაბოლოს მორჩა რა მუშაობას
გასწორდა მხრებში და ჩაჯდა დახლში.

XI

ვიდრე დილიდან საღამომდისინ
დუქანს განაგებს ანდრია თვითონ,
ყოველ კოლოფზე, ყოველ უჯრაზე
ჰყავს მიჩენილი ნოქარი თითო.
განსაზღვრული აქვს სულყველას საქმე.
სულყველგან „ნოტი“, ზევით თუ ქვევით...
და ჩვენი გამგეც გატაცებული
ასე არიგებს თავის ხელქვეით:
შენ ჩაგებაროს ჩეკების წიგნი,
მუშტარს კი უნდა შენ შეეგებო:
შენ კი აქ იდექ და უთვალთვალე,
არ შეშოგვადნეს უეცრად ერბო!..
შენ წილად გერგოს საქონლის წონვა,
შენ სალაროში კი იჯდე უნდა,
თან შეეცადო შეძლებისგვარად
„სპიჩკად“ აქციო წვრილ-წვრილი ხურდა.
შენ კი გეჭიროს თვალი კარებზე—
არ გაიტაცონ მუშტრებმა რამე,
შენ კი მზად იყავ აანთო ლამფა,
როგორც კი ქვეყნად ჩამოვა ღამე!..
და ვაჭრობს ასე ჩვენი ანდრია...
წვალობს... არ იქნა, არ ყოფნის შტატი...
როგორ გაწვდება ერთ მაღაზიას
თვით გამგის გარდა სულ კაცი ათი?...

XII

ნეტავი რა აქვთ მაღაზიაში
გამოსადეგი კაცისთვის ნივთი?..
მხოლოდ არა აქვთ, ისიც შემთხვევით,
შაქარი, ნავთი და კიდევ ჩითი.
მაგრამ ამათაც, ამბობს ანდრია,
(აქ მას ნოქრებიც უდგება მხარში)
თუ, დამერწმუნეთ, ხვალ დილით არა,
მივიღებთ მაინც ამ ახლო ხანში.
გაგზავნილი გვაქვს მათ შესაძენად
მთელი მოგება და მთელი თავნი.
მანამდისინ კი დუხით და პუდრით
შეიყოლიეთ როგორმე თავი...
რას გვედავებით, როცა მივიღებთ,
ნუ გეშინიათ, ჩვენ თვითონ ვიტყვით...
ეხლა კი თავი ნუ მოგვაბეზრეთ
თქვენი აზრენი სულელურ კითხვით.
ხომ ხედავთ საქმეს ვუწვდებით ძლივას,
თქვენ კი თქვენს ჩითით სულს გვართმევთ
რაღა!
ვითომ ყიდულობთ?.. თქვენზე გირვანქა
კამფეტიც კაცმა ვერ გაასაღა!..
(შემდეგი იქნება)

**ხინემატო.**

# სრულიად ჯოჯოხეთის სატარტაროზო მეორე კომბლევერენცია

პირველ კომბლევერენციიდან სრულ ექვსი თვის თავზე, გუშინ ღამის 12 საათზე ჯოჯოხსალაყბოს დიდ დარბაზში შესდგა სრულიად ჯოჯოხეთის სატარტაროზო მეორე კომბლევერენცია.

სხდომა გახსნა ამხ. ტარტაროზმა,

რომლის წინადადებით სხდომამ დაჯდომით პატივი სცა ბულგარეთში დროიანათ დახოცილ ღენერლებს და მეფის ლაქიებს.

შემდეგ აირჩიეს საქმიანი და უსაქმო პრეზიდიუმი.

თავის მისასალმებელ სიტყვაში ტარტაროზმა ხაზი გაუსვა-გამოუსვა თანამედროვე მდგომარეობას და ბოლოს ფეხი მიაჭირა იმაზე, რომ კომბლევერენციას ბევრი თავსამტვრევი საკითხები აქვს გადასაწყვეტი და მოუწოდა წევრებს მეყაითად შეუდგენ ჩხირკედელაობას. (გახურებელი ტაში).

ტარტაროზის სიტყვა გადაითარგმნა ყველა არსებულ და არ არსებულ ენებზე.

ბოლოს გაიმართა საღამო-წარმოდგენ[...]
წარმოდგენილი იქნა ცნობილი პიესა: „მე[...]
კვინტებშარცხიონალი საერთაშორისო პრ[...]
ფმოძრაობის გათიშვის ფრონტზე“.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა დივერ[...]
ტისმენტი. წარმოსთქვეს ლექსები და თგა[...]
არაკები სხვადასხვა ოპერებიდან. მუსი[...]
ლურ განყოფილებაში განსაკუთრებულ[...]
ყურადღება დაფანტა ზევარიკა ფინთაზ[...]
მის რომანსმა: „გალიფე შალვრებიანე[...]
რუსთველის პროსპექტზე“.

# ყველაფრის წევრი



— იცი ვინ არის ეს კაცი?
— ოოო... როგორ არ ვიცი! ეს არის ყველაფრის წევრი

### მეორე სხდომა

## საყოველთაო მდგომარეობა

(ამხ. კონწარის მოხსენება)

(მოგვყავს უცვლელად, შემოკლებით). ამხანაგებო! (ახველებს) დღეს ჩვენი საყოველთაო გარემოება, მდგომარეობის პრინციპების მიხედვით, ფრიად ექსტენსიურია; განსაკუთრებით ეს ითქმის დასავლეთის კონტიგენტზე... (ისმის ხმები: მდაბიოთ, არაფერი არ გვესმის!) თავმჯდომარე: სიჩუმე, მოითმინეთ და გასაგებ ენაზე შემდეგ გადავთარგმნებ; ამხ.-ნაგს სპეცთემა აქვს აღებული და საერთაშორისო ენაზე ლაპარაკობს... (ხმაურობა, ისმის ხმები: „ძირს ძველი სპეცები, გაუმარჯოს ახალს“).

### რეზოლიუცია

მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც უარყოფილია საერთაშორისო ბურჟუაზია და მოწონებულია ტარტაროზინტერნის მუშაობა.

### მესამე სხდომა

## ჯოჯოხეთის შინაური მდგომარეობა

(ამხ. ზმუკის მოხსენება)

„მე რად მინდა სიმდიდრე ან ქონება, თუ სოფელი გვერდით არ მეყოლება“. განსაკუთრებული ყურადღება სოფელს, ჩვენი ბარგი-ბარხანა იქ უნდა გადავიტანოთ და სუფრა მწვანეზე გავშალოთ. მუშაობაში არ უნდა იქნას ჩათრეული არც ერთი უვარგისი მაზრ-თემ სოფელ ალმასკომის თავსმჯდომარე. ისინი ყველა უნდა მოიხსნან თანამდებობიდან და ჯანდაბეთში იქნან გადაგზავნილი მოძულებით სამუშაოზე.

ჩვენ მოვახდინეთ გამოკვლევები ახლომახლო სოფლებში და დავრწმუნდით, რომ ზაფხულობით სოფლად მუშაობა სჯობია, ზამთრობით კი ქალაქში. ეს იმით აიხსნება, რომ ზაფხულში სოფლად ტალახი თითქმის ამომშრალია.

ზამთარში უგზოობისა და სიცივეების გამო, კოოპერატივებს საქონელი ვერ მიაქვთ სოფელში; ზაფხულში კი სპიჩქას მაინც იშოვი თამბაქოს მოსაწევათ და აქაიქ შაქარსაც შეხვდები ხოლმე.

ამას გარდა, ზამთარში გრძელი ღამეებია და სოფელში რა გაათენებს? ნუ გეშინია არ იშოვო წიგნი და ჟურნალ-გაზეთი. ზაფხულში კი დღისით თვალს გადაავლებ ბუნებას, საღამოს ბაყაყების კონცერტს მოისმენ ჭაობებში და ღამეც მალე გადის.

### რეზოლიუცია

მიღებულ რეზოლიუციაში ყველამ ერთხმად (ერთმა თავი შეიშაგრა, ორმაც ხელი არ ასწია) აღნიშნა, რომ ზაფხულობით საპირო პირი სოფლისაკენ და ზურგი ქალაქისაკენ.

### მეოთხე სხდომა

მოისმინეს მოხსენებები ადგილებიდან, რომლის დროსაც კომპლევერენციის წევრების ნახევარს ეძინა და ფრიად საგრძნობი ნაწილი გარეთ სეირნობდა.

მიიღეს სათანადო რეზოლიუციები.

### მეხუთე სხდომა

აირჩიეს სამანდატო კომისია, მაგრამ ამან იმდენი შეხლა-შემოხლა გამოიწვია რომ ხალხი დაიშალა და სხდომა გადაიდო.

### მეექვსე სხდომა

აირჩიეს პრეზიდიუმი, თავმჯდომარე და სამდივნო (სარედაქციო კოლეგიის მოვალეობა სამანდატო კომისიას მიენიჭა).

### მეშვიდე, მერვე და მეცხრე სხდომები

ყრილობამ მოისმინა ამხ. ვიზინტის მოხსენება კულტგანმანათლებელ მუშაობის შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღო სამოცამდე ორატორმა. ყველანი მიუთითებდნენ, რომ კულტმუშაობის დროს, ჩარტყმითი (უდარნი) წესით ყურადღება უნდა მიექცეს წაკითხვის უცოდინარობას.

სხდომამ უცვლელად მიიღო ზემოთქმული, მხოლოდ ჩაუმატა, რომ ვინაიდან ეს გადამწყვეტი ბრძოლა მოსპობს უცოდინარობას და შეიძლება უცოდინარებსაც, ცხადია ჯოჯოხეთის მშრომელ მასებს, ჟურნალ-გაზეთების დიდი მოთხოვნილება ექნება და ამიტომ საჭიროა გადიდებულ იქნას ჯოჯოხეთის ალმასზიურის ოფიციალური ორგანო „ტარტაროზი“-ს ტირაჟი.

ვინაიდან რედაქციას საჭირო თანხა არ მოეპოვება, ამიტომ თანხები გამოთხოულ უნდა იქნას ხინკილრესტის „მივლინებითი“ ფონდიდან ამხ. ბლიკვის პროტექციით.

### 30-10—19 სხდომები

**ფიზკულტურა და მისი მნიშვნელობა**
(ამხ. ტერსიტის მოხსენება)

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ ფიზკულტურას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. მან ორი საათის მსჯელობით დაამტკიცა, რომ ფიზკულტურით მოშეცადინე კაცი უფრო ღონიერია, ვიდრე ნაცარ-ქექია.

ამან გამოიწვია დიდი შეხლა-შემოხლა. ზოგიერთი ფიზკულტურის გარეშე მდგომი უკმაყოფილო დარჩა და... გაიმართა ფიზკულტურის „ვარჯიშობა“. ხალხი ელა ერთმანეთს შეიქნა ერთი აყალ-მაყალი. ვინ იცის საქმე რით გათავდებოდა, რომ ამ დროს თავმჯდომარეს კრება დახურულად არ გამოეცხადებია და ფიზკულტურას ვარჯიშობაც შეწყდა.

### 30-20 სხდომა

მოისმინეს თეზისები ყველა საკითხების გამო და მიიღეს ისინი არქივში შესანახად.

### 30-21 სხდომაზე

მოისმინეს ამხ. ტარტაროზის საბოლოო სიტყვა. მან უკმაყოფილოდ აღნიშნა ყრილობის ადრე გათავება (სულ 15 დღე გაგრძელდა) და გამოსთქვა იმედი, რომ მიღებულ თეზისებს და რეზოლიუცებს კარგად შეინახავენ სათანადო ორგანოები, ისე, რომ მათ არ ეღირსოთ სინათლეზე გამოსვლა და ცხოვრებაში გატარება.

— გახსოვდეთ, ამხანაგებო, სთქვა მან, რომ თეზისები და რეზოლიუციები ცხოვრებაში ნაკლებად ტარდება და ნურც ჩვენ შევიწუხებთ თავს და სხვებსაც ნუ შევაწუხებთ მაგი „ტარებით“.

**ლანჭიპა.**





— ამ სარდაფში ცხოვრებამ ქარები და ჭლექი გამიჩინა. ჩემი სიცოცხლე— ძაღლური სიცოცხლეა და არა ადამიანური.



— ასეთ „ძაღლურ სიცოცხლეზე“ არავინ იტყვის უარს.

# წმინდა სამება

**ანუ შერისხვა ჩემი, რომლის მიზეზიც იყო სიტყვა რუსული ჩემ მიერ წელიწადში ერთხელ თქმული.**

„Просвятая Тройца, помилуй нас“.
**რომელიც ეწყინა ხამში ერთ თინას.**

მომეპარბა ცოდვები მე ფარულ—შემჩნეული;
რა ვქნა, ველარ ვისვენებ, როგორც სული წყეული.
ჯოჯოხეთის ძალა მფლობს უკუღმართი, გრძნეული,
— არ ვიცი სად დავდივარ გზა და კვალ დაბნეული.

ერთხელ ვცადე ცოდვილმა ცოდვის მონანიება,
მაგრამ, საუბედუროთ, ძველს ახალი მიება.
ცხვირი სულ გამისივდა და დამიწყო ღება;
თუ როგორ მემოქმედა, ვიწყე ამის ძიება—

მაგრამ მწვავე ცრემლები ვერაფერმა მომხოცა.
რისხვით გადმომყურებდა ღრუბლიანი უხმო ცა.

გადავწყვიტე ბოლო ჟამს, მექნებოდა დრო როცა,
— რომელიმე წმინდანი მე როგორმე მელოცა.

დავეძებდი სალოცავს მე გულ-ნაწიწმატები.
ვეძებდი და გამოჩნდენ სალოცავი ხატები.
რა ვიხილე—მეჯონა მზე შუქ-მონამატები,
იზიდავენ თვალს და გულს, როგორც ანდამატები.

მყისვე წმიდა სამებად მე ისინი ჩავსთვალე,
და როს მომიახლოვდნენ, ეს ლოცვა მივახალე:
— ყოვლად წმიდა სამებავ, ჩვენ სამი შეგვიბრალე.
(რადგან სამი ვიყავით, არც ის ორი დავმალე)

ამ სიტყვებზე გარისხდა ჩემი წმიდა სამება
და ვეღარც კი მოვასწარ თვალის დახამხამება,
რომ რისხვა მოვისმინე და მყის ენა დამება,
სიტკბოების სანაცვლოთ ვიგემე ვაზხამება...

# ჩემი პასუხი

**შავთვალას**

მე გეთანხმები, რომ დროება
წახდა მამაო,
(და მოლოდინი მისი შეცვლის
არის ამაო)
ხალხი იძახის: ეყოფა მღვდელს
რაც რომ გვჭამაო;
არ გვსურს „ოსანა“, გვირჩევნია
ჩარი-რამაო.

ეჰხ! მთლად გაირყვნა ეს ქვეყანა,
—თორემ, მითხარი,
—სად „ტარტაროზი“ და სად სოფლის
წმიდა მოძღვარი?
მე მრწამს, რომ ხუცესს ხელში უნდა
ეჭიროს ჯვარი
და იყოს იგი ისე სათნო,
ვითარცა ცხვარი.

რაც არის არის...არ ვაგრძელებ
საკითხს ამ მხარეს,
არ გამოვიწვევ ამისათვის
მე კამათს ცხარეს...

მიიღეთ ჩემგან ყოვლის უწინ
მადლობა წრფელი,
რომ თქვენ ყოფილხარ „ტარტაროზის“
ერთი მკითხველი
(იშვიათია, რომ მკითხველად
გვყავდეს ჩვენ მღვდელი
და იმათ შორის ჯერჯერობით
შენ ხართ პირველი)

ეხლა შევეხოთ მწვავე საკითხს,
წერილის თემას...
(ალბათ მიეცი „ტარტაროზი“
შენ ანათემას)...

რაშია საქმე?... სად „ეიზინტი“...
სად ვინმე „მორი“
ერთი გგონია, მაგრამ არის
სხვადასხვა ორი.

„ეიზინტი“ ვერ სცნობს იმათ ვისაც,
„მორი“ ეხება.



შიქრიქი: კაცო, თვეში თორმეტი მანეთით როგორ უნდა ვარჩინოთ ცოლშვილი? ჩვენი გამგე, როგორც „სპეცი“, თვეში სამას-ოთხას მანეთს ღებულობს, და ჩვენ კი ასე ცოტას.

მექარე: რას ამბობ, კაცო? ჩვენ ერთი ცოლშვილი გვყავს სარჩენი და

(ამით ბრალდებას მათ შესახებ
ბოლო ელება)...
თუმცა, მამაო, უნდა გითხრა
—მეტად მაკვირვებს.
ისინი სდუმან და იმათზე
შენ რა გაკვირვებს?

მაგრამ რას ვეძებ სად მარხია
ძაღლისა თავი...
მაინტერესებს რომ გავიგო
მე ის ამბავი—
„გაკრეჭილ მღვდელში“ რომ შენ ნახე
თავისი თავი

მე წყალობა ვითხოვე, მათ კი რისხვა მომაგეს.
გამიკვირდა—და სიტყვა ზედ დააკვდა ამ ბაგეს.
იმათ მკვახე სიტყვებმა გული სულ დამიდაგეს,
სულმა ცნობა დაჰკარგა, აზრი გაჰყვა სიშმაგეს.
რას უნდა მივაწერო მე მათი განრისხება,
ჯერ ამის გამოკვლევა რაღაც არ მეხერხება.
თუმც არაფრად ჩააგდებს ვისაც არ ეხერხება,
მე კი ჯავრი გულიდან არ ამომერეცხება.
ნეტავ რისთვის შემრისხეს მე ღარიბი, ბედშავი;
იქნებ მართლაც ცოდვილი, რისხვის ღირსიც ვიყავი?!
ანდა გასცეს წყალობა მათ წინედ უამრავი,
და მის გამო, საბრალო დავრჩი გაუკითხავი.
თუ დამწყევლეს მე მაინც მაქვს მომავლის იმედი
და ვფიქრობ, რომ ოდესმე გამიღიმებს კვლავ ბედი,
მოწყალებას მივიღებ თუ არ ვარ წასაწყმედი
და ამისთვის ვლოცულობ მარტო ვით მოჰამედი:

ცის და ქვეყნის კავშირო, შენ წმიდაო სამებავ;
უთქვენოთ ვერ ვისვენებ და მით დღე მეშხამება;
ღამით ძილი არა მაქვს და თვალთა ღაამება,
მოწყალება მიიღეთ—ამაშორეთ წამება.
თუ ამ წმიდა სამებას ძალა დაუბრუნდება,
მაშინ ჩემი ლოცვებიც, ვიცი, არ გახუნდება,
იმათ ძლიერებაში ქვეყანა დარწმუნდება,
და ვისაც ის დღეს არ სწამს ხვალ შიშით შებრუნდება.
მხოლოდ თუ ამ სამებას სურს რომ მე გულს მიკლავდეს
და ჩემს ტანჯვა-წამებას თავის მიზნად სახავდეს,
მოწყალების სანაცვლოთ დაუნდობლად მკიცხავდეს
— ასეთ წმიდა სამებას ტარტაროზიც ჰკიცხავდეს.
მე მათ არ დავივიწყებ (გინდ გავხდე საძრახველი)
— მსურს რომ იმათ მონობდეს კაცთა გული და ხელი.
მსურს მათ ქებას ისმენდეს ყველა თვალგანახელი,
ტარტაროზის დავთრებში იყოს მათი სახელი.
— ენა დაადუმოსო—მათი წყევლა ეს არი.
მაგრამ, ეხედავ, ამშორდა წყევლის მე ნახევარი,
რადგან ჩემი კალამი დარჩა დაუწყევარი,
— მეც მათ ამბავს მდუმარედ აქ ვსწერ ჩუმი მკლევარი.

ღარიბი.



ჩვენს გამგეს კი რამოდენიმე. მას ჩვენზე მეტი სახარჯავი აქვს და კიდევაც ჩვენზე მეტს უნდა ღებულობდეს.

და მის გარშემო შენ ასტეხე
ერთი ამბავი.

არც კი მახსოვდი, როცა ვწერდი
„გაკრეჭილი მღვდელსა“,
თუმცა ვიცნობდი (თვით შენ არა)
შენს გვარს, სახელსა,
—და თუ უწოდე „გაკრეჭილ მღვდელს“
შენი სახელი—
ბოროტი ზრახვით არ მიხლია
მე თქვენთვის ხელი

აქ შემთხვევაა, სასწაული
რაღაც ჯანდაბა.
სახელი „თომა“ წმინდანია,
აცვია კაბა...
მეწოდებია თუ გინდ მისთვის
სახელი „საბა“—
—გეწყინებოდა შენ თუ არა,
მითხარი, აბა?!
გეწყინებოდა და იტყოდი:
—ვარ „საბა“-ს შვილი
და ალბად მე ვარ აქ რომ სწერენ
ის „გაკრეჭილი“—

არა, მამაო, დამერწმუნე
არ ხარ ის „თომა“,
რომელმაც „ისე“ გაითენა
ქრისტეს აღდგომა.

მაგრამ მაკვირვებს, ასე მაგრად
რამ გაგაბრაზა...

ალბად გამართლდა ჩვენებური
სამი ანდაზა:

კატის და ჯოხის, წიწაკას და
ქურდის და ქუდის.
(ამას ამტკიცებს სუნი, რომელიც
თქვენ წერილს უდის)

თუმცა „შავთალა“ მეტსახელად
შექფერის ქალსა,
—მაგრამ თუ ხშირად ჩვენ ჩავსქერით
ვნებით მის თვალსა,
იგიც ჩაგვცქერის და გვიწოდა:
„ჩემი შავთვალა“—
რომ ეს სახელი ვიწოდოთ—გვაქვს
უფრება, ძალა.

„ვიზინტი“

P. S. სასარგებლოა თქვენთვის მეტად
რომ არ მაქვს „ნიჰი“
თორემ „უკბილო“ ვიქნებოდი
[სხვა „კარგი ბიჭი“.

„ვ“



# ჩემი სიყვარული

მწუხარეა გული;
მწუხარეა თვალი
და ისევ შურდგული
და ისევ დომხალი...
და ვიყიდე ფისტო..
და ვიყიდე ტყვია...
მინდა გადავჩისტო
რაც შუბლზე მატყვია...
ღამე მოდის გვიან,
როგორც ჩაირამა.
ღმერთო, მე რა მქვია,
ზღაპარი თუ დრამა?!
როცა ვიარები,
ყველა თვალში მიმზერს;
ვკურნავ ზიარებით,
ქებაძეს, ლაღიძეს...
ღამე როცა მოვა,
ლოგინში ვგორდები;
კურორტების გროვა,
ეშხის აკორდებით...
ტარტაროზო, ძილში
მე შენ შემიყვარდი...
ვინ ვარ? თხების ჯიში,
თუ მაისის ვარდი?
ძველი ცოდვა მოდის,
როგორც ვერმიშელი;
მაკარონის მოდაც
აწი ვერ მიშველის;
მწუხარეა ფიქრი,
უშორესი შენზე.
ეტლი სადღაც მიჭრის,
ეხ, მეეტლევ შესდექ!
გაიაფდა ხურმა
და გვეტაძის ვირი;
მე ღვინომ კახურმა
გამიწითლა ყური.
და მთვარის ეშვები,
უტურფესი შენზე;
ძირს ნუ დაეშვები,
ეხ, მეეტლევ შესდექ!..
რაღათ მინდა ვიყო
და ან რა ვაკეთო?..
მომაშორეს მიხო!
მომიტაცეს ქეთო!
დავრჩი მხოლოდ ბნელი,
ამ სიშორის გზაზე!
ვით მთვრალი გრანელი,
ყველას ვკოცნი ყბაზე...
მწუხარეა სული,
ო, ვერ დამფარავენ!..
ქონდარით ორსული,
შენ წმინდაო ამინ!
ამინ, ღმერთო, ამინ!
მე სადღაც მივდივარ!
კუჭია ვარამი
და ცრემლები მდივა.
და მოდის ხურუში,
როგორც ბამბის ქულა;
ჩემისთანა მრუში,
ბევრი გალახულა.
სული ისევ კურო!
ძროხა ისევ გული;
და სამოთხის სურო,
ტილიანში რგული.
გალაქტიონ მშვიდი;
როგორც ჭულინტი ყელი;

მტრის ტუჩზე ფშენილი,
სევდა და ნაღველი.
ისევ მიკვირს ვინ ვარ?
გამაგონეთ რამე;
შენ წმინდაო მყინვარ,
ტანჯვა და ვარამი!
ტარტაროზო მითხარ,
როგორ გავიკურნო?
რა მომარჩენს? ვირთხა
თუ რუბაქის კურო?
ეხ, მეეტლევ, შამშე,
გამიხსენი ღილი!
ნახე თუ რაოდენ,
ყვავის შიგნით ტილი...
და ასე ყვაოდენ;
პირველ დღიდან ზრდილი.
აჰა ჩერვონეცი,
პოეტს გასწევ მალე;
ნუ ხარ აგრე ბეცი,
ჩქარა გადამმალე!
და მოდის ანთება,
თემა რასპუტინის;
ოხ, შენ ანათემა!..
პრეზიდენტო დილის!..
და ვგორაობ ყუთში;
ტერენტიევით მთვრალი!..
ოხ, ეს თუთიყუში...
და ეს როიალი!...
ტარტაროზო ვინ ვარ?
ეგებ შენ იცოდე!
რად ჩამიქრა გრგვინვა,
უფალს რა შევცოდე?
მე არ ვარ ამ ქვეყნის;
ისევ ველი ბრამინს!
შენ ხელმწიფევ კვეხნის!
შენ წმიდაო აჰინ!
მენატრება მიწა
და სიცოცხლის ნამი;
ისევ შენ დამიცავ.
შენ წმინდაო, ამინ!

ტარტაროზის რქები.

---

# აბდა-უბდა

შემომაკლდა მოსაწერი,
ვსწერო უნდა აბდა-უბდა.
ტარტაროზთან გასაგზავნად
მსურს ავავსო ჩემი გუდა.

აღარ ვიცი რას მივმართო,
რომ თავს ხათა არა ვიდო;
ვის კვანტი ვკრა, ან ვის ეშვი,
ვინ ფეხებით ჩამოვკიდო.

თუმცა ბევრი რამე ვიცი,
მაგრამ წერად ეს ღირს განა,
როცა იმგვარს ჩადის ეხლა
სანახვეროდ ეს ქვეყანა.

რად დავსწერო, თუ რომ პეტრემ
ვინმეს ქრთამი ააგლიჯოს.
ან და პაელემ კაბინეტში
ქალის კოცნა ჩუმად სინჯოს.

ჩვენთვის არ აქვს მნიშვნელობა,
რომ მოხუცმ შეგირდს სცემოს;
ან მოლარე შეთანხმებით,
რომ გაეცნოს ფულის გემოს.

არც ის არ ღირს მოსაწერად—
რომელიმე რწმუნებულმა,
მის ხელქვეით ქალს მოსთხოვოს,
რაც მას უთხრას გრძნობით გულმა.

ქალმა თუ არ შეუსრულოს
და არ დაჰყვეს იმის ნებას—
ის ქალი რომ დაითხოვოს—
ხომ კი ვიესცემთ ამის ნებას?!

არც მას დავსწერ, რომ კონდუქტორს
ვინმემ ტიკი შესთავაზოს
და ამით გზა გაუკაფოს
უბილეთო მგზავრსა ვასოს.

აბა ეპოს და მუშკოოპს,
რას შევკადრებ სიძრახველსა—
შოკოლადებს და პომადებს
ასალებდენ თუნდაც ძველსა.

შაქარი, რომ არა ჰქონდეს,
არც ბრინჯი და ქართოფილი,

თუ ბევრი აქვს ლორიგანი—
ჩვენ მისი ვართ კმაყოფილი.

აბა ვისზე რა დავსწერო?
მაზრებს ხომ ვერ შევეხები,
თუმცა იქაც, როგორც აქა,
ვერაფერსა ვერ მიხვდები...

თუ რომ საბჭოს თავმჯდომარე
სოფლად გლეხებს ურისხდება,
ეს, რა უყოთ—ხშირად არის
უფრო მეტიც, რომ მოხდება.

კავშირებს და ადგილკომებს,
რას შევკადრებ!... იცავს მუშებს.
თუ ვერაფერს ვერ აკეთებს,
კედლის გაზეთს ხომ კი უშვებს,

რა დავსწერო, ანდა რა ვსთქვა
ალმასკომებს და თემებზე,
თუ გინ ავტომობილებზე
ანდა ნავსა და გემებზე. ?!
ყველაფერი რიგზე არის
და აწ რაღა დამრჩენია.
არ დავფარავ, თუ კი შემხვდა
თქვენთან გამოსაჩენია.

ამ სიტყვებით დავათავებ
ამ პატარა აბდა-უბდას.
ტარტაროზო, უკაცრავად
თუ ვერ ვგზავნი სავსე გუდას.

ბ. ოზოლი.




# დიდი-ჯიხაიში

(პატარა მესტვირული)

მინდა, რომ სტვირი მოემართო,
დავალიღინო ნელაო,
თან შემოვსძახო ქართულად
ოდელა—დელა—დელაო.

მაგრამ სიმღერას დამიშლის
ვიცი ამ სოფლის გამგეო.
მას მხარს დაუჭერს ტრიფონი,
ის ჩვენი მოამაგეო.

ბაზრის ბოლოში რომ გახვალ,
ნიკოლაძისა კარზედა
—ეტლი, კაცი და ურემი
ყველა იმტვრევა გზაზედა.

ამას უყურებს ტრიფონი,
ის ჩვენი მოურავია,
მაგრამ აბა ვინ გაბედავს,
რომ უთხრას სამდურავია.

ეხლა შენ ჩემო ქამანჩავ
გავსწიოთ სკოლისაკენა
და როგორ მოხდა გავიგოთ
მოწაფე ქალის გაფრენა.

მეტს ველარ ვიტყვი, აწ კმარა,
და შევაჩერე სტვირია,
თორემ ვისიმე მოხვდება,
იგი ქალების იპირია.

ზაზაიკა.

---

# კითხვა-პასუხი

მასწავლებელი: რა არის სამკითხველო?

მოწაფე: სამკითხველო არის ისეთი შენობა, რომელშიაც ინახება 5 წიგნი და 4 გაზეთი.

მასწ. როდის შეიძლება სამკითხველოში შესვლა?

მოწაფე. ყოველთვის, თუ გამგეს არ სძინავს ან და არ სეირნობს.

მასწ. რისთვის დადიან სამკითხველოში?

მოწაფე. საკითხველოში დადიან იმისთვის, რომ ქალ-ვაჟნი ერთმანეთს შეხვდენ თავის შესაქცევად და სალაზღუცოდ.

მასწ. დამისახელეთ კიდევ სად არის ასეთი ადგილები?

მოწაფე. ასეთი ადგილები არის, მაგალითად, ქ. ბორჯომის თეატრი.

მასწ. კარგი. აბა თუ მიხვდებით რა არის თეატრი?

**მოწაფე.** თეატრი არის ისეთი ადგილი, სადაც დგამენ წარმოდგენებს თვეში ერთხელ და ისიც „დარისპანის გასაჭირს“ და „ტიმოთეს ლეღვს“.

**მასწ.** რა განსხვავება არის საქათმეს და თეატრ შორის?

**მოწაფე.** საქათმეში დედალი კვერცხის დადების დროს კაკანებს და თეატრში ეს შეუძლებელია.

**მასწ.** მაშ სად შეიძლება ეს საქმე მოხდეს?

**მოწაფე.** ყველგან, თუ კი ფული ხელს გიწყობს.

**მასწ.** რა გზით შეიძლება ფულის შოვნა?

**მოწაფე.** ფულის შოვნა ყოველთვის შეიძლება, თუ სახელმწიფო დაწესებულება გენდობა.

**მასწ.** მაგალითად, როგორ?

**მოწაფე.** მაგალითად, მსახურობ აქციზის კონტროლიორად, თუ გინდ რაიონის სკოლების გამგეთ, ან და გლეხკომის თავმჯდომარეთ.

პირველ შემთხვევაში: დაიჭერ კონტრაბანტს, გაჰყიდი და ფულს ჯიბეში ჩაიდებ.

მეორეში—რაიონის ყველა მასწავლებლები მოგცემენ მინდობილობის ბარათს, აიღებ მათ ჯამაგირს და შენ თვითონ მოიხმარ.

მესამეში—გახსნი სასადილოს, სასადილოსთან ცალკე კაბინეტს შენთვის, მთელ შემოსავალს შესჭამ, კაბინეტში შეიყვან დედა-კაცს და შეგიძლია მთელი ღამეები გაერთო.

**მასწ.** სად შეიძლება უმთავრესად ეს მოხდეს?

**მოწაფე.** იქ, სადაც პასუხისმგებელთ უყვარხარ.

**მასწ.** რით შეიძლება ეს სიყვარული დაიმსახურო?

**მოწაფე.** იმით, რომ უნდა გვყავდეს ლამაზი ცოლი.

**მასწ.** თუ ცოლი არა გყავს?

**მოწაფე.** მაშინ კი გიჯობს თავი დაანებო სამსახურს.

**მასწ.** სად სჯობს სამსახურიდან გამოგდების შემდეგ ცხოვრება?

**მოწაფე.** ქ. ბორჯომში.

**მასწ.** რატომ?

**მოწაფე.** იმიტომ, რომ ზაფხულში ბევრი ქალები იყრის თავს და შეიძლება ბედმა გაგიღიმოს.

**მასწ.** გაიმეორეთ, რა სარგებლობა მოაქვს ქალის შერთვას?

**მოწაფე.** ის, რომ აქვე იშოვი სამსახურს, რადგანაც შრომის ინსპექტორს არაფერი ექნება შენი საწინააღმდეგო.

**მასწ.** რისთვის სჯობს ბორჯომში ზაფხულობით ცხოვრება, ვიდრე ზამთრობით?

**მოწაფე.** მით, რომ ზაფხულობით ბორჯომი საავარაკო ადგილია.

**მასწ.** ჩამომითვალეთ, ვის შეუძლია აგარაკზე ცხოვრება?

**მოწაფე.** ყველას, ვისაც ოთახი აქვს.

**მასწ.** რომელ რიცხვიდან რა დრომდე შეიძლება ოთახის შოვნა?

**მოწაფე.** დეკემბრიდან მარტამდის.

**მასწ.** შემდეგ?

**მოწაფე.** შემდეგ კი არა, რადგან ადგილობრივ ინაწილებენ ოთახებს.

**მასწ.** მაშ რა გზას უნდა დაადგეს აგარაკზე გაწერილი ავადმყოფი?

**მოწაფე.** აუცილებლად უნდა მოუტანოს წერილი X-ს.

**მასწ.** ვინ არის X-ი?

(ამ შეკითხვაზე მოწაფემ გარეთ გასვლა ითხოვა).

**ბოლოზა.**

## „ელოგია“*)

**(ჩვენ მგზავრობა ჭიათურაში)**

ოთხი დღე იყო დარჩენილი ცხონებულ იოსკას აღდგომამდე, როცა მარტის ჯამაგირების მისაღებად ჭიათურაში გავემგზავრეთ შორაპნიდან.

დილის ცხრა საათზე ჩავედით ჭიათურაში. ძალიან გვშიოდა და გლეხკომის სასადილოში შევედით.

— თუ ძმა ხარ ცხელი საჭმელი მოგვიტანეთ—მივმართეთ სასადილოს გამგეს. (თუ გამგე არ იყო, თანაშემწე იქნებოდა).

— ჯერჯერობით მზად არაფერი გვაქვს. წუხელის დავდგით ქვაბი და ჯერაც არ მოხარშულა ძვლები—მივიღეთ პასუხათ.

ამის შემდეგ ჩვენ გაუდექით ფუნიკულიორის ანუ ლეშასკომის გზას.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მეტად ვჩქარობდით, ოფლი მაინც არ გამოგვსვლია, რადგან აპრილის მიერ მარტიდან ნასესხები წვიმა კისერს გვიგრილებდა.

დიდხანს მოგვიხდა ცდა, რადგან განყოფილების გამგეს ძილი მეტად ჰყვარებია. ბოლოს, როგორც იქნა, გვეღირსა გამოტირებულ მარტის ჯამაგირის აღება. ჩვენ, სიხარულის და თანაც ერთი დღის მარხულობის გამო, მარდათ დავეშვით ფუნიკულიორიდან და პირდაპირ ისევ იმ სასადილოში ამოვყავით თავი.

სასადილოს სტუმრად ჰყავდა ერთი მთხოვარი, რომელიც ხარბად შეექცეოდა ვალაცას დაწუნებულ და მიტოვებულ კერძს.

ჩვენც მოგვიტანეს სადილათ ის ძვლები, რომელიც დილით იხარშებოდა, (ზედ ბლომად ეყარა მოხარშული ბრინჯი, რომელზედაც დაესხათ გამოხდილი ტყემალი) ცოტა პური და ერთი ბოთლი „გარჩიცა“ რადგან ძვლებს საზარელი სუნი ჰქონდა, ჩვენ ბლომათ დავასხით ზედ გარჩიცა და შევუდექით ჭამას. იმდენი მამა ჩემის სიკვდილზე არ მიტირია, რამდენი მე იმ გარჩიცამ მატირა.

*) ელოგია არის სეფისკვერის პატარა ნატეხი, ლუკმის მეოთხედი.

— არიქა ბიჭო, ღვინო დავაყოლოთ ამას, თორემ ცხარე ცრემლებით გვატირებს ყველას—გვირჩია ამხანაგმა და ღვინო ჩამოადგმევინა მსახურს.

გულკეთილმა და სინდისიერმა გამგემ, რათა ჩვენ არ დამთვრალიყავით, მოგვიტანა ღვინო-ნარევი წყალი.

რა თქმა უნდა, ასეთი პატივისცემის შემდეგ, ჩვენ ფხიზლად ჩამოვედით შორაპანში და მასწავლებლებს ჩამოუტანეთ მარტის ელოგია.

**თორელი.**

## ს. ღვანქითი

**(თერჯოლის თემი. შორაპნის მაზრა)**

**სცენისებური.**

**სკოლის გამგე.** ამხანაგებო, ჩვენს სასწავლებელს მთავრობამ მისცა დიდი ეზო, რომელსაც ღობე უნდა შემოვავლოთ, რომ ჯოგმა იგი მთლად არ გააპარტახოს. მთავრობიდან მიღებულია განკარგულება, რომლითაც თქვენ, როგორც სკოლის მზრუნველებს და სოფლის ასისთავებს, გევალებათ სკოლის ეზოს შემოღობვა. თქვენ უნდა გამოიყვანოთ სოფლელები და გააკეთოთ ეს საქმე.

**პირველი მზრუნველი.** ამხანაგებო. ეზოს შემოღობვა მართლაც აუცილებელია, მაგრამ მაგნაირად კი არ ევარგება. წკნელის და სარებისათვის ჩვენ უნდა გავჩეხოთ ტყე; ეს კი ბევრ შრომას მოითხოვს და თანაც საზარალოა. მე მგონია უკეთესი იქნება ეზოს ირგვლივ ამოვიღოთ დიდი და ღრმა თხრილი.

**სხვა მზრუნველები.** ეს მისაღებია. ღობე რომ შემოვავლოთ, სულერთია, მალე მაინც აღარ იქნება, რადგან ნელნელა დაარღვევენ. სჯობია თხრილი ამოვიღოთ.

**სკოლის გამგე:** ეს აზრი ძალიან მომწონს. ალმასკომიც შესცვლის თავის განკარგულებას და დაგვეთანხმება ჩვენ.

—

ალმასკომმა შესცვალა თავისი განკარგულება და დაეთანხმა თხრილის ამოღებას. მზრუნველები და ასისთავები მოუდენ სოფლელებს სამუშაოზე გამოსაყვანად.

**ასისთავი.** თქვენ, ამხანაგო გაწვეული ხართ თხრილის ამოსაღებად.

**გლეხი.** უკაცრავად, მაგრამ მე, როგორც საბჭოს წევრს ვერავითარ სამუშაოზე ვერ გამიწვევთ...

**ასისთავი.** (მიდის მეორესთან და ამავეს ეუბნება).

**გლეხი.** ამხანაგო, მე გლეხკომში ვარ და ვერ გამიწვევ.

**ასისთავი.** (მესამესთან)

**გლეხი.** ჩემი შვილი პარტიულია და მე ვერ გამიწვევ.

**ასისთავი.** (მეოთხესთან)

**გლეხი.** ამხანაგო, ჩემი შვილი წითელჯარშია და, ხომ იცი...

**ასისთავი.** (მეხუთესთან)

**გლეხი.** ჩემი შვილი ამავე სკოლაში მას-წავლებლად არის და როგორ შეიძლება მე სამუშაოზე გამოვიდე.

**ასისთავი.** (მეშვიდესთან).

**გლეხის შვილი.** მე ობოლი ვარ; ვერ გამიწვევ.

**ასისთავი.** (შემდეგთან)

**ქვრივი.** მე ქვრივი ვარ და უფლება არს გაქვს სასოფლო სამუშაოზე გამი-ყვანო.

**ასისთავი** (შემდეგთან)

**ინვალიდი** მე ძმაო, ინვალიდი ვარ... ხომ ხედავ არათითი მაკლია და მუშაობა არ შემიძლია.

**ასისთავი** (ასისთავებს, მზრუნველებს და გამგეს) ისევ ჩვენ თუ ამოვილებთ თხრილს, თორემ სხვა ძალა არ არის.

**ესნნი.** კი მაგრამ ჩვენ რა იმათზე ნაკ-ლები ვართ?! არც ჩვენი გაწვევა არ შეიძ-ლება ასეთ სამუშაოზე.

კუ.

# ჩოხატაური

განა, ყველასთვის იკმარებს,
რომ სწერდეს მარტო „კიკოლა“?
(ტრასტოჰ მოლოგინებით,
ევტიხი გადაიყოლა).
ნუ თუ დაბაში არ არის
სხვა საქმე და სხვა საწერი?
ზოგი ღვინოში ილრჩობა,
ზოგს არ აქვს მჭადის ნაჭერი.
ერთი ვიკითხოთ, რას შვება,
გლეხკომი გლეხის გუშაგი?
ვინაა მისი პატრონი,
ნესტორ, პავლე თუ უშანგი?
რას ეხმარება გლეხობას?!
რა აქვთ იმათთან კავშირი?
რა გაუსაღა ამ წელში:
ღვინო, შეშა თუ ნახშირი:
ამბობენ—პავლემ წააგო,
ნისიათ გასცა ღვინოო
და ამ მიზეზით სჭმი თვე.
დაკეტეს სასადილოო,
(მოყვარე მტერი კაცისა
მტრისაგან უფრო მტერია)
კასაში ფული თუ არ გაქვს,
რად გვინდა ბუხგალტერია.
პავლე გაუშვეს—მას ნაცვლად
მონახეს კაცი ნაგეში,
ძველი ჩარჩი და ვაჭარი
გამოქექილი საქმეში.
ღვინო აქვს თვისი მამულის,
და ყველი სახლში ნაწველი.
კაცს თუ იღბალი კი სწყალობს
სახლში მიუვა „საწველი“.
ასე თუ საქმე მოვაწყვეთ
ჩვენთან მოირბენს გლეხები.
(ბოდიშიც არ მომიხთია
კაცს რომ პარადათ ეხები).
საჭვო არის კოწიას
სწამდეს „შველება“ გლეხისა,
იმან ხომ ხშირად ცროდა
შედგმა მათ ზურგზე კეხისა!
საჭირო არის აშისთვის
გლეხკომის დეზინფექცია,
ტარტაროზ, დრო თუ ექნება
ვსიხოვეთ წაგვიკითხოს ლექცია:—
როგორ მოეწყოს გლეხკომის
მორიგი ამოცანები,
ივაჭროს, ფული მოიგოს,
ან თუ დასთესოს ყანები.
ასე, რომ გლეხის სახელით
აღარ ვაჭრობდეს ჩარჩები;
გლეხკომს გლეხები უძღოდენ,
ვაჭრებმა ჰყიდონ ფარჩები.

ოსმან-ალა.



### სოფ. უვარელი (თელავის მაზრა)

ადგილობრივ დრამწრის სასარგებლოთ გამართეს წარმოდგენა. ერთი თვის შემდეგ როგორც იქნა მოამზადეს: „თავისუფლების მსხვერპლი“.

საღამოს, როცა უნდა წარმოედგინათ და საზოგადოება ფარდის ახდას უცდიდა, დაი-კარგა პიესა, რამაც მსახიობთა შორის დი-დი აურ-ზაური გამოიწვია. შეუდგენ ძებნას სცენის ყველა კუთხეებში, მაგრამ ვერაფე-რი გახდენ. ბოლოს შეუდგენ თავიანთ რო-ლების წერას, რომ ამით შეედგინათ მთელი პიესა.

ამ დროს დარბაზის სულ ბოლო სკამი-დან მოისმა ხარხარი:

— ხა-ხა-ხა-ხა... აი, სცენის მოყვარენიც ასეთი უნდა—წამოიძახა პიესამ (რომელიც ერთ მსახიობს ღარჩენოდა იქ) და თავისი თავი გადასცა ისევ სცენის მოყვარებას.

„მაღალი ლობე“.

### დ უ შ ე თ ი

ქუჩების განაყოფიერების მიზნით, სანი-ტარულმა კომისიამ აკრძალა სასუქი ნეხვის მანდვრებში გატანა და მცხოვრებლებისად-მი განკარგულება გასცა, რათა ყველამ შე-მოსწიროს ამ საქმეს თითო ურემი ნეხვი. მილიციამ ყველას გადააჭარბა შეწირულე-ბაში; მან 30 ურემი ნეხვი გაიტანა ქუჩებში.

— ՁՁ ბავშს მოულოდნელად დაასრუ-ლებინეს საბავშო სახლის სრული კურსი და ისევ დაუბრუნეს მშობლებს. (თუმცა უმეტესობას ასეთები არ ჰყავთ) მოსალოდ-ნელია სხვების გაშვებაც.

— დრამატიული წრე ენერგიულად მუ-შაობს. თითოეული წევრის საპატივცემ-ლოთ იმართება ბენეფისი. ხალხი ყოველ-თვის აუარებელი ესწრება, მხოლოდ მათი რიცხვი არასოდეს არ აღემატება 13 ნახ. კაცს.

დუშელი გიზა.

### დ. ჩხარი

ხანგრძლივი ავადმოყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ადგილობრივი

**გლეხკომის სასადილო**

მისი უძრავ-მოძრავი ქონება (ღვინოთ სავსე ტიკები) ამ დღეებში გაიყიდება საჯაროთ. განსვენებულის სულის მო-სახსენებლათ ყოველ დღე იმართება პანაშვიდი.

— იქიდანვე. ადგილობრივმა ლორებმა, რომლებსაც სურსათ-სანოვაგეს არ აძლევ-დენ თავიანთი პატრონები, პირი შეჰკრეს და დაადგინეს:—სავსებით ჩამოვშორდეთ ჩვენ პატრონებს და საკუთარი შრომით დავიკმაყოფილოთ თავი.

დადგენილება სისრულეში მოიყვანეს; უკვე შეუდგენ აბანოების გაღრმავებას და მიწაში გვირაბების გაყვანას. ადმინისტრა-ცია სიმპატიურად ეპყრობა ლორებს.

ლორების ასეთმა საქციელმა ძაღლებიც გაათამამა და აიმაღლეს ხმა. უჭმელობის გამო დააავათმყოფებულებმა თავიანთ თავს გამოუწერეს წიწილები და მალულად მუსრს ავლებენ მათ.

ტკიპა.

### ნ ი გ ვ ზ ი ა ნ ი

ადგილობრივ სახალხო სახლის სასარგებ-ლოთ მოეწყო დიდი საღამო ვახშმით და მუსიკით. შემოსავალი უკლებლათ მოხმარ-და ამავე საღამოზე მომწყობთა ქეიფს.

ხუშტური.



**ს ტ უ დ ე ნ ტ ი**

რომელსაც ოთხი წლის განმავლობა-ში უნივერსიტეტში ყოფნის დროს არ ჩაუბარებია არც ერთი საგანი, ამზადებს ჩამორჩენილ მოწაფეებს და სტუდენტებს სიზარმაცის ყო-ველ საგნებში. აგრეთვე აძლევს დარიგებებს და უწევს ხელმძღვა-ნელობას სამიკიტნოებში ყოველ-გვარ საქეიფო ექსკურსიებს. მეცა-დინეობა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული.

მისამართი: ოლღას ქუჩა

საბილიარდო.

## იაფად — სინდისიერად
ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა
# ნიჭიერი პოეტი

სწერს ლექსებს, პოემებს, დრამებს, ტრაგედიებს და სხვა ამგვ. კუპლეტები აფიშებზე და იარლიკებზე. ლიბრეტოები ოპერებისათვის დი ოპერეტებისათვის. სცენარიები კინო-დრამებისა და კინო-რომანებისათვის. ექსპრომტები. სასიყვარულო და საიუბილეო მიმართვები. წარწერები გვირგვინებზე და სამარხზე. რომანები, მოთხრობები და სხვა. შეკვეთა ყოველდღე და ყოველთვის. შესრულება სინდისიერი და დროული. ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია. ვინც ათ ლექსზე მეტს შეკვეთავს, შეღავათი 10 პრ.

## ბიჭუტა კოხრეიძეს,

რომელმაც გუშინ ლალიძის მაღაზიის წინ სეირნობის დროს მიწოდა პოეტი და რომანტიკოსი, ვიწვევ სამედიატორო სასამართლოში. თუ სამი დღის განმავლობაში ბიჭუტა კოხრეიძე არ მიიღებს ჩემს წინადადებას და დანიშნულ დროზე არ გამოცხადდება დანიშნულ ალაგას, უფლებას ვიტოვებ უწოდო მას მსახიობი და კოოპერატორი ამ სიტყვების სრული მნიშვნელობით.

## ამ დღეებში ამ დღეებში
# მოსკოვის სამახათო თეატრი
## განსაკუთრებით მუშებისათვის

გამართავს დახურულ წარმოდგენებს.

ფასები საგრძნობლად შემცირებულია.

ბილეთების ფასი 45 მ. 11 კაპ-დან—150 მ. 45 კაპიკამდე.

მუშათა ორგანიზაციებს ეთხოვთ დროზე წარმოადგინონ მსურველთა სიები, წინაალმდეგ შემთხვევაში დარჩენილი ბილეთები გაიყიდება გარეშეებზე.

ოპერისა და რუსთაველის თეატრებს შორის აჟედიენა

# ძ ა ღ ლ ი

ნიშნები: დაბალი, გამოურკვეველ ფერის, კუდმოჭრილი, მუნიანი. პატრონს ვთხოვ, კეთილ ინებოს და მომაშოროს ძაღლი თავიდან, რისთვისაც მიიღებს შესაფერისს გასამრჯელოს. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები ვიმოქმედო სასამართლოს საშუალებით.

## ვ ე ძ ე ბ ა დ გ ი ლ ს

ვასრულებ ყოველგვარ სამუშაოს. სტაჟი არ მაქვს. შემიძლია ერთდაიმავე დროს თავმჯდომარეობა გაუწიო რომელიმე მსხვილ ტრესტს სავაჭრო ბანკს, რამოდენიმე ათეულ კომისიას და რამოდენიმე ასეულ საიუბილეო ზეიმობას. თანახმა ვარ გავემგზავრო პროვინციაშიც, მოსკოვსა და ლენინგრადს. გასამრჯელო შეთანხმებით.

## ყველამ ☆ ყველამ
# ყველამ
## უნდა
ისადილოს საქ. არმიის
## წითელ სასადილოში
(ქიმერიონი)

ყოველდღე საუკეთესო საჭმელები საუკეთესო სახედარის ხორცისაგან. სასმელები ყველა ფირმის ♣ ნომრის

ფასები ხელმისაწვდომია.

ლანძღვა-გინება ოფიციანტებისაგან უ ფ ა ს ო დ.

# ტრამვაის დირექცია

ამით აფრთხილებს საზოგადოებას, რომ ვერის დაღმართთან ჩამოხტომის დროს მზად იქონიონ

მ ო ტ ო ც ი კ ლ ე ტ ე ბ ი

ტროტუარებზე საჩქაროდ გადასასვლელად. თუ ამის შემდეგ, აღნიშნულ გადმოსახტომზე, ვინმეს ავტომობილი წამოეწევა და უსიამოვნებას მიაყენებს, ტრამვაის დირექცია პასუხს ვერ აგებს.

# ვ ი პ ო ვ ე

10 მაისს, საღამოს პლეხანოვის პროსპექტზე, ოქროს ბრასლეტი და საყურეები. პატრონს ვთხოვ, მიმართოს გამოსასყიდათ მაბლობელ სამიკიტნოს, სადაც აღნიშნული საგნები იმ საღამოსვე დავაგირავე.




სარედაქციო კოლეგია

მთავლიტი 604 — პირველი სტამბა პოლიგრაფიულ გან. ს. მ. უ: ს. ტირაჟი 12.000.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 14 ივნისი 1925 წ.

# ტარტაროზი

№ 11—(14) გაზ. „მუშა“-ს ორკვირეული უფასო დამატება. № 11—14)



# სახალხო ჯანმრთელობა და ჯოჯოხეთის დასახლება

(დოხტაქარ ტარტაროზის მოხსენება სრულიად სატარტაროზო ექიმბაშთა კონგრესზე)

## კონგრესის გახსნა

სატარტაროზოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და ჯანმრთელობის კომისარი ამხ. კონწარი კონგრესს გახსნილად აცხადებს.

იგი ესალმება ექიმბაშ დელეგატებს და მადლობას უცხადებს იმისათვის, რომ მათი წყალობით სატარტაროზოში მრავალი სული მოისპო.

შემდეგ კონგრესი მისასალმებელ დეპეშას უგზავნის სენ პიერ ვარამს (დამსახური პროფესორი, ყოველგვარი ბაცილების გამომგონებელი და გამავრცელებელი) და უსურვებს ჯანმრთელობას და დღეგრძელობას, რათაც ამათ (ექიმბაშებს) მოემატებათ შემოსავალი.

რეზოლუციას ყველამ მხარი დაუჭირა ხელებით და ფეხებით.

ამ დროს დარბაზში მოულოდნელად შემოდის ტარტაროზი, რომელსაც კონგრესი ტაშით და „ვაშა“-ს ძახილით ხვდება.

როცა დარბაზი დაწყნარდა, ტარტაროზმა დაიწყო:

— ჩემი აქ მოსვლა ასე მოულოდნელად, მართლაც გასაკვირალია, და მე სრულიად არ მიკვირს, როცა თქვენ ასე აღტაცებით მხვდებით.

ყველას კარგად მოეხსენებათ, რომ მე წასული ვიყავი საზღვარგარეთ ჯოჯოხეთში და თანაც უნდა გამომერკვია ჯოჯოხეთის მცხოვრებთა რიცხვი.

## საქმე ჯოჯოხეთში კარგად არის

მე არ მოველოდი, თუ ასე ცოტა ხნის განმავლობაში ჯოჯოხეთის მცხოვრებთა რიცხვი ასე გაიზრდებოდა. თქვენ ვერ ნახავთ ჯოჯოხეთში ვერც ერთ თავისუფალ კუთხეს. ბინის საკითხი იქ კიდევ უფრო მწვავედ სდგას, ვიდრე ეს თბილისშია. განზრახულია, ვინაიდან სამოთხე დაცარიელებულია და შიგ მაინც არავინ ცხოვრობს, ჯოჯოხეთს უნდა შეუერთონ.

სამოთხეს კარგა მოზრდილი ადგილი უჭირავს; უწინ, ღმერთის დროს, ცხონებულები ბევრი იყო, რადგან სამოთხის კარებთან იდგა მექრთამე ქერუბიმი, რომლის მოსყიდვა იოლად შეიძლებოდა.

მაგრამ ეხლა, იქ ისეთი კარისკაცი გვიყენია, რომ მისი მოსყიდვა შეუძლებელია. ერთი სიტყვით საქმე ისე მიდის, რომ წამწყმედა ბევრს მოელის, და ჩვენც ბლომად უნდა გვქონდეს ჯოჯოხეთში ბინები მოწყობილი.

## იმედი გამართლეთ

ამხანაგებო, თქვენ არც ერთი არ ეკუთვნით ჩვენს პარტიას და ყველა ხართ კუპპარტიის წევრები. ჩვენ თქვენთვის არ დაგვავალებია ჯოჯოხეთში მცხოვრებთა გადასახლება. მაგრამ, მე თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ—თქვენისთანა დიდი ღვაწლი ომებსა და რევოლუციებსაც არ მიუძღვით ჯოჯოხეთის დასახლებაში.

ჩვენ ანგარიშით ვიცით, რომ ჯოჯოხეთის ცხრამეათედი თქვენს მიერ არის საიქიოს გაგზავნილი.

აი, სწორედ თქვენისთანა ჩუმი და ერთგული მომუშავენი გვჭირია ჩვენ.

## თქვენი და ჩვენი პირობები

ჩვენ, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელნი, ყოველთვის ერთი ჯურის ხალხს (ჩვენს მტრებს) ვაგზავნიდით ჯოჯოხეთში და ასეთებსაც მეტად ლმობიერად ვეპყრობოდით.

თქვენ კი მიუდგომელი ხართ.

თქვენთვის არ არსებობს არავითარი დაყოფა; თქვენთვის სულერთია:—ვინც უნდა იყოს, ყველას შეუპრალებლად აგზავნით საიქიოსკენ.

გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს კანონები, რომლის მიხედვით უნდა გვასამართლოთ ბრალდებულნი.

ნება მიბოძეთ—ორიოდე სიტყვით შევეხო ჩვენს კანონებს და სასამართლოს.

## ჩვენი სასამართლო

დიახ! ჩვენ გვაქვს მკაცრი კანონები, რომლებიც სასამართლოში სიმკაცრეს ჰკარგავენ. დღევანდელი ჩვენი სასმართლო ბებიასავით გულკეთილია და ამერიკულ კომიტეტსავით „მოწყალე“.

მართალია, მას გამოაქვს სასტიკი განაჩენი, რომლის შუამდე მოსმენის დროს დამნაშავეს ერთი წლის სიცოცხლე მაინც ეკარგება, მაგრამ, სამაგიეროდ, როცა შუასქვევით გასცილდები, ყველაფერი შეტრიალდება—და დამნაშავეს ისევ უბრუნდება დაკარგული წლის სიცოცხლე.

## „მაგრამ“ და „რომ“

ბრალდება დამტკიცებულია, მაგრამ სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში, რომ დანაშაული ჩადენილია.... რომ გაჭირვებამ აიძულა.... რომ მცირე წლოვანია.... რომ მეტად მოხუცია..... რომ პირველია..... რომ უწლოვანოა..... რომ..... რომ ..... რომ და აგრეთვე ამნისტია, დაადგინა: ბრალდებული მოქალაქე განთავისუფლებულ იქნას სასჯელისაგან.

## „იტოგში“ მაინც არ გვაკლდება

მაგრამ უნდა ითქვას, რომ სასამართლოს ასეთი პოლიტიკით, ჯოჯოხეთი არა თუ ჰკარგავს რაიმეს—პირიქით—კიდევაც იგებს. მაგალითად: კაცს უნდა რაიმე ბოროტი საქმე ჩაიდინოს. იგი ასე მსჯელობს:—ამას კი ვიზამ და—დიდიდი ერთი წელიწადი მომისჯონ ციხეში ჯდომა; შემდეგ გამოვალ და არხეინად ვიქნებიო.

და მართლადაც იგი ასე იქცევა. ერთი ბოროტი საქმე ხშირად მრავალი მოქალაქეს აგზავნის ჯოჯოხეთში და, ამგვარად, „იტოგში“ ჯოჯოხეთს მაინც არაფერი აკლდება.

## თქვენი პირობები უკეთესია

აი, ამხანაგებო, როგორც დაინახეთ, ჩვენ მეტად შეზღუდული ვართ; თქვენ კი პირიქით.

თქვენ, იშვიათად თუ მიხვდებით ავადმყოფის სატკივარს და რომც მიხვდეთ, იშვიათად თუ შესაფერ წამალს გამოუწერთ. ამას ამტკიცებს ის უამრავი შემთხვევები, რომლის ჩამოთვლა და დასახელება ძლიერ შორს წაგვიყვანდა.

მაგალითად, ვსთქვათ:—ცალ-ცალკე რამოდენე ექიმმა ინახულეთ ერთი ავადმყოფი. ერთი თქვენგანი ამბობს;—ეს არის ანთება, მეორე—ეს არის ტიფი, მესამე—ეს არის კუჭის მოშლა და ასე.

წამლებსაც სხვა და სხვას უწერთ.

როცა რამოდენიმე დღის შემდეგ ავადმყოფი კვდება, თქვენ ამბობთ:—კიდევ დიდხანს გაუძლია; ჩემმა წამალმა გაიტანა, თორემ ამდენხანს უნდა მომკვდარიყო.

პირისუფალიც მადლობას გიხდით და ის კი არ იცის, რომ ავადმყოფი იქნებ თქვენმა წამალმა მოჰკლა.

## ახალი ექიმები

ჩვენში ამჟამად ახალი ექიმები ბევრია. სანამ ისინი ქინაქინის გამოწერას და კანში ნემსების გაკეთებას ისწავლიდენ, აუცილებელია ამ პრაქტიკულ მუშაობაში რამოდენიმე ავადმყოფის სიცოცხლეს შეეწირავენ.

ამ გვარად, თქვენისთანა ერთგული მომუშავენი, ვიმეორებ, ჩვენ არა გვყავს. ჯოჯოხეთი, ეს მეორე ამერიკა, თქვენს მიერ იქნება დასახლებული. წინდაწინვე მიიღეთ ამისათვის ჩემი გულწრფელი მადლობა. თქვენ ყველა იქნებით ჯოჯოხეთის საპატიო მოქალაქეებათ და გეწოდებათ: „ჯოჯოხეთის სახალხო ექიმბაში“-ს სახელწოდება.

როცა იქ მობრძანდებით (და ვისურვებდი მალე მობრძანებულიყოთ) ჯოჯოხეთის სატახტო ქალაქში დაგიდგამთ ძეგლს (ტაში. „ვაშა“-ს ძახილი).

## მთავარი საკითხი

ამხანაგებო, ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მე ჯერ ერთი სიტყვაც არ მითქვამს მთავარ საკითხზე. ვფიქრობდი — იგი თვითონ მოვიდოდა და მომიახლოვდებოდა, მაგრამ, როგორც სჩანს, იგი ახლოს არ მეკარება და ისევ მე უნდა მივუახლოვდე მას.

დროის უქონლობის და თქვენი დაღლილობის გამო, მე ცოტას ვილაპარაკებ.

კონგრესის მთავარი საკითხი არის

## გაჯანსაღება

დღეს ჩვენი ორივე ყურების ყურადღება იქცეული აქვს ცხოვრების გაჯანსაღებას.

სატარტაროზოს ყოველ კუთხეში, ჩვენ გვყავს თავისი აგენტები, რომლებიც მოსახლეობას წამლობენ. ისინი რეცეპტებს

გვიგზავნიან აქ და აქედან უგზავნით დამზადებულ წამლებს. უნდა ითქვას, რომ განსალების საქმეში ჩვენ ბევრი გავაკეთეთ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია სხვა და სხვა გვარი სენი ჩვენში.

შევეხოთ ზოგიერთებს.

## ჭ ლ ე ქ ი

ეს ავადმყოფობა ძველის-ძველია. მასთან ბრძოლაში უძლური აღმოჩნდა მედიცინა. მე კი მგონია, ჭლექის მოსპობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ხალხი დაჭკვიანდება და ერთ ახალსა და ახირებულ ჩვეულებას გადაეჩვევა. სამღლიური კი არა, სამწლიურიც ვერ უშველის საქმეს, თუ ჭლექის გამავრცელებელი ბაცილები, რომელსაც „სიყვარული“ ჰქვია, არ მოისპო.

ამიტომ საჭიროა შემოღებულ იქნას „სამღლიური“ სიყვარული, რომ თვით სიყვარული სავსებით მოისპოს, როგორც ჭლექის გამავრცელებელი ბაცილები.

## ციებ-ცხელება

ეს ისეთი ავადმყოფობაა, რომ თვითეულს თქვენგანს გამოუცდიათ. იგი ჩვენში ქალდეადან არის შემოტანილი.

ჩვენი ქვეყანა მარად ციებ-ცხელებაში იყო, რომ ველური მტრები მოულოდნელად თავს არ დასხმოდათ. ამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, როცა ჩვენ აღარ გვეშინია გარეშე მტრების, ჩვენ ხალხს ეს ავადმყოფობა უკვე აღარ სტანჯავს, მაგრამ გაჩნდა სულ სხვა სახის ციება-ცხელება, რომელსაც ჩემი აზრით, ჩვენი ცხოვრების პირობებში აქვს ფესვები.

მე არ ვიცი ისეთი კაცი, რომელსაც დღეს არ ჰქონდეს ციებ ცხელება.

უბრალო კანტორის მოხელესაც კი აციებს, როცა შტატის შემოკლება დაიწყება.

ანდა ავიღოთ ასეთი შემთხვევა, რომელიც მეტად გახშირდა:

გამგემ რამოდენიმე ათასი მანეთი იჯიბა და ამისათვის სასამართლოში უკრეს თავი. მას აციებს და აცხელებს, თუ რა განაჩენს გამოიტანს სასამართლო. ბოლოს გამოირკვევა, რომ სასამართლომ მხოლოდ სამსახურიდან დაითხოვა, რათა მეტი თავისუფალი დრო ჰქონდეს და მითვისებული ფული უფრო ლაზათიანათ სჭამოს.

სწორედ ასეთი პირობების გამოა, რომ დღეს ჩვენში ყველას აცხელებს და აციებს.

მაგრამ ციებ-ცხელება მარტო ჩვენი ხვედრი არ არის. იგი უცხოეთში უფრო გავრცელებულია, რასაც უცხოელები ჩვენ გვაბრალებენ.

## „წითელა“

ჩვენში ეს ავადმყოფობა ძალიან გავრცელებული იყო.

მისი არ ეშინოდა ჩვენს ხალხს; პირიქით, კიდეც უყვარდა. ყვავილებით ხვდებოდენ მის მობრძანებას. მაგრამ უნდა ითქვას (და ამ დამსახურებას მათ ვერ წავართმევთ), რომ მენშევიკებმა ეს „ავადმყოფობა“ განდევნეს ჩვენი ქვეყნიდან. ბოლოს, როცა ისინი განდევნა ხალხმა, წითელა ისევ დაბრუნდა ჩვენში.

ვინც ღრმათ დააკვირდება დღევანდელ ცხოვრების ვითარებას, ყველა შეამჩნევს, რომ ალაგ-ალაგ „წითელა“ მართლაც სენია და იგი არ ჰგავს ძველებურ წითელას.

ჩვენ ვხედავთ—ვინც უწინ „წითელას“ გაურბოდა, ეშინოდა მისი, სდევნიდა და ავიწროებდა მას, დღეს იგი, პირიქით, მისკენ მიილტვის და ლამობს გაწითლებას.

გაწითლება თანდათან ეპიდემიურ ხასიათს ღებულობს და, საჭიროა შესაფერი ზომების მიღება.

ამით ვასრულებ ჩემს მოკლე მოხსენებას და ერთხელ კიდევ მადლობას გიცხადებთ თქვენ ჯოჯოხეთის სასარგებლო მუშაობისათვის.

ამ ზაფხულზე, თუ კი თქვენ ჯოჯოხეთის ინტერესების სადარაჯოზე იქნებით, შეგვეძლებათ აუარებელი მოქალაქენი შესძინოთ მას.

## მზად არიან

კონგრესის სახელით ტარტაროზს სალამს უძღვნის ერთი დელეგატი, რომელიც აცხადებს, რომ ისინი მთელ თავის უცოდინარობას მოახმარებენ ჯოჯოხეთის მოსახლეობის გამრავლების საქმეს.

ვინაიდან ლამაზი თანამშრომელი ქალი ამა თუ იმ დაწესებულებაში ითვლება ერთერთ პირველ იმ მიზეზთაგანად, რომელიც ხელს უშლის და მეტად აფერხებს შრომის ნაყოფიერების და წარმოების აწევის საქმეს, რადგან ყველა სხვა თანამშრომლები (მათ შორის ვაჟები ტრფიალის ალმურით, ხოლო ქალები შურით) უცქერენ მას—ამიტომ ამიერიდან არც ერთ დაწესებულებაში არ უნდა მიიღონ სამსახურში ლამაზი ქალი; ხოლო სადაც ასეთები არიან, დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქნან, მიუხედავად იმ გამგეების პროტესტისა, რომლებიც კარგად არიან განწყობილი ხსენებულ პირთან.

(ტარტაროზის დეკრეტიდან, რომელიც მოსალოდნელია ახლო ხანში გამოვიდეს).



ანდა როგორ უნდა იმუშაონ, როცა მათ გულს, თვალს და აზროვნებას ანდამატივით იზიდავს ეს ლამაზი ქალი.

## მილოცვები

ამის შემდეგ კონგრესს ესალმებიან მეკუზოების და მესაფლავეების წარმომადგენლები, რომლებიც მადლობას უცხადებენ დელეგატებს იმისათვის, რომ მიცვალებულნი მათი წყალობით ბევრია, რაც მათთვის (მეკუბოების და მესაფლავეებისათვის) მეტად სასარგებლოა.

გათენებისას კონგრესი დაიხურა ჩარირამახ სიმღერით.

ჰინჭარი.*)

*) რედაქცია საჭიროთ სთვლის ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცდენათ ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ ამბავი ესე მოხდა იმ ცხრა მთას იქით მდებარე ქვეყანაში, რომელსაც ტარტაროზეთი ეწოდება. ამიტომ თავს ნურავინ შეიწუხებს და ამას წინათ რომ ერთმა ნაწყენმა კინაღამ აგვიკლო (გამოწვევადეთ ეს წერილი მე არ მეხება!) ისეთ საქმეს ნუ გადაგვკიდებს.

ტარტაროზი.



# „აელიტა"

თითქმის წელიწადზე მეტია, რაც სა-ტარტაროზოს ყველა რადიო-სადგურებმა არაერთხელ მიიღეს რაღაც გაურკვეველი ხმები:

აჩნი... ადა—უდა...

ყველა სადგურები და მეცნიერები დააინტერესა ამ უცნაურებამ. თვით ტარტაროზი ღამეებს ათენებდა, რომ როგორმე გამოეცნო ეს სიტყვები... მაგრამ ყოველ გვარი და ყველას ცდა ამაოდ რჩებოდა.

თოთხმეტი დღის წინად, შუ ღამისას, როცა ტარტაროზი რადიო აპარატთან იდგა, ეს ხმები კიდევ უფრო გარკვევით და სიძლიერით მოისმა.

— ევრიკა! არქიმედივით წამოიძახა ტარტაროზმა—უკვე ვიცი—ეს ხმები საიქიოდან არის—და ტარტაროზი გარედ გავარდა.

იმავე ღამეს იგი ჰაეროპლანით საიქიოსკენ გაფრინდა, რომ გამოეკვლია ეს უცნაურება და საიდუმლოება.

ათა დღის შემდეგ ტარტაროზი დაბრუნდა და ჩვენ გადმოგვცა მდიდარი მასალები, რომლების ნაწილს დღესვე ვაქვეყნებთ ჩვენს ჟურნალში.

მოგეხსენებათ, რადიოს საშუალებით, შესაძლებელია ფოტოგრაფიული სურათების გადაცემაც. მიუხედავად იმისა, რომ ტარტაროზს ამისათვის არ ჰქონებია წაღებული საჭირო ხელსაწყო, მაინც მოიტანა ორის სურათი, რომლებსაც აქვე ვათავსებთ.

—

ჩვენ ყველაფერს ისე გადმოგცემთ, როგორც ეს ტარტაროზის მიერ დაწერილ მასალებშია.

—:—

აკაკი იჯდა, აიღო თავისი საყვარელი სალამური და დაიწყე სიმღერა:

აბა, ჩემო იოსებო,
ჩემ სახელის აბაჟურო...

ამ დროს რადიო აპარატმა დარეკა, აკაკი სიმღერას დაეთხოვა და გამოელაპარაკა:

— აკაკი ვარ... გისმენ.

— გამარჯობა, აკაკი... როგორ ხარ?

— გაგიმარჯოს... მე რა მიშავს, გვარიანად ვარ, ყოველ შემთხვევაში უკეთესად ვარ, ვიდრე მანდ... შენ ვინა ხარ?

— იოსები ვარ.

— რომელი?

— კაცო, ვერ მიცანი? ლექსების წერა რომ გასწავლე... ხომ იცი ჟურნალი „თეატრი და" იოსები...ო, უკაცრავად.. „ხელოვნება და" იოსები... ოჰ! დასწყევლოს ჭანკამ ტარტაროზი... „თეატრი და ცხოვრება".

— ჰოო, გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს, ჩემო იოსებ! რას მეტყვი ახალს?

— აკაკი, შენს საფლავს ნაღვარი წაიღებს... არავინ ყურადღებას არ აქცევს...



— გამარჯობა აკაკი.
— ვინა ხარ შენ? მე ვერ გიცნობ?
— როგორ ვერ გიცნობ; იოსები ვარ!
— არა, არა... შენ იოსები არა ხარ. იოსებას მე ძალიან კარგად ვიცნობ, მას დიდი და გრძელი წვერ-ულვაშები აქვს.
— აკაკი დამიჯერე მე ვარ იოსები.
ეხლა ჩვენში წვერ-ულვაშები საერო კაცს კი არა, ღვდლებსაც აღარ აქვთ.

ძეგლი დაგიდეს ოპერის თეატრის ბაღში, მარა ოთხკუთხედი პირამიდა, რომელზედაც შენი ბიუსტია, მალე დაიმტვრევა.. საჭიროა საფლავსაც და ძეგლსაც ყურადღება მიექცეს...

— მერე—და მე აქედან რა დაგეხმარო? საფლავში კაპიკი არ ჩაუტანებიათ... მაქ მაინც მგონი ეხლა ჩერვონეცი არის ხმარებაში და აქაური ფული მაიც არ გამოგადგება.

— არა, კაცო, მე არაფერს არა გთხოვ; შენს საფლავზე პანაშვიდი გადაგიხადე და ღირსეულადაც შევამკეთ საფლავი. ფულებსაც ვაგროვებ, რომ ძეგლი აგიგო... მშვიდობით...

— მშვიდობით, ჩემო იოსებ, დიდი მადლობელი ვარ...

აკაკის მეტად გაეხარდა. საიდანაც მოისმა სიმღერა:

ამოძუნძულდი შენ ჩემს საფლავზე,
თუ ლოდი მაძევს ჩამოჯექ მასზე
და ჩამოჩყვერე სოპრანო ხმითა:
რა კარგი ჰქენი, რომ წადი მარსზე.
ხშირად დამინთე თაფლის სანთელი
თან მომიტანე ვარდი და ია;
ამოასწორე ბარი და თოხით
ჩემი საფლავი ასე პირ ღია.

ამ დროს აკაკისთან ეგნატე შემოვიდა. მას გულმოსულობა ეტყობოდა. ბოლთას ცემა დაიწყო.

— რა დაგემართა და რა მოგივიდა კაცო?—შეეკითხა აკაკი.

— კაცო, რა უნდა უყო ასეთ ხალხს? აი, ჩვენი პეტრე ზუმბაძე რომ არის, მან თურმე ორ კორექტორს ორი ათასი მანეთი მისცა ჩემი ნაწერების დამახინჯებაში! მე კი სიმშილით მომკვდი კაცი და მთელ ჩემს ნაწერებში ორი ათასი შაურიც არ მექნება აღებული.

— კორექტორებს თუ იცნობ, უთხარი და გაგინაწილებენ შენ ნაწერებში აღებულ ფულს.

— ორივეს კარგად ვიცნობ, მარა რა შვილი მოგცემს კაპიკს.

რადიო აპარატმა დარეკა.

— მე ვარ, აკაკი.

— მე ვარ, იოსები.

— აღარ მასვენებს ეს კაცი—ჩაილაპარაკა თავისთვის აკაკიმ და შემდეგ გამოელაპარაკა—რა გნებავთ?

— რაღაც მოსალაპარაკებელი საქმე მაქვს და შენი ნახვა მინდა.

— მე არ მინდა შენი ნახვა და შენ თუ გინდა, შენ მოდი ჩემთან—თავისებურად და მეგობრულად ვაეხუმრა აკაკი.

რაღაც აპარატები გადაატრიალეს და აკაკი და იოსები ერთმანეთის წინ დადგენ (აი, ეს არის რადიოს საშუალებით სურათის გადაცემა. იხილეთ ჩვენი სურათი).

— გამარჯობა აკაკი.

— ვინა ხარ შენ? მე ვერ გიცნობ?

— როგორ ვერ მიცნობ; იოსები ვარ!

— არა, არა... შენ იოსები არა ხარ.

იოსებს მე ძალიან კარგად ვიცნობ მას დიდი და გრძელი წვერ-ულვაშები აქვს... შენ კი ორივე მოპარსული გაქვს... შენ ვიღაცა ხარ წვერ-ულვაშები დაგიგირავებია და არც ერთი ღერო აღარ შეგრჩენია... წადი, ვიღაცა ხარ: იოსების ნუ შეურაცყოფ.

— აკაკი, დამიჯერე მე ვარ იოსები.

ეხლა ჩვენში წვერ-ულვაშები საერო კაცს კი არა, ღვდლებსაც აღარ აქვთ. აი, თმაზე და ხმაზე მაინც მიცანი—

აკაკი დააკვირდა და მართლაც იცნო თავისი ძველი მეგობარი.



— შოთა, ნუ გარბიხარ, ნუ გეშინია... მოდი აქ... ჩვენ ერთი კუთხიდან ვართ... ორივე რაჭველები ვართ.. დაბნეული იყავი და მოგნახე... მოდი, ხაშზე და ღვინოზე დაგპატიჟებ.

— რატომ შეწუხებულხარ, ჩემო გულითადო მეგობარო?

— ჩემი და ჩემი ოჯახის იუბილე მაქვს და, თუ შეიძლება, ერთი წერილი დამიწერეთ. იმ დღეს ჟურნალი საიუბილეოდ გამოვა.

— აკი დეპეშით მოგილოცე?

— უკაცრავად, მარა მე არ მიმიღია..

მაშ მივიღებ. მშვიდობით...

ძეგლის საქმე გვარიანად მიდის...

—:—

შემოვიდა ალექსანდრე.

— თოსები დავინახე და ვისთან იყო?

— ვისთან იქნებოდა—აკაკისთან იყო, უთხრა ეგნატემ, რომელსაც კიდევ არ წასვლოდა ბრაზი.

— აჰა, ახლა თქვენ მოგაჯდენ ზურგზე —ნიშნის ტონებით უთხრა ალექსანდრემ ამათ—მე, რომ მათრევდენ აქეთ იქით, თქვენ დამცინოდით... ეხლა კი მე ვიცინებ თქვენზე—

— მერე რა უყოთ; ყველას ეს ბედი მოელის. ჩვენ კი არა, ვაჟაც ვერ დაემალება, მიუხედავად იმისა, რომ სულ მთაშია და არავის ეკარება—ამბობდა აკაკი.

— არა, არა, მე არა ვარ რაჭველი—მოისმა შოთას ყვირილი.

ესენი გარედ გავარდენ დასახმარებლად. შეშინებული შოთა გარბოდა. ევგენი მისდევდა და უძახოდა; თანაც ხელში ხაშით სავსე ჯამი და ბოთლი ღვინო ეჭირა.

— შოთა, ნუ გარბიხარ, ნუ გეშინია... მოდი აქ... ჩვენ ერთი კუთხიდან ვარ... ორივე რაჭველები ვართ... დაბნეული იყავი და მოგნახე... მოდი, ხაშზე და ღვინოზე დაგპატიჟებ—

შოთამ, როგორც იქნა, თავს უშველა.

ღამით თათბირი გამართეს და ყველა იძახოდა: გაგონილა

ამდენი აბდა—უბდა?!

აი, ეს ხვები იყო, რომ ისმოდა:

**ამდენი აბდა—უბდა,**

კორი.

# ტრაგედია „უხ“

**მოქმედნი პირნი:**

ის
ვაგონ № 1-ის კონდუქტორი.
ვაგონ № 2-ის კონდუქტორი.
პირველი მოქალაქე.
მეორე მოქალაქე.

თანამშრომელი.
მოლარე.
ვილაც.
მილიციონერი.

---

**1 თავისუფლების მოედანზე**

ალმასკომის საათი უჩვენებს რვის ნახევარს. ტრამვაის ერთ ლიანდაგზე ვაგონი № 1, მეორეზე № 2. ჩქარი ნაბიჯით უახლოვდება მათ.

ის — (№ 1-ის კონდუქტორს) ამხანაგო, რომელი ვაგონი წავა პირველად?..

№ 1-ის კონდ. აი, ის... ნომერი მეორე... (ის მიდის მეორე ვაგონისაკენ).

ის — (№ 2-ის კონდ.) ამხანაგო, რომელი ვაგონი წავა პირველად?..

№ 2-ის კონდ. აი, ის... ნომერი პირველი...

ის — ?......
(ანგარიშობს ალმასკომის ფანჯრებზე).
პირველი, მეორე, პირველი, მეორე...
...პირველი!..
(გაეშურება № 1-საკენ და ჯდება შიგ. ამ დროს დაიძვრება № 2, ის ჩამოხტება და გამოედევნება უკან. გამოჩნდება კონდუქტორ № 2-ის გამაფრთხილებელი ხელი. ამასობაში № 1-იც დაიძვრება. ის სასოწარკვეთილებით ჩააქნევს ხელს და შეახტება მას ბაქანზე. საათი უჩვენებს 7 ს. და 45 წ.).

**2. ვაგონში**

კონდ. ბილეთი!..

ის — პირველი უბანი...

კონ-დ. პირველი უბანი ვაკეშია... მეხუთეში უნდა ჩასხდეთ!.. (აპირებს დაუშტვენას).

ის — პირველი უბანი, ამხანაგო!.. ზემელი... ზემელის აფთიაქი!..

კონდ. ე, მაგრე თქვით მერე, თქვე დალოცვილო!..

**3. კამარშიის შტაბთან.**

ვაგონი შედგება. მეორე ლიანდაგზე დგას № 6, გარშემო უტრიალებენ კონდუქტორი და ვატმანი.

ის — (№ 1-ის კონდ.) როდის წავალთ, ამხანაგო!..

კონდ. (სდუმს).

ის — ამხანაგო... წავალთ, თუ არა?

კონდ. (სდუმს).

ის — ამხანაგო... გველირსება წასვლა?!.

კონდ. გველირსება, მაშ!.. ჯერ ის ნომერი უნდა გავუშვათ...

ის — მომეცით ჩემი ფული უკან, მე იმ ვაგონში გადავსხდები...

კონდ. გვიან არის... ბილეთი უკვე მოხეულია... (ალმასკომის საათი რეკავს. ვაგონი დაიძვრება).

**4. „ზემელის“ აფთიაქთან**

ვაგონი დადგება. ბაქანს აურეველი ხალხი მოაწყდება.

ის — (ვერ ახერხებს გადმოსვლას.)

ის — (პირველ მოქალაქეს) ამხანაგო, გამატარეთ...

პირველი მოქ. მიბრძანდით!

ის — საიდან მივბრძანდე, როდესაც გზას არ მაძლევთ!...

პირვ. მოქ. საიდანაც გსურთ, იქიდან მიბრძანდით!...

ის — (მეორე მოქალაქეს), ამხანაგო, გთხოვთ გამატაროთ... ძალიან მეჩქარება...

მეორე მოქ. თუ გეჩქარებოდათ, ფეხით ვერ წამოხვედით?!...

ის — მაპატიეთ... პირველი და უკანასკნელია... (კონდუქტორი უფშტვენს. ვაგონი იძვრის. ის ძლივსძლივობით გამოძვრება პირველსა და მეორეს შორის და გადმოხტება უკვე გაქანებულ ვაგონიდან. ხდება სასწაული და მილიციონერს და გამოქროლებულ ავტომობილს გადაურჩება.

**5. ხაზხაზურში**

ის (გაფაციცებით შემოირბენს და ეცემა ხელის მოსაწერ წიგნს. წიგნი არ სჩანს. საათი უჩვენებს 8 ს. და 30 წუთს.)

თანამშრ. თქვენ დაიგვიანეთ ნახევარი საათით

ის (დახედავს თავის საათს). მე დავიგვიანე მხოლოდ 20 წუთი... თქვენი საათი წინ არის..

**თანამშრ.** ეს სულ ერთია... სამაგიეროთ ათი წუთით ადრე წაველთ..

**ის—** კი... მაგრამ, მე დამაგვიანდა მხოლოდ 20 წუთი...

**თანამშრ.** თქვენ დაიგვიანეთ 35 წუთი... 5 წუთი უკვე გაეიდა...

(მძიმე პაუზა. ის მოაწერს ხელს და აღნიშნავს 35 წუთს).

### 6. სალაროსთან

**ის—** (დგას სალაროს ფანჯარასთან. ფანჯარაშა მოჩანს მოლარეს თავი)

**მოლარე.** მოაწერეთ ხელი?..

**ის—** მოვაწერე...

**მოლარე.** კეთილი... (აჩხაკუნებს ჩოთქზე). კავშირის... მანუფაქტურის... ავანსი... თამარას სასარგებლოდ ავადმყოფობის გამო... სილიზიხტრის სასარგებლოდ გვირგვინის შესაძენათ... ჯარიმა დილობით დაგვიანების გამო... გაზეთის... გულზე გასაკეთებელ ნიშნის... პოლიტიკურ მოღვაწეთა ალბომის... თეატრის და კინოს ბილეთების...

**ის—** (გული მიდის) სხვა?..

**მოლარე.** ეხლავე... „გოსიზდატიდან" კრედიტად წაღებულ წიგნების...

**ხაწევრო.** წიგნაკის საფასური... კეკელიძის ქართულ ლიტერატურის ისტორიის... პოლა ლოწთათიძის ნაწერების... კლუბის ხაწევრო... უმუშევართა სასარგებლოთ... დახმარება კვატიაშვილს, მისი მამიდაშვილის ავადმყოფობის გამო... სულ...

**ის—** დარჩა რამე?...

**მოლარე.** ნუ გეშინია!.. დარჩა...

**ის—** (მოიწმენდს ცივ ოფლს, აიღებს ორიოდ ვერცხლის ფულს და სალაროს მოშორდება).

### 7. მტკვრანის ხიდზე

(ღამის 12 საათი. ის გადაყუდებია მოაჯირს და წყალს ჩაჩცქერის. გამოვლის ვილაც.)

—

**ვილაც.** აქ რას აკეთებთ..

**ის—** თავი მინდა დავიხრჩო...

**ვილაც.** კეთილი... გზა მშვიდობისა!..

**ის—** გმადლობთ...

**ვილაც** მოკითხვა ნაცნობებს... (წავა).

(ის შედგება მოაჯირზე, მაგრამ უკან წამოეპარება მილიციონერი და ჩამოათრევს).

**მილიც.** ხიდზე წესრიგის დარღვევისათვის დაკავებული ხართ!

**ის—** ?.....?...

**მილიც.** არ წაიკითხეთ „ტარტაროზში", რომ მდინარეში ნაგავის გადაყრა სასტიკათ აკრძალულია!?.

დაჯარიმებული იქნებით!..

(მიათრევს კომისარიატისაკენ).

დასასრული.

**ხინჯმატი.**

# ენციკლოპედიური ლექსიკონი

## თ ა ვ ი II

ამ თავში იქნება მოგროვილი თავიან-ორფეხთა სიბრძნე-ხიმცრუე, რომელიც შენაკვეთის მსგავსად უნდა აჰრელდეს ხინიდიხიერ ტარტაროზის კუდზე. უკანასკნელ ხანებში ტვინი და სინიდისი ძალზე გაიაფდა. თითქმის სალდათის ბაზრის ყველა კუნჭულებში იყიდება ნაღდათ და ნისიათ მრავალი სორტის ტვინი და ხინიდიხი.

ვლებულობ ყოველგვარ ნაგავს და დომხალს; ვამარინჯებ ყველაფერს და გამომყავს მშვენიერი აჯაფსანდალი.

ხანდახან ხკანდალიც კი შემხვდება, მაგრამ მაქვს მუდამ მზად მშვენიერი დანა ჩანგალი.

ამა წლის 33 ივნისს, ქალაქ ცილდისში, შაითან ბაზარში მოხდება დიდი საჯარო აუქციონი ტვინების და დომხალების. მომგებს დარჩება ერთი გოდორი ნაგავი.

**ანგელოზი**—ერთი ჯიშის ფრინველი, რომელიც პროსპექტზე ხშირათ დაფრინავს ღამ-ღამობით და თავის მშვენიერ თეალებით დამბლამდე მიყავს ცნებიან ეაჟთა სათვალეები. ეს ფრინველი პირველად გრიგოლ ცეცხლაძემ შეამჩნია ქუჩაზე და კიდევაც აქვს მოხსენებული თავის შემოქმედებაში. (იხილეთ მისი ყვავის ერთი ლექსი: „ატმის ფერა"—მადმაზელ პელო).

**ღმერთი**—ეს გახლავთყოვლად უჯიშო და უმადური სხეცი, რომელიც რაც უნდა აშინაურო, მაინც ილრიძება. ყველგან დახურეს ამ წყეულ ნადირის სასახლეები. ტარტაროზი ამ მოკლე ხანში აპირებს მის დაქორწინებას მთავარ ანგელოზზე: მაყრად მოწვეულია ტარტაროზის კუდი თავის ამქრებით.

**მარიამ**—მამა-ღმერთის უკანონო ცოლი, რომლის ჩუმა ეშმაკობა პირველად შენიშნა წმინდა იოსებ ხუროს. იოსები კი იყო ქმარი მარიამის. ზაქსმა საჭიროდ სცნო მათი განქორწინება და მარიამის მიჯნურ ღმერთთან შეუღლება.

**იესო**—მამა-ღმერთის უკანონო შვილი; კაცი ყოვლად ზნედაცემული და მატყუარა, რომელიც საბრალო იუდეველებს ულმერთოდ აბითურებდა. ამავე დროს დიდი არშიყი იყო. ჰყავდა რამოდენიმე ხასა, მათ შორის უტურფესი მაგდალინელი.

**აღდგომა**—ნიშნავს დილის 7 საათს, როცა ყველა მუშა-მოსამსახურეები დგებიან და საქმისკენ მიეჩქარებიან.

**ამაღლება**—იგივე დაწინაურება და დიდ თანამდებობის ხელში ჩაგდება.

**ნათლისღება.** ნათლის აღება. ძველ პრისტავების პირველ ხარისხოვანი გასასუქებელი მასალა. დღეს ამ სახელს გადასხვაფერება დაეტყო. სიტყვა: „ნათალი" გადაკეთდა სიტყვად: „მითალი".

**ცხონება.** დიდ თანამდებობის ხელში ჩაგდება.

**წაწყმედა.** შტატს გარედ დარჩენა.

**ხაიქიო.** ბანოვანთა კაბინეტები, სადაც ცხონებულებს გარდა არავითარ წაწყმედილს არ ძალუძს ფეხის შედგმა.

**ჯოჯოხეთი.** ცოლიან კაცის უმოწყალოდ ყოფნა*).

*) ავტორს აქ თავისი თავი ჰყავს მხედველობაში.
ტარტაროზი.

**პირწმინდა ხამსახური.** დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე ძილი, შემდეგ მეორე დილის 9 საათამდე ქეიფი.

**ფოთი.** ქვეყანა, სადაც იბადებიან ბუნებრივი მუსიკოსნი-ბაყაყნი.

**ზესტაფონი.** საზღაპრო ქვეყანა, სადაც დღეში ათი პოეტა და ერთი ეირთხა იბადება. (ვარდენ ლვანკინელი თუმცა ზესტაფონელი არაა, მაგრამ ზესტაფონის სამიკიტნოებში გაიზარდა და თავის თავს ზესტაფონელით სთვლის!)

**გასამართლება.** თანამედროვე სენი, რომელიც ყველას უჩნდება განურჩევლად, როგორც პოეტს ისე ხარაზს, პროფესორსა და მიკიტანსა, რედაქტორსა და სპეკულიანტსაც.

**ალიტერაცია.** კაფე „შოთა რუსთაველი"-ს ერთი მარში, რომელსაც აქვს უნაზეს რახარუხის თვისება; ვინც ამ მარშს შეისწავლის, ის უსათუოდ გენიალურ პოეტად იქცევა. მაგალითად: ქინაზი—ფინაჯი—ლაჯი—სირაჯი, ან კიდევ ხახუნი—არახუ—უხახუნ—ხუხუნ—ხახა... და სხვა...

**თეატრი და ცხოვრება.** ორი სიმბოლიური სახელი; დასაბამი და დასასრული; ხლამტრესტი და ნაღდი ეაჭრობა; კერძო კოოპერატივი და უდიდესი პოეზია; ფირმა ძოზეფ С-ми и К°.

**„ახე ხწადს ლაუს".** პირველ ხარისხოვანი კაფე-რესტორანი, რომელიც გახსნა პრემიერ კოოპერატორმა სორტელმა ნიცშეანურ გუმოვნებაზე: ნიცშეანელებისთვის ქეიფი უფასოდ, შტატიან და სტაჟიან პოეტებისთვის—უფასოდ; უპატენტო და კერძო პოეტებისთვის 99 პროც. დაკლებით.

**შოთა რუსთაველი.** დიდი გაქექილი პოეტი, რომელმაც თავისი ნამდვილი გვარი განგებ არ გამოაცხადა, რათა უსაქმურ პოეტებისთვის მიეცა საქმე. სამარიდან საჯაროთ აცხადებს, რომ არის შთამომავლობით მეგრელი *), რითაც უნდა დასრულდეს მთელ უნაყოფო თავის მტვრევის ორომტრიალი.

**აკობია ზუგდიდელი,** სამეგრელოს მეორე ფილოსოფოს-მესია. რომელიც ჩამოსულა

*) არის კიდევ ახალი გამორკვევა, რომელიც ამტკიცებს, რომ რუსთაველი რაჭველი იყო (იხ. დვალის ნაშრომში ამის შესახებ).

ტარტაროზი.

ტფილისში „მაფალუ“-ს პარტიის გასაძლიერებლად.

დისპუტი. თანამედროვე პოეზიის კაზინო; სწორუპოვარი პიდაობა-თამაში ლანძღვის სახით; ტარტაროზმა ბრძანება გასცა, რათა ამ თამაშში მცირეწლოვანთ მონაწილეობის მიღება აეკრძალოს, სანამ არ გაივლიან რომელიმე შრომის სკოლას.

გოგია. ამ სახელზე ბევრია სალაპარაკო, ვინაიდან მისმა არაჩვეულებრივმა ბუნებამ თითქის ეკუიდან შეარყია ტარტაროზის კუდი.

საქმე შემდეგშია:

ამ რამოდენიმე წლის წინათ, როცა მსოფლიოს პატრონობდა ეშმაკი, სცხოვრობდა ვინმე გოგია; კაცი პატიოსანი, მღვდლების მოყვარე, რომელიც რაღაც უჩინარ სენით შაიცვალა.

ავტოკეფალისტებმა მას ძეგლიც კი აუგეს, მაგრამ მოხდა საკვირველება: გოგია ლაზარესავით გაცოცხლებულა და შესდგომია პიათურის თეატრის გაწმენდას, რაც ყველასათვის დაუჯერებელი იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ გვარიც კი გადაუსხვაფერებია და აბა ვინ მახვდებოდა, რომ გამგე გიორგი ნუცუბიძე, იყო ყოფილი გოგია, რაც ამოჩნდა იმ დროს, როცა მან ავტოკეფალიაში სრულიად წინდაუხედავათ ითამაშა დიაკვანის როლი. გაგზავნილია ყველგან აგენტები, რათა გოგია დაიჭირონ და ტარტაროზს შეგვარონ დაუყონებლივ.

ტარტაროზის კუდი—უჩინარი ცხოველი, რომელსაც სანთლით ეძებენ, მაგრამ ვერსად ნახულობენ.

(ალბად იმიტომ, რომ ტარტაროზს ძლიერ უყვარს თავისი კუდი და მუდამ გულში იხუტებს, რათა ავმა თვალმა არაფერიავნოს).

კოცნა—იგივე გოზანაყი.

სიყვარული—ჯოხების პატარეია, ლანძღვაგინების სალარო, იგივე კაცი-ჭამიობა.

ოჯახი—ნაჯახი, მუდმივი ჯანყი; ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე.

ტირიჩელის ხიცარიელი—ქართულ პოეზიის ბედი.

ტარტაროზის კუდი.



ათი ხაათია. მომხსენებელი არა ხჩანს. (მახ ტკბილად ხძინავს) ელოდებიან... და ოხუნჯობენ.

იხილე სურ. მე-2-რე გვ.

მოწაფე: მაკდონალდის ჩამოგდების დღიდან *)

მახწ.: ვინ სთქვა და სად: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით?“

მოწაფე: ეს სთქვა პუანკარემ ერთა ლიგის კონფერენციაზე.

მასწავლებლები მოწაფეების ცოდნით კმაყოფილნი დარჩენ და ყველას მიეცა სიმწიფის მოწმობა.

მეხი.



# კოლექვიუმი*)

ვინაიდან წელს მოწაფეობის უმრავლესობას განზრახული აქვს უმაღლეს სასწავლებელში ეკონომიურ დარგზე შესვლა, ამიტომ მათემათიკურ საგნებში კოლექვიუმები მოწაფეობის თხოვნით და ტარტაროზის დასტურით მოხსნილია.

გამოცდა მოხდა მხოლოდ: ეკონომიურ გეოგრაფიაში, პოლიტეკონომიაში და მუშათა მოძრაობაში.

რომ ყველა შრომის სკოლებს შთაბეჭდილების გამოქვეყნება არ მოგვახდეს, მოვიყვანთ ზოგიერთებს.

### ეკონომიურ გეოგრაფიაში

მასწავლებელი: რამდენი ფუთი თამბაქო მოვიდა 1924 წელს საქართველოში?

მოწაფე: ამხანაგო მასწავლებელო, მე პაპიროსს არ ვეწევი.

მახწ.: (მეორე მოწაფეს) როგორი მოსავალი იყო გასულ წელს ხორბლის ჩვენში?

მოწაფე: იმე, ჩვენში სულ ღომს თესვენ და ხორბალს კი არა!

მახწ.: (მესამე მოწაფეს) რამდენი ცხენია საქართველოში?

მოწაფე: (თავისთვის) ვა, ეს რა ხათაბალა ყოფილა! სამეგრელოს ამბავს სხლინალელს მეკითხება. ვირები რომ ეკითხა ჩემთვის ის სჯობდა... (მოწაფემ ვერ უპასუხა).

### პოლიტეკონომიაში

მახწ.: რას ეწოდება პოლიტეკონომია და რას ნიშნავს მდაბიო ენაზე?

მოწაფე: პოლიტეკონომია არის ერთგვარი პოლიტიკა, რომელიც გვასწავლის, მაგალითად—როცა შიმშილობაა, ცოტა უნდა ვსჭამოთ.

მახწ.: რას ეწოდება რთული თანამშრომლობა?

მოწაფე: მაგალითად—როცა პოლიტეკონომიას აბარებ მათემათიკის და ქიმიის მასწავლებელს, როგორც, აი, ეხლა ჩვენ შემთხვევაში.

### მუშათა მოძრაობაში

მახწ.: რა არის კლასი და ჩამომითვალეთ მისი დამახასიათებელი ნიშნები?

მოწაფე: კლასი არის სამოსწავლო ოთახი. მისი დამახასიათებელი ნიშნებია: პარტები, დაფა, ცარცი, მასწავლებელი და სხ. სასწავლო ნივთები.

მახწ.: როდის დაიწყო მუშათა მოძრაობა ინგლისში?

*) საუბარის სახით მოწაფის ცოდნის გამოცდა.

## სასახლის პირდაპირ

### 1. მუზეუმი

სასახლის ქუჩის ბოლო...
(აქ ადვილია მარცხი).
საით სჯობია წასვლა
ეხლა მარჯვნათ, თუ მარცხნით?..
უკან ნათელი ლამე,
წინ კი რა რიგათ ბნელა...
ქუჩის მარცხენა მხარე
რად უყვარს ასე ყველას?..
სასახლის იბოლ ფარნებს
შექცქერას სევდით ქუჩა...
ხეივანს იქით კიდე
ქვეყანას აღარ უჩანს.
საით წავიდე... საით?
მიწუხებს ფიქრი ისევ...
მარცხნით დაფერთხამ წყვილებს,
მარჯვნით მოიტეხ კისერს.
ავწონე შედეგები,
(ლოლიკაც მოვიხმარე)
და გარდავწყვიტე ბოლოს:
სჯობს მუზეუმის მხარე.
გაკვეთილის ფიზკულტურის
რათ უნდა მოვერიდო?..
იქ ტროტუარი ფართო,
სჯობია ყოველ მინდორს...
და გავეშურე იქით,
ავტო მობლავის უკან...
ზეპირად ვიცი თითქმის
ამ ადგილების რუქა.
ესეც მარჯვენა მხარე.—
ბნელ შენობის წინ ვდგები.
ოხ... მუზეუმო ჩვენო,
რომელ წელს დამთავრდები!..
შენმა შენებამ ასე

*) სწორი პასუხია.

მოგესპო და გაგვაოცა...
ნეტავი ერთ თვით მაინც
„ჩემოს“ სიჩქარე მოგეც.
იმისთვის თუმც დიდია,
შენ ვერ გწვევიან წლები...
შენს წინ ტროტუარს მაინც
როდისმე მოეესწრებით?..
ყველა მთავრობებს ასე
შაშველ ტიტველი დახვდი...
შენ თვითონ, მუზეუმო,
სამუზეუმო გახდი!,.
შენობა მოღრუბლულა,
თითქოს ჩვენს ნაოქვამს ისმენს
და გუბეებზე ხტუნვით
მე გზას განვაგრძობ ისევ
ამ ნაწვიმარზე კაცი
აქ ფეხთაც გაიხვაისა...
ორიოდ წუთის შემდეგ
მე ვადექ ბეწვის ხიდსა.

**2. ბეწვის ხიდი**

აქ სიმამაცეც გმართებს
და მოქნილობა ლერწმის...
საკომენდანტოს წინა
არის ეს ხიდი ბეწვის.
შუაში ტროტუარი,
ორი ტკაველის განი,
ბალნარი ორივ მხარეს,
მავთული ეკლიანი.
მივალ ნელ-ნელა... გულადს
კაცს დაუდგება წინ რა?
და სიგულადემ ჩემმა
შარვალი შეიწირა...
მაგრამ ვინ სჩივის ამას—
(სიფრთხილით რათ არ ვლიდი?..)
როდესაც საზოგადო
კეთდება საქმე დიდი·
ახ, რომელი არ დათმობს
იმისთვის შარვალს, ნეტავ?
სჭირდება ალბად ბაღი
საკომენდანტოს მეტად.
დასთესს თამბაქოს, ბალახს,
დარგავს ხეებს და ვარდებს,—
და გამკლელ გამომვლელებს
შეუმსუბუქებს დარდებს.
მე კი იქ გარებაზე
დღეიდან მითქვამს ვარი;
დე, ბაღის სასარგებლოდ
გაუქმდეს ტროტუარი!..

სინტო.





თერთმეტი საათია... მომხსენებელი კითხულობს მოხსენებას, მაგრამ დარბაზს სძინავს.

# სასაფლაო და „პოლიანკა“

ვახსენებ სასაფლაოსა დილიდან კარგაღებულსა,
რომელიც იტევს მცხოვრებსა ქალაქზე ხელ-აღებულსა,
ზოგს ჯავრიანსა და ზოგსაც ცხოვრებით გალაღებულსა,
ზაფხულის მწვავე სიცხისგან, ვით შამვსა პირდაღებულსა.

როცა მუნ მახვალთ,—იხილავთ: ხალხს ჩრდილ ქვეშ მოფარდაგულსა;
იგრილებს მსუბუქ ნიავით სხეულს სიცხისგან დაგულსა,
ზოგი სალხინოთ მოსულა, ახარებს სულსა და გულსა,
ზოგიც კითხულობს რაღაცას, მოჩჩილებს ბედს ვერაგულსა.

—:—

მე მათ შორის ვაქებ ქალებს შავ ბედზედა განაკაცებს,
რომელნიც კი (თუმც ალმაცრათ) გასცქერიან შორით ვაჟებს,
მათი ჭვრეტა გულს ულონებს, აშფოთებს და აკიჟმაჟებს,
— წიგნს უცქერენ, მაგრამ იქაც ხედვენ მხოლოდ მათ მირაჟებს.

ნეტა, მას ბედს ზეგანგება თუ ოდესმე გაუშლამშებს,
ვისაც ზლუდედ ორი უწევს და ზევით კი დაკაშკაშებს,
თან კახური ლალის ფერი ფერმკრთალ ვარდებს უხამაშებს
და ნიავი შეტყორცნილი კაბის ქვეშეთს უთამაშებს?!

რკინის მესრით შეზღუდული საფლავია იქ მახლობლად,
სად ფოთლები არ უშვებენ სხივს საფლავზე მანათობლად —
იქ შესულა ორი ვინმე შუადღისასა შეუცნობლად
და მკვდარს საფლავს უკრუთხებენ ძველ ცოდვების შესანდობლად.

—

საღამოს როცა ნიავი მთიდან ძირს დაექანება, —
ვენერის სამწყოს შეშვენის დაღმართში დაგოგმანება;
თუმც კარგათ ეიცა, რომ მრავალს შინ წასვლა დაენანება,
მაგრამ რაღა ჰქნას, კარს ჰკეტენ, რადგან ასეა ბრძანება.

და ამის გამო მიდიან გულითა დაკოდილითა;
თანაც ფიქრობენ, რომ ისევ ზევით აჰოვლენ დილათა,
თვალს მოავლებენ მიდამოს, გაგრილდებიან ჩრდილათა,
თუმც საღამოს ჟამს ისევე მოკვდება იმ სიკვდილითა.

მაგრამ აწ ყველა მათგანი, რადგან იცვალა დღე ბნელად,
ცენტრისკენ მიექანება პროსპექტის მოსატკეპნელად —
ყველას თან ახლავს „სულიკო“, არა ყავს მოსაძებნელად.
(კენტად მავალის მონახვა იმათში მიჩანს მე ძნელად)

# მუშკორების წერილები



1. „ნეტა, რას ფიქრობს ჩვენი ადგილკომი''?



2. ,,ცხვირს მაღლა_იწევს''.



3. ,,ლუკმას გვძრობს''.



4. ,,ცოდვის ხიდი''.



5. ,,ალაგმეთ ეს ვაჟბატონი''.



6. ,,ღვინოში იხრობა''.



7 ,,კბილების ჩამტვრევა არავის შერჩება''.



8. ,,ნუართმევთ მუშას კაპიკს''.



9 ,,რაღ გვინდა ასეთი სამკითხველო''?



10. ,,ვიხრჩობით უწყლობით''.



11. ,,ყური აუწიეთ''.



12 ,,თავჯდომი ადმინისტრატორი''.



13 ,,მეთრახის დრო წავიდა''.



14 ,,ენა დაუმოკლეთ''.

პროსპექტზე მათ არ გავყვები, რადგანაც ძლარა მცალია,
ანდა რა ჩემი საქმეა, თუ ვაჟს მიყვება ქალია,
—ესე ამბავი თბილისში ძველია, არ ახალია,
ვიცი იქ ზედამხედველი ჩემს გარდა სხვაც მრავალია.

მაგრამ სხვა არის, როდესაც პროსპექტი ცარიელდება
და თან მის მიდამოებში ხალხი თან და თან თხელდება,—
„მინისკენ" წამოსულების გული და სული ხელდება,
ცეცხლი უშრეტი ტანჯულთა ვინ იცის რით განელდება...

წუნეთის ქუჩ:ად.ნ ბნელ ლამით ალპართში თუ აბრძანდებით,
წყეულ ავსულთა შიშითა, ვიცი რომ შეყოყმანდებით;
სადაც გასცქერენ მინდორსა სახლები შუშაბანდებით,
ნახავთ რომ მოფენალია მიდამო თეთრშავ ლანდებით.

ეს ადგილი საოცარი დღისით მოსჩანს გატრუსულად,
ერთ ბალახსაც ველარ ნახავს კაცი მასზე ამოსულად;
ქართულ სიტყვით ვერ გადმოგცემ მე მის სახელს, ვატყობ, სრულად,
„პოლიანკა" ეწოდება, როგორც ვიცი, მას რუსულად.



— ვაიმე, მიშველე... ავათა ვარ... აგარაკზე თუ არ გამაგზავნე, მოვკვდები...

— კი... გენაცვალე, გული მოიბრუნე... (გარბის ექიმთან)

იხილე სურათი შემდეგ გვერდზე.

ირგვლივ მყოფნი უწოდებდენ „წმიდათ-წმიდა საკურთხეველს"
(და მის გამო ყოველ დღითი უგზავნიან მისართმეველს)
სად მენაგვე შუა დღისაა, ვით ქურუმი, წვავს „საკმეველს",
რომლის შემდეგ ვხედავთ ლორებს ნაცეცხლურში დინგის მრეველს.

ღამით, როცა ამოავლით „პოლიანკის" სანაპიროდ,
ამის გამო ვერ მორჩებით ქაჯთა შიშით თქვენ უპიროდ;
მაგრამ შიშმა არ შეგიპყროთ და ნუ გახდით ფიქრის უძიროდ—
არ ქაჯნია, ხალხი არის გამოსული სანადიროდ.

ქაჯებს მით ემსგავსებიან,—არიან ღამით კრებულნი,
კაცნი და ქალნი უშრეტას ტრფობას ცეცხლითა ვნებულნი,
მცოდნენი არშიყობისა, ზედან გახელოვნებულნი,
ავსულთა სახელწოდებით მკვიდრთაგან მოყივნებულნი.

—:—

მუშა ღამით მიმავალი ნახავს ორმოს ნაპირძნელებს,
მოსჩანს ცეცხლი და თან ისმენთ ქალის ხვეწნის შენანელებს;
თრთოლა გიპყრობთ და გინდათ, რომ დაუძახოთ ღამის მცველებს,
ფიქრობთ—ცეცხლი კაცის არის და ქალს, ნეტა, რა ახველებს?!..
მაგრამ კარგათ დაუკვირდით, სადაც ცეცხლმა გაანათა;
შორი-შორად წყვილ-წყვილად მჯდომთ ქალთა გვერდით ხედავთ ყრმათა,
ვაჟი ელის პირგამშრალი ქალისაგან ნარნარ ხმათა—
ქალი სტირს და ცრემლებს აფრქვევს, ჰხრის ყვავისა შოლო-ფრთათა.

მაგრამ ვაჟი მოქნილია, ლაპარაკიც ეხერხება,
თუ შეატყო თავის სატრფო რაიმეზედ განრისხება,—
მაშინ მისი საუბარი ცის მნათობებს შეეხება,
რადგან მსგავსი მზის და მთვარის მას თვალთა წინ ესახება.
შემდეგ კითხავს: ეგზომ ტურფა რამან შეგქნა ტანად პირად,
— მიკვირს რად ხარ რისხვიანი, პოვნა შენი რად ღირს ძვირად:"—
ქალი ეტყვის:—არ ივარგებს, ნახონ ტურფა ქეჩის პირად...
— რა რომ ქალი გაიაფდეს აღარ ღირდეს წუნეთის ვირად."
სხვა წესიც შიჯნურობისა სრულდება სისასტიკითა;
როს დრო მოაწევს ნექტარი ისმება ღალის ჰიქითა;
თუ კიდევ დაიგვიანებთ თორმეტ საათის იქითა,
ნახავთ, რომ ასტრონომაა მთავრდება მექანიკითა.

ასეთია „პოლიანკა", როს სინათლე არსად არი,
მხოლოდ მთვარე როს ამოდის, მყის ეცემათ შიშის ზარი..,
მზის აგენტის დანახვაზე ფენტება მათი ჯარი
და მის გამო ლანდიც არ სჩანს და არც ისმის საუბარი.

დარიბი.

# „გრძელი კუდი"

ვიცით მკითხველს გააკვირვებს
ამ პოემის სათაური...
ვკითხავს: „გმირი ამ პოემის
უცხოა თუ შინაური,
(თუმცა ჩვენთვის სულერთია:
ვინ არის და სადაური)—
ეს სახელი ამნაირი
მაინც არის უცნაური!

გრძელი კუდი ცხოველებს აქვს
(და ისიც კი არა ყველას)
მაგალითად—ვიცით რომ აქვს
(გრძელი კუდი მსუნაგ მელას),
ეს იმისთვის საჭიროა
ცხმარება, აძლევს შველას—
მაგრამ, მიკვირს—ადამიანს
რად უწოდებთ „კუდა-გრძელა"-ს?"

დამაცადეთ, გეტყვით ამბავს,
ამბავს მართალს, არა ჭორსა
და თქვენ თვითონ მაშინ იტყვით,
რომ ავტორი ვამბობ სწორსა...
მე არ წავალ ცხრა მთის იქით
უცხოეთში, ანდა შორსა,
აქვე ახლოს გამოვნახავ
რომ გადავდგამ ნაბიჯს ორსა.

რომ ქალვაჟნი დაქორწინდენ
ეს ბუნების კანონია;
დასაძრახი ამ საქმეში
რამე იყოს არ მგონია!
თავიდანვე ვიცხადებ, რომ
მათი მტრობა არ მქონია,
რომ გმირებად ამ პოემის
მყავს მე ნესტორ და სონია.

ნესტორ კაცი ხნიერია
(ოცდაათი წლის იქნება),
მაგრამ მასში ჭაბუკსავით
ძლიერია ერთი ვნება...
იგი ცოლის სიყვარულით
სანთელივით დნება... დნება.
(მელიტონის უცროსი ძმა,
დე, ნურავის ეგონება)

მაგრამ, განა. ადამიანს,
მისთვის მოჰყავს სახლში ცოლი,
რომ იმისთვის იგი იყო
მძიმე ტვირთი და მახოლი
და ცოლს ყელზე შემოსჭედოს
ბრილიანტი, ოქრო, ბროლი?!
არა, ძმაო... დღეს სხვა დროა...
ცოლი ქმართან არის ტოლი...

და ცხოვრობდა ჩვიდმეტი თვე,
ტკბილად ჩვენი ეს ცოლ-ქმარი;
(გასულ წელში დაქორწინდენ
და თვე იყო იანვარი).
ჯანით იყვენ ორნივ სავსე,
არა ჰქონდათ სატკივარი,
კუჭი მავ პურს ინელებდა,
თუ კი იყო გამომცხვარი.

თითქოს მარად იყო გვალვა,
არ მოვიდა მოსავალი;
ჯერ ნაყოფი ცოლქმრობისა
არც ვაჟია, არცა ქალი...
არ იციან—ეს მოვლენა
თუ რომელის არის ბრალი,
რომელია დამნაშავე,
რომელაა აქ მართალი.

(გაგრძელება იქნება)

„გიზანტი".



(აქ კი სურათი ამგოგს ყველაფერს)

ვიტრინებში გოკი
წითლად დახრუკული.
დალეენილი ლოჯი;
მედუქნე საქული...

დილიდან დილამდე
გამგის კართან ძილი;
ოჩერედის ლანდი,
დარაჯის სიცილი...

ყველგან დარაზული
არსებობის კარი;
თვლემა ხარაზული...
შუნიანი ხარი.

და შედგრინავს ეტლი
ამ გატრუსულ ქვებზე...
ჩემი სილუეტი,
ტარტაროზას რქებზე.

ვილაც ჭყადის გაზეთს,
ვალაც მუდამ ჰყვირის;
უთვალავი შრაზი...
ირის, ეინემ, ირის...

და მივდივართ ყველა,
ამ დამშეულ წამით;
ბნელა, ბნელა, ბნელა...
ო, ეს სიტყვა სამი...

პლექიანის ელდა
სისხლიან ნახველით...
ო, როგორ დაბნელდა...
გამიშრა ნაღველი...

ტარტაროზის რქები.

*) სიტყვა „გე-პე-უ“ რუსულია და ნიშნავს „гулял по улицам“

ეს ლექსი ჩვენებური ფუტურისტების დაწერილი არ გეგონოთ. ეს მხოლოდ მათი წაბაძვაა: როგორი, მკითხველმა თვითონ გადაწყვიტოს.

## „გე-პე-უ“*)

(უმუშევართა ხიმლერა)

ხავსიანა ქუჩა,
დამშეული ძუძა,
მისხალი ალუჩა
და კვერცხის ნაჭუჭი.

გარუჯული პირი,
ნაწლავების ომი,
ქადი, პური, ლომი;
მედუქნე საქული...



პეტრე მთელი დღე სადილის ლოდინს მოუნდა წითელ სასადილოში. ძაღლებმა პური მოჰპარეს და გაიბრაზეს. ამიტომ მაც იყო მოთმინებიდან გამოსულმა თეფშები დაამტვრია.



პეტრე. ასეთი სადილიც დასწყევლოს ღმერთმა... მთელი ღამე აქ ვზივარ... მოვკვდა კაცი.

„ხვედელიანი ბავშს თავის გაპარსვას 15 კაპეიკად გაურიგდა... მაგრამ თურმე ხვედელიანი ხუმრობის გუნებაზე ბრძანდებოდა; მან თავი ჯვარედინად გადაპარსა და შემდეგ გარედ გამოაგდო...



თუ აბაზს მომცემ გადაგპარსავ, თუ არა და წადი, სადაც გინდოდეს“.

(მუშკორის წერილიდან)

# „პარტია 21+“

ორმოცი წლის კაცი ვარ და ჯერ არავის მოუტყუვილებივარ; მე კი მრავალი მომიტყუვლებია. მაგრამ სიბერემდე სიქაჩლეს მოველოდე, ნათქვამია, იმის არ იყოს—ამ სიბერის დროს მეც გამაცურვეს ყინულზე.

ქალაქში რომ დიდი ქესატობა ჩამოვარდა და მე გამაკოტრეს ერთი დეკრეტის გამოცემით, სოფელში წავედი ქათმების, ინდაურების და გოჭების საყიდლათ, რომ ქალაქში ჩამომეტანა, გამეყიდა და სახარჯოდ ორიოდე გროში მომეგო.

ეფიქრობდი;—ამაზეც ხომ „ნალოგი“ აღარ იქნება?!

ერთ მშვენიერს (მაგრამ უბედურ) დღეს ჩემს ცოლს უთხარი:

ქუკლაჯან, გრამაფონში რომ ფული ქვაქვს შენახული, ამოიღე და მომეცი საეჭროდ მივდივარ და ფულს მოვიგებ-მეთქი.

— რადგან პო დილამ სლუები მიდიხარ, აჰა, წაიღე—მომიტანა ფული ჩემმა ცოლმა და ხატზე ლოცვა დაიწყო, რომ ბევრი ფული მომეგო; კიდეც მაკოცა. თურმე იმ შერჩვენებულს კოტიას პუდრი და წითელი სალებავი შეეცხო.

მახლას! სუნისაგან კინაღამ გული წამივიდა.

სრაზუმ ავიღე ჩემი ხარახურა და ჩემს გზას გაუდექი.

— ილოდე, ფულს რომ მოიგებ ტუფლები უნდა მიყიდო—დამიბარა ცოლმა, როცა მე ალაყაფის კარებს გავსცილდი.

ჩავედი გორში.

ჯიბის ყაირათი რომ გამეწია, სოფლისაკენ ფეხით გავუდექი.

გზაზე ორი კაცი შემომხვდა. მე რაზბონიკი მეგონა, მაგრამ თავაზიანად მიმიღეს, გამომელაპარაკეს. მეც უამბე ჩემი ამბავი.

იმათ მიმპატიჟეს თავის სახლში. ნაცნობებიც ბლომად ამომაჩნდა; გულს გაეხარდა. მასპინძელმა მითხრა:

— გეურქჯან, შენ რალა დაგიმალოთ, სვოი ჩელოვეკ ხარო. აწელამ აქ დიდი კრება გვაქვსო და იმედია შენ არ გაგვცემ, შენც ჩვენთან იქნებიო.

შევეკითხე, თუ რა კრება იყო.

— ის კრება არის, რომა კიდევ უნდა ავჯანყდეთ და ეს კომუნისტები უნდა გავდევნოთ.—

მეც გამიხარდა ეს საქმე და ვკითხე თუ რა პარტია იყო მათი პარტია. იმათ მითხრეს:

ჩვენს პარტიას ჰქვია: ოცდაერთი ჯვრით-ო

— ვაჰხ! მე ხომ ასეთი პარტია ჯერ არ გამიგონია!? ქვეყანა მომივლია: ორთაჭალა, თელეთი, ფიქრის გორა, გეარდიაშიც ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი პარტიის არაფერი ვიცი.

მითხრეს:

— დაიცადე ცოტა და ჩვენი თავმჯდომარე მოვაო.

ვიფიქრე—ოღონდ კი პერევაროტი მოხდეს და მე სხვა არ მაწუხებს.

— კაცო, მინამ თავმჯდომარე მოვა, მოდი და ცოტა ვითამაშოთ, რომ სკუჩნათ არ ვიყოთო—წამოიძახა მასპინძელმა და ყველა დაეთანხმა.

დავიწყეთ თამაში. მე ერთხანს არ მითამაშნია, მხოლოდ კახეტინსკის კი ვსვამდი... მერე რაღაც მეც მომინდა თამაში; თანაც მოსვენებას არ მაძლევდნენ.

— მოდი ითამაშეო

ვა, როცა მესამეჯერ ბანგი ჩემი იყო და ფული უნდა ჩამეღო, გავიხედე და ჩემი ჯიბე პუსტოი არ არის?!

დავიყვირე:—კაცო, ეს რა სუნკისინობა არის?! ფული წავაგე... მომეცით ჩემი ფული... პრედსიდატილი მოვაო, აბა, სად არის? კაცო, რასა შვებით?. ფული მიიტათ...

— ვინ პრედსიდატელი, შე ვირის თავო? პრეციდატელი და ყველაფერი ჩვენა ვართ—ხმა გაიკმინდე და გაეთრიე აქედან...

— კაცო, თქვენა თქვით რომა, ჩვენა პარტია ვართო, ჩვენს პარტიას, რაღაცა, ოცდაერთი ჯვრით ქვიაო... კაცო, ეს არის პარტია?..მომეცი ჩემი ფული?

— ვა, შე ოხერო, ჩვენ მართალი გითხარით... განა ამ თამაშს ოცდაერთი არ ჰქვია?! ჯვარი იმიტომ მოუმატეთ, რომა, როცა ჯიბე გაგისუფთავდება, ჯვარი უნდა დაუსვა მას... ეხლა კიდევ იტყვი, რომ მოგატყუილეთ?!.

მე მართლაც მივხდი, რომ ისინი მართლაც იმ პარტიის ყოფილან, და კუდამოძუებული სახლში დავბრუნდი.

უამბე ჩემს კნეინას ჩემი თავგადასავალი. მან კოშები წაიძრო და ცხვირ-პირში მითავაზა.

— შე გაცვეთილო, საჟაქროდ წადი თუ კარტის სათამაშოთო? შეჯდა ზურგზე და იმდენი მცემა, რომ ძვალი რბილად გამიხადა.

სულელი ჩემი თავი;

იმ დილით, როცა სტანციაში მოვდიოდი, ტერტერა შემხვდა... მისი ბრალია; აბა რა ხეირს დამაყრიდა მისი შეხვედრა! ჭკუა უნდა მექნა: აღარ უნდა წავსულიყავი... ამ შერჩვენებულ კომუნისტებს ბარემ, მთლად მოესპო ეს ტერტერები. მ. ხეველი

# „სუეცის ყელი“

(გეოგრაფიის გაკვეთილი)

ერთ რესტორანში... ო, უკაცრავად, | სასწავლებელში *).

გეოგრაფიის გაკვეთილი იყო.

დაფაზე ქარტა იყო ჩამოკიდებული და მასწავლებელი მოწაფეებს გაკვეთილს ეკითხებოდა.

— აი, ამ ქარტაზე მთელი დედამიწის ზურგია დახატული—ამბობს მასწავლებელი—მაჩვენეთ სად არის ხუეცის არხა?

მოწაფე ქეთო ილანის და თანაც მასწავლებლის ჩამოხეულ შარვალს უცქერის.

— არ ჩ ძრეს შარვალი ამ გაპირვე ბულს—დაიძახა ვილაცამ და ქეთომ უფრო ხალისიანად გადიკისკისა.

— აბა, ჩქარა, სად არის სუეცის ყელი?

— რაო, ბატონო? სოსკის ყელი სად არის?—შეეკითხა ქეთო.

— შენ ბავში გეყოლება, ალბად, რომ სოსკა გელანდება... დიახ, ახლა მოდაშია მოწაფე ქალების ორსულობა... მე გეუბნები: სად არის—სუეცის ყელი?

— ჰოო... სუეცის ყელი?.. აი, აქ არის, ბატონო—და ქეთომ თითი დაადო პიატიგორსკის ქალაქს.

— არ გცოდნიათ... დაბრძანდით. აბა, გამობრძანდით ნინო თაგვიპერიაშვილო.

— მე წუხელის პროსპექტზე ვსეირნობდი და გაკვეთილის მომზადება ვერ მოვასწარი...

— აბა, გამობრძანდით ელო მასთანამყოლიაშვილო.

— ვაჰხ. სულ ქალებს გვეკითხება და ვაჟებს კი არა...

— ჩვენ ჯერ გამოფხიზლებულნი არ ვართ... პახმელიას შემდეგ გვკითხავს... ეხლა შენ გადი—

— სად გავიდე!.. არაფერი არ ვიცი—მაგრამ ელო მაინც გავიდა.

აბა, მაჩვენეთ სად არის სუეცის ყელი?

ელომ ურალის მთებს დაადო თითი.

დაბრძანდით... არც თქვენ იცით. მასწავლებელმა უიმედოთ ჩაიქნია ხელი და ჟურნალში ძებნა დაიწყო.

— აბა, კარაპეტ ჩიბუხტარიანო, გამოდი და მიპასუხე, თუ როდის გასჭრეს სუეცის ყელი?

კარაპეტ გავიდა, თითი თავზე დაიდო

*) რესტორანი იმიტომ წამომცდა, რომ ამ სასწავლებელში მოწაფეები ძალიან ხშირად თვრებიან და პარტებზე უწყვიათ ღვინო და თორნის პურის გრძელი ლავაშები. დიდი განსხვავება ამ სასწავლებელს და რესტორანს შორის არაფერია, გარდა იმისა, რომ მიკიტანი დაბალი და მსუქანი არის, ხოლო ამ სასწავლებლის მასწავლებელი, პირიქით, მაღალი და გაძვალტყავებული იყო, როგორც გამხმარი ტარანი.

ქ.

და ფიქრთა მორევში შეცურდა... ვერაფერს გახდა. შემდეგ თითების მტვრევას შეუდგა... შემდეგ თითი ცხვირში შეიდო, თითქოს იქ ეძებს არხის გაჭრას წელიწადსაო. თითს თანდათან ცხვირში აგზავნის, თითქოს უნდა ცხვირიდან ტვინს მისწვდეს და პასუხი მისცეს მასწავლებელს; სწუხს და ფიქრობ:

— შეძვერი თითო ცხვირიდან ტვინის კაბინეტში, გადაშალე ჟურნალი მეცნიერებისა, შემატყობინე წელიწადი სუცის არხის გათხრისა—.

თითი დაბრუნდა და გადმოსცა:—შენ მაშინ დაბადებული არ იყავი და შეუძლია მასწავლებელს ამაზე არ უპასუხო...

კარაპეტ მართლაც ასეთ პასუხას მიცემას აპირებდა, რომ მასწავლებელმა ახალი საკითხი მისცა:

— ეს თუ არ იცი, მითხარი—სად იყო მტკვრის ძველი კალაპოტი?

— ორივეზე გიპასუხებ მასწავლებელო... მე ვარ თვრამეტი წლის და არ მეცოდინება თუ როდის გაჭრეს სუეცის არხი, რადგანაც არ დავესწრებივარ მის გაჭრას. მე დაუესწრარი ავჭალას ელექრო-სადგურის არხის გაჭრას და თუ გინდა როდის იყო ეს,—გეტყვი. რაც შეეხება მტკვრის ძველი კალაპოტის ამბავს, უკაცრავად, მარა არაფერსაც არ გეტყვი, რადგან მე მასთან არასოდეს არ მიგზავრია და არც სურვილი მაქვს ოდესმე ვიმგზავრო...

— დაჩუმდი, შენ ავლაბრელო—ველარ მოითმინა და შეუტია მასწავლებელმა.

— შენც ავლაბრელი ხარ, მაგრამ ჩვენი მასწავლებელი ხარ—

— თქვენ რად გინდათ სწავლა?! რა ლაც ეშმაკობია სიყვარულს მისდევთ ყველა—.

— რა გაჯავრებს, მასწავლებელო... ჩვენ ჯეელები ვართ და ეს არც გასაკვირალია... განა შენ ყოველ ღამეებს არ ათენებ ავლაბრის ბაღთან შენს მართასთან?

— მე თქვენ აღარ გასწავლი—და მასწავლებელი გავიდა გარედ. მოწაფეებმა ჯერ ერთმანეთს შეხედეს, შემდეგ გადიხარხარეს და სიმღერით თავთავიანთ სახლში წავიდნენ.

ქეხუსიკო.

(თუმცალა იგიც ღარიბ ხალხს თავზე გვაძრობდა საბანსო)

ტარტაროზ! მაგრად ჩასძახე ექიმს ორივე ყურში—
განათლებული კაცი ხარ,
სინდის ნუ გაცვლი ფულშიო.

წავედი.

## შორაპანი

ამას წინად აქ. საშინელი უბედურება და ტრიალდა.

მსახიობა გვახაძეი და რიყაძე დაეჯახნენ ერთმანეთს პირველს დაემსხვრა სათვალეები, ხოლო მეორეს შავი მელნით შეელება წვერ-ულვაშები*). დიკახება უფრო საშინელი იქნებოდა, რომ ვანოს სახაზავის ტკაცანით არ შეენელებაია მისი სიძლიერე.

### იქიდნავე—პარიკმახერი ხერო

უნდა გავაცნოთ ყველას
პარიკმახერი ხერო,
მას სამართებლის ნაცვლად
ხელში უჭირავს ცერა.
ხელათ გაგილობს სეპონს,
გაძვრება სახეს კანი,
თვალებს ცრემლები სცვივა
და ეტკივა პირის კანა.
როცა შეწყდება დენა
თვალებზე ნაკადულის—
იმ წამ.ვე ჩვენი ხერო
მთხოვნელი არის ფულის.
ნიხრზე ვერ მისცემ ფულსა,
გაგიჯავრდება მწარედ
და დაჩეხილი სახით
გამოგისტუმრებს გარეთ.

წვეთი.

## სად. ნავთლუღი

ძაღლთა დასასვენებელი ბაღი. „ცხოველების მოყვარულთა საზოგადოების“ წევრების: მე-7-დე უბნის სალაინდაგო უფროსის კალატოზიშვილის და მებაღე ძნელაძის მიერ სად. ნავთლუღში გახსნილია მათი სახელობის ძაღლთა დასასვენებელი ბაღი.

ბაღი საგანგებოდ გადაკეთებულია. მცხოვრებლებს შიგ შესვლა ეკრძალებათ, რადგან, მოსალოდნელია დასვენებული ძაღლები მათ ხერის არ დააყრის.

ძაღლებასადმი ასეთი უპირატესობით შეურაცხოფილმა ლორებმა სამოქალაქო ომი გამოუცხადეს მახლობელ მადამოებს.

ს. რთ.

## ჯურუყვეთი (გურია)

ორი წელია რაც არსებობს ჩვენი გლეხკომი.

ამ ხნის განმავლობაში მან ბევრი რამ გააკეთა.

---

*) თუ ხანში შესულის არაფერი უჭირს. პაწაწინა წვერ-ულვაშის ინა და ბასმით შეღებას მაინც გადარჩება.

ტარტაროზი.




## ჩოხატაური

ეს „ოსმან-ალა“ ვინლაა,
ანდა ეს კიდევ „კიკოლა“.
უხვად რომ იწყეს ზედიზედ
ლექსების ასე მიყოლა?!

აიყაყანებს დაბაში
ვილაც-ვილაცა ოხრები...
ვინ გადამყლაპავს—არ ვიცი:
„ალა“ თუ მისი ნოქრები

რა უნდა ჩემთან, ნეტავი?
მე ჩემთვის დავიხეტები.
მეუბნებიან—შენ ხარო...
ჩემზე მომართეს კეტები.

რა კი ასეა, დე, ბარემ,
გზა დამიცალეთ—პაპარდა,..
ვინ სთქვა:—ერასტოხ ცხინკებით
ივტიხი ლანჩხუთს ჩაბარდა!?

ყალბი საქმეა ეს სიტყვა,
ხმა კი სხვა წესით გავარდა...
(მარა „ნამუსად“ ეყოს ჯერ,
მხილება მისა არ ვარგა).

— : —

არც იგი არის მართალი
„პორი“-თ რომ ბერვენ გუდებსა;
„ჩირქს“ სცხებენ ნამდვილ „მუშაკებს“,
გლეხკომში დანაბუდებსა.

„ვითომდა“ სარევიზიო
ამათმა ნახეს დავთრები;

ორ სავაჭროში თანაბრათ
(არც მეტი, არცა ნაკლები)

გაუვზავნიათ მეურეუში
შეიდას-შეიდასი ქანქრები...
(მამაწუცხონდა, კაცი რომ—
ზედმეტად გადიქაჩები).

შენ ტროსტით ხელში სეირნობ,
და ნოქრებად გყავს ჩარჩები...
(ბოლო დროს ნუ შეწუხდები,
თუ რომ პირლია დარჩები).

— : —

სწორად თუ ვიტყვი—ვეფხვი ვარ,
დე, ლომი იყო მოპხდური.
არ მეშინია, თუ ვიტყვი:
— ცუდად იქცევა „დოხტური“.

მითხრეს—გოგიას ვუშინ ღამ
ცოლი რომ ჰყავდა ავათა,
— ცხენი მიართვეს ექიმსა,
წაპრძანდა სანახავათა.

სამი მანეთი რომ მისცეს
მას მოუვიდა გულით:
— არ შემაწუხოთ შემდეგში
თუ არ გაქვთ მეტი ფულით.

ატირდა თურმე გოგია!
— თვალი რას ხედავს ამისო,
მელიტონს შემდეგ ექიმი
აღარ ელირსა დაბასო.

რუსის „მატუშკა“ მერჩივნა,
თუ მითქმევინებ მართალსო.

1) წარმოება დაიწყო ლგინის ვაჭრობით, რამაც დიდად შეუწყო ხელი ახალგაზრდობის სწავლა-განვითარებას; ვერც ერთ ახალგაზრდას ვერ ნახავთ, რომ ლოთობა არ შეესწავლოს და ორ უცხო ენებზე მაინც არ იცოდეს გინება.

2) მეორე ვაჭკაცობა გლეხკომისა იმაში გამოიხატა, რომ ქოხ-სამკითხველოს შენობა დაშალა და მისგან გააკეთა სამჭედლო.

გაზეთები მაინც არ ჰქონდათ და სამკითხველო აბა რა ჯანდაბათ უნდოდათ?!

კიდევ ბევრ ასეთი კარგ საქმეებს გააკეთებდა ჩვენი გლეხკომი, მაგრამ რაღაც უბედურად უცნაური ავადმყოფობა გაუჩნდა.

მოიწვიეს ბუხგალტერები იაგორა და მარკოზა ავადმყოფობის გამოსარკვევად, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

ჩვენმა გლეხკომმა სამუდამოდ განისვენა.

მიცვალებული ჯერაც არ დაუსაფლავებიათ. მისი თავმჯდომარე კარებთანაა ატუზული და ცხარე ცრემლებით სტირის. საწყალი თავმჯდომარე, მან იმდენი იტირა და კიდევ ვერ გაძლა ტირილით! (ალბათ გლეხკომი ძალიან უყვარდა).

ან კი როგორ არ იტიროს, როდესაც ერთ უბედურებას მეორეც დაემატა. მას თურმე გლეხკომის იმ 300 მ. სთხოვენ, რომელიც მას თურმე უცაბედათ კუჭში გადაცდა.

ვთხოვთ ტარტაროზს სამძიმარი გამოუცხადოს და მით მაინც ანუგეშოს ჩვენი გლეხკომის დამგლოვიარებული და გაუბედურებული თავმჯდომარე.

ხიავე.

## ქვემო-მაჩხაანი (ქიზიყი)

ჯერ დაუმთავრებელ სახალხო სახლის ეზოში ალმასკომის დადგენილების თანახმად უნდა გაშენდეს ბაღი.

მიწის განოყიერების მიზნით ალმასკომმა უბრძანა ვირებს, ძაღლებს, ყოველგვარ შინაურ ცხოველებს და ფრინველებს თუ კი სიკვდილს აპირებენ, აუცილებლად ხსენებულ ეზოში მოვიდნენ თავიანთი ფეხით და აქ განუტეონ სული.

ყველა მოქალაქე და მილიცია ვალდებულია თვალი ადევნოს—მკვდარი ცხოველი სოფელს გარედ არავინ გაიტანოს.

იქიდანვე. რადგან აქაურ სამკითხველოში მხოლოდ ათი წიგნია და მკითხველი გაცილებით უფრო მეტი, ამიტომ სამკითხველოს გამგემ წიგნები ფურცლებად აქცია და ასე დააკმაყოფილა მოთხოვნილება.

ბარაქალა მის მახვილ ჭკუას!

## იქიდანვე „წითელი სასადილო“

მართლაც ამართლებს თავის სახელს. ვინც შიგ შედის, უეჭველად გაწითლებული უნდა გამობრძანდეს (ანდა გამოიტანონ). ხშირად იმართება ჩხუბი და ცხვირპირის მტვრევა.

თილიყამყამი.

## ს უ ფ ს ა

ფოსტა-ტელეგრაფის შენობაში გაიმართება ბრძოლა ფოსტალიონ გუჯაბიძეს და გამგე ფარცხალაძის შორის.

უკანასკნელმა ერთი დაკვრით დაამტვრია აპარატი, ხოლო პირველმა, სამაგიეროთ, ერთი ხელის მოქნევით მოწინააღმდეგის ცოლს მოსტეხა ხელი.

ყოველივე ამის შემდეგ გამოირკვა, რომ ისინი კი არ იყვნენ დამნაშავენი ამ საქმეში, არამედ წითელი ღვინო*).

ოხ-უნჯი.

*) იქნებ ეს წ ი თ ე ლ ი ღვინო რომელიმე წ ი თ ე ლ სასადილოდან იყო მოტანილი.

## დ ი დ ი-ჯ ი ხ ა ი შ ი
### (სხვადასხვა ამბები)

ამბათ მითხრეს—ალმასკომსა
ცბენი ჰყავსო ბედაური;
თურმე ყველა იმას ხედნის
გარეშე და შინაური.

ვალოდია ვასოშვილსა
რომ ეჭიროს ხელთ მათრახი,
ამაში ხომ არაფერი
არ იქნება დასაძრახი?!

—:—

დროს ტარება, ქეიფი
თურმე კარგი ყოფილა...
ამაღლება ხუცების
შარშან რომ არ ყოფილა

—წელს იდღესასწაულეს,
—შევცდი და მეც წავედი;
ისე მაგრად დამათვრეს,
სახლში ველარ მოვედი.

დამთვრალ ხუცებს უტკბობდა
ყურთა სმენას არღანი;
აყრუებდა მიდამოს
მათი უშნო ღაღანი..

ბაბაიკა.



## პასუხი მოწერილებს

ჯლანოხ. პოლოს წიწმატიანცი ქურდობას გაბრალებს და თავისი წერილით ამას თქვენ ადასტურებთ.

კარგია გულახდილობა. ჩვენი სასამართლო მხედველობაში მიიღებს ამას და განთავისუფლებს.

კუდბლახ. თქვენს წერილს „შესწორება“ აღარ „დასჭირდა“, ისე გამოგვადგა „უძირო გოდორში“.

მალამ ლობეხ. გეტყობათ შიშის გამო კუჭი აგშლიათ და მელნის ცუდათ ხართ. გამაგრდით; ვერაფერს დაგაკლებს, თუ ყოველგან სიმართლეს იტყვით.

კლაგიშ დოხ. თქვენი წერილი გადავაგზავნეთ „სასაფლაო ტრესტში“. ჯოჯოხეთის დარაჯმა მოგიკითხა. ქესუსიკომ გისაყვედურა. (ხომ იცნობთ ამათ?)

თაყახ. ვიღაც ბიჭი ვიღაც გოგოს
ჩამკიდებოდა კისერში.
გოგოც ჩკოცნიდა მხურვალედ
და ბიჭი . . . . . . .

ნუ შეგშურთ სხვისი ბედნიერება. კიდევ კარგი რომ წერილზე სახელს და გვარს არ აწერთ.

ზრასტის“ კავშირის წევრი არა, კომინტერნის წევრიც რომ იყოთ, უვარგისს წერილს მაინც ვერ მოგითავსებთ.

„შხამიან კალამს“ თქვენს წერილში ვერაფერი მივხვდით; ისე ცუდი ნაწერია, რომ ვერც გავარკვიეთ. ძალიან სამწუხაროა, რომ მასწავლებელი ყოფილხართ. სჯობდა თავის პროფესია დაგემალათ. ნეტა, თქვენ ასწავლით ტეხნიკუმის მოწაფეებს და ისინი თქვენ გასწავლიან? ეს ჩვენ გვაინტერესებს და, თუ ხათრი გაქვთ, შეგვატყობინეთ, მხოლოდ წერილი თქვენ არ დასწეროთ, თორემ კიდევ ვერ წავიკითხავთ. მოწაფეს დააწერინეთ..

### ვარდენ ყიფიანს (ღვანკითელს)

ვათავსებთ თქვენს შარადას *)

ა.

ნაკურთხი პური, რომელსაც
აზიარებს მღვდელი,
ძრიელ გთხოვთ შარადისთვის,
მომცეთ მისი სახელი.
(შიართვით ვარდენს, არ აწყენინოთ!)
მხოლოდ სუ არა, ანბანი,
მას წინიდან ორი,
მე მომეცით, დანარჩენი
გადისროლეთ შორი.
(გისმენთ, ბატონო ვარდენ!)

*) დაცულია მართლწერა.

ბ.

ქუთაისში შუა ჩამოდის,
ისეთი მდინარე,
რომელიც არის გრემაჟი,
ჩქარი მომდინარე...
(ალბად რიონი იქნება!)

მასაც წინად ანბანი
მოაგლიჯეთ ერთი.
(ერთი ასოსთვის ამდენი ხლაფორთი არ ღირს?!)

და იქნება შარადისთვის
ძმური შემაერთი
(შენ გაგიწყრა ისე ღმერთი!)

გ.

ხისგან გაკეთებულია,
ოჯახის პურპელი,
პურის მჭადის ფქვილისათვის
კარგი მოსაზელი.
(გობი ხომ არაა?!)

ამის სახელიც შუაზე
გამიჭერით სწორე.
(თვითონ რომ გაჭრათ რა იქნება?)

წინა დამითმე და ბოლო
არ მსურს მომაშორე.—
(არც ჩვენ არ გვსურს და მთელად შენთვის დაგვილოცნია!)

დ.

თავიდან პატარა თევზის,
გამიხსენით სახელი.
(რომ მოგართვათ—არ მიირთმევთ?)

და წაილეთ წინიდან მის,
ანბანი პირველი;
ოთხი ანბანი დარჩება
ის მაბოძეთ ყველა,
და ამითი მიეცემა
ჩემს შარადას შველა.
(თუ გვეღირსა მისი დასრულება, ჩვენიც არის შველა)

ე.

როდესაც დრო მოვა, თუ ტყეში,
თქვენ დადიხართ ხშირად,
(გადარეული ხომ არ ვართ, რომ თქვენსავით ყოველთვის ტყეში ვიყოთ)

იქ უსათუოდ სოკოებს,
ნახავთ ბუჩქის ძირად,
მხოლოდ სულ არა, იმას წინ,
ორი ასო მარტო,
მოთავაზეთ რომ შარადა
მკითხველს განუმარტო.
(არა მგონია!)

ვ.

სახლის თავზედ ასვლა თუ გსურს,
რა უნდა იშოვნო?
(თაგვი).

ძნელი არ არის, დაფიქრდი,
ეგებ მოიგონო;
(აჰა—მოვიგონე, ახლა მივხვდი. კიბე უნდა იშოვნო).

მიხვედით? (კი) ჰოდა, მის სახელიც
გასჭერით შუაზე,
(გავყავი და მივიღე: კი—ბე).

ბოლო შენ გქონდეს, შარადას,
წინა უთავაზე.
(ასე არ მინდა; ბე შენ გქონდეს, რადგან იგი ძვირალი კაცის პირიდან დ.იმასჭნარს ჰქვია).

ზ.

(აღარ ათავებ, ოჯახქორო!)

ეხლა დაბადებულ ბიჭსაც,
რაც არის საკვები,
(მწვადი).

იმის სახელის ხსენებით,
ბევრს მომეხმარები.
(არ მოგეხმარები! ვერ გაჩერდი შენთვის?)

სამ ანბანისგან შესდგება,
წინა თქვენი არი,
ორი ბოლო შარადისთვის
არის მოსახმარი.
(მთელად წაიღო თუ კი ხეირს. იხავ).

თ.

და გამოვა ჩვენი მთავრობის,
ფეხზელ მწყემსი გმირი,
მოქმედებით ძრიელ მკაცრი,
შეხვედრით კი ტკბილი;
ბევრში წაავავს საავაძეს,
მაგრამ ბევრშიც არა,
ეხლა მახვეწით ვინაც არის,
(ჩვენ კი არა, შენც ვერ მიხვდები და არც იცი ვინ არის!)

რაც ვსთქვი ესეც კმარა.
(მადლობა ღმერთს, თუ მიხვდით გათავებას. კმარა კი არა, მეტიც არის).

თქვენ გვწერთ, რომ ჩვენს სახელმწიფო მოღვაწეებზე, თითქმის ყველაზე გაქვთ დაწერილი ასეთი შარადა და გვპირდებით გაბედნიერებას მათი გამოგზავნით. ჩვენ ეს ვაცნობეთ მთავრობას, რომელმაც თქვენს მუზას აუკრძალა საქართველოში ყოფნა და თქვენი შეწუხება. აგრეთვე ფოსტას უბრძანა, თქვენი წერილები არ მიიღოს და მიტანის დროს დაგაპატიმრონ.

ამისთვის ტარტაროზი გაფრთხილებს წერილი არ გამოგზავნოთ.

თქვენვე კიდევ უფრო გენიალური ნაწარმოებია თქვენი აფორიზმები, მაგრამ უადგილობის გამო ჟურნალში ვერ ვათავსებთ, შენახული იქნება უფსკერო გოდორში; ოდესმე ცალკე წიგნათ გამოვსცემთ.

აქ მოვიყვანთ მხოლოდ ზოგიერთს:

„ძაღლმა რომ შემოგვიყეფოს,
ჯოხს ნუ მოუქნევ მასაო,
ეს იმას უფრო შერცხვება
არ ამოიღებს ხმასაო“.

ძალიან სინდისიერი ძაღლები ყოფილა თქვენში. (ალბად ეს აფორიზმი თქვენებურ ძაღლებზეა დაწერილი).

ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენ ვერ გაგვიგია ერთი რამ: თუ ძაღლი სინდისიერია, რატომ უნდა შემოგვეყეფოს, როცა ჩვენ ჩვენთვის მივდივართ და მას არაფერს უშავებთ? იგი რომ პატიოსანი ყოფილიყო, არც შემოგვეყეფოდა—და უსინდისოს კი ყოველთვის მოუხდება თავში.

„თუ ვერ მოიხმარ იარაღს,
როგორც რიგი და წესია,
რომ არ გექონოს წელზედა
ათასჯერ უკეთესია“.

მართალს ამბობთ; მაგრამ ყველა რომ მიხვდებოდეს ამას, მაშინ თქვენ გაუშვებდით კალამს ხელს და არასოდეს არ აიღებდით ხელში.

„ძაღლმაც კი იცის რისთვის ყეფს,
და რისთვის მისდის გულია,
ვწუხდები ადამიანს,
ამასაც მოკლებულია“.

როგორც სჩანს ძაღლი თქვენ მეტად გყვარებიათ; თქვენი აფორიზმების უმეტესობა მათზეა დაწერილი.

თუ გრიგოლ ცეცხლაძე მამალზე და რაჟდენ გვეტაძე ვირზე სწერენ, რატომაც ძაღლზე არ დავწეროო... ეს თქვენი საიდუმლო შეგრძნება თავისი გენიალობისა—სწორია, მაგრამ მათი მიბაძვა ხელს თქვენ არ მოგცემს.

თვით აფორიზმი ჩვენის აზრით ვერ არის მართალი. თქვენ ამბობთ, რომ ძაღლმა კი იცის რისთვის ყეფსო და ადამიანმა კი არაო.

მართალია, ძაღლი ადამიანზე გონიერია, მაგრამ პოეტური აყეფება, როგორც ეს ადამიანშია (და თუ გნებავთ ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო თქვენში), მასში არ არის და ამიტომაც იგი, განთავისუფლებული ყოველგვარ ჰკუის და ტვინის ტკივილისაგან, უფრო გონიერია, ვიდრე ისინი, რომლებსაც მეტად აწუხებს ხსენებული ტკივილი და პოეტური ავადმყოფობა.

კიდევ ერთი აფორიზმი და მეტი არა.

„შენი საიდუმლო რომ სხვას გადასცე და იმან კიდევ სხვას გადასცეს, ამისათვის მას ნუ დაემდურები, რადგანაც შენი საიდუმლო თვითონ შენ ვერ შეგინახავს და სხვა რაოპით შეინახავდა“.

აქ ყველაფერი ისე ბრძნულია, რომ ჩვენ არაფერი არ გვეთქმის, გარდა შემდეგისა:

— თქვენი წერილი რომ ფოსტას გადასცეთ ჩვენთვის გამოსაგზავნათ, ფოსტამ ჩვენ გადმოგვცეს დასაბეჭდათ, მაგრამ ჩვენ იგი არ დავბეჭდოთ და უფსკერო გოდორში მოვათავსოთ—ამისთვის თქვენ ფოსტას ნუ დაემდურებით.

საერთოდ ჩვენ მეტად გვახარია, რომ სოლომონ ზურგიელიძის სამშობლოში, მისი მემკვიდრეები ბევრი არიან და მათ შორის თქვენ ყველაზე უფრო სახელოვანი ხართ.

აგრეთვე სასიხარულოა, რომ რუსთაველის ახლობელი მემკვიდრეები აღარ არიან ჩვენში.

„კირილეისონს“. (საჰამიასერი) თუ პოლიტგანი თქვენი სამკითხველოს შეფია—თქვენი წერილის შეფი გახდა ჩვენი უფსკერო გოდორი და იქნება აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე კირილეისონ—ამინ.

ხუშტურს. ტარტაროზი არ არის სიყვარულის წინაამდეგი და მით უფრო, როცა სიყვარული „სამღლაურია“. (იხილეთ დღევანდელ ნომერში მისი მოხსენება) ამიტომ კამათს ამის შესახებ საჭიროთ სპობს.

„მოიდანახეს“ თქვენი წერილი მიიღეთ და ნახეთ ჩვენს გოდორში.






Р-7141

ს. ს. მ. „შ". ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა
ტფილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91.

პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 30 ივნისი 1925 წ.

# ტარტაროზი

№ 12—(15)

გაზ. „მუშა"-ს ორკვირეული უფასო დამატება.

№ 12—(15)

[illegible] მარსელში [illegible] II ინტერნაციონალის კონგრესი



კაუცკი და კამოუცკი ვითომ ჭკვიანურიაო.
კაპიტალიზმს ხელს ნუ ახლებთ ისიც შინაურიაო.
ნურაფერს აწყენინებთ, კავშირი გვაქვს ძმურიაო.
ყველა მათი კარგი მღერალი, ვით ერთგული მურიაო.

# ბრძანება № 5




მეუფე ჩვენი
ბრაზით და ცოფით,
ხელში ჩანგალით,
მახვილით, თოფით—

გარისხდა თქვენზე;
ნუ ელით შველას;
ნურცა დათმობას,
პასუხს გთხოვს ყველას.

ამბობს:—არ გადის
სიტყვები წყნარი;
საჭირო არის
ბრძ.ნება მწარი

— და ბრძანებს ეხლა
მთელი სიმკაცრით:
თვალებს დაგივსებ
სულყველას ნაცრით:

იცოდეთ:—ყველა
ვალდებულია,
რომ შეასრულონ
რაც აქ თქმულია.

ამიერიდან
ვაძლევთ მანდატსა—
(თუ საჭიროა
არა ერთს—ათს:ა)

— მათ, ვინც ასრულებს
ყველა ჩვენს წესებს:
გზავნის ძლვენს მარად
და უკეთესებს.

—

თუ უწინ იყო
ას ოცდა ათი,
ეხლა მეტია
რიცხვი იმათი.

ქ"დევ მოდიან
ჩვენთან მრავალი.
(ყველამ იცვან
ჩვენსკენ გზა-კვალი)

მილება არის
არა ადვილი.
შტატს არ ვამცირებთ,
არის ადგილი,

მაგრამ გადაჭრით
ვამბობთ აწასაც:
თუ ღირსი არ ხარ—
არ გაგცემთ ხმასაც.

და (შეიძლება)
უკან პანღური
ამოგკრათ არა
აშხანაგური.

(არ კმარა მარტო
კალმის დაჭერა)
მაგრამ არ დაფრთხეთ,
განაგრძეთ წერა.

—

მოლხეა სიბრაზე
ამ მასლაათში,
არ ვარ რაც ვიყავ
წინა საათში.

დღეს ნომერია
ჩვენი ხუთმეტი
(ბრძანებაზეა
ის სამჯერ მეტი).

და თუ ამდეხანს
ვიყავით „რბილი"
და არ გავკარით
აგენტებს კბილი—

— ამიერიდან
გაფრთხილებთ, რომ
ლმობიერება
წაიღო დრომა.

თქვენგან ვთხოულობთ
ჩვენ დისციპლინას
და ხელს მოგიჭერთ
ვითარცა რკინას.

წაიკითხავდეთ
ერთხელ ბრძანებას
და არ აქცევდით
მას ყურადღებას.

ჭკუ უკაცრავად...
ეს იყო—მაგრამ
ამიერიდან
გეპყრობით მაგრად.

სახელმძღვანელოთ
აქ გამოდგება,
რომ ამის უწინ
იყო ბრძანება.

იმ ბრძანებიდან
მოვიყვან ადგილს,
(თუმცა ზეპირად
მაგრამ კი ნამდვილს):

> წერილში იყოს
> სიცილის ქონი..
> წერა—ცალ გვერდზე...
> შორშორს სტრიქონი.
>
> მასალა იყოს
> მეტად ახალი
> და ამავე დროს
> სწორი, მართალი.
>
> დაწერისათვის
> სამი დღე კმარა;
> გამოაგზავნეთ
> აქეთკენ ჩქარა.

—

ჩვენაც ვიბრუნეთ
„ხოფლისკენ პირი".
წერილი გვინდა
სოფელზე ხშირი.

არც ერთი კუთხე,
არც ერთი მხარე
არ უნდა დარჩეს
თქვენს თვალთა გარე.

ვინც კი აწუხებს
სოფელს და დაბას:
ჩვენ გავაგზავნით
ყველას ჯანდაბას.

არ მოერიდოთ:
გაბაწრეთ ყველა;
აქ შეეყრება
სიკვდილის ხელა.

მაშ ასე, მედგრად...
წავიდეთ წინა.
არ დაივიწყოთ
თქვენ დისციპლინა.

სრულიად სატარტაროზოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე: კონ წარი.

ჯოჯოხეთი.
ტარტაროზის სასახლე.



# „ქონს-ეწვია“

ლიუბეზნი ბრატ ტარტაროზჯან!

რომ იცოდე რა ნესჩასტნი სლუჩი შემემთხვა, ლამის ზაპლაჩიტი ვქნა.

ამაღლების თელეთში გავცივდი და კუჰის ვასპალენია დამემართა და კინაღამ შენი ჰარი წავილე ხოჯივანქის რესპუბლიკაში.

გენაცვალე მაგ ვარაყიან ფათრეთში; პამაგაი მიქენი რამე. ჩემი საქმე სულ უკუღმა დატრიალდა: ჰამაც ვირიც მომიკვდა და ჩემი პალოჟენია ძალიან პლახოია.

აიკანუშ... ის ჯაჯოხეთის ისტორიაში, რომ ვნიმანიას არ შიშვებზა?! ლამის სული ამომძვრეს, როგორც ორიაპალის სტამფილის.

შენი ბედნი სატრუდნიკი ბალნოი გწერივ.

მნოგუ ვიდილ ი მნოგუ სლიშილ ნა ეტომ სვეტუ და ასეთი მაზალო რამე არ გამიგია თელეთის მადლმა.

ვაჰ, ვიღაც ნარიმანიათ კარგი აპეტიტი ჰქონია ამ ჩემმა ძმემა; მართლა „ქონს ეწვია“ თუ გინდა ეს არის, რაღა! წაილე შავი ქვა ამერიკანსკი გუბერნიაში, მოხარშე და სდელიტ სტორი ადეჟდა ი პატომ პრადავაიტ ნა სოლდაცკუ ბაზარ, ეჰ! მახლას, ეს ვრაცემ რესპუბლიკ რომ არ ყოფილიყო, ამერიკანსკი კამიტეტ ერევანსკი რესპუბლიკ სტარი ადეჟდა ვერ გააგზავნიდა.

გავარიატ, ი ტავარიჩ ელიავა პიშიტ: ქიათურსკი ღუბერნიაში დიდი რაბოტა იქნება, გასპადინ ნარიმან კაჯდი სუტკა ბუდით ათფრავლიატ დვესტი პუდა მარგანეც ნა პარახოდ ნი ბატუმსკი პრისტან ბეზ პერესადკი პრიამო ნა დარდანელ...

ვაჰ! ტარტაროზჯან! ჩემი ბედნი ასიოლი რომ არ მომკვდარიყო, წავიდოდი რაღა და შავ-ქვას ვზიდიმდი... ნო ტიპერ ბალნოიცა ვწევარ. რომ იმ კვირას ჩვენებიანთ რუბენას არ გამოეგზავნა ორიოდე გროში, გოლოდა სდოხლი მე.

ტარტაროზჯან, ოჩინ პრაშუ ერთი სადმე სლუჟბა მიქენი გარაცკოი უპრავაში, ანდა ჰემე ამერიკანსკი „ქონს-ეწვიაში“ და ჭიათურიდან ბუდი პასილატ ნა ფეშქეშ რაზნი დანოს...

პრიმი ვაზდუშნი სალამ
ატ მოი ბალნოი სერცა.

ტვოი მოლოს წიწმატიანც.



# „აგარაკი“

„იშვიათია შემთხვევა, როცა მუშა-მოხამსახურე თავს იკატუნებს, თითქოს იგი ავად იყოს, რათა გააგზავნონ დასასვენებელ სახლში, ანდა აგარაკზე“.

რა ქმარი ხარ, თუ რომ ცოლი აქ ამყოფე ამ ზაფხულში.
(ცოლის ქმრისა სიყვარული ჩაუქრება უცბად გულში).
სამი თვისა ჯამაგირსა აგროვებდა ჩვენი ვანო
და ამბობდა: „ცოლი უნდა აგარაკზე წავიყვანო;
„შეიკეთებს, გასუქდება... იქ იცხოვრებს სიხარულში;
„თავის ცოლის ჯანმრთელობას კარგი ქმარი არ სცვლის ფულში“.

გაამგზავრა... თვითონ დარჩა, რომ მოეწყო კარგად ბინა...
გადის ხანი და უცოლოდ ჩვენსა ვანოს მოეწყინა;
ფიქრობს: „ნეტა მასთან ვიყო... რა კარგია აგარაკი...
„აქ საშინლით კვდები კაცი—იქ მექრება ისე-კარაქი.
„ფული არ მაქვს... ო, დაიქცეს უფულობა, სიღარიბე;
„თაგვებს ბინად გაუხდია ცარიელი ჩემი ჯიბე.
„რა უწყრით რომ გამგზავნონ... ხაზინას რა დააკლდება?!
„ჩემი ჯანი ერთი ასად გამაგრდება, გასალკლდება.
„იქნებ რამე ქე გამეწყო, რომ ექიმი არ სინჯავდეს...
„რა კარგია, რომ ექიმი მე „ძმა-კაცი“ ეხლა მყავდეს...
„ო, რამდენ ნაცნობებსა გაუკეთა კარგი საქმე...
„რომ მეთქვა ეხლა ადარ ვიქნებოდი ისევ აქ მე“.

ჩაუქინა... მაგრამ, ოი, არ ქონდა ვერაგ მტერსა;
გამოვიდა ბრძოლის ველზე, მოუფინა: კედელს, ჭერსა.
შეტევაზე გადავიდა, დაესია ველად ვანოს,
თითქოს უნდა მოჰკლას იგი და ედემში წაიყვანოს.
წამოვარდა ზეზე ვანო (არ დაიბნა კაცი ჭირში)
გამოფხიზლებით გამოჰყარა რომ ჩაუძვრა მტერი ძირში.
ხელთ აიღო დევორვერი, მტერსა ტყვია დაუშინა;
მოიშველა რაღაც სითხე—უამრავი დააწვინა.
მტერმა უკან დაიხია... მიიმალა იქვე ახლოს,
რათა დამით მეტი ძალით კვლავ შეტევა განაახლოს.
დასცქერს ლოგინს სისხლით მორწყულს, მტერთა გვამით მოჭედილს
და ასეთი გამარჯვებით უხარია სულს და გულსა.
ვანო ფიქრობს: „მამა-კაცის ხვედრი არის მწარე შეტად:
„ჩვენ გვიხდება ყოველ ზაფხულს სახლში ყოფნა მარტოდ, ცალტად.
„ცოლები გვყავს აგარაკზე... სეირნობენ ფიჭვ-ნაძვნარში...
„და ვინ იცის, იქნებ კიდეც, შესდგომია ვიღაც მხარში“.
„წავალ, ექიმს ვინახულებ და ვეტყვი, რომა სისხლს მახველებს
„და ძვლის ვანძრევ დაღლილობით საშსახურში ორთავ ხელებს“.



—იშვიათად რომ თქვენსავით კაცი იყოს ასე სადი
მერწმუნეთ თქვენს ჯანმრთელობას არსად არ აქვს მცირე ძალი.

P-7141



—რა გადარდებს—უთხრა გრიშამ—რას მიჰყვება კაცის თვალი,
გადაჰკარი შე რომ მოგცემ ერთი კოვზი ის წამალი,
ბევრს აგიშლის, სიცხეს მოგკლავს—და გახდები აგერ რა კი,—
მაშინ შენთვის, ჩემო ვანიკ, მზად იქნება აგარაკი.



განუტევა ვანომ სული, სამუდამოდ მიიცვალა.
გრიშამ სწრაფად ვანოს ცოლსა აგარაკზე შეუთვალა.
დასტიროდენ საწყალ ვანოს ოთხ კუბოში გასვენებულს,
აგარაკის სანატრელოთ საიქიოს გამგზავრებულს.



ვანომ წამსვე შეიძინა ის წამალი „ჩემი ღმერთი“
და გადაჰკრა ერთი კოვზი, მოუმატა კიდევ ერთი.



განისვენე აწ მარადის, საფლავს გიმკობს ხისა ჯვარი,
მაგრამ არის შენ რომ გიყვარს აგარაკი და სანუკვარი.

ჭინჭარა.



მართლაც მოხდა როგორც უთხრა: აუშალა ვანოს კუჭი...
სიცხე მისცა... მაშ როგორც სჩანს არ იქნება შრომა ფუჭი.

## დაზღვევის ქასის ბრალია

გულიტეხი სახლის—ვხვდები კაცს წინა ცოლის დანახვაზედ. ამ ხნის კაცი ვარ და მაგრე ჯერ ქალი არ მოუწონებია. მიკვირს რა იყო მიზეზი, რომ მას გეყარე?.. ასეთ ლამაზ ცოლს გაუშვებს კაცი გასაშვებთ?..

—მე კი არა, მან გამიშვა და მომატოვა.

— როგორ, განა მან გაგტოვა?! რა იყო მიზეზი?

— რა იყო მიზეზი და დამზღვევი კასა.

— როგორ, კაცო? დამზღვევი კასის მუშაკებზედ ხომ არ გტკივა გული?

— არა, კაცო. აი საქმე რაში იყო. ზედ-დი-რვა წელია რაც ცოლი მყავს. შვილი არ გვეყოლება. აი ამ ერთი თვის წინ შე-მეძინა ვაჟი. სიმართლე უნდა გითხრა, ცოტა ეჭვებიც დამეპარა. ვიფიქრე: თუ შვი-ლის გაკეთება შემეძლო, ამდენხანს სად ვი-ყავი მეთქი. ჩემი ეჭვები კიდევ უფრო გა-

ძლრმავა იმ გარემოებამ, რომ მე საქმიოდ რიგიანი კაცი ვარ; ახალშობილი კი ძალზედ შავგრემანი ბავშვი იყო. მაგრამ, ვფიქრე, როგორრათაც არ უნდა იყოს, მაინც ჩემს ბოსტანშია ამოსულია და იმას მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვინ დარგო მეთქი.

მართალია, გულს ცოტა მტკიოდა, მაგრამ მაინც გავატარე „მზაჩის" განყოფილებაში ჩემს სახელზედ და სათანადო მოწმობებით მივადექი დამზღვევ კასას. კასიდგან მივიღე 25 მანეთი ცოლის მოსალოგინებლათ.

წამოვედი სახლისაკენ. აფთიაქის პადვალთან ჩვენი ადგილკომის ბიჭები შემხვდნენ. ჩავედით პურის საჭმელად.

გაუწყრეს გამჩენი აფთიაქს. დაალო სალოკი თითი სმოტს, გამქან გამოიქანა და ჩემი ცოლის სალოგინო ოცდა ხუთი მანეთს გამოუყვანა წირვა. მივედი სახლში, მაგრამ არ იკითხავ რა დღე დამადგა?..

ამფხინდა ცოლი და წარმოიდგინე შენ, ორივეთარმა დიპლომატიურმა მოლაპარაკებამ არ გასჭრა და ასე მოულოდნელად ომი გამოცხადდა. მეც დავიწყე თავდაცვითი ომის წარმოება, მაგრამ როცა შევატყვე რომ მდგომარეობა ჩემთვის კრიტიკული იყო და დაყმარცხდებოდი, მე გადავედი შეტევაზე და ცოლი შემომელახა, ოჯახის ტერიტორია დავაცლევინე, რასაც მოჰყვა უმნის სახალხო მოსამართლის ჩარევა და საქმე დამთავრდა იმით, რომ გუშინ მოვაწერეთ ხელშეკრულებას ხელი და ის მისთვის წავიდა, მე კი ჩემთვის.

— არა, ჩემო ძმაო, არა. დამზღვევი კასა აქ არაფერ შუაშია! სულ შენი ბრალია. მე კი სხვანაირად მიუდექი დამზღვევ კასას და საკმაო სარგებლობაც ვნახე და არც შემიძლია ცუდი რაიმე ვსთქვა მასზე.

ერთი წლის განმავლობაში ერთი ბავში სამჯერ მეშვა, სამჯერ გადამეცვალა და ყოველთვის დახმარება მივიღე.

მერე მოვიგონე ავ დმყოფობა და ნაცნობი ექიმის დახმარებით, ერთი თვის შვებულება გავარტყი. ამ ერთ თვეში ბათუმიდგან ორჯერ ჩამოვიტანე კონტრაბანდი და ასი მანეთი აქ ც დავიტოვებინე.

ახლა ვფიქრობ წარვადგინო ცოლის სიკვდილის საბუთები და მგონი, ორმოცი მანეთი დავაძრო დამზღვევ კასას. აი ამ ფულებს მე შენსავით აფთიაქს და მიეც ოხრებს კი არ ვაჭმევ, სახლში მიმაქვს ცოლთან და ისე უყვარვარ, რომ მეტი არ შეიძლება. მოქცეულიყავი შენც და შენი ლამაზი ცოლი, ვინ ცვალე მას, არ დაგტოვებდა.

— ეს ხომ ბოროტმოქმედებაა; ხომ იცი, ყოველთვის კოკა წყალს არ მოიტანს. რაც შეეხება ცოლს, ეს არაფერია, ცოლის შოვნა არც ისე ძნელია.

მოქშანი.

## კინო-მსახიობების ძებნა



რეჟისორი. მოქალაქე, ცოტა ხანს დაიცადეთ. თქვენ მსახიობათ გამოგვადგებით. საუცხოვო „ფიგურა" და „სახე" გაქვთ. ალბად კარგი კინო-მსახიობი იქნებით.

## ექსკურსია

ხურგილი იყოს — და ქიდა
ორივე ხელებით იქმება.

ერთხელ ჩვენ ბიჭებს
(სულ კაცი ათი)
ექ კურსიაზე
ქონდათ კამათი.

დაოხდენ გრძნობით,
ტკბილად და გრძელად,
წყდებოდა მაინც
საკითხი ძნელად.

მივდივართ!.. მაგრამ
საით და როდის?.
ვის დაევალოს
შეკრება ფონდის?..

ვინ შეადგინოს
მსურველთა სია?!.
აბ... რა რთულია
ეს ექსკურსია!..

(დგას, როგორც ნისლი,
თამბაქოს ბოლი)
კოჯორში წასვლა
გადაწყდა ბოლოს...

ბევრს სასიკეთოს
ამბობენ მასზე
და მისი ნახვა
სურს ყველას ასე...

შეგროვდა ფული
და შედგა სია.
მეტი არავინ—
სია სავსეა!..

მაშ ასე:—დილით
შევგროვდებით კვირას;
მოიტანეთ ყველა
შეიძლებთ ვინც რას.

სჯობს ადრე, რომ მზე
არ სჩანდეს ცაზე...
ექსკურსიაზე!..
ექსკურსიაზე!..

დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი
ხარი ვერ დააკავებს.

წავიდნენ სახლში...
რა მოიგონონ?..
რა გზაა მეტი,
უნდა დომონ.

ცოლთათვის ჯერ თქმას
ბედავენ ვერა...
სახეზე ფიქრი
აჩნია ყველას.

არ არის მადა—
წინ სუპი თეფშში...
შრიან ფიქრები
კოჯორის მთებში.

არის დღეს ყველა
ულჯინოდ მთვრალი...
უცქერით ეჭვით
ცოლების თვალი.

— დღეს რაღაც ცოტა
მიიღე ფული...
—აბ, რად გაქვს, ჩემო,
ასეთი გული...

რა ვქნა, ძვირფასო,
არ მომცეს მეტი!..
(ფიქრობს, სჯობია
პირდაპირ ვეტყვი).

—ამ ფულით, როგორ
ვიყიდო კაბა?!.
ამხანაგებში
დახარჯე ალბათ!..

ისე ყრი ფულებს,
თითქოს ყრი ნაგავს...
მუდამ დღე ლოთობ,
დუქნებში ფლანგავ...

—მეუღლევ ჩემო,
მიწყრები რაზე?..
მევდივართ კვირას
ექსკურსიაზე!..

—ოხ, სცრუობ!.. ვიცი
გამცვალე სხვაზე!..
რა გინდა ბევრს
ექსკურსიაზე!..

— ახ, ცოლო ჩემო,
მისმინე ცოტა...
მიყვარს მე სწავლა,
მსურს მეტი ცოდნა!..

მსურს ვნახო სოფლის
ბუნება, ზეცა...
ვნახო კოჯორი
სხვებსავით მეცა!.

— კოჯორში წასვლა
რათ უნდა მუშას?..
იქ იმან ცოლი
უნდა გაუშვას!..

— არ გარგებს ქალო
სხვათა აყოლა!..

. . . . .

იმ ღამეს ბევრზე
წააგო ბრძოლა...

სჯობს არასოდეს, ვიდრე გვიან

გათენდა კვირა.
დილაა რუხი.
მოიდევენ ზურგზე
საგძალი უხვი.

წვანილი, პური,
ღვინო და ყველი.
უკვე დილიდან
გრძნობ წყურვილს ყელი.

დანიშნულ ალაგს
გაუდგენ ყველა...
სრულდება ათი,
არა სჩანს ყველა.

—სჩანს აღარ მოვლენ,
ტყუილად ველით!—
აზბობენ ზოგნი
ბრაზით და ლელვით.

—წავიდეთ, სიცხე
მოგვიწრებს გზაზე.
რა გვრჩდა წასვლას
ექსკურსიაზე?..

ვუ-ფილოყ-ვით
ეხლა ლოგინში?—
დასხდენ საუზმეთ
სხვების ლოდინში.

(კაცს პიქა ღვინოც
შემატებს ძალას)...
უკვე თორმეტზე
გაუდგენ შარას...

ქათამმა წუხლი დალია,
დმერთს შეხედაო.

წიდიან მძიმედ.
შაშველი ველი...
არსად სიმწვანე,
გრი ტკაცელი.

გადადის ცხელი
შუბლს სიმწრის ოფლი...
ეს არის, ძმებო,
ბუნება სოფლის?!.

გამშრალი ენა
მიიწევს სმაზე...
მიადგენ წავკისს
ძლივს-ძლივად სამზე.

ამბობს მოთავე:
(წასვლის მომგონი),
—აქ სადილობა.
არ გვაწყენს მგონი.

ბევრს ნიშნავს სოფლად
ჭამა-სმა კარგი.
ამასთან ცოტაც
შეგვრჩება ბარგი.

გაბრუნდეს უკან
ვისაც ეს არ სურს...
იმ მთაზე ბარგით
ვის ნახავთ ასულს?..

ბოლოსდაბოლოს
ჩვენცა ვართ ცოდვა
სად გაგვექცევა
კოჯორი... ცოდნა?!—

სოფლის ბოლოში
მონახეს ჩრდილი.
და გადმოაწყვეს
რაც შერჩათ დილით.

—სულ ხომ ვერ გნახავთ
ამ სოველს ტურფას...
და შემოუსხდენ
ყველანი სუფრას.

გაჩაღდა ლხინი
ღვინით და პურით;
წავკისელები
უცქერდენ შურით.

აქეთ ერთმანეთში
ჩურჩული აფი:
— იქნებ, კოჯორში
გონიათ თავი?..

შეიპყრო ეჭვმა
ჩვენება ცოტა:
(ჯირკი ხარ კაცი
თუ არ გაქვს ცოდნა.

შველის კიდევ ეს
დღეები უქმე).
იქნებ კოჯორში
ვართ კიდეც უკვე?..

მოდი და, ეხლა
კაცი თავს ენდე...
დაფიქრდენ... გლეხებს
მიმართეს შემდეგ...

შეხვდენ ისინიც
ზრდილობით სტუმრებს,
და ექვი ფიცით
დაუდასტურეს...

გამხიარულდენ
ჩვენები მაშინ,
და მაიწვიეს
გლეხებიც სმაში.

ეხლა კი გული
არსაით იჩქარს,
და მეტ ხალისით
შეუდგენ „სმიჩკას".

ვინ დასდებს სოფელს
უფრო მეტს ამაგს?..
რიყრაყზე მღერით
მოადგენ ქალაქს.

აქ უცნაური
მოხდა ამბავი:
უცბად სარდაფში
ამოყვეს თავი.

ხუთ-ხუთ მანეთის
ხვდათ წილად შტრაფი...
და „მუშა"-საგანც
„გვირგვინი დაფნის"...

ხინემატო.



# რაჟდენიანი

ამა ამბავსა რაჟდენზე სილნალში ჰქონდა ადგილი;
ვპოვე და ლექსად გადავქენ, საქმე ვქენ არა ადვილი.

I

## აქა ამბავი რაჟდენის ნადირობისა

„გამშვენებით ცხოვრება,
ჯამაგირს ვილებ ცოტასა,
არ გვყოფნის არც მე, არც ცოლსა,
არც შვილებს: ნუნუს, ოთარსა.

პირიმე ჩემო „ცენტრალო",
ძნელად აცდები ნადირსა;
პირიმე, შენი პირიმე,
ცხოვრებას მიხდი „ადველსა".

ასე ფიქრობდა რაჟდენი
თოფით ხის ძირზე დამჯდარი.
ათვალიერებს მიდამოს,
ეძებს: ნადირი სად არი.

უცხოელებს წინააღმდეგ მთელი ჩინეთი გამოდის იარაღით ხელში.

(გაზეთებიდან)



ერთი ამ ოხრებიდან გავწმინდოთ ჩვენი ქვეყანა, და შინაურ ოხრებიდან გაწმენდა არც ისე გაგვიჭირდება.

მახლობლად არ სჩანს არავინ,
(სილნაღი მეტად შორია);
სადღაც ხის ყლორტებს ხარბად ჰკნეტს
კურტან შედგმული ჯორია.



— მაგრამ ეს რაა: ახლობლად
ისმის რაღაცა ხმაური?!

თოფი მომართა—და გულმა
დაუწყო აურ-ზაური.

თითი გამოჰკრა ჩახმახსა—
მოისმა თოფის გრიალი,

— „ნადირი“ მკვდარი დაეცა,
სისხლმა დაიწყო თქრიალი.

„უჰხ? ვენაცვალე ჩემს მარჯვენს,
თოფო შენც გენაცვალეო,
ეხლა ვერავინ შემარცხვენს,
შველს შინ მივიტან მალეო...

რა კაი ფეხზე ამდგარუარ,
თავი მანებეს დარდებმა.
აწყინოს ნურას და ოთარს
მოკლული შველის მწვადებშა!..

მიუახლოვდა... მაგრამ, აქ
თავზე დაეცა მეხია—
რაქდენის მუზას რაქდენმა
გააფუშეკინა ფეხია.

დახედა... გდია უსულო,
ყალზე დაუდგა ქოჩორი...
— „რად მომკალ?... რა დაგიშავე?!—“
თითქოს ჰკითხავდა ჩოჩორი.

ჩუმად გადაძვრა ქუჩებში,
(მოხრილი ჰქონდა წელია),
რას გრძნობდა ამ დროს რაქდენი,
ამის აღწერა ძნელია.

2

აქა ამბავი ალგებრის გაკვეთილისა

სახლში დაბრუნდა რაქდენი,
თვალზე არ მოსდის ძილია.
უნდა მივიდეს სკოლაში,
ალგებრის გაკვეთილია.

მოწაფეები შეშინდენ
აუკანკალდათ ხელია.
ამბობენ: „ბრაზიანია,
დღეს წერა მეტად ძნელია“...

ასწია ხელი რაქდენმა
სახითა დაღვრემილითა
„დღეს წერა აღარ გვექნება
და დავსწერთ ხვალე დილითა“.

—კი, მაგრამ... მაშ რა ვაკეთოთ?!
ფიქრობს... ვერ მოუგონია...
დილით მოკლულმა ჩოჩორმა
მთლად დაუკარგა გონია.

— იქნებ მიჩივლოს პატრონმა?..
იქნებ წამართვას ფულია?..
რა ვქნა?.. რა უყო ჩემს ცოლშვილს?..
რით გავიმაგრო გულია?

ფანჯრიდან შარას გახედა—
ურემა მოდის გორებით,
ზედაც საფქვავი უწყვიათ
ცალობით და ტომრებით.

ფერი ეცვალა რაქდენსა,
ურემზე ხედავს ჩოჩორსა,
ვერ გამოსულა ფიქრიდან,
მალმალე იფხანს ქოჩორსა.

მოწაფეებსა მიმართა,
ასეთი მისცა შეკითხვა:
„ვინც იმ ურმის ტვირთს გამოსცნობს
აღარ დაუწყებ მე კითხვას.

მთელი წლის განმავლობაში
უზრუნველყოფილ იქნება,
მას ჩემს საგნებში, ღმერთს ვფიცავ,
ოთხიანები ექნება.

მოწაფეებმა ასტეხეს
ყიჟინა, აურ-ზაური;
ყველა თავისას იძახის,
ისმის ყვირილი, ხმაური...

რაქდენი ჩუმად გასცქერის...
—კვლავ მოეფინა გულს ლხენა,
როცა არცერთმა მათგანმა
ჩოჩორი მას არ უხსენა...

სიხარულითა იძახდა:
„ო ღმერთო ჩემო... არ მჯერა“
და ყველა მოწაფეებსა
ოთხები ჩამოუწერა.

3.

აქა ამბავი ჯარიმისა

ეს როდის იყო არ მახსოვს,
ან კი რა მოსაგონია,
რაქდენმა ფული მიიღო,
თავი სამოთხეს ჰგონია.

ოცდაათ მანეთიანი
ფრთხილად ჩაიდო ჯიბეში
და შეჰყვა ანგარიშებსა
თვის სასწავლებლის კიბეში:

—ათი მანეთი მეპურეს,
ათიც ყასაბს და მეყალბეს;
მთლად გავანადგურებ ნისიებს,
მოვრჩები ალყა-მაყალსა.

ხუთ მანეთს სახლში მივიტან
ხუთის ვიყიდი საფანტსა,
წამალსაც სადმე ვიშოვი,
ვინმე მათხოვებს ბადანგსაც—

და კიდევ გადავინადირებ
სიღნაღის მიდამოებში,
კვლავ გავიხსენებ წარსულ დროს
ჩავალ ალაზნის შტოებში...

ამ ფიქრში იყო რაჟდენა,
როცა გაიღო კარია
და შემოვიდა უწყებით
შიკრიკი მეტად ჩქარია.

—ოცი დღის წინად მოგიკლავს
მოდებული გლეხის ჩოჩორი —
—რაჟდენამ სუნთქვა შეიკრა
ყელყზედ დაუდგა ქოჩორი—

და გადაეწყვიტეთ, რადგანაც
ჩოჩორი დიდი არ არი,
რომ არც შენ მოგვეხდეს ძალიან,
არც გლეხს მიეცეს ზარალი—

შენ უნდა მისცე იმ გლეხსა
თუმანი ოთხი, ან სამი—
რაჟდენა იქვე დაეცა,
როგორც დაკლული ქათამი.

ეპილოგი

ამბობენ: იმ ამბის შემდეგ
გონს რომ მოსულა რაჟდენი,
ცოლს ვეღარ ენახვებოდა
ამდენი ცოდვის ჩამდენი.

ცდილობდა—ბრვის ენახა,
მეგალებს ემალებოდა
თუ შეასწრობდა სადმე თვალს
სხვა ადგილს იპარებოდა.

მაგრამ ვერ ასცდა ფათერაკს
უცბად წააწყდა ყველასა
და ისე ტყეპეს რაჟდენი
ემუქრებოდა შველასა!..



ყასაბმა წვერი აგლიჯა
მეპურემ დაჰკრა თვალებში
და ყველამ ერთად ეს ცემა
გამოუქვეითეს ვალებში.

იხი.

# ბაღლინჯითა



როგორც კი ჩაეძინა საწოლზე, თავს დაესხა მტერთა რაზმი.

## „კარგი ექიმი“

თვალი დაბნეული, დაღლილი... გული აყრუე ყურით,
რითა არ გვესმის საზარი ამბავი უცნაური.
ექიმებზე გვაქვს ჩივილი, ეს არის ჩვენი დარდია,
წლეგამრეულობა ამ მხრითი არაფრით არის კარგია.
მარხაანსა არის ექიმი: ნახეთ „ცხენისექიმიო“,
რომელსაც დიდი მეცადინეობით სწავლა შეუქმნია.
ჯანდაბასი! ის ჰქნას რაც უნდა, ეს არ არის ჩვენი ჩივილი...
ჩვენი სულ სხვაა, შერჩენილი, შეცდომისა გვერდმა, ტკივილი.
თურმე არბოშიკს ჩაიცვა ძალიან გაშმაგების ცეცხლით
და შეაშინა მშობლები ხელოვნური გამხრჩობით.

ჩამოიყვანეს ექიმი ავადმყოფის სანახავად;
მაგრამ თავის ქორს იქნებ ცოდნა, პრაქტიკა იმ ხელად.
დიპლომებს ზევით ლიტერატურა: მწოლიარე ქალი ჰგონია
(ან რას შეამჩნევს: ცხოვრების თექვსმეტ წლის არის მგონია)
საბნის გადაბდი სრულებით ექიმსა დაერცხვინება
და მაშინ შეწუხდება ავადმყოფს—(ასეთ ემჯობინება)
„ავადმყოფობა არ არის აქ არაფერი საშიში...
„ტყუილი არის თქვენი მხრივ ვაი-ვაგლახი და ეიში.
„ორსულად არის ყმაწვილი, საყვარელს შეუცდენია;
„ჯავრით ვერ უშველით, რაც რომ თავს გადახდენია“

ასე მოუთხრო ექიმმა ავადმყოფის მამასა,
რომელმაც ყბად აღებული ხმამაღლა უსმინა ამასა.
გაშეშდა გლეხი საბრალო, ხმა ვეღარ ამოუღია;
ბიჭი რომ ორსულდებოდეს არის დროს არ გაუგია.
„შვილს მოვკლავ, ღმერთს გეფიცები, იქნება მასზედ ეს ამა;
„მან შეურაცხყო მშობლები და ძირსა დასცა ოჯახი.
მაგრამ დამშვიდდა და ექიმს მიმართა შემდეგ სიტყვით:
„ეს ავადმყოფი ბიჭია, ამაზე თქვენ რას იტყვით“

გაშრა, გაშეშდა მახეილ... სიტყვა ვერ მოუხერხია.
„ბიჭი ყოფილა...ო, ბოდიში, თავზე დამეცა მეხია...
„მე ..მე- -მე--ვე—რა შევნიშნე-- მეგონა ქალი წყეული
„და შემეშალა, რომა ვსთქვი, ფეხმძიმედ არის ქცეული.

გაცეცხლდა გლეხი ბრაზით, ფერი აქვს როგორც ჭარხალი
და ექიმს ამოუჭირა ლაზათიანი პანღური.

თოლიაფშაში.

# შემოსევა



მაგრამ სპირიდონ არ დაიბნა და თვითონ გადავიდა შეტევაზე.

# „მიწკომი“

ვარდენ ლვანკითელის ხოვლის ხიზამდეი.

ლედან

(სცენები ხუთ ხურათად)

მომქმედნი პირნი:

კირილე თხოლაძე 48 წლისა (მიწის
დათა ბოგველაძე 48 წლისა (კომისია
ხვამთნა ჯანგიაში გლეხი. 72 წლ.
ცოცხალი ხვამთნახი.
ლადიკო ენუქიძე 36 წლ.
აკაკი ქოჩიაშვილი ალმასკომის თავმჯდ.
სამაზრო კომისიის თავმჯდომარე.
ერმიკონა ჯანგიანი და სხვ.

### სურათი პირველი

(სცენა არშოადგენს ღარიბ ახს სოფ. ლვანკითში. გამოდის კირილე, შაშხანა თოფი მხარზედ ჰკიდია და მედიდურად გაიძახის)

კირილე. მთელი ლვანკითი ხელში მიჭირავს; აბა, როგორ ჰგონიათ წაგ ყურმუსალებს; უწინ ბაგრატიონი იყო, დღეს მე ვარ, მიწა ჩემ ხელშია გლეხისაა თუ აზნაურის; მოშასადამე, მათი სულიც ხელში მიჭირავს. (დაწყნარებით) აბა როგორ გინდა, ჩამივარდა ხელში ძალა უფლება და თუ ვერ მოვახმარე, გამცინებენ: გლეხი იყო და ვერ შეიშნოო, მაგრამ... არა, მეც ვიცი მოხმარება; მეფე ვარ, მეფე ლვანკითის. პომოშნიკიც კარგი მყავს, ჩემი დათა. (ჩაფიქრდება) ოხ, აქნამდი უნდა მოსულიყო ჩემთან. რა იქნა ნეტა ამდენ ხანს? (ცოტა ხნის შემდეგ გაიღება კარები და შემოდის დათი).

დათა. ჩემს კირილეს გაუმარჯოს!

კირილე. ღმერთმა გაგიმარჯოს, ჩემო დათა!

რა ხანია გიცდი კაცო, სად იყავი ამდენ ხანს?

დათა. ხომ იცი, ჩემო კირილე, ჩემი ამბავი, ქვრივებს გამოუარე, ქვრივებს; რაი ყმაწვილო და, მიწა და მიწაო, მთხოვენ ქვრივები და მერე ჩვენ ვიცით თქვენი პატივის ცემაო; მათი პატივის ცემა, ყმაწვილო, ქე გვეჭირვება მე და შენ, ხა, ხა, ხა.., მაგრამ სად არის ამდენი მიწა ქვრივებს რო ურიგო?

კირილე. ჰო, ჩემო დათა, შენ ჭკვიანი კაცი ხარ და მიხვედრებაც შეგიძლია. პატივისცემაც ქე გამოვტყუოთ და ფული მდიდრებიდან უფრო იქნება. ფული, ფული... ფულშია საქმე და ეს დალოცვილი თუ ქვექნა, (გვექნება კი ისეა საქმე), მაშინ ქვრივიც ჩვენი იქნება და ქმარიანიც.

დათა. მეც მაგ აზრისა ვარ!

კირილე. ეხლა როგორ ვქნათ; ამ ჯანგიანებს რა უყოთ გზის შეტანის შესახებ, ითხოვენ და არ ვიცი მივსცეთ თუ არა. ან რო მივსცეთ, რა ხეირი იქნება?

დათა. ბიჭო, არა უშავს რა, ბუჩუბი იქნება ბლომათ.

მე ვიცი ძალიან გულით უნდათ გზის შეტანა, ეზო პატარა აქვთ და გაუგანიერონ, ის გზა ფონდშია და შეიძლება მივსცეთ. ესენი მსუქნათ არიან, ბლომათ შეგვთლევბათ, იცი!

კირილე. კარგი, მარა იმ სვიმონის რა უყოთ? იმას უფრო ერგება გზის შეტანა, რადგან ღარიბია, მარა მაგისგან რა ხეირი იქნება, თვითონ არაფერი გააჩნია და ჩვენ რას მოგვცემს!?

დათა. ერთი შენ მასხრობ, რაღა, ვინ სვიმონა, რა სვიმონა... რა კანონი, ვისი კანონი, კანონიც ჩვენ ვართ და სამართალიც. ლვანკითი ჩვენ ხელშია, ვინ არის გამსწორებელი; მომცემს, მივცემ; არ მომცემს და არ მივსცემ; მორჩა და გათავდა.

კირილე. აბა, წადი და ამოიყვანე ერთი მათგანი, თუ გინდა სვიმონას შვილი ერმიკონა და თანაც გზაში შეელაპარაკე, გაიგე—რამდენს გაიმეტებენ, რო მიუკრათ ეზოზე გზაი.

დათა. ცხლავე გავსწევ, მე ვიცი რაფერ მოველაპარაკე: არ მომცემს და სად წავა, რა ჯანი აქვს მეტი? (გადის).

კირილე. (დადის ოთახში, აიღებს გამოპრილ ჯოხს და აკოცებს).

ოხ, შენი ჭირიმე საჯენო, შენ ხარ ჩემი ხაზინა, ხან წაღმა ზომე მიწა და ხან უკუღმა; ვინც მეტი მომცეს—ფართოდ უზომე და ვინც ნაკლები, შენც მოუკელი! (დაჯდება) ნეტა რამდენ მანეთს მოგვცემენ ახლა ისინი? არა, მე ვფიქრობ: ქვრივ ღირს, მის ნახევარს მაინც მოგვცემენ; აპა, როგორ უნდათ? უწინ ოქროთი რომ მოეფარა მაგი ადგილი, მაინც არ მისცემდა ბაგრატიონი, და ახლა თუ კი ასე იდვილათ მიუკრავთ, რაც ღირს მის ნახევარს ხომ მოიცემს? მაგრამ ამაზე რო დაგვეთანხმონ, რამდენი უანგარიშოთ? ა? ვფიქრობ: სამი თუმანი ცოტა არ იქნეს; ჰო, არა უშავსრა, კარგი ფასია მათთვისაც და ჩვენთვისაც. ხუთმეტი წანეთი გვერგება თითოს და კარგია ჩვენთვის. ეს ერთია და სხვა ათასი იქნება კიდევ; ფული იხრად მექნება; რა მენაღვლება სათონდო მიწები ვყიდო?

### სურათი მეორე

(ისევ ის სცენა)

დათა. (შემოდის) კირილე, იცი რა გაიხარა! საქმე მოვაწყვე შენ რომ გაგებარდება.

კირილე. როგორ? ფულის ხომ არაფერი გითხრობია?

დათა. ფულიც უხვარი და ყორიფელი, მაგრამ ორ თუ თუმანზე მეტი ვერ გვიმეტეს და სადილი იქნება კიდო იმისთანა რომ—ქვრივ გაკვირვებია დიდკაცური; უკვე შეუდგნენ სამზადისს, დაკლეს გოჭი, ცხვარი, ინდოური და ქათმებს ხომ ანგარიში არა აქვს; გვიცდიან ჩვენ. აპა საჯენი და წავიდეთ, მოუზომოთ, დოუხსაზნოთ, ვიქეიფოთ, ფული მივიღოთ და წამოვიდეთ. მეტი რაღა გინდა, აპა!

კირილე. ძალიან ცოტაა, ძმაო; მე მქონდა ნაანგარიშევი სამი თუმანი; კარგიც იყო: თუთხმეტი მანეთი გვერგებოდა თითოს.

დათა. არა უშავს რა, ჯერ ესეც კმარა და მერე კიდევ ბევრია საფონდო მიწები!

ზღვს კიდევ ჩამოვართმევთ და მაშინაც იქ-ნება; ეხლა წამოდი. თუ ძმახარ, მე უკვე მოურიგდი იმ ხალხს და ეხლა შენ არ და-იწყო ლაპარაკი.

**კირილე.** (ადგება აიღებს საჯენს) წავი-დეთ, წავიდეთ! დაგიჯერებ ჭკვიანი კაცი ხარ!

(ხურათი მეხამე)

(სცენა წარმოადგენს ღარიბ ოჯახს, შუაზე ცეცხლთა ზის სვიმონა, რომელიც ენა და-ბორკილია. ცოლი დიასახლისობს)

**ცოლი.** ჩაჯედი ნაცარში, აპლაკუნე ყა-ლიონი და იყავი. ოხ, როდის იქნება ის დღე, რომ შენ არ გეჭიროს ხელში ეს ოხერი ყალიონი!

**ხვიმონა.** მწ... მწ... მწ... პაპიროსი არ მირჩევნია!

**ცოლი.** შენ რას ამბობ, კაცო, და მე რას გეუბნები! ვაი, შენ არ ჭამე პადი!

**ხვიმონა,** მმ—მმ—მმ წალდი? რათ გინ-და, ქალო?

**ცოლი.** პადი, პადი გეიგონე! არ გეჭმე-ვა პადი!

**ხვიმონა.** საღ წადიო, ქალო, სად მაგ-ზავნი?

**ცოლი.** შენ დაგაყრუა ჩემმა გაჩენმა; არ გეჭმევა პადი მეთქი!

**ხვიმონა.** ჰო, პადს პური მირჩევნია, მეც გეტყვი.

**ცოლი.** ვაი, შენ გამოწყვეტი კაცებში, შენა.

**ხვიმონა.** მმ..—მმ..—მმ. ახლა კატებში გამაგზავნე კიდევ!

**ცოლი.** (ხმა მაღლა) კატებში კი არა, კა-ცებში გამოწყვეტი მეთქი.

**ხვიმონა.** ჰო, ქალებში არ მირჩევნია!?

**ცოლი.** კაცო, მე არაფერი მესმის, ხრება ადექი, წადი კომისართან, მიდი და უთხა-რი: შენც მოგიკრის ეზოზე ეს გზა.

**ხვიმონა.** ბზა მომიკრასო? სად არის, ქა-ლო, ბზა? ხომ არ გადარეულხარ შენ?

**ცოლი.** ბზა კი არა, გზა, გზა; ემათ რო მოუკრეს, აპა, როგორ იყო?!

**ხვიმონა.** მმ.—მმ.—მმ.. ორი თუმანი უნ-და. ემათ რო უყურებ, ემათმა ორი თუმა-ნი მისცეს და კარგი სადილიც აჭამეს; ჩვენ სად გვაქ ამის თავი, ქალო!

**ცოლი.** მერე, თუ ასეა, ვერ გააცხადებ აკაკი თავმჯდომარესთან? გააცხადე და ის აყურებინებს მაგათ სეირს!

**ხვიმონა.** მა.. მა,.. მა,.. გონია მაინც ასე ვქნა, თუ არ მომბრეგვეს.

ხურათი მეოთხე

(სცენა წარმოადგენს საპასწავლებლო ოთახს, გამოდიან სვიმონა და ლადიკო)

**ხვიმონა.** (ლადიკოს) კაცო, ეს კანონი ველარ გევიგე, იძახიან ღარიბს უნდა მივ-ცეთო და ეს ქე რავაა: ღარიბს კი არა, მდიდარს უფრო აძლევენ?!

**ლადიკო.** რავა, რაშია საქმე სვიმონა?

**სვიმონა.** რავა რაშია, კაცო, ჩვენს კარზე რო გზა ჩამოდის, მე არ მომიკრეს და ჩემ შვილს და ჩემ სახლიკაცებს ქე მისცეს; ახლა ქალი მკლავს სახლში, რატომ არ



სპორტის არის მოყვარული მათე წვერებ ცანცარაო.
დავინახე: ფართო ველზე ველოსიპედს შემჯდარაო.

ითხოვე, მოგიკრავდენო; კაცს ათჯერ ვთხო-ვე, მაგრამ არ მომცეს, შენგან რა ხეირი იქნებაო, იმათმა ორი თუმანი სისცეს და კარგი სადილიც აჭამეს კიდევ და ქე რა ვქნა, ისე არ იძლევიან.

**ლადიკო.** მართალს ამბობ სვიმონა?

**ხვიმონა.** მა... მა... მა... მიცემა არ მი-ყურებია ჩემი თვალით, მაგრამ, მორიგე-ბაზე დავესწარი და რო შეპირდენ ორი თუმანი, მერე დოუსამნეს. სანამ არ შე-პირდენ, ყურიც არ ათხოვეს, მერე სა-დილზე დაჯდენ და იქეიფეს.

**ლადიკო.** მერე; ვერ გააცხადებ მთავ-რობაში?

**ხვიმონა.** ქე მინდა, მაგრამ მეშინია, რომ მო-მბრივონ რაღა ვქნა.

**ლადიკო.** ნუ გეშინია, დღეს აქ მოდის თავმჯდომარე აკაკი და მე ვეტყვი: ის შენ დაგაძალებს; შენც გაუჯინდი, სანამ არ გაგიწყრეს და არ დაგემუქროს, მერე ქე უთხარი ყოველივე, აი ასე, როგორც მე მითხარი.

**ხვიმონა.** მმ... მმ... მ... კარგი, მარა, თუ ძმა ხარ—მე ნუ გამხვევ საქმეში, იმან და-მაძალოს და მე ქე ვიტყვი.

(ამ დროს შემოდის აკაკიც)

**აკაკი** გამარჯობათ ამხანაგებო!

**ლადიკო.** აკაკის გაუმარჯოს!

**ხმიმონა.** ბატონ აკაკის გაუმარჯოს.

**აკაკი.** სხვა როგორ ხართ, ამხანაგებო! დღეს აქ მოდის მაზრიდან კომისია სხვა და სხვა საქმეებს გამოსაძიებლად, კრებაც მოწვეული მყავს.

**ლადიკო.** ამხ. აკაკი, აქ დიდი ამბავი მომხდარა: ამ სვიმონასთვის გზა მიწის კო-მისიას არ მიუცია და იმ მდიდრებისთვის: ამის შვილი და სახლი კაცები რო არიან, იმათთვის ქე მიუციათ; ქრთამათ აუღიათ ორი თუმანი და კარგი სადილიც მიურთ-მევიათ; მე გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ამას.

**აკაკი.** რაო? ქრთამიო? ეგეც კარგი ამ-ბავია! აბა, მოდი და ეხლავე გამოვიძიებ, სანამ მაზრიდან მოვიდოდენ: მოდი ახლოს, სვიმონა! (აკაკის ქაღალდი და ფანქარი ხელში უჭირავს, სიმონა მიდის ახლოს) როგორ იყო საქმე მოყევი ყოველივეს სი-სწორით:

**ხვიმონ.** რას მოვყვე, ბატონო, არ ვიცი!

**აკაკი.** რაც იცი იმას მოყევი!

**ხვიმონ.** ქე ვიცი, ბატონო, მარა ვერ ვი-ტყვი, მეშინია, ბატონო!

**აკაკი.** შენ ნურაფის გეშინია, მოყევი თო-რემ, ახლავე ციხეში გაგაგზავნი!

**ხვიმონა.** აჰა, ბატონო, ციხეში თუ არ გამგზავნი, ვიტყვი!

**აკაკი.** აბა, მოყევი თავიდან, როგორც იყო საქმე;

**ხვიმონა.** ესე იყო საქმე, ბატონო.

**აკაკი.** როგორ ესე!?

**ხვიმონა.** ბატონო, ლადიკომ არ მოგახ-სენა?

**აკაკი.** ლადიკო ლადიკოა, მაგრამ შენ შენი პირით უნდა სთქვა!

**ხვიმონა.** მმ..მმ..მმ.. მე რაღა ვთქვა ბა-ტონო, სწორედ ესე იყო, ბატონო!

**აკაკი.** (წყრომით) როგორ ესე, კაცო?! ქრთამი მისცეს თუ არა კომისიას ჯანგია-ნებმა იმ გზის შეტანის შესახებ?

**ხვიმ.** მმ... კი, ბა ბატონო!

**აკაკი.** რამდენი მერე?

**ხვიმონა.** ვერ ვიტყვი, ბატონო!

**აკაკი.** ჩქარა, თორემ შენც იმათსავით დაისჯები!

**ხვიმ.** მმ.., მმ... მმ... ო—ორი თუმანი, ბატონო და კარგი სადილი კიდევ.

**აკაკი.** შენი თვალით დაინახე?

**ხვიმონა.** არა, ბატონო, მაგრამ რო შე-



უცებ თავზე წამოადგა ტარტაროზი ხარხარით.
მიაძახა:—რატომ შეჯექ შენ ჩემს ფეხზე, მასხარაო—
მათე ძირსა გადმოვარდა, სისხლი ბლომათ დღვარაო.
იძახოდა—არასოდეს არ შევჯდები აწ, არაო...

პირდენ, ის ვიყურე და მერე დაუსამნეს, მანამდის ყურიც არ ათხოვეს, მერე სადილი გაუმართეს, ეს ვიცი მე, ბატონო!

**აკაკი.** ხო, ეგეც კმარა, მაგათ ვაყურე ბინებ სეირს (კრებაზე თანდათან იკრიბება ხალხი, წუსაიფობენ თავიანთ პირ-ვარამზე) მოდიან დათა და კირილე.

**ლად.** (გაიხედავს კარებისაკენ), უკვე მოვიდენ, ამხანაგო აკაკი, მაზრიდან არიან. (აკაკი წამოხტება, გავარდება გარედ, შეეგებება მოსულ კომისიას და შემოუძღვება კარებში).

**აკაკი** (კარებში) მობრძანდით, ამხანაგებო! (კომისია შემოდის, სალამს აძლევს კრებას და დასხდებიან, ცოტა ხნის შემდეგ აკაკი გაიხმობს კომისიას, აცნობს საქმის ვითარებას მიწის კომისიისგან აღებულ ქრთამის შესახებ, შემდეგ იწყება გამოძიება).

**კომისიის თავმჯდ.** აბა მობრძანდეს სვიმონა ჯანგიანი.

**ხვიმონა.** მმ... მმ მმ: აქ გახლავართ, ბატონო!

**კომ. თავმ.** ახლოს მოდით.

**ხვიმ.** მმ მმ მმ... ახლავე, ბატონო (მიუახლოვდება).

**კომ. თავმ.** აბა, შენ მითხარი: რამდენი აიღო მიწის კომისიამ ქრთამად ჯანგიანებისაგან გზის შეტანისათვის? (კრებიდან ისმის: გთხოვთ, ამხანაგებო, მიწის კომისიამ დასტოვოს კრება, თუ გნებავსთ სიმართლე გაიგოთ).

**კომ. თავმ.** (დათას და კირილეს) ამხანაგებო, გთხოვთ დაგვტოვოთ (კირილე და დათა გადიან).

**ხვიმონა.** ზი.. ბატონო, მე ნუ მათქმევინებ, აგერ უწერია ქაღალდზე ყორიფელი აკაკის!

**კომ. თავმ.** არა, შენ უნდა სთქვა ყოველივე სისწორით!

**სვიმონა.** მმ... მმ... მმ... არა, ჩემო ბატონო, თქვენი ჭირიმე, მე ნუ მათქმევინებთ;

**კომის. თავმჯ.** შენ უნდა სთქვა შენი ენით: კომისიამ აიღო თუ არა ქრთამი ჯანგიანებისაგან.

**სიმონა.** კი, ბატონო, ხოლოდ ჩემი თვალით არ დამინახავს, ბატონო!

**კომ. თავმ.** აბა, საიდან იცი: აიღო თუ არა?

**ხვიმონა.** საიდან, ბატონო და, მე უყურე, რომ შეპირდენ ორი თუმანი, მერე დაფაცურდა მიწის კომისია და დოუსამანა, მერე სადილი აჭამეს და მეც ქე დამპატიჟეს სადილზე; რადგან ეი საქმე ჩემ შეილსაც ქე ეხებოდა და რომ გაათავეს ქეიფი, ჩემმა შეილმა მითხრა: სადილის წინ მიეცით ფული.

**კომ. თავმ.** (აკაკის, თემატ. თავმჯ.) დაატუსაღე კომისია და გადმოგზავნე მაზრაში!

### სურათი მეხუთე

(სცენა წარმოადგენს სასამართლოს)

**მოსამართლე.** მოვიდეს აქ მოწმე ერმიგონა ჯანგიანი!

**ერმიგ.** გახლავართ, ბატონო!

**მოსამართლე.** შენ გედება ბრალად ქრთამის მიცემა მიწის კომისიისათვის. ამისათვის წინადადებას გაძლევთ მოჰყვე ყოველივეს სისწორით.

**ერმიგ.** (შეშინებული), მართალია, მივეცი ქრთამათ ორი თუმანი, მაგრამ მარტო ჩემი ბრალიც არ ყოფილა. მიწის კომისია მიდიოდა ჩემთან თოფებით და მეუბნებოდა:—ამ გზას მოგიკრავთ და მოგვეციო რამეო, მე მიცემის თავი არ მქონდა და უარი უთხარა, მაგრამ მაგათთან მაინც არაფერი გავიდა.

ჩემ ცოლ-შვილს ძალიან ეშინიათ თოფიანი ხალხის; ქალმა აღარ დამაყენა: მიეცით, თორემ აღარ მაქვს მოსვენება მაგათგანო; მეც ავდექი და გავყიდე ხარი, სხვა საშვალება აღარ მქონდა; მივეცი და მომცეს; ეს არც მარტო ჩემი ბრალია, ბატონო, იმიტომ რომ ჩემმა მეზობლებმა აღარ დამაყენეს, იმათაც უნდოდათ ის მიწა.

რა ექნა ახლა მე, ბატონო!

**მოსამართლე.** თავისუფალი ხართ, რადგან სიმართლეს ამბობთ!

(ერმიგონა გადის, შემოყავთ დაჭერილი კირილე და დათა)

**დათა** მე ვიყავი, ბატონო, შენიშნულიც, დაჭერულიც და გადასახლებულიც პოლიტიკურად, და არა ამისთანა საქმეზე ეხლა რო ბრალს მდებენ სიცრუით, არამედ ძველ მთავრობას ვებრძოდი, მერე დამიჭირეს და გადამასახლეს.

**მოსამართლე.** (ლადიკოს) აბა, შენ მითხარი: რის თაობაზე იყვნენ დიჭერილი და გადასახლებული ეს ხალხი?

**ლადიკო.** მე არ შემიძლია ვსთქვა ტყუილი. მე ძალიან კარგად მახსოვს მაგათი გადასახლება; ეგენი იყვნენ გადასახლებული ქათმის ქურდობაზე და წვრილ-წვრილ ყაჩაღობაზე,

(მოსამართლენი გადიან უკანა ოთახში განაჩენის გამოსატანათ).

**კირილე** (შეწუხებული დათას) არ გითხარი, ბიჭო, სვიმონას ერგება ყველაზე უფრო თქვა? არ გითხარი, არ გითხარი, არ გითხარი? ახლა რაღა ვქნათ, რომ დაგვხვერიტონ; ვაიმე, ვაიმე, ვაიმე, რაღა ვქნა, რაღა ვქნა.

(მოსამართლენი გამოდიან და აცხადებენ განაჩენს)

სასამართლომ ბრალდება დამტკიცებულათ სცნო, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში ობოლაძის და ბოგვერაძის გაუნათლებლობა და უვიცობა, დაადგინა: ვინაიდან კირილე ობოლაძეს და დათა ბოგვერაძეს დაუმტკიცდა ქრთამის აღება საფონდო მიწების გაცემის დროს, ამისათვის მიეცეს მათ სასჯელათ ოთხი წლის ვადით გამასწორებელ სახლში მოთავსება.

(კირილეს და დათას უხარიათ, რადგან გადურჩნენ სიკვდილით დასჯას).

(ფარდა)

**კუნე.**



# გზა და გზა

ამხ. ტარტაროზო, გაქრა შენმა პროტექციამ და მოიცეს სამსახური. მივიღე საგზაო თანხა, მანდატი და გავეშურე ოზურგეთის სადგურისაკენ ლანჩხუთში წასასვლელად.

ბილეთების აღების დროს დიდი აურზაურია: მოლარე სულდათქმით იძლევა ბილეთებს.

როგორც იყო ავიღე ბილეთი და შევედი ვაგონში, მაგრამ ვერც საჯდომი და ვერც დასადგომი ადგილი ვერ ვიშოვე: ტომრებში გახვეულ გუდებს დაეკავებინათ ადგილები.

მატარებელი ჩამოდგა ლანჩხუთში, საქმე შევაგვარეთ: ჩაბათის თემის სამმართველოს და ადგილობრივ სკოლას შევპირდით პოლევოი ფეხსადგილების გაგზავნა, ვინაიდან ასეთი დაწესებულებები მათ სრულიად არ აქვთ და დიდი შევიწროებულნი არიან თანამშრომლები, მასწავლებლები და მოსწავლენი.

ლანჩხუთიდან ხიდისთავისაკენ გავემგზავრეთ.

აქ მშვიდობაა. ხალხი გაპოლიტიკებულია. ყანის მუშაობას არ მისდევენ. დუქნების წინ ყოველ ნაშუადღევს ბურთის თამაშია.

კოოპერატივში ნოქარი დიდი ვაჭრობიდან შემოსულ ფულს ითვლის. მაუზერგადაკიდული დახლში სდგას და ყველა შემსვლელს უბრიალებს თვალებს.

აფთიაქი სრულიად ემორჩილება პროფკავშირის დადგენილებებს და ჩვეულებრივ დაწესებულებებზე უფრო გვიან იღება და ადრე იკეტება. შტატის სიმცირის გამო, დარაჯი შველის ფარმაცევტებს წამლების დამზადებაში (რა უყოთ, რომ ხანდახან წამალი აშლეული დამზადდება).

აქ არშეყობა ხელს არ უშლის მოვალეობის შესრულებას. აქ ცხოვრობს ღვთისნიერი ფერშალი სანდრო (მჭედლის შვილია), ავადმყოფებს შველის ნისიად. შემდეგ კი უდგენს ანგარიშს და ორჯერ მეტს ახდევინებს; ღებულობს გასამრჯელოსთვის, როგორც ფულს, ისე საქონელს.

ადგილობრივ სკოლას სწვევია ოზურგეთიდან რევიზორ-მასწავლებელი, რომელიც შეზარხოშებული წამდგარა მოწაფეების წინ. მოწაფეებმა მიმართეს თხოვნით:

„ჩვენ არა ერთხელ მივმართეთ სკოლის გამგეს, რათა მიეცა განსაკუთრებული ოთახი თამბაქოს მოსაწევათ, მაგრამ უარით გვისტუმრებს და გთხოვთ თქვენ, როგორც რევიზორს, მოიყვანოთ სისრულეში ჩვენი თხოვნა". რევიზორმა უპასუხა, რომ:

მე სწორედ ბავშობის დროს შევისწავლე თამბაქოს მოწევა, თორემ ეხლა არ მეცოდინებოდა — შეპირდა დაკმაყოფილებას, რითაც მოწაფეები დიდი მადლიერნი დარჩენ.

მივიღე ცნობა, თითქოს ზომლეთის სკოლის მასწავლებელი ქალი არაყით შეზარხოშებული მისულა სკოლაში, გამოუღია მოწაფეების თვალწინ მაგიდას უჯრა და შიგ „გადაუღია" და მოუსვენია მაგიდაზე.

გადავედით ასკანაში, აქ ვალერიანი დიდი კაცი ყოფილა: ის თურმე გაზეთის „კორესპოდენტია"..

დავბრუნდი ოზურგეთში. მდგომარეობა შეცვლილა: ქუჩაში ჩოწამლული ძაღლები ყირამალას გადადიან, რითაც დიდ სიხარულს გრძნობენ პატრონსანი ღორები.

ვანო ხელაძის პროფესია ტყემალაძემ შეისწავლაო, ამბობენ.

ყირიმტარტარი.



# გოგი და ვარლამი

## ოზურგეთისთვის

(ნახევრად ხალხური*)

შეიბნენ გოგი ვარლამი
მოჰყვენ თავსა ქებასა,
ვარლამ ეტყვის გოგსა
ქებით ნუ მეტყვი მაგისა.
რომ ავეყვავებ „ეპოსა" —
შენ რას ნახავ ამის ფასსა?!
    ახლა გოგი ეტყვის ვარლამსა
    ქებით ნუ მეტყვი მაგისა,
    მე რომ გლეხკომს ავაყვავებ,
    გავასალებ ბევრ ფართალსა,
    ბაზარზედ არაყს შევიძენ
    გადავგიკრავ ზედმეტ ფასსა,
    თუთუნებსაც შევისყიდი
    მით დავჯიმსებ მაგ ხარბ თვალსა —
    შენ რას ნახავ ამის ფასსა?!
ახლა ვარლამ ეტყვის გოგისა
ნუ მატყუებ შენ მაგისა,
„პროტესტებში" გაისწორე
ის სჯობია მაგ ტრაბახსა.
თუთუნებში ფული მიეც,
ნუ უკარგავ გლეხს იმავსა,
რაც ბიჭი ხარ კარგად ვიცი,
რას კითხულობ ჩვენს ამბავსა.
დაბახანას ვამუშავებ
შიგ ვამზადებ ლანჩა-ტყავსა, —
შენ რას ნახავ ამის ფასსა?!
    ახლა გოგი ეტყვის ვარლამსა
    სტყუი, სტყუი შენ მაგისა,
    „პროტესტებში" შენ დაცურავ
    ყოველ წუთს და ყოველ წამსა.
    დუქნებშიაც ალაფერი გაქვთ,
    რით ასწორებ ვახშს და ვალსა,
    ჩვენ კი კიდევ დავბორძიკობთ —
    შენ რას ნახავ ამის ფასსა.

ახლა ვარლამ ეტყვის გოგის...
ახლა გოგი ეტყვის ვარლამს...
ჩარჩები კი ფრთებსა შლიან
და უძღვნიან იმათ სალამს.
უცქერიან, თან ამბობენ
ნამდვილ ამბავს არ არაკსა:
იცკვდა მკვდარი მკვდარსა,
არ ეკიდა კარი კარსა.

ტაშ.

---

*) და სიტყვებით გარდეგ კიდიანური.

ტ.

# მესტვირული

## ჩოხატაურისათვის

ცოტა არ იყოს, ზოგიერთს
მოხდა ჩანგალის წვერია,
რომელიც ხელში ტარტაროზს,
საქმისთვის დაუჭერია...
ზოგი ატირდა დალრეჯით,
ზოგმა იგლიჯა წვერია
და ზოგი იმას დახედებს,
ლექსი ვის დაუწერია!
რა უყოთ მერე, თუ ვინმე,
სიპრიზით გადაგვერია?
(პილპილი თუ არ შეჭამა
რად ეწვით კუდის წვერია?)
რაზედ შეწუხდა ფურთხაძე,
რომ ბრუნავს როგორც ჩერია?
თუ მისი არის გლეხკომი,
ულოცავთ — ჯვარი სწერია!!.
ალბათ იმისთვის გვიწყრება —
ეკერგვის სეფის კერია.
თუ ვინმემ სწორი დასწერა,
ნეტავი რისთვის სწყენია?
და თუ კი სტყუის მწერალი,
„ეიბოლ" დასაჭერია!
თუ არა — ვერას დააკლებს,
ურიცხვი ჰყავდეს მტერია,
(ოჯახს მახინჯი მუდამ ჰყავს,
ზოგ შემთხვევაში შტერია).
მოდი და საქმე მიანდევ
აგიშენდება კერია.
ჩვენ ვიცით, ვის რა აწუხებს,
რაზე წუწუნებს ფანია...
ზურგიელიძე ასე სწერს:
„გაპირვებას სჯობს დახრჩობა".
აბა ვინ ფიქრობს იმაზე,
ლოგინად კვდება თანია,
ნეტა თუ ეგო საცოდავს
გლეხკომის ქანი-ქანია?..
ამ ძმა ბიჭებმა, ვითომდა,
სურთ აგვიხვიონ თვალია,
გლეხის სახელით ივაჭრონ...
ვაჭრები ყავდეთ მთვრალია!..
მე არ მინახავს — ვერ იტყვის,
ვერც კაცი, ვერცა ქალია —
გაპირვებულმა გლეხებმა
გლეხკომში ღვინო დალია...
და ეს კი ვნახე შორიდან
უცქერდა ყულგამშრალია,
თან ზურგზე კეცი ეკიდა
სიმწარით განათალია.
ყური წავასწორ, ამბობდა:
„— ვაი, საწყალო ბესია?

აქ არის ჩემი გოჯები
და პური დანითესია...
ვჭამო, რით ვჭამო, არა მაქვს
ფული, ვიყიდო ხეჭესა!
ბანკს ვთხოვე თუ კი მეღირსა,
იქნება მომცეს სესხია!..
ამ ნავთ-საყუდარს ვაჭრების,
ხშირად, რომ ხდება „სესია".
გლეხკომის ნაცვლად ჩარჩკომი,
დაერქვას უკეთესია!
(ზედ გამოჭრილა სახელით,
არ დაირღვევა წესია)
ელსდგება ძველი სახელი,
ალექსას დანაწესია.
და მეცა, ვითომ და მესტვირეს,
სჩანს მომიგრძელდა ლექსია;
(აბედა მაშინ დაიწვის
რომ კატას გაეკვრის კვესია).
ცოლ ბელში არ მოხერხდება:
გუბერის ორი ნესვია,
გლეხკომსაც ამას უძახის,
შორიდან

აბდუშ მეხია

### ქუთაისის კოოპერატივის გამგის




### სიზმარი

# „სიზმრების ახსნა"

შედგენილი სრულიად საქართველოს იმპერიის სოციალ ხარხარის კომისარის ტარტაროზის 1 ნათლულის ბეჟან ხვლინცკის მიერ, უმხო დიდისა სიზმრების მოხავილისა ქვეყანისა ზედა. გამოცემა ვარდენ ღვანქითელისა. აწყობილია ონოფრეს წისქვილში. გადათარგმნილია გურულ, იმერულ, კახურ, ქართლულ, და ქაჯურ ენებზე მ. ნაფრინდაძის ხიერ.

## წინასიტყვაობა

სრულიად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რექტორი ფარნაოზ უპროპ ნაძის დაველებით მოვკიდე ხელი ამა მძ მე საქმესა საშვილიშვილო საგინძურის დასატოვებლით მე ტყუმილ მეტყველების ფაკულტეტის ბერმა მცხოვრებმა სოფ. ზედა საქარაში, და ვიქმ ამა საქმესა მასატევებლათ ცოდვათა ჩემთა, რა ამა ღმერთმა გააჩინა ქვეყანა ესე სავსე ფლტვითა და ლიბუტაკითა. მისცა ძლიერებაი და ყოველნი ანიებანი პაპუკსა ადამს და ქალსა მისსა „ზაგსით" კანონიერ ცოლსა ევასა, რა დაწვეილდის ერთათ პირველ ღამეს ადამი და ევა ნახავდენ სიზმარსა ტკბილსა, ვითარცა ერკეთის თაფლი არს. და იყო ქვეყანასა ზედა სითნოებაი და სიყვარული იგი. ადამსა და ევასა ეყოლებოდის შვილი აბელს რომელიც პირველადვე მეცხვარეთა საზოგადოების „მწყემსი"-ს თავმჯდომარე იყო და შემდგომათ ამისა „ერკოპის" წამგე ავლობარსა შინა.

სიზმრის ახსნაი საქართველოსა შინა იწყება პოეტებისა მიერ, რომელნიც იტყოდენ: „სიზმარ არს, სიზმარ არს ყოფაი ჩვენი". განუსვენე მაცხოვარო სულს მონებისა, რამეთუ ვქნა დიგეირგვინებაი მძიმე ნაშრომისა ჩემისა.

317 დღეი მოუნდი მარტო იდენ გადაწერასა ამასა, ვჭამე მარტო 7 მეტრი სეფისკვერი და წვიდი ბათმანი თაფლი.

წამკითხველნო, გთხოვთ შენდობას მე ცოდვილსა და ულირსი მონაი თქვენი ამინ.

ბეჟან ხვლინცკი

## ა

აგრონომი თუ ნახო სიზმარში, ბედნიერი კაცი ხარ. შენ ყანაში 20 მაგიერ 2000 ბათმანი ლობიო მოვიდეს. ღვინოს მოსავალი იმდენი იქნება, რომ ტერენტი-გრანელი ვერ გაასილებს.

თუ სტუდენტი ხარ, სიზმარი კეთილათ ახდეს: გულდიზის ჩაიბარებ, რომ არაფერი იცოდე მაინც. ბედნიერი ხარ იმიტომ, რომ ჩვენ სოფლებში სიცოცხლეში აგრონომს ვერ ეღირსები და სიზმარში მაინც ნახავ.

დაბადებული ლოთი გამოვიდეს.

ადვოკატი თუ ნახო სიზმარში, ცუდია: ერთ-ერთი რედაქტორი მოიწყობს გადენ დგანკითელის ლიტერატურულ გასამართლებას. მოიწვევს ყველა დიპლომიან ადვოკატებს და ჯიბიდან ერთი ორი მანეთის რისხოდა გექნება. თეატრში ასეთ რამეზე არ იმგზავროთ. სიზმარი ახალ თვარეზე აგიხდეს კეთილათ.

აღმასრულკომი. თუ ნახო სიზმარში, კარგია. შენ ჯამაგირს კიდევ 87 პროც. მოემატება, ე. ი. სხვადასხვა საზოგადოებების სასარგებლოთ მთელი ჯამაგირი წაიღონ. სამსახურში ყოველთვის დღიან იმგზავრე.

ქარხენა თუ ნახო სიზმარში, ცუდია. ლარიბებს სიმდიდრე ჩამოართვენ და მლვდლებს დაურიგონ ჯვანსი ჯამაგირის ანგარიშში. ელისფერი ყანწელებმა პიონერისთვის „დროშა"-ში 200 ლექსი დაბეჭდონ. სიზმარი 15 დღის მთვარეზე აგიხდეს.

ახტაფა თუ ნახო სიზმარში, კარგია. „სტრახკასა"-ში სიარულით ფეხებში და მუცელში რევმატიზმები გაგიჩნდეს და კუროტ სახალინზე გაგაგზავნონ.

აქტრისა თუ ნახო სიზმარში, კარგია. თუ უცოლო ხარ, ლამაზი ქალი შეირთო, რომელსაც ექნება „სიმწიფის მოწმობა". ყველა ტენორებში, კურსები და ფინანსური სიტრიტები ისე გაათავო, რომ არაფერი არ იცოდე. ჯამაგირის ალებამდე სიმშილობა მოგელის. ოთახს შენ სიცოცხლეში ვერ იშოვი.

ავთიაქი თუ ნახო სიზმარში, ავად გახდე და მოკვდე. როცა დამარხული იქნები, წამალი უკვე მზათ იქნება.

აბრეშუმი თუ ნახო სიზმარში კარგია. ერთ ფუთ აბრეშუმის პარკში „ცეკავშირ-მა" შეპირებულ 100 მანეთის მაგიერათ 10 მანეთი მოგცეს. ცოლმა კვირაში 17 წყვილი „ბორცისფერი" ჩულქი მოგთხოვოს ფარმა „ევქტორია". სიზმარი კეთილათ აგიხდეს ღამის 11 საათზე.

ალმასკომი თუ ნახო სიზმარში, მეორე დღეს საკუთარი ბინა ჩამოგართვან, ლენსკომში შეტანილ შენს განცხადებას ერთი კვირის შემდეგ რომელიმე ბუღალტერის დუქანში იპოვი, რამიდაც ბაყალი ეუდუკის ამოყვანილ პილპილს უკეს გაგიხვევს.

ახალთუმანი თუ ნახო სიზმარში ბედნიერი კაცი იქნები. მალე ქიქილით გახდება ავათ.

არშინი თუ ნახო სიზმარში ელოდე ქუჩაში მთვრალებს და გალახვას. თეატრებში „არშინ-მალ ალანი" დადგენ.

ავტომობილი თუ ნახო სიზმარში, სიზმარი კარგათ აგისრულდეს. რომელიმე თავქარიანი შოფერის მსხვერპლი გახდე ქუჩაში, ან და შოფერი ცოლთან მეტოქე გაგიხდეს.

აჯაბსანდალი თუ ნახო სიზმარში „ერკოპში" სინდლები გაიაფდეს.

არტისტი თუ ნახო სიზმარში, მალე ზესტაფონის აკადემიურ თეატრში დაარსდეს არტისტთა კოოპერატივი „გარუჯული თუჯები", ცერეცოვის მეთაურობით დადგან მაიაკოვსკის „ბუფი"-ს, ანუ ზესტაფონის სადგურის ბუფეტი.

ბეჟან ხვლინცკი

„ვილაცები წყალს ამღვრევენ... და უნდათ ცხემლის-ხიდიდან თემის სამმართველო გადაიტანონ ღვაბზუში ეკლესიასთან (სასაცილოა; რა მაინცა და მაინც ეკლესიასთან! ალბად „მორწმუნეები“ უნდათ მიიმხრონ)“
(გაზ. „მუშა“)



ჩვენო კოხტა სოფელო,
რაზე მოგიწყენია?
იუმე არაფინ არ გწყალობს
ეკლესია ჩვენია,
მასთან დიდი კოშკი
ჩვენი დამამშვენია.

მოვსდებთ თოკს-ბაწარსა
მეტად გრძელს და მაგარსა,
ჩვენ არ შევწყვეტ ბრძოლასა,
მოვსწევთ ჩვენსკენ: სკოლასა,
ფოსტა, სამმართველოსა
და გავიტანთ ღელესა.

ვერ შველის საქმეს—
ვერც დიაკვანი და ვერც მამა.
გაწყდა ბაწარი—
ამდენი შრომა დარჩა ამაო.
ახლა ამბობენ:
ვედარ შევძელით მხოლოდ სამმათ.

# სოფ. ჭალა

ოზურგეთის მაზრა

ამ სოფელში დიდი „ეროვნული“ მოძრაობაა, რომელსაც ხელმძღვანელობს ი. სიხარულიძე და თავამაიშვილი.

ამას წინად მოხდა სოფლის ყრილობა, რომელსაც ათიოდე კაცი დაესწრო. ყრილობაზე მოხსენება გააკეთა ი. სიხარულიძემ, რომელმაც მოითხოვა ღვაბზუს თემის სამმართველოს გაუქმება ღ. ცხმელის-ხიდზე და, ავტონომიურ ერთეულად შესვლა მომავალ ახალ თემში, რომელიც უნდა დაარსდეს ეკლესიასთან.

სიხარულიძის შემდეგ თანამომხსენებლად გამოდის კ. თავამაიშვილი, რომელიც ამბობს:

·ამხანაგებო, ამხ. ი, სიხარულიძის შემდეგ მე არაფერი დამრჩენია სათქმელი; მარა ცოტას მაინც ვიტყვი.

მართალია, ჩვენ მუშაობას მხარს არ უჭერს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, მაგრამ ჩვენ ეს ნუ შეგვაშინებს; ეს საქმე ჩვენ ისეთ პირებმა დაგვავალეს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მათი სიტყვა არ დავიჯეროთ.

ამ საქმეში ჩვენ ორი კაცი ვიქნებით პასუხისმგებელი. რაც უნდა იყოს, ჩვენი სოფელი მაინც არაფერს წააგებს, პირიქით, კიდეც მოიგებს და აი რას:

თემი ახლოს გვექნება: აგერ, ყურის ძირში. შემდეგ, რაც უმთავრესია, საქმე კულტურულ ხალხთან გვექნება. ამხანაგებო, თქვენ ყველას კარგად გემახსოვრებათ, თუ როგორ დიდებულად ჩატარდა იქ გიორგობა. ეხლა არის და—ეკლესიები გახსნეს. ეს დიდი კარგი საქმეა. აბა სად გაგონილა, რომ დღეს სადმე ეპისკოპოსი მეპატიჟონ?! იქ კი ეს მოხდა...

აი, ამიტომაც ჩვენი ინტერესები თხოულობენ—ჩვენ კავშირი გვქონდეს ასეთ ხალხთან.

მოსალოდნელია, ცენტრიდან კაცი ჩამოვიდეს. (მაზრის მთავრობამ უარყო ჩვენი მოთხოვნილება). ჩვენ პასუხი მზად უნდა გვქონდეს მის შეკითხვებზე. პასუხს გვასწავლის ჩვენი ბიქტორი და ჩვენ დავიზეპირებთ.

ამხანაგებო, ახედეთ მაღლა ცას. აი, ხომ ხედავ: აქ ცის გუმბათია; აქ არის ქვეყნიერების შუა ადგილი და ცენტრი; ამიტომაც თემის ცენტრიც აქ უნდა დარჩეს...

მგზავრი.



# დიდი-ჯიხაიში!

შემაჰყროს სოფლის წესებმა ყოველთა შემაპყრობელმან,
დამასვას მწვავე დაღები მკაცრმა და უწყალობელმან,
ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვითარცა მშობა მშობელმან—
—მაინც-კი ვერ მიმიზიდოს მეფდართა საგალობელმან.

რადგან არა მაქვს თკისება, გავყიდო თეთრად შავია,
ნურ ვინ დამძრახავს ამისთვის, გავკიცხო საკიცხავია,
გადავუშალო ქვეყანას ბოროტთა საქმე ავია,
ვცემო მათრახი „ღირსეულთ“, ავუწვა ზურგის ტყავია.

ცენტრალურ ქალაქს არ მართებს სოფლების გამოგლოვება,
ხამს იგრძნონ პროვინციებმაც თბილისთან დაახლოვება,
ხამს გავუგზავნოთ ფეშქეშად, რაც ოდენ მოგვეპოვება.
ულირსს პატივად პანღური, კუზიანს გაჯოთოვება.

არ დავუშუროთ არავის წვერი მათრახის კუდისა,
ჩანგალი გადმომნგრეველი ქვეწარმავალთა ბუდისა,
მივმართოთ დეზინფექციას, თუ ვინმეს სუნი უდისა,—
—სადაც კი არის საჭირო გამოსწორება მრუდისა.

ჰაგონდება ჯიხაიში და მსურს გითხრათ მისი ქება;
რათა ამდენს ცოდვით მავალს თავზე მეხის დახეთქება,

შუა ქუჩა... აქეთ იქით ორი არხი ცხენის წყლისა;
ქუჩის პირად დუქნებია სპირს აღწერა სიმრავლისა;—
ყველას სპარბობს სამიკიტნო, გასდის სუნი სიმყრალისა;
აქვე ახლო ბაზარია, მოდის ხალხიც სხვა სოფლისა.

სამწუხაროა, ვერ ვხედავთ მათ შორის ლუკიანესა,
თემისთვის „თავ-დადებული“ ნეტავ სად წაიყვანესა?!
—ამბობენ სამართლიანად დაიმსახურა მან ესა,
და ამის გამო სოფლიდან გასწირეს, გააძევესა.

თუ-კი გსურთ გეტყვით, ვინ არის და ან როგორი კაცია;
—გვარი აქვს ნუცუბიძეთა, სახელი ყურთ-წარმტაცია
ჯერ ისევ ახალგაზრდაა, კისკისა და მამაცია,
მისი ხელობა ყოფილა წამლების კომბინაცია.

დრო იყო, რომ თავმჯდომარედ თემისა ის ითვლებოდა
პატივი ჰქონდა გოგიას, მას მუდამ გვერდით ხლებოდა;
ერთი დააკლდა, თორემ აქ ტრიუმ-ვირატი დგებოდა—
—რაღა უჭირდა ჯიხაიშს, ესენი რომ შერგებოდა.

მაგრამ თქვენც იცით, რომ ბედი არ არის მარად მზრუნავი,
—დაინთქა ლუკიანესაც სოფლის მორევის ცრუ ნავი,
გამოუჩინა განგებამ მას საქმე რამ საზრუნავი,
რის შემდეგ დასვა ზავ-ბედზე მწარე ფიქრებით მჭმუნვი.

მაშინ როცა ჩვენში იყო გამოსვლების „გრძელი“ ხანა,
ლუკიანემ ამ ხანაში „ბევრი შრომა“ აიტანა,—
—შემოკრიბა სიქვეონი და ცენტრისკენ გააქანა;
(როცა ჰქონდა საზრუნავი, მოიცლიდა იგი განა?!)

მაგრამ ერთს აცდა მის მიერ ცენტრისკენ გადაძახება,
შესთვალა: „გაჰქრი, თუ გინდა აგშორდეს გამათრახება!“

რადგან ქნა მეზობლობითა, ჩვენგანც ნუ დაეძრახება,
თან კიდევ ამით მამულსაც „დამცველი“ შეენახება.

მაგრამ კადრს მოღალატეთა ერთი რომ არ დაკლებოდა,
ამოარჩია, რომელიც მეზობლად ეგულებოდა,
უბრძანა: ცენტრში სამსჯავროს წინაშე სწრაფად ხლებოდა.

მაგრამ ამით გარდუბრუნდა ბრრბილი და თალი ცისა,
წარხდა ძველი მოხერხება ამ გამბედავ მამაცისა
—წყეულ იყოს ეგ სოფელი აგრე გცევა რად იცისა,
ბედმა ახლა ლუკიანეც თვით სამსჯავროს გადასცისა.

პატიმრად ქმნილსა „უბრალოდ“ გულზე ბლმური ედება,
წყნარად სდგას მსჯავრის წინაშე, რას არგებს გათავხედება.
შემოსწყრომია მსაჯული ღიმილით არ იხედება
—ბრალდებად წამოუყენეს მას თვისი „ძველ-მოქმედება“.

პირველ ჰირსა ზედ დაერთო სხვა ჰირი და სხვა მასალა,
—მისა მიერ ბრალდებულმა ახლა მასვე დააბრალა,
რომ წამლები სახელმწიფო მან ქვევრებში გადამალა...
(რა ეს უთხრეს ლუკიანეს მყისვე ფერი შეეცვალა)

გაგზავნეს კაცი სოფელში (თუმც იყო ღამე შავია)
რომელშიც ლუკიანეს ქვევრს სწრაფად მოხადეს თავია.
რიცხვი წამლიან ბოთლების აღმოჩნდა უამრავია,
წარგზავნეს სადაც ჯერ იყო პატრონის უნახავია.

ამის გამო დადიოდა უმანკოდ ის ერთ ხანად,
ატარებდენ პატივს, აყრიდს ძველ ცოდვებს შესანანად;
მაგრამ ისევ დაუბრუნეს, არ გახადეს ჯავრიანად,
ამის შემდეგ გარდიკარგა ზღვისკენ ცოდვის განსაბანად.

თურმე ბათომში იშვალა თემისგან ნარიყაეია,
სადაც ერთ-ხანად ყოფილა ფულების შემნახავია,
მაგრამ როს ხელში ჩაიგდო მან ბლომად საქათაჯია,
მას შემდეგ, ასე ამბობენ: ცენტრში ამოყო თავია.

„მეორე კაცი, რომელიც ჩემ მაგიერ საქებარია,
სტეფანე აკოფაშვილი მახუსის მიმდევარია;
—სურს დღით და ღამით იქ იყოს, სადაც სდის ღვინის ღვინით,
ან, როგორ არა მიიღოს წამალი, უებარია.)

ვით მასწავლებელს ვერავინ დასწამებს გაორგულებას:
დიდი ხანია შეუდგა ურჯულოთ გაქრისტიანებას;
ახალ მეთოდას საქმეშიც (თუ დავუჯერებთ თქმულებას)
მათემატიკურ სისწორით ასრულებს დანიშნულებას.

„მაგრამ ვეღარ დააფასეს მასწავლებლის ბრძნული შრომა.—
—რა შეატყვეს, რომ სტეფანემ ცდებს ბევრი დრო მოანდომა,
მოითხოვეს მასწავლებლის ადგილიდან გადაგდომა...
და ბოლო დროს აისრულა თემმა თვისი გულის წყრომა.

ლარაბი.




P-7741

ა. ს. მ. ფ. ს. პოლიგრაფტრესტის I-ლი სტამბა — თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 12 ივლისი 1925 წ.

# ტარტაროზი

ფასი ხუთი შაური

№ 13—(16) გაზ. „მუშა"-ს ორკვირეული უფასო დამატება № 13—(16)



არ გამართლდა იმედი—
გულს სევდა ჰკლავს და ჰბურავს...
უცხო ნავთსაყუდარში
„იალქანი" მისცურავს.

მათ ასე უმართლდებათ
ოცნება და მიზანი.
ან რას შესძლებს ლომ-გმირთან
კანწირული ხიზანი!...

# „გოსპალგვაჭი"

იყო დრო როცა ცენტრში
სავაჭრო ჰქონდა გოსპარს;
(მას უხაროდა, როცა
ხედავდა სხვებსა მომსპარს).

ვაჭრობდა ჯერ „სემიჩკით"
და შემდეგ კი კალმახით;
(ქარხნიდან რომ იყიდდა
ჰყიდდა ორმაგი ფასით).

სულ ხუთიოდე წელში
გაჭიმა მაღაზია;
(მისი სავაჭრო სხვებზე
კოხტა და ლამაზია)

ესევა მას მუშტარი,
ივსება ფულით დახლი...
(შეცვლილიც კი მოიმატა
ცოლს გარდა კიდევ ძაღლი)

საქმე წინდაწინ მიდის,
ემატა თავნსა თავნი;
(სახარჯო ბევრი არ აქვს —
არიან მხოლოდ სამნი).

მაგრამ ვის შეგრჩათ სოფლად
ცხოვრება ასე ტკბილი!?
(გამოგექრება რამე,
დაგძვრება ყველა კბილი)

—

მოვიდნენ „ღმერთგანწყრულნი",
და პატრონნი ქალაქს..
(ვერ ნახავ თავშესაფარს
და სამშვიდობო ალაგს)

წაუხდა გული გოსპარს,
სავაჭრო გამოკეტა..
ფიქრობს: —რჩებიან დიდხანს
კომუნისტები ნეტა?!

და ელოდება დეკრეტს
სიკვდილის თანაბარსა;
დაეძებს განცხადებებს,
მაგრამ არ ხვდება არსად.

ჩამოიარეს, უთხრეს:
— განაგრძეთ თქვენ ვაჭრობა;
მხოლოდ იცოდეთ: დაგიჯარიმ,
თუ იწყებთ ტყავის ძრობა.

დაიწყო კვლავ ვაჭრობა,
კვლავ მიდის საქმე წინა
და ფიქრობს: —მართ შეცვლა
ნეტავი რად მეწყინა?!

სტყუოდნენ, რომ ამბობდნენ:
„ემტერებიან ვაჭრებს,
„არომ ვინ ყოველივეს
„საქონლის მთელს და ნაჭრებს...

„ცოლსაც კი წაგართმევენ,
„ვერ ამოიღებ ხმასა,
„დაგანახვებენ შენვე
„როგორ ჰკოცნიან მასა...

„ვაი, მას, ვისაც აქვსო
„უშველებელი ღიპი;
„მას გაუპრიან მუცელს,
„სადაც არისო ჭიპი"...

ვფიქრობდით: —რა ექნათ მაშინ,
თუ ყველა ჩვენ გაგვჩისტეს?!—
მე არ ვიცოდი ჭკუა
თუ ჰქონდათ კომუნისტებს..

იციან: სახელმწიფოს
ვართ ბურჯი და სიმდიდრე;
(თვითონაც იქნებიან
ვიქნებით ჩვენა ვიდრე)

და არ იზამენ: მოსჭრან
ხე დასაყრდომში ძირში,
თორემ ისინი თვითონ
ჩავარდებიან ჭარში.

გაუძლებ ამ „ნალოგებს".
გავიტან ცოლს და თავსა;
ენას არ შევუბრუნებ,
თუ შემარჩენენ ტყავსა.

—

და მართლაც გოსპარ მუდამ
იხდიდა გადასახადს;
რომ გადიხდიდა ძველსა,
ისევ იღებდა ახალს.

— ვა, ეს რა არის, ხალხნო?
ეს რა სცოდნიათ ამათ?
განა მე ვაჭრობ ამდენს?
ნუ თუ მე მკვლიან ხამად?

მგონი მართლდება: რასაც
იტყოდა მენშევიკი—
რომ შესჭამს ნელა-ნელა
ქვეყანას ბოლშევიკი —

ასე ამბობდა ჩუმად
ცოლთან და მეგობართან,
(და ისიც მაშინ, როცა
არავინ იდგა კართან).

—

ეს კიდევ რაა... ერთ დღეს
გამოუცხადეს გოსპარს:
— დასცალეთ მაღაზია,
შენობა უნდა „გოსპლანს" —

აბარგდა ჩვენი გოსპარ,
(მაშ რას იზამდა, აბა?!)
და ახლოს იმ ქუჩაზე
გადასცეს მას დარაბა.

—

გამოჭიმულან ირგვლივ
სავაჭრო ათასგვარი
(დაჰკეტეს ჩარჩ-ვაჭრებმა
მაღაზიების კარი)

ხედავს გოსპარი ამას,
ცრემლით ევსება გული;
ფიქრებში ეჩვენება
ცხოვრება დაკარგული.

ვერ ჰყიდის საქონელსა,
ლპება და უდის სუნი;
მოაკლდა ცოლ-ქმარს ქონი,
ძაღლს დაემართა მუნი...

იქ კი მუშტრები ნოქრებს
ესევა ვით ფუტკარი;
(შესვლისთვის აღარ ჰყოფნის
მუშტრებსა ოთხი კარი).

რიგია, მაგრამ მაინც
ყიდულობს ყველა იქა.
(ერთ საათს რიგში დგანა,
თუ გინდ უნდოდეს ჭიქა)..

დღე და ღამ ფიქრობს გოსპარ,—
საქმეს უშველო რითი—?
დაფიქრდა მძიმედ კაცი,
(შუბლზე მიიდო თითი)...

— გამოვასწორებ საქმეს,
თუ კი თავი მაქვს ქუდში —
იფიქრა და წავიდა.
ჩადგა გრძელ რიგის კუდში.

არ ჩქარობს რიგის მოსვლას...
მუშტრები შედის-მოდის...
ბოლოს იყვირა: —რიგი
ჩვენ გვეღირსება როდის?!

ხალხნო, რა გვინდა ჩვენ აქ,
რად ვდგევართ კაცი ასი?!
წავიდეთ, იქ ვიყიდოთ,
იგივე არის ფასი —

და გამოვიდა გოსპარ,
თანაც გამოჰყვა ბევრი...
(ამ ხერხით მოემატა
გოსპარს მუშტრების წევრი) ..

ხან წავიდოდა თვითონ,
ხან აგზავნიდა ცოლსა,
უფრო ხშირად კი ვართანს:
თავის მეგობარს, ტოლსა...

და საქმეს კუს ნაბიჯით
დაეტყო წასვლა წინა...
მაგრამ ერთ შავდღეს ისევ
გაჩერდა, გააყინა...

თურმე გაუგეს ვართანს
ეს საქციელი ცუდი
და ერთ დღეს (რომ შესულა)
მას გამოაბეს კუდი.

სხვა ხერხი აღარ არის...
საქმეა დაღუპული...
არ გადის საქონელი,
არ არის დახლში ფული.

——

რომ მოერევა სევდა,
ცოლსა დატოვებს დახლში
და დაუდგება ქუჩებს
ან და სეირნობს ხალხში.

შეხედავს მაღაზიებს:
ხ. მ. უ. ხ. ტრესტის, სინდიკატის.
(ვერ უძლებს გული დარდებს,
მაგრამ ეს მაინც დადის).

P-741




დაჰკიდა დიდი აბრა წარწერით „გოსკალბვაჭი“

მუშკოპს არა აქვს რიცხვი,
(ვით სოკო, ყველგან ხარობს);
რომ არ მიასწროს „ზაკტპომს“,
ვაგზლის დაპყრობას ჩქარობს

ჰფიქრობს:—ვიცოდე, ნეტა:
სად არის ძაღლის თავი?
როგორ ჰყავთ ამათ, ნეტა,
მუშტრები უამრავი?..

ნეტა, რა ძალა ასე
თვისკენ იზიდავს მუშტრებს?
სუყველა ვაჭრობს ზარბაძ,
ყველა ერთმანეთს უსწრებს..

კითხულობს გოსპარ აბრებს,
ყველგან სიტყვა „გოს“ ხვდება;
„ალბად ამიტომ არის
რომ ყველა მათ აწყვდება?!.

(— აჰა, სიტყვა: „გოს“ არის
მოკლული ძაღლის თავი—)
დაბრუნდა სიხარულით,
უთხრა ცოლს ეს ამბავი.

ერთ კვირას ჰქონდა გოსპარს
სავაჭრო დაკეტილი;
(ყარაულობდა ძაღლი
ერთგული და კეთილი.

შეალამაზა შიგნით,
შეღება გარედ კარი...
(რომ ამით მიიზიდოს
მრავალი მან მუშტარი)...

ასეა ჩვეულება,
ბედათი, ზნე და წესი...
მუშკოოპი რატომ იყოს
გოსპარზე უკეთესი?!)

დაჰკიდა დიდი აბრა
წარწერით: „გოსკალბვაჭი“
(აი, ეს არის ჰკუა!
რა არის მასთან კვაჭი?!)

ღიაა მაღაზია...
გამვლელი მიეჩქარის;
კითხულობს: „გოსკალბვაჭი“...
(იგივე კოოპი არის).

შედიან „გოსკალბვაჭში“
სწრაფად გაშვლილი იგი:
უკვირს: მუშტრები ბევრი,
მაგრამ არ არის რიგი.

საჩქაროდ ისტუმრებენ,
(მუშაობს ხარლოდ ორი)
ისე სწრაფად, თითქოს
ხელში აქვთ მათ საიწორი.

„რომელი ჩეკი შაქრის“—
ახის შემოსული.
„აჰა, შაქარი თქვენა,
იჩქარეთ იყოს ფული“...

ვიღაცა ამბობს:—აი,
მწამს მე ასეთი საქმე;
სხვაგან არ წავალ არსად,
მარად ვიყიდი აქ მე...

სისტემაც ამას ჰქვია:
არც ჩეკი, არც სალარო,
არ შემჩარდება აწი
„გოსტორგი“ შეეიყვარო—

—:—

რად ივის შედარწერამ
ასე ლალაში მოლოს?!
გან ლაბიაში საქმე
რად უნდა ჩაიქოლოს?!

გოსპარის „გოსკალბვაჭში“
ერთ დღეს დაადეს ლუქი,
ჩამოხსნეს დუქნის აბრა
ფერადი: წითელი, მუქი.

—:—

გოსპარი თავს იმართლებს:
—აგიხსნით ამ ფირმას:
თუ ბრალი მიქნას, მაშინ
არ ამოვიღებ ხმასა.

იყუა „გოს“ გოსპარს ნიშნავს,
ხვა დანარჩენი იცით...
ცუდ ზრახვით არ მიქნია,
ვამტკიცებ ამას ფიცით.

—:—

თუ მოგიხდებათ შესვლა
ეხლა მის სავაჭროში,
ასეთ აბრასა ნახავთ
[illegible]

# გოსპარის ძაღლის ვაჭრობა

პინჯარი.

## „შვეგულება“

— შეიდობით, ძმაო [illegible], ვინ იცის: კიდევ გნახავ თუ არა [illegible] შივ-ძარო ერთ ჩემს ამხანაგს, რომელიც [illegible] თი კვირას ვიდრე შვეგულ ბაზ.. მიდი[illegible]
— როგორ ამჟღლაკაუგული [illegible], შე კაი კაცო, ასე გგონია თითქოს ცოცხა-

ალარ დაბრუნდა—გამეხუმრა ვარლამიც და ვაგონში შევიდა.

ვაგონში იგი ისე მოეწყო, როგორც უბრალო „გოსმინიმუმიანი“ მოთავსდება საბინაო კომისიის მიცემულ ოთახში (თუ კი ასეთი ბედისა თავის სიცოცხლეში).

მატარებელმა დაიფშუტვინა და ჩვენი გმირი ვარლამიც გ აქროლა ქუთაისისაკენ.

თვალებზე ცრემლი მომ დგა ასეთ ამბავს რომ ასე უცბად მოვწყდი. ხუმრობა ხომ არ არის—აგერ სამი წელიწ და ვიცნობ და ასეთი ადამიანი მე ჯერ არ შემხვედრია: ზორბა მოსული, სამ ლიტრ ღვინოს უწყობს, ცოტა „ოქროფულის“ თქმაში ოსტატურად, თორემ სხვამხრივ ნაკლი არ ჰქონდა.

საზღვარი ჰქონდა და ამ ვე დროს გონიერი „ბებრისა“ სა მეცნიერიც.

— წავიდა, მარა რა უცნაურ... ისევ ნაშივა—გავიფიქრე, როცა მატარებელი თვალებს მიემალა და ს ხლში წავიდოდი.

* * *

„ვარლამს ვახლდეარ“.. „ვარლამს გაუმარჯოს“... „ვარლამს სიცოცხლე“... მთელ სოფელში ტოლ-ამხანაგები და მეზობლები.

სწორედ კარგ დროზე მოდი: კვირას ჩვენს დათის ქალი მოჰყავს სოფელ გამზიდან და მაყრად წაგიყვანთ.

— ცრით კვირის შვებულები და ერთი მაყრობა... დიდებული რომ არის მე და ჩემმა ღმერთმა—გაიფიქრა ვარლამმა და სამაყროდ ცხენის ძებნას შეუდგა.

* * *

დადგა კვირა.

შეკაზმეს ცხენები, გამოეწყვნენ და წავიდნენ ქალის მოსაყვანად.

(ვარლამს ყველაზე დაბალი ცხენი გამოურჩიეს და მისცეს, მაგრამ მაინც ყველაზე მაღალი ჩანდა.

სოფელ ვაშტ-ვში დიდი მზადება იყო.

ძველი, ყოფილი აზნაურიშვილები (უკაცრავად ბასუხია) გაცხარცხებით დაეძებდნენ მამაპაპეულ ხმალს და ძველ ჩოხას (იგი ახალი შეიქნა შერჩენია).

მასპინძლის ეზოში ერთმანეთზე იწვენდა საკლავებს.

— რაკი ჩემი ხუშენიე გავათხოვე, რატომ მინდა რამეო—იძახოდა პეტრეს და აქეთ-იქეთ დარბოდა.

— გიდო, ქმარი არ შეგეწინოს! როცხას ქე გაგეთიამაშება ღამით, მარა იმიტ რა გიჭირს, შენც გიეთამაშე—არიგებდა სოფლის ბატონებს, რომელიც გულით ბედნიერებით ფართხალობდა და სახეზე ოლმაარა სცხოდა.

* * *

„სიძე ბატონი მობრძანდა“.

ყველა მას უცქერის.

— აბა, დედოფალი—იძახიან დამხედურებიც და მოსულებიც.

ძველი აზნაურიშვილები და მათში სანდრო აქეთ-იქით აცეცებენ თვალებს და მო-



როცა ვარლამი კარებში გამოდიოდა, მან შეამჩნია რომ: ერთი თავის მაგივრად ორი ნახევარ-ნახევარი თავი უჩნდებოდა.)

სულ მაყრებს ხომავენ—თუ ვის უფრო მოუწონოთ, ვის უფრო დაავთროხონ.

სანდრომ ვარლამს ანდლ-დახედა და „თვალში დაუჯდა“... თუ ამის სიმაღლე მაყარი დავითვრე—ვაჟკაცობაც ეს იქნება.

ვარლამს არასოდეს არ დაულევია ბევრი ღვინო (ან და როგორ დალევდა, როცა ბათუმში ბოთლი ღვინო ოცი ხუთი აბაზი მაინც ღირს!) და არც ამედამ დალია.

მაყრები მალე გაიშალნენ

ვარლამი ცოტა ქალების მოყვარულიცაა (თუმცა მას არასოდეს არ უთქვამს, მაგრამ მე ვიცი, რომ იგი ასეთია) და ერთ ქალიშვილს გადაავლე გადმოავლო თვალი.

შენიშნა თუ არა ეს ამბავი სანდრომ, არ ვიცი, ხოლო როცა ვარლამი კარებში გამოდიოდა, მან შეამჩნია რომ: ერთი თავის მაგივრად ორი ნახევარ-ნახევარი თავი უჩნდებოდა,

ალბად გამოჩნდნენ იქვე ექიმები, რომლებმაც ორი ნახევარი თავი შეაერთეს და დაშლილ ხრსავით შეკრეს, თორემ ჩვენი ვარლამი ამ ქვეყნიდან საიქიოში გაემგზავრებოდა.

სანდრო თავისი ხანჯლით დაკლულ საქონლებში მიმალულიყო. დააპატიმრეს, მაგრამ თანახმად მეხუთე ათასი აშნისტიისა—გაანთავისუფლეს და მიუსაჯეს ექვსი კვარტა ღვინო საექსტერნო მაკარიშად.

ვარლამი კი შვებულების შემდეგ დააპატიმრეს საავადმყოფოში სასტიკი კონტროლიზაციით ორი კვირის ვადით.

როცა ბათომში ჩამოვიდა და თავშეხვეული დავინახე, სიხარულისაგან ცრემლები ვღვარე.

გამოვკითხე მიზეზი და მიამბო ის, რაც ახლა მე თქვენ გიამბეთ.

დღესაც ბათომის ქუჩებში დაინახავთ იშვიათ მაღალ ადამიანს საზხედრო ტანსაცმელში თავშეხვეულს და ამით დარწმუნდებით, რომ ეს ამბავი ტყუილი არ არის.

დიდი ქუდის და ტყავის პატრონი არასოდეს არ იყო (ჩემი სიკეთის არ იყოს), და ეხლა მთლად წასულა ხელიდან; რაც ჰქონდა, ისიც გადმოხვეწილა გარეთ. მართალია, ახლა თავი მაგრად აქვს შეკრული, მარა შიგაც არაფერი დარჩენილა.

ასე დამთავრდა ვარლამის შეძენილება.

როცა ვინმე შეძენილებას ახსენებს, იგი თვალებს ხუჭავს და ნერვები უშლიება. ასე შეჯავრდა შეძენილებაში წასვლა, როგორც ბათომის მილიციის თანამშრომლებს ჯამაგირისათვის „კონხოზში“ სიარული.

კიდევ არ მოგწყინდა, ძმ. ტარტაროზო, ამ ამბავს, მაგრამ ძალიან მთხოვა თქვენი ჟურნალის საშუალებით, უღრმესი მადლობა გამოუცხადოს სანდროს და სოფ. ვაშლოვანის კომისარს; პირველს იმისათვის, რომ: სიცოცხლე შეუნარჩუნა, ხოლო მეორეს—გამოჯანმრთელებისათვის და ასეთი ამბავის გაცნობისათვის.

მე ვასრულებ მის თხოვნას და გთხოვ ტარტაროზო, ამხანაგურად, ვარლამი „ჭკვიანი ბიჭია“ და ეს სამადლობელი წერილი გაუშვით. სამაგიეროდ, თუ მოგიხდება ბათომში ჩამოსვლა, ახლად დანაწნულ ტერტერას გაგაცნობ.

შ. ძბოლი.



# „ფეხზე ვაჭრობა“

— გამარჯობა, შენი გოგიავ!.. ბიჭო, რაფა ტინტილის ნაჭამ კატასავით წაგიწვრილებია კისერი! ამ ბათომში პური ღეილათ, რაცაა შენი საქმე?!

— გაგიმარჯოს, ბუნების ძალამ, ჩემო აფრასიონ!.. პურს რა დალევდა, კაცო, ბათომში, მარა ჩემს ჯიბეში, აგშორდა პირი, რაკაც ფული არ იყოს.

— რა ვიცი, რა... რაცდა ბუღალტერიაო, კაცო, იგი შენ ხარ, და, აბა ფული შენ თუ არ გაქვს, ვის ჯანდაბას უნდა ჰქონდეს?!

— ბუჰგალტერი კი არა, „ზიმდეუშჩი“ არ გინდა კიდევ!.. ბუჰგალტრობას მე აბა ვინ მომცემს!.. მე რეგისტრატორად ვმსახურებ კანცელარიაში...

— რეგისტრატორნათ?!. მერე, რამდენი გაქვს ჯამაგირი თვეში?

— რამდენი მაქვს და, ბიჭებო.. გოსმანიმუმით ვღებულობ, ჩემო აფრასიონ, გოსმინიმუმით.

— გოსმინიმუმი—რამდენი ჩერვენცია?

— გოსმინიმუმი ფული კი არ არის,— იგი შეკრიბებული სიტყვაა, რომელიც ნიშნავს ქართულად: ჯამაგირის სახელმწიფო მინიმუმით მიღებას.

— აჰა!.. მივხდი, მივხდი... მაინც რამდენი გამოდის თვეურად?..

— რამდენი და 20 მანეთი და 37 კაპეიკი.

— რაო? მეტი არა?!. ტყუილათაა გაწცდარხარ, ჩემო ძმაო, სულ ტყუილათაა!.. მაგი ჯამაგირი მარტო პაპიროსის ფასად არ გეყოფა!..

— მერე, რა უნდა ვქნა, რომ არ მეყოფა?!.

— რა ქენი და მიანებე მაგ შენს რეგისტრატორობას თავი...

— კი მარა, მერე, რა უნდა გავაკეთო?..

რა გააკეთე და მოჰკიდე ხელი ფეხზე ვაჭრობას!.. ეჰ! მე რომ შენი ნახევარი ცოდნა მომცა—ფულებით სულ სავსე მექნება ჯიბე.

— არა, მე ვაჭრობას ვერ დავიწყებ... ვაჭრობის მე არაფერი ვიცი.

— დეიწყე ახლა შენ ერთი აბდრული!.. ახლა ვაჭრობას რა დიდი ცოდნა უნდა: იყიდე ერთი კალათი, ჩააწყვე შიგ განჯაყელი, გინდა კვერცხი, გინდა ბალი და იარე ხან აქეთ და ხან იქით.. შენი ჯამაგირის დონს სწორედ ერთ კვირაში გააკეთებ. მერე კიდევ, ხანდახან თუ ოთხიოროლა პაჭკა კონტრაბანდს გააყოლებ შიგ —მაშინ შენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს!.. ფულები სულ ჩხრიალით გექნება ჯიბეში... აპა, კარგად დაფიქრდი; მე შენთვის კაი მინდა, ღმერთმა იცოდეს. მარა, ახლა კი მშვიდობით—საქმეზე მივეჩქარები!..

—:—

ამ სიტყვებმა ცოტა არ იყოს ჩვენი გოგია ჩააფიქრა.

მან დაიწყო თავის ჰკუაში გეგმების შედგენა, თუ როგორ შეიძლებოდა ერთი პარტია კონტრაბანდი საქონლის გატანა, რომ ნაშოვნი ფულით თავისი დავლეჯილი ტანსაცმელი მაინც გამოეცვალა.

იმ დაწესებულებაში, რომელშიაც გოგია მსახურებდა, იმ დროს შტატის შემცირება უნდა მომხდარიყო. თუმცა გოგიას არ მოუწევდა შემცირება, მაგრამ მან თითონვე მოისურვა შემცირებაში მოყოლა და საქმეთამმართველის დახმარებით, (რომელთანაც იგი ერთობ კარგ განწყობილებაში იყო), მოახერხა განძრახული სურვილის შესრულება.

სამსახურიდან დათხოვნის დროს, გოგიამ მიიღო ყოველივე კუთვნილი ფული, რომელიც შეადგენდა სულ 50 მანეთს.

— აბა, ახლა ერთი ვსცადო ბედი— ფიქრობდა გოგია—თუ გამამართლდა, ხომ კარგი თუ არ გამიმართლებს-და—კურმუხეთში ყოფნა ჩემი რეგისტრატორობა; ასეთ თანამდებობას ყოველთვის ვიშოვნი“.

გოგიამ იყიდა ერთი კალათი, აავსო კვერცხებით და შიგ კი ორი დიუჟინა „ვიქტორიას“ ჩულქები მოაყოლა. ადგა ბილეთი და გაუდგა თბილისისაკენ. როდესაც გაიარა სადგ. ჩაქვი, მატარებელში დაიწყეს მგზავრების ჩხრეკა. გოგიას რაღაც იჭვიანი თვალით უცხედეს და ჰკითხეს:

— „ეს კალათი შენია?“

— დიახ, ჩემია—თავის და უნებურათ წამოიძახა გოგიამ.

— მაშ თუ შენია, აბა, ამოალაგე ეს კვერცხები.

— ამას რაღა ამოლაგება უნდა: ხომ ხედავთ, რომ მართლა კვერცხები არის—უპასუხა გოგიამ.

მაგრამ აგენტებმა გოგიას მეტი აღარ აალაპარაკეს და დაიწყეს ჩხრეკა.

— „აი, შენი კვერცხები — წამოიძახა აგენტმა. გოგია შეკრთა, ტანში ჟრუანტელი დაუარა და ბოლოს საწყალის ხმით შეევედრა:

— გამიშვით, ნუ დამიჭერთ... საქონელი თქვენთვის მიმიცვლებია, ოღონდ ნუ დამიჭერთ, თორემ მომეჭრება თავი საქვეყნოთ.

მისი ვედრება არავის ესმოდა და იგი ჩეკისკენ წაიყვანეს თავისი კალათით.

გოგიამ „ჩეკაში“ ერთი კვირა გაატარა; ბოლოს წერილობითი პირობა დაადებინეს, რომ მეტს ასეთ ბოროტებას აღარ ჩაიდენდა—და გაანთავისუფლეს.

ქვეყანამ გაიგო გოგიას ამბავი: ამიტომ იგი არსად არ მიიღეს სამსახურში და კავშირიდანაც გამორიცხეს.

დადის ეხლა ჩვენი გოგია დაღვრემილი ქუჩა ქუჩა და თავისთვის ფიქრობს: ოჰ, ერთი ის წყეული აფრასიონაი შემახვედრა? დავბდღვნი ისე, როგორც ქორი წიწილსა!—

მაგრამ აფრასიონი, როგორც ჩანს, უკვე მოიგო ბლომად ფულები და სადღაც შორს წასულა სავაჭროთ.—

ხორიტა.



# ოფელია

დასტოვეს ხალხი და მოძებნეს
ადგილი ბნელი.
ძლივს-ღა ისმოდა ჩირგვებიდან
ბაასი ნელი.

იყო ბუნება მათ გარშემო
წარმტაცი ასე.
იდუმალობით ჩათხრობილა
და სევდით სავსე...

აშრიალებდა მწვანე ფოთლებს
სიო საამო...
(ახ, რა ტურფა და მომხიბვლელი
იყო საღამო!..)

აფრქვევდა სხივებს არე მარეს
ფერმკრთალი მთვარე,
და სადღაც ახლოს „ოდელია"
ახრჩობდა მთვრალებს...

(ცროვნულ განძში შესაფერი
შექონდათ წვლილი)
მოისმა უცბად ჩირგვებიდან
მოთქმა ყმაწვილის:

— ო, ოფელია, გეფიცები
ჩემს მარად ტრფობას,
და კლასთა შორის გააფთრებულს
შუღლსა და მტრობას,

ამ ცას მოკირწყლულს ვარსკვლავებით,
ამ მთვარეს განხმარს
და ლურჯ „ინდიგოს" შევიოტის
ჩემს კასტიუმს ახალს,

ჩვენს პირველ შეყრას „რუსთაველზე",
ბაისს უმანკოს,
და გამოგზავნილს შენგან პირველს
წერილს უმარკოს,

შემდეგ ღამეებს გატარებულს
აქ შენთან ერთად,
როცა მიმაჩნდა ჩამოსული
მიწაზე ღმერთად,

ამ მწვანე ხეებს, ამ მილეულს
მოხიბვლელ მთვარეს—
რევიზია მაქვს ხვალ დილიდან,
მიშველე რამე!..

მიშველე, კასა გაფხეკილი
შევავსო რითი?!..
დანაკლისს შენთან შემოხარჯულს
ვთვლი და ვერ ვითვლი...

ხომ იცი, მქონდა ჯამაგირი
როგორი მცირე,
და მეც, ძვირფასო, კასა იგი
შენ შემოგწირე.

გიყიდე ტუფლი ათი წყვილი,
კასტუმი ხუთი...
„დუხი" და პუდრი აღარ მახსოვს
რომდენი ფუთი...

შლაპების რიცხვიც ღმერთმან იცის,
და კიდევ შენა...
„სოლეოლდორში" სიარულით
არ მქონდა შველა...



პიერო ჩემო, თუ სალაროს
აეგო წესი,
რა მიზანი აქვს აწ სიყვარულს
ჩვენსას,—არ მესმის!..

ეხლა კი, ჩემო, დაშორება
მოგველის მალე.
კარს მომადგება რევიზია
დილიდან ხვალე...
და რომ იცოდე, იგი როგორს
მომიტანს შედეგს,
შემიცოდებდი, და მეტყოდი,
პიერო, შესდეგ!..
შესდეგ—ნუ ამბობ, ბრალი შენი
ჩემზედაც იყოს...
რომ უურო ცოტა არ მოგთხოვე
გაქირვების დროს...
უკანასკნელად როილი,
გახსოვს, მოგართვი,
ბეწვეულობა მრავალგვარი
მელას და დათვის;



სამაჯურები ოქრო ვერცხლის,
ბეჭედი ექვსი...
და სალაროსაც, გენაცვალე,
აეგო წესი!..
და ეხლა ველი შენგან ნუგეშს,
გამიქრე ჯავრი...
შენს წმინდა ხელით გადამსახე
პირსახეს ჯვარი...
ილოცე, რომ არ გავათენო
ეს ღამე თეთრად..
წამო მეტეხის მონასტერში
შენც ჩემთან ერთად!..

მიუჩდა ვაჟი... ახმაურდა
ხეებში ქარი,
და აყვა შრიალს ფოთლებისას
ნაზი ხმა ქალის:

— პიერო ჩემო, თუ სალაროს
აეგო წესი,
რა მიზანი აქვს აწ სიყვარულს
ჩვენსას,—არ მესმის!..

წადი შენ შენთვის, ნუ დაკარგავ
შენს გზას და იერს...
სჩანს სხვადასხვაა ჩვენი გზები,
ძვირფასო პიერ...

მშვიდობით!.. გულზე შენი სევდა
ხანძარს მიკიდებს...
როცა გამოსვალ მეტეხიდან
შევხვდებით კიდევ!

და მიდის ქალი... სურნელება
რჩება საამო...
ახ, რა მძამე და შებუთული
იყო საღამო...

აფრქვევდა სხივებს არე-მარეს
ყვითელი მთვარე.
და სადღაც ახლოს „ოდელია"
გუდავდა მთვრალებს...

სინტო.

წ. შ. ჩვენი აგენტი რევიზიის
გვაცნობებს შედეგს
და ამ ამბავზე თავის ნახულს
იგი გვწერს შემდეგს:

გუდავდა მთვრალებს „ოდელია"
ორთა-ჭალაში
და ქეიფობდა ოფელია
უცხო ზალაში.

მიჰყავდათ ვინმე ორთა ჭალის
პირველ გამსახლში...
(ის გაატარეს შუა ქუჩებში,
უამრავ ხალხში).

ორთაჭალიდან ბრუნდებოდა
შინ ოფელია...
(აღარ ისმოდა: არც არღანი,
არც „ოდელია")

რომ ჩაუარა გვერდით ახლოს—
იცნო ტუსაღი;
გადიხარხარა... ანუგეშა:
შენზეა ახი.

ტარტაროზი

# კარგი კრუხი



მუსოლინი. ახლაც სამდურავს მეტყვიან?! კვერცხები ყველგან დადებილია; ზოგან უკვე გამოვჩეკე და ზოგანაც აწ გამოვჩეკავ, თუ რომ იმ ჩაქუჩმა და ნამგალმა არ დამიშტყრა და აქაც ჩუკა არ გამოჩეკა.

## „მოსვენებული ცხოვრება"

(სტუდენტის ცხოვრებიდან

ჩვეულებად არ მქონია
ლექციები ჩამეწერა;
ამ-ტომაც, მე მგონია,
ბედი ასე დამემტერა...

სხვის ლექციებს ჩავკირკიტებ
თვალმარდად და ჰკუა ფიცხად...
ხელთნაწერი ისეთია
ჩინური სჯობს წასაკითხად:

ვკითხულობ და გული მაწუხს,
თავში აზრი მეფანტება;
ძველი ცოდნა სულ გამოდის,
ახალი არ ემატება.

პირველ საათს გადასცილდა,
ველარ ვითმენ, მეძინება;
ვწევები, მაგრამ — ღმერთო ჩემო,—
სადღა არის მოსვენება.

ყოველ მხრიდან მე საშინელ
ვგრძნობ რაღაცა ჩხვლეტა-კბენას;
ვითმენ, ვითმენ და არ უჩანს
არსად ბოლო ამ მოთმენას.

სულ ვტრიალებ შამფურივით,
ხან უკუღმა და ხან წაღმა;
მაგრამ, ვატყობ, ველარ გასჭრა
ამ ხერხმა და იარაღმა

ვდგები ისევ, (სხვა რა გზა მაქვს)..
თუმც არა ვარ გადაცმული...
ვხედავ: ჯარი ბაღლინჯოთა
ჩემსკენ მოდის დარაზმული.

ძილ დაფრთხობილს მათ შემყურეს
ბრაზი მომდის მეტის მეტად;
მაგრამ მათი სუნის გამო
ვერ ვიმეტებ გასაჟლეტად.

ანდა როგორ გავუბედო
ამ ცხოველებს მე გასრესა!..
„ზემლემერიც" ვერ გაზომავს
იმათ სიგრძე-სიგანესა.

ზოგს კედლიდან ქაღალდს ვუგებ,
ბოროტად კი ხელს არ ვახებ
და როდესაც შეცოცდება,
შიგ ლამფაში გადვუძახებ.

მეორე მხრით აჩხანკი
პაპიროსის ცეცხლით დაჰდევს
და თან ისეთ ყოფაშია
ეომება თითქოს ას დევს.

მათი ბრძოლა საზარელი
ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა
და წინასწარ არვინ იცის —
იგი სძლევს თუ კიდლისტილა

როცა ბრძოლით დავიღალე —
გადმოვფერთხე ქვეშსაგები;
ვწევები, მაგრამ ეს კითხვა კი
მრჩება მაინც გასაგები.

— ლეიბ-საბანი და მუთაქა
ათისჯერ რომ გადავხინჯო,
არ იქნება, რომ არ შეჰყვეს
სტაჟიანი ცხრა ბაღლინჯო.

სხვა ცხოველიც ბლომად მოდის:
ბუზი, ხოჭო, ტარაკანი;
რწყილისა და ჭინჭველასგან
აღარა გვაქვს გასაქანი:

ზამთარში თუ მაწუხებდა
მე ცხოველი წინაური,
მას ახალიც მიემატა
უფრო ძლიერი, ფრენაური.

შიდა-მხარე პერანგისა
მაშინ მეჩნდა ბრძოლის არედ;
დღეს მახდება ვაწარმოო
ორი ბრძოლა წინ და გარედ.

ამხანაგიც ჩემთან წვება
(სხვა საწოლი აღარ არი)
თავ-ბოლოთი ვწევართ სუსტად
გაბუტული ვით ცოლ-ქმარი.

თუმცა ძლიერ მეჯავრება
ამხანაგზე მე თქმა ცუდის,
მაგრამ, რა ვქნა, რომ ფეხებზე
„სელითოდკის“ სუნი უდის...

ამ ყოფაში არ შემრჩება,
ვატყობ, სისხლი ერთი წვეთი.
ახლა წავალ, თორემ შემდეგ
ვერ მიშველის იმერეთი.

სული შფოთავს სიცხისაგან,
უსისხლობით გული ხმება,
და რომ სისხლი მე მაკლია
ექიმიც კი მეთანხმება.

ამ დასკვნებით შემიძლია
რომ გადავჭრა კითხვა მწვავე:
— თუ კი ვინმე სისხლს ნაკლულობს,
ბაღლინჯოა დამნაშავე.

აწ კი დროა და მივდივარ...
რაც ვიტანჯე ის მეყმაროს,
ოთახს კი ინვენტარით
გთხოვთ საბჭოებმ ჩაიბაროს

დარიხი.



# პესიმისტის დღიურიდან

## 1. ქორი

უცნაური და საშიში ამბები ხდება. ვფიქრობ და დარწმუნებულიც ვარ ამაში: თბილისს რაღაც დიდი განსაცდელი მოელის.

კვირა ერთია, და ევროპიდან ჩამოსული დელეგაცია შეიდი. რა უნდა ამ ხალხს, რომ მორბის ჩვენსკენ?.. მე არ მაკმაყოფილებს მათი თქმა, რომ ისინი მოდიან მხოლოდ ჩვენი ქვეყნის დასათვალიერებლად. მათი მიზანი უფრო რთულია და ეშმაკური.

დიდის ფიქრისა და ფაქტების ანალიზის შემდეგ მე სავსებით მივხვდი მათ მიზანს. ამას ამტკიცებს ზოგიერთი ჩემი პირადი დაკვირვებაც. მოვიყვან უმთავრესს:

როდესაც ამას წინად ველაბრის მიყრუებულ მხარეში შევხვდი ერთს ყოფილ სოლოლაკელ მდიდარს, (ეხლა კი მხოლოდ მოგონებებით მდიდარს), მე მოწიწებით გავჩერდი იგი და თავაზიანად ვკითხე:

— კასპარ გიურქეჩ, რა აზრისა ხართ თქვენ ამას წინად ევროპიდან ჩამოსულ მუშათა დელეგაციაზე?...

კასპარ გიურქიჩმა ჯერ ერთი იჭვის თვალით შემოხედა. შემდეგ ბუნდოვანად მიპასუხა:

— იმ აზრის, რა აზრისაც არის ის ჩემზე...

პასუხი მეტად გაურკვეველი, მაგრამ ამასთან ერთად შეგნებულ ადამიანისთვის ადვილად გასაგები და მისახვედრი.

მარტო ეს ერთი პასუხი საკმაოა იმისათვის, რომ ჩემს მიერ ზემოთწამოყენებული აზრი დამტკიცებულად ჩაითვალოს. იმიტომ დროისა და ადგილის უქონლობის გამო, მე სხვა დამამტკიცებელ ფაქტებს აღარ მოვიყვან, რადგან რაც მოვიყვანე — ისიც ზედმეტია, არა თუ საკმარისი.

შეიძლება ზოგიერთმა თქვას, რომ თქვენი მტკიცება არ არის სავსებით დამაკმაყოფილებელიო, ამაზე მე მას ვუპასუხებ:

— ოი, უბედურო, საწყალო და გლახაკო სულო!... რა უყავ რწმენა მონიჭებული უხვად ზეგარდმოს მიერ?... რა უყავ გული და გრძნობები უპანკო, ვითარცა უსუსურ ბავშვისა?... საწყალო საწყალთა შორის, განა არ იცი, რომ შეუძლებელის ფაქტებით დამტკიცება შეუძლებელია... ნუ თუ არ იცი, რომ მხოლოდ ზეციურს და უმანკო რწმენას მიყავს ადამიანი სულიერ ნეტარებისადმი!... და თუ არ იცი, გათვდე ენა შენი ორმეტრიანა და გაავრცელე აზრი ჩემი კაცთა შორის და ქალაქსა ამასა ჩვენსა შინა!

## 2. ახალი საშუალება

ზაჰესის ჩასახვის დღიდან, მე მისი მნიშვნელობა ისე არ მრწამდა, როგორც ჩათახოს ქარხნის. შეგიძლიათ თქვათ, რომ ამაში ერთგვარი პროტესტიც იყო.

მაგრამ, ვინაიდან წლიდან-წლამდე ამგვარი პროტესტანტობა შეუძლებელი გახდა, გარდავწყვიტე ზაჰესის დათვალიერება.

კვირა დილას მე და ჩემმა მეგობრებმა შევიყვარეთ თავი სადგურზე, ვიყიდეთ ხუთ-ხუთ შაურად ბილეთები მცხეთამდე და გავემგზავრეთ.

როდესაც მცხეთაში ჩამოვხტით, უკან ზაჰესისაკენ ფეხით წამოსვლა ძლიერ დაგვეზარა, და მახლობელ ტყეს (თუ მისს მსგავსს) შევაფარეთ თავი. ზაჰესის დათვალიერება კი გადავწყვიტეთ სასახლესთან გამოკიდებულ ვიტრინებში ფოტოგრაფიულ სურათებზე. ადვილიცაა და არც ზედმეტ ხარჯებს იწვევს. საღამომდის წამოღებულ საგზალს შევექცეოდით და დროც კარგად გავატარეთ.

საღამოს ისევ მატარებელში ვისხედით, მაგრამ ეხლა ბილეთები შვიდ-შვიდ შაური დაგვიჯდა. არც გვწყენია და არც გაგვკვირვებია.

— ამბობენ, თქვა ერთმა ჩვენგანმა, от головы до хвоста десять сажень, а от хвоста до головы—двенацать.

მთელი გზა მდუმარებაში გავატარეთ და ვფიქრობდით ქვეყნის უკუღმართობაზე.

ალბად ამ ფიქრის ბრალი იყო, რომ თბილისში პერონიდან სადგურში შესვლის დროს, ბილეთები ჯიბეზე არ აღმოგვაჩნდა, და იძულებული გავხდით ნებაყოფილებით გადაგვეხადა კუთვნილი ჯარიმა.

ტრამვაის ლოდინში, ერთმა ყველაზე უფრო ღრმად ჩაფიქრებულმა ჩვენს შორის, მოგვიყარა თავი თავის გარშემო და ასე გვითხრა:

— ძვირფასო მეგობრებო!.. ჩვენ ვერ შევუხდით რკინის გზას სამმართველოს... როგორც მოგეხსენებათ, ტფილისი საქვეყნოებს განტვირთავს. ქალაქის აღმასკომი თავის მილიციით უძლურია. აქ რკინისგზა გამოდის მის დასახმარებლად და ისეთ ობიექტიურ, თუ სუბიექტიურ ობიექტიურ პირობებს ქმნის, რომ თბილისიდან გამგზავრება გაცილებით უფრო ადვილად ხდება, ვიდრე შემოსვლა... საბუთად, გაიხსენეთ ყველაფერი, რაც თავზე გარდაგვხდა, და დარწმუნდებით.

ამოცანის ასეთ მარტივად გარდაწყვეტამ ჩვენ აღფრთოვანებაში მოგვიყვანა, და იქვე მარადიული ფიცი მივეცით ერთმანეთს, რომ დღეიდან ფეხსაც არ გადავდგამთ ტფილისიდან, რადგან ვინ იცის, იქნებ უკან გამოგზავრების დროს ბილეთში იმდენი მოგვთხოვონ, რომ ტფილისი თვალითაც ვეღარ ვიხილოთ...

## 3. ისტორიული აბრები

ნაციონალურ პოლიტიკის შედეგების გამოსარკვევად გუშინ ქალაქში აბრებისა და აფიშების დათვალიერებას შევუდექი.

თუ რა შედეგი მივიღე ამ უეცარ მეცნიერულ ექსკურსიიდან, ამაზე განზრახვა მაქვს განსაკუთრებული კაპიტალური შრომა გამოვუშვა, მხოლოდ მანამდე კი არ შემიძლია გვიჩუმდე ერთს საკმაოდ ღარს შესანიშნავ საკითხზე.

საქმე იმაშია, რომ ქალაქში მრავლად შევნიშნე ქართული აბრები. რაღაც გაუგებარ სიტყვებით, რომლებიც თუ არ ვცდები რუსულ ენას უნდა ეკუთვნოდეს. მაგალითად: „გრუზადიუდა“, „გრუზლესპრომი“. და სხვ. ამგ.

# „სწორი მიდგომა“



ხიდულის დედაკაცები ურ-ქა... მაგის სიტყვა რა დასაჯერებელია?! ჩვენც რომ ასე გა-ქალკაცდეთ და ასე მოვიქცეთ, ჩვენი ქმრები სახლში არ შეგვიშვებენ.

ამ მოვლენამ მე ძლიერ დამაინტერესა ლინგვისტიურ მხრით. ღვთისმოშიშებამ და მოწიწებამ შემიპყრო. გავეშურე ისტორიულ ნაშთა დამცველ კომისიისაკენ და დაახლოვებით ასეთი სიტყვებით მივმართე კომისიის წევრებს:

— მოქალაქენო, დროა საბოლოოდ შევიგნოთ, რომ ისტორიული ხანა მარტო წარსულ საუკუნოებში კი არ იყო, არამედ ის არის ეხლაც. თქვენ გაფაციცებით დარბიხართ სოფელ-სოფელ — არიქა, დანგრეული ნანგრევები არავინ დაგვინგრიოსო, — იმ დროს, როდესაც ტფილისში მრავალი ისტორიული ნაშთები არა თუ შეუვლელი რჩება, არამედ არც ერთ დოკუმენტშიც არ არიან გატარებული. მიგვიქცევიათ, თუ არა თქვენ ყურადღება, რომ საქართველოს ზოგიერთ წარმოებების აბრებს, რომლებსაც მომავალში უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ექნებათ, განადგურება მოელისთ?!. მაგალითისათვის ავიღოთ აბრა „გრუზსელსპრომი“, რომელსაც ქალაქის ტრამვაი დღედალამე, ავდარში და პაპანაქება სიცხეში ქუჩებში თავგამოდებით დაარბენინებს და საბოლოო მოსპობას უქადის მას.

წარმოგიდგენიათ თუ არა თქვენ, რომ ასი ორასი წლის შემდეგ ამ აბრებს ფასი არ ექნებათ, მრავალი მეცნიერნი სიცოცხლეს შესწირავენ მათ შესწავლას, და მათზე მეცნიერულ შრომების წერას, სადაც მეცნიერულად და უტყუარად დაამტკიცებენ, რომ ქართულსა და რუსულ ენებს შორის განსხვავება თვით ენაში კი არაა, არამედ მხოლოდ ანბანში...

იცის თუ არა კომისიამ, რომ ასეთი უდიდესს ყურადღების ღირსია ისტორიული ნაშთები მრავლადაა გაფანტული თბილისის მიდამოებში, და თუ იცის, რა ზომებს ღებულობს ამ ცროვნულ განძის განადგურებიდან დასაცავად და შესაკრებად?

მე მგონია, ჩვენი მუზეუმი არც ისე მდიდარია, რომ მან ყური თქვას ასეთ ისტორიულ მნიშვნელობის ნაშთების შეძენაზე და დაცვაზე!

ხინკლატო.

# ხ ა რ ა - ხ უ რ ა

ერთხელ დავსწერე მე აბდა-უბდა,
რითაც მე მაშინ ავავსე გუდა,
მაგრამ ეხლა კი ისეთი ძლევენი
ტარტაროზისთვის მეტად გახუნდა.

შემომელია ყბის გასაქანი,
რადგან გამექცენ და მიქნეს განი;
ყველამ მომასწრო თავის სოროში,
ისინი კი ზურგი ჰქონდა საფხანი.

ამიტომ ვიწყე ძველების ხეკა,
რადგანაც ახლებს არ მაძლევს ხეკა;
ისე არაფერს ჩვენ არ გვითმობენ,
თუ არ დაუწყეს უწინ მათ ჩხრეკა.
(მათზე ძალიან გულმოსულია
მეკონტრაბანდე პავლე და ცკა)

მე კი დღეს დამრჩა სულ ხარა ხურა,
(რასაც არ შესჭამს თვით შავი ტურა)
ეს არის მხოლოდ ახალი დროის
ფუტურისტული ძველი კულტურა.

არ შევშინდები და ვიტყვი ასე —
(თუ კი შევძელი და დავამტკიცე)
რომ ყოველ ღამით „ლოთიგანებით“
ხურჯინი მიაქვს ყელამდე სავსე.
(არვინ იფიქროს: ეს დათა თუთას,
ან ჩვენი ხუტორე, ან ათანასე).

თუმცა ძველია ამბავი ესე,
რომ მოიწამლა ნაცამა თავი,
მაგრამ მე მიკვირს, რომ ცოცხალ ქალზე
მშობლებმა აცვიათ დღე და ღამ შავი.

ეს კი მართალი არ არის სრულად:
თითქოს თალაკო იყოს ორსულად;
პორია, ძამო, ეს საშინელი,
რადგანაც თვითონ თავს სთვლის ქალწულად.

—

ამით თავდება ეს ხარა-ხურა,
ერთ ჯერზე მაინც თუ დაგეპურა,
თან მიუმატე ეს მესტვირული.
(ეხლა კი მგონი, იქნება სრული)

## მესტვირული

მღვდლებით შევსება ქამანჩა
და დიაკვნებით სტვირით:
ქალაქი როცა გავწმინდე
სოფლისკენ ვქენი პირი.

მაგრამ რას ვხედავ, რა ვნახე,
რა დრო დამდგარა იქაო:
აზნაურ თავადებისთვის
მთლად გაუცლიათ სიქაო.

მუშა კომისრად დამდგარა,
თაობას ერჩის გლეხითო,
ძველ წესის დამკაშებისთვის
აუკიდიათ კეხიო.

ფუფუნებები გაეხმარან,
როგორც თხმელასა ჩხირიო;
მღვდლებს გაურევია შუცელი
და ხოცავს როგორც ჭირიო.

დიაკვნებს დავიწყებიათ:
„უფალო შეგვიწყალეო“.
მის ნაცვლად იზეპირებენ:
„ღმერთო გვიშველე მალეო“.

მღვდლებით შევსება ქამანჩა
და დიაკვნებით სტვირითა...
ვფიქრობ, რომ ეხლა, მეუფევ,
სავსე გექნება პირიო.

პიოპკო.



# კითხვა-პასუხი

მასწავლ. რა არის პორტფელი?

მოწაფე. პორტფელი არის ისეთი სასაგძე გოდორი, სადაც ჰყრიან ყოველგვარ გაფუჭებულ საქმეებს (ქაღალდებს).

მასწ. ვინ ატარებს პორტფელს და ვის ესაჭიროება იგი სამსახურს გარეშე?

მოწ. იმას, ვინც მინერალურ წყლების „პარკში“ დასეირნობს, რადგანაც ჟურ-ჟურობით საკუთრეტი სამმართველოს „ჩასაფურთხებელი ყუთები“ არ შემოუდის.

მასწ. მოკლეთ მიპასუხეთ—ვინ სარგებლობს პორტფელით სამსახურს გარეშე?

მოწ. ისინი, ვისაც „უკუდო ამპარტავნები“ ეწოდება.

მასწ. კარგი. ეხლა ამიხსენით რა არის სასადილო?

მოწ. სასადილო არას გასაკოტრებელი ბიურო.

მასწ. რამდენი გვარია სასადილო?

მოწ. ორგვარი: „წითელი“ და „თეთრი“.

მასწ. რა განსხვავებას ჰხედავთ ჩვენ მათ შორის?

მოწ. აშკარას. ეგრეთ-წოდებულ „წითელ სასადილოში“ მარტო რჩეულ ხალხს შეუძლია დაიროს და ისიც წითელი ღვინით, „თეთრში“ კი ყველას გასურჩევლად ერთავნებისა, წლოვანებისა და სქესისა.

მასწ. თქვენ თუ იცით—რა არის „დეფიციტი“?

მოწ. როგორ-არა. სუფთა წაგება, ზარალი.

მასწ. როგორი?

მოწ. ჩვეულებრივი რაც „ეპოს“ ქალაქელთვის ემართება.

მასწ. რა იწვევს „დეფიციტს“ და როგორ მოიძებნება?

მოწ. „დეფიციტს“ იწვევს გაძღომა. მოიძებნება ხუთი გრძნობის საშუალებით. 1) მხედველობით, 2) ყნოსვით, 3) შეხებით, 4) „გემოვნებით“ და 5) ჩეკაში თაის ამოყოფით.

3 მასწ. საკმარისია, გეყოფათ. თქვენ გადაყვანილი ხართ მე 7 ჯგუფში.

მასწ. ეხლა, თქვენ მიპასუხეთ, პეტრე; რას აკეთებს სატყეო განყოფილება?

მოწ. სატყეო განყოფილება ასაზრდოებს ერთგვარ ჯურის საზოგადოებას, რომელსაც ინტელიგენტურად „მექთახორეებს“ ვეძახით.

მასწ. თვით განყოფილება რას ჭამს?

მოწ. თავის გამგეებით ტყავის გასაძრობ მანქანას.

მასწ. კარგი. მიპასუხეთ—ნანეიშვილის..

მოწ. (სიტყვას აწყვეტინებს) მასწავლებელო, მეცემი მტკივა—ვერაფერსაც ვერ გიპასუხებ.

**ბოლოზი.**

# „ბარდიბლუჯია“

(ნამდვილი ამბავი მომხდარი ქვემო-მაჩხაანში)

წმიდა მამების ბუდე არის ჩვენი სოფელი;
წირვა-ლოცვის დროს მარად ისმის საგალობელი.

მათ მეცლის ღრუში იკარგება მთელი ბატკანი.
ოჯახს შესჭამენ, არ ეყოფათ ხორცის მადანი.
ჰყლაპვენ იქნებ.: ქათამი თუ კვერცხები ლაყი.
ამას შეებიან: „მაქრო წმინდა“, „გიგა ყლაყი“.



დათვრა სანდრო და უნაგირზე ლეკურს თამაშობს...
და მისი ცხენიც, ეს ჯახრიკა, მერანობს, რაშობს...

მაგრამ სხვა არის სანდრო მღვდელი; ვინ შეედრება?!
არც ჩაის ჭიქას ისე დალევს, არც კი შეთვრება.

მაგრამ, როგორც სჩანს, აღარ სწყალობს სანდროსაც ბედი,
რომ მის საქმეზე აყაყანდა მუნჯი და ყმედი.

—

დათვრა სანდრო და უნაგირზე ლეკურს თამაშობს...
(და მისი ცხენიც, ეს ჯახრიკა, მერანობს, რაშობს...
მაგრამ უეცრად ფეხს არ ადგამს არც წინ, არც უკან)
„ჰაჩუ, შენ სამგლეე!.. რას გიჩერდი? სად ხედავ დუქანს?!

მაგრამ ტყუილია: ვედრებაც და მათრახის ტარიც:
ცხენი „მერანი“ აღარ არის ვირის სადარიც...

—

უცბად წიხლები რამდენჯერმე ჰაერში ჰყარა
და რაც რამ ტვირთი ზურგზე ჰქონდა ძარს გადმოყარა.

სანდრომ სასწრაფოდ ყველაფერი გაითვალწინა;
წამსვე წამოდგა, ანაფორა მოიგდო წინა...

გაჭოედევნა გავარდნილ ცხენს ვით ნიავქარი
(და ქარის ფრთებზე ჰქანაობდა მისი ფაფარი).

ოფლი ჩამოსდის; გულმა ლამის დაითმოს გალია...
მუხლი მოეჭრა... ვეღარ ხედავს კარგად თვალია.

გასწი, მამაო, შენ ჰქნებას არ აქვს საზღვარი;
დაიჭი ცხენი და დაეცი რისხვისა ზარი.



აჰა, ეს არის კიდეც სტაცა ძუაში ხელი...
„აწ ხომ ჩემი ხარ"—სიხარულით ღრიალებს მღვდელი

აჰა, ეს არის კიდეც სტაცა ძუაში ხელი...
„აწ ხომ ჩემი ხარ"—სიხარულით ღრიალებს მღვდელი.
ხელი მაგრად აქვს, არ გაუშვებს სიკვდილის დღემდე...
„შესდექ! თუ გინდა, რომ შემდეგში აღარა გცემდე"!.

მაგრამ არ გადის არც სიზრაზე, არცა მუდარა,
და ცხენმა იგი მრავალ კლდეზე გადაატარა...

—

ერთ ეკლის ბუჩქზე ანაფორით ისე მოება,
რომ ცდა ცხენისა ყველა დარჩა ამაოება.
ამ ორში ერთი.—ბუჩქი ძირში ან მოიგლიჯოს,
ანდა მამაო წევისაგან შუა გაიგლიჯოს.

ძალობს „მერანი"... სანდროა ჰაერში და ჰაპან წყვეტაში.
ჰა, ბუჩქი მოსწყვიტა მიწასა, ავარდა ბუქი ზეცაში...

—

მაგრამ ამავ დროს სანდროსა ძუაცა შერჩა ხელშია;
ცხენი უძუოდ გარბოდა... სანდრო კი წახდა წელშია.

სოფელს მოედო ამბავი, ასე იძახდა ყოველი:
„ცხენმა ატარა მამაო მთელი მინდორი და ველი".
ბოლოს გლეხებსა ეპოვნა ცოცხალი—მკვდარი მღვდელია,
საწყალსა თურმე ძუისთვის ჯერაც არეშვა ხელია.



მაგრამ ამავე დროს სანდროსა ძუაცა შერჩა ხელში;
ცხენი უძუოდ გარბოდა... სანდრო კი წაახდა წელშია.

მას შემდეგ სანდრო დაღონდა, სახე მთლად დაუღრეჯია.
ხალხმა კი იგი მონათლა, უწოდა „ბარდიგლეჯია".

თილისმიანი

# საუბარი

— ამას რას ვხედავ, ანანია?! ანაფორა ისევ ჩაიცვი? აკი დაჰგმე და უარყავი სარწმუნოებაი?! აკი გაიკრიჭე?!

— შერე რაი?! როგორც დავგმე, ისე გამოვგმე... ანდა, შენ გგონია ახლა ძალიან მრწამს?.. არც უწინ მრწამდა და არც ახლა, მარა, ხომ იცი; ფული რას არ გაქნიებს კაცს?.

— ერთი იგი მითხარი: შენ ხომ ანაფორა ჩაიცვა-ფულს ვინ მოგცემს?

— ჰმ! შენ რა იცი—სულელები მამები ჯერ ალარ არიან, და ვინც კი მოესუქებიან—ყველას მიიღებენ.

— აკი ამბობდნენ, რომ განაკრეჭ მღვდელს აღარ გაიკარებენო?!

— არ გაიკარებდნენ, მარა—ახალს არავის არ უნდა მღვდლობა და ისევ ჩვენ შემოგვეხვეწებიან...

— კაი, მარა—სანამდე გინდათ ასე ატყუილოთ ხალხი?

— ვინ ხალხი, კაცო ანდა ვ ს ეძახი შენ ხალხს? რაღაც ორი-სამი ბებრუხანა დარჩენილან. ისინი რა დიდი ბარაქაა? ხვალ ან ზეგ დაიხრჩობიან და მერე გაჭოუვიდა წირვა ჩვენს ეკლესიასაც. ვინღა უნდა მოვატყუილოთ, როცა აღარავის აღარ უნდებიათ... ანდა რა საკვირველია ჩემი საქციელი?! მთელი ჩემი ცხოვრება მღვდლად გამიტარებია; მალე, შეც ავბარგდები აქედან. უკვე მოახლოვებულია ის დრო, როცა სამღვდლოება ხელიხელ ჩაკიდებული გაეშურებით „აღთქმულ ქვეყნისაკენ".*)

რა მაინცა და მაინც ახლა ამ სიბერის დროს გადამეყარა წყალში ამდენი ხნის ნაამაგარი. ანდა, იქნებ, ვინ იცის, მართალაც ქე არის ის ქვეყანა. თუკი არის ღმერთი, მაშინ მოზადლიერებული მეყოლება, და, შენს ანანიასაც ქე მოუწევს ერთი კუთხე სამოთხეში. ყოველ შემთხვევაში მე მაინც არაფერს ვკარგავ არც გაკრეჭით და არც ხელახლა ანაფორის ჩაცმით.

ხომ გაიგონე! როგორც გიჭირდეს ისე გილიე დესო.

— მაგისათვის აშენდა თქვენი ოჯახი, რომ მასეთები იყავით.

კარგი, კარგი· თუ კაცი ხარ... თუ გინდა პროტექციას გაგიკეთებთ და სამღვდელოთა კანდიდატების სიაში ჩავაწერინებ შენს თავს.

—დაიკარგეთ აქედან..

შოლტი:

---

*) ჩვენ ხელს გიწყობთ და გისმარებით, რათა მალე გაემგზავროთ თქვენს „აღთქმულ ქვეყანაში".

ტარტაროზი.

# სიცილ-ტირილი

## მხიარული ვოდევილი

### ტრაგედია ერთ მოქმედებათ

#### მოქმედება პირველი

სცენა წარმოადგენს საქათმეს. ქანდარაზე სხედან ქათმები. მათ შორის ერთი მამალი. ბნელა. კუთხეში გადმობრუნებულ საბუდარზე სხედან ნინო და ზინო. (შეყვარებულები) სცენის დანარჩენ მხატვრულ მხარეს ავსებს სხვადასხვა ზომის კიბე·საბუდრები.

#### გამოხვლა 1 ლი

**ნინო.**—არ რწმუნდები, რომ მიყვარხარ! შენ გულისათვის გამოვეპარე დედამამას და საქათმეში მოვედი.

**ზინო**—შე მამაცხონებულო, განა ეს საქათმეა; მე კი საუცხოვო კაბინეტი მგონია,

**მამალი.**—ყიყლიყო-ოო!

**ნინო.**—ახლა-კი დროა დავშორდეთ; უკვე თენდება.

**ზინო.**—დავშორდეთ,—სხოლოდ ხომ იცი, რომ ჩემში ცხახობის სულია. მე მსურს შენთან გავიარო ერთი სცენა კიდევ! მე რასაც გეტყვი შენ უნდა მიპასუხო იმაზე. აბა ვიწყებ (სცენა „გამლეტი“-დან) ოფელია... შეკრთი...

**ნინო**—რათა?!

**ზინო**—თავი რომ გეჭრას ქვათი,

**მამალი**—ყიყლიყო-ო-ო!..

**ნინო**—ახლა-კი მშვიდობით. (დგება).

**ზინო.**—ცოტა·ხანიც, გენაცვალე, (მოსმის ფეხის ხმა).

**ნინო.**—მე მეში... (ველარ ათავებს).

#### გამოხვლა მე-2

#### იგივე და ნინოს მამა

**ნინოს მამა.** (საცეცხლის ამარა შემოდის) ოჰ! თქვენ უმზგავსებო, შემირცხვენიეთ მოხუცებულს წვერი?!

**ზინო.** ბატონო, ეს არის თქვენი ქალიშვილი? ამის ყოლას ვირთხა რომ გყოლოდათ ის სჯობდა.

**ნინოს მამა.** შენ თავხედო. მე შენ გიჩვენებ სეირს... მე შენ გასწავლი ვის უნდა მიაყენო შეურაცხოფა (იძრობს მაჰახელას და ჰკლავს).

#### გამოსვლა მეოთხე

#### იგივენი და ნინოს დედა

**ნინოს დედა** (ხმაურობაზე შემოირბენს) ვაიმე, დალუპულო ოჯახო, რა მდიდარი სიძე მომიკლეს!

ხუფლიორი (ყვირის) ფარდა ჩამოუშვით... (ფარდა მაინც არ ეშვება) ფარდა ჩამოუშვით თქვენ ოჯახქორებო. (მაგრამ ფარდა ისე მაგრად დაუმაგრებიათ თოკით, რომ ჩამოშვება შეუძლებელია... ქათმებმა ვეღარ მოითმინეს და გადმოფრინდენ სცენაზე. (კიდევ კარგი მოთმენა ჰქონია). დარბაზი ტცენის).

კიმი.

## ოზურგეთის



პირველ ხანებში, როგორც კი გამოჩნდებოდა მატარებელი, დაფრთხილი ცხ·ვედები გარბოდენ და კლდე ღრეს ასკდებოდენ. არა მათზე უფრო გულადები იყვნენ ·დგალობრივი ცხოველებიც...

## „დისპუტი“

ქართულ ოპერის დარბაზში ვნახე მწერალთა კრებული.
ვისმინე ჟიბრი, კამათი, დისპუტი გახურებული.
ყოველ კუთხიდან მოაწყდენ მწერალნი შირონცხებულნი,
„ძველის და ახლის“ პოეტნი, საომრად გამზადებულნი.
დისპუტსა იწყებს ვარდინი, ჭაბუკი ენა-წყლიანი;
ხელში უჭირავს ლექსების კრებული შვიდ-ფურცლიანი.
შეინძრა მთელი დარბაზი, გუგუნებს... ზარი წკრიალებს!...
სვიის სიდინჯე ამშვენებს, სხვებსავით ის არ ღრიალებს...
აგერ პაოლო ჭიხვინებს, (ტემბრი აქვს იმას კვიცისა)
შიშა გაჰკივის:—„მაშ... მაშა,... სვითმა ასე იცისა“.
უცბად გამოჩნდა სუტირინ, მანგლისის დიდი მგოსანი;
ხელში უჭირა კარლ მარქსის ძვირფასი კრიალოსანი.
დიდხანს გაგრძელდა კამათი ამ სამთა შორის ლამით
და თავმჯდომარე აცხადებს:—სჯობს რომ შევსწყვიტოთ ამ ——
გაგრძელდა კიდევ დისპუტი, ილებს საშინელ სახესა;
კარდინზე მიდის შეტევა, ბრძოლის ნალარას დაჰკრესა...
მთელი დარბაზი ზანზარებს (ზევით ქანდარაც ღრიალებს)
„ლეკური“—ისმის ძახილი... „სინუმე“— ზარი წკრიალებს.

ვინ—თანი.



## შორაპანი

მიმდინარე წლის დასაწყისში „ვილაც უცნობმა პირებმა“ საწამლავი შეაპარეს შორაპნის მაზრის მასწავლებლების ერთი თვის ჯამაგირს.

ავადმყოფმა დღემდე გაუძლო საწამლავის ძალას თავის ძლიერი აგებულების წყალობით (19,000 ჩერვონეცის ძალა ჰქონდა). დღეს კი სულის უკანასკნელ ბრძოლაშია.

გამოირკვა, რომ ბოროტმოქმედები ადგილობრივები არიან. ავადმყოფის მორჩენა ვერც პროფკავშირმა და ვერც სხვებმა ვერ შესძლეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიღებული აქვთ საჭიროები ზომები: ძილი, ფეალებს ახევვა და სხვა.

# რკინის-გზა



მაგრამ, ეხლა, ყველა ისე შეეჩვია, რომ—არა თუ ეშინიათ მატარებლის, პირიქით: მატარებელს ეშინია; ამიტომაც ხშირად უხდება უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლათ გაჩერება და თავაზიანი თხოვნა, რათა ლიანდაგი დაუცალონ მას...

---

მოარჩენას ხელს უშლის ის, რომ „უცნობი პირები" კვლავ საწამლავს უშვებენ თანდათანობით. საბრალო ავადმყოფი დღენიბა სინთელიეით. ასეთ მდგომარეობაში მისი მობრუნება საეჭვოა (ან კი რა მოარჩენს ამდენ ავსულთა ხელში?!).

ამას წინად გონებული ავადმყოფი დიწინოდა გამომეკითხა დაწვრილებით ამბები ავადმყოფობისა, მაგრამ მან აღარ დამაცალა და მითხრა: „მშვიდობით ჩემო კეთილო! მე ამათ ხელში სასიცოცხლო აღარა მაქვს რა.

საყვედური ჩემს ჭირისუფლებს უყურადღებოდ მიტოვებისათვის. ნუ დამმარხავთ ჩუმად და ყრუდ".

ფიქრმა გამიტაცა: „ნუთუ ის უნდა მოკვდეს!? რათა? ჩვენს ამას გავ გებთ? ვინ შეგვიტყობინებს? არავინ!

ბოლოს გამოვერკვიე, სადგურში მივსულიყავი.

ამხ. ტარტაროზო, დამსახურებული კომისია აუცილებლად საჭიროა. საცოდავმა ავადმყოფმა მითხრა მხედველობაში, რომ თქვენ ბოლოს იკვლევთ ბიუროკრატიზმს და ადვილად პოულობთ მის ჩამდენთ, კომისიის თავმჯდომარედ თქვენ დაგასახელეთ. იმედია უარს არ იტყვით.

წევრებათ დაასახელებდა ფინ შრომ-განსახ.-კომების წარმომადგენლებს კომისიის ეს შემადგენლობა სასწრაფოდ უნდა შეუდგეს ბიუროკრატ მოქმედების გამორკვევას, სანამ ავადმყოფი სრულიად გამოეცლებოდეს ხელიდან. (მათ ამორჩენას მე და ფინსახკომის წარმომადგენელი ადვილათ შევძლებთ. თუ ბრალდებაში არ მოყვენ, დაკითხულ უნდა იქნან შორაპნის მაზრის ინსპექტორისა და უსინიდიერესი განათლების განყოფილების გამგე და განათლების პროფკავშირის პ | მ. ადიგანი). ამორჩენისთანავე ცოცხლად უნდა დავასამართლოთ ბიუროკრატმოქმედნი. წესის აგება უნდა მოხდეს შრომ-სახკომის დარბაზში, ფინსახკომის წარმომადგენლის მღვდლობით, შრომ-სახკომის წარმომადგენლის დიაკვნობით, განსახკომის წარმომადგენლის დარაჯობით და თქვენი და ჩემი მეთვალყურეობით.

პანაშვიდის გადახდა დაევალოს შორაპნის მაზრის ყველა მასწავლებლებს 40 დღის შემდეგ, რადგანაც მათი ჯამაგირი, როგორსაც გაქცევა მოელის, აცდება ხიფათს.

ცეცე.

# მესტვირული

ტარტაროზმა გასცა
ეს ბრძანება მკაცრი
ვინც წინ ეპილდება
სულის თქმას არ აცლის

და უბრძანებ ყველას:
კოლეგიებს, აესოლებს
სწამს ბრძანება ვისაც
და ვინც მას ასრულებს—

მოედგან სოფლებსა,
შეისწავლონ იგი,
რომ მაცნობონ დროზე
სად არ არს წესრიგი.

ანდა ვის რა სტკივა,
ან ვის რა აწუხებს,
ჩვენს გზებ იზას ვინ სცემს
კლანჭებს და მარწუხებს.

ნახეთ თემის საბჭო,
ნახეთ აღმასკომი,
დაითვალიერეთ ჩვენსკენ
კაცი უქმად მჯდომი.

გლეხკომსაც ეწვიეთ,
გაითვალისწინეთ—
თუ აქვს დღეს ადგილი
რასაც ჰქონდა წინეთ.

კოოპერატივება
ნუ არიან უქმად;
დაუნიშნეთ ნოქრათ
ვის არ ეყოს ლუკმად..

რა მივიღე ესე
ბრძანება სასტიკი,
კვლავ შევითამაშე
ჩემი კუდის რაკა.

და მოვუსვი სახლში
ვიცი თოხარიკი.
მეგულება მე იქ
ძველი სტვირის ტიკი.

ვნახე ჩემი გუდა
კუთხეში აგდია
და ზედ ჭუჭყი-მტვერი
ფუთობით აყრია.

შევბერტყე კედელზე,
(მინდა რომ გავბერტყო)
დავილალე—და მას
სიწმინდე არ ეტყო.

და ისევ გავრეცხე,
გავაშრე... და პირზე
მოვიდევი გუდა,
რომ ვამღერო სტვირზე.

გაუდექი გზაში,
დავიწყე პიტინი.
ჩემს ხმაზე ქვეშკარშა
დაიწყეს ქიტინი.

ვხედავ—ყველა მიმზერს,
ყველა მითვალთვალებს:
მე საკბილოს ვეძებ,
ჩუმად ვატან თვალებს.

ჩიბათში ჩავედი
და იქ გლეხკომს ვკითხე:
—ნუ დამალავ, ძმაო,
სთქვი თუ კი რამ მიგხვდა:—

როგორ არის საქმე—
ან სახალხო სახლის,
ან და თქვენი ღარიბ
ცარიელი დახლის?!

ხომ ხედავთ: „ჩვენ ვიხდით
და თქვენ არ იზრდებით".
ვინ გიშლით ხელს, ანუ
რა და რა მიზეზით?..

„არ ვიცი"... „არ ვიცი"
მათი დევიზია,
და გითხრა, ტარტაროზო,
შენ ჰქნა რევიზია.

იქნებ ამით რამე
გამოკეთდეს საქმე,
თორემ მარტო ერთი
რის გავხდები აქ მე.

„შტო".

## საჭირო ყურის ექიმი

ფოთი. გაჩნდა ყურის ავადმყოფობა, რომელიც ყველაზე ადრე შეეყარათ კოოპერატივის ნოქრებს. ეს სენი მეტად აზიანებს ყურებს: ერთი შეკითხვის მაგივრად საჭიროა ხუთმეტი შეკითხვა და შეიძლება შემდეგ გაგცეს პასუხი ნოქარმა.

ტარტაროზის წინაშე ვშუამდგომლობთ, რათა საჩქაროდ გამოგზავნილ იქნან ექიმები, თორემ ნოქრების დაყრუება გამოიწვევს მუშტრების დაკარგვას.

იქიდანვე.

### ცოდნა ყველასათვის

გამოვიდა სიტყვარი, რომელიც დიდ დახმარებას უწევს ადგილობრივ მცხოვრებთ, რომლებიც მეტად სწავლის მოყვარულნი არიან.

წიგნთსაცავი—ნიშნავს ისეთ შენობას სადაც სხედან ორი ვაჟი და ერთი ქალი წიგნების დასაცავად, რომ არავინ მოიპაროს.

„ხარიშხა" ეწოდება ადამიანს (დედლობითი სქესისა), რომელიც არის ქართველი, ხოლო რუსულად იცის „ჩაპ-ქალისტება".

მარუჟა—მეგრული სიტყვაა და ნიშნავს: ცხენების ჯარითობას, რომლის ყურება ათიშაურის გადახდის შემდეგ შეიძლება.

ჯოგი—ნიშნავს პირუტყვათა ჯგუფს, რომელიც დღედამ ნავთსადგურშია სიმინდის საწყობთან.

აგარაკი—ეწოდება ისეთ ადგილს, სადაც ზაფხულობით ფულიანები მადიან, ხოლო ზამთრობით კი—უფულოიანები.

ვარდი—ნიშნავს ზოგჯერ ჩავარდნას და ზოგჯერ კი ყვავილს.

გრ. ჯრუელი.

## ოზურგეთი

### ლორკომის მუშაობა

ლორკომის თავმჯდომარის ამხ. მარგველაშვილის გადმოცემით, ივნისის თვის განმავლობაში მის რაზმას მიერ დაპატიმრებულია 1756 ლორი და 15 გოჭი; მოკლულია 99 ლორი, 16 ხბო; მოწამლულია 287 ძაღლი; ამათში ქალაქის ბარიკადებზე მხოლოდ 145 მკვდარი ძაღლი ნახეს, დანარჩენი კი დაკარგულია უგზო უკვლოდ.

### ქიფკომის მდგომარეობა

ტარტაროზის № 9 ში მოთავსებული იყო წერილი ეპოდან გატაცებულ ნივთების და ფულის შესახებ. საოლქო სასამართლომ გახედა დამნაშავეთა დაპატიმრება.

### გვიმბრკომის დაარსება

სოფ. ოზურგეთში დაარსებულია მასწავლებელთა და მოწაფეთა შემადგენლობით გვიმბრკომი. მათ მუშაობის შესახებ შემდეგ გაცნობებთ.

ყირიმტარტარი.

## სიღნაღის „მუშათა" კლუბი

ჩვენი ქალაქი აქამდე
ცხოვრობდა ბაიყუშათა.
გავხსენით კლუბი,—რა კლუბი...
და მერე ვისი!—მუშათა.
ავავსეთ ჟურნალ გაზეთით,
ასიათასი წიგნითა,
მ გრამ, რა მერე:—არც-ერთი
მუშა არ შედის შიგნითა.
გამგეობა ჰყავს ერთგული,
შეკრული ძმური ფიცითა.
დროზე საქმე და ცდილობა,
როგორც ქართულად ვიცითა.
გამგე კლუბისა ხშირ-ხშირად
გვიწყობს გასართობს: კინოსა.
და თუ არა და, მაშ რა ქნას—
არ დაეწაფოს ღვინოსა?!
რას გინდა თვალი არ შეხვდეს,
გასართობს—მტერსა დარდისას,
კამათლის „დუშაშ" მოხდენილს,
თუ ბრახუნს ბილიარდისას,
საცა (მუშა-კი ვან შევი)
თამაშობს ჯიბეც, თვალიცა,
საცა ნაკრავსა ვაჟისას
სჯობნის „დუპლეტი" ქალისა..
იქვე ოთახი—ყოველ ღამ
გაბმული „პრეფერანსითა",
მაშ რით გაერთონ მუშები
შრომით მილეულ ქანცითა?.
სწორედ ვსთქვა: არა უშავს რა
რაც სამკითხველოს ეხება,
იქვე „დვუხსპალნი" მდიდარი
დაბალი, მაგარ ფეხება
და გამგე თავის ადგილზე
ალმოსავლეთურ „გაზით"-ა,
როგორც ეთერი კოშკიდან
იმღერის ხმათა ნაზითა;
მის ხმაზე ჩვენს გამგეობას
მკვდარივით დაეძინება..
ივსება კლუბი ნაგავით,
ისმის ლანძღვა და გინება...
ისმის უზომო ყვირილი
იქვე,—ზაქარას ვირისა,
(ვაი, შენ ჩვენო ქალაქო,)
—იგიც ჩვენს კლუბზე სტირისა.

ჯილაგიანი.

## ქვემო-მაჩხაანი

მოხდა ვირების დიდი აჯანყება. დემონსტრაცია, რომელშიაც შედიოდა რამოდენიმე ასეული ულაყი, შემოიარა მთელი მხარე და თემსაბჭოებს წარუდგინა მოთხოვნილებები, რომლებშიაც აღსანიშნავია შემდეგი ადგილი.

„ჩვენ, ვირები მთელი ქიზიყისა, პროტესტს ვაცხადებთ იმ ძალდატანებაზე, რომელსაც განვიცდით დღეს. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჩვენი მუშაობა განსაზღვრული იქნას ორთავე მხარეების შეთანხმებით, ამას გარდა—იმ სოფლებში, სადაც წყალი არ არის, გაყვანილი იქნას წყალსადენი მილები, წინააღმდეგ შემთხვევაში უარს ვაცხადებთ სხვა სოფლიდან წყლის მოტანაზე".

სასწრაფოდ შესდგა აღმასკომების სხდომა. აჯანყებულებს დაჰპირდნენ სრული დაკმაყოფილება. დემონსტრატები მშვიდობიანად წავიდნენ თავთავიანთ სახლებში. გამარჯვებული ვირები ელიან ქიზიყის უწყლო ადგილებში წყალსადენის გაყვანას, რითაც დიდათ შეუმსუბუქდებათ ტანჯვა.

თილ-ყაჩი.

## სოფ. საზანო

### (ზორაპნის მაზრა)

ზედა-საზანოს სათემო აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ალექსანდრე ჩუბინიძეს წარუდგა საიქიოდან მოსული სამი კაცისაგან შემდგარი დელეგაცია.

დელეგაციაში შედიოდნენ გარდაცვალებულნი: დიაკვანი დათიკა, სოფლის ექიმი და მასთან გამოჩენილი მარჩიელი ტუვია და ქრთიც უცნო, რომლის ვინაობა ვერ-ჯერობით გამოურკვეველია.

დელეგაციამ აღმასკომის თავმჯდომარეს ნათლად დაუხატა თვალწარმტაცი სიმშვენიერე სამოთხისა; ამასთან დასძინეს, რომ იქ, სამოთხეში, სრული ერთობა და თანასწორობა სუფევს. ცხოვრება შეიძლება უშრომოდ; და ყველასათვის ადგილი და ითლი თანამდეობა თემის თავმჯდომარეობა. თემის თავმჯდომარეს, პირადი, არაფრის გაკეთება არ დასჭირდება; ყოველივე, რაც კი გასაკეთებელია, თვითონ თავის და თავად კეთდება..

სტუმრებს ჯერ კიდევ თავის მოხსენება არ გაეთავებია, რომ ამხ. ალექსანდრეს მეტი სიხარულით კრილოვის ყვავივით თავბრუ დაესხა და უგრძნობლად მიიცვალა. მართალია მან საიქიოს წასვლით თბილი ადგილი მონახა, თავისი საქმე სამუდამოთ გაკეთა, მაგრამ თემისათვის ასეთი ენერგიული მუშაკის დაკარგვა ფრიად სამწუხაროა—და ისიც ისეთ დროს, როდესაც ჯერ სათემო საბჭოს ერთი დადგენილებაც არ გაუტარებია ცხოვრებაში და მათი გატარება-შესრულებას წლის ბოლოს ერთი კვირის განმავლობაში დაკვრითი წესით ფიქრობდა განსვენებული. შემდეგ დელეგაცია დაბლა საზანოს თემაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ფირცხალაისთან გაემგზავრა. ვაი, თუ ისიც მოხიბლოს დელეგაციის მოხსენებამ და გაემგზავროს საიქიოს?!! მაშინ კი საზანო მართლა დაობლდება....

ნიავი





# სამასხარო გოდორიდან

„კოლუას“ თქვენ გვწერთ: „ეს წერილი არ არის დიდი შინაარსის, მაგრამ თუ რაიმე აკლია, პ. რეელად ვსწერო.“.

რაიმე კი არა, ყველაფერი აკლია და ამიტომაც:

ვერ გიქებთ ენას, ვერც ბურულ სცენას.

ოხუნჯს. თქვენი „წერილები ძალიან იშვიათად იმიტომ გადის, რომ უვარგისია. აი „რაშია საქმე!“ „ამასაც ვერ გაუშვებ ამავე მიზეზით“.

რა საჭიროა ამ ზაფხულში სამკითხველოს ფანჯრებში აუცილებლად მინები იყოს?

როგლას. თუმცალა თქვენ გვწერთ რომ თქვენი საწევრო წიგნაკი № 437239 არის, მაგრამ არ კმარა მარტო ეს. შემოგვითვალეთ თქვენი ყველა მოწმობების და დოკუმენტების ნომრები, მანამდე კი წერილი „ტკბილად განისვენებს“.

უზედური ვასილი მეციპატეიშვილს. გეცით პატივი და თქვენი წერილი დასასჯ ვენებელ გოდორში გადავგზავნეთ.

სირანუშამ თუ ერთი სილის გაწნით წამოაჩოქა ვართანუშა, პეპიმ რატომ უსაყვედურა სირანუშას:

— ქა... რად არ შემატყობინე; მაგის ჯავრი მეც მქონდა და ორივეს ერთად გვეცემა.

გამოაგზავნეთ ეს ქალები ძმ. ტანტების ცირკში; იშკილებით მოჭიდავეებად გამოდგებიან.

შენ კაი კაცო, თუ სოფელ ახმეტის გლეხკომის თავმჯდომარე ჩათვლილია თავისთვის დღიურების მომატებას თხოულობს და ერთ კვარტ არაყს, იმისათვის რომ ხანდახან სოფლის ბოლოში ჩასვლა უხდება, თქვენც დააკმაყოფილეთ მისი ასეთი მოთხოვნილება. რა ფეხებია სამი მანეთის მომატება. თუ ეს კაცი დაჰკარგეთ, სოფლის საქმე უცოდისად წავა და რატომ უნდა ჰქნათ ეს?!.

„ჩანჩურ ივანიჩს“ (საჭამიასერი) მაქაური მილიციონერები თუ ძილით კვდებიან უსაქმობის გამო, მაუტანეთ მახათები და თავი შეიქციონ.

წმინდა ხავარცხელს. დაძარცხლის შემდეგ გამოირკვა, რომ თქვენს წერილში ბევრი უსუფთაობა იყო და ამიტომ დ ს. ჩქაროდ გადაუძახეთ გოდორში.

ქ. ფოთში რომ ბევრი უსაქმურებია (და მათ შორის უფრო დედაკაცები) ეს ჩვენ ვიცით. ისიც ვიცით, რომ ლაილას პროსპექტი (ЗМ) პორიკანა დედა-კაცების კლუბია.

„ბრაწნწს“. თუ მისი ტყუილი 5499 ფუთს იწონის, თქვენი ორჯერ მეტია.

ეს წერილი მეორეჯერ იგზავნება. ათასჯერაც რომ გამოაგზავნოთ, მაინც ეს ბედი მოელის. გზა უკვე ისწავლა გოდორისაკენ დამოუკიდებლად მიდის.

მაზვილს. ლექსად წერა არ გეხერხებათ. სინჯეთ პროზად. მასალები მოგვაწოდეთ.

N პილპილს. თქვენ გვასწავლით: „რომ აიშოროთ ზაფხულობით რწყილებისგან და ბაღლინჯოების იერიში, საჭიროა შეიძინოთ ერთი ტომარა გოგირდი. ეს გოგირდი უნდა ჩაყაროთ პარში აწყილს ან ბაღლინჯოს, შეუკრათ ხელფეხი გასანთლული თოკით, გადაასხათ ერთი ვედრო ადუღებული წყალი, შემდეგ შეუხსენით ხელ-ფეხი, ამოჰკარით პანღური და გააგდეთ გარეთ.

ამის შემდეგ თუ იგი კიდევ შეგაწუხებს თქვენ, გამიწყრეს მღვდელ ლუკა ფერაძის მადლით“.



რა ამდენი ხლაფორთი, იმათ ყველაზე უფრო ეშინიათ პილპილის: გაუხსენათ პირი და პილპილი ჩაუდეთ, ანდა პილპილმა ჩაიდოს ისინი პირში.

ივანე ბეჟეს. თუ „მოსე ჩხაიძეს ქანქარი შემოაკლდა, ეს კიდევ არაფერია, მაგრამ სჩანს რომ თქვენ საქმე შემოკლებიათ და ტარტაროზის თანამშრომლობა მოგსურვებიათ; ეს კი არც ისე ადვილი საქმეა.

ტარტაროზისტს. თქვენ გვწერთ, რომ: „ამ შარადის დაწერა გამოიწვია ვარდენ ყიფიანის შარადამ“ ო.

რადგან შარადების წერის მონოპოლია სავსებით ვარდენს ეკუთვნის, ამიტომ თქვენ არა გაქვთ უფლება მისეური შარადები სწეროთ.

„აშკარა“-ს ასე იწყებთ:

ავიღე ბუდა-ნაბადი,
მოვმართე ჩემი სტვირია,
ტარტაროზს უნდა ვაცნობო
ოკრიბის გასაჭირია.

აშკარა არის, რომ ეს ოთხი სტრიქონი მოპარულია, თორემ რატომ არიან შემდეგები ასეთი:

ქუთაისის მაზრაში
საწირის თემი არის
საწირის თემი კი—
—ახალ-სოფელიც შედის.

თქვენი „ხმა ოკრიბიდან“ შედის „ხმა უფსკერო გოდორიდან“-ში.

„ვასკოტს“. სენა წელიწა ალ დაიბეჭდება.

კრიტიანს. (ხორაგოული) მართლაც ქრისტიანი ყოფილხართ, რომ თქვენ ერთს ძაინც შეგეცოდათ საწყალი ძაღლი, რომელსაც „უსაქმური მედუქნეები კუდზე ქილას აბამენ, შემდეგ გამწარებული ძაღლი გარბის ქალაქის ერთი კუთხიდან მეორესკენ. ვინ დასთვლის რამდენი კუდი მოწყვეტილა ასე“.



ინვალიდს. ნახეთ დღეს რა პასუხს ვაძლევთ ტარტაროზისტს და თქვენც იმით დაკმაყოფილდით.

ოლდარჯანეს. კაცო, რაღას ხლაფორთობ ამდენს; შენ გინდა შარადით გამოიყვანო ილია ხიზარულიძე, რომელიც „არშიყი გამქვა“. რისი გეშინია? სთქვი პირდაპირ; რაღა თავს იმტვრევ შარადის აგებაზე.

თქვენმე. თქვენს შარადას გავეყარე, მაგრამ მართლაც—„ვაის გავეყარე და უას შევეყარე“ (თქვენი მეორე წერილის სათაურია) ესეც საჩქაროდ გადაუძახე გოდორში და პირველს დაეწევა, ნუ გეშინიათ:—მშვიდობიანათ იმგზავრებენ.

მოხეტიალეს. ძალიან ჰკუას იზამ, თუ კი წახვალ და შენს ფაცხაში დაჯდები.




ყველა შეგნებული მუშა-მოსამსახურე
და მშრომელი უნდა იყოს
გაზეთ
„მუშა“-ს
მკითხველი და ხელისმომწერი.
რადგან, იგი მათი ინტერესების დამცველი
და გამომხატველი გაზეთია.
ყველა ხელის მომწერლები მიიღებენ ყოველთვიურად
ჟურნალ
„ტარტაროზი“-ს
ორ ნომერს.
გაზ. მუშას“-ს მკითხველთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება.
მათ რიცხვში თქვენც უნდა შეხვიდეთ, თუ ჯერ კიდევ არ ყოფილხართ.
რედაქცია და კანტორა: რუსთაველის პროსპექტი № 24.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 26 ივლისი 1925 წ.

# ნიანგი

№ 14—(17) გაზ. „მუშა"-ს ორკვირეული უფასო დამატება. № 14—(17)



# „თვითმფრინავი კომინტერნი"

## ზღაპარი 1001 ჭორიდან

სცენარი: **კერზონისა** | დადგმა: **ჩემბერლენისა**

მთავარ როლში: სატარტაროზოს სიამაყე და „სამოთხის" ამფორიაქებელი, ყველგან და ყველასათვის ცნობილი, სახელგანთქმული მსახიობი ზინო

(ლიბრეტოს სცენარისათვის)

### ძ ღ ვ ნ ა

მოგვბეზრდა ჩვენ ეს ქვეყანა თვისითა სინამდვილითა:
ღამით დაწოლა ძილისთვის, ადრე ადრე ადგომა დილითა;
სიცოცხლის გაჩანჩალება ამ სოფლად ხრაკით ტყვილითა.
უბედურება ის არის—მუნ ასე რომ ვერ ვივლითა.

თვალებს სინათლე აღარ აქვს ერთსდაიმავის ჭვრეტითა.
კბილი მოგვკვეთა ტყემალმა ჭამითა მეტისმეტითა:
ხეირს არავინ არ შვება, თუ გინდ მას სცემო კეტითა.
თვით დამზგავსიან ნაგავსა ამდენ ნაგვისა ხვეტითა.

მივდივარ სულ სხვა ქვეყანას—მზიანი არის სად დარი.
არ დავიბნევი გზაშია, ვიცი თუ იგი სად არი.
არ არის იგი ქვეყანა ამ ქვეყანასთან სადარი.
მო, გამომყევით ვის გულშიც ჰღვივის ცეცხლისა ლადარი.

### პ რ ო ლ ო გ ი

ერთ სამეფოს თვალუწვდენელსა მეფედ ჰყავდა ნიკოლოზა.
მისი ცოლი დედოფალი ალექსანდრა იყო ბოზი;
ვინ არ ჰყავდა კუროებათ: მეთივზე თუ კალატოზი...
მართალია ეს ამბავი—ასე ბრძანებს ტარტაროზი.

„ბოროტ ძალებს" მტრობა ჰქონდათ ხელმწიფესი ამ საწყლისა,
რადგან იგი გამხდარიყო იარაღად ხელში სხვისა.
მთელ სამეფოს აბრუნებდა რასპუტინას ძალა ჭყლისა...
გასაკვირი აქ რა არის—ის არ იყო ბევრი წლისა,

როცა მოჰკლეს რასპუტინი და დამგლოვეენ მონასტერნი,
— მიაბრძანეს თვით ხელმწიფეც, მასთან ბევრი მისებრ შტერნი...
გამოცხადდა საბჭოები, უფროსობდენ მეფის მტერნი...
სხვა ქვეყნების დასამხობად დაარსეს კომინტერნი.

—:—

სადაც კომინტერნი არსებობს,—მოსკოვი ჰქვია ქალაქსა,
გაშენებულა საბჭოთა კავშირის შუასა ალაგსა...
წვერას საპარსად უგზავნას ღვდლებს კომსომოლეპს დალაქსა.
მან შეუტია ამ ქვეყნად: ღმერთსა, ქრისტეს და ალაჰსა...

კომინტერნს ზინო განაგებს (ეს არის მისი სახელი).
შორს, უცხოეთში ყველაა სიზმარში მისი მნახველი...
ჰქონიათ: თითქოს ზინოს აქვს ორ მხარზე ათას ას ხელი...
იმათსა გულსა აწვლექებს: შიში, დარდი და ნაღველი.

ბობოქრობს მთელი ევროპა უწინ რომ იყო ნაზია.
უწინ მორჩილი, დღეს არა,—მღელვარებს ცხელი აზია.
ძილს უფრთხობს უცხოელებსა მათდამი მათი ბრაზია.
ვერ ჭმუნვდის საქმეს: ტანკები, ტყვია, ავია, გაზია.

მოვიგონებდეთ+კერზონსა... (თვალზე მდის ცრემლი ცხარია—
არა სიმწრისა, არამედ რომ მეტად მე მიხარია.)
აშკარა არის: საწყალი კომინტერნისგან მკვდარია...
სიკვდილის ჟამსა გვიმღერა უკანასკნელი არია.

### დაუსრულებელი სერია

1 განგაში... აურზაური...
2. ვიღაც მოფრინავს ცაშია.
3 გადაიარა ხმელეთი...
4 გასცურა ყველგან ზღვაშია...
თოფ-ზარბაზნები უპირავს
ზინოსა იღლიაშია.
5 მიხვდა ჭკვიანი კერზონი
თუ საქმე არის რაშია...
6 მის დაცხანკებით მაკდონალდს
გამოესხმება ფრთებია.
გადაფრინდება ბუდიდან.
და 7 მასთან მასი ძმებია...
8 პორტფელს აილებს კერზონი...
„დოკუმენტები"-ს ბებია...
9 მაგრამ მოუსწრებს სიკვდილი
და—10 ტყდება ძირში რქებია.

2

1 სოფია. მეფე. სასახლე.
ცანკოვი. წმინდა ტაძარი.
2 იქვე მახლობლად სახრობი.
სახრობზე ბლომად ბაზარი;
3 ხოკლუდს უხდიან პანაშვიდს.
4 აფეთქდა. 5 არის ხანძარი
6 ჰყვირიან: ზინო იქნება—
და 7 ქალაქს გააქვს ზანზარი

3

მოსკოვთან ურთიერთობის
გლეჯენა—1 ჰფიქრობს ერრიო,
2 ზის პუანკარე და ბრაზობს:
შენ ხარ სამშობლოს მტერიო.
3 მაღლერან ჰყვირის:—ერრიო,
შენ არე რატომ მღერიო?!
მტერს წყალობ?!.. უნდა ცდილობდე:
დასცე ან მოჰგერიო.

1 მაკდონალდთან ზის ერრიო.
ორთავე დაღვრემილია.
უსიერ მტერს ერთმანეთს—
და ჰკარგეს ყოფა ტკბილია.
2 დღითი სტირიან პორტფელზე,
ღამით არა აქვთ ძილია
4 ჩემბერლენ ხვდება პუნლევეს.
(შავ გულთან თეთრი კბილია).

4

1 მიწა ძრწის და 2 ქალაქი
გან დგურდა უამრავი.
3 ბევრი არის კაცი მსხვერპლი.
4 გადარჩენა ბევრმა თავი.
5 მოძმე მოძმეს თითო პურს აწვდის
(6 იქ არ არის ორცა შავი)
7 არ უშვებენ (ალბად ზინომ
მოახდინა ეს ამბავი).



თავის „თვითმფრინავ კომინტერნი''-თა იქ სადაც უნდა გაჩნდება იგი,
ერთ ბირთვს გადისვრის და მთელ მიდამოს დაჰფარავს მებრძოლთ მრავალი რიგი.

1 დღე არის და მაინც ყურეს
ფითიები დაგეშილი.
(2 ბებერ-ძაღლის პუ ნკარეს
შობილი და გამოზრდილი)
იქიდან: 3 დავინახეთ
ზენით ცაში გაფრენილი

4 ჩვენსკენ მოდის. 5 სულ ვიყურეთ
7 არ ვაკარეთ თვალებს ძალა.

6.

1 ჩინეთი და 2 ინდოეთი...
3 აბდელ ქერიმ... 4 აჯანყება.
5 პენლევე და ჩემბერლენი...

6 იგზავნება ჯარით წყება..
(მათთვის არის უცხოური
ხალხი მეტი რიც გაწყვეტა)
7 თუ ჩვენ ზინით ვერ-რა ვავნეთ
ლეიისგან შაინც ხომ წაწყდება.

ა. მჭარი.

# დასასვენებელი



## ამბარცუმას ჩივილი

ეეეეეეხ!.... რა დღეში ვარ, რა უქინოთ ვიხრაკები ქარონიკზე! ვიწვი, ქრისტიანო, და ჩემი შემბრალებელი კი არავინ არის!

ეს რა დღეს მოვესწარი!... გამაგებინეთ, ხალხნო: სადა ვარ! საიქიოს ვარ, მძინავს, მღვიძავს, ცოცხალი ვარ, თუ ბალღახიშში ვწევარ და ხოჯივანქის სასაფლაოსკენ მიმარახრახებენ?!.. იქნება ტვინის ფალარათი მაქვს და მე ვერ მივხვედრივარ ჩემს ნესჩასტიას, და თქვენ მაინც გამაგებინეთ, ხალხნო!!...

კაცო, ნეტავი ამ კომუნისტებს ვაჭრების მეტი მტერი აღარა ჰყავთ, რომ მთელი თავისი ვაჟნი სნარიადებია: რუჟიო, კინჟალ, შაშკა, ლევროლვერ, ზარბაზან, პულემეტ, ტანკა, ბრანიროვანი პოეზდი და ყველაფერი, რომ ჩვენ ვაჭრებს მოგვაყენა და ასე უტერტეროთ და უზავეჩანიოთ უნდათ რომ ჩაგვფლან მიწაში რედისკასავით!!...

ქრისტიანო, განა რა დაგვიშავებია ამისთანა, რომ ასეთი ბეზპაშჩადნი ვაინა გამოგვიცხადეს! კაცო, თუ ამისთანა ბეზპალეზნი რამე ვიყავით, რატომ ნიკალაევსკი პრავიტელსტვა არას გვეუბნებოდა?! რატომ ის არ გვიჭერდა ასე ხელს!

მაგრამ სად ნიკალაევსკი პრავიტელსტვა, სად კომუნისტეჩესკი! დიდი რაზნიცაა,— ძალიან დიდი მე და ჩემმა ღმერთმა!

ნიკალაევსკი პრავიტელსტვას დროს ვაჭარი და ტერტერა პირველი მოქალაქე იყო, პერვოი გრაჟდანინი. სადაც შეხვიდოდი ყველა პაჩოტით გიხსენიებდა, ყველა უჩრეჟდენიაში ბეზ ოჩერედ გიღებდნენ და ეხლა პაჩოტი და ბეზოჩერედი კი არა, სორნი იაშჩიკი სულ გავსებულია ვაჭრებით და ტერტერებით!

დაგინახავს თუ არა პატარა ჩასუქებულს, ვაი შენი ბრალი! „ეს ლიპიანი ვინ შემოშვა აქაო, ჩვენი სისხლიაო რომ გასუქებულა მაშკა ლორივითაო"—და, ვინ იცის, რას არ გეტყვიან! მეც ენა ჩავარდნილი ვდგევარ ჩუტრუკ გეჟურქას ვირივით და ვყლაპავ ამ პრილიჩნი სიტყვებს! მერე, ვიგინდარა ვინმე რომ ვიყო კიდევ ჰო! პერვოი გილდიას კუპეცი და ასეთი [illegible]?!.. მაგრამ რას იზამ!... ამ ოხერმა ლიპმა სულ გაგვიფუჭა საქმე ვაჭრებს! რამდენსა ვუდალობ, მინდა როგორმე დავიფუკო, უკან გავაგდო ეს წინწამოგდებული ლიპა, მაგრამ ბინ ჩუნეს! დავიფუკო კი არა, თანდათან ისე იზრდება ეს სახეძაღლი და ისე დამეკიდა წინ, თითქოს რვა თვის ორსული ვიყო, თითქოს გრუზინსკი პოლკის დუხ ვოი მუზიკის ტოლუმბასი მეკიდოს წინ!..

ეჰ, აფსუს, რა დროებას მოვესწარი!

წინათ პატივი და მიღება ლიპსა ჰქონდა; ლიპი უნდა გქონოდა, რომ სალონში ყოფილიყავი და პატივცემულ ობშჩესტვაში პრილიჩნი ადგილი დაგეჭირა!

ეხლა კი ვისაც მუცელი პაზვანოჩნი სტოლბაზედ აქვს მიკრული,—დიდი კაციც ის არის, ლამაზიც, პრილიჩნიც და პატიოსანიც!

კაცო, ხალხნო, გამაგებინეთ რაშია საქმე?!. რა უყოთ რომ ლიპა მაქვს, რა უყოთ რომ ვაჭარი ვარ, ვის რას უშავებ, ვის რა წავართვი! ვიითა და ვუგლახავთ ერთა ორი გროშა მიშოვია, წვია და დაგვითა პატარა რაღაც ნოშგია და მინდა რომ პრილიჩნი ობშჩესტვაში წილი მედოს და არც შევრცხვე არც მტერთან და არც მოყვარესთან, მერე, განა ეს დანაშაულია?! რაზვე ეტა გრეშნა?!..

ქრისტიანო, ვაჭრობა თუ სირცხვილია, ვაჭრობა თუ ნეპრილიჩნი რამეა, მაშ ეს კომპერატივები ჭიანჭველასავით რომ მოსდებიან ამ ქალაქს, რის მაქნისი არიან? როგორ? ეს ვაჭრობა არ არის! თუ იმათ ხმას არა სცემენ და, ნაოპაროტ, სკიდკითაც აძლევენ საქონელს, ეს მე რა დავაშავე, კაცო?! ვერა ხომ არავისთვის მომიპარავს?! ეს რა ნესჩასნი მარსკულავზე ვარ დაბადებული, რომ ასე ნიშანში ამომიღეს!!!...

მაშინდელი არ იყოს—დევიტსოტ პერვოი გოდაში რაღაც ტრუდნალოგი რომ მოიგონეს და სამუშაოდ გამიყვანეს! აჰა, ვინ მე და ვინ მუშაობა, მაგრამ რომ მომცეს ხელში კირკა ლოპატკა, აღარ მამეშვნენ რაღა! მაინც ამ პარძაღლებმა პირდაპირ გლავნი ულიცაზე გამიყვანეს და ერთ დიდ ტრუბაზე დამაყენეს სამუშაოდ! ქვეყანა მიდის მოდის ულიცაზე; მე ვიხრაკები სირცხვილით, მაგრამ რა ვქნა! მოვი-

# ს ა ხ ლ ე ბ ი



კუნტე წელკევიანი ძალლივით და დავიწყე მიწის ჩიჩქნა ტრუბის გვერდით. „კრეპკო უდარიტო!“—იყვირა ტეხნიკმა. მეც მომივიდა ჯავრი და რაც ძალი და ღონე მქონდა, მოვიქნიე კირკა და როგორც შაბაშ ისე გადავამტვრიე ის ჩუგუნის ტრუბა! ერთი უჰო!.. დაიძახა და მანჟაშოვის ნავთის ვაშკასავით დამეტაკა რაღაცა ცხვირპირში! სულ სამ ნამუტში გავილუმპე თავიანფეხებიანათ და ზეზეურად ავმყრალდი! გალუსტიკი, სარო ჩკა, ფინჯაკი, ცილინდრა სულ ერთ ნიმუტში გადაავყვითლა და აშკარად მახრჩობს რაღაცა!

თურმე კანალიზაციის ტრუბა ყოფილა და მთელი ქალაქის პაწრი ზედ ფათრეთზე გადამესხა! დავიწყე ღრიალი უტოპლენიკივით; დამავლეს ხელი და გამამათრიეს დაკლული ღორივით! მოჰყვივდა მთელი ქვეყანა და დიდი და პატარა ყველა ჩემზე იცინის. გავსჭდი პაპინაზე, მაგრამ რას ეიზამდი! ბოლოს ავდექი ეს ჩურჩხელასავით ამოვლებული და მოვდივარ თვალებდახუჭული სირცხვილით თვალი ვერ გამიჰყვეტია! მოვდივარ და ქესტმობმული ძაღლივით მთელი ქალაქი ყიჟინასა მცემს! თან პირი მაქვს მოკუმული და ვერ გამილია! სული მიდის ისეთი, რომ სულ იბნიდება არე-მარე! მოვრბივარ ეს თვალდახუჭული კაცი და, ერთიც ვნახოთ, ერთ ბარიშნას არ დავეტაკე თურმე! გავახილე თვალები და რა დავინახე! ეს ფეთხაანის ანგელოზივით გამოწყობილი ბარიშნა ისე გამიხდაა, რომ სულ ერთიანად დამისვრია!

ყვირის: „ახ ტი მერზავეც, სვინიაო!“ ვეუბნები: დუშკა, სლუჩი მამივიდა და, რა ექნა, ჩემი ბრალი არ არის მეთქი! შამიქნია ზონტიკი და ზედ თავზე გადამატერია! მაფურთხა, მაფურთხა და მერე ერთი როგიანად მფერთხა თვალებში და წავიდა! ხალხო, ესაა ზაკონი, ესაა სამართალი!

ერთი სიტყვით, ეს ვაჟრები ცირკის მასხარები გაგვხადეს, რაღა, ამ კამუნისტებმა!

ვა, კაცო, შამოსვლის „პირველ დღეებშა რა საკუნკი დაგვიყარეს, რა ყარაჩოღულად შამოვიდნენ და!! სუყველაფერი ბეზპლატნი გახადეს: კონკა, პოეზდი, პური, მარილი, პაპიროზი, სელიოდკა... ერთი სიტყვით: არც შრომა, არც ჯაფა, დაჯექი და ჭამე თუ აპეტიტი გაქვს! ვიფიქრე: ნამდვილი საჩემო პარტია ესა ყოფილა მეთქი და მეც მოუშვი მუცელი. ვთქვი თუ: დაჯექ, ამბარცუმ, და ყლაპე და ყლაპე თუ შნო გაქვს მეთქი.

ვანა არა-ვიცოდე რომ ერთი დროება არავის შერჩენია და ეს ჩემი მუქთაყლაპიობა ბოლოს ჩამიშხამდებოდა?! მაგრამ თუ ასე მამენტალნათ აიღებდნენ ხელს პუჰმალიზე ეს კამუნისტები, ეს კი აღარ მეგონა!

ვა, რა სრაზუმ ჩაგვიშხამეს ეს მუქთა პურმარილი! შამოგვიბრუნეს კუხი ამ ვაჟრებს, მაგრამ რა ნაირად არ იტყვით! სულ ბოლი აგვადინეს ზუკზე! ეს კონკასა და პოეზდის ბილეთი ხომ ხელად ასწიეს პადთომში, მაგრამ ეს ნიჩაო... შენ ნალოგები თქვი, როგორ ჯორის ტლანკებიევით დაგვაყარეს ერთი-მეორეზე!!. ეს სანიტარნი ნალოგიო, ეს პადახოდნიო, ეს ედანოვრემენიო, ეს გოროცკოიო, ეს გალადაუშჩიო, ეს ბეჟენჩესკიო... ამ პატ·ტნოთ ისპეხტორმა ხომ სული წაიღო რაღა! მომადგება და გინდა თუ არა: „შენ ამდენი უნდა გადაიხადო, ამდენი გივაჭრიაო!?...

ვა, ეს მამაცხონებული ჩემი ბულახტერია, ჩემი ტავარიშჩია, თუ ჩემი ოჯახობა, რომ ასე ტოჰ-ტოჰ მიანგარიშებს ყველაფერს!!... ია უდივლიაიუს, ეი ბოღუ! კაცო ვინ დააყენა ის ჩემი დახლის უფროსად! ვა, დუქანი ჩემი, ფირმა ჩემი, ვიევსკა ჩემი და კანტროლი სხვისა! ვა, ვა, ვა, ვა! ეს არის, კაცო, სლაბოდნი ვაჭრობა, ეს არის ნეპო?!...

ვა, ხალხნო, ქრისტიანო, განა რა მაქვს ამდენი შაშოსავალი, რომ ეს ვეებართელა ჩემი გასავალი დავხურო!!... რითი და როგორ?! არა, ძმაო, არც მაშინდელი ბეზპლატნობა მინდოდა და არც ეხლანდელი ბეზბოლენობა! ბეზბოლენობაა, კაცო, მაშ რა ჯანაბაა! საითაც მიიხედავ—ყველაფერზე ნალოგია... მარტო ფულის შატანას ველარ ვასწრობ უფლას მადლმა! როგორც კი ვიტყვი, რომ ერთი ორი გროში მოვიგე მეთქი, მაშინვე ცაპ!.. იმისთანა ნალოგს დამადებენ, რომ პაზვანოჩნი სტოლბს მარილივით გადამიმტვრევენ!... ვფართხალობ დაკლული ქათამივით, მაგრამ რას ვიზამ! არ შავიტან და მამენტალნათ გამომიხურავენ მაღაზიას! მარტო დუქნის კარები გაცვდა ამდენი გაღებ-დაკეტით!

არ ვიცი, არ ვიცი, მე და ჩემმა ღმერთმა; რა ვქნა!?

კიდევ კარგი ნერვები მქონია, თორემ, მიყვარს! რატომ აქამდის საგიჟეთში არ ამოვყავ თავი! არა, სწორი ეს იქნება, თუ ახლა არშიყობისაც ნალოგიც შამაილეს, მაშინ ხომ სულ დავიღუპები რაღა! მერე მე პატარა ხელის მოფათურება მიყვარს გოგოებისათვის და იმის ნალოგს ხომ მთელი ჩემი სასტაიანიაც ვეღარ გაუძლებს.

განა რა ღირდა, კაცო, ის შაშანდელი ხუთი გირვანქა სელოდკა, რომ ასე შხამათ ამოგვადინეს?! არ მინდა, ძმაო, ხუთი გირვანქა კი არა, ხუთ ფუთს გეუკზავნი, ოღონდ ეს ნალოგები მოგვაშორონ თავიდან!

ვაი, ნეტავი ცეცხლი მეკიდა და ნავთი დამელია და იმ გლიხოი სელოდკას არ მივკარებოდი!

კაცო, ძმაო, ვალს გადახდა უნდა, მაგრამ რითი!!!... სელოდკაზე დაგიპატიჟებენი ვარ არა?!... ნუ... მე ორაგულზე დაგპატიჟებ ზურნით... გინდა სულ გათენებამდის ვაკვრევთო. სხვა რა ვქნა, ძმაო!... ოღონ ეს ნალოგები შამაშორე.

გოგია.



# სიცხიან დილას

დ ი ლ ა

უკვე თენდება... რუხა
მოსჩანს ფანჯრებში დილა...
გავდივარ აივანზე...
იქაც ვით სახლში თბილა.
მახლობლად მეზობელი
ლოგინზე წამომჯდარა...
მესმოდა, ტრიალობდა
მთელ ღამეს, როგორც ჯარა.
ვუცქერით ურთი ერთსა
თანაგრძნობით და სევდით;
წუხელის ორივენი
სიცხის ერთს უღელს ვწევდით...
ღრუბლის ნამცეცაც მცირე
არ მოსჩანს არსად ცაზე...
მივედ და მეზობელი
მე ვანუგეშე ასე:

წარმოიდგინე

— მისმინე სიტყვა, ძმაო,
ნუ დაეცემი სულით!..
მიკვირს რადა ხარ ასე
უძილო, ფერწასული...
რა ვუყოთ, თუ ამ საცხემ
დაგვადნო, როგორც ერბო;
დაბადებიდან ალბად
ასეთი ბედი გვერგო.
იხლა სიცხეს, რომ წყევლი,
ნატრულობ თოვლსა და წვიმას,
იანვარ-თებერვალში
გახსოვს ცახცახი ჭმას...
დამშვიდდი!. გული ნუ იტეხ,
არ გარგებს ბედთან შებლა...
წარმოიდგინე, ვითომ
ხარ ბახმაროში ეხლა.
ან და წალვერში თუნდაც,
დასასვენებელ სახლში,
ან და, ვთქვათ, სადმე მთებში
წვიმის საშინელ სხმაში,
და ბოლოს (სჯობს სათქმელი
ბარემ ბოლომდის ითქვას)
წარმოიდგინე წუთით
ვანაში ზიხარ თითქოს.
ამისი წარმოდგენა
არც ისე არის ძნელი—
მოიხმე პოეტური
შენი ოცნება ძველი!..

# ,,სიტყვის გატეხა''

„ქალაქის აღმასკომი უკვე შეუდგა ტფილისში კრემატორიუმის მოწყობას.
(ქრონიკიდან)



მწვარე ახალ ამბავზე ისმის მოთქმა ჩუმის:
— აღმასკომს სურს ააგოს კრემატორიუმი.
მარტო ფერფლად იქცევა ჩვენი გვამი უმაა.
აღარ შეინახება გარდაცვლილთა მუმია.
სუხიშვილის აღმასკომს-ეს რა დაუდგენია?!
ყველას დაწვა მოგველის, ჯოჯოხეთის გენია...
ჩაიშხამა სიცოცხლის ყველა ბოლო დღენია...
მოდი, მოდი, სიკვდილო შენ ხარ გადამრჩენაი.
გამოცხადდა სიკვდილი — აუსრულდა წადილი.
მაგრამ სიტყვა გასტეხეს — ჯერ არ უნდათ სიკვდილი
იმიზეზეს — „დღეს ჯერ არ გვიქამია საჭმელი,
თანაც მისი აგება არც ისე ადვილია"

# „ცეცხლზე ნავთი"

„ტფილისში ამ ბოლო ხანებში დიდი სიცხეები დაიწყო. სიცხემ აჩვენა 35 გრადუსი".

(ობსერვატორიის ცნობიდან).



„—ვაჰ! ვაჰ! კაცო, რას შვება ეს ხალხი!?. ცოტა თუ კიდევ მოიმატა სიცხე—მგონი მთლად გაიხადონ ტანზე... ვაჰ! ვაჰ! ეგ ოჯახქორები განა ერთმანეთს უფრო არ უკიდებენ ცეცხლს, რომ ასე გატიტვლებულან?!.

(გამვლელის სიტყვებიდან.)

### კრანი

მე გავუთვალე... ვუცქერ
მეზობელს მეზობლურად,
და მიკვირს ის მე ასე
მოჩერებია თუ რად...

უცბად ის წამოვარდა,
გაიძრო რაც რამ ეცვა,
გაიქცა და გიჟივით
ეზოში წყლის კრანს ეცა.

ვუცქერი, კრუანტელი
ტანს მივლის რაღაც ცუდათ:
ამ ადამიანს კრანთან
ახ, რა სურს და რა უნდა?!..

გავიგე სხვანაირად,
სჩანს, ჩემი რჩევი მანა,
ისურვა უბედურმა
ალბად ნამდვილი ვანა...

და ატრიალებს კრანსა
ხან წაღმა, ხან უკუღმა
(დაანთეს გულში ცეცხლი
მწვავე შურმა და წუღლმა.

და ამ გულსაკლავ შურსა
სიბრაზეც ერთვის თანა)
— რას შვები საძაგელო,
მე ეს გირჩიე განა?!..

მოუშვა, არ სჩანს წვეთიც...
დგას მობანავე მწყრალი...
წინ ღამით დაეკეტა
თურმე „ხაზეინს" წყალი...

ეძებს ცხლა იგი,
ეხვეწე საღამომდის...
და მეზობელი ჩემი
უკან პირმწრალი მოდის...

მე ვდგევარ მოთმინებით
და თანაგრძნობით ველი;
ის კი მოდის და მიცქერს
როგორც მშიერი მგელი.

მოვიდა, უცბად დიდ კეტს
დაავლო ხელი მყისვე,
მაგრამ მე დავხვდი მშვიდათ,
და ტახტზე დავსვი ისევ.

მის გუშინდელი წყალი
დავალევინე წამსვე,
შემდეგ მოვხვიე ხელი
და ვაწუკეშე ასე:

### სახლის პატრონის ხანა

მაკვირვებს, უნდა გითხრა,
კაცო, მე შენი ქცევა...
კრანს რომ მივარდი ასე,
მითხარ, სად გაგექცევი?..

თუ ასე ქენი აწიც
ცუდი გექნება ბოლო...
მე შენ გირჩიე, ძმაო,
მხოლოდ ოცნებას... მხოლოდ!...

შენ კი სულ სხვანაირად
გაიგე გასაგონი:
„წარმოიდგინე"—მე შენ
ასე გითხარი მგონი.

ისურვე სინამდვილე
შენ ოცნებების ნაცვლად...
ამნაირ მეზობლიდან
მირჩევნის ცხლავ გაცლა...

კრანისკენ რომ გაიქეც,
მითხარ, ფიქრობდი რაზე?..
მარტოდენ წარმოიდგინით
თმები მიდგება ყალყზე...

მითხარი: თავი ასე
რად გაიმეტე?.. რისთვის?..
თუ შენ გგონია კრანი
ქვეყნად არსებობს წყლისთვის?!.

გამოერკვიე... დროა...
იცანი ეს ქვეყანა...
დაგვიდგა სახლში, ხედავ,
სახლის პატრონის ხანა.



ა, ეს კაცი სახლში ალაგებს
და ასრულებს ცოლის როლსა.

როდესაც უნდა წყალით
გამვაძღებს, დაგვაპურებს,
და როცა უნდა კიდევ
დაგვიყურყურებს, ყურებს...
ვერ იპოვიერთ მაინც
იმას ლანძღვას და შრახვებს...
და შენ მილცბა ვანის
კრანის ქვეშ განიზრახე?
როდესაც ამას სჩადი,
თავმოსწონებს შედეგს?..
ძირმოკლეანათ ყველას
ხომ ამოგვაგდებს შემდეგ!..
გონს მოდი... და მკრეთ
ეს არ გაბედო აწი,
თორემ გიშველის ვერას
შენი წარსული ღვაწლი.
სასჯელის უმაღლესის
ხარ, გეფიცები, ღირსი...
შენ აგარაკზე არ ხარ,
ეს რა ბრალია სხვისი!..
მაგრამ რაც მოხდა, მოხდა,
ეს სჯობს ჩვენს შორის დარჩეს,
რომ არვინ დაგინახა
მესწორე მადლი გამჩენს.
თორემ, ვინ იცის, საქმე
გათავდებოდა როგორ..
მაშინ კი დაწყევლილი
კრანის მოიწყობს და მომგონე!

კრანის ქვეშ.

და ასე კიდევ დიდხანს
მეზობელს ვებაასე:
იყო ნუგეში ჩემი
ტკბილი სიტყვებით სავსე.
ჯერ ჩუმად იყო, მერმე
კიდევაც გაიცინა,
და ბოლოს ჩემს ხელებზე
დაღლილმა ჩაიძინა...
ჯერ ადრე იყო კიდევ,
და ჩვენს შორის გარდა,
ფანჯრებში და ეზოში
გარშემო არვინ ჩანდა.
შორს მთებში მოციაგეთ
მზეს ამოეყო წვერი...
მეზობლის ხელში ჩემით
მწყდებოდა თითქმის წელი.

ამ მაფიქრია ბევრი
მივაგდე ტახტზე ნაზათ,
და ერთი მოსაზრება
თავს მომივიდა აზრათ...

სიცხეა... სული პირში
მარშელადივით დნება...
საითლაც იწევს გული
ბუდეში აღარ დგება.

მგონია, ფილტვებს გულში
ჰაერი აღარ ყოფნის,
სოდის და მიდის ქვევით
ტანზე წვეთები ოფლის...

იგრილებს თავს მურია
გამოგდებული ენით...
„ილდოშერისკენ" უცბათ
გავრბივარ რბენა-რბენით.

ორიოდ წუთის შემდეგ
კრანის ქვეშ ვნებივრობდი...
ასეთი გაგრილება
გაწყენს ცხელს დღის როდი?..



აგარაკზე ცოლი ჰკოცნის
სხვა ვაჟს ვნებით ანათრთოლსა

**უკანასკნელი ნუგეში.**

აივანზე ვარ ისევ.
ძინავს მეზობელს ტკბილად...
წევისხვ ზედ საბანი
რომ იყოს უფრო თბილად.

როგორც დაზრდილი ქშინავს,
და ალი ადის სახეს,
სიცოდაობა მისი
გულს მოუკლავდა მნახველს.

ორიოდ წვეთი წყალი
წავიკუერ წავისხურე
შემდეგ საბანი ზრუნვით
სახეზეც წავახურე..

თან ვუთხარ:—ძილი ნებდა,
მაგრად დახუჭე თვალი;
რად გინდა რომ იცოდე
ამ ქვეყნის სამართალი!...

ხანდახან ხერხი კაცსა
კიდეც აშენებს და აცმევს...
გაივლის ასი წელი
არც შენ იქნები, არც მე!..
და მე მეზობელს ვტოვებ.
გულს სიმშვიდეა სრული...
ახ, რა რიგ გრილა სხეულს
და აღარც დნება სული!

სინემატი.

# ანკეტა

## მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამოკვლევა

სამუშაოს ან სამსახურის ადგილი?

უსთაველის პროსპექტი (სამსახურის ადგილი) და ბნელი ქუჩები (სამუშაოს ადგილი).

სტაჟი?

ფერსეს და ლორიგანის ფირმის დიარსებიდან.

რა ხნიდან დაიწყეთ მუშაობა?

თორმეტი წლისა რომ ვიყავი.

რამდენ ხანს სწავლობდით თქვენს ძირითად პროფესიას?

ერთ ღამეს.

რომელ პროფკავშირის წევრი ხარ?

„თავისუფალი" პროფესიის.

ოჯახური მდგომარეობა: მარტოხელა, გათხოვილი, ქვრივი, ოჯახიანი, გაყრილი? (ხაზი გაუსვით).

არ ვიცი რომელს გაუსვა ამათში ხაზი. ყველა ესენი ვარ: „მარტოხელა ვარ," რადგან ჩემთვის ვცხოვრობ—არავინ არ მყავს; გათხოვილი ვარ, რადგან, ერთი კი არა, უამრავი „ქმარი" მყავს; ქვრივი ვარ, რადგან პირველი ქმარი მოვაკლევინე ჩემს საყვარლებს, მეორე—დავაჭლექე და მოკვდა. ოჯახიანი ვარ, რადგან საყვარლები ყოველთვის ბლომად არიან ჩემსას; გაყრილი ვარ—ამას მტკიცება აღარ სჭირია, კვირაში ას საყვარელს გავეყრები და ისევ ახლებს შევეყრები.



მაგრამ იქ კი სახლში ქმარი
მაგიერსა უხდის ცოლსა.

## „კონსტანტინეს ღიმილი"

მეხობრული შარჟი



„უებმძამე, ლამაზი ქალის შეხედვა მალაჭუებს... ქუჩაში გავლილ თეძო განიერ დედაკაცს არ შემიძლია არ მივხედო... როცა ლამაზ ქალს ველაპარაკები, სია სამურიგით რბილ მკლავებზე ხელს ვკიდებ და ღრმად ამოჭრილ დეკოლტეში ქურდულად ვიხედები".

(„დიონისოს ღიმილი" გვ. 10)

რა განათლება გაქვთ მიღებული?

გამოგდებული ვარ გიმნაზიის მეექვსე კლასიდან.

უკანასკნელად როდის იყავით შეყვარებული?

მუდამ შეყვარებული ვარ, რადგან არსად არ ვმსახურობ.

წესიერად გიყენებენ თქვენ სამუშაოზე თუ არა?

წესიერად არა... ძალიან ულმერთოდ მიყენებენ.

რამდენ საათს მუშაობთ?..

მთელი ღამე—საღამოდან დილამდე.

ზედმეტ საათებში ხომ არ მუშაობთ?

ძალიან ხშირად, რაც დამოკიდებულია შემთხვევებზე.

თუ ქალქემწოვარა ბავში გყავთ?..

არა მყავს... პირველად როცა „შემაცდი-ნეს", ბავში მოვიწყვიტე. მეორეჯერ მტკვარ-ში გადავაგდე.

ხომ არ გხდებათ გაყიდვა ხელოვანის სი-მცირის გამო?

კი.

რამდენს იღებთ დაახლოვებით თვეში?

200—300 მანეთს (დამოკიდებულია მუ-შაობაზე).

რამდენს იღებთ თაიახების და კუთხეების გაქირავებით ან კიდევ მდგმურების სრულ ხარჯზე აყვანით?

სრულ ხარჯზე აყვანით ჩემი ოთახის კუთხეების გაქირავებით თითოდან ვიღებ ყოველ თვიურად 100 მანეთს, ამგვარად ათივედან თვეში ვღებულობ 1,000 მა-ნეთს.

უმთავრესად სად იკვებებით?

სხვადასხვა რესტორან ბაღებში და ოჯა-ხებში.

კვირაში რამდენჯერ გიხდებათ სახლის კარედ შურის ჭამა?

შვიდჯერ?

კვირაში რამდენჯერ სჭამთ ხორცს?

ას ორმოცჯერ.

რძეს?

ამდენჯერვე.

რამდენ კვერცხს სჭამთ?

ორას ოთხმოცს.

მუშაობის დროს სჭამთ თუ არა სა-ჭმელს?

ხშირად მოკოლადს.

მაგარ სასმელებს ხომ არ სვამთ?

ძალიან ბევრს.

ვის სახლში გაქვთ ბინა?

ჩამოთვლა შეუძლებელია, დასახელება კი-დევ უფრო ძნელია, დამახსოვრება უბედ-ნულია.

რამდენი წყვილი ტანისამოსი გაქვთ?

„ვინ დასთვალოს ცაში ქვეშა, ანდა ზღვა-ში ვარსკლავები". საყვარლების რიცხვი გამრავლებული ორზე უდრის ჩემი ტანსა-ცმელების რიცხვს—158.

რამდენი წყვილი საცვალი გაქვთ?

პერანგი ბლომად და მისი ამხანაგი არც ერთი

თვეში რამდენჯერ შედიხარ აბანოში?

თითქმის ყოველ დღე.

ამათში ფასით რამდენჯერ?

არც ერთჯერ.

უფასოთ?

ყოველთვის.

რამდენჯერ იყავით ორსულად?

არ ვიცი, მგონი 3—4 ჯერ.

მიგიშლიათ თუ არა მუცელი და რამ-დენჯერ?

მომშლია იმდენჯერ, რამდენჯერ ორსუ-ლად ვყოფილვარ ერთის გამოკლებით.

თქვენი სურვილით ახდენდით მას, თუ ექიმების რჩევით?

საკუთარი სურვილით.

რატომ?

იმიტომ, რომ შვილის გაზრდის თავი არ მქონდა, რადგან საყვარლებშა ვიყავი გართული.

რამდენს ხარჯავთ თვეში ტუალეტის სა-ჭიროებაზე?

მთელი შემოსავლის ორ მესამედს.

რამდენჯერ ესწრებით თვეში თეატრს?

15—20-ჯერ.

ლექციებს, მოხსენებებს, კრებებს, წრე-ებს, კონფერენციებს და სხ?

არც ერთჯერ, რა ჩემი საქმეა ეს.

რამდენ ხარჯავთ თვეში კულტურულ-განმანათლებელ მოთხოვნილებებზე?

კაპიკსაც არა.

რა და რა გაზეთებს და ჟურნალებს იწერთ?

„მოდების" ს ჟურნალს.

რამდენ დროს ხარჯავთ ყოველ დღიურად: სახლის მეურნეობაზე?

არ მეტმას რა არის მეურნეობა.

გაზეთების, წიგნების, ჟურნალების კითხვაზე?

წუთსაც არა.

ტუალეტზე?

დღიურად რვა საათს.

საზოგადოებრივ—კულტურულ მოთხოვნილებებზე?

ხა ხა-ხა-ხა... რა მოლვაწე ქალი ვარ, რომ ასეთ რამეს მეკითხებით.

დასვენებაზე და ძილისთვის?

ჰა, ასეთი კითხვა მესმის... როცა არ ვსეირნობ, ანდა არ ვქეიფობ, ანდა დროს არ ვატარებ ჩემს მიჯნურებში, ყოველთვის მძინავს და მოსვენებული გახლავარ.

ოჯახის და ბავშვების მოვლაზე?

ხა ხა ხა ხა—რა სულელური კითხვებია... ესეც შენი ანკეტა.

კონწარი.



# „ვისი ბრალია?"

ამას წინად ოზურგეთს ესტუმრნენ კინო-მსახიობები; მახლობელ ადგილებში უნდა გადაეღოთ კინო სურათი: „ვისი ბრალია?"

ის იყო დასაძინებლად ვწვებოდი, რომ კარზე კაკუნი მომესმა. როცა კარი გამოვაღე—ჩემს წინ იდგა ორი უცნობი პიროვნება: ქალი და ვაჟი.

— უკაცრავად, ჩვენ კინო-მსახიობები გახლავართ... თქვენს ქალაქში ჩამოვედით სურათების გადასაღებად.. გთხოვთ: მოკლე ხნის ვადით ერთი ოთახი დაგვითმოთ ღამის გასათევად—თავაზიანად მომმართეს სტუმრებმა—.

რადგან ჩემი ცოლი სოფელში იყო წასული და მარტოობით მოწყენილი ვიყავი—მე სიამოვნებით დავეთანხმე და სტუმრები სახლში მივიპატიჟე.

გაცნობის შემდეგ სტუმარ ვაჟს შევები ლაპარაკში. სტუმარ ქალს ლოგინი გაეშალა და ჩვენი თვალის წინ, თითქოს აქ ბუზიც არ არისო, გაიძრო ტანსაცმელი და ლოგინში შეგორდა.

სიცხე იყო და საბანი ბლომად ზედმეტად სცნო. . თეთრი, ღია გულმკერდი და ტიტველი ფეხები მე მიტაცებდნენ; გაშტერებული და თვალებამღვრეული დავცქეროდი—და გონს მხოლოდ მაშინ მოვედი, როცა სტუმარი ვაჟი, თითქოს აქ არაფერიაო, ჩემ სტუმარ ქალს ლოგინში შეუწვა.

მე ჩემს ოთახში გავედი. ვფიქრობდი: ცოლქმარია და კარგ განწყობილებაში მყოფ ცოლ-ქმარს შორის ასეთი ამბავი ჩვეულებრივი, მორიგი, ყოველდღიური საქმეა მეთქი.

---

მეორე საღამოს ჩემი სტუმარი ქალი კვლავ მესტუმრა, მაგრამ ეხლა სულ სხვა კაცი ახლდა.

დავიწყე გრძელ-გრძელი ამბები უცხო სტუმრების გასართობად...,

როცა ვაჟმა დაინახა, რომ ქალი უკვე ლოგინში შეწვილიყო, მანაც გაიძრო ტანზე და, თითქოს აქ არაფერიაო, შეუგორდა ქალს.



ოცი წლის თავნაცერი და ცოლის ნაზზეთი პურპლეულობა ერთბაშად დაიმსხვრა.

მე ჩემ ოთახში გავედი. მესამე ღამეს ჩვეულებრივ მესტუმრა ჩემი სტუმარი ქალი. ეხლაც სხვა ვაჟი მოჰყვა.

ეს მესამე ვაჟი ძალიან მოლაპარაკე აღმოჩნდა, ლაპარაკით მართობდა, მაგრამ როცა დავინახე, რომ სტუმარი ქალი უკვე შეწოლილიყო ლოგინში, საჩქაროდ გაიძრო ტანსაცმელი და მოვინდომე მასთან ლოგინში დაწოლა. არ ვიცი—ქალი გამიწევდა თუ არა წინააღმდეგობას, მაგრამ ვაჟმა აღარ დამაცალა: მისმა მძლავრმა ხელებმა შემაჩერა და მთელი ჩემი გეგმები ჩაიშალა.

მაგრამ მეც შევუტიე, დავეჯახე მას, რასაც შედეგად მოჰყვა ჩემი ცოლის ნამზითევი დიდი კედლის სარკის აფეთქება, საწერი მაგიდის და მთელი ოჯახის ინვენტარის მილეწვ-მოლეწვა და განადგურება.

ეს ამბავი მთელ ოზურგეთმა გაიგო. ყბად ამიღეს და სასეირნოდ აღარ ვეყოფიდი. ამას ვინ ჩივა, რომ ცოლს არ გაეგო. მე ვიცოდი, რომ ცოლი არ დამითმობდა და როგორც მოსალოდნელი იყო, ერთ დილით იგი სოფლიდან გამოქცეულიყო ჩემთან ანგარიშის გასასწორებლად.

ეხლა მე და ჩემ ცოლს შორის გაიმართა მკაცრი ბრძოლა. სტრატეგიულ მოსაზრებით უკან დახევის დროს დავეჯახე ბუფეტის შკაფს, რომელიც ყირამალა გადმოტრიალდა და ოცი წლის თავნაყარი და ცოლის ნაზზეთი პურპლეულობა ერთბაშად დაიმსხვრა.

მაგრამ ყველა ამას ვინ ჩივა, რომ ცოლი არ გამყოლოდა. ეხლა აღარც ცოლისა ვარ, აღარც კინო მსახიობის ქალისა და არც ოჯახისა. შუაღამეზე ერთზე ვფიქრობ, ნაშუადღევას მეორეზე, ხან ერთ გვერდზე ვკოტრიალობ და ხან მეორეზე; მოსვენება აღარ მაქვს, ძილი არ მეკარება.

ვისი ბრალია?

ვისი ბრალია—და „ვისი ბრალია?" ს.

ტოქხინი



ნწუხარებაში მყოფნი, აწ და მარადის ცრემლშეუშრალნი, იმედდაკარგულ-გაცრუებულნი, დასალუპავად განწირულნი, დაქვრივებულნი და დაობლებულნი: ბალდვინი, ჩემბერლენი, ბინკერხედი, ხიგსი, სხვები და მთელი ინგლისის კონსერვატიული პარტია აუწყებს უწინარეს ყოვლის თავისას და შემდეგ კი სხვა ქვეყნების ბურჟუაზიას და კაპიტალისტებს, რომ

# გარდაიცვალა

მათი ყველაზე უფრო საიმედო საშუალება საერთაშორისო მდგომარეობის გასართულებლად და ახალი სისხლისღვრის დასაწყებად



# „კომინტერნის დოკუმენტები“

ხელის შეწყობა არ მიგვიკლია. აუარებელი ხარჯები გამოიწვია მისმა ხანგრძლივმა ავათმყოფობამ. უკანასკნელ დროს საწყალს ძალიან სისუსტე დაეტყო. ბევრი გვირჩევდენ მის გარედ არ გამოშვებას, მაგრამ მოსკოვის სიყვარულის გამო, იგი ხშირად გაისეირნებდა, თუმცალა გულქვა მოსკოვზე მისი კეთილი გული და მოპყრობა, ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენთან ერთად „მთელი კულტურული ქვეყნიერება“ დამგლოვიარებული იქნება ამ მსოფლიო მნიშვნელობის უბედურებით. გახსოვდეთ, რომ ჩვენი ასეთი დანაკლისი და უბედურება არის თქვენი დანაკლისიც და უბედურებაც.

განსვენებულს რომ რაიმე ხეირი ექნა და მიზანი გაემართლებია, თქვენც იგემებდით მის გემრიელ ნაყოფს.

პანაშვიდი პარასკევობით, ხოლო კვირის ყველა დღეები გაპარასკევებულია.

სამძიმრის გამოცხადება და ნუგეშის ცემა მიიღება მთელი დღედალამის განმავლობაში.

## ჩემი თავგადასავალი

ცოტა რამ მოვიმარაგე და გადავწყვიტე ცოლი შემერთო.

სატოლე უკვე არჩეული მყავდა. მართალი გითხრათ, მასავით ლამაზი და მოხდენილი ქალი ჯერ არსად შემხვედროდა.

შესანიშნავი გულ-მკერდი, ლამაზად მოყვანილი ტანი და, —ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ—თრიალეთის შუიდგან ჩამოსული ჯოგის ცხენივით გავა ჰქონდა.

მეტი რაღა მინდოდა!?...

შევირთავ... დავისვამ სახლში და სანამდის ფული შემოგვეშვება, ვიგორავებთ მეთქი.

ვთქვი და აგასრულე კიდეც.

ჩემს ქორწილში ისეთი თოფების გრიალი იყო, რომ არა მგონია არსენალის აფეთქებას ნამოვარდნოდა.

ქეიფმა მეორე დილამდის გასტანა... ასე რომ მე ძლივს ლებულდი ვიყავი ჩემი აწიხვირება დროებით შემეჩერებინა.

როგორც იქნა გათავდა ეს დაუსრულებელი ღრეობა— და სტუმრები სახლში წავიდენ... დავრჩით მარტო მე და ჩემი გნეინა სახლში, რომელიც ისეთს სურათს წარმოადგენდა, რომ კაცს ეგონებოდა: ჩისულებს ჩინეთში კი არა, ამ ოთახებში მოუხდენიათ საშინელი ომი.




შესანიშნავი გულ-მკერდი, ლამაზად მოყვანილი ტანი და,—ბოლოში კი ვიხდი, მაგრამ—თრიალეთის მთიდგან ჩამოსულ ჯოგის ცხენივით ზავა სქელი.



მომიახლოვდა—გამხდარი, როგორც მეშკოვის რძის დამტარებელი ცხენი, უკბილო, სახე დანაოჭებული...

ჩვენს ხვევნა-ალერსს დასასრული არ ექნებოდა, მაგრამ რად მინდა ტყუილად ნერვები აგიშალოთ. თქვენ თვითონ გასაჯეთ: რა დღეში უნდა ვყოფილიყავით ახლად ჯვარდაწერილი წყვილი.

— „მოიცა ჩემო სულიკო!... ძალიან დავიღალე.. ტანსაცმელს გავიხდი ბარემ...

მე, რასაკვირველია, დავეთანხმე... საწოლზე ჩამოვჯექ და უცქეროდი თუ როგორ იხდიდა იგი...

მოიხსნა საგულე და იქიდან ამოიღო ორი ბურთისებური რამ... მუცელთან რაღაც გახსნა და უკანიდან უშველებელი ბალიში დავარდა იატაკზე. (ბოლოს როდესაც ყველაფერი გავყიდეთ, ამ ბალიშს მე თავქვეშ ვიდებდი)...

გაალო პირი და ყველა კბილები ჩამოალაგა. ჩემი განცვიფრება უკიდურეს წერტილამდე ავიდა, როცა თმას ხელი დაავლო და დარჩა მხოლოდ მოტვლეპილი თავისქალა, რომელზედაც შორს-შორს, იქა-აქ ჯაგარი ამოსულიყო.

ჩამოიბანა პირი და მოსცილდა სახეს ფერადები.

მომიახლოვდა—გამხდარი, როგორც მეშკოვის რძის დამტარებელი ცხენი, უკბილო, სახე დანაოჭებული, წლოვანებით ჩემზე სამჯერ უფრო ხნიერი მაინც.

მე შეშინებულმა ხელები გავასავსავე, თვალები დავხუჭე და ვიხვეწე ისევ „აკინძულიყო", თორემ მე მეტი ყურება აღარ შემეძლო.!!! დიახ! ვითხოვდი, როგორც ზღაპარში ერთი მეფისწული სთხოვდა თავის ცოლს—ბაყაყის ტყავს ნუღარ ჩაიცვამო.

რაღა ბევრი გავაგრძელო! დრო მიდიოდა.. ჩვენი მდგომარეობა თანდათან მწვავდებოდა.

დღეს ჩვენს სახლში არც ერთი გასატეხი ნივთი აღარ არის, რადგან თითქმის ყველამ ჩემს თავ-პირზე განუტევეს სული.

ჩემი მოგროვილი ფული მის „რემონტებში" განიავდა... ნატვრა, რომ შვილი მყოლოდა, ისევ ნატვრად დარჩა.

ან რა ეშმაკი აყოლიებს შვილს ამ გადაყრუებულს ბებრუხანას.

ო! ბეკინა სამანიშვილო, სადა ხარ ეხლა! სწორედ საშენოა ეს დედაკაცი.

მაგრამ იქნება დღესაც არიან ბეკინა სამანიშვილისთანები?!

წაიყვანეთ, მომაშორეთ და მე ვიქნები თავდები თუ მან რამე შემატოს თქვენს ოჯახს, დალეული წყლისა და ნაჭამის მეტი.

თილიყამყომი.

## „5"

ზიარების გაუქმებით, ქვეყანა გაცოფებულია.

ერთი თანგულცელა ციცაი მოგდის სახლში და ეიკლო მთელი ოჯახი.

მის დაბადებაზე დედა მისი ძროხასავით ბღაოდა და ახლა ყველა ხასანბეგურას ვგრძნობთ.

ეჩემი: გინდა თუ არა კლასში მიმეცით. რ.ს იზამ, ბატონო, უნდა გეუშვა, თვარა ქვეყანა დაიძრახავს უსწავლელობისა. ციცაი რომაა იმიზა თვარა, ბიჭი ახლაც ქე მყავს ნასწავლი: ორი მგელნაზია გაათავა: ერთი ბათუმში და ერთი ოზურგეთში; მარა ოზურგეთში თურმე უფრო კაი გასათავებელი ყოფილა.

მევიქარლე თავი და გუუშვი როვაც იქნა; ქონება თუ არა, ნასწავლობა მაინც შერჩება მზითვათ მეთქი. ოთხი კლასი ქე ქონდა გათავებული და უფრო მეტი უნდოდა—პრაფისორობას აპირობდა; ქალები ცოტაა მეცნიერებში.

მარა კოპი გახტომაზე მეუტყდა იმ ამოსაგდებს. დავაყენე ლამაზად ნათლული

# „გამოფენა"



ვინაიდან გარე უბნებში არავინ ზრუნავს, რომ იქაც მოაწყონ გამოფენები, ამიტომ თვითონ შეუდგნენ ამ ნაკლის გამოსწორებას; ამჟამად ტფილისის მრავალ გარე უბნებში თითქმის ყოველდღე ხდება ასეთი გამოფენები.

ამ ზაფხულში დაგრილება კარგია, მაგრამ აქ წყლის მაგივრად სახლებიდან ღამის უსუფთაობას ასხმენ გამვლელებს.

ტარტაროზელი.

სას. ჭამა-სმაი, გართობა, დაბანა რა მისი საკითხავი იყო; წიგნის კითხვის მეტი აფერი ზარი ქონდა.

გავიხედე და ატეხილ დუქნასავით მოუტიებია ხაზირი ცხოვრება და უქირავებია ერთი აშმორებული ოთახი და ქე დამხდა წამოსკუპული კახპასავით ლოგინზე; იქით-აქეთ ოთხი ურა ცხენის ხელა ყმაწვილები მიმხობიან და რაცხას რუსულ ქართულად ჰახვინეზენ. დამინახა, მარა შერცხვა თუ რა გგონია! არ შეგჭამოს ჭირმა.

— მამილო, აგინი ჩემი ამხანაგები არიან, ერთად ვართ კლასში; ახლა შენმა მოსვლამ პაწაი კი დაგვაცდინა, მარა აფერია, შენ პაწაი მეიცადე გარეთ და ახლავე მოველო.—დედავ, ღმერთო, რას ქვია მეიცადე!? ნენაი ვერ მეტყოდა გადაბრუნებულ სიტყვას; ცოლს აბა ენა მუცელ ქვეშ ჰქონდა ჩაგდებული და ახლანდელმა გამოშტერალმა ყაზირალმა, რავა მიბრძყვა.

ვკითხე—ბაბავ, რეიზა გადმოდი ქალაქში მეთქი.

—მერე, მერე, გეტყვი, ახლა არ მცალია—და შეკინტრაშთა ბიჭებთან ხარხარით.

რა მექნა—გამევედი, მარა შიგანი მიდუღს კუჭით. რავაც იქნა ეშკელა—მუათავეს ფროკი და დუუბარეს მისულიყო მისავით აყრილ გოგოსთან.

მივსდექი და შენი მოწონებული, რაც კი შემეძლო, არ მივაკელი აფერი სიავე, დარტყმას აბა ვინ გუუბედავდა; თუ ხელი შემეკარი, კვერცხის ცალსავით გასკდება, თუარა ბაბას აქვს ცხონება, მე იმას ვაჩვენებდი თვალის სეირს. ისე მებუტურებოდა, ვითომ მისი ტოლი ვყოფილიყავი:

— მამა, შენ ძველი წესწყობილების ნაშთი ხარი, ახალ თაობის არაფერი გაგეგება. იმიზა გადმევედი იქიდან, რომ ჩემი საქმე მაქვს და იმათთან საერთო არაფერი მქონდა; მე ჩემი წრე მყავს, რომლითაც ისინი სრულიად არ არიან დაინტერესებული. პატიოსნად, მამა ჩემო, ჯოჯოხეთშიც შეიძლება ცხოვრება, არამც თუ ამ ქვეყანაზეო. მამა, შენ ამას ახლა ვერ მიხვდები, იმიზა რომ სტაჟი არ გაქვს და მოზარდთაობას ვერ იცნობო.

— თუ მაი ცხვირმოუხოცელ ყაზილარებიზე მაატიე პატიოსანი და ყოლიფერით გადადიდლევამებული ოჯახი, კაი დაგემართოს—რავაც გინდა ისე ქენი. ექესი კლასი ქე იცი და აწი გარჩანოს შენმა ამხანაგებმა; მე ძაღლის ლუკმის გამომგზავნელი არ ვიქნები ამის იქით მეთქა.

მოველ, მარა მომაქ ხეი და მიწა, კუჭით ვარ გატყლეცილი. ტასიეს კუპა მაქვს, იმას უნდა უქნა სეირი იმის დაბადებისათვის. მავედი სახში და ქალი სიპაზე კილამ გავტყლიცე, იმდენი უბაქსუნე რაც კი შემხვდა და რითაც კი შემეძლო.

ბოლოს მაინც შემეცოდა გოგო; ჩემი სისხლი და ხორცია და ორივეს ნაცოდვილარი მეთქი. მეორე კვირას გუუგზავნე ბიჭის ხელით ორი კვირის საყოფი. მომივიდა წერილი, ბოდიში და დაპირებები: გავმდიდრებ, ქალაქში გაცხოვრებ ადრეო; ადგილი ვიშოვე და აწი ნუღარ გამომიგზავნიო; ფულიც მომივიდა; ახლა გული ქე შემიბრუნდა ცოცაზე. დედამისმა დეიწყო სიხარულით პრანჭილი. მეინატრა, ვითომ აკვნის ბილანაი ყოფილიყოს.

გავიდა ექვსი თვე, და ქე მუადგა ჭიშკარზე ფაიტონი. დედავ, გავკეთდი კაცი! გადმევარდა მსხვილი ქალი!.. შევხედე... თეთრი... მარა რა გაასუქა ასე?! ალბათ სტაველამ თავში აღარ დეიტია და მუცელში ჩავარდა მეთქი. სიხარულით კოკოსავით შევხტი, მივეხვიე ტასიეს; ცოცამ ამუუშვა სლოკინი: „ორსულად ვარო".

იფეთქა თავში რაცხამ და გეიარა ქუსლებამდის.

ვეცი დასახრჩობათ; მამხარი ვინ დაგეღუპა მეთქი, მარა შენც არ მომიკვდე. რავაც აი ჯირეკი აფერს ამბობს, არც იგი ენას არ ილებს.

— რომ მომკლათ, იმის სახელს არ ვიტყვიო. იმჩემი საყვარელი არის და უცბათ შეეცდითო. ახლა მისს სახელზე უნდა გავზარდო აი ჩემი შვილიო.

მომეჭრა თავი ქვეყანაში; დამაფსეს კაკალი კაცი. გამაბიხა ცოცამ ოჯახი.

მოვშპი და გავიქეცი ქალაქში ამბის გასაგებათ. ჩემი დამღუპველი მინდა ვნახო, რომ ძირიანათ ამუუგდო მისი სახსენებელი. გავედი მოიდანზე და ამ ამბის მეტი არავის ალაფერი აქვთ სალაპარაკო. კაცები ოზურგეთში ქალებს აჭარბებს მეჭირვეობით. ყველას თვითა ჩინჩალაძის გაბრიგინება აკერიათ ენაზე. თურმე უჩიტელის ნასაყვარლევი არ ყოფილა აი ჩემი თეთრი?! თურმე უჩიტელ ვანოს ჩემი ცოცაი დაყავდა ბოინზე და იქინე წისქვილის გვერდში მოლაზე ჩრდილში ღამაზათ უწერდა პაატებს. ერთი დიდი პაატი სახლშაც ქე გამუატანა. ამაშენა კაცი: ერთი ნასტავლის მაგიერ, ორი არ გამომიგზავნა?

ვეძებე, სა წამივიდოდა თითის სიგრძე ქალაქში, მივადექი კარებზე, მარა შესვლას არ იკითხავ? თუთხმეტი კაცი კარების მტკრევაშია. თურმე ყველა ჩემი ბედის არ ყოფილა? ზოგის ცოლი იმასუქნაა!.. ზოგის მოჯამაგირე გოგოები; მარა ყველაზე უფრო გათქვეფანებულები ყვარლებია. ასე თურმე ბევრს გაატანა პაატები სახლში. ვდლიზე წრიხა კარებს და შევტეხე—შევჯლიგინდით, ახლა ყველა მოვიდა ქიფზე უნდა იყარონ ჯავრი ჩემს გაკეთებულ საქმეზე:

— შემოვარდნა ეხვეცობაო—დეიწრიპინა ვირთაგვას ხელა კიბორჩხალივით დაკვირანჩხულმა ყაზახმა. ვეცა ყლონტში და გამევათრიე გარეთ, დავცხეთ, ურტყით რავაც რუსის ბარაბანს, გეიგდეთ წინ და მავიყვანეთ სუდიასან.

თურმე, თუ არ იჩივლე, ისე კაცი ყურს არ გაპარტყუნებდა. მოგეცა სიკეთე: იგი იქინე მაბაწრეს, მარა ჩემი თეთრი მიგდია სახლში და ათრევს ხელით მის მოსინჯულ ბაღანას და ქვეყანა მისი გონია.

ამიზა გუუშვი, რომე იქინე რომანტიზაი აკეთე მეთქა?! დევიღუპე კაკალი კაცი.

სუდი დღესაც არჩევს ამ საქმეს; ქალები და ჰყაპი ბიჭები ქე დაგვიყარა სახლში ყველას. ვინც ჰქვიანი იყო, ქე მეიწყვიტავდა. ჩემ ცოცას შუუჩნდა ჟიმაკი და სიყვარულის ტინტილა და არ მეიწყვიტა ასე გავკეთდი კაცი და ასე გამიმწარდა თეორი.

ბლინკა.

# „გაყრა"

## სურათი ქუთაისის ებრაელების ცხოვრებიდან

მოქმედი პირნი:

მსაჯული.
ოშუაყა.
ხიმხა ოშუაყას ცოლი.
ხოსრო სასამართლოს დარაჯი.

სცენა წარმოადგენს სასამართლოს. დილის რვა საათია. ხოსრო ასუფთავებს ზალას. გარედან კარებზე მოისმის კაკუნი.

ხოსრო (მივა კარებთან) კიდევ არაკუნებთ? ხომ გითხარით, ჯერ ადრეა თქო. (დაბრუნდება) აი, დაიწყევლოს თქვენი სახელი და სახსენებელი! ოჯახამოშლილებმა მაინცა და მაინც ასე უთენია მოინდომეს გაყრა! მერე, ახალგაზდები ქემაინც იყვნენ,—ორივე გადაყრუებული; არც ერთს მაძღრის ყივილი არ ესმის (კაკუნი კარებზე) კიდევ! ო, თქვენ დედაგიცეთ სახლ-კარი (მიდის კარებთან) რა ამბავში ხარ, ყურრო? ზურგი ხომ არ აგქავებიაო?! მეც პატარა, ჯერ ადრეა, გიიგონე, ქართულად გელაპარაკები. ყრუ!... რაო? გცივათ? ამ ჩემ ფეხებს, თუ გცივათ! რა ჩემი ბრალია? სახლში დაგდებულიყავით და არ შეგცივდებოდათ. რა მოგარბენინებდათ ასე უთენია ნაშუაღამევს გამოსულებივით (მიხურავს კარებს და გამობრუნდება). გაგაცივოთ ჩემმა გაჩენამ, რავარც გაცივდა ბაბუა ჩემი დათვი! (კიდევ კაკუნი) ბიჭოს!... (გაბრაზებული მიდის კარებთან) კიდო არახ ჩემ შე ვირის ბიცოლა?! რე შენ არ გიბრძანე აღარ შემაწუხოთ-თქვა, სანამ მე არ დაგიძახოთ-თქვ?! .. (ცხვირპირს ჩაგინაყავ, შე ბინძგლიანო, შე!

მსაჯული. (კარს უყურებს თავს მარჯვენა კარებში) რა გაყირება, ხოსრო?

ხოსრო. გამ კი ვრეს, ბატონო, საქმე! მანდამინც ეხლავე შევუშვიო.

მსაჯული. ვინ არიან?

ხოსრო. ებრაელი ცოლ-ქმარი, ჩემი მეზობლები; მგონია, გაყრის თაობაზე მოსულან, აქ დაეყენდით, ზალაში შევგიშვით. თუ მიბრძანებ, შემოვუშვებ.

მსაჯ. შემოუშვი. (მოხურავს კარებს).

ხოსრო. (კარებს აღებს) შემოდი-რიეთ (შემოდიან ოშუაყა და ხიმხა). რა გაიქ ვერეთ საქმე? ცოტა ხანს ვერ მოიცდიდით კარში?. ხელი შემაშალეთ საქმეზე.

ოშუაყა. ვაი! გიწყინა რამე? რავა შეგაწუხებდით, მაგრამ დედაკაცი გამიყენდა. რო გამცივდებოდა, იცი რა ულდ დამადგებოდა? ვადაი, მოყვებოდა ოხვრას და კვნესას; მერე მოიწყენდა ოშუაყა და ზილე სკიპიდარით.

ხიმხა. რას იბრალებ, შე უწმინდურო?! როდის დაგქარდა ჩემი დანვალო?

ოშუაყა. რავა როდის? არ გახსოვს? არ მახსოვს? ბოლო რო ეკლესიამენში წაბძანდა. მაშინ არ დაგზილე? ისე ილოცხლე! დაგავიწყდი?

ხიმხა. ვაი შენ! ოცი წლის ამბავს იხსენიებ? მერე მე შეგეხვეწე დამზილეთქო? შენ არ ჩამაცივდი: დაგზილ, დაგზილო, შე უკულმართო?.. ერთიცახე ქვალი მქონდა სასულეში; შენ ამოგძვრა მაგი წაწყმედილი სული, რაზე იწუხებდი თავს?

ოშუაყა. კაი, კაი! აღარ გაათავებ, შე გასათავებელო? პრისუსტიაში მაინც მოიკეტე მაი სოხრე ენა!

ხიმხა. არაფერსაც არ მოვიკეტ! თუ გინდა, შენ თითონ ჩოიკე მე, შე ყამალიყათი შენა!. „დასაზელი გამიხდებაო", ვაი შენ, ვიქა ლადოს ენა გამოიბა?

ოშუაყა. აღარ გაჩუმდები? აღარ მოასვენებ მაგ საძაღლე ენას?

ხოსრო. ჩუმად! რა დაგემართათ? მსაჯულს ეყურება. რას აყეფდებით?

ხიმხა. ასე ხომ არ მეყეფნა, ორმოცდაოთხ წ ლიწადს გაუძლებდი მაგასთან?

ხოსრო. როგორ, ორმოცდაოთხ წელიწადს სულ ასე ყეფდი? უჰ!

ოშუაყა. ისე ილოცხლე!

ხოსრო. ა! ეხლავე გამოვა გამგე, დასწერს თქვენი გაყრის განაჩენს, თქვენც ხელს მოაწერთ და ამით გათავდება თქვენი ზილაც და ყეფაც.

ხიმხა. კი გენაცვალე, კი შენი ჭირიმე, ჩემო ხოსრო, დამეხმარე ამ საქმეში; ჩემა კაი მეზობელი არა ხარ შენ? მეტი აღარ შემიძლია, სულ მლანძღავს და მაგინებს. გუშინწინ ლობიოში ცოტა მეტი მარილი მომივიდა. ამისათვის, ჩემი რვა შვილი არ დამეხოცება, ბეკა ძაღლავით მომვარდა: შე უწმინდუროვო, იყათის ბარუხჰა იომა შენზედაო! ე მარილი, გგონია, რიონის პირზე მოეხვეტეო? არ იცი რო გაძვირდაო? დაზერდი და ლობიოს ამოზელა არ იციო? ჩემი დაღუპვა გინდა, შე ამოსაგდებოვო? მერე შენ ცოლზე მიმითითა,— მატრონასგან მაინც ვერ ისწავლეო? ნამდვილი ეკონომია იმან იცისო. ამისთანა აბედა მაქამა ამ ბანგვლიანმა!

ხოსრო. არ ცოდნია მაგას ჩემი მეულლე მატრონა, თორემ მას ქებას არ იტყოდა. თუ მკითხავთ, არც ერთი არა ხართ ოქროს ხასიათის. მართალია, ლობიოში არ ჩაყრის მეტ მარილს, მაგრამ ცხოვრებაშია გადამლაშებული. გადაღმა კვირეში უწყება ჩავაბარე კანკიძის ქვრივს სოფიოს. სოფიომ, როგორც პურ მარილის ადამიანმა, პატარა ჟაკუშკა მამართვა: ერთი ორი ჭიქა რო დავლიე, გვეიხედე და შემოვარდა ჩემი მატრონა, მაგრამ ეს ქალი კი არ იყო-აფთარი! შენო სოფოს საკვინტრიშემლოდ წამოხვედიო?.. ბევრი ვუფიცე—არა თქვა; არ დამიჯერა. რო გამამიყვანა მოთმინებიდან, ევლე და ერთი ჯამი გალესილი ტყემალი გადავასხა თავზე...

ოშუაყა. ვიცხონე მამა შენი! ძალიან კარგად მოგიქცევიხარ! ქალი? ქალი? ვაი, დედერიათ მათ ქუდებს! აშოვარდა ქალის ჯიში!

ხიმხა. თქვენ ჯობიხართ ქალებს? თქვენებ კაცები? თქვე დასაბამელებო?

ხოსრო. რა თქმა უნდა! ამას რა ზრასტი—პრავჩაი სჭირდება?

ხიმხა. ვაი თქვენ! ვუი თქვენ!

ხოსრო. რატომ ვართ ცუდი, ჰა, რატომ?

ხიმხა. შენ იღებ ხმას ჩემ წინაშე შე გამოცრუებულო? კიბულას წყარო დაგავიწყდა? შენ არ იყავი, რო მამატყველე?

ოშუაყა. რა იყო? მოხთა რამე კიბულაშაზე?

ხოსრო. ახლა შენც დეიჯერე, რასაც კუდიანი დედაკაცი იბლიყანცბს!

ხიმხა. დამავიწყდა ვითამ? დაგავიწყდა? მე კი ძალიან კარგად მახსოვს!

ხოსრო. რა გახსოვს, ჰო? რა გახსოვს რა?

ხიმხა. გაგამხილო? გაგამხილო? შენ არ იყავი, რო წამეთამაშე, ბიშაკები დამპირდი და მერე ბრანწით დამტოვე?!

ოშუაყა. რა მესმის ესე? შენ მიმალოდი ამას, შე უწმინდურო, უსალავათო! შენე, შენე?

ხოსრო. ტყუილია, ტყუილია, მაგრამ თუნდ რო მართალი იყოს, რა გინდა მერე?

ოშუაყა. რავა. გგონია, ამას გაპატიებ შენე? ახლავე საჩივარს შევიტან! ციმპირს აქეთ არ დაგატოვებინებ! ვაი დედას, ვერ მოასწრებ, ისე ამოგაძრობ, ისე ამოგაძრობ სულს! უბრალო ვინმე არ გეგონო მე შენე!

ხოსრო! ერთი უყურეთ ამას, რა ამბავშია გაძვალტყავებული?! ყარამან საამყარი ხარ შენმა მზემ! შე ტინტრაჩო, შენ გონია, არ იცი ახალი კანონი: რამდენიც გინდა გოუშვი ცოლი და ახალი შეირთე.

ოშუაყა. ოშუაყას ჯობიხარ შენ? ოშუაყას ჯობიხარ შენე?... ახლავე გაგაპალეჩებ!..

ხიმხა. ოშუაყა, არ შემარცხვინო! ჩემი აბედის ჯინი ამოიყარე!

ოშუაყა. (იქნევს მუშტებს, მხოლოდ ზევით ჰაერში) ლერ-ლერა აგაფლეჭნი მაგ წვერ-ულვაშს!

ხოსრო. (მოუღერს მუშტს) გაჩერდი თუ არა!...

ოშუაყა. (ამოეფარება ცოლს) შენ გონია, შენი მეშინია? შენი მეშინია? აქეთ გამოდი თუ ბიჭი ხარ!..

მსაჯული. (შემოდის განრისხებული) რა ამბავია? რა გაყვირებთ? სად გგონიათ თქვენი-თავი?

ხოსრო. ამხ. მსაჯულო, ამ ებრაელმა განიზრახა მოქმედებით ჩემი შეურაცყოფა ჩემ თ ნამდვილობის ასრულების დროს: გალახვა მომინდომა.

ოშუაყა. არა, ბატონო, მაგან თურმე, მაგ ყამალიყათი ჩემ ცოლს წახლახუნებია. ახლა გამოტყდა, ისე ილოცხლე!

ხიმხა. მეც ვუჩივი, შენი ჭირიმე; მაგ უწმინდურს ჩემი ბიშკაკები მართებს.

მსაჯული. დაჩუმდით! ეგ წერილობით უნდა განაცხადოთ. სხდომას გ ხსნილად ვაცხადებ. გაირჩევის საქმე მოქ. ხიმხა ბოლოს ასული ელიგულაშვილისა და ოშუაყა შალომის-ძე ელიგულაშვილისა მათი გაყრის შესახებ.

მომჩივარი სიმხა ელიგულაშვილისა აქ არის?

**სიმხა.** მე გახლავარ, შენი ჭირიმე; აგერ არა ვარ?

**მსაჯული.** მოპასუხე ოშუაყა ელიგულაშვილი?

**ოშუაყა.** მე გახლავარ, ჩემო ბატონო, მაგრამ რას ჰქვია მოპასუხე? დედაკაცის პეტიტურს უგდებ ყურს? დედაკაცისას? ისე მამცირებთ, რომ მაგის მოპასუხე გავხდი მე? არა, ბატონო შენი ჭირიმე, არც ერთ კანონში არ წერია მაგი.

**მსაჯული.** ბატონს ნუ მეძახით,—ბატონები აღარ არიან. მიწოდეთ მხოლოდ მოქალაქე თქო, მოქ. მსაჯულო!

**ოშუაყა.** კი, ბატ.. კი შენი ჭირიმე, ჩემო ბატ...

**მსაჯული.** კიდევ! აკი გითხარით, ბატონს ნუ მეძახით მეთქი.

**ოშუაყა.** მაპატიეთ, ბატ... თქვენო... ვაიმე, დამავიწყდა, ჩემო ბატონო...

**სიმხა.** ათასი დაარიგო, მაინც ვერაფერს გეიგებს: ზემო ართუებში ძალიან იყრაკით გახლავს. ყოველთვის ეგრე გამოტენტრენებული იყო.

**მსაჯული.** დაჩუმდით,—თქვენ არავინ გეკითხებათ!

**ოშუაყა.** მაგას გააჩუმებს ვინმე? მაგის ენამ არ გამაშეშა ტვინი? თუ მოხინა, გუდის თავი, ვადიი, დილიდან საღამომდე იყეფს დაშმულ ბეკო-ძაღლივით, ისე იცოცხლე!

**სიმხა.** ტყუილებს ლაპარაკობს, ბატონო, სუდია. (ოშუაყას) ვაი, შენ მეტყუელიაl ვაი, შენ ყამალკიითო! ვაი შენ კვატაპარიაl

**ოშუაყა.** ვაი, შენ მიჩორთილო!

**სიმხა.** კვატა პარია!

**ოშუაყა.** მოჩორთილო!

**მსაჯული.** გიმეორებთ დაჩუმდით, თორემ..

**ოშუაყა.** აღარ გაჩუმდები შე კუდიანო? აღარ გაჩერებ მაგ გასახმობ ენას, მოჩორთილო? მე ხომ არაფერს გეუბნები—სუდია გიბრძანებს!

**სიმხა.** ენაც გაგიხმა და თავიც, შე ბანძგვლიანო შენა!.. მერე შენა ძახებით გავჩუმდები? მეყო, შე ისრაელში აწოსაწყვეტო, ამდენი გაჩუმება: ორმოცდაათი წელიწადი გაჩუმებული ვიყავი; ახლა რევოლუციაა,—უნდა ვილაპარაკო: სუყველაფერი უნდა მოვახსენო ბატონ სუდიას. შენ გგონია დამავიწყდა ლობიოსთვის რა ამბიდა მაქამე? შენ არ იყავი ქორწინობასას რო მითხარი, რეფელას არ შეხედოვო? შენ არ იყავი...

**მსაჯული.** ეს საქმეს არ შეეხება.

**სიმხა.** ძლივს მოგახსენე, რომ არ დამავიწყდებოდა; ამისთანა ამბები რო დამ ვიწყდეს, არ დივილუპები? ბატონო სუდია, ბატონო სუდია.

**მსაჯული.** რა გნებავთ?

**სიმხა.** შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, მაგას მიუსაჯე, რომ ჩემ წინ დაიჩოქოს და პირდაპირ მამთხოვოს; შეიძლება, მაშინ ვაპატიო.

**ოშუაყა.** ვაი, შენ მოჩორთილო, ვაი შენ! მე დავიჩოქო? მე? მანამ არაფერი ვაშე, სანამ მე შენ იზრენენია არ მიგათხოვო!

**მსაჯული.** ნუ ძიძლობთ!

**სიმხა.** მე ის უნდა მეთქვა...

**ხოსრო.** ვერ გეიგე, რო გიბძანა, ნუ მიშლითო? ყრუ! იიი!

**სიმხა.** შენ რა მეცამეტე გოჭივით გამოეკვეხე? შენ ვინ გელაპარაკება? შენ მოგართვით არძა თუ?

**მსაჯული.** თუ არ დაჩუმდებით, ვუბრძანებ გაგიყვანონ აქედგან!

**სიმხა.** მე ის უნდა მეთქვა...

**ხოსრო.** (მსაჯულს) გევეყანო სჯობია, თორემ მაგ არ დაქრობს შეჩერის თავის ლილლაი (მოხვევს ხელს სიმხას) წამობძანდით! წამობძანდით.

**ოშუაყა.** (გამოხტაცებს სიმხას) შენ ვინ მოგცა ნება ჩემ ცოლს მოეხვიო? არა გაქვს მაგის პრავა შენე! არა გაქვს! არა გაქვს, შენე?

**მსაჯული.** ხოსრო, ხელი გაუშვი. სიმხა ელიგულაშვილისა, თქვენ განცხადებაში სწერია შემდეგი: „რადგან მე და ჩემი ქმარი ოშუაყა ელიგულაშვილი ხასიათებით ვერ შევეწყვით, თუმცა ამას ოცდაოთხი წელიწადია ყველაფერს ვუთმენდი და მაგან კი თავისი უწმინდურობა არ მოიშალა, ამისათვის აღარ შემიძლია მაგ ურწმუნოს ცოლობა გავუწიო და გთხოვთ გამაშოროთ ჩემ ქმარს ისე, რომ მას არ შეეძლოს სხვა ცოლის შერთვა“. (სიმხას) ეს არ შეიძლება,—თქვენ ქმარს გაყრის შემდეგ უფლება ექნება სხვა ქალი შეირთოს.

**სიმხა** ვაი! რას ამბობ შენე?! ოშუაყამ სხვა ცოლი უნდა შეირთოს? მე ვიყო ცოცხალი და ჩემ მაგივრად სხვა მოიყვანოს? ვაი, ამ საათს! ჟუჟუნათ მკლავ? ნუ შენი ჭირიმე, ნუ იკადრებ მაგას.

8. ნემო.

(შემდეგი იქნება)

# შარადა

შარადის წერას შეუდგე,
ავიღე ხელში კალამი
და მსურს, ტარტაროზ, მოგიძღვნა
ჩემი გულწრფელი სალამი.
გეთაყვა არვინ დიზარგო,
გაფიცებ მაღლით ზენასა;
სისწორით გადი ლელოსა,
არ მოერიდო წყენასა.
შენთვის ვიქნებით მეც აწი,
მიძმე შაირს მთხზველია,
ეგებ ვაშორროთ ქვეყანას:
პარმოთანე, კუდა მელია.
შარადას თუ ვერ დაკეწერ,
ვერ შევედრები „კოლოსა“,—
სომხური ცენა მე მკითხე:
„კარაპეტ“, „მიკიჩ“, „პოლოსა“.
ეს ეოთხელ რაკი დავიწყე
შარადის წერა გრძელია,
აწ უნდა დავაბოლოვო,
უკან დახევა ძნელია.
შარადისათვის გვეჭირდა
ჩვენ საღებავის სახელი:
სპარსელნი წვერს რომ ილებვენ,
ყველაა ამის მნახველი.
მაშ მოვაცალოთ ამ სახელს
ბოლოდან ერთი ანბანი,
რაც დაგვრჩეს შემოვინახოთ,
მით შევასრულოთ ზრახვანი.
შემდეგ ხუცესის მაგვარი,
სომხეთში ვნახოთ სახელი:
მკვდრისა და ცოცხლის ერთიან,
შემხრავი, გადამყლაპველი.
გლეხებს და ყლაპებს ქვეყანა,
არ სჭირდებოდათ ჩქითვით;
ხალხმა როს იცნო ისინი,
მყის შეუთმელდათ ლაპია.
მაშ ამას სახელს ჩამოვჭრით
წინიდან ერთი მარცვალი,
და სხვა კი გადავისროლოთ,
ვით უვარგისი—ფამპალი.
აწ ვინახულოთ ოჯახში
დამწვარი შეშას კვალთა;
მის დაგროვება ბუხარში
დიასახლისის ბრალია.
ზედ შუა გავჭრათ ეს სიტყვა,
გავაპოთ წმინდათ ორადა,
მეორე წილი არ გვინდა,
პირველს თხოულობს შარადა.
აწ გვინდა კაცის სახელი:
ეშმაკის ყბაში მჯდომარის,
ამა სახელის არ მცოდნე,
ვეჭვობ ქვეყნადა თუ არის.
მაშ სახელს ამა „წმინდანსა“
მოვეპყრათ დიდის ქებითა,
ბოლოდან ორი ანბანი,
ჩამოვჭრათ მოწიწებითა.
გადავისროლოთ, არ გვინდა
ვითა ფოთოლი გამხმარი;
ორი დაგვრჩება წინიდან
შარადისათვის სახმარი.
აწ გამოვნახოთ საცენა
მიკრული ხარის ფეხზედა,
ჩლიქება უნახავს საცოდავს,
არ დაეძრის ქვებზედა.
შემონახულნი ნაწილნი
დავაწყოთ რიგზე—ნელადა,
და ბოლოს სიტყვა ერთიან
მას მივაწებოთ მთლადა.
მივიღებთ სიტყვას სანეტარს,
კავშირის გამოხატველსა:
ღარიბთ ხალხის მალამოს,
მდიდართა კუდის ამწეველსა!
ერთიან მთელი ქვეყნისა
მას ეტრფის ყველა ჩაგრული,
სისხლს აქცევს მისთვის უშანკოს,
ბრძოლაში არის ჩაბმული.
სოციალისტურ პარტიათ
დასახეს იგი კერპათა,
თავისებურად სუყველა,
მას ეწირება მსხვერპლადა.
ზოგი მეორეს ლოცულობს,
ზოგსა სწამს ორნახ ვარი,
ზოგი მეს მას ალმერთებს,
ოჩია ზეუპოვარი...

ჟრა.




P-7141

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა
თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 9 აგვისტო 1925 წ.

# ტარტაროზი

№ 15—(18) გაზ. „მუშა"-ს ორკვირეული უფასო დამატება. № 15—(18)

## ტარტაროზი—რკინის-გზის შეფი



ამიერიდან შეფი ვარ თქვენი, პასუხისგება გაწევთ ორწილი,
თქვენზე ჯვარს ვიწერ, მოვდივარ სიძე, გადამიხადეთ დიდი ქორწილი.

# დეკრეტი № 2

ა. ხშირია ბრძანება, დეკრეტი კი არა.
(ეს მაშინ გამოვა როცაა აარა)
ჯერ კიდევ არ იქნა, ბოლო არ ედება
მას, რასაც ეს ჩვენი დეკრეტი ეხება.

ბ. ჩვენს რკინის-გზებზე ჩემს მიერ ბევრი შემჩნეულია საქმეში ცუდი.
ლდუმდის მე ვსდუმდი (და მხოლოდ ერთხელ ალაპარაკდა ეს ჩემი კუდი
და ისიც ცოტა—თუმც ვღებულობდი ამის შესახებ მრავალს ნოტასა,
მაგრამ მე მაინც უპასუხებდი (და ისიც ფრთხილად) მეტად ცოტასა.

ვიცავდი მტკიცედ ნეიტრალიტეტს (და არა ისე, როგორც ინგლისი
ან ამერიკა „ჩინურ საქმეში“... იმათ ვინ მისცა ამის სინდისი)—
მაგრამ რა ვნახე ჩვენი რკინის-გზა და ვინახული მე სადგურები—
ვსთქვი: ო, სად ვიყავ?! ანდა სად იყვნენ ჩემი თვალები, ჩემი ყურები...

...და გადავსწყვიტე (სხვა ხსნა არ არის) რომ მე მივიღო მასზე მეფობა.
და მე ეს მესმის, (დეე იცოდნენ რკინის-გზელებმა) როგორც მეფობა.
ამიერიდან მეფე ვარ თქვენი, მასუხისგება გაწყვეთ ორწილი;
თქვენზე ჯვარს ვიწერ, მოვდივარ სიძე, გადამიხადეთ დიდი ქორწილი.

ტარტაროზი.



# ბრძანება № 6
### რკინის-გზის ხაზზე

ჩემს ხელშია ყველა
ცხოვრებისა დარგი,
ჩემს ხელშია ყველა
ამ ქვეყნისა ბარგი;

იწონიან მრავალ
ათასეულ ტონებს...
(და ბაგაჟი მათი)
მე მაგონებს ბონებს).

მრავალია ცოდვა,
მეტი კი ცოდვილი.
ფეხისკრა ლადარში
არის დღეს ადვილი—

და დაგროვდა „ხალხი“
იქით გასაგზავნი.
(ასჯერ გაიზარდა
პირვანდელი თავნი)

ყველა იქით ჩქარობს,
ექსპორტია დიდი;
ყველა ცვივა კუპეში—
(ჩატყდა „ბეწვის ხიდი“).

— და გვქირია ეხლა
ჩვენ რკინის-გზა დიდათ,
რითა იგი გავიდოთ
ჯოჯოხეთში ხიდათ—

რომ ადვილი ეყოს
გამგზავრება იქით
(და ლენინის სმა გზაში
ტიკით—არა ჭიქით).

მაგრამ მე არ მომწონს
რკინის-გზის წესრიგი;
ვხედავ: ჩემებრ მაგრად
რომ ვერ—რა სდგას იგი.

—და ამიტომ ვბრძანებ:
იყოს შრომა მეტი,
მოიშორეთ ყველგან
უვიცი და ცეტი.

სადაც არის მავნე
(და იქნება ვიცი),
არ იწმუნოთ მისი
ვედრება და ფიცი.

და პანღური ჰკარით,
გაისტუმრეთ გარეთ,
რომ ცოდვები ძველი
მას შეერგოს მწარედ.

საქმე არის დიდი,
თანაც სასახელო;
[illegible] უნდა
გავიტანოთ ლელო.

უნდა შევქმნათ ეხლა
აგენტების კადრი,
რომელს არ ექნება
უფროსების ხათრი.

და გვაცნობებს—თუ სად
ხდება საქმე ავი,
რომ ჩვენ უკრათ იმათ
ჯოჯოხეთში თავი.

ყველა სადგურს, მაქანს
ჰყავდეს თვისი „კორი“
და მან მოგვაწოდოს
ჩვენ ამბავი სწორი.

ჯოჯოხეთი.
ტარტაროზის სასახლე.
9 აგვისტო.

კინო-წარი.

# „გარილლიანა“

„ამერიკაში გამოიცა დარვინიზმის საწინააღმდეგო კანონი“
„სასწავლებლებში აკრძალულია დარვინიზმის სწავლება“
„გარდაიცვალა ბრაიანი, რომელიც სათავეში ედგა დარვინიზმის საწინააღმდეგო მოძრაობას და დაუძინებელი მტერი იყო მაიმუნების“.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ქაოსი“

იყო ქაოსი, სითხე და გაზი,
უსახეობა და სივრცე ბნელი...
რადგან არ იყო მაშინ ელექტრო,
ცხადია, იყო მგზავრობა ძნელი.

არაფრისაგან გაჩნდა გარილლა*)...
(ალბად ისე, ვით ბიბლიის ღმერთი);
დაეპატრონა მთელს კოსმის იგი
და მთელს კოსმოსში ცხოვრობდა ერთი.

მაშინ არ იყო: რკინის-გზა, ფლოტი,
ჰაეროპლანი, ავტომობილი.
მას არა ჰყავდა: დედმამა, ცოლი,
დები და ძმები (და არც ძმობილი)—

დაყიალობდა უგზოთ, უმიზნოთ,
როგორც რუსთველზე ეხლა მრავალი,
და ამათსავით არც მან იცოდა
თვისი ცხოვრების შუკა და კვალი.

(აქვე ახლავე უნდა აღვნიშნოთ,
რომ თვის წინაპრებს ძველისა ძველსა
ეს „ფრანტი ხალხი“ ყოველწხრივ ჰბაძავს
და არა არცხვენს იმათ სახელსა)

ქვეყნის შექმნა

ერთხელ გარილლა კლდეს დაეჯახა,
როგორც გამვლელებს შოფერი მთვრალი
და მასაც, როგორც დაშავებულსა,
დაუზიანდა რბილი და ძვალი

გონს რომ მოვიდა—ძალა მოკრიბა.
და დაიყვირა: იყოს ნათელი.
მის ამ სიტყვებზე მზე ამობრწყინდა
სადღაც შორს იქით, როგორც სანთელი.

გამოჩნდა ცაში მნათობთა წყება
და კომეტები კიდევ მრავალი,
როგორც რუსთველზე ეხლა ჩვენს დროში
ყოველ საღამოს არის მავალი.

წყალი განშორდა ხმელეთს თავისთვის,
როგორც „ნარსუდ"-ში ცოლს თვისი ქმარი.
გაჩნდენ საჩქაროდ თევზები წყალში,
ვით „აზრიბა"-ში, სხვადასხვა გვარი.

რა გავაგრძელოთ ესე ამბავი
მომხსენებელმა ვით მოხსენება,
რომლის ყურება მსმენელს მობეზრდა
და ურჩევნია მას მოსვენება.

გაჩნდა ქვეყანა, და ეს ქვეყანა
ისე წარმტაცი და ლამაზია,
როგორც პროსპექტზე პლეხანოვისა
ჩვენი მუშკოოპის ცენტრმაღაზია.

აწყობილია ქვეყანა ისე,
ვით „ნარსვიაზის" კედლის საათი,
(ვლებულობთ როგორც უტყუარ ნიმუშს),
რომლითაც არის ყოველთვის ათი.

რა გინდა მეტი... იცხოვრე ტკბილად...
პირი იბანე ანკარა რუში...
მონახე წყვილი და დაქორწინდი,
ვით სახკინმრეწვი „მეჟრაბპომ-რუსში".

„ღმერთის შექმნა"

მაგრამ გარილლას მოსწყინდა მარტოდ,
(მის სიხარულსა მოედო ხავსი),
რადგან კოსმოსში არავინ ჰყავდა
მას ამხანაგი და თვისი მზავსი.

იფიქრა: არის კოსმოსი დიდი,
და მე განვაგებ მას ერთად-ერთი;
მოდი და შევქნი კაცს ჩემსა მზგავსა
და მას სახელად ეწოდოს ღმერთი.

—

და გაჩნდა ღმერთი. . . . . . . .
. . . . . . . . . და გადის ხანი...
საუკუნეთა მიფრინავს ქამი,
როგორც წართელსა სასადილოში
ხელიდან ხელში „საწყალი სკამი"



რას მიედები? შემხედე კარგად!
რად ვერ მცნობილობ შენს წინაპარსა?!
ჩემს შთამომავლებიდან შენ ვერ დაგეკარგა
უკეთესდღიური წვერისა პარსვა.

## ,,კაცის გაჩენა"

დროთა მსვლელობა რას არ გარდაქმნის,
ვით ვიტრინებსა მაღაზიების,
რომლებიც შვიდჯერ კვირაში მაინც
გამომფენნია „გემოთ ძიების".

—

მაიმუნიდან კაცი მივიღეთ,
ისე როგორც დღეს პარიქიი ხდება.
(ჩვენთვის არ უნდა ამას მტკიცება,
რადგან ასეთი მრავალი გვხვდება.

თუ გავიდევნეთ მაიმუნები—
ჩვენთან გექნება მაშინ გზა შენა...
ისევ გიჯობნის, რომ დაანგრიო
ცხრა მეტრიანი ხაძალდე კნა—

იუკადრისეს, დაჰგმეს თავისი
შთამამავლობა და წინაპრები;
გამოუცხადეს მათ საღვთო ომი
და შეებრძოლენ როგორც აფთრები.

## ბრაიანი

წინ მიუძღოდა სპას ბრაიანი,
(ამერიკაში მოხდა ამბავი)
ჰყვიროდა:—თუ კი ვარ მაიმუნი
მე აღარ მინდა ცოცხალი თავი.

# სახელის მოხვეჭა—წითელი ხოხობი

## 1. როგორ შეიძლება ქვეყნის გაკვირვება

ერთს საღამოს რუსთველის პროსპექტზე შევიყარეთ თავი და უსაქმობის გამო მოწყენილობა გვკლავდა. შეძლებისდაგვარად ერთმანეთში ვლაზღანდარობდით.

ბოლოს, როდესაც უკვე მოწყენილობამ დაგვძლია და მთქნარება მოგვერია, ერთმა ჩვენგანმა აღიმაღლა ხმა და ასე მოგვმართა:

— მეგობრებო, ქვეყანა დიდია, ჩვენ კი სულ შვ-დი... წვეთი ოკეანეში... რა ვქნათ ისეთი რამ, რომ ქვეყანა ერთიანად გავანცვიფროთ და გავაკვირვოთ... ჩვენზე ავალაპარაკოთ!.. აბა, მოიფიქრეთ, რა ვქნათ!..

ასეთმა წინადადებამ ჩვენ სწრაფად გამოგვიყვანა მოწყენილობის ბრჭყალებიდან. რაღაც სიხალისე მოეფინა მთელ სხეულს, მარდათ დაიარა სისხლმა ძარღვებში და სანამ შეუჩერებლივ ავყაყანდებოდით, ღრმად ჩავფიქრდით.

ვფიქრობდით და ვეძებდით სასურველ პასუხს.

— მრავალჟამიერი შემოვძახოთ!.. წამოიძახა ბოლოს ერთმა აღელვებით. ამაყად მიმოიხედა გარშემო და საქმიანად ჩაახველა, რაც ნიშნავდა სამზადისს.

— არ ვარგა! დაასწრო ჩვენმა მეთაურმა. საშინლად შოგვეზიზრდა ყველას... ყურებს დაიცობენ... დაიფანტებიან...

— ჩხუბი ავტეხოთ!,. წამოიძახა ეხლა მეორემ და სახელოების დაკაპიწებას შეუდგა.

— არ ვარგა!.. შეუტია მეთაურმა. «ეურემია წარბას და ტარიელ მკლავაძის დროინდელი მეთოდია!.. მოძველებული და ყალბი... არახელსაყრელი და საბუთის მიმცემი დაჯარიმებისათვის!.. მოიგონეთ რამე უფრო თანამედროვე!.. ახალი...

— გაფრენა მოვაწყოთ მარსზე!.. წამოიძახა მესამემ.

— არ ვარგა!., სეზონი წავიდა... თანაც არც სცენარი მოგვეპოვება, არც კინო-მსახიობები ვართ, არც კინო-ოპერატორ რეჟისორები!.. სირცხვილია ასეთი უბადრუკი აზრის შემოტანა!..

აჯანყება მოვაწყოთ!.. თქვა ჩუმად მეოთხემ და შიშით აქით-აქეთ მიმოიხედა.

ჩვენ კრუანტელმა დაგვიარა ტანში და სიფითრემ გადაგვკრა.

— არ ვარგა!.. აპირებდა დაღრიალებას ჩვენი მეთაური, მაგრამ ალბად პატრიოტობის სინდისმა შეაწუხა ცოტა, რომ დაღრიალება ჩურჩულზე გადაიტანა.

მე გამაჩინა ცთურმა ღმერთმა
(გადაიწერა აქ მან პირჯვარი)
და რასა ჩმახავს, ნეტა ვიცოდე,
ვიღაც დარვინი ჭკუაშემცდარი?!

აკრძალულია ამიერიდან
სასწავლებლებში დარვინის სწავლა.
განდევნეთ ყველა მაიმუნები,
რომ არ შეეძლოთ მათ ჩვენში გავლა —

## გარილლა—ბრაიანთან

შეხვდა ბრაიანს ერთხელ გარილლა,
სალამი მისცა ჩვეულებრივი
და უთხრა: — თავი გაგცხელებია
და ზედ გჭირია შენ ტილო ცივი.

რას მიღრჯები? შეხედე კარგად!
რად ვერ მცნობილობ შენს წინაპარსა?!
ჩემს მგზავსებიდან შენ ვერ დაგფარავს
ყოველდღიური წვერისა პარსვა.

თუ გაგვიდევნეთ მაიმუნები —
ჩვენთან გექნება მაშინ გზა შენა...
ისევ გეჯობნის, რომ დაიჩუმო
ცხრა მეტრიანი სამ ღლე ენა —

## გარილლა ღმერთთან (დიალოგი)

გარილლა

—აჰა, სალამი, ჩემო ბაბუა...
მაგრამ დაგეტყო შენ რაღაც შაში!
ნუ თუ სინათლე ისე დაგაკლდა,
რომ ვერ მიცანი შენი ბადიში?!

მარტოდ რატომ ხარ? დაქვრივდი, ან თუ
„ხალასტოი“ ხარ და ისიც „სტარი“?!
მაგრამ მე ეს არ მაინტერესებს...
აჰ მოროთი, ჯიმი, და ის მითხარი —

თუ გახსოვს მოხუცს გადაყრუებულს —
შენ, როგორც ღმერთი, ვინ გაგაჩინა?
მიწიდან შენ ვინ გამოგისტუმრა
და საშუდამოდ აქ მოგცა ბინა?!



ღმერთი

მე... მე... არავის არ შევუქნივარ,
თვით მე შევქმენი მთელი სამყარო
და შენ ვინა ხარ... რას მიღრეჯები?!

გარილლა

სტყუი, მიქარავ, მართლა საპყარო...
აბა, შენხედე... გამჩვრიტე კარგად
და შეადარე შენს ჩემი სახე;
ვფიქრობ მსგავსება მეტად დიდია...
ახედე-დახედე და მაშინ ნახე.

— არ ვარგა!.. ჩვენ შვიდი ვართ... ოთხი ჩვენში უთუოდ მოღალატე აღმოჩნდება და დაგვასმენს სადაც ჯერ არს...

ასევ საშინელმა კონუანტელმა დაგვიარა ტანში და იქვათ ავათვალ-ჩავათვალიერეთ ერთმანეთი თავიდან ფეხებამდე. რომ არავის შეენიშნა ჩვენი ასეთი არაჩვეულებრივი მდგომარეობა, მხიარულად გაუცინეთ ერთმანეთს.

— ხა, ხა, ხა, ხა!

— ხი, ხი, ხი, ხა!..

— ხე, ხე, ხე, ხა!.. და ასე ამგვარად, ყველა ხმებზე და კილოზე.

მალე ისევ ღრმა ფიქრში შევვიპყრო.

— ჩინეთში გავემგზავროთ მოხ ლოდ ეებით!. წამოიწია ბოლოს მეხუთემ.

— ვის წინაალმდეგ?

— რა თქმა უნდა ჩინელების წინაალმდეგ...

— რა ჯანდაბა გემართებათ!.. გაწყრა ჩვენი მეთაური. კონტრ-რევოლუციონური საქმეა... ვილსონის 14 პუნქტის ცწინაალმდება... თანაც მთელი დიდება იქ ინგლისელებმა დაიტაცეს, და ჩვენ არაფერს დაგვიტოვებდენ... უიმედო აზრია!..

— მართალია!. მართალი!.. რეზოლიუცია გავუქვეთეთ ჩვენც.

— ტრესტი დავაარსოთ!.. წამოიძახა აღფრთოვანებით მეექვსემ.

— ტრესტი.

— ტრესტი რამე... სულ ერთია როგორიც იქნება.

— თანხა?

ამ შეკითხვაზე პასუხი არავის გაუცია მაშასადამე ეს საუცხოვო აზრიც ჩაფლავდა

მაშ რა ვქნათ... რა?!. ვეყაყანდით ყველანი ერთად, და მოთავეს მივაჩერდით რადგან ცხლა მისი ჯერი იყო.

მოთავემაც მიიდო შუბლზე თითი და ჩაფიქრდა. დიდხანს იდგა ასე ჩაფიქრებული და ბოლოს შეგვხედა რა, რომ დანარჩენები მხიარულად ვბაასობდით ერთმანეთში, მამაშვილურად გვითხრა:

— თუ მართლა დაინტერესებული ხართ ქვეყნის გაკეთილებაში, თქვენც იფიქრეთ ჩემთან ერ. ად, თორემ მარტო ჩემი, ი. ე. უმცირესობის დიქტატურით ფონს ვერ გავალთ!..

ამ აზრზე ჩვენ საკვირით დავეთანხმეთ, და ყველანი ისევ ფიქრს შევუდექით.

— ჩვენ შვიდი ვართ, ქვეყანა დიდი... წვეთი ოკეანეში... რა ვქნათ ისეთი რამ, რომ ქვეყანა ერთიანად გავაკეთილოთ.?..

ვინაიდან ზეზე ფიქრი არც ისე ადვილი იყო, ცოტა ზევით ავიწიეთ და ქუბაძის კანტორის წინ ღსვეიკაგვეთ სკამებზე.

დიდხანს თუ ცოტა ხანს ვიყავით ასე სასტიკად დაფიქრებული, და უკვე იმედდაკარგულნი სასოწარკვეთილებას ვეძლეოდით, რომ ჩვენი სახელი ამ ქვეყანაზე გაქრებოდა ისე, როგორც ყოველი უბრალო მომაკვდავის, რომ უცბად ერთმა საერთო ნ ცნობმა ჩაგვიარა წინ. იგი განცვიფრებული მოგვჩერებოდა. მარტო ის რომ ყოფილიყო მთელი ქვეყანა, ჩვენი ოცნება უკვე შესისხლხორცებული იქნებოდა.

— რა დაგემართათ, თქვენ ოჯახკეტიანებო, მოგვმართა მან. როგორ ღრმად ჩაფიქრებულხართ!..

ღმერთი

აჰა, გიცანი, გიცანი ჩემო;
ჩვენს შორის არის მგზავრება სრული.
მაგრამ არ ვიცი ჩვენს შორის ერთი,
რომელი იყო პირველი სული.

გორილლა

ჩვენს წინაპირთა უმალ კოსმოსში
არვინ ყოფილა სულიერ არსად.
გვაქვს გადმოცემა: ის იყო მარტო,
არ უნახავხარ შენ მასა არსად...
მაშასადამე — შენ მისგან გაჩნდი...
თვისი სურვილით მან გამაჩინა
და როგორც შვილსა, ისიც პირველსა,
საუკეთესო აქ მოგცა ბინა.

ღმერთი

ჰა, მომაგონდა... ჰო, მახსოვს, მახსოვს...
ცხოვრება ხომ გაქვთ იქ გვარიანი?!

გორილლა

წახდა ბოლო დროს — სასტიკად გვდევნის
მის ღვიძლ მოძმებს ჩვენ ბრაიანი.
მეტად მოვსულვარ, რომ გთხოვო მასი
მოშორება და აქ წამოყვანა,
თორემ, ბაბუა, იქ ჯოჯოხეთად
გადაქცეულა ჩვენთვის ქვეყანა.

ღმერთი

ადვილი არის ეს სამსახური —
შენ არ დახვდება იგი ცოცხალი
და თქვენი ასე გამწარებისთვის
მისთვის მზად არის აქ ცეცხლის ალი.



აღსრულდა ღმერთის განკარგულება —
და ბრაიანი გადაიცვალა.
მიცვალებულის კუბოსთან დადგა
მაიმუნების მთელი ამალა.

მეტად შვენოდა კუბოში წოლა,
თითქოს არისო იგი სიზმარში...
მიასვენებდნენ მაიმუნები,
ისმოდა მათი მწუხარე მარში:

მარად იყავი შენ ჩვენი მტერი
და ზარად გქონდა შენ ჩვენთან ბრძოლა.
შენ გახდი მსხვერპლი ჩვენთან ბრძოლისა,
აწ მოგასვენებს კუბოში წოლა.

ჰინჭარი

შევფუცხუნდით.. არ გვინდოდა ჩვენი სირცხვილის გახელა, მაგრამ ბოლოს იძულებული ვიყავით გამოვტეხილიყავით.

— მერე, თქვე შერცხვენილებო, მაგაზე ფიქრობთ ასე გამწარებით?!. გაიცინა მან. წამოდით, მე ვიცი მაგის საშუალება!..

ჩვენ ხმისამოუღებლივ გავყევით უკან. მან შეგვიყვანა მახლობელ რესტორანში, დაგვაჯინა ერთ დიდ მაგიდას გარშემო, მოითხოვა ყველაფერი რაც კი საჭირო იყო ვახშმობისათვის, და შემდეგ მოგვირჩია რა ამას, მოვითხოვეთ საწერ კალამი, ერთი თაბახი ქაღალდი და შევუდექით საქმეს.

შევადგინეთ დეკლარაცია, დავწერეთ სამ-სამი ლექსი, (რომლებსაც ხელისმოწერა ქვევით არც კი უნდოდა, რადგან ისე გავდნენ ერთმანეთს, როგორც ტყუპები), დავუმატეთ კიდევ ზედ თითო-თითო კრიტიკული წერილი, და ერთი კვირის შემდეგ საუცხოვო ჟურნალი გამოვუშვით.

დღეს ჩვენ მთელი ქვეყნიერება გვიცნობს. წარმოვადგენთ ცალკე ლიტერატურულ მიმართულებას, და თუმცა სხვები უკიდურესს მემარჯვენეებად გვთვლიან, ჩვენ თავს მაინც უკიდურესს მემარცხენეებათ ვაცხადებთ, და მთელის ჩვენის ენერგიით ვეწევით „პოპულარობის" მძიმე უღელს. (ჩვენის აზრით, რა თქმა უნდა).

ჯერ-ჯერობით საქმე კარგად მიდის. საჯარო დისპუტებსაც ვმართავთ ხოლმე ხანდისხან, და ბედს მაინცდამაინც არ ვემდურით.

ასე და ამნაირად უკვდავ ვყავით ჩვენ ჩვენი თავი, და განცვიფრებული ქვეყანა დღესაც განცვიფრებით შემოგვცქერის ჩვენ!..

## 2. კაცი-კაცის გულისათვის შემწვარ ხოხობს შესჭამს.

თქვენ, როცა ეს ანდაზა გესმით, ალბად მეტად გეცინებათ, და გაკვირვებული ამბობთ: გახარებული კაცი ყოფილა ამის მომგონიო. შემწვარ ხოხობს ვინ არ შესჭამს. ეს ანდაზა კი არა სოლომონ ზურგიელიძის აფორიზმიაო, დაუმატებთ. შეიძლება თქვენ ამ უკანასკნელ მოსაზრებაში მართალი იყოთ.

ამაზე რაიმე ლიტერატურული დისკუსიის გამართვა არ ღირს, თუმცა თუ გაგვიჭირდა, კიდევაც ღირს და ხელსაყრელიცაა. კიდევაც იცინებ ბევრს, და სახლში ისეთი ნასიამოვნები დაბრუნდები, თითქოს კინოში ყოფილიყავი და ჩარლი ჩაპლინს ან მაქს ლინდერის გენახოს.

ამ ქვეყანაზე შესაძლებელი ყველაფერია. მხოლოდ რა არ არის შესაძლებელი, ეს კი მართლა თავსატეხი საკითხია.

მაგრამ დავანებოთ ამას თავი, და ისევ შემწვარ ხოხობზე გადავიდეთ. ეს არც ისე არასასიამოვნოა.

შუადღის თორმეტი საათი იქნებოდა,

როცა ერთ ძველ მეგობარს შევხდი, სალამისა და ერთმანეთის მრავალ მოკითხვის შემდეგ, გამოირკვა, რომ ის ახალი ჩამოსულია დასავლეთ საქართველოდან. ეხლა მისი ხელიდან წასვლა უფრო ძნელი იყო, ვიდრე ინდოელის ინგლისელის მკლავებიდან. ამიტომ ჩვენს მხიარულ მუსაიფს დასასრული არ ჰქონდა.

ვილაპარაკეთ ყველაფერზე, არ დაგვრჩენია არც ერთი ამ ქვეყნიური მოვლენა, რომელსაც არ შევხებოდით.

როცა სადილობამ მოაღწია, ჩემმა მეგობარმა მომკიდა ბლუზის ფოლაქზე ხელი და ასე მითხრა:—ერთი რამე მაქვს შენთვის სათქმელი, და თუ არ გეწყინება, უნდა გაგიმხილო...

— როგორ გეკადრება მაგი!.. შევეწუხდი ვითომ—მეწყინება რას მიქვია... ამდენი ხნის მეგობართან დასამალი რა გაქვს, კაცო!..

უნდა ითქვას სიმართლე, რომ ამ გამხელისგან მე იმდენ სიამოვნებას მოველოდი, რამდენსაც რიფები ფრანგებისგან.

— თუ ხათრი გაქვს, დაიწყო ისევ მეგობარმა, თუ გწამს ჩვენი ცხრა წლის მეგობრობა, დაწყებული უნცროს მოსამზადებელ კლასიდან და გათავებული უკანასკნელ მერვე კლასით, ერთი რამე უნდა გთხოვო და—მერე შენ იცი!..

მე კიდევ შევწუხდი, და ისევ სიამოვნებით მოვიგონე ჩვენი ძველი მეგობრობა: თუ როგორ მუდამ ერთს პარტაზე ვისხედით, თუ როგორ ჩემს მეზობელს კისერი ქონდა მოღრეცილი მუდამ ჩემს რვეულებში ცქერით, და როგორ შემდეგ შერლოკ ხოლმსის მიხვედრილობის, გამჭრიახი მასწავლებელი, ორივეს მე მისვამდა—ამხანაგიდან გადაგიწერიაო...

— კაცო შენ ოღონდ თქვი, და ასრულება შემდეგ ვნახოთ...

— არა, ეხლავე სიტყვა უნდა მომცე, რომ უარს არ მეტყვი... ვიცი შენ ძალიან მცირე დრო გაქვს, საქმიანი კაცი ხარ... ალბად საშინლად მიეჩქარება შინ, სადაც გემრიელი სადილი და საყვარელი ცოლი გელის. ისადილებ საჩქაროდ, და მერე ისევ სამსახურში გაეჩქარები, სადაც ზედმეტი საათები გაქვს კიდევ სამუშაო, რადგან ვიცი, დილას ყველა საქმეებს ვერ ასწრებ.. და ნურც მოგასწრებიოს ღმერთმა, თორემ შემოსავალი გაგინახევრდება... ვიცი, ერთი წუთიც კი არ გაქვს შენ ჩემთვის, მაგრამ გაიხსენე ჩვენი ძველი მეგობრობა, გაიხსენე რამდენი წელია ერთმანეთი არ გვინახავს, რამდენმა წყალმა ჩაიარა, რამდენი გადატრიალება მოხდა დასავლეთ ევროპაში, რამდენმა დაკარგა სამინისტრო პორტფელი, რამდენმა შეიძინა კიდევ... გაიხსენე...

— ოხ.. თქვი, კაცო, ბარემ რა გინდა!.. გაეაწყვეტინე მე, თუ შენთვის არ მექნება დრო, მაშ ვილასთვის მექნება!

— აი, გაგაშენოს ღმერთმა!.. ვიცოდი, რომ ასე იტყოდი, ეხედავ, რომ ისა ხარ ისევ, რაც იყავი... არ გამოცვლილხარ, სხვებსავით ცხვირი მაღლა არ აგიწევია.. კაციც ასეთი უნდა და მეგობარიც... მე მუდამ კარგი აზრისა ვიყავი შენზე და ყველას ვეუბნებოდი: ეს ადამიანი მეგობრის გულისათვის თავს დადებს მეთქი.. სხვებს არც თავიდან გეანდი, და არც ეხლა გეხარბ. ხათრიანი იყავი და ხათრიანი ხარ ეხლაც.. აგაშენოს ღმერთმა...

— კაცო, თქვი ბარემ რა გინდა, ნუ ამომხადე სული!.. შევეხვეწე მე.

ვალდებული ხუმრობა საქმე აღარ იყო.

ვაფი უიმედოთ მახეში გაბმული მეგონა. მაგრამ ხომ იცით ადამიანის ბუნება. კაცს მუდამ აშკარა მტერი ურჩევნია გამოურკვეველ და ბუნდოვან მდგომარეობას.

— იცი, რა უნდა გთხოვო?.. მაგრამ... არა!.. ვიცი შენ დრო არა გაქვს და ძლიერ შეგაწუხებ.. ხათრს ვერ გამიტეხ, წამოხვალ, და მერე ვინ იცის რამდენს მაგინებ გულში...

— ჩემო ძველო და უსაყვარლესო მეგობარო, მუდარით იკმაროთ მე მას, მთხოვე რაც გინდა; თუნდ ჩინეთის პრეზიდენტობა, ყველაფერს აგისრულებ, მხოლოდ მითხარი რა გინდა!. რა გსურს!?. თორემ მძვრება სული!..

ჩემი მეხაუბრე მიხვდა ალბად, რომ მე უკვე აღარ ვხუმრობდი. თუ ჩინეთის პრეზიდენტობაზე დავყაბულდი, ამაზე იქით საით უნდა წავიდეს თხოვნა...

— აი, რაშია საქმე... გეტყვი მოკლედ... მხოლოდ არ გეწყინოს კი... უნდა ერთ კარგ სადილზე დაგპატიჟო, და თუ ძმა ხარ, თუ ხათრი გაქვს ჩემი, თუ კიდევ დარჩენილა მე და შენს შორის რაიმე მეგობრული კავშირი, უარს ნუ მეტყვი!.. ვიცი, მაგინებ და მლანძღავ ეხლა გულში მაგრამ რა ვქნა, ცხრა წლის მეგობარი ხარ ჩემი... დაუვიწყარი!..

თუ როგორი იყო ჩემი განცვიფრება, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია... ადამიანი სადილზე მეპატიჟებოდა, და რა საჭირო იყო ამდენი ხვეწნა და მუდარა. აი, თურმე სად მყოლია ნამდვილი მეგობარი.

რა თქმა უნდა საჩქაროთ საუკეთესო რესტორანისაკენ გავეშურეთ და ისეთი ვისადილეთ, რომ მგონი არცერთ თქვენგანს არ უსადილნია როდისმე.

სადილის ბოლოში ჩემი მეგობარი პაპიროსზე ცეცხლის მოსაკიდებლად მეზობელ ოთახში გავიდა, და... თქვენ რაც გინდათ ის იფიქრეთ, მე იგი მას აქეთ უკვე აღარ მინახავს. მე ვფიქრობ, შეიძლება ის კარში გავიდა, და იქ რაღაც მიზეზის გამო ან დაიჭირეს, ან და ვინ იცის, იქნებ უფრო მეტი საშიში რამ შეემთხვა... ცოდვა კია ასეთი მეგობარის დაკარგვა...

სადილის ფასული, რა თქმა უნდა, მე გადამხდა.

თუმცა მეშწვარი ხონთქარ არ მოგვითხოვია, მაგრამ მისი მსგავსი კი გამოვიდა რაღაც.

ალბად ჩემისთანა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო თავში მოხსენებულ ანდაზის გამომგონი...

ხინემატო.



დაიძინე, ნანას გიმღერ,
არ გაიღვიძო.
ისე ღმერთი შენ შეგარცხვენს,
შენ რომ დაეცო.
ამხანაგი იქ ქურდულად
ოთახში ძვრება...
დაიძინე უდარდელად
რა გენაღვლება.
იქ ოთახში რაც კი შეხვდეს
მან მოიპაროს...
ღრმად იძინე, არ ილვიძო,
როს გადმოყაროს.
სხვამ იყიდა და შენ ფული
არ მიგიცია...
დაიძინე ტკბილად ღამით,
შენ მილიცია.
ჩვენ წავიღებთ და ხვალ დილით
შენ მოგაკითხოს...
გყარაულობ შენი ძილი
არვინ დაგიფრთხოს'.

# „საღვთო ომი“

გაივლის ათი საუკუნე—ათასი წელი და 2925 წელში მატიანეს მასალებიდან შედგენილ მსოფლიო ისტორიის გაკვეთილზე მასწავლებელი ასე ახსნის გაკვეთილს:



— მაგრამ ისტორიაში კიდევ არის სხვა საღვთო ომი.

ათასი წლის უკან 1925 წელში, როცა მთელი საქართველო მოსვენებული იყო მსოფლიო და სამოქალაქო ომებიდან, როცა ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩამდგარიყო და მოსახლეობა დანგრეულ მეურნეობის აღდგენას შესდგომოდა—აი, სწორედ ასეთ მშვიდობიანობის დროს საქართველოს ერთი ქალაქი, მაშინდელი ქუთაისი, რომლის დღეს ნანგრევები-ღა დარჩენილა მხოლოდ, *) ხშირად ხდებოდა ღორების აჯანყება.

მათი პარტიზანული რაზმები ყოველ მხრიდან მოულოდნელად თავს დაესხმოდა და აფორიაქებდა ქალაქს. ღორთა აჯანყებები სხვა ქალაქებშიც ხდებოდა, (მაგ. ოზურგეთში, ფოთში და უფრო ნაკლებ ბათომში), მაგრამ ისეთი გრანდიოზული კი არა, როგორც ქუთაისში.

უნდა ითქვას, რომ ამ აჯანყებას ხელს უწყობდა ქალაქის ანტისანიტარული მდგომარეობა, რაც ღორებისათვის საყვარელ ცხოვრების სახსარს ბლომად ჰქმნიდა.

1925 წელს „საღვთო ომი“ გამოუცხადა ღორებს კომუნალურ განყოფილების გამგემ (სურათში დიდ ღორზე ზის) და ადგილობრივმა მილიციის ღორთა კავალერიამ. ღორებმა დაჰკარგეს რამოდენიმე მაკე ღორები, რომლებსაც სირბილი არ შეეძლოთ სხვებსავით...

*) რომ ეს ასე იქნება, ამის იმედს გვაძლევს ქალაქის „კომუნალურ განყოფილების და მისი გამგის“ უსაქმობა და საქმისადმი უყურადღებობა.

„ფოტო-აგენტი“

ტარტაროზის განკარგულებაში ჩაირიცხება ფოტო-აპარატი, რომელიც მოულოდნელად გამოცხადდებიან დაწესებულებებშიდა მაშინვე გადაიღებენ სურათს იმავე დაწესებულებისას. ამით საშუალება გვექნება ნამდვილი წარმოდგენა გვქონდეს ჩვენს დაწესებულებებზე.

აქ მოთავსებულია ასე ექსპრომტად და მოულოდნელად გადაღებული



# პუშკინის სამკითხველო

## „ტოლუმბაში“

მოქალაქენო! დღევანდელი დღე დიდათ სადღესასწაულო და საზეიმოა ჩვენი ძვირფასი მასპინძლისათვის და აგრეთვე ჩვენთვისაც, ვინაიდან დღეს არის გათხოვებითა ქორწინება ჩვენი პატივცემული მასპინძლის ცოლის—იუსტინაის, რომელიც მითხოვებულია დიდათ შეგნებულ და განვითარებულ კაცზე—ივანე კონტრიკაძეზე.

მოქალაქენო!.. თანახმათ თქვენი სურვილისა, მე წილად მხდა დღევანდელი ქორწილის წინამძღოლობა და ტოლუმბაშობა!..

ამიტომ თავდაპირველათ ვიღებ ხელში შერბეთზე უფრო ამ ტკბილი შუშხუნა ღვინით სავსე ორი ჩაის ჭიქას—და ვადღეგრძელებ დღევანდელ ამ ოჯახის შემთხვევას, ე. ი. მეფეს და დედოფალს!.. გამჩენმა ღმერთმა, მზე და მთვარესავით შეაბერონ ერთმანეთს და ბევრი გასახარდი ვაჟიშვილი მისცეს უფალმა.

მართლაც რომ შესანიშნავი ხალხ გამონახა ჩვენმა მასპინძელმა თავის ცოლისთვის: ნასტავლი, პატიოსანი და აქედენი ხნის გარეთ გასული კაცი... მარა ჩვენი მასპინძლის იუსტინაც სწორეთ რომ მისი შესაფერი არის...ცქვიტი... ლამაზი, კოხტა და კაი მეოჯახე... მთელ ერთ ქალაქით ღირს სწორეთ მარტო მისი ლატარა, როცა იგი ზედ „მხოლოდ შენ ერთის“ ლექსს დაამღერებს!.. ბევრი ბიჭები გადარია მაგ ცოლმ ჩვენს მეხურეში, მარა ყველას ვარი სტკიცა და მხოლოთ ბედნიერ ივანე კონტრიკაძეს ჩაუვარდა ხელში!..

და მართლაც რომ ზეგამოჭრილი არიან ერთმანეთისთვის!.. ერთი-მეორეს რომ დაამშვენე კაცმა, სწორეთ პირი პირზე, ცხვირი ცხვირზე, შუბლი შუბლზე და ქაპა ქაპზე მოუვა ირივეს... სწორედ რომ ზეგამოჭრილი არიან ერთმანეთისთვის. სწორეთ რომ ზედგამოჭრილი...

ახლა მოქალაქენო, როცა მეფე და დედოფლის სადღეგრძელო უკვე მიირთვით, აი, ამ ოქრო ღვინის ჭიქით ჩვენ ვადღეგრძელოთ ამ შეკრებულებაში მყოფი—სუფრის შვას ქვედა მანდილოსნები!.. იცოცხლონ და იბედნიერონ მრავალს წელს და ჩვენი თავიც ნუ მოუშალოს ღმერთმა!..

მოქალაქენო!.. თქვენ ალბათ გაგიკვირდეთ, თუ, რატომ ვადღეგრძელე მარტო შვას ქვედა მანდილოსნები, და არა ზედა!.. ეს მე იმიტომ ვქენი, რომ სწორედ უხერხულად დავინახე ყველა მანდილოსნების ამ ჭიქებში მოქცევა... ჯერ ძირითა ვით შვას ქვედა მანდილოსნების სადღეგრძელო და მერე კი შვას ზედაასაც!..

ახლა მოქალაქენო, ამ ოქრო ხუთი ჭიქით ღმერთმა ადღეგრძელოს ამ შეკრებულებაში მყოფი ყველა მამაკაცები!. ასე რომ, მოქალაქენო, მე ღვინის სმას მალე მოვათავებ. არ გვსურს—არც მე და არც ჩვენს ძვირფასს მასპინძელს თქვენი ღვინით ნამეტანი შეწუხება, თვარა ისე მოგეც თ სიკეთე მე ღვინის სმაი შემეძლოს და ჩვენს მასპინძელსაც ქონდეს ქურში მუდა, დიდებული ყურყუმასავით შავი შუშხუნა ღვინო! უკეთესია, ვიყოთ მხიარულათ, ვსვათ და ვსჭამოთ ავი შერბეთავით ტკბილი ღვინო და ნაირ-ნაირი საჭმელები· რა საჭიროა მომეტებული ღვინის ქაჩვა და სიმთვრალისაგან კურო-მოხვერავით თვალების ბრეცა და გადარევა, თვარა, ისე მოგეცა ლხენა—მე ღვინო დავლიო! თუ გინდათ, აი, ეხლავე, ამ ორ ფუთიან დოქს წამოვაკიდებ პირზე და ერთ წუთში აქვე ყირამალა გადავაგორებ! აბა, რა გგონიათ თქვენ, ჩემს ტოლუმბაშობაში ამისთანა საქმეები არ გახსოვს გასაკვირალი, მე და ჩემმა ღმერთმა!

## „Habeas Corpus“

„ჰლაბეას კორპუს“ არის ინგლისის კონსტიტუციის ძირითადი კანონი, რომელიც მთელ მსოფლიოში ცნობილია თავისი „დემოკრატიული“ სამართლიანობით.

ეს სიტყვები ლათინურია და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: ჰლაბეას — ჰქონდეს; კორპუს — ტანი.



ჩემბერლენი (ინდოელს) ჩვენ ისეთი „განათლებული“ ხალხი ვართ, რომ ჩვენს კანონებს თქვენშიაც ვატარებთ. თანახმად ჩვენი კონსტიტუციის ძირითადი კანონისა, თქვენ შეგიძლიათ გქონდეთ ტანი, ხოლო თქვენი თავი კი ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს. თავის მოკვეთით „ჰლაბეას კორპუს“ ძალაში რჩება.

ახლა მოქალაქენო, როგორც წესი და რიგი მოითხოვს, აი, ამ დიდი ყანწით ჩვენ ვადღეგრძელოთ ყველა ის კაცი, რომელიც საწყალი ხალხის საკეთილდღეოთ იბრძოდეს!.. გაუმარჯოს სოციალიზმს. მე შემიძლია თქვენ სწორი და უტყუარი პასუხი მოგცე! სოციალიზმი, ეს ისეთი რამე ყოფილა, რომ როცა იგი მოვა, მაშინ თურმე ქვეყანა სამართლიანობის და კაცთმოყვარეობის აკვნათ გადაიქცევა.. არ იქნება თურმე არც ბატონი და არც ყმა, არც მდიდარი და არც ღარიბი, იქნება მხოლოთ ადამიანი და ეს ადამიანი გახდება თავისთავის სრული ბატონ პატრონი!..

აი, რა მელაპარიკა ჩუმად სოციალიზმის შესახებ ჩვენმა პროპაგანდისტმა: სოციალიზმი, მითხრა, ორი სიტყვისაგან შესდგებაო... პირველი სიტყვა სოცია არის და მეორე კი ლიზმიო... მას იმიტომ დაარქვეს სოცია, რომ იგი მუდამ ცოცავსო და ჩქარა სიარული არ იცისო... ლიზმი-კი იმიტომ ჰქვია, რომ ის მეტად კეთილია და მუშა ხალხის კარგის მსურველი არისო... მარა ნამდვილი მხდალი არის თურმე და მუდამ მიცოცავს კაცობრიობისაკენ და მისი გაბედნიერება სულით და გულით უნდაო, და ვინიცობაა, თუ რომ მოგიარა უეცრათ ხუშტურმა და ერთი მაგრათ შეუფუჩუნე, მაშინვე გაცოცდება უკან და დეიწყებს შორიდან პრიტვესო... თუ შეეყარა თურმე იგი რაცხა სოციალიზმია მუშას ან გლეხს — იმ წუთში წელში გაასწორებს, ენას აუხსნის და ლოლიავით გაამულადებს... მარა, თუ შეეყარა ბურჯუას — მაშინ უნდა უყურო იმის სეირს და ორახელას: დააწყებინებს ტანის ფხანას და გლეჯას და მანამდის არ მოეშვება თურმე, სანამ არ გეიქცევა თავმოგლეჯილი და ვირის აბანოში ერთს ძალიანს არ ამოიხდულრებს!...

ისე კაი კი ყოფილა, მოგეცა სიკეთე, იგი რაცხა სოციალიზმია!.. მაშინ თურმე კაცს არც მუშაობა განდა და არც არაფერი! ყველაფერი მუქთათ იქნება დაყრილი და რამდენიც გინდოდეს, იმდენი სვი და სჭამე — ვინ არის მომშლელი!.. შენი ჩემი იქნება და ჩემი კიდევ ჩემი!.. ყოველ დღე გამოძეხი ლაზათიანათ; დააყოლე ზედ ტკბილი შუშხუნა ღვინო რამდენიც გინდოდეს და მერე კარგად გამომძღარმა, დეიწყვე უკან ხელები და ითრიხინე ამ დობირაში დიმიტრა გლეხის ვირსავით! ვინ არის მომშლელი... ნუ გეშინია ყოველ წუთში კომისარი და ან მილიციონი არ მოვადგეს კარზე და გზის საკეთებლათ არ გაგიწვიოს!.. იყავი შენთვის და ისხოვრე წყნარათ და ლაზათიანათ... გზებს თუ გაკეთება დასჭირდება — დეკრეტებს გამოუშვებენ თურმე და ამ დეკრეტების ძალით ყველაფერი უცვის სისწრაფით გაკეთდება... მუშები თუ დაგჭირდება — ჩინეთიდან გამოიწერენ რამდენიც გინდათ და ამუშავებენ სოციალიზმის სასარგებლოთ, შენ მხოლოთ დაადექი იგენს თავზე კომანდირათ და ხანდახან თითო ორიოლა სოციალიზმის სიტყვები ესროლე და იგინიც დიდი ალტაცებით იმუშავებენ სოციალიზმის სასარგებლოთ...

ამიტომ, მოქალაქენო, ამ დიდი ყანწით ჩვენ ვადღეგრძელოთ სოციალიზმი...

ღმერთმა მისი ცოცვა სიხარბილით გადაუქციოს, რომ ადრე მოვიდეს და დამყარდეს!..

ახლა, მოქალაქენო, ერთიც საყველაწმინდო დავლიოთ და მერე-კი, გამოძღარი და ნასიამოვნები გავსწიოთ თავ-თავის სახლში და გზას ბარაქა დავაყაროთ...

სოროკა.

## „კურორტი“

(შლაპარი)

იყო და არა იყო... საბჭოთ ქვეყანაზე უკეთესი რა იქნებოდა... მაგრამ იყო ერთი სახკომჯანი და პროფკავშირი.

დაძმობილდნენ. წავიდნენ. გაიარეს ზამთარი ცივი და სუსხიანი, გაიარეს გაზაფხული და მაღლდნენ პაპანაქება ზაფხულსაქვა სიცხისაგან სკდება და წყლები ისეა გაცხელებული, რომ ჩაისთვის სამოვარებსაღარ დგამენ.

— სახკომჯან — უთხრა პროფკავშირმა — მე თუ ამ ზაფხულში მუშები კურორტზე არ გავაგზავნე, ჩემა კაცობა, რაღა კაცობა იქნება... მოდი და, როგორც ჩვევაა, მოვაწყოთ წელსაც საკურორტო სეზონი.



## „სასაცილო სასადილო“

ზაკტბიმ გახსნა სასადილო, პატივი სცა მით ჩვენს წადილს,
მაგრამ მუშა შიგ ვერადროს ვლირსება დროზე სადილს.
დაჯდება და ელოდება, ვეღარ უძლებს ამდენს ლოდინს
და იძინებს, რომ არ იცის ეღირსები სადილს როდის.

მშიერ ძაღლებს აპარეზად გაუხდია სასადილო;
შემოსხდება შენთან სტუმრად, როგორ უნდა გააწბილო.
იქ მოისმის ხვრინვა ტკბილი—არის ძილში და სიზმარში,
(ანდა როგორ არ იძინო: სიმშილის დროს გესმის მარში.

თუ კი მიდი სამ საათზე, რვა საათზე ეღირსები.
მასხური სუპს თავზე გასხამს და მის წვენში შენ ისვრები.
დანა-ჩანგალს ეღარა გააქვთ ეგით ტუსაღის ბორკილებსა...
ხორცი სუპში ბოცურავე შეიწირავს შენს კბილებსა.

— იმე, ბიჭო, შენი თქმა მინდა ახლა მაგაზე?! ერთი ბეწვი დამასწარი, თორემ მე უნდა ჩამომეგდო შენთან მაგაზე საუბარი.

გაუხარდა ასეთი პასუხი პროფკავშირს, ახტა დახტა და სიხარულისაგან სახკომ-ჯაფინს გადაეხვია.

— უნდა შევატყობინოთ ახლა ეს ამბავი მთელ ქვეყანას—და გაიქცნენ.

შეიქნა ერთი ვაი-უშველებელი. მოაწყდა ხალხი ჭიანჭველასავით. ვერც ლალაძესთან და ვერც ქებაძესთან წამლით ვერ იშოვნიდი უსაქმო კაცს ხეს რომ ჩაკონებოდეს, ყველას საქმე უშოვნია (უმუშევრობა ამ დღეს საათნახევარით მოისპო) შეწყდა ტრამვაის, ავტომობილების და ეტლების მოძრაობა, რადგან მთელი ქუჩა ხალხს დაეკავებინა; პურის უწინდელ დროის რიგებს დაემგზავსა მათი კუდები. მილიციონერებმა ვერაფერი გააწყვეს წესრიგის დასაცავად; აფრინეს კაცი ამხ. ხმალაძესთან. იგი ტრამვაით მოვარდა საჩქაროდ. ვაგონის გაჩერებას აღარ დაუცადა, სწრაფად გადმოხტა მიმავალ ტრამვაიდან. კონდუქტორმა არ გააჩერა ვაგონი, მაგრამ ამხ. ხმალაძემ გააჩერებინა და გაუჯავრდა:

— როგორ ბედავ შენ და ამხ. სუხიშვილის კანონს არ ასრულებ? მე გადმოვხტი გაქანებულ ტრამვაიდან და შენ რატომ არ გადამახდევინე ჯარიმა?!—აილო, ჩაიწერა კონდუქტორის ნომერი... ეცვალა ფერი საწყალ კონდუქტორს, მაგრამ რას იზამდა—თვითონ იყო დამნაშავე.

ამ ხნის განმავლობაში ცხენოსანი მილიცია მოვიდა ბუხრის ქუდებით. გაისმა მათი განკარგულებები:

„ჰაიტ... ჰუიტ... დეეეიხიე ჩქარა უკან... მაქანე ხალხი დააანაზატე ნაზატ... ნელლლზია პერეხადიტ მადამ“...

როგორც იქნა გარეკეს ხალხი.

გათავდა დემონსტრაცია მიტინგი. ქვეყანამ გაიგო, რომ სახკომჯანი და პროფკავშირი მუშა-მოსამსახურეებს აგზავნის კურორტებზე დასასვენებლათო.

ყველა, ყველა: კარგად მყოფი და ავათმყოფი, ყველი იძახოდა—აი ეს რა ბედნიერება ვეღირსა, აწ რა გვიჭირს.

შედგა დამზღვასასთან ექიმთა კომისია; დაუგზავნეს დაწესებულებებს ქაღალდები, თუ რამდენ მუშა-მოსამსახურეს ესაჭიროებოდა გაჯანსაღება.

მოდიან: ქალი, კაცი, დიდი, პატარა, ახალგაზრდა მოხუცი, ჯანმთელი, ჯანდაკარგული. ექიმები შინჯავენ: შეატრიალებშემოატრიალებენ, გადააბრუნ გადმოაბრუნებენ, ააყენებენ-დააწვენენ, ზელენ, უბრაგუნებენ... ან კურორტი და მისი ჯანი, ანდა თბილისი და მისი მტვერი.

— გამარჯობა პლატონ!

გაგიმარჯოს ლუკა

შენც ხომ კურორტზე წასვლას არ აპირებ?

— შენც ხომ კურორტზე წასვლას არ აპირებ?

— ვა, მაწყენს თუ? მეც კომისიაში მოვდივარ.

— რითი ხარ ავათ?

— რა ვიცი, რა: თიაქრით, ბუასილით, გრმა წელით—იცრუა ლუკამ.

— მე მაგინი არ მაქვს, მარა ჩემი მდგომარეობა იმისთანაა, რომ აქანე ყელში მალიტინებს, კიჩხში გამკრავს და სისხლიანსაც მახველებს—უჰ, არ შენ ყოფილხარ ჩემზე უკეთესს მდგომარეობაში.

უკვე შევიდენ დამზღვასაში, რომელსაც გვერდით ამშვენებს ყველასათვის საყვარელი და ტკბილად მოსაგონარი შრომის ბირჟა.

გასინჯეს ექიმებმა; შეზიღ-შემოზილეს. ესენი ფიქრობენ:

— გავკეთდით კაცო; ახლა კი გვეშველა; ბორჯომი და აბასთუმანი ხელში გვიჭერია... ნეტავი სად სჯობია წასვლა? ორივე ერთად წავიდეთ... უჰ! რა კარგია... ისე გავჯანსაღდებით, რომ უჰ... უჰ!

მაგრამ ცივი უარი სტკეცეს—თქვენ ისეთი ავათ ხართ, რომ თქვენი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია... ჰაი დღეს, ჰაი ხვალ—ასეა თქვენი საქმე; ვერც კურორტი გიშველის და ვერც ვერაფერი, გირჩევთ ეხლავე განისვენოთ უკეთესს კურორტზე—ჩვენც მოგვასვენოთ და თქვენც დაისვენოთ, გეყოფათ რაც გიტანჯავთ ამ ქვეყნად—ანუგეშა ექიმმა პლატონი და გამოისტუმრა.

როცა ექიმი პლატონს ამას ელაპარაკებოდა, ლუკა ასე ფიქრობდა:

— გავკეთდი კაცო, ავადმყოფებს თუ არ გზავნიან, მე კი მომიწევს, რადგან რკინა-

ავით ვართ—შემდეგ ექიმს მამართა, რომ ნაჩქაროდ გაეგო სასიხარულო ამბავი—მე ხომ გამაგზავნით, ექიმო?—შენ კურორტი არ გესაჭიროება, ხოლო დამასვენებელ სა-ალში არ ღირს თქვენი გაგზავნა, რადგან, სულერთია, იქ მაინც ვერ დაისვენებენ... თქვენთვის ისევ სჯობია ისეირნოთ რუს-თველ ის პროსპექტზე.

რანტია.



## ბორჯომის „ეკო"-ს ჩივილი

კე რომ ბედი მქონებოდა,
ბორჯომში არ ვიქნებოდი,
და ამნაირ გამგეობას
კიდეც გადაურჩებოდი.

ასეთ დღეში ჩაყენება
არ ეკუთვნის ჩემს წოდებას;
ნეტა თავნი არ ჰქრებოდეს—
ვინ დაეძებს რძას მოგებას!

ყველამ გამკრა ბასრი კბილი,
ახლა რომ ჩქარა მივიცვლები:
ამგეობას, ვხედავ რჩება
სასადილოდ ჩემი ძვლები.

ამწეწეს და გამომწეწეს,
კრედიტებში სული მძვრება,
მაგრამ ჩემს მსხვილს კრედიტორებს
ასე ყლაფნა არ შერჩება.

ქართველია უენო ვარ
და არ ძალმიძს საჩივარი,
მაგრამ აქაც ბევრი არის
შემბრალე და მათზე მწყრალი.

—

ჩევიჩიავ, დამეხმარე,
რა დღეში ვარ შენც კი ხედავ!
მეწყინით ველი განახლებას,
საჩივარსაც შენით ვბედავ.
შემიბრალე, დამეხმარე,
თორემ მალე მივიცვლები
და ვალებსაც ვერ დაჰფარავს
კაფხეკილი ჩემი ძვლები.



## „ნატვრა"



ვის იქნებოდა ის კაცი ენატრებოდეს ჯორობა!
პირუტყვთან ამხანაგობა, პირუტყვთან თანასწორობა?!
ხაშურის გლეხკომს ბინა აქვს ოსიაურში სოფლადა.
გლეხკომის თავმჯდომარეს შინ ჯორი ჰყავდა ობლადა.
იქნებ იცნობდეთ ვინც არის? (დიახ! აქ. ბ—ძე ხაშურელი)
ისეთი კაცი იქ იყოს არ არის დასაშურელი.
ჯორი მამა მისის იყო... ჯიგი ბაღსა სწირდებოდა;
იქირავა, რაკი ნახა იგი გამოადგებოდა.
ოცდახუთსა მანეთს იღებს ჯამაგირსა თვეში ჯორი,
ჭამა, სმა და ფეხზე ნალი (მგონი თვეში წევიდი ორი)
კავშირს წევრი მიემატა—და საწევროს არ იხდისა;
წერა-კითხვას არ ისწავლის, თუმცაღა ჯერ არ იცისა.
სამუშაო ცოტა არის—რომ წვანილი აქ მოზიდოს,
მხოლოდ კვირას და პარასკევს მან გიდრები აკიდოს.
დანარჩენ დროს ჩვენი ჯორი ახმარს თვით განვითარებას.
მუდამ სძინავს ბაღასებში, არვის უფრთხობს მოსვენებას.
ბაღსაც, ჯორსაც დარაჯი ჰყავს—კაცი—წევრი კავშირისა,
თვრამეტ მანეთს ის ღებულობს, საწევროსაც კი იხდისა.
ჯორი არის უსწავლელი: ხაშურის გზა არ იცისა;
მას დარაჯი მუდამ დასდევს (მოვალეა ალბად ისა).
ჯორს გლეხკომში კარგად უვლის, ნალებს ხშირად უკიდისა,
გლეხის ოჯახს ჯამაგირი ბჟურის ფულად არ ეკუთვნისა.
ერთი სიტყვით—დარაჯ გლეხზე უფრო მეტსა იღებს ჯორი
და ამიტომც გლეხი ითხოვს—ჯორთან იყოს თანასწორი.
კაცი კაცია, მაგრამ მას ამ ჟამად უჯობს ჯორობა,
პირუტყვთან ამხანაგობა, პირუტყვთან თანასწორობა.

ხაშურელი შმაილა.

## მესტვირული

ჩიბათახათვის

(უტუს)

ტარტაროზითა ამღერდა
შენი ქამანჩა სტვირიც;
ყურს ესმა—გულს გაეხარდა,
შაქრით გაგვევსოთ პირია
გლეხკომსა ბრჭყალი გაჰკარი,
მაგრამ სწრაფ შეჰკარ პირია.
მე უზამ რევიზიასა,
ტარტაროზს რაღა ჰსჭირია.
მოდი მეც აეახმაურო
ეს დაჟანგული სტვირია,
გაჩენის დღიდან ჩვენს გლეხკომს
გაუჩნდა რაღაც ჭირია.
გამოქნილ ჩარჩებს მოუხმეს,
ეცენ გრამიტოს ტყესო;
ტივებს და შეშებს გზავნიდენ
ფოთშა ყოველსა დღესო.
ფიქრობდენ: მოვყვეებს მოვებას
მრავალსა საქმე ესაო;
წლის ბოლოს დარჩათ „ხეიშტები",
გაისმა მათი კვნესაო.
მიფუჩეჩ—მოაფუჩეჩეს,
მოთქმა შენელდა ხალხშია...
შემდეგ ალექსი ამნაძე
მოექცა საქმის თავშია.
გარბას გამორბის და ვაჭრობს,
მუდამ ქალაქის გზაშია,
ვითარცა მთვარე გაიყსო—
ფული დღეს იმას არ შია.
სანაძე დასვა ბუჰგალტრად
ფოთისა კანტორაშია,
ინჩა არ იცის საბრალომ,
არ იცის საქმე რაშია.
მიხვდენ უკანსელა საქმისა,
შეუდგენ რევიზიასა;
ერთი დავთარიც არა აქვს
კანტორას კარებ-ღიასა.
ქუჩებში ჰყრიან ცნობებსა,
ხეებს ცძებენ წყალშია...
მაგრამ ეხლაა გვიანი,
აწვიან ცეცხლის ალშია.
არც მოსაგეზი, არც თავნი—
ეს ალარაფერს არ ჰგავსო..
აწ არც ერთთაგანს ამითშა
აქა ადგილი არ აქვსო.
ხალხს ჩაეცვნა წწარცთა—
რაღას უშველით აწია;
სხვა დააყენეს, მაგრამ კვლავ
გაუჩნდათ გაწა-მაწია.
ბირჟაზე კრტრსაც არ ფასობს
ჩვენი გლეხკომის აქცია...
ღმერთმა აცხონოს, ხვალ თუ ზეგ
კვანტს გაჰკრავს ლიკვიდაცია.

—

მეც დავღალე და სტვირიც,
შემდეგ ავწევ კალთას;
თანაც, ჰო, ბევრი მირჩევენ:
— თავს გაუფრთხილდი, შვილოსა—

ზხანკოლა

## „წმინდა ბერი"



გაჟრიელა ბერია
ცოდვებს გაუბერია
თავი კლდეზე გაუპეს
შეუდლის წვერია.
„ბაგრატისა ტაძარში",
სამრეკლოს ქვეშ საკანში
ქანაეს გაზოს ჩალაში
ვით პ ტარას აკვანში.

შაბათსა და კვირა დღეს
ის სდგას ეკლესიაში;
დაიჩოქებს თავს დაჰკრავს
საიჯერ მეტ ნაამა,
სალაშოზე ტაძრის წინ
ჩამოჯდება კიბეზე
წყვილ-წყვილ მოარშიყეებს
უცქერს ტაძრის კიდეზე.

---

## ჩოხატაური

ტარტაროზ! ესე ამბავი
თქვენც კარგად მოგეხსენება,
რომ ჩვენს დაბაში დაიწყეს
საავადმყოფოს შენება.
ვინ იტყვის სწორად, რამდენი
ზედ დაიხარჯა ქანქრები;
შემომწირველთა გვარებით
აესებულია დავთრები!...
ხარი, ურემი სოფლიდან
და უამრავი მუშები...
ასე სჭირია „მეციფერე",
რომ უყოთ ანგარიშები!...
და, როგორც იქნა, კედლები
ამოუშენეს ქვებითა,
მხოლოდ „ცოტა" რამ აკლია,
„კრიშკა" არა აქვს ზევითა.
(თუ ესეც შეიძლებ—უყურე,
როგორ გაგვბერვენ ქებითა!.)
დიალ, ამისთვის დაბაში,
მოწვეულ იქმნა ყრილობა,
საქონშენებლო გვერდში
დაადვა ესე პირობა:
რომ სასარგებლოდ „ბოლნიცის"
მიიღონ სწრაფი ზომები;
მონახონ „წყარო" ფულების,
ჰქნან საქმე მოსაწონები!..
ბედის პირველი ცდა იყო,
წარმოდგენების მართვაში.
„საქმის მოწყობათ" ილია...
(ჩასწერეს ხელად დავთარში)
და „რევიზორად" აკაკი,
(ტოლი რომ არ ჰყავს ტრაბახში...)
გააკრა განცხადებები,
კუთხის კუთხამდე დაბაში:
„პარასკევს ღამეს მოხდება
გრანდიოზული თამაში"!...
(ჯერ არ ნახული თვალითა,
სოფლად კი არა—ქალაქში).
სასარგებლოთა „ბოლნიცის"
პიესაც დამზადილია:
აკაკი „რევიზორი" და...
„საქმის მომწყობი" ილია!...
ექიმი ფულის მამადა
და ყალთაბანდი გოგია,
ვარლამი „პატიოსანი"
ახ ეფიქრობ დასაგმობია...
თან ქალი... შიშველ სხეულზე,
დოლბანდით შენამკობია,
თეით გამგე ტეხნიკუმისა..
(ხელში ექირა გობია)
ვითომ და, მოლაყბეები
გაზეპირებულ ენითა
დაფრიალობდნენ ბაზარში,
ამოჰრილ ბილეთებითა
და ხალებს ხელს არ ჰკიდებდენ..
(უნებლიეთ თუ ნებითა)
ბილეთა უნდა გეყადათ,
ორ-ორი მანეთებითა!..
ასე, ამნაირ იერიშით
დაგროვდა უხვად ფულები,
მარა რაღ განდა, სცენისთვის
ვინ გაიბერტყა ყურები?!.
მზე ჩაესვენა, დაღამდა,
დადგა დრო წარმოდგენისა,
ხალხი მოაწყდა, რომ ჰპოვოს
სიამე ღლეფრენისა...
მარა ფუჭია ლოდინი,
ხმა აღარ ისმის ენისა,—



— ვაი, დედასა, რა სალუხოვო და გემრიელი ტორტებია... შეამტვრიო და ჭამე...
— მაგრამ შენც ცაპ და უკანვე დაგაბრუნებენ საიდამაც გუშინ გამოდი.

სად გაიპარენ, ვინ იცის,
აქტიორები სცენისა!...
ამ დროს ვანესამ იყვირა:
„— რა დაეშართათ ამათა“?
და ამ ყვირილზე ელდაკამ
„წოდინით“ წამოიძახათა...
„დაამუქნარა“ და ასე სთქვა:
„— კაკოს ცოლი ჰყავს ავადა,
ილია წამალს ამზადებს,
ექიმი სინაზავადა
წაბრძანდა .. ყველა იქ არის,
და თქვენთან უკაცრავადა,
რომ დღეს არა რა იდგმება ..
ხალხი გაჯავრდ, ღრიალებს:
„— აბა, ეს რიგორი იქნება?!.
არ გვინდა თქვენი თამაში
და არც ასეთი ტყვილები,
მიიღეთ უკან ბილეთი,
მოგვეცით ჩვენი ფულები!!.
და, როცა მიხვდენ: ყვირილი
აღარ ღირს ასეთ საქმეში,
რაღას იზამდენ! — დაბრუნდენ
დალრეჯით თავის სახლებში!...
ტარტაროზ! თურმე ეს საქმე,
სულ სხვანაირად ყოფილა...
ვინ ავად? მტკნარი სიცრუე!
ყველა ეს წინადდიშინა
დასტეუნებიათ ძიტოშ, რომ
იმ დროს, როდესაც დარბაზში,
მოტყუვილებზის ბრაზითა
ასტეხა ხალხმა გნიაში, —
ესენი კისერს იტეხდენ:
„ბურთაობიას“ თამაშში!...
ტარტაროზ, შენი ჭირიმე
ჩანგალი ჰკარი ამათა,
რომ არ ილუყონ სხვა დროში:
„— ცოლი გვყავს მძიმე ავადა“!!!

ბილეთის № 250.

## იქიდანვე

მთლად დაიცალა სოფელი,
არავინ რჩება დაბაში,
საპგარაკოდ მიდიან,
ბახმაროს „ქარამ-ხანაში“.

ექიმი, მასთან ფერშალი,
მასწავლებლები, ბებია,
„პროვიზორს“ მასთან რა უნდა
ადვილი გასაგებია...

იზურგეთიდანც წავიდა
სამაზრო ჯანსახკომია;
ჯერ ცნობა არ გვაქვს თუ მიდის
მაზრადის ადმასკომია.

დამბოლუ კასაში ფულისთვის,
არის ჩხუბი და ომია.
პრიიკოპის სული ეხუთვის —
(სულამ კასაში წუწუნია).

აქ ხომ პატარა დაბაა,
არა აქვს დიდი გნია,
მაგრამ საკმაოდ სალდება,
პუდრები ლორიგანია.
მკლავ წატრუსული ქალები
„დუხებში“ დანაბანია;

წითელი კრასკით ეტყობათ
დაუწვავეთ პირის კანია.

ამ კანიკულებს თან მოყვა
ბურთ — ფუტ-ბოლისა თამაში;
გლეხკომიც გარდაიცვალა,
იქვე არ შეგვედის ამაში.
დაკრძალვა მოხდა ცხრა იმ თვეს
კავშირის აკლდამაში;
პურ ლვინოც იყო, ერასტოს
ვერვინ სჯობს სმა-ჭამაში.

განსვენების დღეს დასწრენ
წარჩინებულნი პირები;
ცხედარს თავს ადგა ირაკლი
ცრემლებით ან ტირები:
სიტყვა წარმოსთქვა ვარდენმა.
საჯაროდ გასაკვირია!
სხვა კი ჩუმად ამბობდნ:
მოგვშორდა ერთი ჭირია!..

ყველას საწყალად დაუჩნა,
დაობლდა ნორჩი კოწია...
ჯერ პატარაა, და ნიჭით
მარდი და გასაოცარი;
(თუმც წლოვანებით იქნება
ავილოთ სამჯერ ოცია)
ღვინის წყალიდან ამზადებს
სპირდება ცოტა მოცვაა.

ისიც „კავშირმა“ იშვილა,
ეკისრა აღზრდა მისია,
(ობლობა ძნელი საქმეა,
მახვედრებით, ვისაც გიცდია.—
ეშმაკი რაღას დაგაკლებს,
თუ ღმერთმა შეგიწყალისია.
კოწია „პენსიაშია“
პავლემ ცძელის ნისაა.

ჰო, მართლა, მავიწყდებოდა
აქ ორი ადგილკომია,
რომ დაადუღლო ორივე
გამოვა ბოლოს ცომია!..
ვერ ბედავს გამოუცხადოს
უსამართლობის ომია;
(ალბათ იმიტომ წევრებიც
მათსავით ცუდი ლოშია.)

აწ რეგლამენტიც შესრულდა,
ვათავებ მოხსენებასა...
თეატრის ირგვლივ რა ხდება
სხვა გეტყვის იმის ქეპასა.
ვინ როგორ ემსახურება
სახალხო ხელოვნებასა,
სცენაზე ფარდის ახდის დროს
„არსისტთა“ მწუხარებასა...

ხევან ხლუსტი

## „კონფერენცია“

(დიდი ჯახ-იში)

ერთხელ ხუცებს და ნახუცრებს
მოეწვიათ დიდი კრება,
რადგან „წითელ ეშმაკებში“
გაუპირდათ მათ ცხოვრება.

ამ კრებაზე მოსულიყო
ზენაარსი მამა ღმერთი —
ცოდვების და მადლის ერთად
ამკრეფი და შემაერთი.

თავმჯდომარეთ აირჩიათ
პლატონ მღვდელი მათ დიდწვერა;
სიხარულით საწყალ მოხუცს
ატეხოდა გულის ძგერა.

მოწიწებულად ტრიბუნაზე
გამოვიდა მამა ღმერთი.
შენიშვნებით ხელს უშლიდა
გერასიმე მხოლოდ ერთი.

ღმერთმა თვისი მოხსენებით
გაამხნევა ყველა მღვდლები.
ცხოვრებაში საბრძოლველად
აურჩია სულ სხვა გზები.

— თქვენ, შვილებო, ნუ შედრკებით
ხელთ აიღეთ ხატი, ჯვარი.
ვინც არ მოგცეთ დრამის ფული
ჩამოსწყევლეთ მათი გვარი.

„მ უ შ ა გ ი“ (ჭიათურა)




ღმერთმა მტერსაც ააცდინოს ამნაირი განსაცდელი,
გაჭივრებას ჯანიცდიან, გამოიჭრან ღამის ყელი..,
რა არ ხდება ამ ჩვენს დროში—ფეხისადგილს უდგას მცველი;
სიახლოვეს რომ მიხვიდეთ, ისე გიკბენს როგორც მგელი.
ჭკვიანი და კარგი ვინმე ნასწავლი და გამოცდილი.
კლიტე წელზედ აქვს შემბული, კარები აქვს დაკეტილი.

---

გამოგზავნეთ საიქიოს,
ნუ გექნებათ ჩვენი რიდი.
იქ მე მზად მაქვს ცოდვილთათვის
გასავლელი „ბეწვის ხიდი“

მომახსენეთ სათითაოდ,
მივიღებ თქვენს საჩივარსა
და თუ რამე შემიძლია
—ან „ჰო“ ს გეტყვი ან და ვარსა.

პლატონი

თქვენს ვედრებაში მოვხუცდი,
სახე გამიხდა ქალარა;
ამ წითელ ხალხში ცხოვრებამ
გული უდროოდ დალარა.

გთხოვ დამინიშნო, მოწყალევ,
საიქიოდან პენსია;
ამას მოითხოვს, მე მგონი,
სამართალი და წესია.

ღმერთი

ლარსი ხარ, შვილო, ღირსი ხარ
როგორც მოხუცი კაცია:
მე როგორც მახსოვს თავიდან
შენ ანაფორა გაცვია.

პლატონი

დიახ, მეუფევ სხვებსავით
არ უღალატე შენს სახელს,
ვით ამინ, ჩემო მეუფევ,
(და გერასიმეს ადებს ხელს)

ღმერთი (გერასიმეს)

მითხარი ჩქარა რაშია საქმე
ნუ თუ მართლა ხარ შენ მოღალატე?

გერასიმე

სტყუის, უფალო, არ დაუჯერო,
მაცდური არის ვითა პილატე.

ხამხონი

მეც მომისმინე აწ, მეუფეო,
მართალი არას მეც გავიპარსე
მაგრამ არ მქონდა სხვა საშუალება,
ამ წყეულ ხელში სულ დავითარსე

ექვთიმე (ელაქუცება)

მეუფეო, თაყვანსა გცემს
და გადიდებს ხალხში ყველა...
მომისმინე... ნება მომეც
მოგახსენო ნელა-ნელა:

როცა მღვდლები დაიჭირეს
და გაკრიჭეს როგორც ცხვარი,
მაშინ ხერხი მოვიგონე,
ხერხი იყო სულ სხვა გვარი.

ცოტა წვერი შევიკრიჭე,
ანაფორა შევინახე
და როცა დრო შეიცვალა
მე ის ისევ გამოვნახე.

ღმერთი

ხერხი სჯობია ღონესა
თუ კაცი მოიგონებსა.

ნესტორი

მე ჯერ ვერ ვიცნობ, უფალო,
ვიყავი დიაკვანია
და როცა ხუცებს აუწვის
მათრახით ზურგის კანია—

ჩუმ ჩუმად ვემზადებოდი
და ეხლა გავხდი მღვდელია;
სოფელი მადლიერი მყავს,
პატივს მცემს მრევლი მთელია.

ღმერთი

დამილოცნიხარ შენ, შვილო,
სამოთხე შენთვის მზად არი;
იქ არვინ არ მეყოლება
შენი ტოლი და სადარი.

ვახო

რა ექნა, რომ მიყვარს წუნუა
და არშიყობა ცოტაო;
არ დავივიწყებთ შენს სახელს
არც მე და არცა ტოტაო.

ღმერთი

ცოდვა არ არის ეს, შვილო,
თუ სხვათ უპართე ხელია,
სიფრთხილე გმართებს იცოდე,
იყავი როგორც მელია.

ხევერიანე

მეუფეო, გევედრები,
მომისმინო მეც ვედრება.
დამერწმუნე—ერთ საქმეში
მე ვერავინ შემედრება.

ცნობილი ვარ ყველასაგან
დიაკვანი და მთავართ;
უადგილოდ ვეხეტები,
აღარა მაქვს საშოვარი.

გევედრები, რომ მიბოძო
მე ადგილი ბლაღოჩინის;
სახრავს ვეძებ, მეუფეო,
აღარა მაქვს დარდი ჩინის.

ნიკო

მე გამპარსეს „ყაჩაღებმა“
ათას ცხრაას ხუთსა წელში
და ვიყავი ტყვედ სამი თვე
მეტის-მეტის განსაცდელში

ამისათვის გთხოვ უფალო,
რომ მამილო სამოთხეში.

ღმერთი

დარდი ნუ გაქვს, ჩემო ნიკო,
მოგიკითხავ სამ ოთხ თვეში.

ზაპ. კა.



# სად რა არის, როგორ არის

### სულ ძილი, ძილი...

**ოზურგეთი.** მუშკოოპის გამგეობამ ვარლამის მეთაურობით გამოიგონა დასაძინებელი წამალი, რომლის რამოდენიმე წვეთის გადაყლაპვა სამუდამოდ აძინებს კოოპერატივებს. ცდა მოახდინეს შემოქმედის თემის სამ კოოპერატივებზე და სასურველი შედეგი გამოიღო.

ვაჭრები სიხარულით ცას წვდებიან და ადაწყვეტილი აქვთ ვარლამს ბანკეტი გაუმართონ მათთვის ასეთი სასარგებლო მუშაობისათვის. საზეიმო ლექსების შეთხზვა უკვე დაიწყეს:

ვარლამს წყალი შესდგომია
კოოპერატის თია-ქარი..

ახალ გამგეობას განძრახვა აქვს საზღვარგარეთ კაცი გაგზავნოს და გასაღვიძებელი წამალი შეაძინოს.

### ვგიხსნიან კურსებს.

**სოფ.** მაკვანეთი. საშკითხველოს შენობაში დაარსდა კურსები, სადაც ასწავლიან: ქეიფს, ცეკვას, სადღეგრძელოების გამოთქმას და სხვა

### ლორებიც გვეხმარებიან

**სოფ.** წითელმთა კოოპერატივის ქვეშ და სარდაფში მოიშენეს საუკეთესო ჯიშის ლორები, რომლებიც ევროპიულ ყაიდაზე ამუშავებენ მახლობელ ადგილებს და გზას პირებს.

ფიშტო.

### საძაღლეა თუ ბუფეტი

**დ. ხარაგოული.** სადგურის ბუფეტის მოიჯარადრემ შეიძინა რვა ძაღლი, რომლებიც მგზავრებზე და მოსადილეებზე ნადირობენ.

ქრ—იანი.

### ასეც უნდა

**ქ დუშეთი.** ეპოს გამგეობამ დაკეტა წითელი სასადილო, რათა მუშა მოსამსახურენი შეეჩვიონ ოჯახურ შრომას: საჭმელის დამზადებას.

### საყვედურის ღირსია.

**იქიდანვე.** ქალაქის ბაღში დადგმული შოთას ძეგლი პროტესტს აცხადებს ადგილობრივ მის მკლევართა წინააღმდეგ, რომ ამდენხანს ვერ შეიძლეს მისი ვინაობის გაგება. ბევრი ლოდინის გამო ძეგლს ჰაღარა გამოერია.

დუშელი გიზა.

### მოგვიმატეთ არღანი

**ქ. ხამტრედია.** ნაჩხეტაური. შედუქნე ჯოგეიშვილი და მეარღნე მგელაძე შეთანხმებით მუშაობენ. ხსენებულ სამიკიტნოს ამ ბოლო ხანებში ბევრი მოქეიფენი აწყდება და მგელაძას ერთი არღანი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. საჭიროა ერთი არღნის მომატება, თორემ მოქეიფეთა შორის მოსალოდნელია ალიაქოთი.

ნოკერია.

### „კარგი რეცეპტი".

**ძირულა.** ადგილობრივი ქარხნის ადგილკომი მეტი მუშაობით ჰლექით დაავადმყოფდა. ექიმებმა მას შესაფერი რეცეპტი გამოუწერეს: მახლობელ სოფლებში რაც ქათმები და ღვინოა, სულ ავადმყოფმა უნდა შესჭამოს-შესვას, რათა დაიბრუნოს თავისი დაკარგული ჯანმრთელობა. ხარჯები დაიფარება ადგილკომის შემოსავლით.

### უებარი წამალი.

**იქიდანვე.** დამზღვევ კასის გამგეს ყოველთვის სტკივა მუცელი და ამიტომ მას მუდამ უდგია არაყით სავსე ბოთლი.

### მაინც აინაზღაურებენ.

**იქიდანვე.** „ზაკტპო-"ს თანამშრომლებს მოაკლეს ჯამაგირი; სამაგიეროდ ნება მისცეს თითოეულ მუშტარს შაური მეტი გადაახდევინონ.

ბულა.

## შემოქმედი

შემოქმედში კვირას
„საღამოა ჭმა-სმით"*).
გულზე გადამწმინდა
ასე კითხვის დასმით.

იშტაზე მოვედი
„შემეხეთქა" მეცა.
„აფიშის" კითხვაზე
ღვინის სუნი მეცა.

სახლისკენ მოვკურცხლე,
როგორც სწრაფი ბატი
და მოვნახე სტვირის
„პატენტი", მანდატი,

რომ ქეიფში ვინმეს
არ წაევლო ხელი
და არ წაეგლიჯა
ისეც წვრილი ყელი

— თორემ მე ვიცოდი,
რომ ვერ მიშველიდა
ტარტაროზი და ვერც
სამსახური წმინდა—.

*) განცხადებიდან.

ისე მიბერტყავდენ
გამაცლიდენ სიქას,
თავში დამარტყამდენ
ღვინით სავსე ქიქას.

— და რომ ავცდენოდი
ასეთ ხიფათ-ჭირსა,
ახალ-ახალ ჰანგზე
ვამღერებდი სტვირსა.

(ყველას ქებას ვუძღვნი,
ვით გავბედავ ძვირსა,
ანდა რომ ვსთქვა—რამე—
მომამტვრევენ ცხვირსა).

მაგრამ ბოლოს მაინც
ჩემი დამემართა:
როდესაც სმა ღვინის
კარგად გაიმართა

და დაჰკარგეს გრძნობახალხი მიწვა, მოწვა...
გულში ვამბობ:—ახლა
ჩემი საქმე მოწყვა.

ვის სკამი ექცევა,
ვინ სუფრაზე არწყევს;
სხვები თავს ერევა
რაიკომისა წევრს.

ცოცხალ მკვდარი მთვრალი
ის სახლში მიაქვენ...
გორავს ალმასკომის
თავმჯდომარე აქვე.

„ჯაიბეს არ აკლდება,
ყელზე კი არ უცდის",
არ მოელის: შიში,
სტკივარი მუცლის.

სწორედ ასე იყო...
საქმე ასე წახდა
და რაც სიზმრად ვნახე,
ცხადში ასე ახდა.

„უტუ".




ყველა შეგნებული მუშა-მოსამსახურე
და მშრომელი უნდა იყოს
გაზეთ
„მუშა“-ს
მკითხველი და ხელისმომწერი
რადგან, იგი მათი ინტერესების დამცველი
და გამომხატველი გაზეთია.
ყველა ხელის მომწერლები მიიღებენ უფასოდ ყოველთვიურად
ჟურნალ
„ტარტაროზი“-ს
ორ ნომერს.
რედაქცია და კანტორა: რუსთაველის პროსპექტი № 24.

პროლეტარიატო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 13 სექტემბერი 1925 წ.




ურიგდება უფასოდ

№ 17—(20) გაზ. „მუშა“-ს ორკვირეული უფასო დამატება. № 17—(20)

## „სმა-ჭამა კარგად შესარგი...“

„ამ ბოლო დროს ძალიან მოუხშირეს პასუხისმგებელ პირებმა ფულის გაფლანგვას“
(გაზეთებიდან)



დღეს არი, მერე მოვკვდებით,—სიცოცხლე არ არის გრძელია.
სტუმრათ ვართ ამა ქვეყნადა, სიკვდილი არის ძნელია.
რა არის იგი სიცოცხლე, როცა მშრალი გვაქვს ყელია.
მშრალსა ყელსა სჯობს რომ გვქონდეს ყელი კახურით სველია.

სანძისი ფასობს ერთ კუტრად და საზამთროდ კი ზრდილობა.
ფულის შეჭმაა ადვილი, არ უნდა გამოცდილობა.
თუ კაცს არა გაქვს უნარი, ვერ გშველის გვარიშვილობა.
კუტა იმათსაც აქამდე ვის შესძლებს გიყოს ცილობა

ფული გქონია ძალიან, (ბლომად გყავს „ცოლი“ და ხასა).
დასწერე, გამოატანე ვინ გაკიბედავს შენ რასა;
თვითონ ხარ მეტრონ-პატრონი, ვინ ამოიღებს ცუდ ხმასა...
პატიოსნება ამ ქვეყნად, მითხარი — ვინ დააფასა.

დიგტანჯავს წუთი სოფელი არა გაქვს შენ თუ ფულია.
უფულო კაცსა არა აქვს სიცოცხლის სიხარულია.
ქეიფით და დროს ტარებით ჯანს და არის გულია,
რასაცა შესჭამ შენია, რაც არა დაკარგულია.

# „კულტურული მუშაობა“ სოფლად

„ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ამ ზაფხულზე ჩვენი სტუდენტობა და სოფლის მასწავლებლობა სოფელს წაადგებოდა, მაგრამ იმედი არ გაგვიმართლდა. დადგამენ წარმოდგენებს „ვახშამით“ (უფრო სწორად ვახშამს წარმოდგენით) და მთელ ღამეს ქეიფობენ“.

გაზეთიდან.



გლეხი (გლეხ.) ჰმ! ამათგან უნდა მოველოდეთ რამე ხეირს?.. თუ რამე „ორი კაპეიკი შემოვიდა, ამათ ქელეხს არ ეყოფა და სოფელი „მშრალზე“ რჩება.

# როდის დამყარდება ქვეყნად სამოთხე?

გადხხედეთ თქვენი მშვენიერი თვალებით ისტორიის სივრცეს და თქვენ მის ჰორიზონტზე დაინახავთ, რომ კაცობრიობა მარად იბრძოდა ქვეყნად სამოთხის დასამყარებლად.

სამოთხე რომ კარგი რამეა და ყველა აგარაკებზე უკეთესი—ეს ყველამ კარგად ვიცით.

იქ ცხოვრებას რა შეედრება; მაგრამ უბედურება ის არის, რომ იქითკენ გამგზავრება მეტად ძნელია.

მგზავრობის სიძნელე და სიშორე კიდევ არაფერია; ეს ჩვენ ვერ შეგვაშინებს. (შაბათ-კვირის რომ ცხვირპირს ვიმტვრევთ ბორჯომის მატარებელზე, ამაზე უარესი ხომ მაინც არ იქნება?!)

მაგრამ უხერხულობა ის არის, რომ—თუ სამოთხეში ყოფნა გინდა, ამ ქვეყნიდან სამუდამოდ უნდა აიბარგო, ე. ი. უშიშარი სიტყვით რომ ვსთქვათ—უნდა მოკვდე; ეს კი არც ისე ადვილი საქმეა, როგორც გეჩვენება.

ჯანდაბის ცხოვრებაა; იგი არც ისე სახარბიელოა ამ ქვეყნად, რომ სიკვდილის მოგეხათროს კაცს... მაგრამ, ვაი, თუ—მოკვდი და სამოთხეში კი არ მიგიღეს. გამოგინახეს რაღაც ცოდვები, რომლებიც მეტი გაქვს ვიდრე თავზე თმები, (თუ მელოტი არ ხარ და ამ სიცხეში თავი არ გაქვს გადაპარსული); დარჩები კაცი გარიყული: არც აქეთ და არც იქით, არც ამ ქვეყნის და არც იმ ქვეყნის.

აი ეს არის უბედურება, თორემ სხვა მხრივ რა გიჭირს.

ევგენი დვალმა სიკვდილის ლიკვიდაცია გამოაცხადა; უკვე დეკრეტი გამოსცა; იგი ისეთი მტკიცე ხასიათისაა, რომ თავის სიტყვას უკან არ წაიღებს—დეკრეტს აღარ გააუქმებს. ამით მას ჰგონია დიდი სამსახური გაუწია გაცობრიობას, მაგრამ არა... პირიქით: კაცობრიობას დაუკარგა სამოთხე, რომელსაც იმ ქვეყნად მაინც ელირსებოდა. ახლა რაღა ჯანდაბად გინდა სამოთხე? უნდა მარადიულად იცხოვრო ამ გაფუხეკილ ქვეყანაზე და სამუდამოდ გამოეთხოვო სამოთხის ნახვის სურვილს.

უნდა გამოვნახოთ გამოსავალი ამ ჩიხიდან, რომელშიც ევგენიმ მოაქცია კაცობრიობა.

საჭიროა ეს ქვეყანა, რომელიც ახლ მხოლოდ ზოგიერთებისათვის არის სამოთ ხე, ყველასათვის სამოთხედ გადავაქციო

მუშაობა ამის შესახებ დიდი ხანია და წყო კაცობრიობამ. მაგრამ ყველა ის სა შუალებები და გზები, რომლებითაც უნდა ქვეყნად სამოთხის დამყარება, არ გამოდ გებიან.

ფიქრობენ: სამოთხე მაშინ დამყარდებ ქვეყნად, როცა სოციალიზმი და კომუნიზ მი დამყარდებაო. მაგრამ რომ ჰკითხო, თუ ესენი როდის დამყარდებაო, დაიბნევია და გადაჭრილ პასუხს ვერ მოგცემენ.

ჩვენც ვიცით: როცა კომუნიზმი და სო ციალიზმი დამყარდება, სამოთხეც მაში დამყარდება, მაგრამ საქმე ის არის—თ როდის?

რას ეჩჩით! არ იციან როდის დამყარ დება ქვეყნად სამოთხე, მაგრამ, მიუხედ ვად ამისა, მაინც უყვართ სამოთხე და მის თვის თავსაც იწუხებენ.

## თავისებურად გაიგეს

სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად ღვინოზე აქციზი დაკლებულია.

ქრონიკებიდან.



ღვინოს გაიაფება
ო, რა კარგი რამეა.
რაც იშოვნო, ძმობილო,
გადაჰკარი, ჭამეა.

ვინ სთქვა—,,ჩვენი" მთავრობა
არ ზრუნავს ლოთებზეო;
რესტორანში მოვითხოვ
ღვინით ბოთლებს ბოთლებზეო.

---

გული გიკვდება კაცს, როცა ხედავ, რომ ქვეყნად სამოთხის დასამყარებლად აგერ არის მზად საშუალება და იგი ვერ შეუმჩნევიათ, ვერ მოუხმარიათ.

ჩვენ ვამბობთ: რევოლიუციონური გზით სოციალიზმის და კომუნიზმის საშუალებით ქვეყნად სამოთხე დამყარდება, მაგრამ უფრო ადვილად და ადრე დამყარდება იგი ამ ქვეყნად თუ:

მუშკორების არც ერთი წერილი არ იქნება უყურადღებოდ მიტოვებული ალმასკომის, მილიციის, ადმინისტრაციის, პროფკავშირის, ადგილკომების და სხვების მიერ.

წარმოიდგინეთ:

მუშკორების ყველა წერილები ცხოვრებაში გაატარეს. ყველა ის ნაკლი, რომლის შესახებ ისე მოხმობენ ჩვენი მუშკორები, აღარ არის—აღმოფხვრილია ვაჟრები და ხალხის პატრონები, მუშკორებმა ყველა უბნებში გახსნა განყოფილებები, თავხედი ადმინისტრატორები დაითხოვეს, ქუჩები გაანათეს, ხიდი გააკეთეს, რონოდები მოუმატეს ტრამვაის და მატარებლებს, წყალი გაიყვანეს, ფეხსადგილი გაწმინდეს და გახსნეს, გაპირფეხულებს მიხედეს და სხვა ასეთები.

რა გინდათ მეტი!?

დამყარდება თუ არა სამოთხე?

ჩვენ ვამბობთ, რომ დამყარდება და იგი იქნება უკეთესი სამოთხე, ვიდრე საიქიოს არის.

ამიტომ უკეთესი იქნებოდა ხელი აგვეღო ყოველგვარ რევოლიუციებზე, რომლებითაც გვინდა ქვეყნად სამოთხის დამყარება და ცხოვრებაში გაგვეტარებია მუშკორების წერილები.

მხოლოდ ამ საშუალებით შეაძლება ადვილათ და მშვიდობიანათ აქ ქვეყნად ნამდვილ სამოთხის დამყარება.

პინპარი.



## ახია ჩემზე!..

ახია ჩემზე ყველაფერი! უარესიც რომ მემართებოდეს ღირსი ვარ მეთქი, ჩემმა ღმერთმა. არა, რა ეშმაკათ მინდოდა ცოლი?!

ეყოფილიყავი ჩემთვის, მაგრამ რომ გადამეკიდა ძველი ხურჯანივით ის მანჭაკალი და აღარ მომეშვა! „ცოლი შეირთე და ბედს ეწიე. ქვეყანა გაკეთდა ამ სტრახკასიდგან და შენ რა ღმერთი გიწყრებაო! დაქორწინდი რაღა: შვილები გეყოლება და იმის ფულს აგალებინებ, რძას ფულს მოვაცემინებო, მოგიკვდება ვინმე და დასაფლავს გამოვაწერინებ სტრახკასასაო.

ერთი სიტყვით სხვის ფულზე გაქეიფებ სხვა რა გინდაო! თუ გინდა წინდაწინ აგალებინებ ფულსაო, ეხლა რომ შენ ეკადე რომ დედაკაცს ცოტა დაეჩნეს მუცელი და მერე მე ვიცი ხელათ ავანცი ერთი შვილისას აგალებინებ და თუ, ღმერთმა ინება, და ტყუპი გეყოლა, მეორე შვილისასაც დაბავორჩნით გამოვაწერინებო; შენ მხოლოდ დამთანხმდი ცოლის შერთვას და სტრახკასაში მე მოგიხერხებ საქმესაო". თანაც შემაშინა: „ვინც ცოლს არ შეირთამს და შვილი არ ეყოლება, სიკვდილამდის შტრაფი უნდა იხადოს ახალი დეკრეტის ძალითაო".

ეს სტრახკასის ფულების ამბავი გულში შემივიდა, მაგრამ ეს შტრაფი რომ გავიგონე, შიშით კინაღამ თვალის წამწამები გამითეთრდა! მოდი და ნუ შეგეშინდება: ერთიც ვნახოთ და შვილები არ გამიჩნდა, მერე სადღა მიდიხარ!! ეს სტრახკასის ფულებში ხომ დაიკარგება, მაგრამ ამ უშვილობის შტრაფს რაღა უყო! არა, მე ცოტა დედაკაცის მეშინიან, თორემ ეს მე ხომ ნაღდი ვარ. რა ვიცი, კაცო, მამაჩემს დუქინობით ყავდა შვილები და პაპაჩემსაც.

რას ამობ, კაცო, თუ მართლა, დედაკაცი ჯიშიანი გამომადგა და შვილები ბლომათ გამიჩინა. კაი ფულებს ავკრავ სტრახკასიდან, არ უნდა, არ უნდა ამას ლაპარაკი. თუ ტყუპ-ტყუპები იქნა, როგორც მაჭანკალი მეუბნებოდა, ეს ხომ დიანიდ რამეა, მაშინ ხომ მოვკვდები კისერზე სტრახკასას. ჰამ გოსუდარსტვას ბლომათ გაუჩენ ზაშჩიტნიკებს და ჰამაც უშვილობის შტრაფს ავცდები, ერთი სიტყვით ჩემი საქმე გაიჩარხება რაღა!

ვა, ხუმრობა ხომ არ არის, კაცო! დედაკაცი ცოტაოი დაორსულდება თუ არა, მაშინვე ავანსათ ფულს ავიღებ, ცხრა თვე რძის ფულს გაძლევენ ბავშვისთვის, მოკვდება და დასამარხს ავიღებ, მეტი რა გინდა! დაჯექი შენცა და ყლაპე სხვისი ფულები! ვა, რა ოხერი ხალხია ეს კომუნისტები! კაცო, ეს სტრახკასა რა ძალიან კარგი რამე მოუგონიათ! რომელი დურაკი იქნება, სხვის სჩოტზე ცოლი არ შეირთოს! ამას რამე სჯობია!

მეც ბევრია აღარ მიფიქრია. თქმა და ქნა ერთი ვქენა და შევირთე ცოლი.

გაუბედურებულნი ცოლ-ქმარი—ფლიტები (ვერის დაღმართი, რკინეულის ხა-ზიჰო) ვაუწყებთ მტრებს და მოყვრებს, რომ ტრაგიკულად გარდაგვეცვალა ჩვე-ნი შვილის მაგიერი, ძვირფასი და საყვარელი

# კატა (კატო არავის ეგონოს)



თავხედმა შოფერმა ავტო დააჯახა და ფეხი მოსტეხა. სასწრაფო დახმარების კარე-ტით იმ წამსვე გადაყვანილ იქნა მახეკის საავადმყოფოში, სადაც თან ახლდა ჩვე-ნი მეეზოვე პეტროსა. ჩვენმა კატუნიამ (კატუშა არავის ეგონოს) ვერ გადიტანა ოპერაცია და განუტევა სული; გთხოვთ მოხვიდეთ, დაიტიროთ მიცვალებული, რო-მელიც კუბოში ისე წევს, თითქოს სძინავსო, იმედი და ნუგეში მოგვეცით ჩვენ და შემდეგ დაგვასაფლავებითი, როგორც ჭეშმარიტი ცხონებული. თქვენ შვილიშვილები ხართ და სამაგიეროთ ასეთ უბედურების დღეს ჩვენ დავიხდით თქვენს პატივისცემას.

მართალია ერთი მაიმუნი ვინმეა ჩემი დედაკაცი, მაგრამ პირობა მომცა, რომ სულ ტყუპები მეყოლება და უშვილობის შტრაფი არ გადაგხდებაო.

მეც ვიანგარიშე: თუ, მართალია, ჩემმა დედაკაცმა ყოველ ცხრა თვეში ტყუპი მო-მიგო, თხუთმეტ-წლიწადნახევარში თორმეტი ბავშვი მეყოლება და სტრახკასას ხომ დავა-ნელებ და გავაკოტრებ?!. ერთი დუ-ქნის მეპურის პენსია კიდევ სხვა იქნება პრავიტელსტვოდან მეთქი, ჩოტკში რომ ჩავაგდე კრუგომ მოგება მიჩვენა და გული ვიყავ, რომ ცოლი არ შემერთო! ჩემი დე-დაკაცი, მართალია, დღევანდელ კალების ქელეხას ლავაშივით არის გაპტყელებული, მაგრამ რაკი ტყუპები ეყოლება და დევი-ნოის ავილებ სტრახკასიდან მეთქი, მეც იმიტომ შევაფურთხე ეშმაკს და გადავეკი-დე ჩემს ჩირინა შუშანას!

ერთ დღეს ვნიმატელნათ დავაკვირდი შუშანას და მუცელი, თითქოს, წამოზრ-დილი მეჩვენა! ისე გავიხარდი, ისე გამი-ხარდა, რომ კინაღამ ბუქნა არ ჩამოვუარე! მაშინტალნათ გავვარდი და სრაზუმ ხუთი დოხტური მოვუყვანე, მინდა რადა, რომ გავიგო, თუ რამდენი თვის ორსულია. დოხტურები სინჯავენ შუშანას და მე ხახა დაღებული ვუყურებ და ვცდი, თუ როდის მეტყვიან, რომ ორსულიაო, მაგრამ ბან ჩუნეს!!.

— „ლომბიო უჭამია და იმას: გამოუ ბერია მუცელზეო.

ვა, ისე გავხდი, ისე გავხდი, რომ თით-ქოს მდუღარე წყალი გადამასხეს თავზეო, იქვე ჩავიფუშქე!

— ვერიდებოდი ლოლოსა, დამიხვდა სოულის ზოლისა-ო, რომ იტყვიან, სწო-რედ ეგრე არ მომივიდა!!! ვა, ის პირშავი შუშანა ბერწი არ გამომადგა!!! ტყუპ ტყუ-პი კი არა, ნეტა ერთი გაჩენოდა, თუნდა შვიდთავიანი ყოფილიყო, ოღონდ ანგა-რიშში ჩავარდნილიყო, რომ ამ ვერანა შტრაფს მაინც ავცდენოდი! ეხლა რომ აღარ ვიცი რა ვქნა! ხალხნო, ქრისტიანო, იწამეთ ღმერთი, გამაგებინეთ როგორ მო-ვიქცე?! ეს შტრაფი ვიჩივლო, თუ ამ მაი-მუნი დედაკაცის ბეზპაკეზნათ სახლში ყოლა! ვა, ვა, ვა, ვა!.. რა არ უქენი, რა სრედსტვა არ ვიხმარე, რა ვანები, რა მა-სიაჟი არ გაუკეთე, რა აკუშერკები, რა ექიმი და დოხტურები არ დავახვიე თავზე, მაგრამ მაინც ვერა მოუხერხე რა! ნამდვი-ლი ჯორია, აშკარა ბერწია რაღა ის გვარ ამოსაგდები, ისა!

ვა, როგორ შევრცხვი, როგორ დავიღუ-პე! სადღა გამოვყო თავი! მერე, რა გო-გოები მეძლეოდნენ, რომ ჩემდა საუბედუ-როთ მაგ საზიზღარ ტუმარას არ გადავეკი-დებოდი!

ენას არ იტყვით როგორი აქვს!!! რომე-ლი პილპილი, რომელი წიწაკა, რომელი ხინა, რომ ლი დარიშხანი შეედრება იმას! რომ აყეფდება, თუ კარგი ბიჭი ხარ და ახლოს მიეკარე! ისე დაგიყრის ტლინკებს, გეგონება იაგორას ჯორიაო! ერთხელ იმისთანა ალაგას ჩამაზილა წიხლი, რომ ორსაათნახ ვერი სული ვეღარ მოვიბრუნე!

არა, რო ღრინავს, კაცო ტლინკებს რომ ყრის, რისი იმედით, მიკვირს უფლის მადლია! სითეთრეს მაყუედრის, სილამაზეს, ტანის ფიგურას, თუ ფეხების მოყვანილო-ბას! ერთი სტრახბახით ისა ჰქონდა, რომ: „ჯიშიანი ვარო, ტყუპ-ტყუპებს მოგიგე-ბო“, მაგრამ ისიც ვერა ქნა, იქაც უჯიშო გამოდგა და ტყუპი კი არა, ცალიც ვერ მოიგო და ქვეყნის სასაცილოთ გამხადა კაცი! მაშ რაღას მეტრაბახება, რაღას მი-ყვირის, კაცო, ეს ჯორი, ეს ბერწი ესა!!!

მე შვილებისთვის შევირთე ეს ჯოჯო-ხეთის მაშხალა, თორემ რათ მინდოდა მა-გისთანა მახინჯი!!!

აფსუს არშაკ, რა დღეში ჩავარდი! ეხლა რომ გავეყარო კიდეც, აღარავინ გამომ-ყვება, არა მე და ჩემმა ღმერთმა! იტყვიან: —არშაკა უშვილოა, არშაკა ბრაკია— და კიდევ, ვინ იცის, ავი ენები რას არ მოიგონებენ! ისევ მე დამაბრალებენ, მე-დაჩემა ღმერთმა:

ვა, რა მიყო, რა მიყო მაგ ჯოლაგ ამოსაგდებმა! ამრა, მეც რომ გავლე ხახა და დანგრეული წისქვილივით დავიწყე რო-შვა: ავილებ კასიდან მეთქი! და, ვინ იცის, კიდევ რა არ წამოვეყრანტალე... კაცო, მოკვდებოდეს მაინც, რომ პატარა სამარხო ავილო და ერთი ორი გროში მეც ვირგო ამ სტრახ კასის ფული.

ვა, რა ამბავში იქნებიან ეხლა ჩვენი სტრახ კასის სლუჟაშჩები! მგონია მთელ ქვეყანას მოფინონ ჩემი ნესჩასტიის ამბავი! ერთი, ის ჩვენი სტაროსტა ზავედუსშჩი ხომ ამაკლებს რაღა! იმის სიცილს ვიღა გაუძ-ლებს, ადამიანო, მგონია სულ გადააყიროს მთელი უჩრეჟდენია თავის ხარხარით! იმა-ნაც რა ქორფა სიცილი იცის! ცხვირის წვერზე, რომ გაიკეთებს აჭკებს და ქვემო-დან შემომხედავს: „ვა, არშაკჯან, რა უყა-ვი დღეს ნობოჩკები!“ რაღა ფოხრი, ხალხნო, რა გორი შევხედო თვალებში! აფსუს, რა დაწყობილი პლანები დამეფუშა! ვფიქ-რობდი: იმდენ შვილებს მოვაგებინებ ჩემს დედაკაცს, რომ ჩემს სიცოცხლეში სტრახ-კასის სჩოტზე ვიცხოვრებ მეთქი და, ის კი არა, უშვილობის შტრაფიც მე და-მაწვა კისერზე! ვა, შტრაფი ვაძლიო და ეს ბოსტნის საფრთხობელა გულის დასა-ხეთქათ სახლში ვიყოლიო! არ მინდა, ძმაო, ოღონდ ეს შაპკუნიაის უსტავაში თავი მომაშორეთ და პირძაღლი ვიყო თუ მთე-ლი ჩემი სასტაიანიე შტრაფში არ მივეც! მივეცმ მეღაჩემა ღმერთმა! რას ამბობ, კაცო, შტრაფის მიცემა არ მირჩევნია მაგისთანა მეჯღანჯუნის ყოლას! ახია ჩემზე ყველა-ფერი, ახა!...

ბოგია.

# გამგე ფშუქაძე

— არა და არა... მარაქა არ იქნება... ოჯახშიაც ისე უნდა იყოს, როგორც სახელმწიფოში: ერთი უნდა იყოს მთელი ოჯახის უფროსი—მთავრობის თავმჯდომარე, ე. ი. პრეზიდენტი. ოჯახს უნდა ჰყავდეს კომისრებ—მინისტრები: ფინანსის, შინაგან და გარეშე საქმეების, მომარაგების მინისტრი და უმაღლესი სასამართლო... ყველაფერი უნდა ტარდებოდეს ისევე, როგორც ეს ბუჰალტერიის წიგნებშია... მე ვარ გამგე... გამოცდილება დიდი მაქვს... შეიძლია შევქნა ჩვენი დაწესებულების ნიხედვით ოჯახის მართვა-გამგეობა—

ასე ფიქრობდა ფშუქაძე, რომელიც განყოფილების გამგეა ერთ ერთ დაწესებულებაში. რა საჭიროა იმ დაწესებულების დასახელება; მე დარწმუნებული ვარ: ბევრი ჩვენი მკითხველი იცნობს მას.

ფშუქაძემ თავის ტილოს პორტფელიდან ამოიღო ბლოკნოტი, მიუჯდა ფანჯარის თაროს და მიიღო რა ნაპოლეონის პოზა, შეადგინა კაბინეტი.

მთავრობის თავმჯდომარე ანუ პრეზიდენტი—მე, რომელსაც უფლება მაქვს მდგომარეობის გართულების დროს (როცა ჯამაგირს თავის დროზე ვერ მივიღებ) ვიყო დიქტატორი; ფინანსთა კომისარი და მამარაგების მინისტრი—ჩემი ცოლი—მართა; გარეშე საქმეთა კომისარი—ჩემი ასული—ტუტუცა; შინაგან საქმეთა კომისარი—ჩემი ვაჟი, ტეხნიკუმის მოწაფე—სტაქო და უმაღლესი სასამართლო—ჩვენი ბებია დარეჯან.

როცა გადაიკითხა თავის მიერ შედგენილი „კაბინეტი", წააწერა რეზოლიუციის სახით: „ვამტკიცებ".

ფშუქაძე.

—:—

საღამოს, ჩაის შემდეგ, როცა მთელი ოჯახი დასაძინებლად ემზადებოდა, ფშუქაძემ წაიკითხა კაბინეტის შემადგენლობა, დეკლარაცია და საოჯახო კონსტიტუცია.

„ახალი კაბინეტი მოქმედებას იწყებს დღიდან ამ დეკლარაციის გამოცხადებისა".

ასე დაასრულა ფშუქაძემ თავისი სიტყვა.

რა თქმა უნდა, ოჯახის ყველა წევრები სიამოვნებით შეხვდენ ასეთ ამბავს; ანდა რატომ არ შეხვდებოდნენ, როცა ყველას ერგო „კომისრობა—მინისტრობა".

არ ყოფილა კმაყოფილი მხოლოდ ცოლი, რომელსაც ორი პორტფელი უნდა ჩაებარებია, შეეკითხა:

— მე ვფიქრობ, რომ: მე, როგორც ფინანსთა კომისარი და მომარაგების მინისტრი, ფულებს მივიღებ პრეზიდენტისგან მის სალაროდან; თუ ეს ასე არ იქნება, მაშინ მე უარს ვამბობ პორტფელების მიღებაზე.

— უნდა განვაცხადო ამხ. ფინანსთა კომისრის და მომარაგების მინისტრის საყურადღებოდ, რომ ეს საკითხი, რომელიც ასე აშინებს მას, კარგი ხანია გადაწყვეტილია; იგი უზრუნველყოფილი იქნება; მის განკარგულებაში იქნება პრეზიდენტის მთელი შემოსავალი იმ გადასახადების გამოკლებით, რომლებიც მოაქვთ სხვადასხვა კავშირებს და საზოგადოებებს, რომლების წევრებათ ითვლება თქვენი პრეზიდენტი, ე. ი.—მე. ეს გადასახადები ჯერ-ჯერობით არ შეადგენენ ჩემი ჯამაგირის ნახევარზე მეტს. მაშასადამე—ბიუჯეტი მტკიცე არის და ამხ. მართას შეუძლია დამშვიდებული იყოს.

მთავრობის თავმჯდომარის ამ სიტყვების შემდეგ მის ცოლს მართას—ფინანსთა კომისარს და მომარაგების მინისტრს—აღარაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო და სიამოვნებით დაეთანხმა.

—:—

საქმე გაიჩარხა და ისე წავიდა, როგორც ვერის დაღმართიდან ტრამვაის №№ 1 და 2.

როცა ფშუქაძე ჯამაგირს მიიღებდა, პროცენტების გამოკლების შემდეგ რაც დარჩებოდა, გადასცემდა ცოლს ასეთი მიწერილობით:

**ამხ. ფინანსთა კომისარს და მომარაგების მინისტრს ჩემ ცოლს მართას.**

ამასთანავე ერთად გეგზავნებათ აგვისტოს თვის მეორე ნახევრის ჩემი ჯამაგირი 43 მან. 57 კაპ. რაოდენობით. გევალებათ შეადგინოთ სექტემბრის პირველი ნახევრის ხარჯთაღრიცხვა მტკიცე ბიუჯეტის დაცვით.

1 სექტემბერი 1925 წ. ქ. თბილისი, ჩემი ბინა.
პრეზიდენტი: ფშუქაძე.

—:—

მაგრამ ფშუქაძე სახლში კიდევ უფრო „დიდი კაცი" იყო თავი ისე ეჭირა, რომ გარეშე კაცი ეგონებოდა—ეს არის ქვეყნის უფროსიო.

კაბინეტში, რომელშიაც იგი იჯდა, თავის ზემოთ ასეთი წარწერა ჰქონდა:

**დაუკითხავად შემოსვლა აკრძალულია.**

გუშინ ვიღაც მოქალაქემ ეს წესი დაარღვია და ერთი ამბავი მოხდა.

— თქვენ ქართული კითხვა არ იცით?—კვახით შეეკითხა კაბინეტში შემოსულ მოქალაქეს ფშუქაძე.

— ვიცი.

— თუ იცით, რატომ ვერ წაიკითხავთ ამას?!—და უჩვენა წარწერაზე.

— ეს წარწერა მე წავიკითხე ახლა, როცა კაბინეტში უკვე შემოვედი; თუ ასე გინდათ, მაშინ წარწერა არა აქ უნდა ეკიდოს, არამედ კარზე—

ფშუქაძე ჩაჯდა. მოქალაქე მართალს ამბობდა,

მეორე დღეს ეს წარწერა კარებზე იყო გამოკიდებული.

ის მოქალაქე მეორე დღეს ისევ მოვიდა, რადგან ერთ დღეს საქმის გაკეთება და ისიც სოფლიდან ჩამოსულ კაცისათვის, ძნელია ჩვენს დაწესებულებებში. წაიკითხა კარზე წარწერა, ჩაიცინა და კარები შეაღო.

— კაცო, შენ ვიღაცა ხარ კიდევ ვერ გაიგე? ახლა ხომ კარზე სწერია, რომ დაუკითხავად შემოსვლა აკრძალულიაო?!

— კი სწერია. —

—მერე და რატომ შემოდიხარ დაუკითხავად?—

— კარებთან არავინ სდგას, რომ მისი საშუალებით გავიგო—შეიძლება თუ არა შემოსვლა—და რაკი ასეა, მე მგონია, ვისაც შემოსვლა უნდა—კარებში უნდა შემოიღოს და თქვენ შეეკითხოს ამის შესახებ... თუ თქვენ გინდათ დაუკითხავად არავინ შემოვიდეს—მეკარე უნდა გაიჩინოთ.—

ფშუქაძე ჩაჯდა; მოქალაქე მართალს ამბობდა.

— თუ კი მეკარე მეყოლება, მაშინ რა საჭიროა ეს წარწერა?!—

— მეკარეს ასეთი წარწერა აძლევს მეტ უფლებას, რომ მოქალაქეებს უხეშად მოეპყრას,—

ფშუქაძეს აღარ ჰქონდა გასაქანი და კიდეც დაჩუმდა.

—

ქმას მალა ყოველთვის დიდი ჰქონდა მას; არ ჰყოფნიდა ერთი დიდი ღრმა თეფში ბორშჩი და მეორეს მოითხოვდა;

**მომარაგების მინისტრს მართას**

გთხოვთ მოგვცეთ ავანსად სახვალიო სადილის ანგარიშში ჩათვლით კიდევ ერთი თეფში ბორშჩი თავისი ხორცის ნაჭერით და წიწმინდით ჭურით; მოთხოვნილების ორდერი ჩემს მიერ გამოგზავნილი იქნება მხსენებულ საქონლის მიღების შემდეგ.

# ქუთაისის




ქუთაისელი ბლიჟი. უკაცრავად... ერთი ის მიბრძანეთ: მარკების ყიდვა მინდა და სად იყიდება თუ იცით?

„მახე დაუგის"




არაიცი კაცმა თუ სად მტერი გიდგამს ხაფანგ-მახეს.
მიიკითხავ გაზეთს გზაში... გაზეთი კი შეფარავს სახეს.

მთავრობის თავმჯდომარე: ფშუქაძე

ხშირად სადილზე არ იყო მისი ქალიშვილი ტუტუცა, რომელიც გარეშე საქმეთა კომისრად ითვლებოდა. ეს წყენ და პრეზიდენტს და ერთ დღეს ასეთი ნოტა დაუტოვა სარკეზე, რომელშიაც ტუტუცა წარამარა იმინჯებოდა:

ცირკულიარულად

გარეშე საქმეთა კომისარს

მართალია, თქვენი საგარეო საქმეთა კომისრის დანიშვნის დროს ჩვენ ვხელმძღვანელობდით იმით, რომ თქვენ მარტივად ოჯახისთვის გარეთ ხართ და სახლში კი არასოდეს, მაგრამ ეს თქვენ არ გაძლევთ უფლებას ოჯახისთვის მიღებინებაში იყოთ სისტემატიურ ქუჩებში და ამხანაგებში. უკანასკნელად გაფრთხილებთ რა, წინადადებას გაძლევთ წარმოადგინოთ ორი საათის განმავლობაში გასამართლებელი საბუთი წუხანდელი თქვენი სახლში გათენების დროის შესახებ.

5 აგვისტოს, 1925 წ. ქ. ტფილისი.
ჩემი ბინა

მთავრობის თავმჯდომარე ფშუქაძე.

—|—

როცა ფშუქაძე სამსახურიდან სახლში დაბრუნდებოდა, მაგიდაზე მას თხოვნები დახვდებოდა.

მთავრობის თავმჯდომარეს

ვინაიდან კარგი ხანია ფეხსაცმელები გამიცვდა და უკვე გამიდა „ნიკოლაიშვილის ბაზრის იარმუკაზე", გთხოვთ გასცეთ განკარგულება ჩემთვის ფეხსაცმელების შეძენის შესახებ.

შინაგან საქმეთა კომისარი სტაქო.

ფშუქაძე წააწერდა წითელი ფანქარით:

დასაკმაყოფილებლად გადაეცეს მართას. სტაქოს მიეცეს გაფრთხილება, რათა ფეხსაცმლებს უფრო მოერიდოს. აეკრძალოს ფეხბურთის თამაში.

—|—

ჩვენი ოჯახის პრეზიდენტს

გთხოვთ მომცეთ დამატებითი ფული, რათა საშუალება გვქონდეს შევიძინოთ კონტრაბანდული დუხები.

თქვენი ცოლი მართა.

წააწერა:
დაკმაყოფილდეს.

ფშუქაძე.

პრემიერ მაზარეს

მე, როგორც გარეშე საქმეთა კომისარი უნდა ვიყო ყოველთვის ძვირფასად გამოწყობილი. ამიტომ გთხოვთ მისცეთ დედიჩემს განკარგულება და ფული, რათა შეკერილ იქნეს ჩემთვის ჟერსეი საჭირო და დიდის ტუფლები.

საგარეო საქმეთა კომისარი ტუტუცა.

წააწერა:

ჯერ-ჯერობით მოსალოდნელია თქვენი გადაყენება, ამიტომ საქმის გამორკვევამდე, თქვენი თხოვნა უყურადღებოდ არის დატოვებული.

ფშუქაძე.

ასეთ პასუხზე ფშუქაძე ღებულობს პროტესტს.

თქვენი თავხედური პასუხი კიდევ ერთი — დიკასტების ჩვენს, რომელიც გიგზავნით ამ განკარგულებას:

ჩემს ქმარს ფშუქაძეს

დაუყოვნებლივ დააკმაყოფილეთ, თორემ ისე აცეხილია, რომ სხვა წყაროს გამოსახვით შეიძენს რასაც გთხოვს, რაც შეურაცხმყოფელია თქვენთვის.

თქვენი ბებია: დარეჯან.

მეორე დღეს ფშუქაძე გაბრაზებული მიდის სამსახურში. თავისუფლების მოედანზე პაპიროსის გამყიდველს ასე მიმართავს:

გთხოვთ მომცეთ ათი ცალი პაპიროსი „ბიჭოს", და დაუყოვნებლივ შემატყობინოთ თუ რა გერგებათ.

ამის შემდეგ ის ჩაჯდება ტრამვაის პირველ ნომერში და კონდუქტორს ეუბნება:

გიდგენთ რა ორ შაურს, გთხოვთ მომცეთ ჩემი გადასვლის დუბლიკატი — ბილეთი ერთი სადგურის მანძილზე და აგრეთვე ხურდა ფული, რაც გერგებათ. უკანასკნელს იმიტომ მოგაგონებთ, რომ არ დაგავიწყდეთ, როგორც ეს ხშირად ხდება.

ფშუქაძე ასე იქცევა სამსახურში, ანდა როგორ მოიქცევა, როცა ეს ოჯახის პრემიერია და დღეს დილით სადილის ფული არ დატოვებია. ამ გარემოებამ კინაღამ კაბინეტის კრიზისი გამოიწვია — მისი ცოლი მართა იმუქრებოდა ფინანსთა კომისრობის პორტფელს. ფშუქაძემ მიიღო წერილი და ფული გაატანა ცოლთან სამსახურიდან.

ცოლი სწერდა:

ამხ. ფინანსთა კომისარს და მომარაგების მინისტრს — მართას

ამას მიღებისთანავე გაძლევთ წინადადებას ბაზარზე და შეიძინოთ სადილისთვის სურსათი სულ 1 მან. 47 კაპ. სადილი არ დააგვიანოთ.

ფშუქაძე.

წ. შ. — ბორშჩის ზევრი, „კომპოტი" უყვარ

ფ.

სადამოს ქვევან მართა სახლში არ არის. მეზობელთან პოკერობს. ფშუქაძე აგზავნის სტაქოს და ცოლს უგზავნის მიწერილობას:

გაძლევთ სასწრაფოდ გამოცხადდეთ, მე უკვე დასაძინებლად ვემზადები.

თორმეტ საათზე საწოლზე ჩაძინებული ფშუქაძე ცოლს გადაულოცავს რაღაცას:

შენ ბატონო გაცნობებთ, რომ უკვე მეძინება და თქვენც შეგიძლიათ დაიძინოთ.

„ბეზინგი".

# ფურცელი

## „ბაიბა“



მიდიოდი—და უეცრად შენ მახეში ჰკარი ფეხი...
როს მოგწიეს მაშინ იგრძენ-და დაგეცა თავსა მეხი,

## „შეკერვა“ და „ლიკვიდაციის კითხვა“



შეგიყვანეს რესტორანში—ქეიფია ქუთათური.
„რეჩს“ გეტყვიან, რომ შენსავით სხვა არ არის ბედაური.

## ქუთათური ქეიფი



ეს ამბავი, რომელიც ამ სურათზეა გამოხატული ამ ახლო ხანში მოხდა ქალ. ქუთაისში ერთ-ერთის სასწავლებლის სახურავზე, სადაც საგანგებოთ მოწყობილია საქეიფო ადგილები. ამ ნომერში მხოლოდ სურათის მოთავსება მოვასწარით. შემდეგ ნომერში გამოვაქვეყნებთ მოქეიფეთა სიას და მომხდარ ამბავს დაწვრილებით. საქ. ნაცნობად გაგზავნილი გვყავს ტარტაროზის აგენტი.

p-7141

# რწყილი და ჭიანჭველა

რწყილის და ჭიანჭველას ამბავი შეთხზულია ცხონებულ ნიკოლოზის დროს და მოთავსებულია მეორე ნაწილ დედა ენაში.

ნიკოლოზის რეჟიმს თავიდან ჰქონდა გათვალისწინებული, რომ ქრთამი არის ხაზელმწიფოს ძირითადი დებულება; ამიტომაც ბავშვებს თავიდანვე აჩვევდენ ამ ჩვეულებას და მეორე განყოფილებიდანვე უკვე აწვევლიდენ რწყილს და ჭიანჭველას.

ახლა „ქრთამს“ ცოტათი მოიხერცხვილეს, მაგრამ თავის მნიშვნელობას კიდევ არ ჰკარგავს.

დღეს ქრთამის მაგივრად უფრო ხმარებაშია „ფიქეფეკა“, „შეჭმა“ და „პატულიანგავა“.

მაგრამ ამ სიტყვებზე უფრო უახლოვდება ქრთამს ძმა-ბიჭობა, ძმა-კაცობა, ნაცნობ-მეგობრობა.

მაგ. ძმა-ბიჭი ძმა-ბიჭურად ძმა-ბიჭს დაეხმარა, კანონს მისწვდა-მოსწვდა და ხლაფორთთა თავიდან აიცილა.

ძმა-ბიჭი ძმა-ბიჭს ამისათვის მადლობას ასე უხდის:—გადაგვხედეთ პატივისცემას.

ჩვენ გვგონია, ეს „გადახედვა პატივისცემისა“ არის ძმა-ბიჭური, ამხანაგური, შინაური ქრთამი.

„ძმა-მოსთვის, შავი დღისთვისაო“ დიდებულა თქმაა. სწორედ აქ არის ქრთამის საფუძველი, რომელიც კარგად იცის ზოგიერთმა ძველ სკოლაში აღზრდილმა.

ეხლა შევხედოთ მოთხრობის რაინდებს:

რწყილი ეწოდება ისეთს ძმა-ბიჭს, რომელიც კბენით არავის მოსვენებას არ აძლევს; სისხლს სვამს და მას ვერასოდეს დაიჭერ.

ჭიანჭველა ქვია ისეთს ცხოველს, რომელიც რწყილზე უფრო მძლავრია, მაგრამ მოხერხებული ვერ არის და ცხოვრებისთვის მეტი ბრძოლა სჭირდება.

შევუდგეთ თვით მოთხრობას:

იყო და არა იყო რა; იყო ამ ქვეყანად ერთი ცქვიტი რწყილი და ერთი ჭიანჭველა. რწყილი ლამლამობით დაეძებდა ცხელ-ცხელ სისხლს და დღით კი დახტოდა. ჭიანჭველა კი მშვიდობიან ცხოვრებას ეწეოდა და წმინდა შრომით თავს ირჩენდა.

ერთ ხელ წუწაობის დროს შეხვდა გასუქებულს რწყილს და მიაჩერდა, თან გულში ფიქრობდა:—მეც ვწვალობ, ვშრომობ და მაინც არაფერი მეშველა, ეს კი ვიღაც ობერია, რომ გასუქდაო.—გაიჩერა და გამოჰკითხა ვინაობა.

რწყილმა, რასაკვირველია, მოუთხრო თავგადასავალი და წინადადება მისცა, რომ მასთან წასულიყო უფრო მეტი ქეიფის საშოვნად. ჭიანჭველა ჯერ უარზე იდგა, მაგრამ შემდეგ რწყილის კოხტა ხტომით და მჭერმეტყველობით გაბრუებულმა დაჰკარგა წმინდა მუშაობა მუშაობა და გაჰყვა მსუქან რწყილს. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, მიადგნენ პატარა მდინარეს (მდინარეში ძველი რეჟიმი ალბად გულისხმობდა სხვადასხვა დაბრკოლებებს ქრთამის აღების დროსა).

რწყილმა უთხრა: „მე აქ გადავხტები, მაგრამ შენ რაღა ეშველებაო“! ჭიანჭველამ ეს იუკადრისა:—მე შენზე უკეთესად გადავხტებიო“.

რწყილი ახტა-დახტა და შიგ შუა წყალში ჩავარდა. ძალიან დასველდა, მაგრამ ტანისამოსს ჯანიც გავარდეს—იქვე ხის ტოტი რომ არ ყოფილიყო, ისე თქვენს მტერს გაუფუჭდა საქმე, როგორც ის დაილუპებოდა. კიდევ კარგი რომ არ დაიხრჩო, თორემ რწყილს ორმაგი ხარჯი მოუვიდოდა: უნდა ეყიდა კუბო განსვენებულ ჭიანჭველასათვის, უნდა დაექირავებინა მუსიკა და დაესაფლავებინა რომელიმე ეკლესიაში.

ჭიანჭველა შეევედრა რწყილს:

„ძმაო, ოღონდ ეხლა მიშველე და სამაგიეროდ იქიდან გამოგიყვანო“.

შეშინებული რწყილი ახტა-დახტა, მივიდა იქვე ლორთან და უთხრა:

— ლორო შენ შეგიძლია შველა! წყალში რაღაც ჯაგარია; დაგვგრიხე თოკი და ამოვიყვან ჩემს ძმა ბიჭს“ თან ჩუმად ყურში რაღაც ჩაუჩურჩულა.

ლორმა უთხრა: „არა ძმობილო, თუ შენ ჩემთვის ცხლავე არ მოგიტანია რკო, ერთს ბეწვ ჯაგარსაც ვერ ეღირსებიო“. რწყილი ახტა-დახტა და მივიდა იქვე კომისარიატით გამოჭიმულ მუხასთან და სთხოვა:

— მუხა მომე რკო, მას მივუტან ლორსო, ლორი მომცემს ჯაგარსა, დავგრეხ ბაწარს და ამოვიყვან ჩემს ძმა-ბიჭსაო“—და თან ყურში ჩაუჩურჩულა.

მუხამ ამპარტავნულად უთხრა:

— არა ბიძია, მე ისე უბრალო კაცი არა ვარ, რომ ცოტა რამეს დაგიჯერდე; თუ შენ ჩემთვის ყვავი არ მოგიშორებია, ერთ კაკალ რკოსაც ვერ მიიღებო“.

რწყილი ახტა-დახტა, მივიდა იქვე მუხისავე ყვავთან, რომელიც რევიზორივით გამოიყურებოდა და უთხრა:

— ყვავო, თქვენო აღმატებულებავ! ნუ უკეთებ რევიზიას მუხასა, მუხა მომცემს რკოსა, რკოს მივუტან ლორსა, ლორი მომცემს ჯაგარსა, დავგრეხ ბაწარსა და ამოვიყვან ჩემს ძმა-ბიჭსაო“—და თან ყურში ჩაუჩურჩულა.

ყვავმა ახედ-დახედა ამ ცხოველს, ულვაშებში ჩაიცინა და უთხრა:

— თუ ჩემთვის კარგი ჩაფსკვნილი წიწილა არ მოგიყვანია, არ მოვეშვები კამისარ-მუხასო.

რწყილი ახტა-დახტა, მივიდა იქვე მდგარ ჩასუქებულ დედალთან და უთხრა თავისი გასაჭირი.

დედალმა უთხრა:

— შენი ფეშქაში იყოს ყველა ჩემი ასულები, მოუყვანე არშაყ რევიზორს რომელიც გინდა, ოღონდ ფეტვი კი მომიტანე—და თან არშიყულად გადახედა რწყილს. რწყილი დადნა ამ შემოხედვით, მაგრამ თავი შეიმაგრა და გასწია წინ.

მიადგა იქვე სალაროსავით გამოჭიმულ ორმოს და მოუყვა თავისი გაჭირვება.

სალარო-ორმომ უთხრა:

— პატიოსნებო, წაიღე რამდენიც გინდა სახაზინო ფეტვი, ოღონდ წყეული თაგვი მომაშორე.—

რწყილი ახტა დახტა და მივიდა თაგვთან, რომელიც გამოიყურებოდა გაიძვერა წუწკ მოხელესავით და უთხრა თავისი თავგადასავალი. თაგვმა დააქნია ულვაშები და უთხრა:

— წადი მომაშორე კატა და შევასრულებ თხოვნასო.

რწყილი ახტა-დახტა, მივიდა იქვე დაწესებულების უფროსის მსგავს კატასთან და მოუყვა რაც თავს გადახდა.

კატამ უთხრა:

— კი მაგრამ, ცოტათი კუჭი მტკივა და რძე მომიტანეო. საბრალო რწყილი ახტა-დახტა და მივიდა იქვე მდგარ ძროხასთან და სთხოვა რძე. ძროხამ მოსთხოვა ისე ბევრი ბალახი, რომ მთელი ზამთარი ჰყოფნოდა.

რწყილი გავარდა ახლომდებარე მინდორში. იქ იდგა ჩამგალი და ჭკვიანი მოჯამაგირე ბალახზე, რომ იმ დროს სად იყო, სად არა, გამოჩნდა გლეხი და შეუყვირა:

— ეი, ვინა ხარ მანდ?! განა არ იცი რომ ბალახი მას ეკუთვნის, ვინც მასზე იშრომა და ოფლი დაღვარაო.

გაკვირდა რწყილი, ისე გაოცდა, რომ

# „გამაკეთებ-კაცი“

„ხუთი კბილი მაკლდა. ექიმს ვეჩვენე. 14 კბილი კიდევ ამომაძრო, ახლებს გაგიკეთებთო. ამ კვირაში, იმკვირაში, ამ თვეშიო, იმ თვეშიო გაგიკეთებთ კბილსო... მარა ეს ჯანდაბა ამკვირიე-იმკვირე აღარ ილევა. მე ისევ უკბილოთ ვარ“...



— მე კაი კაცო, ეს კბილები, რომ ხელის გულზე დამიწყვე, საჭმელი რით უნდა ვჭამო?

— კბილებიც იმიტომ დაგაძრე, რომ საჭმელი არ სჭამო და ეკონომიურად წელში გაიმართო.

ენა მუცელში ჩაუვარდა, არ ეგონა, თუ უბრალო გლეხი წინააღმდეგობას გაუწევდა.

რწყილმა უთხრა:

— ამხანაგო, ოღონდ მომეცი ბალახი და იმისთანა სამსახურში დაგაყენებ, რომ მთელი სიცოცხლე უზრუნველყოფილი იყო და თან მოუყვა მთელი თავისი თავგადასავალი.

გლეხმა ჩაიცინა და შეიწვია რწყილი თავის ქოხში. აქ ყველაფერი, რაც რწყილმა უამბო, ჩასწერა ოქმში და უთხრა რწყილს:

— ეხლა, ძმობილო, საიდანაც მოსულხარ, იქითკენ მიბრძანდი, თორემ კარგი დღე არ დაგადგება.

გაბრაზდა რწყილი, თმები ყალყზე დაუდგა; რაც ძალა და ღონე ჰქონდა ახტადახტა და ჩაჰკბინა გლეხს უპეში და ისე მწარედ უკბინა, რომ საბრალო გლეხს ცრემლები მოადგა თვალზე. გაბრაზებულმა დაიჭირა თავხედი რწყილი და შუშას კოლოფში მოათავსა.

აქასობაში ჭიანჭველა, რის ვაივაგლახით უკვე ამოსულიყო წყლიდან და ეძებდა რწყილს. ბევრი ძებნის შემდეგ მიადგა გლეხს. რა ნახა, რომ ძმა ბიჭი შუშაში იყო მოთავსებული, ძალიან ეწყინა და არ იცოდა რა ექნა. ბოლოს, როცა ვერაფერს გახდა, ადგა და გლეხს ოქმი მოჰპარა და ისეთ ჯურღმულში გადამალა, რომ ტარტაროზის გარდა მას ვერავინ მიაგნებს.

რაც შეეხება ლორს, მგელს, ყვავს, ქათამს, ორბს, თაგვს, კატას და ძროხას, ესენი სიხარულით ელოდნენ საჩუქრებს და დაუღალავს უცდიდნენ, მაგრამ, საუბედუროდ, გლეხმა ნამგლით მოთიბა მათი იმედი.

ტარტაროზის ქუდი.

# „მისაბაძი მაგალითი"



## გაკირულში (ოზურგეთი)

ზოგიერთი ვაჟბატონი
(ორიოლამა გარეშენაც
ურევია ჭათქი მგონი)—

მისჩვევიან ნარდის თამაშს
დუქნების წინ სადაც გრილა
და კამათლებს აგორებენ
საღამოა ან თუ დილა.

ორს საათში წააგებენ
ერთი კვირის ნაშოვარსა...
კარტის თამაშს თუ იკითხავთ,
არ ამბობენ მასზეც უარსა.

მშრომელებსაც გულს უცრუებს
მათი საქმე „საგმირონი"...
ტარტაროზო, ჩანგალს თუ ჰკრავ
გიცხონდება შენ მირონი.

ი. ჩაიდულიძე.

# „ბაყაყეთი"

ტრაგიკული კომედია და კომიკური ტრაგედია ოთხ სურათად

მოქმედნი პირნი:

თავმჯდომარე ნოსირის თემის აღმასკომისა.

ადმინისტრატორი.

მდივანი.

საქ. მწარმოებელი.

აღმასკომის ნოქარი.

მოსეირნე ხალხი, საბჭოს წევრები, მეთევზენი, კუ და ბაყაყები.

1

ნოსირის ბაქანი. სიღრმეში მოსჩანს დუქნები და მათ მარცხნივ თემის აღმასკომი. ბაქნის დასავლეთით ტბა, რომელიც 1895 წლიდან ნეიტრალურ ზონად არის გამოცხადებული ყველა სახელმწიფოებიდან ჩამოსულ და აქ თავმოყრილ ბაყაყების მიერ.

აღმასკომში სხედან: თავმჯდომარე, ადმინისტრატორი, მდივანი და საქ. მწარმოებელი.

თავმჯდომარე. გუშინ კიდევ შემოვიდა საჩივარი ამ ოხერი ტბის წინააღმდეგ. ხალხი გვემუქრება, თუ ბაყაყების წინააღმდეგ რამე შესაფერი ზომები არ მივიღეთ... მდივანო, წაიკითხე საჩივარი!

მდივანი. (კითხულობს) ჩვენ, ნოსირის თემის მცხოვრებნი რაოდენობით 2160 სული მოგმართავთ თქვენ—ყურადღება მოგვაქციოთ და მოგვასვენოთ ბაყაყების შეწუხებისაგან; წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი აღძრული იქნება მაზრის აღმასკომში.

ადმინისტრატორი. (უცბად) მოიცადე, ახლა მომაგონდა.

თავმჯდ. კიდევ საჩივარია თუ?

ადმინისტ. (გადასცემს ქაღალდს) წაიკითხე, ამხ. მდივანო... ხმა მაღლა წაიკითხე, თორემ ამ ოხერ ბაყაყებისაგან აქაც არაფერი არ ისმის.

მდივანი. (კითხულობს ხმა მაღლა) ფოთის ხაზის რკ. გზის ბრიგადა და განსაკუთრებით მემანქანენი, პროტესტს ვუცხადებთ, როგორც ნოსირის თემის აღმასკომს, ისე ადგილობრივ მცხოვრებლებს იმის გამო, რომ ბაქნის ახლოს მდებარე ტბის ბაყაყთა აურზაურით დაფრთხილი ორთქლმავალი („ბარაბანი") მგზავრებს ასვლა-ჩასვლის დროს მიწაზე ანარცხებს, რაც ძვირად უჯდება რკინის გზას.

თქვენი მოვალეობაა ეს ტბა ამოაშროთ, რასაც მხოლოდ ერთი დღის მუშაობა სჭირია. (მოისმის [illegible] ყიყინ-წივილი. ყველანი წამოვარდებიან).

თავმჯდომარე. (შეშინებული) ადმინისტრატორო, გაიგე, შენ გენაცვალე, რა ამბავია?! (ადმინისტრატორი გარბის. ისმის მეორე მხრიდან კივილი). საქმის მწარმოებელო, აბა, მოჰკურცხლე და გაიგე, რაშია აქ საქმე (ისიც გავარდება გარედ). მდივანო, შენ ჩემთან დარჩი ყოველ შემთხვევისათვის. დასწყევლოს ღმერთმა და ეშმაკმა! დღეს ხომ არ იქცევა ნოსირი?! ერთი თვეც არ არის, რაც აქ გამომგზავნა მაზრამ, და ამ ხნის განმავლობაში ასჯერ კი მოხდა ასეთი აურზაური... ტფუ, ამასაც საქმეს.

მდივანი. საჭიროა მზად ვიყოთ, ამხ. თავმჯდომარევ. (ხელზე დააფურთხებს და სრესას დაიწყებს).

ადმინისტრ. (შემოდის აღელვებული) დაუშვებელია, დაუშვებელია, ამხანაგებო.

ყველა. რა ამბავია?! ვიღუპებით?

ადმინისტრ. კიდევ მსხვერპლი... აი! ეს საწყალი ბაყაყები.

თავმჯდ. ვინ დაიღუპა?

ადმინისტრ. კუმ.ს ახალ-ხურკაში ბარნაბა ძველაიას მოხსენება გაუგზავნია. რო-



**სრულიათ ალმასკომის წარმომადგენელი „ულტიმატუმს“ უკითხავს ბაყაყებს:**

მე ჩემი თემის და მისი ალმასკომის სახელით გიდგენ „ურტიყიბარტყუნს, რის მოსმენის შემდეგ გევალებათ ოცდ-ოთხი საა-განმავლობაში აიკრათ თქვენი ბარგი-ბარხანა და დასცალოთ მიდამოები, რათა ადგილობრივ მცხოვრებს საშუალება მიეცეს დაიძინონ ღამით და დღით კი სუნთქონ წმინდა ჰაერი.

ცა თავისი ადიუტანტით უკან დაბრუნებულა, უურადღება მიუქცევია ბაყაყთა უნამუსო კონცერტისათვის. მას განუზრახავს მათ[illegible] თვის მოხსენების გაკეთება, მაგრამ ტბის ნაპირას ფეხი დაცდომია და ტბაში გადავარდნილა, თან თავისი ადიუტანტიც ჩაუთრევია. (ალბად თავის შესამაგრებლად ხელი მოჰკიდია) ახლა მასი ჭორისფეხსალია ჭკვიან.

**საქ. მწარმოებელი.** (შემოვარდება) არიქა, ლომები, ბიჭებო... ლომები, ლომები... იღუპება ხალხი.

**თავმჯდ.** (თავზარდაცემული) სტყუი შენ! აქ ლომები საიდან მოვიდოდნენ. (მდივანი და ადმინისტრატორი მკაფიოდ ახტებიან).

**საქ. მწარმ.** კაცო, რკინის ლომები, რკინის ლომები, რკინის.

**მდივანი.** (ცახცახით) ალბად ახალი განმარტებაა. (თავმჯდომარეც შეხტება მაგიდის თავზე, საქმის მწარმოებელი წამოადგება ხელს ურტყამს და გარედ გავარდება).

**ადმინისტრ.** დახე! ეს ჩვენი საქმის მწარმოებელი რა გულადი ყოფილა, ეს რაღაც-ძალები.

**საქ. მწარმ.** (შემოდის) ნოქარი ქა მოუყვანიათ და გამგეობა ჯანყობაშიც წასულა, დარდიც არ მაქვს... ვაჰ! თქვენ რას აკეთებთ მაგ?

**თავმჯდ.** როგორ?.. რას ამბობ?.. ლომები [illegible]?!

**საქ. მწარმ.** რა ლომები? ნოქარი და გამგეობის წევრნი კოოპერატივის იატაკში ჩაცვივნდნენ და ლომები იატაკის ასაკრულად გვინდოდა, რომ ისინი გადაგვერჩინა, მაგრამ ნოქარის მეტი ჯერჯერობით უგზოუკვლოდ არიან დაკარგულნი იატაკის ქვეშ... ნუ გეშინიათ... ჩამოდით და საქმეს შეუდგეთ.

**მდივანი.** მე დაღონებული, ასე ვერ საქვე ჰირველად!? შიში გაგვიხეთქა გული—ლომებო... გიფიქრეთ: ეს არის ავრიკის ლომები შემოგვესია-თქო (ჩამოდის).

**თავმჯდ.** ამხანაგებო, მაშ საქმეს შევუდგეთ. ახლავე უნდა გადავსცეთ ბაყაყებს ჩვენი ურტყიბარტყუნი. აბა, მე გიკარნახებ და შენ დასწერე, მდივანო. (უკარნახებს: მდივანი სწერს).

სასხლისღვრის თავიდან ასაშორებლად წინადადებას გაძლევთ ორი საათის განმავლობაში დასცალოთ თქვენს მიერ დაკავებული ადგილები, ან და საშუალოდ დაჩუმდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს მიერ თქვენთან გამოცხადებული იქნება ომი“.

(მდივანი გადაიკითხავს. ყველა მოაწერს ხელს და ტაშს დაჰკრავს. ამ დროს შემორბის გლეხკომის ნოქარი).

**ნოქარი.** დავიღუპეთ, დავიღუპეთ...

**ესენი.** რა ამბავია?.. რა მოხდა?

**ნოქარი.** კოოპერატივში, უბედურების მოხდენის დროს ვირთაგვებს გაუტაცნიათ ორი ყუთი ასანთი და ასი ტარანი, რომლებსაც შევსცქეროდით, როგორც ჯამაგირის გამასტუმრებელ სახსარს. მართალია, სიმინდის ფქვილს ბლომად ვრევთ ზურის ფქვილს და ზურად ვასაღებთ, მაგრამ ამდენ ჯამაგირს მაინც ვერ გაასწორებს ფურნეს შემოსავალი. რაღა გვეშველება აწი; თუ მარტო გლეხებისაგან შემოსულ საწევრო მიდგა ჩვენი საქმე, რას გვეყოფა?! (ბრაზით) ეს ქურდები... მამაძაღლი... მაჰატიეთ...

**თავმჯდომარე.** ნუ გეშინიათ... აწ ვე რეფერს მოგვ...რავენ (მდივანს) ამხ. მდივანო, გადაეცი ჩვენი ურტყიბარტყუნი ბაყაყებს. (მდივანი მიდის; ნოქარიც უკან გაჰყვება).

2

ტბა ბაყაყებით სავსეა. ნაპირზე აქა იქ ბაყაყების ყიყინისაგან გულწასული მოსვენიერეები, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლები არიან. ერთ მხარეს გაყვირვებული კუები ჩამწკრივებულან. ბოლოს ლორები ჩანან მიწის. ისევე ტბაში ცურაობენ. შოდის მდივანი და უკითხავს ბაყაყს, რო-

შელიც ნაპირზე ამოსულა და მზის ვანებს ღებულობს:

**მღივანი.** სად არის ამხანაგო თქვენი უფროსი და წარმომადგენელი?

**ბაყაყი.** (უჩვენებს ტბის შუა ბდგილს) იქ იქი-იქა—იქი-ქი-ქი.

**მდივანი.** (შეტოპავს და წარდგება მათ წინაშე. შიში ლტყოდა, მაგრამ არ იმჩნევს) მე ჩემი თეშის და მისი ალმასკომის სახელით ვიდგენთ ულტიმატუმს. (ბაყაყები აყაყანდებიან) სიჩუმე და გაგონება, ბატონებო (ბაყაყები გაიძახიან: „მე გა-გა-კე-თებ... მე გა გა-კე თებ...“)

**მდივანი.** თქვენი გაკეთებულიც შევარცხვენე და წასხვდარიც... უნდა დასცალოთ ეს ტბა... პასუხი მომეცით საჩქაროთ. (შეურაცყოფილი ბაყაყები იერიშს მიიტანენ მდივანზე, რომელიც შეშინებული გარბის ალმასკომისაკენ. გამარჯვებული ბაყაყები მღერიან გამარჯვების ჰიმნებს).

3

ალმასკომი. მდივანს მოუტანია ბაყაყების პასუხი—უარი. ყველა გაჯავრებულია; მრაზმორეულნი ხელზე ითურთხებენ. და საომრად ემზადებიან. ამ დროს რამოდენიმე ბაყაყი დაეცემა ალმასკომს. ხელჩართულ ომში იმარჯვებს ალმასკომი. გამარჯვებით გათამამებული ალმასკომი, საომრად მ დის ტბისაკენ, სადაც ელოდებიან ბაყაყთა ლეგიონები.

4

ტბა. ხელჩართული ბრძოლა.

**საქ.** მწარმოებელი. ღედა შეირთოს ცოლად, ვინც მტერს ზურგი უჩვენოს.

ადმინისტრატორი. ეხლავე ა ოვსწყვეტ ყველას (ესვრის ოთხ უღიან ზარბაზანს, რომელიც ააფეთქებს მთელ ტბას. დახოცილი ბაყაყებით მოიფინება მთელი მიდამო. ამ დროს მორბის ნოსირის სკოლის გამგე ხელში სანადირო თოფით).

**გამგე.** ოი, თქვენ უბედურნო... ეხლა ხომ დადგა თქვენი შავი დღე. გუშინ თუ მაკე კურდღელი მოვკალი, დღეს რა ხვეწის დაგაყრი თქვენ. (დაუშვებს ბაყაყებს. მთელი ნოსირი ფეხზე დგება. ომში ყველა მონაწილეობას ღებულობს. დამფრთხალი მატ რიბლები შეუჩერებლად გარბიან. ერთი მეშანქანე ძაგურიდან მოსდევს გლეხების ორ ცხენს, მაქანთან დაეწევა და ჰკლავს. (რომ არ დასწეოდა... „პრიზი“ ცხენებს ერგებოდათ). მიცვალებულთა გვამებს საბარგო ვაგონში ათავსებენ... ღამდება. ვიღაც უცნობი ბრძოლის ველის გასანათებლად ცეცხლს უკ დებს ახლად აშენებულ ნოსირის სკოლას)

**ხმები.** გვიშველა, გვიშველა...

ყარ—ამან.



## „მოძრავი სკოლა“

(ხ. ძიმითი)




პართენ გოგუაძე ძალიან ცდილობს ხალხა სწავლა-განათლების გავრცელებას, მაგრამ მის სურვილს ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ სკოლების შენობები უძრავი იყო. ამიტომ მან შეადგინა რაზმი, რომლითაც ახდენს თავდასხმებს სკოლებზე და მათი შენობები გადააქვს ს. „სატურია“-ში. ქვედა ძიმათის შენობის წელების შემდეგ თავს დაესხა ზემო ძიმითის სკოლას ორსართულიან შენობას. წინააღმდეგობა რომ არავის გაეწია, მან წინდაწინვე დააპატიმრა გლეხები, მაგრამ ქალებმა მაინც არ დაანებეს სკოლის წაღება. გაიმართა ბრძოლა, რომლის დროსაც დაიმსხვრა აუარებელი კრამიტი და ფანჯრები.

ვინ იცის რით გათავდებოდა საქმე, რომ მაზრიდან არ გამოსულიყო გ. რამიშვილი. ზავის პირობების მახედვით მოწინააღმდეგეს ერგო შენობას ზედა სართული. ამჟამად ქვედა სართული ფუტკრის ბუდესავით თავშიშველია.

თავშიშველობას ამ ზამთარზე არა უშავდა, მაგრამ აწ როგორი იქნება, არც ისე ძნელი მისახვედრია.

იქაური

# ცურვა

ცოცხალი სურათი ერთ ხანახობად

სცენა წარმოადგენს არსენალის მუშების სასადილოს, რომელშიაც არის: 17 მაგიდა და 101 ორსაცეცხლიანი საკიდომები. ჩოფქას ერლანი „იავ-ნანა“-ს უკრავს. სადილი მზად არ არის. ლოდინში მუშებს აჩმოსძინებიათ. ერთ მაგიდაზე ძაღლი და კატა წამოსკუპებულან.

**1 მუშა.** მაცაკ, კვასი არ გაგიცივდა?

**მაცაკა.** (სამზარეულოდან) ჯერ აქრეა; ორ საათზე კვასიც იქნება და სადილიც.

**2 მუშა.** (მაცაკას) შენმა თავის გახეთქამ—შენა სადილი სადილსა ჰგავდეს.

**3 მუშა.** ხალხნო, გაიგეთ ხმალაძეს რა ბრძანება გამოუცია?—ვინც მტკვარში იბანავებს, ტოტველებს წაგიყვანთო...

**1 მუშა.** ვა! თუ მასე არის—ჩვენც ნუ წავალთ მტკვარში საბანაოთ და ამათ სადალში ვიბანაოთ... ისეთი ცურვა ვიცი, რომ, თქვენი მოწონებული. (იმის საყვარი).

**2 მუშა.** აი, საყვარიც აუშვეს; ახლა ეს გილები დავიკავოთ, თორემ მთელი არსენალი აქ მოვა.

**3 მუშა.** ვა! თქვენი ჭირიმე, ერთი ამ ძაღლს და კატას შეხედეთ!.. წელან როგორ ჭკუიანად იყვნენ და ახლა, როცა საყვარი გაიგონეს, როგორ მომზადებულან... იციან, რომ აქ ჩვენ ხორცის მაგიერად ძვლებს გვაძლევენ და უხარიათ, რომ ძვლებიც მათ ერგებათ.

**2 მუშა.** აგერ ცურიკოვი მოვიდა, და რამდენი სადილი გამოვართვა?

**1 მუშა.** „ვტაროის“ როგორც იქნება ვსჭამ, და პირველში კი უნდა ვიბანაო, რადგან ერეკლეს აბანო დაკეტილია „რემონტის“ გამო.

**3 მუშა.** ტავარიშჩ ცურიკოვ, ტრი აბედა დავაიტე ი ოდვა გარიაჩი კვას.

**ცურიკოვი.** აი ნე ვაშა ტავარიშჩ. ვა სკაროტე ტაკ.—ილი ორკესტრა, ილა გრაჟდანინ ცურიკოვ.

**3 მუშა.** პარდონ, იზვინიტე, უვაჟაემიად. (ცურიკოვი—აძლევს სადილს)

2 მუშა. მამაჩემის ცხონებამ დღეს დიდებული საბანაო კერძია... მარა ეს ევროპერთული ქალი რომ ფეხებს ქვეშ მოგვედოს, მაშინ კი წახდა ჭამის მადა.

1 მუშა. (ძაღლს) ბარბოს, ბარბოს, აბა დაიჭი ძვალი; სწორედ საშენო ძვალი მოგცეს კერძში. (ძაღლი თავის გულში ფიქრობს—აი-გიდი, არსენილის მუშები ჩვენს საჭმელს ლებულობენ).

—

(შემოდიან არსენლის მუშები)

ქვული. ცურიკოვ, ადინ აბედ, ტრი სლადკი ი დვე ფუნტა ხლება.

ცურიკოვი. პალუჩაიტე... პალუჩაიტე.

ერთი მუშა. დაიტე მე აბედ სკარეი, ატო ია გოლოდნი, კაკ საბაკა.

ცურიკოვი, ჩიი საპაკი ნე გოლოდნი.

ცურიკოვის საცოლო. შტო ვი კაკ იეშაკ კრიჩიტე.

8 მუშა. ამხანაგებო, რამდენი ხანია ამ სასადილოში დავდივარ და ყოველთვის ერთ წყალს აქეთებენ. მოდით, და ამ ტბაში ვიცურაოთ; ვისაც უნდა თავი დაიბანოს, და ვისაც უნდა ტანი.

უმეტესობა. ვიბანაოთ, ვიბანაოთ. (პირველ კერძს ერთმანეთს ასხამენ. არის აურზაური და სიცილი).

ხმები. ოჰხ! რა ცხელია ეს სამხრო წყალი.. (კატასაც გადაასხმენ).

კატა. (კნავის) მიაუ.. მიაუ.. მიაუ...

ერთი მუშა. არიქა, ბიჭებო, კატა დავიჭიროთ და მოვხარშოთ.

ხმები. მართლაც კარგი იქნება. ცურიკოვის სადილს კატის ხორცი მაინც გაჯობებს.

ხმა. ნელ-ნელა გალმა გავდივარ და მალე გავცურავ მეორე ნაპირზე.

(არლანი წასვლის მარშს უკრავს და მუშებიც ცურიკოვის წყალით გამობერილნი, იშლებიან).

—ქვა—

# გვაწუხებს დგმურებს

ჩერქეზიშვილის ქუჩ. № 32 ვცხოვრობთ რამოდენიმე ოჯახი. ერთი მდმური,—ეკატერინა სერაფიმოვნასა ძალიან გვ-წუხებს და მოსვენებას არ გვაძლევს. სხვას წყალის წაღების ნებას არ აძლევს და თვითონ კი რას არ სჩადის.

(ტარტაროზკორი).



მოხუცი ქალი (რომელსაც წყალის აღება უნდა) დამაცადე, მე ქალო; შენ თუ ტანს იბან, მე ერთი ჭურჭელიც წყალი არ ავიღო?!

მეზობელი (ამასაც წყლის აღება უნდოდა) დედი, დააცადე, წყალით დაგრილდეს, თორემ თავში სიცხე აქვს და რომ გადაირიოს, დაჭაგრება ძნელია.

# რად გვინდა ასეთი დასვენების დღე

ორშაბათ დილა გათენდა,
რა ავი დარი დგებათ.
საწყალთა მოსამსახურე
დოკინში იზმორებათ.

ღმერთო! ნეტავი ვიცოდე
დღეს თუ დასვენებაა...
დუქნებში კაცმა არ იცი
ვისა აქვს რისი ნებათ.

გაგვიგონია: მთავრობამ
ამ ზაფხულს მოგვცა ნებათ,
რომ თვეში ორის ორშაბათს
გვიქმოთ დასვენებათ;

იქნებ საქმის დღე გამოდგეს,
თავს დაგვატყდება ვნებათ.
მოვედით, გვითხრეს: დღეს წადით
ასრულდეს თქვენი ნებათ,

თუმცა დღეს საქმის დღე არის—
არ გაწყენთ მოსვენებათ.
წარსულ თავისის ეთვიდა
ეგვედგანა დასვენება—

სამაგიეროდ დღეს გუქმობთ
და აღარ გვეკარგებათ...
ავიშალეთ, წავედით
სახლისკენ გახარებული,

მაგრამ წინ გადაგვედობა
კაცმაირი გაცხარებული.
სულ ჯოხით გვდია—სად მიხვალთ,
დაბრუნდით უკან მალეთ,

თორემ ერთი დღის ჯამაგირს
გამოგიქვითავთ ხვალეთ—
და ამის შემდეგ მათ სიტყვას
აღარ ვენდობით ჩვენათ...
როდის იქნება აწ უქმე,
ტარტაროზ, გვითხარ შენათ.*)

გაურკვეველი.

*) ათი თვის შემდეგ, მანამდის კი არა.

ტ.

# კითხვა-პასუხი

კითხვა

ხუთი წელია ბათომში ვცხოვრობ, ბინა არა მაქვს. 28 განცხადება მაქვს შეტანილი საბინაო განყოფილებაში, ელოდ. ჩენილი მაქვს 12 ბინა. გამაგებინეთ როდის მომეცემა ბინა. ამასთანავე გაცნობებთ, რომ ჩემს განცხადებას მუდამ აწერია: პირველი რიგი—ვარ საბჭოთა მუშა კი.

მუშა გოგია.

პასუხი

თქვენ ბინა არ მოგეცემათ, რადგან ხუთი წელიწადი უბინოდ გიცხოვრიათ და აწიც არა გიშავთ, რომ მასე განაგრძოთ დღენი თქვენა ცხოვრებისა. რაც შეეხება, რომ განცხადებას პირველი რიგი აწერია, ეს იმას ნიშნავს, რომ პირველად იმას გადადებენ განზე. მაგრამ იმედს ნუ დაკარგავთ—ბინას მიიღებთ მას შემდეგ, როცა ნაცნობ-მეგობრები და ლამაზი ქალები დაკმაყოფილებული იქნებიან.

კითხვა

ვარ უადგილოთ, შრომის ბირჟაში ჩაწერილი ვერ ღირსებიან ჩემი დაირსებისა, ვართ თვეები კავშირის წევრიდ (თუმცა და არც დიდიდ მესრეპაროვეში), ვცხოვრობ კერძო შემოსავლით. მიქირია ოთახი ოთახი. გთხოვთ განმიმარტოთ: შეუძლიათ თუ არა ჩამომართვან ოთახი?

კონტრაბანდისტი.

პასუხი

ოთახს ვერავინ ჩამოგართმევს, მინამ მუშკორს არ შეუმჩნევია ეს. ეცადე არ გაიგოს.

ხლიკვი.

# „მორზა“

არა, ძმაო, რკინის გზაზე ჩვენისთანა ბედური ხალხი სხვა არ არის, მარა „მაშინისტები“ სულიერად მაინც არ ვეცემით. სხვისა და თვისი შეცდომები ჩვენ უნდა გამოვასწოროთ. „დეპეშებს“ თუ რამე შეცდა, მორზისტებმა უნდა გამოვასწოროთ... ბრულია, როცა მთვა—ვინ კაცი მოხვდის, თვითონ აიღებენ, ნაიჯიბავენ და შენ მაშინ გაიგებ, როცა თავი ტანს დასწყდის სიმძიმით და ზიგზაგით სიარულს დაიწყებ ახალდეპარტამენტის ბაგისავით.

ადმინისტრატორებს რომ ჰკითხო, —ძნელია მათი მოვალეობა:— „ნაგრუზკა გვაქვსო... კაცო, „ნაგრუზკას“, რომ კაცი გაუძლებდა, „ვიგრუზკა-ნგრუზკას“ მუშები სად. სატანების და ცერცვაძესავით გასუქდებოდენ.

ამას წინად სადგურში ბაკაყის გადმოტვირთვაზე ატამით სავსე ყუთი ბაქანზე განგებ ისე დაანარცხეს, რომ ყუთი გატყდა და ატამი დაიჭნა. შემდეგ მოკრიფეს. მარცხენა ხელით ყუთში ჩუჩიდენ და მარჯვენა ხელით, რომელიც უფრო დახელოვნებულია ასეთ საქმეში, პირში.

ჩემ | 1-ს დეპეშის წასაკითხავად მარჩიელს თუ გამოიწერ, თორემ ისე ვერაფერს მიხვდებით.

მაგრამ ამაზე უფრო უბედურება ის იქნება, იუ ბათომის საქონლის მიღებას დეპეშა მოუვიდა; მაშინ მარჩიელი კი არა, კატაიელი სწავლულიც ვერ გიშველის. გეფიცებით ბაგაჟს რამე დააკლდეს, მაგალითად: (ნამდვილად შემთხვევა იყო) ქიშმიში, ინდოური, ან ბატი. მთლიანად ქაღალდზე ღახატავს დაკარგულ საგანს. კაი დაგემართოს, რომ კარგათ დახატავდეს და მიხვდებოდე თუ რას ნიშნავს სურათი. ამ ნიადაგზე ხშირად ხდება გაუგებრობა, რაც იწვევს მიწერ-მოწერას და მორზისტი ღებულობს თავის საროცხლო საყვედურს და შენიშვნას.

არა, ძმაო, თავი უნდა დაგანებო, ამ ხამსახურს. რა იცი, რა წუთში შეცხდები ხათაბალას.

წვალება და კარტორის მოხელედ დავდგეთი სადმე. პასუხისგება ცოტაა, შრომაც სავლები და კატეგორია კი მეტი;

ასეა ძმაო, ჩვენი საქმე, მაგრამ ამ ჩვენს გაჭირვებას საიდუმლოდ ვინახავთ. ხელს ყოველ დღე გვაწერინებენ, რომ საიდუმლოდ შეინახოთ.

ჩვენი გაჭირვებაც ხომ საიდუმლოდ უნდა შევინახოთ! მხოლოდ შენ ერთს გიმხელ, ყოვლად ძლიერო ტარტაროზო, და იმედი გვაქვს არ გაგვამხელ.

„ჩორჩა“.

# „პატივსაცემი სტუმარი“

„ხშირია შემთხვევა, როცა თბილისიდან ძაღლით მოდიან სოფელში. მიუხედავად იმისა, რომ სტუმარს „ძაღლი პატიოსანია“, როგორც ამას მისი პატრონი ამბობს, ქათმის ჭამა მაინც შეუყვარდათ თავიანთ პატრონებსავით“.

(ტარტაროზკორის წერილიდან)



გლეხმა ხცემა ძაღლსა, გლეხმა ხცემა ძაღლის პატრონმა, ძაღლმა ქათამა შესჭამა...

(სოლომონური)




„ქაშავენ“

(ფოთი—ნახუტური)

ჩვენაც მოგვხედე, ტარტაროზ,
შენი ჭირიმე, შენია!
„ბიუროკრატნი“ ბევრი გვყავს,
„ადმინისტრატორნიც“ ზრ ძენია.

—

პირველი გმირი სერგოა,
კავშირში არჩეულია.
მალულად ანხანაგობას
მან შეუსანდა ფულია.

—

ადმინისტრატორობს ლავრენტი,
კავშირი შექნა ძმურია.
მართალს არ იტყვის ერთხელაც,
მარად ტყუილი სწყურია.

—

ექსპერტიზანი მდივანა
არა კადრულობს სალამსა...
კარგს იზამ, ჩვენო ტარტაროზ,
თუ შეუკურთხებ ამ სამსა.

„ქვ. როლცა“.

ძაღლთა თვითწვენება

(ზუგდიდი)

აქ მეტად გავრცელდა ძაღლთა სხვადასხვა გვარი ავადმყოფობა, მაგრამ მათ ექიმობაზე არავინ ზრუნავს. აღშფოთებულმა ძაღლებმა თვით მიიღეს ენერგიული ზომები: მოიხდინეს გაერთიანებული კრება თავიანთ საკრებულოში—ქალაქის ბაღში, სადაც ხდიმა ყოველ დღე მათი კრება. კრების შემდეგ გამოცხადდენ ალგალომერივ საავადმყოფოში სადაც არიან უვლა დარგის ექიმები; ძაღლება მოითხოვდენ ექიმებისაგან დახმარების აღმოჩენას, მაგრამ მათი მოთხოვნილება უყურადღებოდ დარჩა. ძაღლები პროტესტს აცხადებენ და იმუქრებიან გაცოფებით. მოსალოდნელია ექიმების დაგლეჯა და ავადმყოფთა გამოყრა საავადმყოფოდან. პირველი ეტრიში უკვე მოახდინეს,

ლვანტი.

„გაგვაიმასქნის“

ჩვენს ჩიბათეოლაც მოინდომეს სახალხო სახლის აგება. გახარებულმა ფეხის თითებზე წვერებზე დავდიოდით; ამ სახალხო სახლში უნდა მოთავსებულიყო: თეატრი, კანცელარია და სამკითხველო. შეუდგნენ საქმის გაკეთებას. მოიყვანეს მეინჟინერი, დაიწყეს აგურის „გამოცხობა“... ახლა

„ინჟინრული“ უნდა მოვიყვანოთო, პლანი უნდა ავიღოთო; ამისათვის ფულია საჭირო... გაყიდეს კანცელარია და ამ ფულით მოიყვანეს „ინჟინერული“, გაპლანა და წავიდა... ჩვენ არ მაგვეწონა მისი ნაჩვენები ადგილი. შეუჩნდნენ ალექსას და ქი არ აიყვანეს საბუდარიდან—აქანე უნდა დავდგათ სახალხო სახლიო... ახლა „ინჟინერულს“ კიდევ ფული უნდაო; უნდა დავდგათ წარმოდგენაო... შენ ხარ ჩემი ბატონი-და ამ „ინჟინერულმა“ ქი წაიღო ჩვენი ტყავი. ხალხი აგუგუნების ზიდვით გასცვითეს; მოიყვანეს ოსტატები, რაღაც წუუტაკუნ-წამოუტაკუნეს და მერე მათი ბურდღა კაცს არ უნახავს.

გაწვიმდა თუ არა, ამ ჩვენი ნაშენი სულ დაინგრა... დარჩა სახალხო სახლი გაუკეთებელი.

ამ საქმის მეთაური ჩვენი ელასე სადღაც გაიპარა.

აღარც კანცელარია გვაქვს და აღარც არაფერი. რაც ფულები მოაგროვეს, ქე „გააიმასქნეს“. კანცელარია სკოლის ერთ ოთახში მოაწყვეს; სამკითხველოში რომ შეხვიდე და იანვრის გაზეთები ნახო—მადლობა გადაუხადე საშკია ხვეულის გამგეს.

მოგვაწვეთ კრება: გამოვიკვლიეთ საქმეთურზე ჩვენი სოფლის ფული ალექსის შეუჭამია. საწყალს მაცვალებულის ფერი დასდებია და კარგს იზამდა, ტარტაროზო, რომ ანუგეშებდე ალექსას.

ასეა საქმე:

ვისაც პაწია კი ეხმოდა—ყველამ გამოჭამა ფული; ჩვენისთანა ყურბანს ყველა ატყუებს, მარა შენი-იმედი გვაქვს, ტარტაროზო.

ჩიბათელი ქიპა.

## „ყლორტი“

(ოცანა. გურია)

კარგა ხანია აქ არსებობს წარმოკავშირის განყოფილება: „ყლორტი“, რომელსაც განაგებენ ძმები ჩხაიძეები.

„ყლორტი“ აწარმოებს გლეხობის ნამუშევარის გასაღებას.

გასულ წელს დააგროვა ჩაი და დიდი ამბით გაგზავნა თბილისში. წაღებით კი წაიღო, მაგრამ უკან მოტანილი არაფერი სჩანს, (თუ მცირეოდენ „მოწყალებას“ არ მაიღებთ მხედველობაში); სადღაც უგზოუკვლოდ დაიკარგა.

ამ ზაფხულში ერთ დღეს ხმა გავარდა მთელს ოცანაში, რომ „ყლორტი“ ტყემალს ყიდულობსო.

გლეხებმა მთელი ტყემალი, (სახლში ლობიოს გასაკეთებელიც არ დაუტოვებიათ) მიუტანეს „ყლორტს“; ალექსანდრე ჰპირდებოდა ხალხს, რომ ფუთში მანეთს მაინც მიიღებთო, მაგრამ ჯერ კაპეიკიც არა სჩანს.

ხალხი იძახის:—ამას, ძამიავ, „ყლორტი“ კი არა, გოგიე ღლონტი არ ეკადრებოდაო.

ვერ დაგინდობ.



# ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲐᲚᲐᲗᲘᲓᲐᲜ

**წვერთაგანს.** (შროშა შორაპანი) ვენადან თქვენი წერილი ეხება ხუთი წლის ამბავს, ამიტომ იგი გადავეცით არქივს, სადაც შემატიანე ტარტაროზი დაამუშავებს და ისტორიაში შეიტანს.

**ღრიანკალს.** გადავაგზავნეთ საექიმოდ უფსკერო გოდორში, იქიდან კი არ ვიცით თუ საით გაემგზავრება.

**დანს.** შევასრულეთ თქვენი თხოვნა:—შევასწორეთ და არ შევამოკლეთ—ისე გავგზავნეთ აგარაკ წყალტუბოში, ე. ი. უფსკერო გოდორში.

**ზუზბას.** შე კაი კაცო, გვარს რომ მალავთ და გრცხვენია თავისი ვინაობის გამხელა, რატომ არ გრცხვენია ასეთი წერილის წერა?!

**ხა-ხა-ხის.** რატომ გიკვირს ასე? განა ამდენ ხანს არ იცოდი, რომ ღვინო ალმასკომის მდივანს კი არა, თვით თავმჯდომარესაც ათრობს?!

**კანჭარიკუნას.** გვწერთ—შეგვატყობინეთ თუ წავაო... გატყობინებთ, რომ წავიდა, ხოლო წავიდა უფსკერო გოდრისკენ.

**ვარდენ ლგანკითელს.** (ყიფიანს) თუმცა-ღა დაგვიგვიანდა, მაგრამ მაინც ვათავსებთ თქვენს მასალებს, რომლის მოთავსებას დაბეჯითებით თხოულობთ.

ვიცავთ თქვენს მართლწერას.

## შ ა რ ა დ ა

ა

დედა ქალაქი სახელი,
ჩვენს საქართველოში,
ბავშმაც იცის მე მგონია,
ეს უფრო ამ დროში;
ჰო და, ამ სახელს წინიდან,
ერთი, ბოლოს ორი,
მოაშორეთ ვით თქვენს ქათმებს
მტაცებელი ქორი.
რაც დარჩება ოთხი ასო,
ის ამ ჩემს შარადას,
გამოსაცნობად მკითხველებს
მიანიჭებს მადას.

ბ

შემდეგ ერთ-ერთ მოციქულის,
მიხსენით სახელი.

საჭირო ვინც უარჰყო ქრისტე,
და მასწავლებელი.
(პირველი კომსომოლი იგი ყოფილა)
სულ არ მინდა; წინ მას ორი,
ანბანი მოპარეთ.
(ქურდობა არ შეიძლება. განა არ იცით, რომ ქურდებს ტარტაროზი სჯის?!)
დანარჩენი არ გეჭარდება,
გაისროლეთ გარეთ.

გ

ნემს ჰგავს, მაგრამ ნემსზე უფრო
არის ლომის ბრჭყალი,
მკითხველო გთხოვ მოიგონოთ,
ჯერ ამის სახელი;
ცხლანდელი იდეის
ბელადთაგანია;
მთელ მუშა ხალხს შესწირა
ღონე და ჯანია.

## მწერლის ეპიტაფია

როცა დამმარხავთ მე არ მინდა
ძეგლი ძვირფასი.
(ნუ სწუხდებით, მაინც არავინ დაგიდგამს)
მე თუ კარგი ვარ ჩემი თავის
ძეგლითვითონ ვარ.
(როგორ ფიქრობთ—კარგი ხართ თუ არა?!)
ხასულელეა ძეგლებისთვის გაიღოთ ფასი;
თვით ძეგლს სჯობია—სამუდამოდ
ვინც ვახსოვარ.
(პატრონსაც არა)
მხოლოდ გთხოვთ თავზე რომ დამადგათ
ქვა გაუთლელი.
(ამ სურვილს შევასრულებთ; ეს ადვილი სამსახურია)
და წააწერეთ ჩემი გვარი
და ჩემი სახელი
„ვარდენ ყიფიანი—ლვანკითელი“
და ვინც გაიგებს ჩემს სახელს და
ჩემს ვინაობას.
მრწამს შემომითვლის სუყველანი
თითო შენდობას.

„ტარტაროზი“ საგან გამოგვიგზავნეთ თქვენი ექსპრომტები, რომლებიც მაძღვნილი გაქვთ ჩვენს მწერლებისადმი.



# ზაფხულის სეზონი პროვინციის ქალაქებში

მეგობრული შარჟი




ქორელი (ქოლგით და პორტფელით), იმედაშვილი (წიგნებით და საგრძალით), ზარდალიშვილი (პლიშჩით, ჯოხით და პატარა ჩემოდანით) ბარველი (პატარა კალათით და პიესებით) ხონელი (ხეზე ადის) და ყალაბეგიშვილი (ხეზე ასული)

## ახალი ამბები

— მუშკოოპმა და „აგრუზგოსტორგმა" მიიღეს დიდძალი საქონელი. ვისაც ფული აქვს შეუძლიათ იყიდონ საქონელი მაღაზიებში.

— მილიცია აცხადებს დასახრჩობ მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ ვისაც თავის დახრჩობა უნდათ, გაისეირნონ ორთაჭალისკენ, სადაც სრული სიმშვიდეა და ხელის შემშლელი არავინ არის. ვინც ხიდიდან მოინდომებს თავის დახრჩობას, მათი კეთილი განზრახვის წინააღმდეგ მიღებული იქნება ზომები მათ გადასარჩენად.

— „მაფალ უ — ნოთე"-ს პარტია თხოულობს საქართველოდან სამეგრელოს გამოყოფას და ავტონომიას. „სამეგრელოს ტახტზე" თავის უზენაესს უფლებებს უკვე აცხადებენ იზორდიას მემკვიდრეები: ციბაკი ბუკონია და სოლომონ ბესელია.

— ელმასკომმა დაადგინა: დანიელ ჭონქაძეს ეწოდოს დამით ჭინჭაძე და ასეთი სახელწოდება მიეცეს გუდოვიჩ-ს ქუჩას. დადგენილება გატარებულაა სიცოცხლეში.

## წერილი ტარტაროზის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენი საშუალებით უპასუხო დასავლეთ საქართველოში მომუშავე ე. წ. „თით-თით"-ს საზოგადოებას შემდეგი:

დასავლეთ საქართველოს „თით თით"-ს საზოგადოება, რომლის ცენტრია ქ. ქუთაისი, საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი საზოგადოებაა მთელს დასავლეთ საქართველოში, როგორც ფინანსიურად, ისე წევრთა რაოდენობის მხრივ. ის მაგალითს მიმცემია სხვა წვრილმან საზოგადოებისათვის დასავლეთ საქართველოს მასშტაბით და არამცდაარამც არ იქნება თქვენი თხოვნა „თით-თით"-ს საზოგადოების დაგმობის და „ყუნწის" საზოგადოების მხარეზე გადასვლის შესახებ ჩვენ მიერ მიღებული, ვინაიდან სახელწოდება „თით-თით" და მისი მისწრაფება ნამდვილად მიზანშეწონილია თანამედროვე მოქეიფეთა საზოგადოებისათვის.

ამიტომ ჩვენ ყველა წევრნი „თით თით"-ს საზოგადოებისა ფიცსა ვსდებთ ქუთაისის სახელმწიფო და კერძო ღვინის მოვაჭრეთა წინაშე, რომ უკანასკნელ წვეთამდე არ უღალატებთ „თით თით"-ს მნიშვნელობას და მის მიერ წამოყენებულ ლოზუნგს: „დალევა უკაპლით".

მხოლოდ რაკი შეეხება ყოფილი ჩვენი საზოგადოების წევრებს, ეხლა კი „ყუნწი"-ს საზოგადოების პლატფორმაზე გადასულთ — უცხადებთ სასტიკ საყვედურს და საქვეყნოთ ვაცხადებთ, რომ ისინი გამორიცხულნი არიან ჩვენი საზოგადოების სიიდან და ყოველგვარ კმაყოფადან.

დასავლეთ საქართველოს „თით-თით"-ს საზოგადოების მინდობილობით ამავე საზოგადოების პრეზიდიუმის მდივანი:

ჯიუტი.

ქ. ქუთაისი

კლუბი: „კოოპერაცია", „ფერანდა".






ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1 ლი სტამბა
ტფილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 27 სექტემბერი 1925წ.

# ტარტაროზი

№ 18—(21) გაზ. „მუშა"-ს ორკვირეული უფასო დამატება. № 18—(21)



მთლიანი, დამოუკიდებელი და გან…
რომელიც ეკუთვნის თავად ა…

…ოფუსი დრო,
…ვეული ქვეყნად.

…ოთის წინამორბედი იყო სიჩქეთოვანი, სა-
…რიშვილი თავა აშორავა, რომელმაც პირველმა
…ველოს დროშა.
…ებრივი სახე საქართველოს მეგრელებმა მა-

…ოცა აქ ჩოვედით ქალდეადან, შევუდექით თავისი
…ს შექმნას. შევქმნით ჩვენი ცხოვრების წიაღიდან
…რომელიც, შემოსევის შემდეგ, ქართველებმა თავის
…შიილეს.
…ს ღერბი არის—„წმინდა გიორგი".
ჩვენ მეგრელები (და მეტადრე მეგრელი თავად-აზნაუ-
…ანი) ისტორიაში განთქმული ვართ, როგორც ცხენის მოყ-
…კაცი; კარგი მოჯირითე და კარგი ცხენოსანი.

# „მაფალუ"—„ნოთე"

(„ავტონომისტების" მანიფესტი)

ჩვენ ვიცით: ჩვენს საქმეს მტრები აღმოუჩნდება, მაგრამ ეს ჩვენ არ გვაშინებს.

ჩვენ ვიცით: მოვლენ ჩვენი მტრები და შეუდგებიან მტკიცებას, რომ ჩვენი მოთხოვნილება მართლაც სისულელეა, მაგრამ ჩვენ არ გვაშინებს სისულელე... დაე, შკუიანებმა ის სთქვან, რაც მათ უნდათ—ჩვენ კი არასოდეს არ დაუჯერებთ

ჩვენ ვიცით: ისინი აამეტყველებენ ფაქტებს, მაგრამ ჩვენ იმჯთ ფაქტებს გავანიავებთ ჩვენი ლაუბობით.

—:—

სამეგრელოს დამოუკიდებლობა ყოველმხრივ ხელსაყრელია ჩვენთვის, მაგრამ ჩვენთვის ყველაზე უფრო სასარგებლოა ეკონომიურ-მატერიალურ მოსაზრებით.

მოგეხსენებათ: ჩვენში ბევრი არიან ყოფილი თავადები. ისტორიის წაღმა ტრიალმა თავადაზნაურობა მიწასთან გაასწორა.

ეს კიდევ არაფერია.

აღარ შეგვრჩა მიწა-წყალი.

გავფლანგეთ მთელი ქონება.

არც პოლიტიკურ ასპარეზზე გაგვიმართლდა იმედები.

## „მაფალუ"-სტების ფიცი თადა აშორდიას საფლავზე



ვფიცავთ „წმიდა გიორგის" რაშს, რომ ჩვენ არ ვუღალატებთ შენს დაწყებულ დიად საქმეს და სამეგრელოს გავანთავისუფლებთ თავისუფლებისაგან.

ვფიცავთ „წმინდა გიორგის" რაშის, ნაგვა ჩვენ ვაუღალატენი, სჭანი დოჭყაფილი სასტიღლ საქმეს და სამარგალოს გუანთავისუფლენთ თავისუფლებაშე.

როგორც იყო, ზოგი ჩვენგანი გაჭირვებით და ათასგვარი ხრიკებით შეძვერით პარტიაში—მაგრამ როგორც კი გაგვიცნეს, მაშინვე პანღურით გამოგვისტუმრეს.

დავრჩით ხახამშრალი.

ცხოვრება კი თავისას თხოულობს.

კუჭს საჭმელი უნდა,

ყელს ღვინით ნაწველება—

საარსებო წყარო კი დამშრალია.

მიეცით სამეგრელოს დამოუკიდებლობა.

ჩაგვაბარეთ მისი ბედ-იღბალი ჩვენ, ძველ ბრწყინვალე თავად-აზნაურობას, და სულ ახლო ხანში ჩვენი ეკონომიურ-[illegible]ტერიალური მდგომარეობა ძალიან-ფეხვიანად შეიცვლება, [illegible] სამეგრელოთი, ჩვენს მდგომარეობას ისე აგვწყობთ, [illegible]მისწინადართინდელ მდგომარეობას მივაღწიოთ,

რედაქცია და ს[illegible]-უმობისდროინდელ მდგომარე-

[illegible] ვადები და აზ- [illegible] დაძრწიან ერ- [illegible]ს გულზე ტუა- [illegible] ურობის შემ- [illegible]ხმარებას [illegible]ვემ, [illegible]ულიად

ამასთან ერთად, საქართველოს ყოველ კუთხიდან ჩვენ ჩამოვიყვანთ სამეგრელოში და დავასახლებთ მთელ საქართველოს თავად-აზნაურობას. მათივის მიწების და ყოველივე ხარჯების მიცემას იკისრებს ჩვენი ბრძანებით სამეგრელოს გლეხობა, რომელსაც ახლა გადაცემული აქვთ ჩვენი მიწები ჩვენი სურვილის გარეშე არსებულ კანონების ძალით.

ამით ჩვენ ერთგვარ დახმარებას და სამსახურს გაუწევთ საქართველოს მთავრობას, რომელსაც აღარ შეაწუხებს გაჭირვებაში მყოფი ბრწყინვალე წოდების მოამთმავლობა; სამეგრელოს ჩვენ გადავაქცევთ საბჭოთა ხელისუფლების მტერთა და ორგულთა სავანეთ.

დღეს მთავრობა მხოლოდ ზიზღს სდევნის, მაშინ კი ასეთ ზიზღს ჩვენ წავიყვანდით სამეგრელოში, სადაც ისინი ჩვენთან ნახავდენ მშობლიურ თავშესაფარს.

—:—

როცა სამეგრელო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდება, მას დასჭირდება თავისი მინისტრები, რომლებადაც ვიქნებით სრულიად სამეგრელოს ბრწყინვალე (დღეს კი გაჩუნებული) თავად-აზნაურობა...

და თქვენ კარგად იცით, რომ: ინგლისში და, საერთოდ, ყველა სახელმწიფოებში, მინისტრებს რა დიდი ჯამაგირი აქვთ. ხოლო, როცა დიდი ჯამაგირი აქვს კაცს, (როგორც მაგალითად „სპეცებს"), იგი უკეთესად ცხოვრობს, ვიდრე უმუშევარი.

[illegible] ამტკიცებს იმისა, რომ—ეკონომიურ-მატერიალური მოსაზრებით ჩვენთვის, თავად-აზნაურობისათვის, სამეგრელოს დამოუკიდებლობა თითქოს საზარალო იყოს,—[illegible] [illegible] არიქით—როგორც ზემოდ ეს ვთქვით, ერთადერთი ხსნა მხოლოდ ამაშია, თორემ ჩვენი საქმე დაღუპვის პირზეა მისული.

ს. ს. მ. ფ. ს. პოლიგრაფტრესტის I ლი სტამბა

# სამეგრელოს ეროვნულ მოძრაობის ბელადები

## მამულიშვილურ და ეროვნულ მოღვაწეობას ეწევიან



თ ა მ ა დ ა. თუ კი გვედირსა სამეგრელოს დამოუკიდებლობა, ქეიფი და დროს ტარება მაშინ იქნება, გიყვარდეს ჭკუა და დროს ტარება. გლეხებს იმდენს ურტყამთ ზურგზე, რამდენიც რუსის ბარაბანს არ მოხვედრია.

ქეგედირუ სამარგალოშ დამოუკიდებელობაქ—და თიმჟკუმა უჯგუნ ხი ჩქინ ქეიფის დო დროშ ტარებას. ყაზ ხენს თისხას უზეპუანთ მათრახის, ნუხმათ რუსიშ ბარაბანს ვამოხვალამედას.

ახლა საკითხი გავაშუქოთ „ისტორიულ საბუთებით“.

ჩვენ ვამბობთ და ვამტკიცებთ, რომ „**ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ ქართველები**“.

მართალია: ჩვენ (მეგრელები) და ქართველები ქალდეაში ერთად ვცხოვრობდით, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ ორივე ერთ მოდგმას, ერთ ეროვნებას ვეკუთვნოდეთ. რა უყოთ, რომ ერთად ვცხოვრობდით!! განა ეხლა თბილისში ბინების სივიწროვეს გამო, ხშირად თათარი, ებრაელები და ქართველები ერთად არ ცხოვრობენ! მერე რაი, განა ამიტომ ისინი ერთი ეროვნების ხალხათ უნდა ჩავთვალოთ?!

მეგრელები ჯერ კიდევ ქალდეაში ვცდილობდით საქართველოდან გამოყოფას. ჩვენ იქაც მათ ძალმომრეობის ქვეშ ვიტანჯებოდით. არაერთხელ გვიცდია აჯანყება მოგვეწყო მათ წინააღმდეგ, მაგრამ ვერ გავხერხებდით, რადგან მათი გზირები ყოველთვის გებულობდენ ჩვენს შეთქმულებას და, თანაც, თანამგრძნობთა რიცხვი, როგორც ეხლა, მაშინაც მარცხენა ხელის თითების მეტი არ იყო.

ბოლოს, როცა აუტანელი შეიქნა ჩვენ წინაპართა იქ ცხოვრება, ავიღეთ ჩვენი ბარგი-ბარხანა, დავტოვეთ ქალდეა და დავსახლდით შავი (მაშინდელ პონტოს) ზღვის ნაპირებზე.

ქართველები თავიდანვე იმპერიალისტური ზრახვებით იყვნენ სახელგანთქმული! ისინი ყოველთვის ტყვეს გვაძრობდენ და ჩვენი ბარაქით ცხოვრობდენ. ამიტომაც, ჩვენს შემდეგ ისინიც დიდ გასაჭირში ჩავარდენ.

აი რას მოგვითხრობს ამის შესახებ მატიანე:

„ქართველთა ყოფა გაპირდის უმეტეს ... ქართველნი მიდიან კოლხეთის ქვეყანას დასაპყრობად მეგრელთა, რომელნიც იყვნენ უწინა ჟამსა მორჩილნი მათნი. (აშორდიას ნაშრომი: „მეგრელები სამეგრელოსათვის“. ტომი XX, გვ. 100).

მართლაც, ჩვენ გვჯერა, რომ მეგრელების შემდეგ დღევანდელ საქართველოში მოსულან ქართველები, დაუპყრიათ სამეგრელო და ისევ დაუდგიათ მათთვის მონობის უღელი.

ამნაირად, სამეგრელო უხსოვარი დროიდან ყოველთვის საქართველოს უღელს ატარებდა.

—:—

ჩვენ გვწამდა—ოდესმე დამყარდებოდა ისეთი დრო, როცა ჭეშმარიტება და სიმართლე გაიმარჯვებდა ქვეყნად.

ეს დრო ახლა არის.

ამ სანატრელ დროის წინამორბედი იყო სახელოვანი, სამეგრელოს მამულიშვილი თადა აშორდია, რომელმაც პირველმა ააფრიალა სამეგრელოს დროშა.

სახელმწიფოებრივი სახე საქართველოს მეგრელებმა მისცეს.

ჩვენ, როცა აქ ჩამოვედით ქალდეადან, შევუდექით თვისი სახელმწიფოს შექმნას. შევქმენით ჩვენი ცხოვრების წალოდან დღეობი, რომელიც, შემოსევის შემდეგ, ქართველებმა თავის დღეობად მიიღეს.

ეს დღეობა არის—„წმინდა გიორგი“.

ჩვენ მეგრელები (და მეტადრე მეგრელი თავად-აზნაურობა) ისტორიაში განთქმული ვართ, როგორც ტყვის მოყვარული კაცი, კარგი მოჯირითე და კარგი ცხენოსანი.

# სიფრთხილეს თავი არ სტკივა



ხორაგულის აღმასკომმა განკარგულება გასცა: ვინაიდან ბაზრიდან სადგურში გასავალი ხიდი მეტად დაზიანებულია, ამიტომ ცხადდება ყველა მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ — დატვირთული და არც ცარიელი ურემი ხიდზე არავინ გაატაროს. დასაშვებია მხოლოდ — თუ ურემს ხიდზე გლეხები ზურგით გადაიტანენ და ხარებს ურმიდან გადაიყვანენ. დამრღვევი ამ დადგენილებისა პასუხს აგებენ აფთიაქის წინაშე

თვითონ „წმიდა გიორგი“ მეგრელი იყო, რაც სჩანს იქიდან, რომ იგი დერბზე გამოხატულია ცხენზე შემჯდარი. (ხალხში გადმოცემაც არის — თითქოს „წმიდა გიორგი“ შეგიდული მაქალარია იყოს).

ეს იყო წარსულში.

ახლა აგიდოთ, თუ გნებავთ, აწმყო.

პარიზში გიორგი გვაზავას და სპირდონ კედიას თაოსნობით არსებობს „თეთრი გიორგი“-ს დარტყმულთა პარტია.

აბა, ვინ შეგვედავება რომ — გიორგი გვაზავა და სპირდონ კედია მეგრელები არ არიან!?

— —

ახლა მეორე სურათი. რევოლუციონური სამეგრელო თავისი კონტრ-რევოლუციური თავად-აზნაურობის წინამძღოლობით მოითხოვს ისტორიისაგან ანგარიშის გასწორებას. არ გვითხრათ პროცენტებს, ხოლო თავნი გადაგვიხადოს.

| მთლიანი და განუყოფელი სამეგრელოს დამკომი (დამოუკიდებელი კომიტეტი). | |
|---|---|
| | დადიანი მიშა |
| | ბუკონია ციბაკი |
| | აბალაია გრიგოლ |
| | ბენერია სოლომონ |
| | ბუკია ვლადიმერ |



## „წმინდა სამება“

სენაკისტანი...
ზუგდიდისტანი...
ძველ დადიანის
ზურგი და ტანი.
ბესელიადეც
სადმე თუ კაა —
იქვე გაჩნდება
თანვე ბუკია —
და ამ სამებას,
თან ერთარსებას
მრავალი სხვებიც
მიეტმანება
და გამოცხადება,
როგორც ლომია,
მეგრელისტანის
ავტონომია!
დიდება შენდა
ზურგიელიძე,
რომ სთქვა მოაკვდები,
ან რა მიმზავსო?!
აწ განმიტოვე
მე, მეფეო,
რადგან შემყვარეთ
ვტოვებ მიშასო!
„გათენდა ყველგან,
გათენდა, მაგრამ
სამეგრელოსთვის
დღეს დღეც კი ბნელა —
სულს გვხდის, ტყავს გვაძრობ
ჩვენ საქართველო,
მეფის ტრაქტატში
თუ არ გვაშველე!“
აი, ეს გახლავთ
„წმინდა სამების“
არგუმენტები და
პეტიცია —
თქვენ მათ მიართვით
ავტონომია
და „თავის მოვლა“
თვითონ იციან:

მისი იქნება
„პრედსოვნარკომი“,
შესულია კი —
„პრედოდიშვილი“,
ჰო — და, სიცაჰის
ორი იქნება,
ალბათ ბუკიაც
გაჩნდება იქა.
და დამშვენდება
მაშინ ოდიში,
და დამშვენდება
მეგრელისტანი —
ისე დამშვენდა
„წმინდა სამების“
აწ უწმინდური
თავი და ტანი!
მიეცით ნება
და ხალხის დოვლათს
„წმინდა სამება“
გაიყოფს საშათ —
ამით ზუგდიდი
ფცქვნით არ ეყოფა,
ხოლო სენაკი
კი შეჭამდათ.
სწორეთ ამაზე
ვფიქრობდით დღემდე,
სწორეთ ამაზე
ვოცნებობდით დიახ —
რომ სამარიდან
წამოვაყენოთ
ვასტროგოვები
და მშორდა!
ისეც შაეცა
კვნესა დადიანს,
ისეც მიეცა
ოხვრა ბუკიას
და ვაი ჰქონდეს
ბესელიასაც,
აწ სამართალი
სადმე თუ კაა!

ფხაჭია.

# ჯვაროსანთა ომი

„სტოკჰოლმში მთელი საქრისტიანოს სამღვდელოებამ მოიყარა თავი. ყრილობას მეორე ინტერნაციონალის ბელადებიც დაესწრნენ. სამღვდელოების „ინტერნაციონალის" უმთავრესი დანიშნულებაა კომუნიზმთან ბრძოლა".

(გაზეთიდან).



ერთ ხელში ჯვარი უპირავთ და მეორეში ხმალია.
მიდიან, მიიმღერიან:— „ვენიტერისომის ალაა.
თამამად წავალთ ბრძოლაში, არ ვართ მშიშარა, ფრთხილი.
უნდა დავიცვათ ამ ქვეყნად წესი და სამართალი.

იმათ არ წყალობს უფალი, არც ქრისტე მაცხოვარია...
ჩვენ კი გვფარველობს და გვწყალობს მათი მადლი და ჯვარი.
„სოციალისტნი" თან გვახლავთ, ჩვენ დაგვიმშვენებენ მხარი.
ჯვრითა და ხმლითა დავიმკვიდროთ, ვინც რომ ქვეყანა არის.

# მაკლერების სამეფო

(გაგრძელება*)

ისტორიული ტრაგედია 5 დაუსრულებელ მოქმედებად

სრულიად საქართველოს მაკლერთა მორიგი კონფერენცია, რომელიც შესდგა ქალაქ თბილისში

### პირველი მოქმედება

ცნობები გაზეთებიდან: მაკლერებმა ერთ ეშმაკნიერ დღეს სახელგანთქმულ სულთან მიხოს მთავარსარდლობით, ხაიტანის ღლმასკოშზე გადაწყვეტი იერიში. ბევრს ხრაველი განუყოფელება და ბოლოს მიადგნენ საბინაო სექციას. საბინაო სექციამ, სცნორა თავისი უძლურება, როგორც უბინაოთა დამცველების, ისე მაკლერთა ძლიერების წინაშე, ნებაყოფლობით დაემორჩილა სულთან მიხოს დებულებას და მტრებს პურმარილით მიეგება. ამ დღიდან საბინაო სექცია დაშლილად გამოცხადდა. მაკლერთა ძანსტრებმა ხელთ იგდეს თბილისის ულთავრესი პუნქტები.

უკანასკნელს ხანებში მიხო ავად გახდა. ენკიოერვეაის დიაგნოსიდან სჩანს შემდეგი: სიცხე 210°, პულსაცია—230 წამში; ექიმებმა გ დაუწესეს სიკვდილი ერთი თვის ვადით, რის შემდეგ გახანსიდებული სულთანი მიხო ისევ შეუდგა მუშაობას.

კონფერენცია შესდგა მაკლერთა საბინაო სტრია დარბაზში; თავ ჯდომარეობდა მარია პავლოვნა;

#### დოკლადი მარია პავლოვნი

(რუსულ-ქართულად)

Многоуважаемые господа, მაკლერნო! Вы мне поручили თლაპარაკება у Исполкома, მე გულმოდგინედ исполняла ჩემს მოვალეობას. ბოლოს როგორც იქნა ავიღეთ ღლმასკომი და ჩვენ გავაფართოვეთ ჩვენი გრანიცები. თქვენც გეცოდინებათ, რომ სულთან მიხო მოკვდა ერთი თვის ვადით. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება მეტი ოთახები შევიძინოთ. ჩალე მიეცა სუსხიანი ზამთარი, რომელიც ბევრს უბინაოს უტირებს დედას. თითო ოთახში ავიღოთ არა ნაკლებ ხუთი ჩერვონეცისა, რითაც ვუშველით და ვიხსნით საბრალო უბინაო ხალხს. ეს არის ანდერძი დროებით განსვენებულ, უკვდავ სულთან მიხოსი. Да здравствует наш новый план для улучшения живни беспомощных людей. (ტუსაკა უკრავს მარშს: „ინტერნაციონალი“-ს.

#### დოკლადი ხირინ-ხირინა

ტავარიში გასპადა! ჩვენი საქმე პაკა იდიოტ პო შოსეინოი დოროგე! ნა გლავნისკი პრისტავ დაკავებულია ყველა ადგილები. რადგან იმედითი გვაგზავნის ავ არგზელ უპაქმურებს, რომლითაც ყველას უნდათ უნივერსიტეტში შესვლა.

ვერ გამიგია რა უნდათ ამ საბრალო გორიდში. მორბიან ნახირივით, თითქოს აქ ფლავს არიგებენ.

#### დოკლადი მინისტრის ცოლისა

მე ვიტყვი ქართულად. ტუსენ კარგად იცით, რომ ტიფლის მალე ავეტებება. სად გაგვიჩნდა ამდენი ხალხის ერთს ქალაქში კონტა. უნდა მივიკოთ კოველკვარი ზომები და ლიკვიდირიოვატ ეტი სუმასშედშიხ კურსისტკოვ! არ სჯობდა სოფელში ბატები ეწყვეტა! ჩამოშწკრივდებიან ქებაძის წინ... ბლინი კებაძე პლაჩეტ, პლაჩეტ და არ შეუძლია გაედევნოს ეს უსაქმო ძაღლები. ყველას უნდა კომნატი, სამსახური, პუდრი, ლორნიეტი, კარგი ბიჭები და სხვა.

ეპა გუხი და პამადა... ჩხოუშია მაძლევს ატამს... არ დავზოგავთ ბატს და ქათამს... ურრააა! როგორც იქნა გვეღირსა თავისუფლება...

#### მინისტრება

უკაცრავად, ბატონო! ხელს ნუ გვიშლით!.. ჩვენ აქ სახუმროდ არ მოვსულვართ. რამდენი ხანია ჩვენც დამოუკიდებლობისთვის ვიბრძვით—და ბოლოს ვეღირსეთ როგორც იქნა.

#### მაფადლისტი

თქვენც დამოუკიდებელი ხართ? თქვენი ჭირიმე ჩემი გულისა... როგორ შეუხარდით გაგიჭქვითად თვეები. ოუ! ოუ! ია თქვენთან კი იქნება ხეირი ძლაბებო! თქვენ რა ზვანიის ხალხი ხართ?

#### ხირინ ხირინა

ჩვენ უბინაო ხალხს ვაძლევთ ოთახებს.

## სულთანი მიხო—„პროპკა“



გასეირნების დროს, როცა თაგვსავით დ ძვრება და დაეძებს კლიენტებს

## სულთანი მიხო—„პროპკა“



საზაფხულო ტანსაცმელში წოკლე და გაფხეკილ თეთრ ნაბადში.

#### მაფადლისტი

„ნალევო, ი ნაპრაეო, ვეზდე მეგრელები... სრულიად საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის სახელით გიბრძანებთ ეხლავე დაიშალოთ, თორემ ყველას თითო-თითოჯ გრტირებთ დედის საფლავს. ია სვაბოდნი ჩელოვეკ, ლავიბაიდუ სვაბოდნი მინგრელიაში. რას მიქვია გრუზინი! კ ჩორტუ ვსეხ გრუზინ! გაუმარჯოს ნოთეს, მაფალეს, აზორდიას, ბოკონიას, ახალაიას და ბესელიას. ვსე ანი ვიბორნიე ნახალი, ვი ბორინათ ნახალიტვა... (მღერის).

ჩემი ნოთე და მაფალე
ქვეა შორო ვამაპალე
ორერაშია, რაზა, რაზა
ან გამოცვალე ძლაზო შხვეში
ეუხელი ვარდა, ვარდა
დადიანს აქვს კარგი მადა.

#### მაფადლისტი

ო, თქვენ კი დაგენაცვლოს ჩხოუზია, ხობი, ნოლა და ყველა შლინიორეში დამოუკიდებელ სამეგრელოსი.

ჩვენ გვინდა მოისპოს მთელს საქართველოში ყველა ენები, გარდა მეგრულისა! ჩვენ გვინდა დავამყაროთ ყველგან თავისუფლება და კულტურა. ჩვენ გვინდა შევქნათ მეგრული ანბანი, ჩვენ ჯენცვა. ალვა; დგინითი ჩვენი ეროვნული უფლება, ი ბოლ... შე ნაჩევო. შოთაც რუსთაველიც მეგრელი იყო, ბიძია, ნაღდი მეგრელი.

(ამ დროს შემორბის გაცოფებული სულთანი მიხო, რომელიც რაც ძალი და ღონე აქვს, ხმალს იქნევს და თან ბღავის)

#### სულთანი მიხო

ვინ არიან? რას ჩხავიან? ასეთი სისაძაგლეს! ვფიცავარ სულს გ...

*) იხ. „ტარტაროზი“ № 18.

# სულტანი მიხო — „პროპკა“ თავის არაყხანაში



მის უკან ჩაწყრივებულან მაკლერშები, რომლებიც ელოდებიან განრისხებულ სულტან მიხოს ბრძანებას. კლიენტები მოდიან, ჩერვონცები მოაქვთ და თაყვანს სცემენ.

ადგეუპარსაც ჩემი მამისას, რომ არ დავზოგავ არავის. თუმცა ტანი მაქვს ძლიერ პატარა, მაგრამ მარჯვეა ჩემი ხელი.

მე, მიხეილ, რომელმაც დავიპყარი მთელი თბილისი, დღეს აქ შემოველ, რადგანაც სიკვდილით მემუქრებიან... (დაინახავს მეფალისტს და ეტყვის) ვინა ხარ შენ? ეგებ გინდოდეს კარგი ოთახი!

მეფალისტი

სრა, პატონ! ოთახი კი არა მე ისე ტყვილად გეახელი. მე გახლავარ მარგალი კოჩი, წარმომადგენელი სრულიად სამეგრელოს დამოუკიდებლობის; მინდოდა თქვენთან კავშირის დაჭერა, სასარგებლო კაცი ხარ და რამეში დაგეხმარებოდა.

მიხო

შენ? შენ! მეფალისტი ხარ? აპ... მაფილისტიკა... რგი ხელობა გქონია. შეგვიძლია თქვენი შემოერთება!

მეფალისტი

უჰ, სა ქოგგალე მა ჩქიმი ხენწიფე! აწი რა გვიჭირს. თქვენი რედაქტორობით შეგვიძლია გამოუშვათ ჩვენი ძვირფასი გაზეთი „ნოთე“. ამ დროს მოისმის ხმები:

არ გაუშვათ ის საძაგლები!..

მიხო (თავზარდაცემული)

უკანასკნელი წუთი მოგიახლოვდა! თამამად, მიხო... შედგრად, მაღალო! სანამ დღეს ჩვენში სისხლი მამულიშვილური, ვებრძოლოთ ჩვენს მტრებს!

მშვიდობით სახლნო ჯილოსანნო,
დიდნო ოთახნო;
ჩერვონცის სუნო და მაკლერთა
დიდო სასახლეგ;
სჯობდა თითქოს არამზადას
დაეკოჩტნა, ჩემი სხეული
ცეცხლმ მომსპობდეს.

ტარტაროზის კუდი.

---

# ქუთაისური იდილია

მთვარე ვერცხლისფერ ნაზ სათუთ სხივებს
ყვავილთა ცვარში ფრთხილად ჰფენავდა,
მუსიკის ბგერა ისმოდა ნელი —
აჯადოსნებდა სურათს ვერანდა.

ნწყრივად გაჰკროდა ჭიქები სუფრას,
ვით ვარსკვლავები ულრუბლო ცაზე —
და ლდუშალი ხმით ღიღინებდა
რაინდი ურმულს „მარუსას“ ხმაზე.

როგორც ფიქვნარი კურორტი შოვის
აჰოლტილეყვენ მოთლები ისე —
ვნებით ლელავდა აწ ქუთაისი
ერთ დროს „სიყვარული და სამაისე“.

უა ვიღაც არღვევს აქ მყუდროებას.
გაისმას ხმები — „ვაშა“ და „ბრავო!“
— შენ კი, რაცა ხარ სკამზე მიკრული
უხასიათოდ და უძრავო!

დაასხა ღვინო, დაასხა მეთქი.
გუშინ ეცოცხლობდით, მოვკვდებით დღეს!
ამხანაგებო! დაუგდეთ ყური
„რეჩ.“ ამბობს, გესმით, თვით ჩვენი პრესა.

რაო, არ ამბობ? მიბრძანეთ ერთი,
მა რა ფესვაში სეკრეტარია?
როგორ — მთვრალია კარგა მაგრათა?
და მერე განა ეგრე დალია!?

მაშ კარგი, ისევ მღერა ჯობია...
აბა, დაიწყე შენ ჩემო მეტრო —
თუმცა ტანი გაქვს ჩია, პატარა,
მაგრამ გოგრა გაქვს შენ საშინისტრო!“

გაისმა „დელა“ და კრიმანჭული,
წამს ახმაურდა მთელი ვერანდა...
მთვარე კი, მთვარე ვერცხლისფერ სხივებს
ცხლაც ყვავილთა ცვარში ჰფენავდა.

გათავდა მღერა. — ამხანაგებო,
ხომ არ გგონიათ თქვენ თავი დუქნათ?
კოოპერატივს შეშვენის ფრთად,
როგორც სიმღერა, აგრეთვე ბუქნა.

ჰო-და ლეკური, ლეკური ჩქარა,
ან უზუნდარა ჩანკლებით, დანით —
საცსე ჰიქებიც დაიდგას თავზე
ვინც არ ირხევა ცეკვის დროს ტანით!

გადმოშვა სკამით ყრმა თმახუჭუჭა,
შეიქნა ბუქნა და უზუნდარა —
კვლავ „ორერედში“ მრავალი იდგა,
მაგრამ... ამ ქამად გვეყოფა, კმარა...

მთვარე ვერცხლისფერ ნაზ, სათუთ სხივებს
ყვავილთა ცვარში ტრფობით ჰფენავდა —
მუსიკის ბგერა ისმოდა ნელი,
აჯადოსნებდა სურათს ვერანდა.

ლალათ დაჰქროდენ ყვავილთა შორის
ჰეპლები ცოლქა, კოხტა, ანცია...
და ეძლეოდა განცხრომას ბოლოს,
ყოველი დარგი და ინსტანცია!

პიტ.

# კულაში

თავმჯდომარეს გლეხკომისას ჰშვენის დამით სმადა და ლხენა.
ქეიფის ჟამს, როცა ცეკვავს სულგაშლილი მაღლა ფრენს,
როცა ერთხელ ლეკურითა მან მიდამო დაამშვენა,
სთქვენ: — მის ქებას ვეღარ აღწერს კალამი და კაცთა ენა.

— : —

მოვიხსენიებ აფთიაქს ექიმის კაბინეტითა,
სადაც უკვე წელს იცვლება ექიმი ფარმაცევტითა,
აბრუნებს მათ ეს სოფელი სიჩქარით მეტისმეტითა,
ვერ ძღება პუნქტში მოსული კულაშის თემის ცქერითა.

— : —

მცირე ხნის წინეთ ამ პუნქტში გრძნობებით აფეთქებული,
იყო არქიფო ექიმი ქალებში სახელქებული.
შავთმაწარბა და ლამაზი, ცოტათი შესუქებული,
ვენერის ტრფობის სხივითა გონება გაშუქებული.

— : —

აწ მივალ, სადაც გადმოწვეთს მეცნიერების ნამია,
უწინ აქ მასწავლებლობდა სულ ხუთი მარიამია,
მაგრამ აწ მათგან მხოლოდ-ღა გადარჩენილა სამია,
ამით გვაქვს ნება ვიფიქროთ: დგება წარწყმედის ჟამია.

— : —

ვფიქრობ დაიხსნას ქვეყანას აქ მყოფი სამღვდელოება,
განსაკუთრებით მელიტონს ამშვენებს დღეს სათნოება,
მაგრამ, რომ წვენი არა აქვთ მაკრთობს ეს გარემოება,
ნუთუ სრულიად დაიპყრობს დღეს კულაშს უსჯულოება?!

— : —

კულაში ქალნი შემოკრბნენ, ამაზედ ჰქონდათ ცილობა:
— ჰშვენის თუ არა მელიტონს მღვდლობისგან გაკრეჭილობა?..
რადგან მიჰბაძა სპასა, იხმარა დიდი ზრდილობა,
ჩვენც ნულარ შეურისხდებით, გვმართებს ეს გულკეთილობა;

— : —

მას წინა დროშიც ჰშვენოდა ქალებთან გასეირნება,
გულში დაფარულ გრძნობათა იდუმლად შეტყობინება.
მხოლოდ, რომ იმ წვენს დალევდა, რაც ნოემ ერთხელ ინება,
უყვარდა გაშლის ბალისკენ ხელების წაპოტინება.

ანაფორა უთრნის ჰქონდა და ეწადა ბულბულობა;
როცა ვარდებს იხილავდა სწვავდა ტრფობის ალ-კვამლობა,
გული ჰქონდა სამიჯნურო, ცოდვა იყო მისი მღვდლობა
და მას გამო ვინც გაკრიჭა — გვმართებს ვუთხრათ მას მადლობა.

— : —

აქ იყო აგიაშვილი ვინმე გიორგი ხმობილი,
ნაქები პედაგოგობით, მასთანვე მგოსნათ ცნობილი,
ბატონი სევერიანეს და ჩარკვიანის ძმობილი,
ვენერის მიმდევართათვის გვირგვინად ჩამოდნობილი,

— : —

მისთა ჭვრეტითა მისითა გულს შუქი მოეფინესა,
რა მიდის მისი ნათლითა მიდამო მიიცინისა;
ტანად „ლომსა" ჰგავს პირად „მზესა" გული აქვს „კლდისა ტინისა"
მხარბეჭი „ტარიელისა", ხელობა რასპუტინისა.

— : —

კულაშს უფლის ჟამს უყვარდა ძრომა აქა-იქ დამითა,
ბნელ ხვეულებში ნახავდით გამოსულს თავის დანითა.
ლხინის დროს ღვინოს არ სვამდა ყანწით და ლალის ჯამითა,
ეწადა ფეხიზედს მთვრალებში რომ ესარგებლა ამითა.

— : —

სურდა რომ ვარდებს ბაღებში როგორმე შეცოცებოდა,
სხვა ვინმე ამას თუ იქმდა უკვირდა, ეოცებოდა;
თვით კი ტრფობისგან ნადენი ცრემლი არ ეხოცებოდა,
კაბის ქვეშეთში შემძვრალი იდუმლად იდოცებოდა.

— : —

გულში მყოფი ტრფობის ცეცხლი იკვრებოდა ლექსთა კონად,
ლექსსა სწერდა ხელგაშლილად, სჭვრეტდა გულთა დასაღონად,
მისი გრძნობა ქალთ სინაზეს ესმებოდა ბულიკონად, *)
მათ ბაღნარში ვარდის კრეფა მისთვის ღირდა მილიონად.

— : —

ეს არის ქება კულაშის, გსთქვი: ვინ, სად, რასა შვრებიან.
ზოგი თვის თვალით მანახავს, ზოგიც სხვათ შემკრებიან.
ხათრი მაქვს ზოგიერთების, რადგან მეც მეხათრებიან,
მაგრამ სიმართლეს ვერ ვფარავ, თუმც მისთვის მემუქრებიან.

ღარიბი.

*) სკრიპიჯარი.

# მიცვალებულის გასვენება

(ტობანიერის თემი.)

ამ ჩვენი თემის ადათი
ნაქები არის ამითი,
რომ მკვდარი უნდა გასვენდეს
ფლავ ღვინით, სმა და ჭამითა.

სამ-ოთხი დღე მზადდება
მომარაგება ჭურ-ჭლისა;
ახლო მეზობლებით ფუსფუსი,
გაშლა ოც საჟენის სუფრისა.

მეოთხე დღეს კი ურმებით
ნათესავ-მეგობრებითა
ივსება ეზო ცხენებით
და ახლო მეზობლებითა.

ხაფშებიც შირდათ დიხტიან.
აღსავსე სიხარულითა;
მათი ფიქრია — თუ როგორ
უბე აივსონ პურითა.

იწყება მოთქმა გოდება
და ულმერთობა უფლისა.
ცრემლი კი არცერთს არ მოსდის
გარდა თვით ჭირისუფლისა.

გადის დრო, ჟამი... იწყება
სუფრის მიწვევა სტუმართა:
ერთად სხდებიან თებრონე,
ბარბალე, კესა და მართა.

დალაგდა ყველა; სუფრაზე
მოდის ლავაში თხელია,
მას თან მოჰყვება თეფშებით
თევზი და ფლავი ცხელია.

აქ მერიქიფეც მზათ არის
ღვინიან დოქით ხელშია,
ეპატიჟება სტუმრებსა:
ღვინო გადუშვან ყელშია.

შესანდობელი ამ ჭიქით,
თუ გინდათ მკვდრისა ცხონება.
სულ ჩადის მოთლი ბორჯომის...
შენ დიდი ნუ გეგონება.

ჭამა სმა დიდხანს გრძელდება
ამბობენ სადღეგრძელოსა
და დიდი ჭიქა მოძრაობს,
რითარცა ბურთი ლელოსა —

ხმას უმაღლებენ სტუმრები...
ზოგი ქუჩაში გასულა...
ზოგს ხორევია „ბახუსი"
და სახლისაკენ წასულა.




იცოდე „ტარტაროზი"
გაზ. „მუშა"-ს
დამატებაა
რკინიგზელთა გაზეთი

ზოგი მამულდარა ხის ძირში
გაშვრილი შეწითლებული,
მსჯელობენ პოლიტიკაზე
ხმა მაღლა გაცხარებული.

მსჯელობის საგანს შეადგენს
საყდარი, მონასტერია,
ზოგი ემდურის კალინინს,
ზოგი კი მადლიერია.

—

გათავდა ქელეხ-სადილი:
დაკმაყოფილდა კრებული,
დრომ მოაწია, რომ აწი
განისვენდეს მიცვალებული.

მაგრამ სადღაა ის ხალხი
წელან რომ „ვაის" ყვიროდა?
ქეჩაში კოწიწ კოწიწით
მღერიან „ვაშა რეროდას".

ძლივს ნახულობენ ათ ფეხზელს
პირისუფლისა ერთგულსა
და ასვენებენ საფლავზე
იქვსი დღის მიცვალებულსა.

ღამდება, ცეცხლი ინთება,
ქვიბით მშვენდება კერია.
ახალი სუფრა იშლება...
ახლა ხომ ძასხურთ ჯერია—

გაკეთდა ცხელი რამ ფლავი,
სან ქაბო და სქელია.
სუფრას მიუსხდენ ყველანი.
თამადათ არის ქველია.

იწყება სმა და მოლხენა
ყველას უჩქროლდეს გულია,
ლოცავენ პარისუფალსა,
მკვდარსაც უცხონებს სულია.

„აბა აავსე ის პიქა",
ყვირის თამადა ქველია,
ის ყურიანა წელან რომ
კოხტათ შევავლე ხელია.

ის გამოცალე შენ, ჩემო,
და შენც, თედორე გაკლია;
მერმე შენ ჩემო, მახეილ,
ჩემო ძვირფასო ნათლია.

ილომ დასცალა, თედომ კი
ნახევრამდისინ დალია;
სხვა ველარ შესძლო და იქვე
ტკბილათ დახუჭა თვალია.

მიხეილს უჭირს, ჯიუტობს,
ცოტა იმასაც უძლია,
რომ არცილოს თავიდან
ძარს პიქას თავი უქცია.

თამადამ თვალი შეასწრო;
გაჯავრდა ჩვენი ქველია.
აჭამა სილა ნათლიას
მწვავე და ერთობ ცხელია.

შემდეგ წამოხტა სუფრიდან
და დაეძგერა თედოსა—
მიზილ-მოზილა ისეცა,
რომ კვლავ არ გაებედოსა.

ამ გვარი ქელეხ-ალაპი
აქ, ტარტაროზო, შხირია.
და ხე მგონია ასეთ ხალხს
თქვენი ხათრახაა სჭირია.

დეხპანეწვილი

# ჩოხატაური

ყველა მხრით ბედნიერი ვართ,
არც არაფერი გვაკლია:
ჩითი, ნარმა და მიტკალი,
საბნისთვის ბამბა, პაკლია.

თხილი წელს ბლომად მოვიდა
ნარჩევი დანაკაკლია,
მაგრამ არ ითქმის—სხვა დარგში,
რომ არა გვქონდეს ნაკლია.

ბაზრობა ვიცით პარასკევს
მთლიანი რაიონისა;
რა გსურს, რომ აქ ვერ იშოვნო:
ყველი და შალი ონისა.

მინის და თიხის ჭურჭლები,
ტალკვესი ყალიონისა,
ნაჯახი, წალდა, ტარანი,
თოხი-საფხეკი ლომისა.

შემოსავლად ითვლება
მთელ თემის ალმასკომისა,
ბაჟი ნაკრეფი ვაჭრებზე
ქართველი, თუ სხვა ტომისა.

სუნი დგას მყრალი ბაზარზე,
ლაფში ამოსვრილ ღორისა.
სულ დაგვისვარა ქალები,
გამავრცელებელი ჭორისა.

მარტო სმა ჭამა არ კმარა,
სხვაც გვაქვს საზრუნავია:
ზამთარი გვიახლოვდება,
გვჭირდება გზებში ნავია.

ნეტა რა უჭირს ალმასკომს,
რომ შეიფხანოს თავია!?
სოფლებში გზების კეთება
არ ფიქრობ—იყოს ავია.

ბალნიცის მუშებს გადაძვრათ,
ზურგზე და ხელზე ტყავია.
თუ დავესრულეთ—ეცოცხლეთ,
—ეს დარჩეს სანახავია.

ვინ იცის, იქნებ გაკურნოს,
მრავალი მომაკვდავია;
მაგრამ რაღ გვინდა და თუ ისევ
დაგვჭირდა გზებში ნავია.

ჯერ, ტრაქტორები არა გვაქვს,
მიწების მოსახნავია;
გლეხი ვართ, კიდევ გვჭირდება;
ურემი, ფარცხი, კავია.

და გწერი, რომ შევაკეთოთ,
რა მიზეზის საკითხავია?
არავინ გაგვიჯავრდება,
არ კოკლდება ჩემი თავი!

და, ალმასკომო, ისმინე,
გამოახილე თვალია,
ამ ბეჭს ყველა მიირთმევს,
თუ დარჩა მოსათალია.

იხმან ბიძა.


**კბილის ექიმი ვარშავსკი**

ყოველ დღე ღებულობს არაყს 4—5 ბოთლამდე.
შეგიძლიათ ყოველ დღე ნახოთ მთვრალი დილის 8 საათ. საღამოს 10 საათამდე.





ე ქ ი მ ი (ავადმყოფს, რომელსაც პირში კბილის ამოსაღები მარწუხი ჩაუტოვა ვარშავსკიმ, რადგან მოულოდნელად მოუნდა არაყის გადაკვრა).
რა გაყვირებს? დამაცადე, ერთი ბოთლი არაყი გადავკრა, ძალა მომემატება და უფრო ადვილად ამოგიღებ კბილს.

# განძა

ტარტაროზო, განძას გვლის,
ნუ აყოვნებ დღესვე წადი;
იცოდე რომ იქ დაგხვდება
გემრიელი ცხელი მწვადი.

— —

წყემისაგან ლეშება სკოლა
უპატრონოდ მიგდებული,
რადგან შრომა ეზარებათ.
(მაზეზია დიდებული).

— —

სამკითხველოს დღეს პატრონობს
ვამგის ნაცვლად ძმა ფახურა;
არ გიცი ეს დიდი კაცი
ასე ის რამ გაახურა?!

სამკითხველო საარშიყოდ
არასოდეს არსად თქმულა;
თუ ეფიქიდა სადმე ასე
„ტარტაროზში“ გალახულა.

— —

ხიდეც განძის კარგი არის,
ვინც კი ნახავს გაკვირდება...
მაგრამ მგზავრი ვინც გაივლის
მისი მსხვერპლი გაგვიხდება.

„გაიუგეს და გამოიუგეს“
შეგიიტი, ჭუდრ-ბამადა...
როცა გახდენ „საქმის კაცნი“
მათ გაეხსნათ ჭამის მადა.

ამბობენ რომ—ჭამასაც კი
როგორც სხვასა—ძალა უნდა...
ამას ჩვენ მათ გაპატიებთ,
თუ ხალხიდან არ გახურდა...

მაგრამ განძას ვერას არგებს
ამხაირი ჩვენი შველა...
საქმე იქ არ გასწორდება,
სანამ მას ჭყვლეობს მგელი, მელა.

უიმედოთ ნუ დაგვტოვებ...
თუმც საქმეა მეტად ცუდი,
მაგრამ შეგთხოვთ, ტარტაროზო,
რომ ამათსაც სტორცნო კუდი.

ქ. სორტელი.

# ათანასე „სტუდენტი"



დაასრულა ტეხნიკუმი—სტუდენტია ათანასე.
შვილს თბილისში აგზავნიან ძილიბანი და მანასე.
არიგებენ:—შვილო ჩვენო, ჭკუით იყავ იქაც ასე.
„ინჟინერი" ან „დიპკური" გახდი, შრომა დაგვიფასე.



პატარობიდან დიდი ჰქონდა მას სწავლისა სიყვარული:
სურდა სწავლა შეეძინა, გაეხარა მშობლის გული.
ლექციებზე მიიჩქარის წიგნებით დატვირთული,
რომ გამოიცნოს სიცოცხლისა ამოცანა მეტად რთული.



თბილისია. სადგურიდან დაემშვიდა ათანასე.
ამდენ ხალხში არა სჩანან არც ძილიბან, არც მანასე.
—კრუხა არის, ან ქორწილი,—მიტომ არის ზვერი აქე...
რა მინდოდა, რომ წამოვედი... სოფელი ვერ დავაფასე.



დერეფანში ბაზრობაა—იაფია სიყვარული.
ხედავს: ყველა ქალი, ვაჟი ფიქრით არის დატვირთული.
ლექციებზე არ ისმენენ,—მაინც ჰბაზრობს მათი გული.
დაქორწინდენ ჯერ თუ არა?—ყველას სტანჯავს კითხვა რთული.



მთა წმინდიდან გადმოსცქერის თბილისს ქალაქს ათანასე.
„უცხოეთში" ენატრება ძილიბანი და მანასე.
—ჰა, სახლები!—და ჩემს ბინის რად გაჭირდა შოვნა ასე?!
ჩემი კოხი მთელ თბილისად მხოლოდ ახლა დავაფასე.



მასაც გულში ჩაუვარდა ერთი ქალის სიყვარული.
დიდხანს იყო ათანასე კაეშნით დატვირთული.
გამოეწყო... მიიკაზმა... დაცურავდა წიგნზე გული,
და მან ასე გამოიცნო ამოცანა იგი რთული.

## ს. ვ ა ნ ი

(ზომდეთის თემი, გურია)

ტარტაროზ, ესე ამბავი,
შენც რომ გაიგო მწუხრია...
დამნაშავენი ვინც არის
ხაკრად ააწი ყურია.

—

შენც კარგად მოგეხსენება —
სიმინდი ჩვენში ძვირია;
ვისაც აკლია — ყიდულობს,
რაც მეტისმეტად ხშირია.

—

ერთ დღეს გაისმა ხალხშა ხმა—
სიმინდი იყიდებაო..
მაგრამ როცა იქ მივიდენ
უთხრეს — დღეს არის კრებაო...

—

გახსნეს კრება და სიტყვები
წარმოსთქვეს მეტად გრძელია:
—ახალს ივაგებთ... არ გვინდა
ჩვენ სამკითხველო ძველია.

—

გადაწყდა საქმე — ქვის დაედგათ,
იდეალი საშოვნელია...
ხმა აუმაღლა ამტონმა:
„ძმებო, ავსწიოთ ხელია".

—

კომისიასა მიანდვეს—
რომ გამონახონ ფულია
(შეწირულებით, ან სხვა გზით)
არ ავიცრუოთ გულია.

—

სწრაფე გამონახეს ტიტიკო—
არტისტი გამოცდილია
(მისი სადარი ჩვენ თემში
საშოვნად ძალზე ძნელია).

—

სთხოვეს შალვას და დიანოსს
დაუკრან რამე მერშია...
...და წარმოდგენა გამართეს
სამეფოსა გლავანშია
(რომლისა ზავსი, არ მახსოვს
რომ ყოფილიყოს ვანშია).

—

ლატარიისა მოწყობა
ტიხონი იყო თავია.
შოშურია და სიმონი
ბილეთის გამყიდავია.

—

როს წარმოდგენა ჩატარდა
და დაგვრჩა ცოტა ფულია —
ქვის ოსტატები ბევრი გვყავს,
ამგერდა მათი გულია.

—

ერგო იჯარა ლიცერენტის,
ძველი და გამოცდილია,
მაგრამ შაიკით დაძლია
კირილეშ. (ზიძაშვილია)

—

ქვის მოხელენი ამბობენ:
ლიცერენტი არა ვარგაო;
იმის თუ საქმე მივანდეთ
ეს საქმე დაიკარგაო.

—

ყველამ ჩაქოლა ლიცერენტი,
კითილეს მისცეს პირია...
ქვა მოიტანეს, მაგრამ ჯერ
არ სჩანს: ცემენტი, კირია...

—

ჯერ ეს ამბავი იქმარე,
შემდეგს გაცნობებ აწია;
შენც მოისმინე, ტარტაროზ,
ეს ჩვენი გაწამაწია.

მოყვინტურ...

## კინო სოფლად



ჩვენს სოფელში აჩვენებდენ კინო სურათს. როცა ეკრანზე მატარებელი გამოჩნდა, შეშინებულმა ძაღლებმა ყეფა დაიწყეს; მაგრამ ძაღლებზე არა ნაკლებ შეშინებიათ ზოგიერთ სოფლელებს, რომლებსაც მატარებელი ჯერ კიდევ არ ენახათ.

ჰოი — ჰოი, ჰოი... ეს არის დოგვეჯახა და გაგვჭყლიტა... პირდაპირ ჩვენსკენ მოჰქრის... არიქა, თავს უშველოთ... ვაიმე, ცოლო, შვილო— ჰყვიროდენ და გარბოდენ ისინი.

## ღია წერილი

### შ ვ ი ლ ს

ჩემო გამაუბედურებელო, გამაბახებელო და სასირცხვილო შვილო, თედორიავ!

ამის მეტი არ გეღირსა მამაშენისგან გალაპარაკება, ვაი შენ დაგესხა თავსხლაფი თავზე, რავა შენ მომჭამე და შემარცხვინე ყველასთან.

ბიჭო, თუ ამდენ ვალს ღებულობდი და ქვეყანას სტყუოდი მიმაძაღლურათ ამდენ ფულს—რას უშობოდი შენ დალუპულო?! სახლში ერთი კაპეიკის აფერი მოგიტანია; შენდგან მე ჯერე ერთი ნიფხავ-პერანგი, ერთი წულა არ მახსოვს... იგი კი არა— სახლიდგან ძურწავდი ჩემს თავმონაყარს. ოი, არამათ იყოს, შვილო, შენზე ჩემი ამაგი.

ახლა რომ მომადგა აგი მევალეები, ჯერე მეზოპლები და მერე შორიდგან.. წერილი წერილზეა. ოზურგეთში ვალერიანა თოთიბაძის დუქანში ყოველ დღეს შენთან გამოგზავნილი წერილები. კაი ქები გიწერია შენ კაი შენს ცხვირს მოუვა, შენ გვარის და ოჯახის მომჭამეველო.

ისოდე დღეიდგან ტყუილათაი მამაშენის სახელს და გვარს ნუ იტარებ, თვარა, ღმერთმანი, რას გიზამ არ ვიცი... თუ კი გაგიგე—სად აგდიხარ, ყველაყას უნდა გავაგებიო შენი საქმე და პატიოსნობა. შენ რომ ჩვენი სოფლის კოოპერატივის და კლუბის ფული შეყლაპე, ახლა შენგან გადიდეს და გათამამდენ სხვები და რაცხა ორი კაპეიკი ეგდო კლუბის ასაშენებელი, —დღეს ვინ ჭამს და ვისთანაა, კაცმა არ იცის. უბედურმა დედა შენმა სამუდამოთ გამოგიტირა და აწე აქეთ ჩემს თვალებს არ გაეკარო. თუ მოგიცდა ფეხი აქეთ, ტყავს გაგიძრობენ... ხარი შენდა სულ ერთია: ნუ გეშინია არ შეგრცხვენს, შენ იხტიბარგირეცხილო; ქესტი გაფარია შუბლზე, ქესტი. რამდენ ხანს იქნები ასე დამალული და რითი ირჩენ თავს, თუ ვიცოცხლე, მაგასაც კი ვნახავ: თუ ღმერთმა მქნა და მოვკტი შენისთანაი შვილის პატრონი,—პარდაპარ ცხონება იქნება, ღმერთი თუ მწამსო.

შენგან თავმოჭრილი ბეჟუკა.

ყარიმტარტარა.



# ცოცხალი საყვირი



**კინტო** (დილით ადრე მიდის ქუჩაში და ჰყვირის) დული... დული... თჭ—ჭო—ჭო... რა დულია, რა დული... ვინც არ იყიდის—ან დღე მოკვდება, ან ღამე... ჭო—ჭო—ჭო—ჭო, რა დულია, რა დული... უშვილობის წამალია, მო იყიდე ამალია.

**მილიციონერი** (გამოეღვიძება და წინ გადაუდგება) რა გაყვირებს თავგატეხილსვით?!. ვერა ხედავ—ჯერ ადრეა და შენი ყვირილით აღვიძებ ყველას!?

**კინტო.** ვახ! ტავარიშჩ, ზაჩემ შერჩაი?.. მე თუ ორთაჭალადან კი მოვსულვარ აქა, ესენი ამდენხანს ლოგინიდან ვედარ ადგენ? ეხლა, ტავარიშჩ, „პაკადუსტა" ხალხი ხომ არ არის!.. ეს რაბოჩი ნაროდ, და რაბოჩი ნაროდ კი დილით ადრე უნდა დგებოდეს და სამუშაოზე მიდიოდეს

# სატარტაროზო

## „ნორმაზე მეტი"

(ზუგდიდი)

ქალაქის ბაღი იმდენად გამშვენიერდა, რომ გადააჭარბა ომისწინადროინდელ სიმშვენიერეს. ნორმალურ სილამაზის მისაცემად, შეუდგენ მცენარეულობის ამოგლეჯას და ტოტების დაჭრას.

## „დიპლომატიამ გასჭრა"

(იქიდანვე)

ბაზარი იკლებული იყო ლორების მიერ. ლორებთან მებრძოლი საზოგადოების თავმჯდომარე გიგო ვერაფერს გახდა ლორებთან მუქარით და ბრძოლით, მიუხედავად იმისა, რომ მას გრძელი ხანჯალი ჰკიდია წელზე. ბოლო დროს მან გამონახა ხერხი: ლორების პატრონები მოიპატიჟა, კარგი ქეიფი გადაუხადა, და ამ საშუალებით მან ზავი ჩამოაგდო ლორებთან, რომლებმაც პატრონების იძულებით დროებით დასცალეს ბაზარი.

ცვანცი.

## მიხედეთ ლონგინოზს

სოფ. კვაწხუთი (რაჭის მაზრა)

წელს კვაწხუთში ცუდი მოსავალი იყო, რასაც მამა ლონგინოზი ღვთის წყრომას აწერს, რადგან ეკლესიები ყველგან გააუხსნა და იქ კლ. ბონ. დაგზავნა აგენტები, რომლებმაც მიიზიდეს გლეხობის ნაწილი. ეკლესიის საზეიმო გახსნა მოხდება ცხრა მღვდლების თანდასწრებით; უნდა დაიკლას ცხრა ოთხშერი ცხვარი. სამ ლეკვაშვილმა უკვე იყიდა შესაწირავად ცხვარი, მაგრამ გადაცვლას აპირებს, რადგან ცალ ფეხზე სატკივარი აღმოაჩნდა ცხვარს.

## „კანდიდატი"

იქიდანვე

ახლად დაარსებულ კოოპერატივის გამგეთ ვანო შეულია ასახელებს დიაკონ ვასილს, რომელიც ძალიან კარგი ყოფილა ვაჭრობაში. ამას ადასტურებს იგრეთვე მამა ლონგინოზი, რომელიც ამბობს:—როცა გადასახადი წაცვალებულის ქირისუფალთან სამარხის ფულის მოსათხოვნად, გამზადებული ბრალი არ დამრჩენია ბოლო:—ყოველთვის ამაზე მეტს მოიტანდა, რაც დაპირებული მქონდა.

ჯანო.

## „თხის დამკვლელი"

(ჯურუყვეთი)

ლაზარეს ისე უყვარს კარტის თამაში, რომ—როცა მოთამაშე არა ჰყავს, ცხოველებს ეთამაშება.

მან ერთ მშვენიერ დღეს დაიჭირა მეზობლის თხა, მიაკრა ხეზე და დიდი სიამოვნებით დაიწყო მასთან კარტის თამაში. პირნათლად თამაშობდა, როგორც თავისა, ისე თხის მხრივ. მოიგება ერთი თხას. მან სამი მანეთი კისერზე შეაბა და ისე გაისტუმრა მოგებული თხა.

თხის პატრონს, რასაკვირველია, გაუხარდა, როცა თხამ საღამოს მას სამი მანეთი მოუტანა. მეორე დილით პატრონმა თხა იმავე მიმართულებით გაუდენა საბალახოზე—კიდევ მოელოდა რომ თხა ფულს მოუტანდა.

ლაზარემ იცნო მისი მეგობარი და ამხანაგი თხა და ეთამაშა კარტი... მაგრამ ეხლა თხამ წააგო და ლაზარემ მოიგო სამი მანეთი... რადგან თხას ეს ფული აღარ აღმოაჩნდა, ლაზარემ იგი წაიყვანა, მოსჭრა თავი და სამ დღეს იქეიფა.

თხის პატრონმა ეს საქმე სახალხო მოსამართლეს გადასცა.

გამოირკვა, რომ მოგებული ფული თხას სახლში მიუტანია პატრონისათვის და მას კი წაგებული ფული ლაზარესთვის არ მიუცია. ამიტომ მსაჯულმა ლაზარეს მოქმედება კანონიერად სცნო და გაამართლა.

ხუშტური.



## ,,ინტელიგენტი'' სოფლად



— ნეტავი თუ ხედავენ, გაზეთს რომ ვკითხულობ?

## ჭყიბული

ჩვენს წითელ სასადილოზე
ცუდი რა საკადრისია...
გამგე: პავლე და ისიდორ
მართლაც რომ ქების ღირსია.

ნორმაზე ღვინოს მაცემა
მართლაც რა წესიერია...
რა გენაღვლება დალიონ,
იტეხონ თუნდ კისერია?!

რვა ბოთლი სამსა მუშაზე
ნორმა არავის ჰგონია...
ანდა ასეთი შეცდომა
აქ რაღა მოსაგონია.

გუშინ რომ საშიკიტნოში
მიკიტნად იყო ამქარი,
დღეს „ეპო"-ს სასადილოში
გახდარა „წმინდა ნოქარი".

ნათლიმამობას და ძმობას
აღარ აქვს დასასრულია...
ბევრჯელ აუგეს სადღეგრძელო
წესი და ალსასრულია.

მოლაროეპის წმართველებს
ყურის აწევა სჭირია;
რად არ იციან ამღენხანს
მუშების გასაჭირია.

ეს როდის კჰარა, რომ მუშებს
ნორმები უცხონ მრავალი;
უნდა ცდილობდენ—მათ ჯიბეს
ჰქონდეს რამ შესასავალი.

გვირაბებს ხშირად მიხედონ,
არ მოხდეს რამე მარცხია...
სოსო კი ქალებს კონტროლობს,
თუ ვის როგორი იცვა.

ჯერ ეს იკმარე, ტარტაროზ,
გამოგიგზავნი სხვას მალე...
გთხოვ ყურადღება რომ მასცე
რაც ახლა შემოგითვალე.

ხვლიკი.

## საოცარი სამკითხველო!

ოზურგეთის მახლობლადა
სოფელია ლაშე
ცნობილია ჯერ მითაც, რომ
ტბა აქვს გვერდით მლაშე;
ამას გარდა „საქებია"
მისი სამკითხველო,
და თუ დიდათ არ შეგაწყენთ
ავსწერ წამკითხველო:
შენობა ჯერ ახალია
ფიცრით „ჩახლართული",
მაგრამ საქმე სამკითხველოს
არის დახლართული.
შიგ წიგნები არ მინახავს,
გაზეთი აქვს ორი,
ისიც ძველი, რადგანაც გზა
არის მეტად „შორი"
მკითხველებსაც ვერ ნახავთ შიგ,
სოფელს არ სცალია,
„სალაზბუცოთ" შეკრებილან—
ეს კი მართალია...
მაგრამ ერთი მნიშვნელობა
მასაც შერჩენია.
დილა იყოს, გინდა შუადღე
მაინც არის ღია,
და წვიმის დროს თავშესაფარს
ჰპოვებს თხა და ღორი.
მე თვით ვნახე ეს ამბავი
არ გეგონოსთ ჭორი...
გამგეობა არ იღებებს,
ის ძალს შეუპყრია
და მათი გამოფხიზლება,
თქვენთვის მომინდვია!...

ი. ჩაილუჯიძე.

## მესტვირული

(ჩიბათახათვის)

ტარტაროზ, ყური დამიგდე
თუ რად ვამღერებ სტვირსაო.
არ კი იფიქრო—ვილუყუოდე,
უქმად არ ვიტყვი ძვირსაო.
სახალხო სახლსა დაშენებთ
გადის, ჰა, ორი წელია,
მაგრამ არ იქნა... არ იქნა...
იმედიც გამოგველია.
რა უჭირთ—ფული მობოჭეს,
ჯიბე შეიქნათ სკილია;
სახალხო სახლის დადგმისთვის
არავინ დაძრა ხელია.
ამორჩეულმა წევრებმა
უსარგებლონმა საქმისა
ფულები „ქეფაიმასქნეს",
დარდიც არა აქვთ ხალხისა.
მეტს ეხლა არაფერსა ვთხოვ,
ერთი მაქვს სათხოვნელია:
ამათ ზურგი მაჩვენე
ჩანგლითა ნაჭრელია.
რა კი მოვყევი თავიდან
ჩიბათის გჭირთა ქებასა,
ვუსურვებ თქვენსა ჩანგალსა
მათ ზურგთან შეთანხმებასა.
როცა დამჭირდეს, მათხოვე
ეს შენი გუდა სტვირია,
რომ ყველას მიულილიონო,
ვინც ჩვენში მაინც პარია.

მიშო.

## ზ ე ვ ო

სურამისა „ეპო"-ო
შენ დაგიდგეს მახეო,
დაჰკარგე და აღარ გაქვს
შენ გლეხური სახეო...
შენ, რომ სასადილო გაქვს,
ამასწინად ვნახეო.
ზედ ჩაჯიბაშვილი
კარგად შეინახეო...
ფულს ჯიბეში ჩაჯიბავს
თითქოს უსვამს წებოსა...
გორიდანა ესტუმრენ
ძმა ბიჭები ზებოსა...
ვით მაყრები მიადგენ
ღვინის სარდაფს ენოხ-ა*).
და სხვადასხვა ღვინოსა
უსინჯავდენ გემოსა...
ფარტონის „კოზლაზე"
წამოსკუპდა სამთვრალი;
გააჭენა ქუჩებში
მან ცხენები დაფრთხალი...
ვაიმე ჩვენო „ეპო" ო.



„ბუღზე გახტა".

*) ერთიანი მომხმარებელი საზოგადოება—„ეპო".



# …სარო გოდორიდან

**ნიკოლოზიკას.** თქვენ გვწერთ, რომ—გიორ-გი დადიანმა და ამ დროს ტყვიამფრქვევის დელაქები არიან და ამავე დროს ექიმბაშობასაც ეწევიანო. —ჩვენ მათ წინააღმდეგ მოვილაპარაკეთ ზო-მებს, მაგრამ ნება არა გვაქვს, რადგან თქვენში ასეთი რაშეები, როგორც ჩვენ სარწმუნო სარწმუნოებიდან გავიგეთ, ნი-ბადართული ყოფილა.

**შამფურს.** მამა უცხონდა (თუ მკვდარი ჰყავს) არხიტექტორ ირაკლი! ; ძალიან კარ-გად მოიქცეოდა, და თქვენ ტყვილად უსა-ყვედურებთ. ხალხი ახლა ფეხსადგილში უფრო ხშირად დადის, ვიდრე იქ, შენ რომ იცი (ღვდლებმა არ გაიგონონ, თორემ ეწყინებათ).

**გოჩელს.** შე კაი კაცო, ექვსი მანეთის მეტი თუ არ შეუჭამია კომისიის თავმჯდო-მარეს, მადლობა უთხარით. განა არ იცი ახლა როგორ მადიანად მიირთმევენ **სახა-ზინო** ფულებს!

**ჯადოხანს.** ტარტაროზი ეთანხმება სა-სამართლოს ხარნიძის გამტყუნებაში. საქ-მე ამით მოისპოს.

**ხიდოვანის მოსწრებულს.** (ოზურგეთი) ბათუმელ და ოზურგეთელ ლ ორებს შორის ჩვენ ვერ ვნახულობთ ვერავითარ გან-[illegible] ხოლო მათ შორის მსგავსება დიდია. ბათომში რომ გოჯს ხედავთ, რა-ტომ ვერ ხედავთ ოზურგეთში ლორს?.. არ ვარგა ასეთი კუთხური ლორმოყვარეობა. მანძილი ტარტაროზის მაგიდიდან უფ-სკერო გოდრამდე იმდენია, რამდენიც უფ-სკერო გოდრიდან ტარტაროზის მაგიდამ-დე. ეს თუ თქვენ არ გჯერათ—შეეკითხეთ თქვენს წერილს და ის გეტყვის.

**არტურს.** (ლანჩხუთი) გადაჰკრა შენმა წერილმა „ხიდამ ე“ და კისერტეხ თ წავი-ლი ხარ თ). და გოდრისკენ.

**მედგარს.** შენ ერთი დარჩენილხარ და, ბერამ, შენც მიიღე მონაწილეობა. ქვეყ-თემცალი სახაზინო ფულებით სჯობია, მაგ-რამ როცა ამის შესაძლებლობა არ არის, საკუთარ ფულებითაც არა უშავს.

**„გოჩის შეყვარებულს“.** (ასკანა) თქვენმა **გორობის“ მ** იგორა და ჩაგორდა უფსკერო გოდორში. საყვარელს სხვებს დასცინით და უკრძალავთ, თვითონ კი „შეყვარე-ბული“ ყოფილხართ. (ალბად თქვენც ხართ სოფია გაუთხოვარიძის კურსებზე).

**კაკტის.** (ოზურგეთი) უსაყვედურებ მსახ-იობებს, რომ ისინი პარტერში დადიანო. როცა მაყურებელი არ არის, აბა როგორ უნდა მოიქცნენ?

თუმცა თეატრში სამასი მაყურებელი მაინც არის, მაგრამ სალაროში ბილეთე-ბიდან შემოსული ფული არასოდეს არ აღწევს ოც მანეთსო... შე კაი კაცო, თუ ვინმე კი დაესწრება მაქაურ წარმოდგე-ნებს, ფული პირიქით უნდა მისცეთ.

თქვენი ვინაობის გასაცნობად ასე გვწერთ:
მე ვარ ქართ' დრამის მსახიობი საუბედუროდ.
გეთანხმებით - მართალს ამბობთ.

**ტამტამს.** (წითელი ქ ლაქი) თუ კბეჩ გტკივათ, შიმართეთ თქვენს კბილის ექიმს.

**ქსისტიანს.** როგორ გეკადრებათ ქრის-ტიან კაცს ასეთი საქციელი!
მამა უცხონდა თუ „ძალიან მოგეცხო“, ხო-ლო თუ ცოტა,—შეავ ტყოპინეთ და დანა-კლისს ჩვენ შეგისრულებთ.

**აგრაფინა პოპუას.** (სამტრედია) თქვენი წერილი ბევრჯერ მივიღეთ, მაგრამ ვერც ერთხელ ვერაფერი მივხვდით. რა გინდათ, რას თხოულობ? „ბატონო“, „ბატონო“ არ არის საჭირო. მოკლედ დაგვიწერეთ გარკვევით, თუ რაშია საქმე.

**„შენი სპრაქსიას“** (ალბათ ოზურგეთში, რადგან იქ მასწავლებლობ). თქვენი „გიგა-ნტიური სისულელე“ „გიგანტიური ნაბი-ჯით“ წავიდა უფსკერო გოდრისკენ, სადაც „С нетерпением ждали, как птичка лета“. (ავშენებულვართ — თქვენ თუ მასწავლებე-ლი ხართ).

**“გარეთაცა“.** მირიან კაკურიაზე გვწერთ: ის დადის და თან ჩურჩულებს „სადღეგრ-ძელო“ საქმეებზე, რომ ვილაცას ვილაც უყვარს და სხვა წვრილმანს ამბობსო“.

რატომ გგონიათ, რომ საყვარელი „სა-დღეგრძელო“ საქმეა და წვრილმანი! თუ კი ასეთია, თქვენ რატომ არ თაყვლობთ?

წერილის ბოლოში ასე გვწერთ: „გთხოვთ გაატაროთ ეს წერილი რედაქ-ციაში“, ავასრულეთ თქვენი თხოვნა: გავა-ტარეთ რედაქციაში უფსკერო გოდრისკენ გადაგზავნის დროს.

**ბზიკს.** (დიდი ჯიხა. გურია) ნუ თუ არ გაგიგონიათ თქვენ:—ყვავს რომ საზამთრო გაადგებიო, ისიც საქმეაო... ჩვენ ინტელი-გენციიდან მაგის იმედიც არ გვქონდა. კი-დევ კარგი, თუ მანდ მთელი ღვინო შეეს-ვეს და თქვენ არაფერი დაგრჩით.. თქვენ აღარ შეგეძლებათ დათრობა და ესეც კარგი საქმეა.

**ბოჯოკს.** თავი არ ვარგა, ბოლო კი... როგორც თბილისში ახლადჩამოსული, ქვის კვნჭი უნდა გადაგეყლაპათ და აწლენი და-ვიდარაბა აღარ შეგხვდებოდათ.

**ჩორნას.** თქვენი წერილი ისე გრძელი იყო, რომ როცა ვკითხულობდით მაგიდაზე არ დაეტია და მისი ბოლო უფსკერო გო-დორში გადასულიყო. იქ სხვა წერილებს დაუმეგობრდა და მათთან ყოფნა აშკობინა, ასე, რომ ბოლო ჩვენ არაფერში დაგვრდით.

---

## წერილი ტარტაროზის მიმართ

ვინაიდან დიდი ინტერესი მქონდა ჟურ-ნალ „ტარტაროზის“ თანამშრომელი ვყო-ფილიყავი, ამიტომ გამოვგზავნე განცხა-დება და ორი კორესპოდენცია.

რაღაც ჩემდა საუბედუროთ ერთი კო-რესპონდენცია შეეხებოდა ქ. ზუგდიდის საავადმყოფოს. კორესპონდენციის გამოგ-ზავნა შეუტყვია აქაურ საავადმყოფოს გამგე ქალს სოფინოვას და ისეთი ამბავი ამიტეხა, რომ შიშით აღარ ვარ კაცი. ჯერ გამლანძღა, მიწასთან გამისწორა.

„ — როგორ გაბედე შე გლახაკო და ასეთი დიდი შთამომავლობის პიროვნების, ასეთი დიდი პროტექციის პატრონ ქალის შესახებ რამის დაწერაო“. შემდეგ დამე-მუქრა:

„ — თუ კორესპოდენცია დაიბეჭდა, ქესლებით გაგჭყლეტაო.—

ამიკრძალა საავადმყოფოში შესვლა, რო-გორც თ ვის სამფლობელოში, ამ რიგად ვიმყოფები აუცილებელ საფრთხეში. სასო-წარკვეთილი გთხოვთ მიშველოთ რამე. ყოველგვე ზემოდაჭმულს იმენდა და ხედავდა რამოდენიმე პიროვნება.

ფედოტე ჯ ქია.

„ტ ა რ ტ ა რ ო ზ ი“-საგან. ნუ გეშინია, გა-მაგრდი. საუბედუროდ ის თქვენი წერილი არ ვარ-გოდა და გოდორში გადავაგდეთ. რომ ეს გვცოდ-ნოდა—აუცილებ ლად გაჭყლეტდით.. მადლობა უნდა გვითხრა, რომ გადაგარჩინეთ. წერილი არ დაბეჭდილა და რას გაიგებს, რასაც სწერდი მასზე'




გამოიწერეთ თქვენი გაზეთი

„მუშა“

ორკვირეული

იუმორისტული ჟურნალი

„ტარტაროზი“

მისი უფასო დამატებაა

არ დარჩეთ უგაზეთოდ და უჟურნალოდ

კიდევ მიიღება ოქტომბრისათვის

ხელისმოწერა

რედაქცია და კანტორა: რუსთაველის პროსპექტი № 24.

პროვინციებმა მიმართეთ ჩვენს განყოფილებებს


ს. ს. მ. ჯ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა — თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 18 ოქტომბერი 1925 წ.

# ტარტაროზი

№ 22 გაზ. „მუშა"-ს ორკვირეული უფასო დამატება. № 22

ეროვნული ბიბლიოთეკა




ჯერ ადრეა... ნუ ჰხარობ,
შენი ჯერ ნუ გგონია...
გასავალში დალოცე
გასავლელი ფონია.

დაგითხოვე ათასჯერ,
მაგრამ შენ არ უქელი.
სახაზინო ფულებით
ამოივსე მუცელი —

სხვად არაფრად არ ვარგა
ენი ხორცი და ქონი —
სჯობს რომ გადავადუღოთ
და მივიღოთ საპონი.

# „სეზონი“

საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ ჩვენი მკითხველების საყურადღებოდ, რომ ამ წერილში ისინი სასაცილოს ვერაფერს ნახავენ, ხოლო სატირელს კი ბევრს, თუ, რასაკვირველია, გული შესტკივათ სახელმწიფოზე, რაც ჩვენს დროში, მართლაც, საკვირველია.

ვინც კარგ გუნებაზე ხართ, ნუ წაიკითხავთ ამ წერილს, თორემ ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი, რომ თქვენ მადა აღგეძრათ ფულის გაფლანგვისა და მითვისებისა. გაფრთხილებთ: თქვენს მადას ჩვენ ვერ დავაკმაყოფილებთ, ხოლო თქვენი დაწესებულება-წარმოების სალაროები კარგა ხანია გაწმენდილია თქვენი გამგეებ-მოლარეების მიერ.

ანდა რა დროს სიცილია, როცა გახურებული მუშაობაა სალაროების გასასუფთავებლად.

ამ წინასწარი გაფრთხილების შემდეგ ჩვენ ვიწყებთ წერილს.

ჩვენ გვაინტერებს ფულების გაფლანგვა და მითვისება კი არა (როგორც ეს ზოგიერთ გამგეებ-მოლარეებს), არამედ გამოკვლევა იმ მიზეზებისა და პირობებისა, რომლებიც იწვევენ ამ მოვლენას.

ჩვენი მიზანია საკითხის სოციალური და მეცნიერული საზომით გამოკვლევა.

თქვენ ალბათ კარგად იცით, რომ ერთი მოვლენა იწვევს მეორე სხვა მის არამსგავს მოვლენას. რომ ეს ასე არ ყოფილიყო, ადგილიც არ ექნებოდა ჩვენს სინამდვილეში ფულების გაფლანგვას და მითვისებას.

რატომ გახშირდა გაფლანგვა და მითვისება და ისიც ამ უკანასკნელ ხანებში?

ჩვენ ვამტკიცებთ: გახშირდა იმიტომ რომ: ილეოდა საანგარიშო წელი.

ბიუჯეტში ალბათ შეტანილი იყო განსაზღვრული დიდი თანხა, რომელიც უნდა დახარჯულიყო გაფლანგვა-მითვისებაზე.

ეს თანხა ალბათ არ ამოწურულა და ამოსწურეს საანგარიშო წლის დასასრულს.

გარდა ამისა, ალბათ შემოსავალი-მოსაგები ისე ბევრი იყო, რომ ნორმას აჭარბებდა და მთავრობას რომ გამგეებ-მოლარეებისათვის საყვედური არ გამოეცხადებია, ამისათვის უკანასკნელებმა გადამალეს ზედმეტი მოსაგები, რომელიც მოახმარეს თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს.

მთელი სააგარაკო სეზონის განმავლობაში სისტემატიურად გამოდიოდა სალაროებიდან ფულები და პირდაპირი მაშრუტით მიდიოდა აგარაკებზე შაბათ-კვირა დღეებში.

შრომის სახალხო კომისარიატი პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდა გამგეებ-მოლარეებს ამ კეთილსაქმეში იმით, რომ ხშირად კვირასთან ორშაბათსაც აუქმებდა.

არც ისე სულელი ხალხია გამფლანგველ-მიმთვისებლები, რომ მათ არ სცოდნოდათ ერთ „მშვენიერ დღეს“ ვირის აბანოში გამგზავრებდენ.

საზოგადოდ აბანო და მით უფრო ვირის ზაფხულობით ძნელი ასატანია, ხოლო შემოდგომაზე კი არც ისე გასაპირია მისი ფანების მიღება.

ამიტომაც ზოგი გამფლანგველი, რომელსაც ზაფხულში „შემოეჭამა“ სახაზინო ფული, ეხლა, შემოდგომაზე, როცა აგრილდა, თავის ფეხით მიდის სისხლის სამართლის მილიციის უფროსთან და შრდილობიანად, მოწყალიმარი სმხით სთხოვს: პატივი სცეს და „დააპატიმროს, რადგან მან გაფლანგა ფული“.

— მალე ოქტომბრის რევოლიუციის რვა წლის თავი იქნება... კიდევ სხვა დღესასწაულები... სესიები... ყრილობები... ყოველთვის ამნისტია... ასე რომ ციხე დიდი ხნით არ მომიწევს... ყველაზე უკეთესი სეზონი ახლაა.—

— 6.000 მანეთი... მე მაქვს თვიურად 100 მან. ჩემი ჯამაგირით ექვსი ათას მანეთს უნდა სამოცი თვე... სამოცი თვე არის ხუთი წელიწადი... ჩემი ბიჭი ახლა ორი წლისაა... ხუთი წლის შემდეგ შვიდი წლის იქნება; სკოლაში უნდა შევიყვანო... 6.000 მანეთი. ეს ოხერი აგერ არ არის?!.. მე მაბარია... რა კარგი იქნებოდა რომ ჩემი იყოს?!.. სამოცი თვე—ხუთი წელიწადი... ილე ასობით, წვრილმანად... არაფერი ბარაქა არა აქვს... ოჰ: აგერ კი 6.000 მანეთი... მერე რა იქნება?.. ხომ ვერ დამახრჩობენ... მომისჯიან ერთ-ორი წლის ციხეს! მერე-და ამნისტია აგერ არ არის?! რაღაც კი გამომეკრება... რა ვიცი, ბევრმა ჰქნა ასე და ახლა ყველა გარეთ არის... სამსა-



— სამი ათასი მანეთი გავფლანგე.
— მე კი ორი ათასზე მეტის შეჭმა ვერ მოვასწარი, გამიგეს და აქ მიკვრეს თავი.

# „შეშინებულმა ძაღლმა მთელი ღამე იყეფაო"



გვიშველეთ, გვიშველეთ
გვიპყრობენ მტერნია.
შიგ ზინოვიევი[?]
და კომინტერნია.

შეხედეთ, ხომ არის
ყუმბარა ნამდვილი!?
ამასთან ხუმრობა
არ არის ადგილი.

ოი, თუ აფეთქდა —
ამოგვწყვეტს ყველასა.
გავიქცეთ... ვერავინ
მოგვაწვდის შველასა.

შეხედეთ, ხომ არის
ყუმბარა ნამდვილი!
ამასთან ხუმრობა
არ არის ადგილი.

ხურშიც არიან... ჩემთვის ხომ არ დაიქცევა ქვეყანა!? ნიკომ ცხრა ათასი მანეთი გაფლანგა. ცხრა თვეც არ მჯდარა ციხეში... რომ კაცმა იანვარიშო, ციხეში თითოეულ თვეში გამფლანგველს ჯამაგირი ათასი მანეთი უწევს, ღმერთს გეფიცები, ხუთასი მანეთი მომცენ, თუ გინდ კიდევ ნაკლები, და მთელ ჩემს სიცოცხლეს იქ გავატარებ. აზირებული ხალხია ეს მთავრობა; ტუსაღებს მეტ „ხელფასს" აძლევს ვიდრე ჩვენ.. მომაქვს ეს 6.000 მანეთი. ერთხანს მაინც ვერ გამიგებენ. ამ ხნის განმავლობაში „მოვეწყობი კარგად", მოვემზადები ციხეში დასაჯდომად და არც კი ჯამიჰივრდება ციხე, როცა მოწყობილ - მომაგრებული ვიქნები".

ასე ფიქრობს „მოქალაქე" და იგი არავითარ შიშს არ გრძნობს, როცა სახაზინო ფულებს სალაროში მაგივრად ჯიბეში აწყობს.

ანგარიშის კაცია. კარგად აქვს შესწავლილი სამმაგი იტალიური ბუხჰალტერია. იგი ისეთ არაფერს გააკეთებს, რომ მოსაგები არ დარჩეს.

გარდა ზემოხსენებულ, სხვა გარემოებასაც აქვთ თავიანთი გავლენა ამ მოვლენებზე.

ყოველ ენის გაქანებაზე გავიძახით: „პირი სოფლისაკენ". დაარსებულია ათასგვარი სხვადასხვა „საზოგადოება" „კორპორაცია", კურსები და სხვა ასეთი.

ყველა ამას თავისი გავლენა აქვთ. ჩვენ გვგონია: უკვე არსებობს არალეგალური ფულის გამფლანგველთა-მიმთვისებელთა ამხანაგობა", რომლის წევრთა რიცხვი თანდათანობით მატულობს.

ალბად ეს „ამხანაგობა" (თუ „საზოგადოება") ხსნის კურსებსაც, სადაც ასწავლიან გამფლანგველობის და მითვისების „სპეციალურ საგნებს". (ეს ხომ „კულტურული" მუშაობაა).

„ხელი სალაროსაკენ", აი მათი დევიზი, რომელსაც იგინი უფრო ასრულებენ, ვიდრე ჩვენ ჩვენს ლოზუნგს: „პირი სოფლისაკენ".

არ ვიცი, რამდენად მართალია; (ყოველ შემთხვევაში სიცრუე არ იქნება); გავიგე შემდეგი:

ერთი დახელოვნებული მფლანგველი-მიმთვისებელი, როცა ბოლო დროს ციხიდან გამოსულა, მისულა ადმინისტრაციაში და უფროსისათვის ასე მიუმართავს: ცხოვრების ორი მესამედი ციხეში გამიტარებია. გამიფლანგავს აურიცხელი სახაზინო ფული. ამ საქმის ნამდვილი „სპეცი", „პროფესორი" ვარ... მაგრამ ახლა გავტყდი წელში, მომბეზრდა ასეთი სიცოცხლე. შემძულდა ეს საქმე და ზიზღით უცქერი მას. ნება მომეცით საჯაროდ გამოვიდე და განვაცხადო, რომ სახაზინო ფულების გაფლანგვა-მითვისება არის საზიზღარი მოქმედება და არც ერთმა პიროვნებამ, რანაირ გასაჭირში არ იყოს იგი, არ უნდა ჩაიდინოს ეს ყოვლად ბოროტზე უბოროტესი ბოროტმოქმედება."

— მოქალაქევ, თუ თქვენ ამიერიდან აღარ გაიმეორებთ ასეთ საქმეს, ეს იქნება განცხადება და ყველაფერიც, რომ თქვენ ჭეშმარიტი მოქალაქე ხართ.

— მე მინდა ლექცია წავუკითხო საზოგადოებას, რომელშიც ბევრი მოიპოვება ჩემისანები; დამერწმუნეთ, ეს თქვენთვის მეტად სასარგებლოა.

ადმინისტრაციის უფროს ჭკუაში დაუჯდა „სპეც-პროფესორის" მოსაზრება და ნება მისცა საჯარო ლექცია წაეკითხა.

ხალხი ნიაღვარსავით მოვარდა. ბილეთები აღარ იშოვებოდა. ყველა გაყიდულიყო.

„სპეც-პროფესორმა" დაიწყო ლექციის კითხვა.

დაასაბუთა და განიხილა ყველა ის საშუალებები და მეთოდები, რომლებითაც იგი ფლანგავდა და ითვისებდა სახაზინო ფულებს, შემდეგ თუ როგორ „გამქრალა შრალზე", გასულა სამშვიდობოზე, როგორ

# „სეზონი“

საჭიროდ მიგვაჩნია ვანვაცხადოთ ჩვენი მკითხველების საყურადღებოდ, რომ ამ წერილში ისინი სასაცილოს ვერაფერს ნახავენ, ხოლო სატირულს კი ბევრს, თუ, რასაკვირველია, გული შესტკივათ სახელმწიფოზე, რაც ჩვენს დროში, მართლაც, საკვირველია.

ვინც კარგ გუნებაზე ხართ, ნუ წაიკითხავთ ამ წერილს, თორემ ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი, რომ თქვენ მადა აღგეძრათ ფულის გაფლანგვისა და მითვისებისა. გაფრთხილებთ: თქვენს მადას ჩვენ ვერ დავაკმაყოფილებთ, ხოლო თქვენი დაწესებულება-წარმოების სალაროები კარგა ხანია გაწმენდილია თქვენი გამგეებ-მოლარეების მიერ.

ანდა რა დროს სიცილია, როცა გაძლიერებული მუშაობაა სალაროების გასასუფთავებლად.

ამ წინასწარი გაფრთხილების შემდეგ ჩვენ ვიწყებთ წერილს.

ჩვენ გვაინტერესებს ფულების გაფლანგვა და მითვისება კი არა (როგორც ეს ზოგიერთ გამგეებ-მოლარეებს), არამედ გამოკვლევა იმ მიზეზებისა და პირობებისა, რომლებიც იწვევენ ამ მოვლენას.

ჩვენი მიზანია საკითხის სოციალური და მეცნიერული საზომით გამოკვლევა.

თქვენ ალბათ კარგად იცით, რომ ერთი მოვლენა იწვევს მეორე სხვა მის არამსგავს მოვლენას. რომ ეს ასე არ ყოფილიყო, ადგილიც არ ექნებოდა ჩვენს სინამდვილეში ფულების გაფლანგვას და მითვისებას.

რატომ გახშირდა გაფლანგვა და მითვისება და ისიც ამ უკანასკნელ ხანებში?

ჩვენ ვამტკიცებთ: გახშირდა იმიტომ რომ: ილეოდა საანგარიშო წელი.

ბიუჯეტში ალბათ შეტანილი იყო განსაზღვრული დიდი თანხა, რომელიც უნდა დახარჯულიყო გაფლანგვა-მითვისებაზე.

ეს თანხა ალბათ არ ამოწურულა და ამოსწურეს საანგარიშო წლის დასასრულს.

გარდა ამისა, ალბათ შემოსავალი-მოსავლები ისე ბევრი იყო, რომ ნორმას აჭარბებდა და მთავრობას რომ გამგეებ-მოლარეებისათვის საყვედური არ გამოეცხადებია, ამისთვის უკანასკნელებმა გადამალეს ზედმეტი მოსავლები, რომელიც მოახმარეს თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს.

მთელი საავგარაკო სეზონის განმავლობაში სისტემატიურად გამოდიოდა სალაროებიდან ფულები და პირდაპირი მაშრუტით მიდიოდა აგარაკებზე შაბათ-კვირა დღეებში.

შრომის სახალხო კომისარიატი პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდა გამგეებ-მოლარეებს ამ კეთილ საქმეში მით, რომ ხშირად კვირასთან ორშაბათსაც აუქმებდა.

არც ისე სულელი ხალხია გამფლანგველ-მიმთვისებლები, რომ მათ არ სცოდნოდათ ერთ „მშვენიერ დღეს“ ვირის აბანოში გაამგზავრებდენ.

საზოგადოდ აბანო და მით უფრო ვირის ზაფხულობით ძნელი ასატანია, ხოლო შემოდგომაზე კი არც ისე გასაჭირია მისი ვანების მიღება.

იმიტომაც ზოგი გამფლანგველი, რომელსაც ზაფხულში „შემოეჭამა“ სახაზინო ფული, ეხლა, შემოდგომაზე, როცა აგრილდა, თავის ფეხით მიდის სისხლის სამართლის მილიციის უფროსთან და ზრდილობიანად, მომღიმარი სახით სთხოვს: პატივი სცეს და „დააპატიმროს, რადგან მან გაფლანგა ფული.“

— მალე ოქტომბრის რევოლიუციის რვა წლის თავი იქნება... კიდევ სხვა დღესასწაულები... სესიები... ყრილობები... ყოველთვის ამნისტია... ასე რომ ციხე დიდი ხნით არ მომიწევს... ყველაზე უკეთესი სეზონი ახლაა.—

— 6.000 მანეთი... მე მაქვს თვიურად 100 მან. ჩემი ჯამაგირით ექვსი ათას მანეთს უნდა სამოცი თვე... სამოცი თვე არის ხუთი წელიწადი... ჩემი ბიჭი ახლა ორი წლისაა... ხუთი წლის შემდეგ შვიდი წლის იქნება; სკოლაში უნდა შევიყვანო... 6.000 მანეთი. ეს ოხერი აგერ არ არის?!.. მე მაბარია... რა კარგი იქნებოდა რომ ჩემი იყოს?!.. სამოცი თვე—ხუთი წელიწადი... ილე ასობით, წვრილმანად... არაფერი ბარაქა არა აქვს... ოჰ: აგერ კი 6.000 მანეთი... მერე რა იქნება?.. ხომ ვერ დამახრჩობენ... მომისჯიან ერთ-ორი წლის ციხეს! მერე-და ამნისტია აგერ არ არის?! რაღაც კი გამომეკრება... რა ვიცი, ბევრმა ჰქნა ასე და ახლა ყველა გარეთ არის... სამსა-



— სამი ათასი მანეთი გავფლანგე.
— მე კი ორი ათასზე მეტის შეჭმა ვერ მოვასწარი, გამიგეს და აქ მიკვრეს თავი.

# „შეშინებულმა ძაღლმა მთელი ღამე იყეფაო"




შეხედეთ, ხომ არის
ყუმბარა ნამდვილი!?
ამასთან ხუმრობა
არ არის ადგილი.

ოი, თუ აფეთქდა —
ამოგვწყვეტს ყველასა.
გავიქცეთ... ვერავინ
მოგვაწვდის შველასა.

შეხედეთ, ხომ არის
ყუმბარა ნამდვილი!
ამასთან ხუმრობა
არ არის ადგილი.

---

ხურშიც არიან... ჩემთვის ხომ არ დაიქცევა ქვეყანა!? ნიკომ ცხრა ათასი მანეთი გაფლანგა. ცხრა თვეც არ მჯდარა ციხეში... რომ კაცმა იანგარიშო, ციხეში თითოელ თვეში გამფლანგველს ჯამაგირი ათასი მანეთი უწევს, ღმერთს გეფიცები, ხუთასი მანეთი მომცენ; თუ გინდ კიდევ ნაკლები, და მთელ ჩემს სიცოცხლეს იქ გავატარებ. ახირებული ხალხია ეს მთავრობა; ტუსაღებს მეტ „ხელფასს" აძლევს ვიდრე ჩვენ.. მიმაქვს ეს 6.000 მანეთი. ერთხანს მაინც ვერ გამიგებენ. ამ ხნის განმავლობაში „მოვეწყობი კარგად", მოვემზადები ციხეში დასაჯდომად და არც კი გამიკვირდება ციხე, როცა მოწყობილ-მომაგრებული ვიქნები".

ასე ფიქრობს „მოქალაქე" და იგი არავითარ შიშს არ გრძნობს, როცა სახაზინო ფულებს სალაროში მაგიერად ჯიბეში აწყობს.

ანგარიშის კაცია. კარგად აქვს შესწავლილი სამმაგი იტალიური ბუღალტერია. იგი ისეთ არაფერს გააკეთებს, რომ მოსაგები არ დარჩეს.

გარდა ზემოხსენებულ, სხვა გარემოებასაც ექვთ თავიანთი გავლენა ამ მოვლენებზე.

ყოველ ენის გაქანებაზე გავიძახით: „პირი სოფლისაკენ". დაარსებულია ათასგვარი სხვადასხვა „საზოგადოება" „კორპორაცია", კურსები და სხვა ასეთი.

ყველა ამას თავისი გავლენა აქვთ. ჩვენ გვგონია: უკვე არსებობს არალეგალური ფულის გამფლანგველთა-მიმთვისებელთა ამხანაგობა", რომლის წევრთა რიცხვი თანდათანობით მატულობს.

ალბად ეს „ამხანაგობა" (თუ „საზოგადოება") ხსნის კურსებსაც, სადაც ასწავლიან გამფლანგველობის და მითვისების „სპეციალურ საგნებს". (ეს ხომ „კულტურული" მუშაობაა).

„ხელი სალაროსაკენ", აი მათი დევიზი, რომელსაც იგინი უფრო ასრულებენ, ვიდრე ჩვენ ჩვენს ლოზუნგს: „პირი სოფლისაკენ".

არ ვიცი, რამდენად მართალია, (ყოველ შემთხვევაში სიცრუე არ იქნება); გავიგე შემდეგი:

ერთი დახელოვნებული მფლანგველი-მიმთვისებელი, როცა ბოლო დროს ციხიდან გამოსულა, მისულა ადმინისტრაციაში და უფროსისათვის ასე მიუმართავს: ცხოვრების ორი მესამედი ციხეში გამიტარებია. გამიფლანგავს აურაცხელი სახაზინო ფული. ამ საქმის ნამდვილი „სპეცი", „პროფესორი" ვარ... მაგრამ ახლა გავტყდი წელში, მომბეზრდა ასეთი სიცოცხლე. შემძულდა ეს საქმე და ზიზღით უცქერი მას. ნება მომეცით საჯაროდ გამოვიდე და განვაცხადო, რომ სახაზინო ფულების გაფლანგვა-მითვისება არის საზიზღარი მოქმედება და არც ერთმა პიროვნებამ, რანაირ გასაჭირში არ იყოს იგი, არ უნდა ჩაიდინოს ეს ყოვლად ბოროტი უბოროტესი ბოროტმოქმედება.

— მოქალაქევ, თუ თქვენ ამიერიდან აღარ განიმეორებთ ასეთ საქმეს, ეს იქნება განცხადება და ყველაფერიც, რომ თქვენ ჭეშმარიტი მოქალაქე ხართ.

— მე მინდა ლექცია წავუკითხო საზოგადოებას, რომელშიც ბევრი მოიპოვება ჩემისანები: დამერწმუნეთ, ეს თქვენთვის მეტად სასარგებლოა.

ადმინისტრაციის უფროს ჭკუაში დაუჯდა „სპეც-პროფესორის" მოსაზრება და ნება მისცა საჯარო ლექცია წაეკითხა.

ხალხი ნიაღვარსავით მოვარდა. ბილეთები აღარ იშოვებოდა. ყველა [illegible]

„სპეც-პროფესორმა" დაიწყო ლექციის კითხვა.

დაასახელა და გაიხილა ყველა ის საშუალებები და მეთოდები, რომლებითაც იგი ფლანგავდა და ითვისებდა სახაზინო ფულებს, შემდეგ თუ როგორ „[illegible]", გასულა [illegible], [illegible]

კარგად ცხოვრობდა ციხეში მითვისებულ ფულებით და სხვა ასეთები.

მთელი დარბაზი, რომელიც უმეტესად გამგეებ-მოლარეებით იყო სავსე. სულგანაბული უსმენდა და ყველას უხაროდა.

უხაროდა ადმინისტრაციის უფროსსაც, რომ ლექცია გავლენას იქონიებდა და ცოტათი მაინც იკლებდა ეს სამწუხარო მოვლენა.

კარგა ბლომად მოჰკრიფა ფული „ლექტორმა“.

მეორე დღეს, როცა იგი ამ ლექციის წასაკითხად სხვა ქალაქში წასასვლელად ემზადებოდა, კარზე კაკუნი მოესმა.

—

ფოსტალიონმა წერილი გადასცა.

„ჩვენ, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ ვართ დახელოვნებული სახაზინო ფულების გაფლანგვა-მითვისებაში, სოლო თანდათანობით ვეჩვევით, დიდ მადლობას გიცხადებთ ჩვენს დაუვიწყარ მასწავლებელს, რომელმაც წუხელის თავისი ლექციით გვასწავლე ბევრი რამ ახალი, რაც ჩვენ არ ვიცოდით. ამიერიდან ჩვენი მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნება.

ჩვენ, რომლებიც არ ვესწრებით არავითარ ლექციას, თუ გინდ ის „მარსი“-ს შესახებ იყოს, სიამოვნებით დავესწრებით თქვენს ლექციას, თუ კი განიმეორებთ, და არ დავიშურებთ ბილეთების შესაძენად სახაზინო ფულებს.

პატივისცემით: სახაზინო ფულის გაფლანგველ მიმთვისებელთა საზოგადოება“.

**პინჯარი.**

# სტანსები

1

ყველაფერი არის ძვირი,
საყიდელი კი მაქვს ბევრი.
არა მყოფნის ჯამაგირი,
ყველაფრისა ვარ მე წყვრი.
ავანსები თუა ხშირი—
მოდის ღვინით სავსე ქვევრი...
დაილოცოს ცეკავშირი—
შემაყვარა ცეკვა ხშირი.

2

წარმოკავშირს ცეკავშირი
მითხარით, აბა, რად ჩაგრავდეს?
ორივეა ხომ კავშირი,
ერთმანეთსა უნდა ჰგავდეს.
ერთი უნდა ჰქონდეთ პირი,
წარმო ცეკის მიჰბაძავდეს...
ავანსები იყოს ხშირი,
და არ გვინდა ჯამაგირი.

3

ფულებს რომ ჰყრის როგორც კოხი,
აგერ არის ალმასკომი.
სადაც ნახა ძველი ქოხი
გამოუცხადა ყველას ომი.
მილიციას მისცა ჯოხი,
დაავალა: იყოს ლომი.
მას ხელში აქვს ბარი, თოხი,
მუშაობს და არ აქვს ოხი.

**„ვიზიტი“.**

# „თიო-თიო“-ს დელეგაცია თბილისში

„თიო-თიო“ არის ქუთაისის და მთელი მისი მიდამოების ღვინის მსმელთა და მოქეიფეთა კავშირი. ამ კავშირმა თბილისში კახური ღვინოების გასასინჯად გამოაგზავნა თავისი დელეგაცია, რომელსაც უნდა შეესწავლა ადგილობრივ რესტორნებში აქაურ ღვინოების ღირსება და თვისება.

აგრეთვე უნდა გასცნობოდა ტფილისის მსმელთა საზოგადოებას და მისი წევრების მდგომარეობას.




თბილისში ჩამოსვლისას, სადგურში დელეგაციას დროშით შეეგება ადგილობრივი მოქეიფენი და დიდი საზეიმო შეხვედრა გაუმართეს.

დელეგაციაზე კარგი ჩდაბეჭდილება მოახდინა წითელ სასადილოებმა.

— მართალია, თუ არა ის ხმები, რომლებსაც ქუთაისში ავრცელებენ, თითქოს ღვინის სმა თქვენს წითელ სასადილოებში, განსაზღვრულია? შეეკითხა ერთეთრი დელეგატი წითელი სასადილოს გამგეს.

— სრული სიცრუეა, პირიქით ჩვენ ხელს უწყობთ.



ერთი კვირის განმავლობაში დელეგაციამ შეასრულა თავისი საქმე და გაემგზავრა ისევ ქუთაისს.

გამგზავრებამ კიდევ უფრო ზეიმის ხასიათი მიიღო. აქ თავი მოეყარა, როგორც ადგილობრივ მოქეიფეებს, ისე მიკიტნებსაც და მუსიკით აცილებდენ.

დელეგაციამ სთხოვა, რომ ესენიც ჩასულიყვენ ქუთაისში, სადაც, ღვინო თუმცალა ვერ არის „მაგარი“ აქაურ ღვინოებისავით, მაგრამ სასმელად არ ჩამოუვარდება ამათ და არანაკლებ ათრობს ადამიანს.

# „შეფიც ასეთი უნდა!“

ტყიბულის მაღაროების დრამატიულ დასს და მუსიკალურ წრეს ძალიან შეუყვარდათ საშეფო სოფლებში მუქთა ქეიფი.

ასეთი ამბავი მოხდა:

ხსენებული დასი და წრე გაემგზავრა სოფ. საწირეში. გაიმართა სალამო-წარმოდგენა. გამოვიდა ერთი და ადგილობრივ გლეხობას გაუკეთა მოხსენება:

— ამხანაგებო, შეფობა ისეთი დიდი რამ არის, ისეთი კარგი საქმეა, რომ“...

ამდროს მასთან მივიდა ერთი მისი ამხანაგი და გადაუჩურჩულა:

— ცხვარი ვერ ვიშოვეთ, მაგრამ ისეთი კარგი ხბო დავკალით, რომ ცხვარს სჯობია... ხბოს პატრონს ცოტა ფული ქე მივეცით და დანარჩენს გვაპატიებს. ღვინო ბლომად გამოვართვით გლეხებს... ასე, რომ საქმე კარგად არის—.

— ამხანაგებო—მიმართა ისევ მომხსენებელმა—იმას გამბობდი, რომ შეფობა ისეთი კარგია, რომ მაზედ ლაპარაკიც ზედმეტია. ამიტომ ჩემი მოხსენებით თქვენ აღარ შეგაწუხებთ და ამით ვასრულებ ჩემს სიტყვას.

წარმოდგენის დაწყებამდე ბლომად დალიეს ღვინო და ამიტომ, როცა სცენაზე გამოვიდნენ, ყველა მთვრალი იყო და წარმოდგენა ვეღარ ჩაატარეს.

ბოლოს გაიმართა ხანგრძლივი ქეიფი, რომელსაც, რასაკვირველია, პუნებრივად და ჩვეულებისამებრ მოჰყვა ჩხუბი და დაკა-დუკა.

„არ მოდგა“



ჩვენ მედგრად წავალთ
სოფელში ყველა,
გლეხობამ ყელი
თუ ჩაგვისველა

და როგორც ერთი
დავთრებით ყველა,
რადგან ჩვენ არ გვწამს
ღვინის სმა ნელა.

მივალთ სოფელში
გლეხს მავკეთ მხარი,
ნხოლოდ დაგვიკლას
ცხვარი ან ხარი.



დაჰკარით მაგას,
გაუპეთ თავი —
ზარკალი იყო
მოუხარშავი

ცხვირში ადინეთ
სისხლი და ძმარი —
ღვინო არ იყო
მეტად მაგარი.

ჩამოუნგრიეთ
მაგ უზრდელს ქოხი —
ვერ გაგვიშალა
მწვანეზე ნოხი.

## საღი აზრი



— წამოდი სახლში, ხომ ხედავ დემონსტრაცია გათავდა!
— დამაცადე, კაცო, მე შორს ვცხოვრობ; მარემ დავიცდი აქ და, ხვალ რომ სხვა დელეგაცია ჩამოვა, აღარ დამჭირდება გალმიდან აქეთ გამოსვლა.

# „ვერსალიანა“

ჩემბერლენ, მადლი შენ გამჩენს,
ეაგი ხარ თავაზიანი.
თვე არის რამოდენიმე
დარი დაგიდგა მზიანი.

კონსერვატიულ მთავრობის
ხარ დირიჟორი გვიანი;
დაუმემკვიდრედი მაკდონალდს
(პრემიერ იყო რქიანი).

ჩემბერლენ, უკან მოგყვება
ინგლისის ბურჟუაზია,
რომელმაც მუცელს ჩაიდვა
მსუქანი ლუკმა — აზია.

აზიას უნდა უფრთხილდე,
აზია — ოინბაზია.
შენ თითონ ხედავ, თუ ატყობ,
იქ დაგიხლართეს კვანძიც.

ახლინდელ პრემიერობას
ადვილად იტევის ენაო,
ძილშიაც არ გასვენებენ
ტკბილი სიზმრები შენაო.

ხანდისხან მოგელანდება
ჯან ჩიჩერინი შენაო.
(მაშინ-ღა ნახეთ — მუტყდეს
ინგლისის ბატონს ქშენაო).

ორშაბათ დილა გათენდა,
რა აეი დარი დგებაო;
ეს ჩვენი წუწკი ბრიანი
ლოკარნოს ემზადებაო.

ჯანუმ შტრეზემან, გეთაყვა,
გული ხომ არა გწყდებაო;
თუ კი ვილგელმი არა გყავს,
ჰინდენბურგ შენთვის დნებაო.

იქ ლოკარნოში ძმა ბიჭებს
უმშვენე მხარი ბეჭია,
სადაც ევროპის მგელ-ტურას
კბილები დაუკრეჭია.

ცაფირუზ, ხმელეთ წითელო,
ცანკოვის მსხვერპლო მხარეო,
შენი მთავრობის „წყალობით“
რამდენი სისხლი ღვარეო.

მეორე ინტერ-წესდები
მტერია თუ მოყვარეო —
დრო არის ბერი ცანკოვი
აწ მიწას მიაბარეო.

ცანკოვს და დუკას რადგანაც
სისხლი სწორ მოედინების,
მაგისთანების მოსპობა,
მუშავ, ნუ მოგეწყინების.

მუსოლინ გადინადირა
იტალიეთი მთიანი,
ფაშიზმის სულის მდგმელია
ჯვაროსანი და ხმლიანი.
იტალიელო მუშებო,
სანამ არ არის გვიანი —
მოხსენით თავი დიქტატორს.
(საქმეა ეს მადლიანი).

კულიჯი წევს და იცოხნის,
ლიპზე ბლომად აქვს ქონია;
ევროპისაგან ნაძარცვი
შინ მიტანილი ჰქონია...

ნაწარმოები დაგროვდა,
გასაღებული ჰგონია;
ვეღარ იშოვა ბაზარი,
უცბათ ვერ პოვა ფონია.

შარშან, ხომ გახსოვს, კულიჯო,
რომ გაიძვირე პურია;
წრეულს კი ვეღარ მოგართვეს —
დარჩები უმადურია,

რუსეთში მოსავალია,
დაგიცქვეტინეს ყურია;
წაგიხდა შენი ნაშრომში,
ცხვირზე წაგისვეს მურია.
იზარდე ჩემო კულიჯო,
დაურჩი როკფელერსაო,
საქმე რომ შემოკაკლდება
ესტუმრე დოუესსაო.
ჯერ ტყავი აძვრე გერმანეთს,
მერე კი საფრანგეთსაო.
უყურადღებოდ, გეტყობა,
არ სტოვებ ბრიტანეთსაო;
საციცქნი რომ მოგაკლდებათ,
ეძგერეთ ერთმანეთსაო.

ახლანდელ ჩემბერლენობას
ადვილად იტყვის ენაო.
მარტო ყალბ უსტართ შედგენის
კი არ ეხუმრო შენაო.
„ვინც ზინოვიევს დაიჭერს —
ტყავი მას, ხორცი ჩვენაო...
დუკაე „რაკოვსკის წერილზე“
ხომ ინადირებ შენაო?..

ეს ჩიჩერინი ევროპას
რატომ ესტუმრა ნეტაო?
პოლონეთს „ეიმასქნება“
მე ამას კარგად ვხედაო;
გერმანიაში საუბრობს
მეგობრობისა ზედაო.
აგი რა მახე გვეგება,
გვიშველეთ, ვაი, დედაო!!
ლოკარნოს კონფერენცია
იქნება ქვეყნის მხსნელია?
თქვენი ზავი და მშვიდობა
ზღაპარი არის ძველია.
რაც უნდა კანი იცვალოს
გველი ხომ მაინც გველია...
ვენახში მიიპარება
ევროპის წუწკი მელია.

„ოკრუჟეხიას“ გვიკეთებს
ევროპა ლიპიანიო,
მეორე ინტერ — ყვითელმა
მას დააწია ბანიო
მაგრამ ევროპის მუშებმა
რომ გაიწითლეს კანიო,
აღარ გვაფიქრებს ყვითლების
ყვირილი და ქაქანიო.

ბურჟუამ მგელი გაზარდოს,
ჩემბერლენ, შენისთანაო...
ტყვილია შენი ხრიკები
და შენი ანა-ბანაო.
ლოკარნოს კონფერენციამ
შვება ვერ მოგიტანაო,
ნიკოლოზ მეფის ვექსილი
ჯიბეში გიძევს განაო?!

ბრაევის აღარ აშინებს
ეგ შენი „ოკრუჟენიე“,
ლაშქარი მოდის მუშების

ხომ ხედავს თვალი შენია;
წაგიხდა ნაამაგევი
ამდენ ხანს რაც გიშენია.
შენი არავის არ ესმის,
დაჰკარგე „უეაქენია“.

ახლანდელ პრემიერობას
ადვილად იტყვის ენაო,
ალმოსავლეთში გაისმის
ღრენა და კბილთა ღრჭენაო:
—ვინც ბრიან-ცანკოვს დაიჭერთ,
კულიჯს ზედ ვადებთ ჩვენაო,
და თუ ჩემბერლენს ყლაპს უზამთ
—ტყავიც და ხორციც თქვენაო.

ტერსიტი.

## ქუთაისის სადგურში

რომანიულ ნიადაგზე
შეტაკება ხდება:
ალექსანდრას სალაროში
ანნა ეტაკება.

დამარცხებულ ალექსანდრას
გული უწუხდება,
მაგრამ ანნა გაბრაზებით
ზურგზე მოახტება.

ქუთაისის ჯამაათი
ყველა ფეხზე დგება;
ექიმთან კაცს აგზავნიან—
„მოლარე გვიკვდება“.

ნიშადურის სპირტი და სხვა
იმ წამს იქ გაჩნდება.
ცხვირის ნესტოს მოუსრესენ
—ალექსანდრა რჩება.

მატარებლის გასვლის დროა,
სალარო იღება;
მორიგეობს ყარამანი,
ამხანაგს ეცვლება.

ნიშადურის სპირტს აიღებს—
წყალი ეგონება.
სწყურია და ბლომად შესვამს,
—ცეცხლი გაუჩნდება.

საცოდავად დაღრეჯილი
კედელს მიაწვება...
„ყარამანი მოწამლულა“
ხალხში ხმა ვრცელდება.

„ქუთაისის რესპუბლიკა“
ცრემლით ისველება:
—ყარამანი რომ მოგვიკვდეს
რაღა გვეშველება!?—

ტარტაროზო, ყარამანი,
თუმცა მოგვირჩება...
მაგრამ მაინც გვინახულე
თუ დრო დაგირჩება.

კოხტაიდი.



# „სრულიად სატფილისო ტრამვაი-გადარბენა“



დილა არის,—ცხრა საათი,—და ტრამვაის ელოდები...
აქეთ მხარეს ლიანდაგზე შორსაც არ სჩანს რონოდები.
ხედავ! ყველა იქით მიდის... სამსახურში გეჩქარება.
ჰფიქრობ:—„მოვა რაც ხანია“... ფეხით წასვლა გეზარება.



უკვე დაჰკრა სამ საათმა... მორჩი საქმეს და სამსახურს.
შუადღე არის. მზე ანათებს—და ქუჩებში ცხელა და ჰხურს.
სახლში მისვლა გეჩქარება—და ტრამვაის ელოდები.
მაგრამ „პარკში“ „იცვლებიან“—და არა სჩანს რონოდები.



სალამოა... და თუ სახლში ვერ მიხვედი თავის დროზე,
—ცოლი ეჰვით შეპყრობილი თავს გაგიტეხს კეტით ორზე...
აქეთ მხარე დაცლილია... დიდხანს, დიდხანს ელოდები...
იქით მხარეს ღმერთი ხწყალობს—„პარკში“ მიდის რონოდები.

# დღევანდელი ქუთაისი



ქ უ ჩ ა

უწინ თავადურს,
ეხლა კი მუშურს
ქუთაისს კვლავ სურს
დღეს სიკეკლუცე,
მაგრამ ფუთობით
სხვებს ურიგებენ,
ხოლო ქუთაისს
უძლენიან „უნცებს“!

შურთ, რომ ქუთაისს
აკრავს იერი
კვლავ სამაისო,
კიდევ სავარდო
და... ალბათ მიტომ
ის დაეიწყების
ასპარეზია და
სანაეარდო.

კეთდება გზები,
კირწყლავენ ქუჩებს,
აშრობენ ტბებს და
ახმობენ ტალახს,
მაგრამ... ორფეხნი
თბილისს მიდიან,
ხოლო სიმრავლე
აქ სჭარბობს ბალახს.

ქუჩაში ხუთი
კაცი ჩაიელის
და ეტლიც ერთით
ამაზე მეტი—
ჩვენი ტრანსპორტის
სამკაულია
სამი ავტო და
მოტოციკლეტი.

ხედავთ სურათზე:
—ქუჩა ოთხფეხის
დღეს საკვებია
და ასპარეზი
ეს კი იმიტომ,
რომ ჩვენმა ცენტრმა
სხვა მხრით მიმართა
დღეს ზრუნვის გეზი!

**სანიტარია.**

მწვანე ბაზარი,
ურიცხვი ლელვი,
გოდრებით მსხალი
და ურმით პანტა
უკეთეს სურნელს
ვერსად შეხვდებით
თუ კი ტარანიც
ზედ დაემატა

აგერ ბალანა
ნესვის კანს ლეკავს,
იქ კიდევ თერძი
ლეინოს ანიტრებს—
და მთლიანდება
სურათი, როცა
მათ გვერდით ეხედავთ
ძეირფას „სანიტრებს“.

ფრიად თელავენ
„გემრიელ დოვლათს“
და აქარწყლებენ
უამრავ ხორაგს—
დარბაისელი
ღრუტუნიები
დღეს ამაგს გესდებენ
მართლადაც ორმაგს.

# „ღვთიმშობლობა“

**ამბავი ერთ სცენად**

დაიდგა 20 სექტემბერს სოფ. ქვაყუდში

**მ ო ქ მ ე დ ი პ ი რ ნ ი:**

**თაყა** ქვაყუდელი გლეხი.
**ალათი** ამისი ცოლი.
**ნიკო** მეზობელი
**ზოსიმე** სტუმარი.
სცენა წარმოადგენს თაყას ღარიბ ოჯახს.
თაყა ცეცხლის პირად ზის და ყალიონს აბოლებს.
ახლოს იქვე ალათი კარდალს ხეხავს.

**გამოსვლა პირველი**

**თაყა და ალათი**

**ალათი**—ყაძახო, რომ ჩაგიყრია ფეხები ნაცარში და აბოლებ ყალიონს, სად აპირებ წასვლას ხვალ რომ სტუმარი მოგვივიდეს? ხვალ ღვთიმშობლობაა, ღვთიმშობელმა გაახმოს შენი თავი!!!

**თაყა**—დედაკაცო, ენა დაამოკლე, თორემ თუ შეგჯედი ზურგზე, ღვთისმშობელი კი არა, მიქელგაბრიელი ვერ გამომართმევს შენ თავს ხელიდან. სახლში სიმინდის ერთი ნამცეცი არა გვაქვს—და აი გამოტვინებული ქვეყს არ მთხოვს ახლა?!

**ალათი**—ი.ი, ღმერთმა არ გაგითენოს მეორე ღვთიმშობლობა... კაძახო, უსტუმროდ აპირებ, აბა, ყოფნას?!

**თაყა**—მოთმინებიდან ნუ გამომიყვან, თორემ...

**ალათი**—თორე რა? ძალიან კი მემუქრები?.. საბუდარზე კვერცხები არ დაამტერიო.

**თაყა**—შენისანა ოხერს არც საბუდარი ექნება და არც არაფერი... გადმოუგდია აი საძაღლე ენა და რას როშავს, ღმერთის გარდა, კაცმა არ იცის... აბა, ერთი მითხარი: სად წავიდე? რა მოვახერხო? ფული ჩვენს ბარაზე არ არის, გასაყიდი არაფერი გვაქვს.

**ალათი**—კაცი რომ გამოწყვეტილი იქნება, თორემ ერთი ხუთი ოყა ხორცი რომ ინისიო, ნახევარი ფუთი პური ისესხო, სამი ჩაფი ღვინო ვინმეს გამოართვა, ინდაურს და ქათმებს კვსტრიაც კი გადმოგვასესხებდა, ნიგოზს და სხვა შესაკაზმავს მეზობლებში ვიშოვიდი და დანარჩენს ოჯახშიც მოუყრიდით თავს... მარა არ ვარგხარ, არა...

**თაყა**—კაი შენს თავს მოუვა, კაი შენ იყო.

**ალათი**—არა... ერთი იგი მითხარი: ყარამანამ რაფერ გაძლობა იმ თვალებ-ამოქინძულმა?! ისეთი წვეულება აქვს რომ პირდაპირ, უკეთესი არ შეიძლება, შენ სიზმარშიც არ მოგე-




რადიო-ქორი.

რადიო-ქორის
მშვენიერ სადგურს
ქალაქის ბაღში
უნახავს ბინა
სიმარდე ენის
ამაზე მეტი
თვით ტარტაროზმაც
კი შეარცხვინა!

იცი, წუხელი
რა დამესიზმრა?
ქუდის კარტუზზე
მეყარა მტერი!
—ო, ეგ სიზმარი
ისეთი არის,
რომ გაიმარჯვებს
საბჭოთა მტერი:

რადგან კარტუზი
ჩემბერლენია,
ხოლო მტერი კი—
ინგლისის ჯარი
და ჩვენ რომ დუქნებს,
დაგვიბრუნებენ,
აწ ნუ გექნება
შენ-ამის ჯავრი!

—შაქარი შენს პირს,
მაგრამ ამბავი
მე მაგისთანა
უწინაც მესმა:
— ფრანგები თურმე
პარიზს მისულან,
შენ ნუ მომიკვდე;
ასე სთქვა ესმამ!

ყოჩაღ ფრანგებო,
სულ მოკლე ხანში
ბედავთ რამდენზე
წაუწევიათ!
თუ პოლონელებს
ვარშავი დარჩა—
ეგ არის და ეგ.
ბედი გწევიათ!

ასე, ამგვარად
ჩვენი ბულვარი
ქორების არის
სადგური. ბაზა.
—ყველა აქ არის
დღეს თავმოყრილი
ვინც დრომ ახალმა
კი გააბრაზა:

—უდუქნო ჩარჩი,
უყმო ბატონი.
ძველი მოხელე
კარტუზიანი—
მართალი არის
ქორებს კი სთხზავენ,
მაგრამ... ვვადგება
არც თუ ზიანი!

რა ვქნათ, ამ ხალხის
ბედკრული გული
თუ სინამდვილით
ეგზომ ლონდება:
—ჩვენი ცხოვრების
დრომოჭმულ მელებს
ის ესიზმრება—
რაც აგონდება!

---

ვენება. ყოლიფერში გამოწყვეტილი რაფერ უნდა იყო კაცი?

**თაყა**—ვაი, გამოწყდა შენი თავი და ტანი... შენ ამოსაგდებიშვილო, ყარამანას უყურებ შენ? იგი კაპეიკს-კაპეიკზე აკერებს და შენ კი თუ რამე ჩაგივარდა ხელში, მშვიდობით ერე.

— **ალათი** რა დავხარჯე, შე მიწა გასახეთქო.

**თაყა**—რა ვიცი რა; თუ ვინმეს რამე გამოვძურწე და სახლში მოვიტანე, მერე აღარ სჩანს მისი ბურდღა.

**ალათი**—ბევრს ნუ ლაპარაკობ. აეთრიე და სადმე მოახერხე, თორემ, დედის სული ნუ წამიწყდება, ისეთ დღეს წაგკიდებ, რომ თავი ვერ გამოჰყო გარედ.

**თაყა**—ლორები მიაკვდა შენი დატიებისათვის.

**ალათი**—(ატირდება) დედა შენს მიაკვდა ლორები და ძაღლებიც, შენ ყრუიშვილო; რას ერჩი საწყალ დედას. (სტირის)

**თაყა**—დედაკაცო, მოთმინებიდან ნუ გამომიყვან, თორემ მაოიამობას კი არა, ალაბობასაც დაგავიწყებ; წამოუსვამ ხელს ამ წუგუზალს და სულ ლილასავით გაგიხდი მაიმუნის ცხვირპირს.

**ალათი** შინჯე ერთი, აბა, შინჯე!

**თაყა**—ვშინჯავ და კიდევაც აგისტულე.

**ალათი**—იგი დღეი ჟრ მოვესწრება შენ.

### გამოსვლა მეორე

იგივენი და ნიკო

**ნიკო**—გამარჯობა თქვენი. რავა მიჯდომიხარ მაგ დედაბერს და ეჭუკჭუკები?

**თაყა**—ვეჭუკჭუკებთ კი არა—დროზე მომისწარი. თვარა მაგის კივილს გავაგონებდი მთელ ქვეყანას.

**ალათი**—საკივარად დამიგდოს ღვთიმშობელმა შენი თავი

**თაყა**—ძაღლი მიაკვდეს შენ და შენს ღვთიმშობელს სულში. ვეღარ გეიგე. ქალო, იმ ღვთიმშობელს, რომ არაფერი შეუძლებია?

**ალათი**—უი-უი-უი... ღმერთო, ნუ გაუგონებ მაგ მიწა დასაყრელს. კიდეც კარგად მიდის ჩვენი ოჯახის საქმე, რომ ასეთი ღვთისპირიდან გადავარდნილი ხარ.

**თაყა**—ხო, აბა, შენ რაც იმონო. ერთათ შეყლაწე და ღვთიმშობელი გამოვთგზავნის მერე...

**ნიკო**—თქვენ-რას ლაპარაკობთ, კაცო? ღმერთმა თუ დღეობა გააჩინა, კიდეც უნდა ვიდღესასწაულოთ. [illegible] მქონდა, მარა ისეთ ქეიფს ემართავ ხვალე, რომ [illegible] გინდა შენ. ღმერთი და ღვთიმშობელი რომ არ [illegible] ეს ქვეყანა იქნებოდა.

**ალათი**—ერთი მაგას ჰკითხე? შენი პირიმე, ნიკო, რავა შეიძლება დღესასწაულის უარყოფა? რა სიკეთე უნდა ჰქონდეს



### მ ი ლ ი ც ი ა

დალოცვილია
დღეს ქუთაისი,
დაულოცავი
არცა ყაეს ერი—
ქეიფი ხშირობს
და გეგონებათ
ყოველდღე არის
აქ ყველიერი.

სულ ხშირად ჩხუბი,
აყალ-მაყალი
და მერე რატომ?
და მერე რისთვის?
—მხოლოდ და მარტო
ჩვენ ქუთაისის
მრავალტანჯული
მილიციისთვის.

განძრევა ხელის
არ შეიძლება,
არ გაანძრიო
არც თუ ფეხები:
—მაჩხუბარს თუ სურს
წიხლები გირტყას,
შენ კი... ნეკითაც
ნუ შეეხები!

ბრძანება ესე
ჩვენს მილიციას
მართალი, რომ ვსთქვათ
უჯდება ძვირად—
და რასაც თქვენ აქ,
სურათზე ხედავთ—
ცხოვრებაშიაც
ტარდება ხშირად!

უჩარდი.

ღეთიშობელმა მის დღესასწავლს, რომ არ ვიდღესასწავლებთ?'

**თაყა**—დედაკაცო, მას რომ სიკეთის ჰქნა შესძლებოდა რავა დევიჯერო, თავის-თავს ქვას არტყამდა! ამდეხანს ეკლესიაში რომ იყო წამოყუდებული და ქვეყანას მისი ეშინოდა, ახლა რომ სადღაცა მიუგდიათ, რატომ არაფერს ამბობს?

**ნიკო**—არც მასეა საქმე, ჩემი თაყა; ღვთიმშობელი ისე სულ მოკლე კი არაა, რომ ახლავე ჰქნას ყველაფერი. ის დროს უყურებს, დროს.

**თაყა**—დროს თუ უყურებს, ქე ეგდოს იქინე.

**ყაიათი**—კიდეც მაგიტომ გიბნელდება მაგი თვალები, შე, გამოსაწყვეტო.

**თაყა**—ჩემი თვალები მაშინ დაბნელდა, როცა შენ მოგათრიე, შენ ქვეყნის ნათრიელავ.

**ალათი**—(გაანჩხლებული) რაიო? რაიო მაგ ძაღლმა?

**ნიკო**—კაი ერთი, კაცო, ეხლა ჩხუბს ნუ იზამთ.

### გამოსვლა მესამე

#### იგივე და ზოსიმე

**ალათი**—(თავისთვის) უიმე ჩემი სიკვდილი კი არ მევიდა.

**თაყა**—(თავისთვის) მოჰგონებია ძველი დრო ამ ოჯახქორს.

**ზოსიმე**—აქა მშვიდობა... ო, ჩემო თაყა, ჩემო ალათი, რამდენი ხანია არ მინახავხართ!?

**ალათი**—მობრძანდი, მობრძანდი, ჩემო ზოსიმე; ღმერთმა კარგად მიმყოფოს შენი თავი.

**თაყა**—მობრძანდი, დაბრძანდი, ჩემო ზოსიმე (თავისთვის) ჯოჯოხეთში დაბრძანდა შენი თავი.

**ზოსიმე**—(ჯდება) სხვა რავა ხართ, ხომ არ მოხუცდით! აგერ შვიდი წელია არ მინახავხართ და კიდევაც მომენატრეთ.

**თაყა**—(თავისთვის) ნეტავ ახლაც არ მოგნატრებოდით. (იმას) შენ არ გეპატიება, ჩემო ზოსიმე, ამდენი ხნის მოუსვლელობა.

**ზოსიმე**—კი არ მეპატიება, მარა, ხომ იცი ოჯახის ამბავი, აქეთ ერთი შვილი დავაქორწილე, იქით მეორე—აქეთ ფაციას დავადგი თავი, იქით ელიჩკე გავატანე ყაძახს, და ასე...

**ალათ.**—ქალიშვილებიც გაათხოვე, ზოსიმე?

**ზოსიმე**—გავათხოვე და არ იტყვი რაფერ კაცებს მივეცი? ერთია და კომსომოლიაში მსახურობს, მეორეა და—კურიელათ ყოფილა ქალაქ ბათომში.

**ალათ**—რომელ გურიელთან ყოფილა, ბატონო ზოსიმე?

**ზოსიმე**—გურიელთან კი არა, კურიელათ... რაცხა დიდი თანამდებობა ყოფილა.

ეხლა რძლებს არ იკითხავ? რომ ნახო მართლაც მოგეწონება. ცოტა მზითევზე კი ვარ გულ ნაკლულად, მარა ქალები უკეთესი ქეით დუნიაზე. რაღა აქიდგან გიქო; ხეალე თვითონ მოველენ და შენც ქე ნახავ.

**თაყა**—(თავისთვის) ჯოჯოხეთში წევიდა მათი თავი... ღმერთმა ამ კომუნისტების სახელი მოსპოს, მაგენმა ჩვენ ყველაფერი მოგვისპეს და აგვიგრძალეს, თვარა დღესასწაულობას და დღეობას კაცი რავა ვერ გადეიხდიდი.

**ზოსიმე**—არა, ჩემო თაყა, კომუნისტები დღესასწავლის გათენებას არავის უშლიენ. იგი კი არა—ჩემმა ბიჭმა მითხრა: „ვინმე მღვთიმშობლის მოყვარე გვეყოლება და წავიდეთო. იგი




— აი ოხრები ამდენს მამუშავებენ და საჭმელს არ მაძლევენ. ისევ მე თუ არ ვიზრუნე ჩემს თავზე, სხვას აღარ ვახსოვარ.

აჰა, აგერ ყოფილა თივა, მიუტოვებ ამ ცხენუკას და შევარდები შიგ.

# ფოთის „ტრამვაი"

ერთ მშვენიერ მზიან დღეს კუნძულიდან ბაზრისაკენ გავისეირნე. ჯიბეში საწყალი ორშაურიანი მქონდა. იქვე ახლოს ჩამოშიარა ცხენუკამ. შემიჩნდა ეშმაკი და ჩავუჯექი შიგ. ამოვიღე საწყალი ორშაურიანი და მივეცი კონდუქტორს. მივაღწიეთ შუა გზას, სადაც თივის სავაჭროა. ცხენი გაჩერდა. დაუწყეს ცემა, მაგრამ; შენ არ მომიკვდე, წინ წასვლის მაგივრად ტლინკებს „ვატმანს" სცემს. მე ვზივარ რწყილისავით.

— ჩამოდით ძირს—იძახიან, მაგრამ რაგვა ღმერთი გამიწყრება, რავა ჩამოვალ. ჩემს ბარაბუ ორთ შაურის მეტი არ იყო, ისიც ბილეთში მივეცი—და ახლა ჩამოვიდე? ვერ მოგართვი.

მაგრამ ამ დროს ცხენმა იერიში მოიტანა, ერთი ჭკან დაექანა, რომ ძალა წოეკრიფა და ლვედები დასწყვიტა.

გავიხედე—ჩვენი ცხენი თივის საწყობში შევარდნილა, ხოლო „ვატმანი" დაწყვეტილ სადავეებით და ხელში მათრახით გაშეშებული სდგას.

გ. არუელი

ხომ აგერ ხუთმეტი წელია კომსომოლშია გატარებული.

თაყა — მერე, დღესასწაული სწამს?

ზოსიმე—სწამს რომელია? სწამს კი არა, შემჭამა კაცი: „შვებულებიდან ისე დავბრუნდე, რომ ერთი დღეობა მაინც არ შევჭამო?!—მე გამოტვინებულს სულ არ მახსოვდა, რომ თქვენ მეღვთიმშობლე იყავით.

თაყა — (თავისთვის) ნეტავ არც გაგხსენებოდა... (იმას) კი ვიცოდით, მარა რაც ეს კომუნისტები შემოვიდენ, მოგვისპეს.

ალათი — ღმერთი შენს სახსენებელს მოსპობს ისე.

ზოსიმე—მაგი ძალიან გლახა უქნიათ. სმა-ჭამა, ძმაო, ყველასათვისაა გაჩენილი. ჩვენ თუ ერთმანეთისას არ მოვალთ და არ გავეცნობით, რაღა მოყვრები და ნათესავები ვიქნებით! აი, აგერ, შვიდი წელია არ მინახავხართ, თვარა წინად რომ ალათიე წელიწადში ერთხელ არ მენახა — გავგიჟდებოდი.

ალათი — აბა რაი, რავა დაი-ძმასავით ვიყავით შეზრდილი ერთმანეთთან, თუმცა არც ისე შორებელი ვიყავით.

ზოსიმე—შორებელი რავა ვიყავი, ქალო; შორებელი კი არა, დედა შენი და ბებია ჩემი ისე იყვნენ ერთმანეთზე გადახლართული, რომე ერთ დღესაც ვერ სძლებდენ ერთმანეთის უნახავად. მგონია რაცბას კიდეც ნათესაობდენ.

ალათ — კი-კი. რავა არა,რაცბა ნათესავებიც იყვენ.

თაყა—ამ სიღარიბემ და სიძვირემ დღესასწაულიც კი დამავიწყა და მტერი და მოყვარეც, ჩემო ზოსიმე.

ზოსიმე—ღარიბი ეშმაკია, ჩემო თაყა. კაცი კარგად იყოს და ყველაფერს იშოვის.

ნიკო—არც ისე ღარიბი ხარ, ჩემო თაყა; შენ რომ ცალი ხარი გყავს, რომ დაგეკლა ხორცადაც გეყოფოდა და მეზობლებსაც მიყიდდი.

თაყა—ძაღლი მიაკვდება მამა შენს. შე ოჯახქორო, ცალი ხარის მეტი არაფერი გამაჩნია და იგიც დამეკლა?

ალათი—მეტი რა გზაი გაქვს, შე ამოსაგდებო, აბა!? უსტუმროთ გინდა ღვთიმშობლის ჩატარება თუ?

თაყა—ქალო, გრძნობიდან ნუ გამომიყვან-მეთქი!

ზოსიმე—ჩხუბი რავა გეკადრება, ჩემო თაყა! შენი ოჯახი მუდამ განთქმული იყო სტუმრებით და ქეიფით.

ალათი—დღეს რაცბა ეშმაკი შეუჯდა, თვარა მიდღემჩი არ ყოფილა ასე მაგი დასალუპავი.

ნიკო—იქნება რამე აწყენინე, ალათი.

ალითი—რა მაგის თვალების დავსება ვაწყენინე?!

თაყა — თვალებიც დაგევსოთ და ყურებიც, შე ჯოჯოხეთის კერძო. აბა, ოჯახს დევიქცევ ახლა შენი ღვთიმშობლობისათვის თუ

ალათი — შენ თუ გიყურე, სტუმართანაც შევიჯავები და მეზობლებთანაც. ნიკო, შენი პირიმე, შენ მომეხმარე—ის ხარი დავკლათ, თვარა მაგის ყურება მე არ მარგია (ადგება).

ზოსიმე — ასე უნდა, ქალო, სტუმრების მიღება ქალის საქმეა; თუ ქალი ვარგა, ქმარს სულ არ ჰკითხავს.

თაყა — დედაკაცო, სახლში დიეტიე, თვარა ხარს კი არა —შენ დაგკლავ იცოდე.

ალათი — აბა; რავა გინდა კაძახო (მიდის ნაჯახის გამოსატანად). ჩემი ხელით დავკლავ იმ ხარს და მერე ნახე. (იღებს ნაჯახს).

თაყა — (მივარდება) შე წუწკის შვილო, მიქცევ ოჯახს?

ალათი — გამიშვი, კაძახო, თვარა იმის მაგივრად შენ წაგაძრობ კისერს.

თაყა — (აჰრინდება ნაჯახს). ქალო, ნუ გადირიე... გოუშვი ხელი ნაჯახს.

ზოსიმე — (აშველებს). დაანებე თავი, თაყა; ნიკო, გოუშვი ხელი, კაცო.

თაყა — თქვენ ოჯახქორებო, მიქცევთ ოჯახს!

ზოსიმე — (შუაში ჩადგება). არ დაარტყა, კაცო. (თაყას მოქნეული ხალი მოხვდება ზოსიმეს).

ზოსიმე—არ გცხვენია, კაცო, სტუმარს მცემ?

ალათი — კაძახო, ხელი გამიშვი.

თაყა — ჰოი, თქვენი მამისული (დაერევა და ყველას სცემს) აია, თქვენი ღვთისმშობლობა?!.

პ.. ობოლი.



# თბილისიდან ოზურგეთამდე

ჩემი ბარგი-ბარხანით და ოროოდე გროშით მივადექი ქალაქის სადგურში ბილეთების სალაროს.

დილის ექვსი საათიდან შუადღის ოთხ საათამდე რიგში დგომის შემდეგ, პატივცემულმა მოლარემ „მიწყალობა" ერთი ბილეთი 4 მან. 70 კაპეიკად.

— როგორ არის, ამხანაგო, რომ ზოგიერთებს სახლში უგზავნით ბილეთებს ისე რომ რიგში ერთ წუთსაც არ უწევთ დგომა?! —შევეკითხე მოლარეს.

— ეს ფულზეა, ამხანაგო. დამოკიდებული; ვინც მეტს გადიხდის, მას რიგში დგომა აღარ ესაჭიროება; მაგრამ ეს საშუალება თქვენისთანა ღარიბებისათვის არ არის მოგონილი —მიმიგო ზრდილობიანად მოლარემ.

შუადღის ორ საათზე რკ.-გზის. სადგურში ვიყავი ჩემი ბარგი-ბარხანით. გასავლელ კარებთან დარაჯის და ჩემს მეტი არავინ იყო.

— ეხლა კი მეშველა: პირველი რიგი ჩემია; მატარებელში შესვლას ვერავინ მომასწრებს მხიარულად ვფიქრობდი და ჯიბეებში ხელებ ჩაწყობილი მედიდურად დავსეირნობდი.

და მასაც გაჰყვა თავისი კამპანია. შემდეგ მესამეე... მეათემ... მეასემ.

— ვაი, ჩემს თავს უგუნურს,—ვფიქრობ ჩემთვის—რა იქნებოდა რომ მეც „სლუჟებნი" მეთქვა!... მოწმობას მაინც არავინ თხოულობს... ახლა მატარებელში ვიქნებოდი

— ექსკურსია—მოისმა ქალის ხმა და მთელი „საზოგადოება" გაბრძანდა.

— „ვაენი" - რიხიანად დაიძახა „ქალიშვილებით დატვირთულმა" წითელ კომანდირმა. გზა დაუკალეს და „გაბრძანდენ".

ბოლოს, როგორც იქნა, მეც მეღირსა ბაქანზე გასვლა; მაშინვე მივვარდი რონოდის კარებს. რაც დღე დამადგა მატარებელში შესვლაზე, ამის ცოდვა ზიდოს სადგურ თბილისის უფროსმა მისი საბარგო და სამგზავრო რონოდებით.

არ ვიცი ძილმა დაათრო. ღვინომ, არშიყობის ეშხმა თუ სხვა რამემ, ხოლო ნატანებში ისე ჩავედით, რომ რევიზორს არ შევეწუხებივართ.

— რა სისულელე მომივიდა, ბილეთი რომ ვიყიდე —ნაღვლიანათ ჩაილაპარაკა ერთმა ახალგაზრდამ.

— ბილეთი რომ არ მეყიდა, მაშინ ხუთმეტჯერ ჩამოიარდა რევიზორი და ახლა

— აბა სინჯე ერთი: გადააკრევინე „მაშინისტს" ორი ჭიქა ოტკა და ნახავ, როგორ მოჰკურცხლოს. —ასე მუსაიფობდნენ მგზავრები, როცა კონდუქტორის ხმა მოისმა:

—„ბილეტ ფაფრაშუ"... „ბილეტ ფაფრაშუ".

— ნენავ, შვილო, ბილეთი კი მაქვს, მარა „ფაფრაშუ" მოწმობას ჰქვია, თუ რას თხოულობს აი „კანდუხტური"?—შემეკითხა მოხუცი ქალი, რომელიც ჩემს გვერდით იჯდა.

ამ სიტყვებზე მგზავრებს გაეცინა.

— ნეტაი, რამდენია აქანეი რუსი? იკითხა ერთმა.

— რუსი კი არ არის, მარა არ კადრულობს, ბიძია, ქართულათ ლაპარაკს. ჰადლომათ კისერი გამომწვარი აქვს; მის გვარს ქალაბანის მეტი არაფერი ღირსებია, და ახლა თავს გვაწონებს რუსული ლაპარაკით შიევედით ოზურგეთში.

ადგილობრივი მოსახლეობა ყველა სადგურში გამოსულიყო: ყველა საზეიმოდ იყო მოკაზმულ-მორთული: ჩაპუდრული, „ჩაკრასკული" ჩალორიგან-ვიქტორია-ინდიგოშევიოტებული; ყველას ეშმაკური თვალები. ერთმანეთის ტრფობა, სიყვარული, ალერსი.




— ხა-ხა-ხა-ხა,—გადიხარხარა ტარტაროზმა—ამხანაგო, აქ ყოველთვის ასეა და არ იფიქროთ: ჩემდა საპატივსაცემოდ იყოს მოგროვილი აქ ამდენი უსაქმო და ჰორიკანა ხალხი.

უკვე დაღამდა.

მოახლოვდა მატარებლის გასვლის დრო.

ჩამოდგა მატარებელი.

შეიქნა ფაცი-ფუცი.

გაიჭიმა გრძელი კუდი გასავალ კარებთან. მე წინ ვარ და მიხარია.

— „სლუჟებნი" დაიძახა ბარგი-ბარხანით დატვირთულმა. თვალები გადაუქნია „წესრიგის დამცველს" და გაჰიდა მთელი ჯგუფი.

— „სლუჟებნი"—გაიმეორა კიდევ სხვამ კი ერთხელაც არ დამინახავს—უკმაყოფილოთ დაუმატა მეორემ.

თორმეტ საათსე ნატანების სადგურში ოზურგეთის მატარებელში ვისხედით.

წავედით.

აი პოეზი. ძმავ, ჩემს კამეჩებს ჰგავს სიარულში—

— ორსულად არის, ძმაო, და უფრო ჩქარი სიარული არ შეუძლია; გზას ათვალიერებს. რომ ფეხი არსად წაიკრას.—

— გული აქვს სუსტი და აჩქარება აწყენს.—

— ამხ. ტარტაროზო,—უთხარი ჩემს თანამგზავრ ტარტაროზს—ოზურგეთს გაუგია, რომ თქვენ მოდიოდით და ხედავთ, მთელი ქალაქი სადგურში გამოსულა თქვენს საზეიმო შესახვედრათ.

— ხა-ხა-ხა-ხა, გადიხარხარა ტარტაროზმა— ამხანაგო, აქ ყოველთვის ასეა და არ იფიქროთ, თითქოს ჩემდა საპატივსაცემოდ იყოს მოგროვილი აქ ამდენი უსაქმო და ჰორიკანა ხალხი.

**ხიცი-ხიცი.**



# მესტვირული

## ორპირის თემი

ორპირის თემის ავ-კარგ
რაში გამოიხატება?
მართლისა ვიცი დაწერა,
არ მიყვარს გადამეტება.

დღეს გავისტუმრებთ ერთ მუდრეგს
— ხვალ ორი მოგვემატება.
ასეთი არის ამ თემის
საქმე და წინ წარმატება.

ექიმი გვყავდა ჩხეიძე.
— ის ლოთი მაინც არ იყო!.
ბებია ქალთან რაღაცა...
საქმისთვის გადამხდარიყო.
ამიტომ გადააბარგეს—
არ გვინდა ამისთანაო.
თუ ეს აქ დარჩა—კისერში
უნდა გავირჭოთ დანაო.

ველირსეთ ახალ ექიმსა:
— გიორგი მეიფარიანს;
გამოცდილობით ხნიერსა
და შესახედათ ვვარიანს.
რად კინდა მერე?! ბინაზე
დაჯდა, მოირთხა ფეხები.
ხანდახან გასასინჯათაც
აღარ მიიღო გლეხები.
სოფელში ავადმყოფისთვის
წასვლას ვინ გაუბედავდა.
ეს იმიტომ რომ, ამ გლეხებს
ის დაბალ ღობედ ხედავდა.
სულ წყვილებს სწერდა წიგნებში,
გავშინჯე ამოდენიო...
მკვდა მოავრობა, ვაჩვენებ:
ეს მუშაობა ვქენიო:
ის დარწმუნდება დაჩემით
მადლიერიც კი წავაო...
არ უნდა ბევრი ბოდიში
ჩემი ხრიკები გავაო.
სხვა მეტი რა დამრჩენია,
უნდა მივხედო ტიკებსო,
ვერცა ვერავინ გამამხელს,
ვერავინ იტიკტიკებსო.
და დაეწაფა გიორგი,
მეტადრე წითელ ღვინოსა...
ფეხზე ჰკიდია გლეხობა,
დადის და დაღიღინებსა.

ეს არაფერი!.. რა უყოთ!..
ეს ქართველური წესია...
სხვა საქმეც იცის გიორგიმ,
ამაზე უარესია.
ეს არის: უკან წაღება
წამლების, ხინახინასი.
ლაზღანდარობა ქალებთან,
პატივისცემა ნინასი.
რა უყოთ მერე?.. ეს რაა...
ესეც ხომ არაფერია:
მაგრამ იქ მოსულ ქალებსაც
ცოტა შეუსვა ხელია.
ეს მისი საქმე ჯერ ჩვენა
არსად არ გაგვიმხელია,
თორემ მოჰკლავდენ გლეხები
ამისთვის უეჭველია.
შენიშვნა ვიღაც ოხერმა,
მეტი არ გაავედვია
და ისე მაგრად ამოჰკრა
უკან არ მოუხედია.
„მშვიდობით"— უთხრა გიორგის,—
წაბრძანდი სადაც გინდაო.
ორპირში არა გვინდებხარ,
სხვაგან მონახე ბინაო.
მაგრამ ეს შენი გმირობა
ყველგან დაგვხდება წინაო.
ექიმსა ფლიდსა და ლოთსა
არსად არა აქვს ბინაო
გადაყვანილი ხარ სადაც:
(რკინის-გზის მუშკორებშიო)
იქაც მახვილი კალამი
გაგიტლაშუნებს ყმებშიო.

მერკველი.

## მესტვირული სოფ. სამებისათვის

მესტვირეობა დავიწყე
სულ ნახევარი წელია,
გუდა-ნაბადი თან დამაქვს.
ხედ საზანდარი ჭრელია.
სოფელ სამებას მივადექ.
(სახელი ძველის-ძველია)
რა ჯურის ხალხი პატრონობს,
ამის გაგება ძნელია.
სხვადასხვაობა გვარ-ტომით
სცხოვრობს მრავალი წელია.
ოსი, თათარი, ბერძენი,
წულუკიძე თუ ბერია.
მარშანიშვილი, მანთიძე,
ჰაჭაჭაძე და ჯღერია.
ფეოდოროვი, წეროძე,
დოლიძე მთელი სერია,
და ხონელია ხუცესი,
(გულზე ამშვენებს წვერია
ნაცვლად სამსონა დიაკონს
არა აქვს ერთი ღერია)
ილლიაში მაქვს გუდუნა
თან ვბერავ და თან ვმღერია.
ჩანგალი ვსთხოვე ტარტაროზს,
სამთითა და სამწვერია.
თუ ვინმეს ვკარი მუცელში—
მგონი ეცვალოს ფერია.
საქმელის მადას წაუხდენ.
ვერ ჭამოს სეფისკვერია.
კოოპერატივსა ჰყოლია
ნოქარი მშვენიერია...
გვარად ელენტი-ო ამბობენ
(ეს ცნობა დასაჯერია)
დახლში ჰქონია ამ ყვაწვილს
არშინი წანაჭერია.
ნარმას. რომ ზომავს —შიშობენ
რომ არ წაიჭრას ცერია.
ტარტაროზ, ასე არ ვარგა
გაყიდვა ნარმა-ჩითისა;
თურმე ამართლებს დომენტის
თვით „ეპო" ნიგოითისა.
ფაქტის წინაშე აწევა
რა საჭიროა თითისა.
დაისაჯოს და დაყაჰოს
ფულები რაც მიითვისა.
ალბად ისინიც სარგებლობს.
ვინც აუწია თითები.
ვინც ბოროტებას მხარს უჭერს—
არჩევნების დროს მიხვდები.
ორაგულის და მელასი
ხშირია მაგალითები...
კოოპერატივსა მოშორდეს
ასეთი მაჭნეწვირთხები.

ბექან—ხლუხტი.

## წარმოდგენა სოფლად



მოკარნახე: (მსახიობებს, რომლებიც დაიბნენ და ვერაფერს ამბობენ სიტყვას რაიმე...) აბა, თქვენ კოჯახიძე ქვეყანო, გამოცხადეთ ეს წიგნი და წაიკითხეთ.

# თბილისიდან ოზურგეთამდე

ჩემი ბარგი-ბარხანით და ორიოდე გროშით მივადექი ქალაქის სადგურში ბილეთების სალაროს.

დილის ექვსი საათიდან შუადღის ოთხ საათამდე რიგში დგომის შემდეგ, პატივცემულმა მოლარემ „მიწყალობა“ ერთი ბილეთი 4 მან. 70 კაპეიკად.

— როგორ არის, ამხანაგო, რომ ზოგიერთებს სახლში უგზავნით ბილეთებს ისე რომ რიგში ერთ წუთსაც არ უწევთ დგომა?! — შევეკითხე მოლარეს.

— ეს ფულზეა, ამხანაგო, დამოკიდებული; ვინც მეტს გადიხდის, მას რიგში დგომა აღარ ესაჭიროება; მაგრამ ეს საშუალება თქვენისთანა ღარიბებისათვის არ არის მოგონილი — მომიგო ზრდილობიანად მოლარემ.

შუადღის ორ საათზე რკ.-გზის. სადგურში ვიყავი ჩემი ბარგი-ბარხანით. გასავლელ კარებთან დარაჯის და ჩემს მეტი არავინ იყო.

— ეხლა კი მეშველა: პირველი რიგი ჩემია; მატარებელში შესვლას ვერავინ მომასწრებს — მხიარულად ვფიქრობდი და ჯიბეებში ხელებ ჩაწყობილი მედიდურად დავსეირნობდი.

და მასაც გაჰყვა თავისი კამპანია. შემდეგ მესამე... მეათემ... მეასემ.

— ვაი, ჩემს თავს უგუნურს, — ვფიქრობ ჩემთვის — რა იქნებოდა რომ მეც „სლუჟებნი“ მეთქვა!... მოწმობას მაინც არავინ თხოულობს... ახლა მატარებელში ვიქნებოდი

— ექსკურსია — მოისმა ქალის ხმა და მთელი „საზოგადოება“ გაბრძანდა.

— „ჟვაენი“ რიხიანად დაიძახა „ქალიშვილებით დატვირთულმა“ წითელ კომანდირმა. გზა დაუცალეს და „გაბრძანდენ“.

ბოლოს, როგორც იქნა, მეც მეღირსა ბაქანზე გასვლა; მაშინვე მივვარდი რონოდის კარებს. რაც ღლე დამადგა მატარებელში შესვლაზე, ამის ცოდვა ზიდოს სადგურ თბილისის უფროსმა მისი საბარგო და სამგზავრო რონოდებით.

არ ვიცი ძილმა დაათრო, ლვინომ, არშიყობის ეშხმა თუ სხვა რამემ, ხოლო ნატანებში ისე ჩავედით, რომ რევიზორს არ შეუწუხებივართ.

— რა სისულელე მომივიდა, ბილეთი რომ ვიყიდე — ნაღვლიანათ ჩაილაპარაკა ერთმა ახალგაზრდამ.

— ბილეთი რომ არ მეყიდა, მაშინ ხუთმეტჯერ ჩამოიარდა რევიზორი და ახლა

— აბა სინჯე ერთი: გადააკრევინე „მაშინისტს“ ორი ჰიქა ოტკა და ნახავ, როგორ მოჰკურცხლოს. — ასე მუსაიფობდენ მგზავრები, როცა კონდუქტორის ხმა მოისმა:

— „ბილეტ ფაფრაშუ“... „ბილეტ ფაფრაშუ“.

— ნენავ, შვილო, ბილეთი კი მაქვს, მარა „ფაფრაშუ“ მოწმობას ჰქვია, თუ რას თხოულობს აი „კანდუხტური“? — შემეკითხა მოხუცი ქალი, რომელიც ჩემს გვერდით იჯდა.

ამ სიტყვებზე მგზავრებს გაეცინა.

— ნეტაი, რამდენია აქანეი რუსი? — იკითხა ერთმა.

— რუსი კი არ არის, მარა არ კადრულობს, ბიძია, ქართულათ ლაპარაკს. ჰადლომათ კისერი გამომწვარი აქვს; მის გვარს ქალაბანის მეტი არაფერი ღირსებია, და ახლა თავს გვაწონებს რუსული ლაპარაკით

მივედით ოზურგეთში.

ადგილობრივი მოსახლეობა ყველა სადგურში გამოსულიყო; ყველა საზეიმოდ იყო მოკაზმულ-მორთული: ჩაპუდრული, „ჩაკრასკული“ ჩალორიგან-ვიქტორია-ინდიგოშევიოტებული; ყველას ეშმაკური თვალები, ერთმანეთის ტრფობა, სიყვარული, ალერსი.



— ხა-ხა-ხა-ხა, — გადიხარხარა ტარტაროზმა — ამხანაგო, აქ ყოველთვის ასეა და არ იფიქროთ: ჩემდა საპატივსაცემოდ იყოს მოგროვილი აქ ამდენი უსაქმო და ჭორიკანა ხალხი.

უკვე დაღამდა.

მოახლოვდა მატარებლის გასვლის დრო.

ჩამოდგა მატარებელი.

შეიქნა ფაცი-ფუცი.

გაიჭიმა გრძელი კუდი გასავალ კარებთან. მე წინ ვარ და მიხარია.

— „სლუჟებნი“ — დაიძახა ბარგი-ბარხანით დატვირთულმა. -თვალები გადაუქნია „წესრიგის დამცველს“ და გავიდა მთელი ჯგუფი.

— „სლუჟებნი“ — გაიმეორა კიდევ სხვამ

კი ერთხელაც არ დამინახავს — უკმაყოფილოთ დაუმატა მეორემ.

თორმეტ საათსე ნატანების სადგურში ოზურგეთის მატარებელში ვისხედით.

წავედით.

აი პოეზი, ძმაე, ჩემს კამეჩებს ჰგავს სიარულში — -

— ორსულად არის, ძმაო, და უფრო ჩქარი სიარული არ შეუძლია; გზას ათვალიერებს, რომ ფეხი არსად წაიკრას. —

— გული აქვს სუსტი და აჩქარება აწყენს. —

— ამხ. ტარტაროზო, — უთხარი ჩემს თანამგზავრ ტარტაროზს — ოზურგეთს გაუგია, რომ თქვენ მოდიოდით და ხედავთ, მთელი ქალაქი სადგურში გამოსულა თქვენს საზეიმო შესახვედრათ.

— ხა-ხა-ხა-ხა, გადიხარხარა ტარტაროზმა — ამხანაგო, აქ ყოველთვის ასეა და არ იფიქროთ, თითქოს ჩემდა საპატივსაცემოდ იყოს მოგროვილი აქ ამდენი უსაქმო და ჭორიკანა ხალხი.

**ხიცი-ხიცი.**



# მესტვირული

## ორპირის თემი

ორპირის თემის ავ-კარგი
რაში გამოიხატება?
მართლისა ვიცი დაწერა,
არ მიყვარს გადამეტება.

დღეს გავისტუმრებთ ერთ მეძრევს
— ხვალ ორი მოგვემატება.
ასეთი არის ამ თემის
საქმე და წინ წარმატება.

ექიმი გვყავდა ჩხეიძე,
— ის ლოთი მაინც არ იყო!.
ბებია ქალთან რაღაცა...
საქმისთვის გადამხდარიყო.
ამიტომ გადააბარგეს—
არ გვინდა ამისთანაო.
თუ ეს აქ დარჩა—კისერში
უნდა გავირჭოთ დანაო.

ველირსეთ ახალ ექიმსა:
— გიორგი მეიფარიანს;
გამოცდილობით ხნიერსა
და შესახედათ გვარიანს.
რად ცინდა მერე?! პინაზე
დაჯდა, მოირთხა ფეხები.
ხანდახან გასასინჯათაც
აღარ მიიღო გლეხები.
სოფელში ავადმყოფისთვის
წასვლას ვინ გაუბედავდა.
ეს იმიტომ რომ, ამ გლეხებს
ის ცაბალ ლობედ ხედავდა.
სულ წყვილებს სწერდა წიგნებში,
გავშინჯე ამოდენიო...
მძღვა მთავრობა, ვაჩვენებ:
— ეს მუშაობა ვქენიო:
ის დარწმუნდება და ჩემით
მადლიერიც კი წავაო...
არ უნდა ბევრი ბოდიში
ჩემი ხრიკები გავაო.
სხვა მეტი რა დამრჩენია,
უნდა მივხედო ტიკებსო,
ვერცა ვერავინ გამამხელს,
ვერავინ იტიკტიკებსო.

და დაეწაფა გიორგი,
მეტადრე წითელ ღვინოსა...
ფეხზე ჰკიდია გლეხობა,
დადის და დაღიღინებსა.

ეს არაფერი!.. რა უყოთ!..
ეს ქართველური წესია...
სხვა საქმეც იცის გიორგიმ,
ამაზე უკეთესია.

ეს არის: უკან წაღება
წამლების, ხინახინასი.
ლაზღანდარობა ქალებთან,
პატივისცემა ნინასი.
რა უყოთ მერე?.. ეს რაა...
ესეც ხომ არაფერია;
მაგრამ იქ მოსულ ქალებსაც
ცოტა შეუსვა ხელია.
ეს მისი საქმე ჯერ ჩვენა
არსად არ გაგვიმხელია,
თორემ მოჰკლავდენ გლეხები
ამისთვის უეჭველია.
შენიშვნა ვიღაც ოხერმა,
მეტი არ გააბედვია
და ისე მაგრად ამოჰკრა
უკან არ მოუხედია.
„მშვიდობით"— უთხრა გიორგის,—
წაბრძანდი სადაც გინდაო.
ორპირში არა გვინდებხარ,
სხვაგან მონახე ბინაო.
მაგრამ ეს შენი გმირობა
ყველგან დაგვხდება წინაო.
ექიმსა ფლიდსა და ლოთსა
არსად არა აქვს ბინაო
გადაყვანილი ხარ სადაც:
(რკინის-გზის მუშკორებშიო)
იქაც მახვილი კალამი
გაგიტლაშუნებს ყმებშიო.

მერკვლელი.

### მესტვირული სოფ. სამებისათვის

მესტვირეობა დავიწყე
სულ ნახევარი წელია.
გუდა-ნაბადი თან დამაქვს.
ზედ საზანდარი პრელია.
სოფელ სამებას მივადექ.
(სახელი ძველის-ძველია)
რა ჯურის ხალხი პატრონობს,
ამის გაგება ძნელია.
სხვადასხვაობა გვარ-ტომით
სცხოვრობს მრავალი წელია.
ოსი, თათარი. ბერძენი,
წულუკიძე თუ ბერია.
მარშანიშვილი, მანთიძე,
ჰაპჰავაძე და ჯღერია.
ფეოდოროვი, წეროძე,
დოლიძე მთელი სერია,
და ხონელია ხუცესი,
(გულზე ამშვენებს წვერია
ნაცვლად სამსონა დიაკონს
არა აქვს ერთი ღერია)
ილლიაში მაქვს გუდუნა
თან ვბერავ და თან ვმღერია.
ჩანგალი ვსთხოვე ტარტაროზს,
სამთითა და სამწვერია.
თუ ვინმეს ვკარი მუცელში—
მგონი ეცვალოს ფერია.
საჭმელის მადას წაუხდენ,
ვერ ჰამოს სეფისკვერია.
კოოპერატივსა ჰყოლია
ნოქარი მშვენიერია...
გვარად ქლენტი-ო ამბობენ
(ეს ცნობა დასაჯერია)
დახლში ჰქონია ამ ყვაწვილს
არშინი წანაპერია.
ნარმას, რომ ზომავს—შიშობენ
რომ არ წაიჭრას ცერია.
ტარტაროზ, ასე არ ვარგა
გაყიდვა ნარმა-ჩითისა;
თურმე ამართლებს დომენტის
თვით „ეპო" ნიგოითისა.
ფაქტის წინაშე აწევა
რა საჭიროა თითისა.
დაისაჯონ და დაყაჭონ
ფულები რაც მიითვისა.
ალბად ისინიც სარგებლობს,
ვინც აუწია თითები.
ვინც მორონტებას მხარს უჭერს —
არჩევნების დროს მიხვდები.
ორაგულის და მელასი
ხშირია მაგალითები...
კოოპერატივსა მოშორდეს
ასეთი მავნე ფირთხები.

ბექან — ხლუსტი.

## წარმოდგენა სოფლად



მოკარნახე: (მსახიობებს, რომლებიც დაიბნენ და ვერაფერს იმპობენ სოფლის რამე...) აპა, თქვენ ოჯახდაქცეულნო, გამომართვით ეს წიგნი და წაიკითხეთ.

(დიდი-ჯიხაიში)

მინდა მოემართო სტვირია,
დავალიღინო ნელაო.
გაეწკეპლო ჩემი სოფლისა
ფლიდი და ტურა-მელაო.
პირველად ვასოს მიემართოთ,
ხომ იცნობთ—დიდი-კაცია!
ცხრა წლედის გამგედ ითვლება,
მოღვაწის ქურქი აცვია.
ისე კი ღმერთმა გვაშოროს
ყოველსა გასაჭირშია;
სიმღერით არის ნაქები
იგი ქართულსა ლხინშია!
ამბავი მისი საქები
მინდა ვუამბო ყველასა;
გლეხებს და გლეხთა შვილებსა
როგორ უპირებს შველასა.
ბავშთა ბალის სასარგებლოთ
ფული ბლომად მოაგროვეს.
წარმოდგენა მოამზადეს
და შემდეგ კი ვასოს სთხოვეს,
რომ დაეთმო სკოლის ეზო
და შეეწყო ხელი მათთვის,
მაგრამ ვასო გაჯავრდების,
დაცინვასაც კი მიმართვენის!
პეტრესაცა კი მიუძღვის
სამანკო და საძრახ სიტყვებს—
„შენაც უწევ დახმარებას
„სალაჩოსა მომწყობ „ბიჭებს?“
„დიდი საქმე თავს გიდვია,
„შიასრულო არ მგონია?
„თუმცა თქვენში საქმისადმი
„ბევრი არის აგონია!
„მაგრამ ეზოს, უკაცრავად,
„ვერ დაგითმობთ, მაინც ვერა!“—
(ცალკე მისთვის ბუტბუტებდა:
გაქრეს თქვენი ბავშთა ჯერა)
იქ სამაზრო ინსტრუქტორი
თურმე იმას ყურს უგდებდა;
გამგის სიტყვებს საქებარსა
ნელა-ნელა აგროვებდა.
უცებ ვასო გავვიჯორეს,
და ჩაღუნა მორცხვად თავი,
ყველაფერზე თანხმა გახდა,
პოიკუზა საცოდავი.
სოფლისათვის თუ არ ზრუნავ,
აბა, მითხარ, ძმაო ვასო,
ჯიხაიში შენი „ლეაწლი“
როგორ უნდა დავაფასო?

—

ჯერ ეს არ კმარა, ქამანჩავ,
არ შეგვიჩერდეს სტვირია.
აქვე ალმასკომს ვესტუმროთ,
იქ შესვლა მეტად გვჭირია.
მილიციაში დაგვხდება
სოე გინებით ქებული;
წურგზე ჰკიდია გოდორი
გინებით ამოვსებული.
რომ დითვრება მოხსნის გოდორს,
თესავს უხვად ის გინებას;
ოოსებსა მაინც ვკითხოთ,
თუ რომ აძლევს ამის ნებას.

ბაბაიძე.

(ჩოხატაურისთვის)

ისევ შენ ჩემო სტვირო და,
ისევ შენ ჩემო ქამანჩა,
დაუკარ, შენიჭირიმე,
შენს გარდა ქვეყნად რა დამრჩა?
შენა ხარ გულის მალამო,
შენ გიყლი, გვალერსები;
მიყვარს ნელ-ტკბილი შენი ხმა,
შიგ ჩაქსოვილი ლექსები!..
არ შეუშინდე შენ მტრებსა,
გვემტერონ... მათი ნებაა...
როცა მახინჯი გვაგინებს,
ჩვენთვის ეს დიდი ქებაა!..
დავუკვრავ, დავალიღინებ,
დავუკვრავ ნელა-ნელადა;
ვინ შეგვაშინებს ამ დროში,
თუ არ ვშიშობდით ძველადა?!
ჩოხატაურში ჯერ კიდევ;
გოდვები არის მრავალი,
მარტო ის რად ღირს, ტეხნიკუმს
ეზოს რომ უნგრევს „ზავალი“?!
დაუკარ, ჩემო ქამანჩავ,
გზები რომ არ გვაქვს საველი,
ტალახში ურმის ჩარჩენით
სოფელს დიდი აქვს ზარალი...
ჩაუჩუტუნოთ აღმასკომს,
(როდი იქნება ძრახია)
უთხრათ: სარებზე სტომითა
ქალებმა კაბა დახია!..
„—გზებს შეკეთება სჭირია“,—
ასე სთქვა საბჭომ კრებაზე,—
თქვენც გრძელი „რეჩი“ წარმოსთქვით,
თუ გახსოვთ მოხსენებაზე!..
სულ როდი ვარგა, ძმობილო,
ხალხი მიუშვა ნებაზე...
გამოიწვიე, გამოელენ
თვის გზების გაკეთებაზე.
ეს ხომ „დაბეგვრა“ არაა,
რომ „დაიკერონ“ ენაზე?!.
დაუკარ, ჩემო ქამანჩავ,
რა კი გაეედით სცენაზე,
დაუკარ, დავალიღინებ,
საქმე როდია წყენაზე!..
გამრავლდა ლორის ჯოგები,
(დამერწმუნებით ამაში)
თითოს ხუთ-ხუთი ტახი ჰყავს
ამ ჩვენ კურთხეულ დაბაში...
დასვრილი სიბინძურეში,
დასუქებული, დამძლარი,
დათარეშობენ დუქნებში,
მთლად აგვიმყროლა ბაზარი!..
საბჭოთა კრებამ ამაზეც,
გამართა დიდი კამათი;
ბოლოს ერთბაშად ყველამ სთქვა:
„ქოჭიც“ არ იქნეს ამათი!..
და... გამოაკრეს კედლებზე,
დადგენილების ბარათი...
მარა ნუ ჰფიქრობთ, ამბავი
იყოს ეს მონაჭორები,
პარასკევს „იარმარკაზე“;
ხალხზე მეტია ღორები
და ხტიან ისე, ვითარცა
ინგლისელების ჯორები!..
ფი! ფი! ფი! ხმები მოისმის,
(უფრო მეტადრე ქალების)
დაჩრდილა ლორთა სიმყრალემ
ყნოსვა ქალთ ლორიგანების...
ამაზე ვილას რა ვუთხრათ?
მოისმენს... თვითონ მიხვდება:
სულელმაც იცის—უსაქმოდ
ფუჭია დადგენილება!!!
ეხლა შევწყვიტოთ ღიღინი,
შენ ჩემო სტვირო, ქამანჩა,
შემდეგისათვის გადავდევათ
სათქმელი ეხლა რაც დაგვრჩა.

წაწელა.



# [illegible] ბო[illegible]იდან

წინ „სინათლე“ ჩამქრალია,
შეიხედავ—შიგაც ბნელა.
თურმე უკან კი წრუპავენ
კარდანახსა ნელა-ნელა.

კოსტა გახარებულია:
კალისტრატე რომ ზეიძებს,
ლადოც ლაღობს, ტოლუმბაშობს,
ცოტას კიდეც ხაზეინობს.

ამ დროს ზარმა იწკრიალა,
უნდა საფრთხე ააცდინოს—
მაგრამ ყურსა არ უგდებენ,
დრო არ უნდათ გააცდინონ.

ტარტაროზო, გევედრები
არ გამხადო წყენებული,
გთხოვ: ასეთ დროს არ გაუშვა
მედვაჭრობის რწმუნებული,

რიხტის თქვენ გვწერ შემდეგს:

## ნუ უშლი ხელს

მესამე აფთიაქს

თურმე როცა შებნელდება,
დო ვეხვევით ჩვენ წყვდიადში,
ლადო, კოსტა, კალისტრატე
თავს იყრიან აფთიაქში.

ქუჩებში სად არ ვიყავი,
ხან მცირედში, ხან დიადში,
მაგრამ მე ჯერ არ ვყოფილვარ
საქეიფოთ აფთიაქში.

თორემ კოსტას, კალისტრატეს
და ტოლუმბაში ძმას ლადიკოს—
ქეიფი ხომ ეფუშებათ,
ხარჯის ჯაერიც რომ არ იყოს?

რიხტი.

რატომ არ იცით, რომ ხელმოუწერელი არ დაიბეჭდება! თქვენი ეინაობა რომ ჩვენთან გაგემხილათ, ჩვენ მოეათაესებდით თქვენს ამ წერილს.

თქვენ გთხოვთ, რომ ასეთ დროს ნუ გაგზავნით სახმედეაჭრობის რწმუნებულს. ჩვენ რომც აეუკრძალოთ, იგი მაინც წავა, რადგან სწორედ ასეთ დროს განგებ ახდენს რეეიზიას, რომ წააწყდეს ქეიფს და მანაც ჩაისეელოს ყელი.

რა ჩვენი საქმეა. მართლაც ნუ უშლით ხელს ნურც აფთიაქის მოხელეებს და ნურც სახმედეაჭრობის რწმუნებულს.

**მოწაფეს. (ჩიბათი).** გიორგი დარჩიას მოხერხებულად შეუჭამია მასწაელებლების ფული და შენ, როგორც მოწაფე, ვალდებული ხარ, როცა გაიზრდები და „კაცი გამოხეალ", სირცხეილი არ აჭამო შენს მასწავლებელს, და თუ მან 700 მან. „გააიმასქნა", შენ ორჯერ მეტი უნდა „გადასანსლო".

**„თქვენი მლადში სოტრუდნიკს"** გულახდილად გეუბნებით: თქვენი წერილი: **ვა, რა ყოფილა ვირის თავი?** წაუკითხაეად გადავგზავნეთ გოდორში.

ალბად ეს სათაური საკუთარი თაეის შესახებ გაქეთ მოგონილი. თქვენს ასეთ გულახდილობას თაეისთაეზე, გიწონებთ. ნუთუ ახლა შეამჩნიეთ თქვენი თავი, რომ ასე გაგიხარდათ მისი აღმოჩენა? მართლაც გეტყობათ, ამდეიხანს ეერ შეგიმჩნეეიათ ის, რაც არ იყო.

**ია-ლეის-პირელს: (აბასთუმანი).**

**თუ „ხირბილითა ვაჟებიან**
**ნაძვებს გაუხმეს ძირია",**
შენმა წერილმაც სხვებთანა
ნახოს ამ გოდორის ძირია·

**ქრისტიანს.** არ ეარგა მეტისმეტი ქრისტიანობა. ყოველშემთხვევაში ქრისტიანი კაცი არ უნდა ილაშქრებდე ქრისტეს მამის წინააღმდეგ. ხომ მან გააჩინა თქვენი ხორაგეული. ღმერთმა თევზებს წყალში დახრჩობა გადაუწყვიტა, შენ კი გამოსულხარ და ამბობ, რომ თევზები წყალში დახრჩობას გადაეარჩინოთ. ქრისტიან კაცს არ შეშეენის ღმერთის განკარგულების წინააღმდეგ გალაშქრება·

რა გენილეულება,—დაიხჩეან თევზები წყალში.

**ჩიბათელ გესლს.** წერილი მაშინ დაიბეჭდება, როცა თქვენში სახალხო სახლს ააგებენ.

კიდევ მოწაფეს (ჩიბათი) შენ, ბიჭია, შენი საქმე გამოასწორე, გაკვეთილი ისწავლე, ხუთი ორი რომ გყავს, ერთით მაინც შეამოკლე!! რა შენი საქმეა, თუ გლეხკოში ტყავს აძრობ. ალბად ტყავს კარგი ფასი აქვს.

**მოშენას.** მწუხარებას გამოესთქვამთ, რომ „კაპეიკიანი" ქაღალდი გეზარალათ. ხომ გაგიგონიათ: „გრძელი ჩოხა მოკლედ იცმის, შაირია ახალუხი".

ალბად პირეელ წერილსაც ასეთი ბედი ეწვია. სწერეთ მოკლეთ.

**დურაკს.** თქვენ უწინაც გამოგვაგზავნეთ წერილი, რომელსაც ამავე ფსევდონიმს აწერდით. ჩვენ მაშინ ასე გიპასუხეთ: „თქვენი წერილი ამართლებს თქვენს ფსევდონიმს"-ო.

ახლაც ამ პასუხს ეიმეორებთ.

**უკუდო ტარტაროზს.** შე დალოცვილო, ტრამვაიზე თუ ადგილი იშოვე და ისიც „უკანა ბაქანზე, სადაც შეყვარებულსავით ხართ ქალი და კაცი ჩახუტებული", რაღას ერჩი ფარნიევს. კიდევ უფრო დიდი მადლობა უნდა უთხრა კონდუქტორს, რომელსაც ისე გაუტკბა ქალთან მასლაათი, რომ ბილეთების გაყიდვა დაავიწყდა და თქვენ უფასოდ მიგიყვანა თაეისუფლების მოედანზე.

**შენ ქე იცი. (სამტრედია)** შენც ქე იცი, შენი წერილი სად წაეიდოდა.

მედიას (დიდი ჯიხაიში) გვწერთ:

„ინახულე, ტარტაროზო,
ფართო მამულს ეინც განაგებს.
ზარმაცობსო—ემდურიან,
ყურთ აწევა, ვფიქრობ, არგებს".

თქვენ ფიქრობთ და დარწმუნებული არ ხართ, ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ ყურის აწევა არც თქვენ გაწყენს ასეთი წერილის დაწერისათვის.

**„გიპნოტიზიორებს"** იწერებით, რომ „6 ოქტომბერს რუსთველის თეატრში რუს პროფესორმა წაიკითხა ლექცია გიპნოტიზმზე, რომელიც ისე უშინაარსო იყო, რომ მისი მოსმენის დროს მთელი აუდიტორია განისვენებდა ტკბილი ძილით"-ო.

თუ კი ასე იყო, რაღას უსაყვედურებთ ლექტორს? ალბად კარგად წაიკითხა ლექცია და ცდაც კარგად მოახდინა, რომ მთელ დარბაზს ტკბილად ეძინა.

„ნა"-ს უწინარეს ყოვლისა „ჩვენი რისხვა დაეცა" თქვენს წერილს.

**გრილს.** თქვენი „კუდი" დასაგრილებლად გადავგზავნეთ საგრილებელში.

**მებრძოლ ტალღას**—თქვენ გვწერთ:

„ფიცს. ესდებ რომ მოგაწოდო „ნაწარმოები" სხვადასხვა თემებზე".

ჩვენც ფიცს ესდებთ, რომ თქვენი წერილები არ დავბეჭდოთ.

**რკინის მჭამელს**—როგორც თქვენი წერილიდან სჩანს, თქვენ ხართ არა რკინის, არამედ მჭადის მჭამელი.

ყოველ შემთხვევაში სიმშილობას ჭადის ჭამა სჯობია.

**აშკარას.** თქვენი „ხახა-ხა-ხა" რაღაც ისე ულაზათოა, რომ ვერც უფსკერო გოდორში მრუხერხეთ რამე.

**ნიკოს.** თქვენი „ფელეტონი" აშორდიას გადაუგზავნეთ.

**ხომ მართალია ეს (ზუგდიდი).**

„ეაი, დედასა, რამდენი ნერწყვი გადაეყლაპე მაშინ"—... ნაღვლიანად მოსთქვამთ. თუ კი ასე გახელებული იყავით, მიხჭარებოდით. სიცხე გაისინჯეთ.

**ჩიბათელ ჭიპას.** ნუ თუ გარდა სამკითხველოსა! ყველაფერი კარგად არის თქვენს ჩიბათში! მოასვენეთ სამკითხველო: სხვა რამეზე სწერეთ.

**ფ. აელეველს.** როგორც სჩანს თქვენი წერილიდან—გაგლოშვილს ძალიან ჰყვარებია: ყურძენი, ცხვრის ბარკალი, ხაჭაპურები და ქათამი. ეინც ამ ძღვენს მიუტანს, იმას ჰპირდება სამსახურის მიცემასო.

რას ერჩით ამ კაცს? გემო კარგი ჰქონებია! არც პატიოსნებაზე ყოფილა ხელაღებული თუ ასე მცირე პატივისცემით იძლევა სამსახურს.

**შაქრო კვინტრაძეს.** ჩვენ პასუხს მოგცემდით თქვენი ფსევდონიმის მისამართით, მაგრამ „კოცნა" დაუშვებელია; მაგრამ ამაზე უფრო დაუშვებელია, როცა „თამადა"-ს რაიკომის ბეჭდის დასმით ამტკიცებთ. კარგი რაიკომი ყოფილა ნაგომარში.



ტარტაროზის რედაქცია ამით აცხადებს, რომ № 21 ნომერში წინა გვერდზე მოთავსებული კლიშე ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ ᲚᲔᲠᲑᲘ რედაქციას ჰქონდა წარმოდგენილი როგორც ᲐᲨᲝᲠᲓᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲧᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲣᲘᲗ ᲨᲔᲗᲮᲖᲣᲚᲘ ᲚᲔᲠᲑᲘ. ასე რომ რედაქციას სრულებით არ ჰქონდა მიზნათ საზოგადოთ სამეგრელოს და მეგრელების ᲨᲔᲮᲔᲑᲐ.




ყველა მშრომელი
უნდა იწერდეს და კითხულობდეს
თავის „მუშა“-ს გაზეთ

ორკვირეული
იუმორისტული ჟურნალი
# „ტარტაროზი“
მისი უფასო დამატებაა

საქართველოს ყველა მთავარ ქალაქებში და დაბებში გაზ. „მუშა“-ს მთავარ კანტორას აქვს თავისი განყოფილებები, სადაც შეიძლება გაზეთის გამოწერა.

ნოემბერი ახლოვდება

დროზე გამოიწერეთ გაზეთი

რედაქცია და კანტორა—რუსთაველის პრ. № 24.


ანყობილია საქ. კომპარტიის ცენტრ. კომიტ. სტამბაში. დაბეჭდილია პოლიგრაფტრესტის 1-ლ სტამბაში.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 10 ნოემბერი, 1925 წ.




№ 23 გაზ. „მუშა“-ს ყოველკვირეული უფასო დამატება № 23

1917



ყველა მოკითხეს თვითპყრობლობას—ან რაც ეთესა აწ რაც ებარა, როცა გაუგეს სულთამხუთავებს ხალხის კონება თუ ვით ეპარათ— პოლიციელთა, აწ კანმაგარ ზურგს ქუსლები მუშის გადაუფარა!

1925



დღეს, 1925 წელში მუშა და გლეხი გამაგრდენ წელში ფეხით გასთელეს სამეფო სკიპტრა და ძლევის დროშა უპყრიათ ხელში!



ყველა მშრომელი
უნდა იწერდეს და კითხულობდეს
თავის „მუშა"-ს გაზეთ

ორკვირეული
იუმორისტული ჟურნალი
„ტარტაროზი"
მისი უფასო დამატებაა

საქართველოს ყველა მთავარ ქალაქებში და დაბებში გაზ. „მუშა"-ს მთავარ კანტორას აქვს თავისი განყოფილებები, სადაც შეიძლება გაზეთის გამოწერა.

ნოემბერი ახლოვდება

დროზე გამოიწერეთ გაზეთი

რედაქცია და კანტორა — რუსთაველის პრ. № 24.

აწყობილია საქ. კომპარტიის ცენტრ. კომიტ. სტამბაში. დაბეჭდილია პოლიგრაფტრესტის 1-ლ სტამბაში.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 10 ნოემბერი, 1925 წ.




№ 23 გაზ. „მუშა"-ს ყოველკვირეული უფასო დამატება № 23

| 1917 | 1925 |
|---|---|
|  |  |

ყველა მოკითხეს თვითპყრობლობას—ან რაც ეთესა ან რაც ებარა. როცა გაუგეს სულთამხუთავებს ხალხის კონება თუ ვით ეპარათ— პოლიციელთა, აწ კანმაგარ ზურგს ქუსლები მუშის გადაეფარა!

დღეს, 1925 წელში მუშა და გლეხი გამაგრდენ წელში: ფეხით გასთელეს სამეფო სკიპტრა და ძლევის დროშა, უპყრიათ ხელში!



# ბრძანება № 7.

სმენა! ლაშქარო
წითელი პრესის—
ტარტაროზეთის
მხნეო გვარდია—
სხვა, საიმედო
თქვენს გარდა ჯარი
არც არეინ მინდა,
არც მაბადია!
თქვენა ხართ ჩემი
სასო, იმედი
და მტრებისთვის კი
შავი ზმანება—
სწორედ ამიტომ
თქვენ შეგეხებათ
ჩემი დეკრეტი,
ჩემი ბრძანება:

— ნათქვამ-ნაჩივარს
მოლაშქრეთაგან
აწ გაგონება
ჩვენგან უნდა რა—
რაკი სარდალის
დღეს ვალი არის
რომ ხელქვეითთა
ილოს მუდარა,
ამიტომ ჩვენმა
მძლე ტარტაროზმა
აწ ყურადილო
ეგ თქვენი ნება
და წააწერა
თქვენს პეტიციას
მარად ურყევი
დადგენილება:

— რაკი ზედმეტი
შრომა და ჯაფა
ტარტაროზკორთა
თვითონ თავს იდევს—
ვადგენ—მუდარა
ტარტაროზკორთა
აწ და მარადის
დაკმაყოფილდეს"!
სწორედ ამიტომ
ჟურნალი ჩვენი
გამოიცემა
აწ ყოველ კვირა,
სოლო მკითხველსაც,
რომ ერგოს რამე
(სამი შაური
იქნებ ეძვირა!)
ამიტომ ჟურნალს
თავს ეწერება
ცალკე ნომერი
ღირს ორ შაურათ!
ნურვინ. მიიღებს
ამგვარ სიამეს
უიმედოთ და
ნურც უცნაურათ!

**ხელის მომწერნი**
**გაზეთი „მუშის"**



ქე რო ბურჟუებს
დღეს დაეთრებს უშლის,
და მუშის მტრებს, რომ
მრაელათ აგზავნის
ტარტაროზეთის
სასუფეველში
— ჟურნალ „ტარტაროზს"
სრულად უფასოთ
ოთხჯერ მიიღებს—
გესმით—ერთ თვეში!
სამი აბაზი,
სულ სამათ სამი
და სამ აბაზში
ჟურნალ-გაზეთი:
— ხან „სერიოზნათ",
ხანაც ხუმრულათ
მუშათა მტრების
ძალზე გამზეთი!



— ვა, ვა, სიამე,
მაგრამ ასეთი
ადამიანო
გინახავს სადმე?
თუ გაზეთს
ეხლაც არ გამოიწერ—
ძმაე, შეპყრობილი
მწყრებს უნდა ყაედე!

2.

სმენა! ლაშქარო
წითელი პრესის,
ტარტაროზეთის
მხნეო გვარდია—
სხვა, საიმედო
თქვენს გარდა ჯარი
არც არეინ მინდა,
არც მაბადია.
და თქვენ გახსოვდეთ,
დაიკართ ცხვირზე,
რომ ყოველი თეის
აწ ყოველ კვირა—
კალამის წვერზე
აავოთ უნდა
საბჭოთა მტრები
სულ თავდაყირა!
მოინახულეთ
თუ სადმე არის
წარმოებაში
აწ ადგილკომი—
დირექტორებთან,
რომ იზილება
ვით იმერული,
უმცხვარი ღომი.
მოინახულეთ
ისეთი პირნიც
ქე, რომ სკამზე ზის
პობოლაათ, თავათ,
რომლის კაბინეტს
ამშვენებს მუდამ
გთხოვთ, ნუ შემოხვალთ
დაუკითხავად!
ხოლო თეითონ კი
არავის კითხავს
დაუკითხავად
უყვირის ყველას—
უცროსთან
ქე რომ ფაფარაყრილობ
ხოლო უმცროსთან—
გავს ქიაყელას!
ნუ დაივიწყებთ
და ნუ დატოვებთ
აწ მოუნახავს
ნურც ისეთ კუთხეთ,
სადაც, მარადჟამს
თვალში გეცემათ:
გთხოვთ, იატაკზე
ნუ დააფურთხებთ!
წარწერის გვერდით
„საპოტაენიკი"
ფაქიზობს ისე,
ვით მზეში ტახი—
ხო და აგება
კალამის წვერზე
ამ ვაჟბატონთა
იქნება ახი!

ლოდი დაადეთ
სულის მამებსაც,
ზედ წააწერეთ:
**აქა ძევს მათე,**
**ქე რო სათბილოს**
**თვით მიირთმევდა,**
**ხოლო ცხვრის თავ-ფეხს**
**დიაკონ-მნათე!**
იცოდეთ, და ნუ
დაგავიწყდებათ
საკითხი არის
ეს მტკივნეული—
კოპერატივთა
ალებ-მიცემის
ხშირად გაშალეთ
ფართო რვეული
და თუ ფურცლებზე
ამოიკითხოთ
უსწორმასწორო
მისი ბალანსი—
თუ გამგეობას
მიურთმევია
ხან ათასები
და ხანაც ასი—
მათ მილიონი
მისცხეთ მათრახი
და გადმოგზავნეთ
აქეთქენ ისე,
რომ დაეკარგოსთ
არა თუ ჭამის—
ძილის მადაც კი
და სიხალისე!
თემალმასკომშიც
შეიჭვრიტინეთ—
სცვნეთ თუ რა ხდება
ყოველ დღე იქა—
რა გვარად მიდის,
მიმდინარეობს
ძღვენთა მირთმევის
აწ პოლიტიკა!
ნურც „მოსე მწერლებს"
ყოფთ უგულებელს—
მათი გაცნობაც
თავს იდეთ ვალათ,
გაიგეთ:—დედალს
როგორს რჩეობენ—
კეცზე შუმწვარს თუ
მოხარშულს რგვალათ?



მიხედეთ რკინის
გზის სადგურებსაც
თუ სათანადო
ბინა აქვს ლორებს—
თუ აბრალებენ
დაუმთვრალობას
„პასაჟირები"
ჩვენ რევიზორებს.
ასწერეთ ყველა
და ყველაფერი—
რას აკეთებენ,
სად რას შვებიან—
მაგრამ, გახსოვდეთ—
სიცრუე რამე
არც იუმორში
დასაშვებია!
გაალხოველეთ,
გაათასკეცეთ
ის ენერგია—
რომ გქონდათ დღემდის.
რადგან, დღეიდან
ბრძანება ისე,
გახსოვდეთ ყველას,
ძალაში შედის!

**ტარტაროზი.**

ტარტაროზჯან, ეს დედლელატები რომ მოდიან—რაშია საქმე?

ამბობენ, რომა: როცა თავის გოსუდარსტვაში დაბრუნდებიან, იტყვიანო: კაკ მი ჟივიომ ი რაბოტაიმ.

ია რადოვალსია, რომ იქიდან „სტარი ვრემიას" გამოგვიგზავნიდენ... ჩემი ძველი „რიბნი" მაღაზიის გახსნის აპეტიტი მომეცა, და მივმართე ფოკუსს:

პაშოლ დომა. ჩავიცვი ჩემი სტარი ადეჟდა. გვურქასაგან ერთი საკალბასე ვირი ვიქირავე. შევაბი ტაჭკაში. დაკყარე ზედ ბადრიჯანი და პრიამო გოლოვინსკი პროსპექტზე გავედი...

მილიციონერ ნე პუსკაიტ.

დავბრუნდი, და დვარცოვის სასახლესთან დავუცადე დელელანტებს.

ვფიქრობდი—როცა მოვლენ, ასე მივმართავ-მეთქი:

— ტავარიშჩ დელეგანტებო.

ხომ ხედავთ ნა მენე სტარი ადეჟდა ესტ„ კატორი კუპილ ნიკოლაი ვრემია. ტიპერ პრიამო ნე ვაზმოჟნა კუპიტ ტაკოი ადეჟდა. ვოტ პასმატრი კაკოი ხუდო მოი ჟსიელ? ხუდო პატამუ ჩტო—კუშატ ნიეტუ. კუშატ ნიეტუ პატამუ ჩტო—დენგი ნიეტუ.. დენგი ნიეტუ პატამუ ჩტო—ნალოგ ესტ... ჩტო დვატრი გროშ ზარაბოტაი, ნალოგ ვაზმი... სუფსარქისის მადლმა—თუ აროლანზე ხელი გამეშალოს, ან გვურქა შულავრელის აკაკანებულ ზურნაზე დავლური და ლეკური მეცეკვოს, რაც კომუნისტიჩესკი პრავიტელსტვა ესტ... მომიარა ხასიათმა. შევედი „კრასნი სტალავოი" № 5... ნო ბუფეტჩიკ ილიკო ნე რაზრეშილ:—ტო გიჟ ხომ ჩე?—კრასნი სტოლოვოიაო. (ვა, ისე გაუწყრეს ღმერთი, სხვას უშლიდეს ქეიფს!)

ვოტ, ტავარიშჩი, ნაში ჟიზნ. დენგი ნეტუ, და თუ ეს—შენს ნებაზე ვერ მოგიხმარია... რაზვე ეტო სლაბოდა?! რაზვე ეტო ტავარიშჩესტვა?! ჰო-და ასე ვფიქრობდი, ტარტაროზჯან, მაგრამა იმ დელეგანტებს თურმე ზდეშნი იაზიკ არ სცოდნია.

ტეპერ, ტარტაროზ, შენ გეკითხები; ტი ჩელოვეკ რედექტორ, ვსიო ზნაიშ ნა სვეტე... მითხარი—ჩტო სკაზალი დელეგანტებმა: — ასტანეტსია კომუნისტიჩესკი პრავიტელსტვა, ილი ნიეტუ?

აი, ეს არის ჩემი იურიდიჩესკაი შეკითხვა.

ვაჰხ! ერთხელ მაინც მეღირსოს: ხელი გავშალო და ლეკური დავუარო ორ[illegible]

**ჯანო ახპიროზიანც.**

**პასუხი.** როგორც სჩანს—თქვენ აწ არასოდეს არ გეღირსებათ: ხელის გაშლა და ორთაჭალის ბაღებში ლეკურის დავლა.

# შ ე კ ი თ ხ ვ ა

### ტარტაროზისადმი

სალამი ტარტაროზისადმი.

შენ ხარ ყველაფრის მცოდნე და გაჭირვებულ ხალხის დამხმარე.

გლეხები შენ გეკითხებიან:

— „ზემსკი" კომიტეტმა მიწა ჩამომართვა და კანონიერია თუ არაო?—

გარადსკოი გრაჟდანინ ტოჟი სპრაშივაიტ:

— სკოლკი დოლჟინ პლატინ ზა კვარტირუ 3 მესიაც? (ვაჰხ! ყურუმსაღმა არ იცის, რომ: მეტრიჩესკი არშინ კაპიკია?!. მორჩა და.. გათავდა). სპეცი სპრაშივაიტ:

— ცოლი შევირთე, და ეხლა აღარ მინდაო, აღარ მომწონსო, სხვა შევიყვარეო—და როგორ მოვიქცეო?—

(ვაჰხ! გიჟები არიან?! მე ადდინ მესიაც პიატ ჟენა ჟენილსია და რაზვოდი მიმიცია, მაგრამა ნი რაზე სხვებისთვის არ მიკითხავს:—როგორ მოვიქცე?.. რა ვქნა?

აი, ტარტაროზჯან, შენ ასეთ პუტიაკისთვის გაწუხებენ...

მე კი ასეთ პუსტიაკისთვის შენ **არ** შეგაწუხებ...

ჩემი გასაჭირი სხვანაირია.... დრუგოი სორტა სავსემ.



# წყალწაღებული—ხავს ეკიდებოდა



ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე და „ტახტის მემკვიდრე“ კირილე *)

არ მოკვდე ჩემო არწივო, არ დამაგლოვე მემკვიდრეს;
საზრდოხა არა მოგაკლებ ცოცხალ გიქნები მე გიდრე.

*) ეს ორი „წყალწაღებული თავის ტყლებებს აცხადებდნენ „რუსეთის ტახტზე“. კირილე გაიმარჯვა და „მემკვიდრეობა“ მას ხვდა, მაგრამ ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე, რა თქმა უნდა, ჩუმად ინახავს გულში „მემკვიდრეობას“. (ისე კი ორივე შენახულია არქივში)

ტ.

# „მომატება“

კატოს მეზობელ ქალებისაგან გაგონილი ჰქონდა, რომ მუშა-მოსამსახურეებს ჯამაგირს უმატებენო.

ჯამაგირების მომატების შესახებ ხმები ქალებში უფრო ადრე გავრცელდა, ვიდრე ეს საკითხი დაისმებოდა და გადაწყდებოდა.

კატოს ეჭვი არ შეჰპარებია ამ ხმების სიმართლეში,—და ეს იმიტომ რომ,

ჯერ ერთი:

მას ასე უნდოდა და, მაშასადამე, ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

მეორედ:

ასეთი ხმები როდესაც კი გაუგონია სხვა ამბების შესახებ, ყოველთვის გამართლებულა.

თუმცალა, კატოს ხანდახან, როცა მისი ქმრის ჯამაგირის მომატებისაგან მიღებულ ჩერვონეცებს ითვლიდა ფიქრებში, ეშმაკი კვანტს გამოჰკრავდა და მოაგონებდა:

— სულელო რა იმედით მოელი ჯამაგირების მომატებას. რაცა გაქვს იმისი კმაყოფილი იყავი და ღმერთს ევედრე, რომ შენს ქმარს ჯამაგირი არ მოუკლონ, ანდა შემცირებაში არ უკრან თავი..

---

მაგრამ ეშმაკმა მაინც მოუქცია კატოს მხარი და მანაც ერთ დილა ადრიან შეაღო კარები სავაჭროში ორი მეტრი ფანელი უნდოდა ეყიდა.

— საუცხოვო რამ არის.. ასეთი საქონელი სინდიკატებშიც და ტრესტებშიც არ იშოვება.... საქონელს წუნი არა აქვს... დიახ! მეტრი ცამეტი აბაზი; ძალიან იაფია—

— როგორ გეკადრებათ?! ქვეყანა ხომ არ იქცევა?! ორი დღის წინედ ჩემმა მეზობელმა ამის ნაჭერი თქვენთან იყიდა ცხრა აბაზად, და ასე მალე დენი ფასის მომატება გაგიგონიათ!?

— თქვე დალოცვილო, როცა თქ... ჯამაგირს გიმატებენ, ჩვენც ხომ ... მოვუმატოთ საქონელს ფასი?

— ჯერ ხომ არ მოუმატებიათ ჯა... გირებისათვის?—

— თითქოს არ იცოდეთ, ისე ... ბობთ... ყველას მოემატა ჯამაგ... აი სწორედ, თქვენ ჯამაგირს იმ... გიმატებენ, რომ საქონელს ვაძვირ... ჩვენ რომ საქონელზე ფასი დავაკლ... მაშინ თქვენც დაგიკლებენ ჯამაგი... თქვენ მადლობა უნდა გვითხრათ ფ... ბის მომატებისათვის, რადგან ... თქვენ ჯამაგირებს გიმატებენ—

— მართალი ყოფილა ჯამაგირ... მომატება—გაიფიქრა კატომ და ქარს უთხრა:

— გადასჭერით ორი მეტრი—

— ცამეტი აბაზი—

— თქვენს სიტყვაზე იყოს; ალი...

### არ გამართლდა ანდაზა:

# ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო

საბერძნეთს და ბულგარეთს შორის მოხდა შეტაკება. ორივე სახელმწიფოში ფაშისტური მთავრობაა; პირველში მთავრობის თავმჯდომარეა პანგალოსი, ხოლო მეორეში ყველასათვის ცნობილი ცანკოვი.

**მ უ ს ო ლ ი ნ ი**

**რა კარგად გამომიზრდია, დამიგეშია ძაღლები!**
**ერთმანეთს ეჩხუბებიან ეს გუშინდელი ბალღები...**
**არ გავსცლი ცანკოვს, პანგალოსს ხხვა ქვეყნის ფაშისტებზედა,**
**თუ გინდ ისინიც ეშყარონ თოფ-ხმლებზე და ხიშტებზედა.**



ვაჭრებით. მაყარიჩი იყოს სასიხარულო ამბის თხრობისათვის—

---

— გიორგი, რამდენი მიიღე ხელზე ფული?—

— აჰა, ეს მივიღე — და გიორგიმ აჩვენა ამხანაგს 7 მან. 43 კაპ.

— დედაკაცი სახლში არ შემიშვებს; თავს გამიტეხს—დაუმატა გიორგიმ და მოშორდა სალაროს.

— „ერთს ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ“—ანუგეშა ამხანაგმა.

---

— ყმაწვილო, შენ გგონია: მე არ ვიცი, რომ თქვენ ჯამაგირი მოგიმატეს?! აბა, გაასწორე ეხლა ანგარიში! დღეს ხომ პირველი რიცხვია? მრისხანე კილოთი მიმართა კატომ გიორგის, რომელიც დაღონებული დაბრუნდა სახლში სამსახურიდან.

— ქალო, სიზმარში ხომ არა ხარ? ვინ გითხრა ეს ამბავი? ვინ მოგატყუილა?

— ქვეყანა ამბობს... გაზეთში სწერია: დღეს ბაზარზე ყველაფერს ცეცხლი ეკიდება... ვაჭრები გაიძახიან: ეს სიმართლეა—

მომატება კი არა, დღეს ჯამაგირებიც ვერ დაგვირიგეს, გიორგიმ ჯამაგირის მიღებაც კი დაუმალა ცოლს—ფიქრობდა:

ეს ფული თუ აქ გამოვაჩინე, მაინც კი მომკლავს ეს გადარეული დედაკაცი... ხვალ სადმე ოც მანეთს ვისესხებ ამ ფულს დაუმატებ და ისე მოვიტან, თითქოს ჯამაგირი იყოს—

---

მართლაც სიმართლე გამოდგა ჯამაგირების მომატების ამბავი. დაწესებულებებში სიხარულის გამო მუშაობა ვერ მიდიოდა „ჩვეულებრივ“. (და „ჩვეულებრივზე“ ნაკლები რაღა იქნებოდა?!

— ეს დედაკაცები ან წინასწარმეტყველები, ანდა კუდიანები არიან! საიდან გაიგებენ წინასწარ ასეთ ამბებს?!—მიდიოდა გიორგი სახლში და ასე ფიქრობდა.

. . . . . . . . . . . . . .

— დღეს მიიღე თუ არა ჯამაგირი?—

— დღეს კი არა, გუშინ მივიღე, მაგრამ შიშის გამო, ვერ გაგიმხილე... სულ აი ეს მივიღე და გიორგიმ გადასცა კატოს 7 მ. 29 კ. (14 კაპ. პაპიროსი იყიდა მარტო —„ფედერაცია“)—არ გეწყინოს კატო; იცოდე: ჯამაგირის მეორე მიღებაზე სულ ყელამდი შეგაცურებ ფულებში—

— აჰ დათვი და აჰ კვალი!.. აბა,ვნახოთ.

— არხეინად იყავი. შენ დღესვე ჩამოსწერე, თუ რა გვაქვს საყიდელი.

— გიორგი, ამ ჯამაგირზე, რომ ერთი ინდიგოს საკოსტიუმე, ერთი კავეკორტის პალტო და ერთი ლაკის ტუფლები არ მიყიდო; ამის გარდა: ბალნებს, რომ ტანფეხზე არ შეუკერო,—იცოდე; „ზაქსი“ და „რაზვოდი“ მზად არის.

— თუ კი „რაზვოდი“ იქნება, გამაკეთე; არაფერსაც არ გიყიდი, თუ კი მომშორდები.

— რაო?! რა სთქვი?!

— გეხუმრე, კატო,გეხუმრე... აწ „რაზვოდზე“ რა დროის ლაპარაკია!?, ერთი ცოლშვილი კი არა, აწ მგონი ორიც ვარჩინო—

გიორგი, თუ კარგ გუნებაზე იყო, ხუმრობა ძალიან ეხერხებოდა.

დიდი ხანია გიორგის ასე გემრიელად სადილი არ უჭამია. კატომ ერთი კვარტი ღვინოც კი ჩამოუდგა გიორგის სა-

# გააპანღურეს!

„სპარსეთის შაჰი გადააყენეს“.



— აი, „ფეშქაში“, რომელიც სპარსეთის ხალხმა თავის შაჰს მიართვა!

დილზე მოულოდნელად. კატოს მხრივ ასეთმა არაჩვეულებრივმა ყურადღებამ და სიყვარულმა გიორგი ისე გაახარა. რომ ულვაშების გრეხაც კი დაიწყო ზევით.

---

— კატო გადმოიარე ერთ წუთას; რაღაცეები ვიყიდე და, აბა, ნახე—

კატომ მიატოვა სადილის მზადება და მეზობლის ქალის ოთახში შევიდა.

— აი, ეს ჩემთვის ვიყიდე... ეს კოლიასათვის... ესეც ჩემთვის... ესეც ჩემთვის. ეს მარუსიასთვის.. ესეც ჩემთვის... ესეც.., ეს კი სიმონისათვის—

— რამდენი მოუმატეს სიმონს ჯამაგირზე?—

— ორმოცი პროცენტი—

— ორმოცი პროცენტი რამდენია?—

— რომ ღებულობდა, იმაზე შვიდი თუმანი მეტი მიიღო—

და კატომ გაიფიქრა:

— მაშ გიორგი მიიღებს: ჯამაგირი ეხლა აქვს სამი თუმანი და სამი მანეთი; ამას მოუმატოთ შვიდი თუმანი... იქნება: ათი თუმანი და სამი მანეთი—

სიხარულის ჩიტმა გაიფრთხიალა კატოს გულში.

---

— არა, ეხლა სად წავიდე?..

სად დავიმალო?..

რა ვუთხრა?..

რა მეშველება?..

რა მოვატყუილო?..

ამ მომატებამ უფრო მომიმატა დარდი და მწუხარება!—

ასე ფიქრობდა გიორგი, როცა მას გამოუანგარიშეს ჯამაგირი და მომატება. თორმეტი პროცენტი მოუმატეს, რაც უდრიდა დაახლოებით: ოთხ მანეთს

---

— რა იყო კაცო? სოფლიდან ხომ არაფერი გაგიგია ცუდი რამ?—

— სოფლიდან ამაზე უარეს რას გავიგებდი?!

ჯამაგირის მომატება...

— რაო?.. აჰა, ეხლა შენ გინდა კიდევ მომატყუილო, მაგრამ ვერ მოგართვი. მე ვიცი, თუ შენ რამდენი უნდა მიიღო... აბა, წარმოადგინე ას-ასი მანეთი—

— კატო—

— არც ერთი სიტყვა... სიმონის ცოლმა ყველაფერი მითხრა...მას ყველაფერი უყიდია... ორმოცი პროცენტი მოუმატეს... ორმოცი პროცენტი კი უდრის 7 თუმანს... აბა, ჩქარა გაასწორე ანგარიში—

— ქალო, სიმონი უწინაც დიდ ჯამაგირს ღებულობდა.—

— იგი, თუ დიდ ჯამაგირს ღებულობდა და მაინც კი მოუმატეს შვიდი თუმანი, მაშ შენ კიდევ უფრო მეტს მოგიმატებდნენ, რადგან შენ უფრო მცირე ჯამაგირს ღებულობდი!!—

— ქალო, გაიგე, რომ ჩვენს დაწესებულებაში, მხოლოდ თორმეტი პროცენტი მოუმატეს.

— ეს მე არ ვიცი და არც მაინტერესებს.. გინდ თორმეტი იყოს, გინდ სამასი და გინდ ერთი, ჩემთვის სულერთია; მე არაფერი არ ვიცი. შენ მოგიმატებდნენ შვიდ თუმანს, კიდევ მეტს, მაგრამ მეტს არ გთხოვ, ის მეტი შენი იყოს—

— კატო, კატიუშა, გენაცვალე, გაიგე, ქალო, რომ მხოლოდ თორმეტი პროც. მომიმატეს.ეს თორმეტი პროცენტი უდრის დაახლოებით: ოთხ მანეთს—

— აბა, სიმონს როგორ მოუმატეს შვიდი თუმანი?—

— მას დიდი ჯამაგირი აქვს და მისი პროცენტიც უფრო დიდია.. თანაც..

— რას ლაპარაკობ შენ? სად გაგონილა, რომ ერთის პროცენტი მეტი იყოს და მეორესი—ნაკლები?! იგიც ერთს ქალაქში?! ვერ მომატყუილებ... ეხლა ყველაფერს „ტაქსა“ და ნიხრი აქვს... პროცენტს ყველგან ერთი ფასი აქვს.

— ქალო, შენ იცი პროცენტი რა არის?!—

— მე კი ვიცი, მაგრამ შენ თუ იცი სთქვი?—

— ას გაყოფენ ასზე. ეს იქნება ერთი პროცენტი. თორმეტი პროცენტი თუ

# მამლაყინწა

„ინლისში შინაგან საქმეთა მინისტრმა ხ ი ქ-ს მ ა გააძლიერა კომუნისტების დევნა და შევიწროვება. მისი სისასტიკით თვით ბურჟუაზიული წრეებიც უკმაყოფილოა.

დეპეშებიდან.



## ხ ი ბ ლ ი

მე ყიყლიყოს მიტომ ვყივი ასეთ ცივ და საზარ ხმაზე,
—ვხედავ: კვ ღება ბნელი ღამე... განთიადი მოსჩანს ცაზე,
აღმოსავლეთს მ ზის სხივები ოქროს ფერად ავარაყებს...
აი, ჩვენ ეს გვეშინია... აი, ჩვენ ეს გვაცახცახებს.

---

გინდა მიიღო, ამისათვის ერთი უნდა გაამრავლო თორმეტზე...

— იქნება თორმეტი... აჰა, ეხლა ხომ დაგიჭირე?!

შენ ამბობ, რომ ოთხი მანეთი მომიმატესო, ანუ თორმეტი პროცენტი... თორმეტი პროცენტი კი, შენივე გამოანგარიშებით, ხომ უდრის: თორმეტ მანეთს?... შენ კი ამბობ, რომ—მომიმატეს ოთხი მანეთიო. შენ მატყუარავ, თორმეტსაც მიმალავ? აბა, მასე, რომ ყოფილიყო, მაშინ სიმონისათვის, მხოლოდ ორმოცი მანეთი უნდა მოემატებიათ, და არა შვიდი თუმანი!—

— ქალო, იმას ას-სამოც მანეთამდე ჰქონდა ჯამაგირი. ამ შემთხვევაში ასი კი არ იყოფა ასზე, არამედ ას-სამოცი.

— როცა შენს ჯამაგირზეა საქმე, მაშინ ასი იყოფა, და, როცა სხვისზე მაშინ კი: ას-სამოცი,.. უკაცრავად, მაგრამ მასეთი ხრიკებით კატოს ვერ მოატყუილებ.

ჩამოდი ას-სამი მანეთი!... რას მიჰქვია თორმეტი მანეთის მომატება?.. თორმეტი მანეთის მომატებას სირცხვილისათვის, არც ვიკადრებ!—

— თორმეტი მანეთიც არ მოუმატებიათ, თორემ, კაი შენ ნუ მომიკვდე.. ქალო გაიგონე: მომიმატეს თორმეტი პროცენტი... ჩემი ჯამაგირის თორმეტი პროცენტი არის: ოთხი მანეთი (და ისიც კი არა). ამ შემთხვევაში ასზე იყოფა ჩემი ჯამაგირი, ანუ ოცდაცამეტი მანეთი—

წმინდაო გიორგი, შენ დამიცევი! კაცი მგონი გადარეულა?!—

გასაკვირველი კი არ არის, რომ გ... ვირიო!—

— კაცო, პროცენტი ხომ ყველა... თვის ერთიდაიგივე არის?! ნუ თუ ე... თისთვის მეტი ღირს და მეორესთვის... ნაკლები?! ნეტავი, ეს რაღაც ოხ... პროცენტია, ზოგიერთი დუქნის საქ... ნელი, ხომ არ არის, რომ ერთისთვ... მეტი ღირდეს და მეორესთვის—ნ... კლები?!—

პინჯარი

—:—

## გამოცდები

(ჩოხატაური. გურია)

კიდევ ხშირია ამ ქვეყნად
ნათლიმამ-ნათლიდედობა.
ვერაფერს ხდება მასთანა
მხოლოდ-ღა სიტყვით ყმედობა.

---

ჩოხატაურის ცხრა-წლედის
მასწავლებელთა კრებასა
მოვიხსენიებ სიფრთხილით
თუ არ იწყენენ ქებასა.

აღნიშნულ ჩვენსა ცხრა-წლედსა
მოასკვდა მოწაფეობა.
და „გამოცდებზე“ შეიქნა
ერთი ჯახი და ღრეობა.

მისაღებ მოწაფეებსა
ანაწილებენ სამათა.
ადგილობრივნი, მოსულნი
და შვილნი ნათლიმამათა.

ადგილობრივებს, ცხადია,
„გამოცდა“ არა სჭირიათ...
მაგრამ მოსულნი დაძრწიან
და უპატრონოდ სტირიან.

ნაცნობი არავინა ჰყავთ,
ყველანი მასხრად იღებენ.
და „გამოცდებზე“რომ გაჰყავთ
არა თუ ცოდნას იგებენ.

— არამედ: ემასხრებიან
აცდენენ ნიშანს უგებენ,
ჰკითხავენ, რა არ იციან
და შემდეგ გარედ უშვებენ.

„რაც იცით, იმას რად გკითხავთ!
რაც არა იცით—მასაო:
რომ შეასრულებს ოთხ წელს
რა ემართება თხასაო?“.

---

ვერ გამიგია, ვერა ვცნობ:
— გამოცდაა თუ მასხრობა?!
რად დაუშვიათ პედაგოგთ
თვისთავის ასე დამცრობა?!

ასე გათავდა „გამოცდა“
ზემოდ ნახსენებ წესითა...
შინ მიდის მოწაფეობა
მწარე ოხერით და კვნესითა.

სად წავლენ საცოდავები?
მოსწყვდენ ისინი სწავლასა...
არვინ იმედობს იმათში
ცხრა-წლედის ახლოს გავლასა.

„რისხვა“

# ტყიბული

ტარტაროზჯან, ეს მეორედ
სალამს გიძღვნის „ხელიკი"
შენი შიშით აქ მრავალსა
ეწვის კუდის რიკი.

იმ წერილმა ჩვენი პავლე
ისე გადარია—
რომ ვილაცა ახალგაზრდებს
უყო „სკანდალია"

ექიმები შენზე ამბობს:
„არ ვახსოვართ ჩვენა.
„ვერ გაგვიგო: ღვინო გვიყვარს.
„ძმა-ბიჭებში ლხენა.
„თუ ხანდახან სნეულ მუშას
„არ მივიღებთ ისე,
„როგორც ჰშვენის დღემანდელ დღეს..«
„გვძულს ჩვენ სიხალისე.

„ეს არ არის დიდი ნაკლი
„ან რა სათქმელია.
„ყველა გრძნობს და ხედავს". ამას,
(ჩვენთვის ნათელია)

ანდა, კიდევ: თუ ზოგიერთს
ოთახი აქვს ექვსი—
ღვთის ნებაა ყოველივე,
ალბად სწყალობს „ზევსი".

და თუ კი აქ ბნელ სარდაფში
თქვენ იპოვით მუშას—
აბა, ეს რა სათქმელია—
იმათ არა უშავს.

„პოდრიაჩიკს" მუშის ზურგზე
აქ გაჰქონდა ბუქნა
და გაიქცა მაშინ, როცა
გავა გაისუქა.

მასთან კიდევ თუ აქ „სპეცებს"
(თითქოც მართლაც სპეცებს)
ჯამაგირებს უმატებენ,
სევდას გვიორკეცებს.

ჩვენ გვაქვს: კლუბი, პიანინო,
კინემატოგრაფი.
აქ ჩვენ ხშირად გვიჩვენებენ—
როგორ სცხოვრობს გრაფი.

ქართულ კინო-სურათებსა
ჩვენთვის არ სცალია.
(მუშებს გული რომ გაუტყდა—
ეს კი მართალია).

სცენა დეკორაციებით
მთლად გაჭედილია...
მაგრამ კარი თეატრისა
გამოკეტილია.

მისი ჯავრი გამგეობას
ულსჩაჰყვება დარდად.
რა აწუხებთ მათ? საწყეროო
ოლონდ ჰკრიფონ მარდად.

---

თუ დასჭირდა ჩვენსბინებსა
შეკეთება ჩქარი,
ანდა დალპა იატაკი,
ჩამოვარდა კარი—
სჯობს მიმართოთ ალექსისა,
ის დატრიალდება.
(თუმცა საქმე სამი დღისა
ხუთ თვეს გვიანდება).
ანდა, კიდევ, თუ დაგჭირდეთ
სადმე ელექტრონი,
შეკეთება მილების, ან
სახლში ტელეფონი—
თქვენ მიმართეთ „მხოლოდ ერთხელ"
აქ ჩვენს იასონსა,
და იგი კი მისებურად
დაიჭერს ფასონსა.

„ხვლიკი".

# „ბაღდად „ტფილის ელი




ო, ზაფხულის მოგონება... სახლში არვინ არ ჯდებოდა
და გაქურდვა ბინებისა სულადვილად ხერხდებოდა...
მაგრამ ეხლა, როს ქალაქში ჩამობრძანდა ეს ზამთარი—
დაიხურა სულ ფანჯრები... დაიკეტა ყველა კარი.
სახლში სხედან... სადილობენ... სცლიან ღვინით სავსე ბოთლებს
და ფანჯრიდან უცქერიან გაყვითლებულ ხისა ფოთლებს.

ველარ გასჭრის შენი ხერხი, დროს შერჩევა და უნარი,
და შენს წადილს ფულის შოვნის უნდა უთხრა მტკიცე ვარი.

—:—

მაგრამ დუგლას არ გასწირავს ქურდს ზამთრისაგან განაწირსა...
საიდანა სად არ მოვა, როს მალამო დასდოს ჭირსა.

—!—

რიგში სდგანან... ჰშვენის „კუდი" მარმალილოს მაღალ კიბეს...
და უღიმის დუგლას ხტუმრებს, თანაც უცქერს იმათ ჯიბეს.
ხედავს—ბგერ: თვის შეგირდი მოქალაქეს ჯიბეს უცლის
და „ფხიზელი" მოქალაქე ამას ვერ გრძნობს და რიგს უცდის.
უხარია დუგლასს: აქაც რომ მყოლია შეგირდები...
—„ასეთი ხარ ჯერ პატარა! რა იქნები გაიზრდები?!"

სალაროსთან როცა მივა სიხარულით მოქალაქე
და ჯიბეში ფულს მონახავს—ჯიბეშია დუ-იაქე.

# ქურდი“



„ვაშა... ტაში... კარგი იყო... დუგლას ხრის საუცხოვო.,.
„ჩემი თინა უეჭველად დუგლას უნდა მიეათხოვო“...

—:—

კარებს აღებს. და თვალებს კი ის სურათი ეხატება:
როს პრინცესის სასახლიდან დუგლას მარდად გარედ ჰხტება...
რომ გაალო კარი, მაშინ—წინ დაუდგა იგივ სცენა.
„კინოში ვარ მე, თუ სახლში?“,.. ჩაუვარდა შიშით ენა.

და ის ქურდიც დუგლასავით გადაუხტდა ფანჯარაში,
— და მიკვირს, რომ, იმავ სცენას არ დაუკრა აქაც ტაში.

„ვიზინტი“.

„ტარტაროზი“-ს
შემდეგი ნომერი
გამოვა
კვირას, 15 ნოემბერს

ხაშურის

## სამი რამე-რუმე:

1.

ქსენონში საქმე ნაკურთხი
ექიმთა გადმოდინდების.
იქევა ვინმე უსაქმო,
სახელი არ მოგვინდების.

ქალია თანამშრომელი,
იცნობს ხაშურში ყოველი;
კბილის ექიმი ხელობით,
შრომა არ უყვარს ცხოველი.

საათში ასჯერ ამთქნარებს,
ცრემლები გადმოდინდების;
ნაცნობი ვინმე თუ ნახა,
—ბაასი არ მოწყინდების.

ზანტად მუშაობს ასული,
ხელს მუდამ ისაპნებოდის;
მუშა ხაზიდან მოსული
„ხვალ“-ამდი ცდას უნდებოდის.

ასე მირბიან დღეები...
შრომის დროს ქალი ზანტია,
და როცა გარედ გამოვა
არც სხვებზე ნაკლებ „ფრანტია“.

2.

სად დანგრეული პატარა კლუბი
წარმოდგენებსა აწ აღარ უშვებს;
სადაც სახელი: მუშათა კლუბი
ყველაზე ანუგეშებს რკინისგზელ მუშებს;

სადაცა დრამწრეს ურეჟისოროს
კლუბის კარები დაეიწყებია;
სადაც წრის წევრი გალაღებული
რეჟისორობას ჩაჭკიდებია—

— იქ მუშაობის განაცოცხლება
აქამდე არვის გაასხენებია...
ხაშურს რკინის გზის მუშათა კლუბი
კარგა ხანია დავიწყებია.

3.

ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში
ახალ კლუბში ვიქაროდი.
გაკეთებულს რომ ვხედავდი—
ვიცინოდი, ვიხაროდი.

ძილში ვნახე კინც ამბობდა:
— ხაშურელებს შრომა სძულსო;
დაიწყებენ საქმეს, მაგრამ
არ აძლევენ დასასრულსო—

მათ ვეტყოდი: „ყველა სტყუით,
და სირცხვილი იყოს თქვენი—
როცა მალე დასრულდება
კლუბი ჩვენი დამამშვენი“.

გავიღვიძე... ვიდელ, ვნახე:
— შრომა ტყვილად დახარჯულა.
„ბალავერი“ ამოთხრილი
ისევ მიწით გავსებულა.

ქარისაგან მტვრად ქცეულა
კირი იქვე დანაყარი,
ბავშთა გუნდი იქ თამაშობს—
და ვერ არის რკინაც მყარი.

ტარტაროზო. რა დავფიცო!
ტყუილი არ მეკადრება;
დამნაშავეს გავამხელდი
მაგრამ ცოტა მეხათრება.

ხაშურელი შმაილა.

## ამაღლება—ზომლეთი

ტარტაროზ, მინდა გადმოგცე
ვისაც მათრახი სჭირია.
ჩვენი სოფელი—სამება;
მოსახლეობა ხშირია.
გაყოფილია ორადა:
ზემო და ქვემო უბნითა.
ცალ-ცალკე არის ნაქები
თავთავიანთი დუქნითა.

ქვედა დუქნისა ფულები
„ვილაცამ“ „გააიმასქნა“,
და ამის შემდეგ, მიხედებით,
კოოპერატივმა თუ რა ჰქნა.

ზემოსა ჰყავდა ნოქარი
კარგი და გამოცდილია.
აქაურ ინტრიგანებმა
შეასვეს თვისი კბილია.
ცილად დასწამეს დომენტის:
„არშინი გადაჭრილია“.

კრებები იყო ხშირია.
დიდსა ამასა საქმეზე
სულყველაფერში გამართლდა
ცუდი ბრალმდების გმირია—
და გთხოვთ, ტარტაროზ, მბრალმდე-
ბელთ
რომ გაუსწორო ცხვირია.

ეხლა სხვა სოფელს ვეწვევი
ყველასგან ქვითა ქებულსა.
შვიდ-წლედის სასწავლებელით
და სხვებით დამშვენებულსა;
სადაც გამგეა ზაქარო,
პედაგოგობით ცნობილი.
(მასწავლებელი სევერო
ვერ არის მისი ძმობილი).

პირველმა ამან შელობა
სასწავლებელი იგია,
სად სეირნობდენ: ლორები
და ცხვართა მთელი რიგია.

გაღმა გავიდეთ ზომლეთში,
იქაც ვამღეროთ სტვირია.
აქა შენების ნაცვლადა
ქურდობა არის ხშირია.

ნადავლ მასალას ეძებენ,
(სკოლიდან განატაცია)
ვერ ნახულობენ, რადგანა
წამლები „საქმის კაცია“.

ახლოსა არის და ვნახოთ
ამღლება... ალმასკომია,
რომელიც ყველა საქმეში
არის მჰადისა ცომია.

მოვსთხოვეთ: გზების გაყვანა,
ირჩია: ღვინო, ღომია
(ღვინის სმაში და ჭამაში
მართლადაც არის ლომია)

აწ დავილალე, შევჩერდი,
მოვიძვრე გუდა-სტვირია;
გთხოვთ, ტარტაროზო, რომ სტხორცნო
ვისაც ჩანგალი სჭირია.

მოყვინტული.

# სამტრედია



ექიმ ჯაშს და გველესიანს
ამ ჩვენ მუშურ გლეხურ დროში
ხხვა ექიმი ვერ ჯობია
ვენაცვალე ყანყრატოში!

— მაშა თქვენი შეხანდობარს
ვეახლებით მე ამ ჰიქით,
რადგან ხაქეიფო ნახულს,
დაბრუნებულს ორ დღის იქით.

შვებულებას მომანიქებთ
შემოგევლეთ ოთხი დღიხას,
თუმც ვასო-დახმარებიხ
აწ პირს მოხსნის თავის ქისას,

და მეც რაღა, ქეიფში ვარ—
ვფიქრობ და ვცურავ ფულში!
ექიმებო—ა, ამ ჰიქით
გენაცვალეთ ე, მაშ ხულში!



ერთი ექიმი, ერთი არტისტი—
თან რეჟისორი მობენეფისე:
— კორწილში იხე არ გადაკრავენ,
არ ესწრებიან ჯვრისწერას იხე,
რომ დაჩოქილი ღმერთს არ შევედრონ:
— მაშა უფალო, მოგვხედე ჩვენცო

და ჩამოგვზერტყე—მეცნიერების
მტვერი თუ რამი ჩვენ დღემდე გვეცხო-
ალბათ უფალი შეისმენს ლოცვას
(იკურთხოს ძალა იმისი მადლის!)
და ჩვენ რეჟისორს, ურო კი ექიმს
განღვირთვას ტვირთად არ ხამადლი!

## გამართლდა ანდაზა:

პოლონეთში გრაბსკის მთავრობ უ და გადამდგარი-ყო, მაგრამ მეწმევიკებმა ხმის დიდი უმეტესობით მხარი დაუჭირეს.




კამეჩი წ-ვს და იცოხნის თავის ამინდი ჰგონია,
ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი ჰგონია.

## სად. ჯუმათი

**ნიგვზიანის მოზაიკური სურათი**

(მიბაძვა)

რკინის-გზა. ბაქანი. სადგური. კლოზეტი.
ეიშნოეკა. მურაბა. არაყი და ზეთი.
რონოდა. ბოძები. შეშა და შპალები.
სოფიო. მარუსა. მეჭორე ქალები.
სეველა. ლადიკო. მოსე და მიტრადო.
ნიგვზები. პადრები. მსხლები და მიკადო.
ბუტკები. დარბაზი. მიკიტნის დუქნები.
სავაჭრო ბაზრები. გაშლილი უბნები.
პილატე. ნიკიფო და ნიკო ვაჭარი.
კივილი. ჩხიეილი და ტკბილი მაჭარი.
ალმასკომ-გლეხკომი. კლუბი და შვიდწლედი.
პურები. მარნები და ღვინის საწრედი.
ლისიკო. ქსენია. ლიზა. სონიები.
ზამბახი. ვარდები. გვირილა. იები.
ეპო. აფთიაქი. წამალი და ფოსტა.
საფეიქრო პუნქტი და ხერხის ქარხანა.
ჯიპლაძე მიხაკო. ლისაი და ანნა.
ნადიე. მართიკო. ნიკოკო და კაკო.
ფატმანე. ჯეგეში. ამფილო და მაკო.
ურმები. გოდრები და ველოსიპედი.
მაგდანე. ვენერა და ელისაბედი.
კოლია. გაბრიელ და ქრისტაფორა.
მელენტი. მასდარი და ანაფორა.
მიხაკო. სიმონი. პავლე. ილარიონ.
ტელეფონზე გვეძახის!.. ჰკითხეთ: ვინ არიან?
უძირო გოდრებით ტრაბახი, ჭორები.
ბაზარში დასუქდენ აქ „მაშკა“ ლორები.

ია—ე.

## მუხუთი

მსურს ცოტა რამე დავსწერო,
თუმც ჩემთვის გასაჭირია—
მაგრამ თავს ძალას დავატან,
რადგან ძალიან გვჭირია.
სატარტაროზო ამბები
აქ არის მეტადრ-ხშირია;
მაგრამ ამათზე არ სწერენ,
გამაედეს მათი პირია.
რაკი მე ბედმა მარგუნა:
ავარიილინო სტვირია,
— რომ მეათედი დავსწერო
ერთი თვე მაინც მჭირია.

ჯერ მივადგეთ სამკითხველოს,
(მუშკოოპს შემდეგ ჩაეუაროთ)
ალექსანდრე ვინახულოთ,
რაც, რომ გვთხოვოს—მივაყაროთ;
სამკითხველო გადავკეტლოთ,
ხალხი მას არ მივაკაროთ.
გრძელი სიტყვა, მოკლე საქმე
და ასეთი გამგეები
მაზრ-პოლიტ-განს ჩავაბაროთ.

კოოპერატივს ვესტუმროთ,
(გზა არის ერთი ტკაველა).
ნოქარ გიორგის ვეახლოთ,
ჩვენ პატივსა ვსცემთ მას ყველა.
არა აქვს: ნავთი, მარილი—
და ამან ჩვენ გაგვახელა
სამაგიეროდ ბევრი აქვს:
მომპას-ირისი-კრამელა.
კვლავ გავაგრძელოთ ლილინი
ჩვენი მტრებისა ჯინაზე.
ალმასკომს ჩამოვუაროთ,
„ალია“-ს ვნახავთ ბინაზე.
სკოლას აგებენ ორ სართულს
დაწყებულს აგერ-წინაზე
მას ბევრი ლვაწლი მიუძღვის
გით მეთაურსა იმაზე.
მგონი დასრულდეს ამ წელში,
გაცემული გვაქვს ქირაზე.
ხელს ვერ შეგვიშლის აწ მტერი
სულაც, რომ დადგეს ყირაზე.
ეხლა მე ჩემთვის მივდივარ,
მშვიდობით, ჩემო „ალია“.
თემ-საბჭო მალე შეჰკრიბო
ეს არის შენი ვალია;
„შანთი“-ს წერილი გასინჯეთ—
და, ვაი, მისი ბრალია...
ჩვენს საბჭოს ცილის მწამებელს
ვაჩვენოთ სამართალია—
შემდეგისათვის ისწავლოს,
გამოახილოს თვალია.

ყალთაბანდი.

## „ვერმიშელი“

**ქ. ფოთში მომხდარი ამბავი**

ბევრჯერ მინახავს, ტარტაროზ,
მე სამართალი შენია,
აქაც მოდი და მირჩიე,
სამადლო საქმე ჰქენია.

მე სასადილო მინახავს,
ქვეყანა მომირბენია,
— ამგრამ ასეთი, როგორც აქ,
ჩემს დღეში არ შემხვდენია.

აბა, ეს თქვენ თუ გინახავთ:
ფეხებით ვერმიშელია?!
თქვენ, თუ გინახავთ საჭმელში:
მატლი, ნადირი, მელია?!

კუნძულზე „სასადილო“-ში
ვიჯექი დღენი მთელია...
საჭმელი არვის არ მოაქვს,
სინსილა გამომელია.

გულზე მომაწვა ალრევა,
ავილე კერძზე ხელია;
— ვაიმე! ამას რას ვსჭამდი?!
გამოვილლიტე ყელია.

მე მიკიტანსა მოუხმე,
ვაჩვენე მატლი გრძელია—
მაგრამ ის ამბობს: „ძმობილო,
ეს არის ვერმიშელია“.



ისმის რაღაცა რახუნი—
მე კი აქ საჭმელს ველია.
არის სხვებისთვის მზადება...
ჩემთვის არ იძვრის ხელია...

როგორც იქნა „გამოსწირეს“;
მოდის აქეთ, მოაქვს ხარჩო...
(ხორცი არა, ძვლები ბლომად...
ღმერთს ვმადლობ, რომ არ დმახრჩო).

ვფიქრობ:უფრო კარგს სად ვნახავ?
აქ სმა-ჭამა ხომ მადლია?..
მაგრამ, ვნახოთ: შიგ ხარჩოში
არის მწერი და მატლია.

ვუთხარი:—განა გინახავს
შენ სადმე ვერმიშელია,
რომელსაც ჰქონდეს: ფეხები
ანდა თვალები ბრტყელია?!
და შემძულდა იქით გავლა,
აღარა მაქვს იქით თვალი.
მოდი ფოთში, ტარტაროზო,
მოიტანე სამართალი...

აბა, სად და ვის უნახავს
ფეხიანი ვერმიშელი...
ისევ, ჩვენო ტარტაროზო,
მარტო შენ თუ ჩვენ გვიშველი.

გ. არუელი.

# დიდი ჯიხაიში

ტარტაროზ, გთხოვთ ჩვენს გლეხკომში
შეგვიტყო ერთი ამბავი.
შვიდას მანეთის შესახებ
რაღაც ხმა ისმის აქ ავი.

მიტროფან სადღაც გაიქცა...
თუმცა ნესტორი აქ არი.
(„ნასტარშინალი“ კაცია,
მასაც ქე უყვარს ქანქარი).

პრეზიდიუმის წევრია,
მაღლა ასწია ფაფარი.
„მოსე მწერლის“ მსგავს „მანუჩარს“
საფლავზე უთხრა ზღაპარი.

---

აქ სასადილო წითელი
არც ისე მოწყენილია.
მართლაც, რომ ქების ღირსია
ეს მისი გამგე ილია.

ჭუჭყიან ფართუკ აკრულსა
მას მარად ღვინო სწყურია.
ოთხშაბათს დღესასწაულობს,
ამ დღეს ლხინი აქვს „ძმურია“

სტოლიდან სტოლზე გადადის,
მას ყველგან უდევს წილია;
მუდამ დღე „დეფიციტი“ აქვს—
ის მაინც კმაყოფილია.

---

სამკითხველოში შევიდეთ,
იქ აღარ არის ივანე.
აბა, თუ გაუმჯობესდა
ეს განათლების სავანე.

შევედი, აღარ მიამა:
ის ისევ ცოცხალ-მკვდარია.
კვირაში ორჯერ იღება
იმ საწყლის ცალი კარია.

ძველი.

# სამტრედიის სამალიარიო სადგური



# „მგელი და წერო“

(იგავისებური).

ერთხელ მხეცებს ერთმანეთში
ჰქონდათ დიდი ომი...
...მტრები ბევრი ესევოდა,
...და დამარცხდა ლომი.

როცა ლომი წაქცეული
მგელმა დაინახა,—
ჭამის მადა მოემატა
და დაალო ხახა.

მთლად შესჭამა ხორცი-რბილი,
დარჩა მარტო ძვალი;
ბოლოს ძვალსაც შესაჭმელად
გადაავლო თვალი.

დაეძგერა ძვალს მსუნაგი,
გადაყლაპა, მაგრამ—
ერთიც ვნახოთ: ძვალი ყელში
გაეჩხირა მაგრად.

ძვალიც თითქოს გაჯიუტდა:
არც მიდის და მოდის...
რა ჰქნას მგელმა? მხსნელი არს ჩანს...
ვინ მოვა და როდის?



დაინახა მაღლა ცაში
მიფრინავდა წერო.
(წეროებით მდიდარია
ნაზი ტბა: მაჯერო).

ჩიაყვირა: „მეგობარო,
აქეთ ჰქენი თვალი;
„ვიხრჩობი, და ყელიდანა
„ამომიღე ძვალი.

„ვიცი: არა ნაკლები ხარ
„ჩემზე შენ მსუნაგი;
„ნუ დამახრჩობ, მომეშველე,
„დამდე ეს ამაგი,

„და როდესაც შენ ჩემსავით
ეს დღე დაგადგება,—
„ეხლანდელი კარგი საქმე
„მაშინ წაგადგება“

—

წერომ უთხრა: ახი არის;
„რატომ სჭამდი ასე?
„ჩემი კარგი დარიგება
„შენ ვერ დააფასე,—
„მაგრამ ეხლა რა დროს არის
ჩემი საყვედური
„იხრჩობი და ჩემგან ითხოვ
შველას უბედური“

—

და მგლის პირში გაღაუშვა
მან ნისკარტი გრძელი,
რათა ძვალი ამოიღოს
და დაიხსნას მგელი...

მაგრამ მასაც გაეჩხირა;
(ძვალს ბოლო აქვს დიდი)
და ეს ძვალი იმათს შორის
დარჩა, როგორც ხიდი.

—

რაც მოხდება დაგვენახვეებს
ამას მომავალი.
ჩვენ კი ვფიქრობთ: „მოინელებს
მგელს და წეროს ძვალი.

ისელი.



„ტარტაროზი“ და „მუშა“ ოჯახში.




იცოდე „ტარტაროზი"
გაზ. „მუშა"-ს
დამატებაა
გამოიწერეთ გაზეთი

## კოოპერატივის არჩევნები
(ტყიბულში)

ჯან ტარტაროზჯან, სად იყავ მაშინ,
როცა პარასკევს აქ იყო კრება.
(რის კრება, შეეცდი კრება კი არა
კლუბში გამართეს მათ თელელეთობა)
თავმჯდომარე, ხომ ხალხს ვერ აკავებს,
ორთქლი მაჭრისა ღელავს გოგრაში,
გახურდა ხალხი, არ ისმის სიტყვა,
აქეთ ყვირილი, იქით კი ტაში.
„იობა" შეხტა მარდათ სცენაზედ,
„ნიკიფორე" კი ღელავს დარბაზში.
რაკრაკებს ზარი თავმჯდომარისა
(გაგახსენდებათ ომი, განგაში).
ზოგი რას ამბობს, ზოგიც რას ამბობს.
„არ მოგვწონს ლეინო კოოპერატივის".
„ძირს გამგეობა" დასძახის ყველა
და თითქმის ერთხმათ ყველა გაკივის.
„ჩვენ „მიხეილმა" მოგვცა მოგება;
ათასზედ მეტი უთხრათ მადლობა;
„ონისიმეს" კი, ამხანაგებო,
გამოუცხადოთ ჩვენივე ნდობა;
რადგან მარილი მივეცით ნარდათ
და არ ვიცოდით რამდენი იყო;
თუ არა კაცი პატიოსანი
შეიძლებოდა დაკარგულიყო.
„ამბაკომ" ფული დაკარგა, ძმებო,
სულ ჩერვონეცი ათასი ცალი,
არაფერია, გადიხდის შემდეგ,
პირადათ არის ეს მისი ვალი".
ასეთი სიტყვით ატკბობს მსმენელებს
ჩვენი მუშკოპის ძველი გამგენი.
ძნელია ყველა იმის აღწერა
ვით შესძლებს იმას ენა ბაგენი.
ვნახოთ შემდეგში ახალი ხალხი.
ვით განაგებენ მუშკოოპის საქმეს
ვინძლო მიბაძონ ძველ გამგეობას.
ძველ გამოცდილ ხალხს და ჩვენ ძველ ამქრებს.
ჩვენც, ტარტაროზჯან, შემდეგში მუდამ
მოვიწონოთ და მარად შევაქოთ;
თუ ღირსი იქნეს ჩვენც ძმაბიჭურათ,
კვლავ ძველებურად გავაქიქოთ
„ხვლიკი".

მხოლოდ  თვეში







## ტარტაროზი ყოველკვირეული

რაც მოვედი აქ მე
თუმც გაკეთდა საქმე
მრავალი და კარგი:
ბევრს გავაძრეთ სიქა;
ამ ქვეყნისა იქა
გადვისროლეთ ბარგი.
ვინც მიგვაჩნდა მავნეთ
ყველა გავაგავნეთ
აბანოში ვირის.
ვის უყვარდა „არტო"
ეხლა აქ ზის მარტო
და ცრემლებით სტირის...
მაგრამ ეს ქვეყანა
ასე მალე განა
გასწორდება?! არა.
ორკვირეულ ჟურნალს
არ ვუწუნებთ უნარს—
მაგრამ აწ არ კმარა.
სიხარული ყველას
აძლევს ოხს და შველას
და ამხნევებს გულსა,
როცა არის ხშირი,
თანაც: არა ძვირი.
(არ გვთხოვს ბლომად ფულსა)
ტარტაროზის თვალი
მრისხანე და მალი
ზვერავს აწ მალ-მალე...
და შენ საქმე ავი,
ანდა შენი თავი
აბა, აწ დამალე?!

ყოველ კვირას დილით,
მომაქვს უხვად, ბლომად
და თქვენს გასაძლომად
საჩუქარი, ძღვენი.
როს ადგებით ძილით
სტუმარი ვარ თქვენი;

## ...უ გასცინი სხვასაო ...ადაგხდება თავსაო

### ერიოლ პენლევეს

...ა, შენც ხომ იქ წაიტეხე ფეხი და ...ისერი მოიტეხე, სადაც მე? ახია ...ენზე. ვერც მომავალში გამოასწო-...ებ საქმეს, რადგან ჩვენი სახელმ-...იფოს სალაროში თაგვებს დოლი აქვთ გამართული.



# გამოიწერეთ და გაავრცელეთ

თქვენი გაზეთი „მუშა“ თქვენი გაზეთი

## გაზ. „მუშა-“ს აქვს უფასო დამატება

ყოველკვირეული
იუმორისტული ჟურნალი

# „ტარტაროზი“

გაზეთი თვეში ღირს 60 კაპ.

გაზეთ „მუშა“-ს მთავართ კანტორას საქართველოს ყველა მთავარ ქალაქებში და დაბებში აქვს განყოფილებები, რომლებიც ღებულობენ გაზეთზე ხელისმოწერას.

რედაქცია და კანტორა: რუსთაველის პროსპექტი № 24.



საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა. თბილისი, კამოს ქუჩა № 68.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 22 ნოემბერი, 1925 წ.




№ 25 გაზ. „მუშა“-ს ყოველკვირეული უფასო დამატება № 25

დასრულდა ესე ლოკარნო, ვითა სიზმარი ღამისა,—
და ჩვენ „გარეშე შთენილნი“ მოწამენი ვართ ამისა.

— თაყვანს გცემთ... მოგვეც მშვიდობა,—ამას გთხოვთ ყველა ნაცია —.



როცა შეხედეს—იხილეს: სამ თითის კომბინაცია,

# ღმერთის ოჯახში

(ტრაღედია ღმერთის ცხოვრებიდან)

გამოსვლა პირველი

ღმერთი. ჯერ კიდევ არ მოახლოვებულა ჟამი განსაცდელისა, როცა მიწა ცეცხლის ალში გაეხვევა და ყველა ურწმუნონი,—ჯოჯოხეთში ჩაცვივიან.

მარიამი. მარად ასე გაიძახი, მაგრამ ვერ-რას ვხედავ შენ გაკეთებულს.

ღმერთი. მე სულგრძელს მეძახიან და, აბა, როგორ შემფერის—სულმოკლეობა გამოვიჩინო!?

მარიამი. დღეს არავის აღარ სწამს შენი: არც სულგრძელობა და არც სულმოკლეობა, აგრეთვე: არც არსებობა. თუ ვინმეს სადმე კი ჰქონდა ცოტაოდენად შენი რწმენა და სიყვარული,—ისიც კომუნისტებმა ყველას ამოაცალეს გულიდან.

ღმერთი. (გაბრაზებული ხელს დაჰკრავს მაგიდაზე) კომუნისტები?! ისინი დიდხანს ვერ იარსებებენ... დამაცადონ.. დამაცადონ აღელვებული დადის).

მარიამი. რვა წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ასე იმუქრები, მაგრამ შენი სიტყვები ტყუილად წყალის ნაყვაა და სხვა არაფერი. თუ შენი საკუთარი თავმოყვარეობა არაფრად მიგაჩნია,—ჩემი პატიოსნების დაცვა იკისრე?!

ღმერთი. შენ ვინ გკადრებს ცუდ რამეს!?!

მარიამი. მკადრებს—რომელია!.. ის კი არა,—ღამის მეძავე დამიძახონ.. დამცინიან,—თითქოს იესო შენი გაკეთებული არ იყოს. ამბობენ: „იოსე ბუშიაჲ-ო... განა ეს ჩემი შეურაცჰყოფა არ არის?!

ღმერთი. ეს საკითხი მართლაც, რომ მნიშვნელოვანია. მე, მართლაც, ეხლა მომაგონდა იოსეს შესახებ... ჩემი შვილი არის-მეთქი—ვამბობ, და ეს კი არ ვიცი: ვისი გაკეთებულია?

მარიამი, რომ მოხუცდი,—ეხლა დაჰკარგე მეხსიერება, (თავისთვის) ვაი, შენს გამოყეყეჩებულ თავს... როგორ არ გახსოვს მშვენიერი ღამე, როცა ბაღში...

ღმერთი. სისულელე არ წამოროშო, დედა-კაცო, თორემ კომუნისტებს ათასი თვალი და ყური აქვთ;—გაიგებენ—და სულ გაგვითხრიან სამარეს.

მარიამი. ჰოო... ეხლა ხომ მოგაგონდა!? (მივა და ხელს მოჰხვევს) მართალია: ეს თეთრი წვერები მაშინაც გქონდა, მაგრამ: ყველას დიდი შიში და მორიდება ჰქონდა შენი... მთელი ქვეყანა შენ გაქებდა და გადიდებდა. ო, როგორი მშვენიერი ვიყავი მაშინ... ყველა გამვლელ-გამომვლელს ჩემზე რჩებოდა თვალი...

ღმერთი. ოჰ, რა ტკბილი მოგონებაა... ერთი ჩემი



ნუ თუ არ გახსოვს მთვარიან ღამეში ბაღში როძ...

ბრძანება,—და ქვეყანა ფეხზე დადგებოდა. მართლაც მშვენიერი იყავი...

მარიამი. იესო რომ მეყოლა შენგან... ბავში ბოსე-
ში ჩავაწვინე... ჩემი გამზრდელი იოსებიც იქ იყო მაშ-

ღმერთი. ჰო, საწყალი იოსები... როგორ გიველ-
და გზრდიდა... თუმცაღა ამ ოხერ და ურჯულო კომუნ-
ტებმა რაღაც საშინელი ხმებიც კი დაჰყარეს, თით-
ჩვენი შვილი იესო,—იოსების შვილი იყოს, მაგრამ ე-
არ მჯერა... მაშინ მე საკმაოდ ჯეელი ვიყავი და არა
დასუსტებული, როგორც ეხლა.

მარიამი. წყეული იყოს კომუნისტები.

ღმერთი. მე მათ ვაჩვენებ სეირს.

გამოსვლა მეორე

იესო. (შემოდის დაღონებული) როცა ძალა ხელთ გვქ-
და, მაშინ ღმობიერებას ვიჩენდით,—ეხლა კი—გვია-
(ჯდება)

მარიამი. რა იყო, ჩემო ბიჭო? ჩემო შვილო?

იესო. როგორ თუ რა იყო?! ჩვენი სახელი მიწას-თან გაასწორეს!

ღმერთი. არა უშავს... მე მათ ვაჩვენებ ჩემს ძლიერებას.

იესო. როცა ძლიერება არა გაქვს?

ღმერთ. ჩემს უძლურებას,—ვერავინ იტყვის.

იესო. რა ვიცი, რა... დღეს ყველა დაგვცინის, მე ბუშს მიწოდებენ, დედას კი როსკიპს, აბა, როგორ მოვითმონო...

მარიამი. დამშვიდდი, შვილო... მამა შენი არც ისე უძლურია რომ...

იესო. კომუნისტებთან ვერაფერს გახდება.

გამოსვლა მეხამე

მარიამ. (შემოდის ივანე უდაბნოელი) შენც მოხვედი? კარგი გიქნია, სწორედ იმაზე ვლაპარაკობდით, რომ...

ივანე. გამარჯობა თქვენი... (მიესალმებიან ერთმანეთს).

ღმერთი. ივანე, შენ კარგს დროზე მოდი... იცი რა გითხრა: ჩვენ ისევ უნდა შევეუტიოთ კომუნისტებს... ამისათვის საჭიროა, რომ შენ ისევ წახვიდე...

ივანე. არა, ჩემო ძმაო და ბატონო... როცა გამგზავნე, —მაშინაც თავი მომკვეთეს, და ეხლა აღარ მცალია კიდევ თავის მოკვეთის სახლაფორთოდ.

ღმერთი. ბიჭო, რა ღმერთი გიწყრება?! შემდეგ იესოსაც გამოვაგზავნი და...

იესო. უკაცრავად მამაჩემო, მაგრამ მე იქით წამსვლელი არ ვარ. როცა ვიყავი, მაშინ რა ხეირი დამაყარეს: ჯვარზე მაცვეს... ლურსმებით, რომ მიმაჭედეს—ხელები ეხლაც მტკივა.

მარიამი. მე წავიდოდი, მაგრამ...

ღმერთი. (ივანეს და იესოს) სირცხვილი თქვენი... ამ დედაბერის წასვლას—თქვენ რომ წახვიდეთ ის არ სჯობია?

ივანე და იესო. თავი ჯერ არ მოგვბეზრებია. კიდევ წამებას აქ ამნაირი სიცოცხლე სჯობია (თავისთვის) მართლაც თუ რამე ძალა გაქვს, რას უყურებ,—გამოიჩინე;—თუ არა და—რაღას ფაფხურებ?

პ. ობოლი.

# წერილი მამაჩემს

მამაჩემო!

გამარჯობა შენი!

ლობიო, მჭადი და ღვინო კი გექნება, და მეტი რაღა გინდა. შეშაც ადვილი საშოვნია. ეზოში მოსპერი სახლის უკან რომ ბებრუხანა ხეა. (მე უნდა ვიკითხო; აი ჩვენი ალექსანდრე ყოველდღე გვპირდება და გაიძახის: „დღეს-ხვალ", მარა ეს „დღეს-ხვალე" აღარ დაილია და ყოველდღე „დღეს-ხვალე"-ს იძახის)

ჰო-და რა გინდა მეტი.

დაანთე კარგი ცეცხლი, მიუჯექი და ჰამე არხეინად.

შენი ეპისტოლესავით გრძელი წერილი მივიღე, წავიკითხე შენი ლექცია, მივიღე ცნობად, ვითარცა მოხსენება ჩვენი ოჯახის შესახებ; (ეხლა ხომ მოხსენებებს მხოლოდ ცნობად ღებულობენ).

დიდი ჭკუიანი კაცი ხარ. ამაში მე ეჭვი არასოდეს არ შეძლიოდა, და მით უფრო ამ მოხსენების შემდეგ აღარ შემიეა! პროფესორი იქნებოდი, რომ ბაბუა ჩემს შენთვის ცმდენი მაინც ესწავლებინა, რამდენიც შენ შა სწავლე.

შენ იქნებ მისაყვედურო:

— მამაძაღლო, (პირი ხისკენ მიქნია), შენ რატომ არ ხარ პროფესორიო.

მაგრამ, მამაჩემო, შენ ისე მიყვარხარ და ისე გცემ პატივს, რომ: არ მინდა:—„შვილი რომ სჯობდეს მამასა".

მწერ:

— გახსოვს, ზაფხულზე რომ სახლში იყავი, მაშინ გითხარი: გიორგის მმართებს ოცი მანეთი და საჩქაროდ გამომიგზავნე მეთქი—

შე დალოცვილო, გიორგის გასასტუმრებლად სამჯერ გამოგიგზავნე ოც-ოცი მანეთი და რა უყავი?! როგორც სჩანს; შენ ის ფული ან გაფლანგე, ანდა მიითვისე (ეს ხომ დღეს ჩვეულებრივი მოვლენაა.)

არა, ძმაო, მე მეტის გამოგზავნა არ შემიძლია.

ზამთარი უკვე მოვიდა. ტანზე არა მაქვს და ფეხზე. ჩემი ფეხსაცმელებით გავლა აღარ შეიძლება: თითები თაგვებსავით გამოიყურებიან გარედ. შარშანდელი კალოშები მქონდა, და გაწვიმებას ენატრობდი.

ამისრულდა.

გაწვიმდა,—

მაგრამ, ვაი უბედურებას, გარედ სულ ვერ გამოვედი: თურმე თუ პალტო არ გაქვს, ავდარი უარესი ყოფილა წვიმა თავიდან დაწყებული ფეხებამდი ჩადის.

მწერ:

—ბიჭო, მოხუცდი კაცი, ოთხმოცი წლისა ვარ,— და ცხოვრება აწი მინდაო—

კარგი მადა ქქონებია, მამაჩემო.

მე კი ამის ნახევარს რომ ვიცოცხლებდე—მერე სიკვდილს სიცილით შევხვდები, როგორც ეს, მგონი, ჩინელებს აქვთ ჩვეულებად.

შენ „განცხადებას" ოცი მანეთის გამოგზავნას შესახებ, მე ასეთი რეზოლიუცია წავაწერე:

„უარი ეთქვას, ვინაიდან ჩემს ჯიბეში თაგვებს დოლი აქვს გამართული."

ასე რომ შენ შეგიძლია დამშვიდებული იყო და ფულის მიღების ლოდინი არ მქონდეს.

ხომ იცი, ლოდინი როგორ უშლის ადამიანს ნერვებს.

ეს მე ჩემს თავზე გამოვსცადე, როცა თანახმად შენი წერილისა. მე შენგან მაჭარს და ხილეულობას ველოდი (როგორც სჩანს ეს დაპირება ქრთამი იყო, რომ შენთვის ოცი მანეთი გამომეგზავნა.)

მაგრამ ასეთ დაპირებებში და მოტყუილებაში, მამაჩემო, მე ნამდვილი შენი ასლი ვარ; (ამ ერთში ვერ მეტყვი საყვედურს, რომ შენი მსგავსი არ ვიყო.)

შენი შვილი „მოწიფული."



# ქ. სამტრედია

თაკო ჩემო, იცოდე
ბედი არ გიწერია
რა უდროოდ დაგცვივდა
ულვაში და წვერია.
ერთი თვე და მზად არის
ოცდაექვსი წელია.

სევდა, წვა და ნაღველი
შენი თანამგზავრია...
არც ოდესმე, არც ახლა
არ გწყალობს შენ ჯვარია,—
დღესაც ისევ გესევა
შავ ფიქრების ჯარია.

მაგრამ მაინც გაკაედი,
არ დაეცე სულითა
ბრვინ გაკეთებულა
დარდებით და ურვითა
შევაჩვენოთ დუმილი
გმობა, წყევლა, კრულვითა.

—:—

სამტრედიას დავეცეთ,
აქ გვყავს სანახავები;
თუმც სხვაგანაც ბევრია
ყორნები და სვავები,—
მაგრამ სჯობს რომ პირველად
აქ შევკეროთ შავები.

—:—

ეს ქუჩები რასა ჰგავს?!
ან ეს მწვანე ბაზარი?!
მეტის მოთმინებიდან
ისმის ხმები საზარი:
ალმასკომის კარებთან
სჯობს რომ გაჩნდეს ხანძარი.

—:—

წარმოდგენა იდგმება,
არ აქვს: სახე, ფერია
და გგონია: დარბაზში
ათი მონასტერია.
შე საწყალო, ქალაქო,
ბედი არ გიწერია.

საწყალივით დაბოგავს
„აბრეშუმი"-ს ქარხანა.
ვერავერი ჯერ კარგი
ამბავი ვერ გვახარა...
(და კულტ-კომისიამაც
მორცხვად თავი დაჰხარა)

—:—

რასა ფიქრობს არ ვიცი
ეს პალარა სადგური?
აქ იწვის და აქ ტყდება
სიყვარულის აგური—
(სანამ უნდა ვუყუროთ
ასე ენა-დაბმული?!).

**მაგნელი ბზიკი.**

# ლევარსი როხროსაძე

## აქა ამბავი ლევარსის თევზაობისა და ბადეში ძროხისა და ორაგულის მოჰყოლისა

„ლევარსი, ისიც გვიამბე... ძროხა და ორაგულია".

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

თქვენ, ყმაწვილებო, რა იცით: აი აქ, ო, რა გულია?!
თუმც სიჭაბუკის გმირობა ჩემში აწ დაკარგულია,
მაგრამ ცხოვრების ჩემი გზა ჩემიკე მოქარგულია.

ცოლი შემიჩნდა ხარებას: ლევარსი ადრე ადეო..
იცოდე: მოვა სტუმრები: დიაკონი და მნათეო.
გადაიდევი მხარზედა შენ შენი დიდი ბადეო...
სათევზაოთო წადიო, თან საიყვანე მათეო.

წავედი; სხვა გზა არ იყო (დედაკაცი ხომ ავია)
თუმც ვითევზავე მე დიდხანს,—ვერ დავიჭირე ღლავია,
ვერცა კალმახი, ვერც წვერა, ვერც ლორჯო ერთი თავია...
ვამბობდი: ყველა თევზები დასახრჩობ-მოსაკლავია.

ძროხა სდგას ტბაში ხიდის ქვეშ, სადაც მოლი და ბალახია.
(რომ იგიც მოჰყვეს ბადეში. მასზე არ არის ახია??)
თევზების ჩასაწყობადა მოვიძრე ჩაბალახია
და ბადე გადავისროლე, ვქხსენე მე ალახია.



მოვსწიე... ვხედავ ბადეში ძროხა და ორაგულია.
ამოვათრიე ნაპირზე, ძროხაზე მომდის გულია
თევზი მხრებზედა გავიდე, შინ მოველ მხიარულია...

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ჰა, აგერ მღვდელიც მოვიდა... ეტყობა გადაკრულია.

## აქა ამბავი ქორწილში ლევარსის თოლუმბაშო-ბისა

იქნებ მკითხველმა იფიქროს: „ტყუილს სწერს აქ ავტორია.
„თვით შეთხზა ბოროტ განზრახვით ლევირსის ეს ისტორია.
„რაცა გვიამბო ლევარსზე ალბად სუყველა ჭორია!?
„არ გვჯერა—კაცი რომ იყოს ჩვენს დროში დევის სწორია".

მაგრამ შეცდება მკითხველი... არ დაგვდოს მან ეს ბრალია.
ჩემთა ნათხრობთა შესახებ მოწამე მყავს მრავალია.
ვისმინე, (ყური არ ყრუის), ვნახე (ბრმა არ მაქვს თვალია).
ნახულ-გაგონილ ამბავთა თხრობა ხომ ჩემი ვალია?!

სიტყვა სიტყვითი მის სიტყვებს ავკინძავ როგორც მძივია.
(ასეთ დროს ჩემი სინდისი მიუდგომი და ცივია).
აღწერილია ამბავი... ინახავს მას არქივია.
აქ ჩვენ მას ვამბობთ, რაც არის უბრალო და მარტივია.

—:—

გურიაში ეხლაც არის ეს წესი და ეს ადათი:
როცა ვაჟსა ქალი მოჰყავს,—მაშინ ჰმართებს მარიფათი.
უნდა დაჰკლას ხარ-კამეჩი, და ქათმები სამი ათი,
—რათა დარჩეს შემდეგ მაზე ხალხში ბჭობა, მასლაათი:

„რა ქორწილი გადიხადა!.. ოჰ-ხო-ხო-ხო... რა ქორწილი!!!
„თუმც სტუმრები ბევრი ჰყავდა,—ხარჯი ჰქონდა მას ორწილი.
„მთელი ღამე გაათენეს... დაეკარგა თვალებს ძილი...
„და ჩვენ ჯერ არ შეგვხვდენია ქეიფობა ასე ტკბილი.“

—

ასეთია ჩვეულება, ასეთია ადათ-წესი.
(ჩვენ ვიცით, რომ: ჩვეულება არის რჯულზე უმტკიცესი).
ვინ არ ძლება მაშინ, ვინ არ?.. დიაკონი და ხუცესი,
(ესენი ხომ მას იმკიან, რაც არა იქვთ დანათესი).

—

...და ლევარსის ერთს მეზობელს (ჯაბას) ჰქონდა ქორწინება...
ლხინის გამგე ლევარსია... დარბის... თავობს... იგინება.
(ბოდიშს ვიხდი ლევარსისთან—ამის თქმა ნუ ეწყინება;
ასეთ დიდი საქმის დროსა სუყველას აქვს ამის ნება).

—

მასპინძელმა განაცხადა: „ავირჩიოთ ტოლუმბაში,
„რომელიც, რომ უნდა სჯობდეს აქ ყველასა ღვინის სმაში...
„თანაც, თუ კი, ჩხუბი მოხდა,—მას შეეძლოს გარტყმა ყბაში...
„ასეთი ხომ ლევარსია,—დაუკარით ყველამ ტაში“.

რის მიტინგი! რა მიტინგი, ანდა კარგი მოხსენება!!!
რა ყურს ესმა ლევარსისა მოგონება და ხსენება—
ყველამ დაჰკრა ერთხმად ტაში ენება თუ არ ენება...
—და ლევარსის თანხმობაზე ხელს მიეცა მოსვენება.

ჰო-და აწ კი თვით ლევარსი გვეტყვის ამბის დასასრულსა...
—ამირჩიეს ტოლუმბაშათ; (არ უნდოდა თუმცა გულსა).
წამოვდექი ყანწით ხელში... ვხედავ ყველგან თვალებს მტრულსა...
ჩემებურად შემოვძახე: „მასპინძელსა მხიარულსა“.

სხვებისათვის არაყია, ჩემთვის ღვინო არის წყალი.
მივაყოლე ყანწი ყანწსა, ბაკალს ყანწი, ყანწს ბაკალი.
რას მეყოფა... მე მწყურია; ღვინოს ითხოვს ყელი მშრალი.
გავიხედე,—ჩემის გარდა ყველა არის მაგრად მთვრალი.

და ვუთხარი:—შერცხვეს ყველგან მოქეიფე თქვენისთანა.
ბალღები ხართ... კიდევ გინდათ აკვანი და დედის ნანა—
ავდექი და ამოვიღე სავსე ქვევრი მიწიდანა;—
დავამღერე: ვინც სჭამს, ვინც სვამს მისი არის ეს ქვეყანა.



წამოვიგდე პირზე ქვევრი... (ღვინო იყო ოცი ფუთი)
გამოვცალე ისე ჩქარა—არ გასულა ერთი წუთი...
(გამოვცლიდი, თუ გინდ კიდევ ყოფილიყო ქვევრი ხუთი)
ეს ვიყავი მე თქვენსობას... თქვენ ქალსავით ხართ სათუთი...

ზმუკი.

## „ყლუნწა“

შაბათი დილა გათენდა
რა ავი დარი დგებაო.
ნაღდი ორასი მანეთი
საყლუნწად ემზადებაო.

ავანსის განცხადებები
მიუდის კასიანსაო.
ისიც ხელს აწერს: მიეცეს.
ძლევენ ასიანსაო.

ცხომელიძეს და ჩიჩუას
სისხლი ყელს მოადგებაო.
— რა დაგემართა, ბიჭო, ეს?
ძმდენი როგორ დგებაო?!

გაჰკრეს, გამოჰკრეს ჩოთქებსა
„იტოგში“ ვალი რჩებაო.
ავანსებს დაგვიკავებენ
და ჩიჩი ჩვენ დაგვრჩებაო.

ზის ცხომელიძე და ფიქრობს
მარტოკა მთელი ღამეო:
— მოანგარიშედ გადავალ,
იქნებ გავაწყო რამეო.

—ი შ—

## ოკრიბა

ჩვენო სარდალო, ოკრიბა
 არ დაგრჩეს უნახავია.
შავი მელები გამრავლდენ,
უნდა გავაძროთ ტყავია.

ჯერ ხომ ხუცებმა წაიღეს
რაც იყო გასახრავია.
ეხლა კი ჩარჩმა, ვაჭარმა
ბლომად იჩინა თავია.

ვფიცავარ,—თავს არ დამეცეს
რისხვა მე შენი მეხისა...
სულ ჩალის ფასად წაიღეს
ნაწარმოები გლეხისა.

—

მევახშეებიც გამრავლდენ,
ჩავცვინდით იმათ ხელშია,
თუმანზე თუმანს თხოულობს
სარგებელს ყველა თვეშია.

—

მღვდლების ამბავსაც იკითხავ.
სურათსა ვხედავ მწარესა;
(ამათი. საცოდაობა
მეც ტანში მაზანზარებსა).

გამწარებულნი ურტყამენ
ეკლესიებზე ზარებსა,
მაგრამ იქ მისვლას გლეხები
ნაკლებად იზიარებსა.

მარჩიელობა დაიწყეს:—
ძველი დრო დაგვიდგებაო.
წიგნი ანდრიას სალოსის
სულ მოლე აგვიხდებაო.

ჭოლოკა

# „მაშხუხე"-ს საზოგადოება

გამოჩინებულის თემის სოფ. აბაშიდან მუშკორი „პირცეცხლი" დენალევლიანებული გვწერს:

„დღეს მოდუნებულ სოფელს მარტო ის :ხარებს, რომ ლოთების გასართობად ღიათ ხედ:ვს დუქნის კარებს პიქებს აღარ კადრულობენ, და ყანწებზე გადავიდენ"!

პატივსაცემათ აბაშელი „მაშხუხეებისა", ტარტაროზი უგზავნი მათ ამ ჰიმნს:



ხნრაფია ვით ტალღა ჩვენი ცხოვრება,
ხოფელში ულვინოთ არ გვეცხოვრება!
მაშ ხუხე, ძმობილო, სულ გამოცალე;
ვინ უწყის ფხიზელი ვერც ადგეთ ხვალე!
მოვკვდებით დაგვმარხვენ ცივ ხამარეში,
ერთ ბოთლსაც ვერ დავლევთ ჩვენ მერე დღეში,
მაშ ხუხე, მოასწარ—ყანწი გაქვს ხელში
ღვინო წითელი გადუშვი ყელში!

# ორპირი

(მესტვირული)

მესტვირეობა დავიწყე—
ან კი რა გასაკვირია?!
ისა სჯობს, გუდა გავბერო,
მოვმართო ჩემი სტვირია!

გარწმუნებთ—ერთი მესტვირე,
რომ მარტო ამ თემს სპირია;
თუმცა კი—მთელი ამბების
მოყოლა გასაჭირია.

მოღვაწეები გამოჩნდენ,
მსჯელობენ ორი კვირეა;
ორათ გავყოთო ეს თემი.
(რადგან სუსტი და მწირეა!)
და მაშინ ყველა კულტურულ
საქმეებს ჩავკლავეთ ხელათო.
ამით ჩვენს შავს და ბნელ მიზნებს
მივაღწევთ უეჭველათო!

თუმცა სამაზრო აღმასკომს
ვერ მოვატყუებთ ჩვენაო,
მაგრამ კოტემ, რომ პრესაში
გააგდო გრძელი ენაო.
ამითი იქნებ მოსტყუვდეს
ცენტრი, გვიღირსოს შველაო.
აბა, არიქა, გამოდით!
და დავფაცურდეთ ყველაო!

ყანწებით აღლეგრძელებდენ—
ვისაც ეს საქმე სურდესო!
მაგრამ—ვაი თუ გლეხები
ახტენ და აფხაკურდესო.

კანცელარიის შენობა
ხან იქ და ხან აქ ათრიო.
არც კი იზამენ გლეხები,
მაგრამ არა გვაქვს ხათრიო.

ამ საქმის ინიციატორს,
თბილისში მცხოვრებ კოტესა,
ვილაცა ქიშპში ჩამხრჩვალი
ატყვილებს, აბოროტებსა.

გლეხები უკმაყოფილოთ
აკრიჭინებენ კბილებსა.
ამათი შეხედულება
მხეცსაც კი არ მოარბილებსა,
— სიცხე ხომ არვის უჭირებს?
შუბლი, რომ გაიგრილოსო!
ანთება თუ აქვს ვინცხაა,
ველარ იშოვნის ტილოსო?!
ასე ამბობენ გლეხები:
— რა გვაქვს ჩვენ გასაყოფიო?!
ვისაც გაყოფა უნდოდეს,
თავზე დაესხას ლაფიო.

მაგი კი არა, რა არის
თემში ეს ორი „ემო"-ო!?
რა მოხელეა მითხარით,
ერთი გასინჯეთ გემოო!

მართალს ამბობენ: არც ერთი
„ემო" არ არის საქები.
თუ ვინმემ არ იგულისხმა—
„შენ ჩემობა" და ბაქები!

ორივესა აქვს თავთავის
განყოფილების დუქნები:
—შიგ საქონელი ძაან მელე,
ვირთხები—ძლიერ სუქნები!

გლეხები ამბობს:—ვერ არის
ეს კარგი მეთაობაო!
ჩვენ ერთი „ემო" გვეყოფა
და ერთიც გამგეობაო!

აქ ორი წამოქაჩულა,
ხომ არ მოცლიათ ამათო!
ერთი იკმარებს ორპირში,
მაგრამ საქმეა შავათო.

ქინიანები რომ მოვსპოთ,
ახანგვლა უნდა ამათო
და, ტარტაროზო—ამოსცხე
შენი ჩანგალი მაგრათო!

მერკუველი.


# ვიცოცხლებთ და ვიქნებით

კიდევ ერთი მწარე მუჯლუგუნი სიკვდილს.
კიდევ ერთი ტკბილი ამბორი სიცოცხლეს.
შორს ჩვენგან ამიერიდან: დარდი, მწუხარება, უიმედობა.
ბედნიერება მომავალშია,
მაგრამ, რად გინდათ, თუ კი მომავლის მოსვლამდე აიბარგეთ ამ ქვეყნიდან!

# გული ნუ გაგიტყდებათ

თქვენ შეგიძლიათ კიდევ განაგრძოთ ამ ქვეყნად არსებობა და უცქიროთ: მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს, ელექტრონს, ერთმანეთს და ყველას

# უებარი წამალი

ინგლისელმა ექიმმა—სიუორდმა დაამტკიცა, რომ ავადმყოფისათვის საჭიროა არა მიქსტურა და ქათმის ბულიონი, არამედ

„მიეცით ავადმყოფს წასაკითხავად იუმორისტული ჟურნალი კარიკატურით—და ყოველგვარი ავადმყოფობა განიკურნება"

## საქართველოში მხოლოდ ერთად-ერთი ეს უებარი წამალი ,,ტარტაროზი‘‘-ა

# გარანტიას ვიძლევით

### აქვე ვათავსებთ განკურნების ნიმუშის სურათებს.



1,—არ მორჩება ავათმყოფი,
ალარ არის აწ იმედი.
შეურიგდი ბედისწერას,—
ეს ყოფილა თქვენი ბედი.

ამაოა ყოველგვარი
კარგი მოვლა და წამალი.
აწი აღარ დაბრუნდება
იმ ქვეყნისკენ მიმავალი—



2. მაგრამ ჩვენ კაცს არ გავწირავთ
ექიმისგან განაწირსა.
გამოუწერთ ,,ტარტაროზსა‘‘
იაფსა და არა ძვირსა.

ეს წამალი ასეთია:
,,მუშა‘‘ ერთხელ ყოველ დღეში.
,,ტარტაროზი‘‘ ყოველ კვირას
(და ოთხჯერ კი ყოველ თვეში).

ვინც მიიღებთ განუწყვეტლივ
(რა თქმა უნდა ფასს გადახდით)
თუ გინდ იყოთ ღრმა მოხუცი,
როგორც ყმაწვილს ისე გაგხდით.



3. ,,მუშა‘‘-ს მოჰყვა ,,ტარტაროზი‘‘,
ავათმყოფსა მისცეს ხელში...
ავათმყოფმა მოიკეთა,
გაიმართა წამსვე წელში.

სიცოცხლესთან შემაერთი
ბლარ გაწყდა ყოფის ხიმი...
სადღაც გაჰქრენ ტკივილები,
და გაეკრა სახეს ღიმი.



4. გავიდა თვე ერთი... ხუთი...
შვიდი... ცხრა და წელიწადი.
განიკურნა ავათმყოფი,
საჭიდაოთ მასთან გადი.

მწუხარება, სევდა, დარდი
სადღაც შორს-შორს გადიკარგა,
— და ცხოვრება ახალ-ახალ
იმედებით მოიქარგა.

# „კბილები“

— გაუფრთხილდით კბილებს. კბილი ადამიანის ჯანმრთელობის თავდებია—

— „უკბილოდ მაგარი საჭმელი არ იჭმევის, ვერცა თუ ძვალი გაიტეხების... ოდეს კბილი გამოგეხრუება, მყისვე უნდა დაიპლომბო, თუ დაპლომბვა არ მოხერხდა— ამოიღება გაზითაო“—ამბობდა სოლომონ ზურგიელიძე.

— „თვალი თვალის წილ და კბილი კბილის წილ“— ესე იგი: თუ ვინმემ კბილები ჩაგამტვრია, შენც უნდა სამაგიერო მიუძღოო.

ყოველდღიურ საუბრისა და მუსაიფის დროსაც ხრად გაიგონებთ:

— რას დაგიკრეჭია კბილები!

— კბილი დამალე, ძაღლი ძვალს ეძებს!

— ისეთი ედრუზე, რომ კბილები ჩაეაყრევინეო!

ამ უკანასკნელს ყოველდღე ათასჯერ გაიგონებს თვითეული მოქალაქე, თბილისის ზოგიერთ ქუჩებში.

და ბოლოს გაზეთებშიაც ხშირად წაიკითხავთ:

— კბილის საექიმო რაზმების მუშაობა!

მოძრავი რაზმები პროვინციაში! ერთი წლის განმავლობაში გაკეთებულია ამდენი და ამდენი ათასი კბილი! მეტი ყურადღება სოფლის კბილებს! კბილი სოფლისაკენ! და სხვა.

ყველა ამ ამბების შემდეგ, ყარაიაზის ბამბის საწმენდ ქარხანაში გადამუშავებულ ბამბით უნდა ქონდეს კაცს ყურები გამოტანილი, რომ არაფერი შეისმინოს და კბილებს, საკუთარ კბილებს ყურადღება არ მიაქციოს.

შეიძლება ყოველივე ამას „უდაბნოსა შინა ღაღადიეით“ ჩაევლო ჩემთვისაც, რომ ერთ მშვენიერ თუ მახინჯ დღეს კბილი არ ამტკენოდა და ჩემი ყურადღება არ მიექცია.

თბილისში ფეხი, რომ რამეზე წაიკრა, ხშირად კბილის ექიმი აღმოჩნდება ხოლმე, ისე ბლომად არიან ის დალოცვილები, მაგრამ ისინი უფულოდ არავის სწამლობენ. ეს გასაგებიცაა; ისინი კერძო ექიმები არიან, მაგრამ მე, როგორც დაზღვეულს სადარდო არაფერი მქონდა ავდექი და ერთ-ერთ ჩვენი კბილის ამბულატორიის კარებს მივადექი.

ეს ამბულატორია, როგორც სხვა სამკურნალო დაწესებულება, დაზღვეულებს სრულებით უფასოთ სწამლობს.

საღამოს 5 საათი იქნებოდა, დერეფანში ავედი, სადაც კარგა ბლომად მოეყარათ თავი ავადმყოფებს. ზოგს ყბა ახვეული ჰქონდა, ზოგს პირზე ხელი მოეჭირებინა, ზოგი ოხრავდა და ზოგიც უდარდელად ლაზღანდა-

აქ იყვნენ უკბილოებიც, კბილებ ჩამტვრეულებიც. კბილის ტკივილით აცრემლებულნიც და უმუშევრებიც, რომელთაც უსაქმობის გამო კბილის წამლობა დაეწყოთ.

დერეფანში საკმაო სინათლე იყო. ელექტრონის „ლამპოჩკაც“ ანათებდა. მისაღებ ანუ მოსაცდელ ოთახში კი სრული სიბნელე გამეფებულიყო; ამბულატორიის ადმინისტრაციას რაღაცნაირი მოსაზრებით არ ეცნო საჭიროდ მისაღებ ოთახის განათება.

— სად შეიძლება ჩაწერა?—ვიკითხე.

— აი, აქ—ყრუდ გამომძახა კუთხეში პატარა მაგიდასთან მოკუნტულმა ქალმა.

— კბილი მტკივა და ამოღება მინდა, ჩამწერეთ და შემიშვით თუ შეიძლება.

— ჩაწერით ჩაგწერთ, მაგრამ თქვენი რიგი დღეს არ იქნება—მიპასუხა და წიგნაკი გამომიწოდა--12. დღის შემდეგ საღამოს 5 ს. 15 წუთზე მობრძანდით.—

კინაღამ გული წამივიდა.

— 12 დღის შემდეგ... შემდეგ... შემდეგ... კბილი მტკივა... ამომიღეთ თუ შეიძლება... შეიბრალეთ ჩემი ცოლშვილი—აელუღლუღდი.

— სამწუხაროდ, მეტი არაფერი ეწყობა. ალბათ პირველად მოდიხართ აქ, რომ ასე გიკვირთ—მიპასუხა ქალმა და ჩასაწერი დავთარი დახურა--ყოველშემთხვევაში მოიცადეთ; იქნება ვინმემ რიგი გამოსტოვოს და მიგიღებთ—

— დაევჯექი. რაც დრო გადიოდა, ტკივილიცა და მოუთმენლობაც უფრო მემატებოდა.

— ჰმ!---ნახევრად ნაღვლიანად, ნახევრად დაცინვის კილოთი შემომხედა გვერდით მჯდომარე ყბა ახვეულმა.— მეთოთხმეტე დღეა დავდივარ, ვუცდი, იქნება ვინმეს რიგი გამორჩეს და მომეშველონ მეთქი, მაგრამ ამაოდ. თქვენ კი პირდაპირ ჯოჯოხეთიდან სამოთხეში აპირებთ შესვლას?!

პასუხი არ გამიცია, სალაპარაკო თავი აღარ მქონდა ერთი-ორი საათი ვუცადე და საშველი, რომ აღარ დაადგა, წამოსასვლელად მოვემზადე.

— აფთიაქში შეუხვიეთ, იქნება დასაშუშებელი წამალი მოგცენ—ნიშის მოგებით მომაძახა კიბეზე ჩამოსვლის დროს ყბა ახვეულმა—აფთიაქში უფრო მოგეშველებიან ვიდრე აქ—

— ესეც რომ მე დამცინის ოთხი დღეა კბილის ამოღება ვერ მოუხერხებია და ჩემზე სალაყბოთ მოიცალა!— გავიფიქრე გაბრაზებულმა, მაგრამ აფთიაქისაკენ მაინც გავუხვიე.

მეთორმეტე დღეს ისევ ვეწვიე ამბულატორიას.

რეგისტრატორმა ქალმა იმედიანად გამიღიმა. სული ცოდვილი, მართლაც 5 საათ 15 წ. მიმიღეს.

ექიმმა დაწვრილებით დაათვალიერა ჩემი ყბები და... მათზე ამოსული კბილები.

— საჭიროა სერიოზული წამლობა,—სთქვა მან,— თქვენ უნდა ამოიღოთ სამი კბილი და გაიკეთოთ 6 პლომბი. ამას გარდა, საჭიროა იმ შვიდიოდე კბილის ჩადგმა, რომლებიც გაკლიათ; კბილის ჩადგმა ჩვენ არ გვევალება, პლომბს კი გაგიკეთებთ—

როგორც განაჩენს, ისე ვისმენდი ექიმის სიტყვებს; გამოანგარიშება შევძელ—მისი ანგარიშით მესაჭიროებოდა თექვსმეტი კბილის ამოღებ-ჩადგმა შეკეთება.

— მაშასადამე, კბილები თითქმის აღარ მქონია—ჩავიჩიფჩიფე ულონოთ და სავარძელში ჩავიკეცე. ექიმმა დრო იხელთა და იქავე ამომაძრო ორი კბილი. შემდეგ შეუდგა დაზიანებულ კბილის შეკეთებას.

— მზად არის, სთქვა მან ბოლოს, 8 დღის შემდეგ მობრძანდით.

— თქვენის აზრით, რამდენჯერ მოსვლა დამჭირდება თითო კბილისათვის? — შევეკითხე არაქათ გამოლეულმა.

— თითო პლომბს მოუნდება საშუალოდ 4 ჯერ მოსვლა. 6×4=24 მოსვლა. 8 დღეში, რომ ერთხელ მიგიღოთ, (თუ მიგიღეთ) 6 პლომბისათვის საჭირო იქნება იაროთ 192 დღეს, ანუ 6 თვის და ერთ ნახევარ კვირის, ანუ ნახევარ წლის და 12 დღის განმავლობაში ყოველ 8 დღეში ერთხელ. 7 კბილის ჩასადგმელათ კი მოგინდებათ ორას სამოც და...

მე უკვე აღარაფერი მესმოდა. ქუდს ხელი დავავლე და გარედ გამოვარდი. გზაზე მოვრბოდი და თან მომდევდა: ერთი კბილის ექიმი, ერთი რეგისტრატორი, ორი ახლად ამოღებული კბილი, ერთი ამოსაღები, 6 დასაპლომბი, 7 ჩასადგმელი კბილი და ამით მოსაწესრიგებლად საჭირო რამოდენიმე მწკრივად ჩარაზმული ციფრი, რომლებიც იყვნენ დღეების რიცხვის გამომხატველი...

ის დღე იყო და ის. ჯაჭვით თუ მიმათრევენ იმ ამბულატორიასთან არ ვიცი და ჩემის ნებით კი იქ ფეხის დამდგმელი არა ვარ. დაე, რაც უნდათ ის ილაპარაკონ, ისტორიამაც ზურგი შეაქციოს ჩემ კბილებს, მე მათ ამბულატორიაში არ წავიყვან.

ასეთი აზრი მაქვს: მოლარეთ უნდა დავდგე; ან სხვა შემოსავლიან საქმეს მოვსძებნი, ფულს ბლომად ვიშოვნი ოქროს კბილებს ჩავისვამ და შემდეგ, თუ სურთ გაფლანგვაც დამწამონ, ციხეშიც ჩამსვან; არა მიშავს რა. კბილებიც გაკეთებული მექნება და ამბულატორიასაც გადავურჩები.

ტერსიტი.

# ზოგი ჩვენი „ხაზაინსტვენიკის" გადამდები სნეულებანი



# სხვა და სხვა სხდომები



საღამო სხდომა



ღამის სხდომა



პარიტეტული სხდომა



დახურლი სხდომა

## შარადა

შარადა—
ნომერ მეორე!
ეს მართლაც
მეტის-მეტია!
თუმცა...
კარები მუზისთვის
ჯერ ჩვენ
არ დაგვიკეტია.
მაგრამ...
აწ რაღას შევეხო?
მოდი, დღეს
რაკი რთველია—
ვნახოთ საგანი,
რომელიც
ჩვენ ბევრჯერ
მიგვირთმევია!
ყურძნის წვენისგან
კეთდება—
თქვენ დამერწმუნეთ
იმაში—
მეს მოლოდინში
ბავშვებსაც
გააქვთ ხტომა და
თამაში
ცოტას, რომ
წამოადუღებ
კბილს უთავაზებ
პატარას
და შემდეგ
ტკბილათ მიირთმევ—
შენ როგორ ფიქრობ:
აბა რას?
ბავშვებს მის სიტკბო
ხომ ხიბლავს,
მოხუცთათვისაც
ტკბილია,
რადგან შესანსლას
იმისას
არ უნდა მოგრძო
კბილია.
ყელში—
სიამით გადადის,
ყლურპ—
და გადვიდა ხახაში!
ჯილდოს
თქვენ თითონ მიბოძებთ
მის მორთმევა და
ნახვაში!
ამ საგანს—
გემოს არ ვართმევთ,
ვეხებით—
მხოლოდ სახელსა,
წინ—ოთხი
ასო მოეპაროთ
ქურდობას
თუ არ ამხელსა!
შუანა სამი—
დავტოვოთ,
ერთიც—
მოეწყვიტოთ ბოლოსა,
პირველ ოთხ ასოს

## „გრუზგოსტორგი"-ს № 5 მაღაზია



— რატომ არ ჩაქრობთ ელექტრონს? რა საჭიროა დღითი მისი სინათლე?

— ელექტრონის შუქზე უფრო ლამაზი და მშვენიერი ვარ.

— ეს ახანთები რაღაა?

— ხურდის მაგივრად ვაძლევ მუშტრებს და დღიურად პროექტორის ფული მრჩება.

---

მივაბათ,
რომ—
წყალმა გაიყოლოსა!
ამ საქმეს—
რაკი გადაერჩით,
აწი—
დაუყვეთ ქვემოთა,
ენახოთ ქალაქი,
რომელმაც
მიწისძვრა ნახა
გემოთა.
იქ ციხე—
ათას წლებს ითვლის,
მიწისძვრა—
მცირე ხანასა,
და არ შეადგენს
მის ნახვა
ჩვენთვის
დიდ ამოცანასა.
ქართლის—
სამაზრო ცენტრია,
განთქმული:
—თავის ატმებით,
უსწორმასწორო
ქუჩებით
და—
უგემური ქათმებით!
დაზარალებულს—
მიწისძვრით
ჩვენ—
ნუღარ მივსცემთ ნებასა,
წინ ასოს მოვგლეჯთ
მის სახელს
თუ—
მოგვცემს ამის ნებასა.
ეს ასო—
მტკვარს გავატანოთ—
(გვერდზე, რომ უვლის
ქალაქსა!)
დანარჩენი კი—
საპარსათ
აღარ მოითხოვს
დალაქსა.
დავტოვოთ,
პირველ სამ ასოს
მივგვაროთ—
ნელა, მშვიდათა,
ანბანის ასო
მეათე
წინ მივსცეთ
გზათ და ხიდათა.
აწ—
ექვსი ასო გვექნება,
მეშვიდეც—
შუა ხიდია,
სუყველა ერთად—

ჩემ მტერსაც
ზურგზე ნუ
აუკიდია!
სახელი არის
იმისი,
ვინც—
ყველას აკრავს ენაზე,
მექრთამე—
გარბის იმისგან
წუთში—
ათ გადარბენაზე!

ბიუროკრატი,
მელანგავი
ან საბოტაჟის
მწეველი,
საბჭოთა
ხელისუფლების
მტერი და
ფარისეველი
დღეს—
ცახცახებენ იმის წინ,
თრთიან—
ვით ვერხვის ფოთლები,
ლოთებსაც—
ღვინის მაგიერ
შხამით ევსებათ
ბოთლები.
სდევნიან,
აიწრიალებენ,
ის კი—
იშლება ვარდათა
და—
ბოროტებას ყველასას
წინ —
გიშლისთ ფიანდაზათა!
მას—
ზარბაზანი არ უნდა,
საკმაო—
კალმის წვერია
და—
ნაჯახითაც ვერ წაშლით
რაც—
იმ წვერს დაუწერია!

დიდდება—
მათი რაზმები,
მცირდება—
მტერთა კადრები,
მათ საქმეს—
ყველგან მზე დასდევს,
მტრებისას—
მუდამ ავდრები!

—ია.

# მიზეზი



— ნუ თუ ტყავის ასეთი პატარა ნაჭერი ამდენი ღირს?!

— ვერრა ხედავთ, რომ: დიდსა და პატარას, საქმიანს და უსაქმოს ყველას პორტფელი უჭირავს ხელში!?. ამიტომაც არის, რომ ტყავი ასე გაძვირდა.

# ცოდვილი სული, ცოდვილ ქალაქში

(სპეც-კორესპონდენტისაგან.)

ძლივს 21-ში ჯამაგირები მოვიდა. მერე, მე-რა! რა უნდა მიხაროდეს: აგვისტოს ჯამაგირი სექტემბერში ძლივს მომცეს, ისიც ვალად მიმაწერეს და მეორე თვეში გამომიქვითეს. სანამდი არ აემყრალდი „ქუთაისის" ქუჩასავით, მანამ გზა არ მასწავლეს; მერე მითხრეს თბილისში წადი „კრიანხში".

ავილე შვებულება, ვისესხე 5 მან., მიველი „კრიანხში" იქ მითხრენ:-„რალაცა" რეესტრები მეიტანე, თორემ ისე ვერ მოვნახაო." ვის ვეტაკო?... არა, ისევ ქუთაისში..

**მატარებელში**

დიდი ვაი- ვაგლახით შევძვერი რონოდაში. დასაჯდომზე წვანან. დასაწოლზე ჯდანან, სრული თავისუფლებაა! თამბაქოს ბოლი, ფეხის სუნი, ისეთ ხურნელებას ჰგვრის ადამიანის ყნოსვას, რომ ძალა უნებურად მეკარგება ძილის მადა. ზედმეტია შრომა ადგილის ძებნაში. მეც ბედს დავმორჩილდი და ჩემი ცოდვილ სულით კედელზე მიყრდნობილს, დროგის ცხენსავით ფეხზე ჩამომეძინა.

**რიონის ხადგურში**

— საიდან, ამხანაგო?

— თბილისიდან, ჯამაგირების საქმე მაქვს აწეწილი.

— ჩვენი საქმეც მასეა! რიონის მოსამსახურეებს ისე აგვიწეწა სად. უფროსმა ჩხეიძემ საქმე, რომ ეშმაკიც ვერ გამოასწორებს.

— როგორ?

ავადმყოფობის მაუწყებელი არ გადაუგზავნია დამხლ. სალაროსათვის, სალაროს თავჯდომარე ჩხეიძეს აბრალებს, ჩხეიძე—უგრეხელიძეს. ისინი ჩხუბობენ, ჩვენ კი მშრალზე ვზივართ

— ბევრი ხართ მომჩივნები?...

— ხუთი კაცი!

მეც ვანუგეშე მიილებ მეთქი და რონოდაში შევძვერი.

**სად. ქუთაისში**

შემომესია სად. მოლარეები: გაიგებდი, წარსული წლის ზედმეტი საათების ჯილდოს შესახებ რას ამბობენ?

— შარშანდელს ახლა დაეძებ? ის ყველა სადგურებმა მიიღო.

— მერე ქუთაისის მოლარეებმა რაღა დავაშავეთ!

— მიმართეთ განყოფილებას!—ვნახოთ განყოფილების დღიური მეანგარეები იერიშით მიდიან, „მესტკომზე". მიზეზი გამოირკვა—შტატის შემოკლება ყოფილა. (სერიოზული მდგომარეობაა) უნდა გავშორდე: მინდა რონოდის ჰაერით მოწამლულმა სადმე სუფთა ჰაერი ვისუნთქო. ჩავუყევი ვაგზლის ქუჩას, (სანკოეის წყალობა) სადგურის ფეხსადგილის ნაწრეტით მთელი ქუჩა მორწყულია, „საოცნებო" სუნი სდის, დავუყევი ბაზრისაკენ. მეძინება, მაგრამ უფრო სიფხიზლეა საჭირო, თვალები გასაწადავ მიმინოსავით მაქ დასმარტული, რომ მსხვერპლი არ გავხდე აწ განსვენებულ ქუთაისის ქვაფენილების, თორემ შენი მტერია—ვერ ამომკრიფავს ორმოდან ჩემი ჭირისუფალი. კედელ-კედელ მივყვები. ერთ განცხადებას წავაწყდი შემდეგი შინაარსით: „რკ.-გზის „ზ.კ.ტ.პ.ო.-ს" მოუვიდა კარგი ხარისხის ხახვი", (ეჩმიაძინის), ფუთი ღირს 1 მ. 40 კ. ვიღაცას შენიშვნა მიუწერია ფანქარით: —როდესაც ბაზარზე ღირს 80 კ."-ო.

კუჭის სისუსტე ვიგრძნე, გადავწყვიტე ვისადილო. ჩემი ჯიბის ბიუჯეტი შესდგება 1 მ. 55 კ. როგორც გადმომცეს ალექსანდრემ გააუმჯობესა რკ.-გზის სასადილოს მდგომარეობა.

**რკ.-გზის სასადილოში**

ვ. ევნატენკო ძალზე მოლუშული, მაჭრით მოტანჯული, შემომჩივის, რომ მას გუშინ პ. ზ. | პ. თვალაძემ „პრაგელი" დაუწერა, რომ ის იყო ძალზე მთვრალი და არ უმუშავია იმ დღეს. (ასეთი რამ ხშირია. მისგან). ჩემი ყურადღება იქვე კუთხეში მდგარმა საცოდავმა უსულო საგანმა მიიპყრო. ეს გახლავს უპატრონო „როიალი". ბავშები ჭილ-ყვავებით ეხვეოდა, გააქვს სინებს ბირდლინ-ბირდლინი. რიგში ჩამდგარი ბავშები ხშირად რიგს შლის და ხანდისხან თორმეტი ხელი ერთად უკრავს. (საცოდაობაა!)

გავიგე ცოლი დამეძებს. სანამ „კრიანსი" დანაკლის არ გამომიგზავნის, ვერ დავენახვები. მაძებარს „პარკში" მდგარ „რონოდაში" მივემალე.

**ტყიბული**

მე და ჩემ ცოდვილ სულს „ტყიბულში" გამოგვეღვიძა. ვინ მიმიყვანა იქ? ალბათ ჩემ „ფორრმენი" ბუზმეტებიან ბუშლატს თუ სცა პატივი რევიზორმა. ამხ. მემუხრუჭეებთან ერთად მინდა მოვისვენო სამორიგო ოთახში; წოუწევი, დარაჯი მაღვიძებს:—ამხანაგო შენ გელოდი!

— რაშია საქმე?

— ვერ ხედავ? აღარ გვევარგა

## „მეგობრული შარჟი“ სამტრედიიდან



ამხანაგებო! მოგახსენებთ იმ სტრახკასაზე, რომელი სტრახკასაც ყოველ სტრახკასაზე თავის სტრახკახობით მალლა დგას. ჩვენს სტრახკას, ამხანაგებო, წელს კურორტზე გაუგზანია 8 კაცი, ორი ქალი და ბავში. თითოეულ მათგანს ჩვენი სტრახკასის მიზეზით, ამხანაგებო, მოუმატებია საშუალოთ ორი კილო, ხაში გრამი, 17 კილოგრამი და 13 უნცი. ამიტომ, ამხანაგებო, გაუმარჯოს ჩვენ სტრახკასას.

---

მატრასები, არ გვაქვს ბალიშის პირები, დაგლეჯილ მატრასის პირებიდან თივა სცვივა. გვინდა დაობებული ლოგინი მზეს უჩვენოთ, მაგრამ გვეშინია ნახევარი არ შემოგვყვება ოთახში. შარშან კომისია ისყო, ნახა და შეგვპირდა, მაგრამ წელიწადი გავიდა—შეპირებაც მას გაყვა.

— დააეიწყდებოდა. გაახსენე! იყო ჩემი პასუხი და ჩავთვლიმე.

### ტყიბულის სასადილოში

მინდა ვისადილო მომიტანეს თხის ხარჩო, რომელიც უფრო ტარნის ბორშს წააგავდა. მშია, უნდა ვჭამო. მაგრამ შენ მტერს, გულმა ველარ მიიღო და საცელებიც გავაოხრე. სამორიგო ოთახში ისე ამოეიგვარგნე თივის მტვერში, რომ აუცილებელია ჩემი გაბანვა. უნდა მივაშველო ქუთაისის რკ | გზის აბანოს.

### რკ | გზის აბანო

პარასკევი დღეა. თუნგებით, ტაშტით და კრუშკებით რიგში სდგას ქალები. მივუახლოვდი, შემომხვიენ.

— სწორედ შენ გვინდოდით. შეიხედე აბანოში რასა გავს? ჯერ ხომ უკუნეთი ბნელია. მერეა და შიგნით ვილაც ვაჭრუ:ის და სპეკულიანტების ცოლშვილი ბანაობენ და ჩვენ კი კავშირის წევრების ცოლშვილი გარეთ ვყრივართ. აი დასაწერი ეს არის! გამოცვივდენ ქალები აბანოდან ტაშტებით.

— ვინ არის რომ გაზეთში დაწერას გვიპირებსო. შეიქნა ხელჩართული ბრძოლა, სამი ოთხი ტაშტი თავზე დამაჭყლიტეს, ძლივს მოგუდული გამომათრიეს გარეთ.

### ყაფანი

დაუახლოვდი ყაფანს, შემომესმა ერიამული მაჭრით გაქლენთილი ხალხის. ზოგი ღიღინებს, ზოგიც სადღეგრძელოებს ისვრის. ჭათამი, ბატი, წიწილი, ხარი, ცხენი კამეჩი ყველა მთვრალია. აგერ აბლავლებული გლეხი თავ-პირს იხოცავს პატივცემულ ჯიბგირებს მისი ჯიბა გაუსუფთავებიათ. მაჭრიდან შექინქლილებული მილიციონერი ამშვიდებს მას: „ნუგეშინია, შენ ხომ პირველი არა ხარ, ასეა ყოველ დღე, ხუთიათი უნდა ატირდეს შენსავითო“. მოვშორდი, მინდა სადმე თავისუფლად დავისვენო. ერთ სახლის შესავალ კიბეზე ჩამოვჯექი. ის არის უნდა ჩავთვლიმო. თავს დამადგა ამხ. ანაგი:

„—ადე, კაცო სად გძინავს, აქ ერთი საათის შემდეგ. ე. ი. კარგად. რომ შეღამდება ქუთაისის შეჯვარებულთა წყვილი დაიჭერს ამ. პოსტს“-ო. მეც უცებ მოვშორდი, კარგად ვიცნობ სხვნებულ საზოგადოებას—ბალში ხეივანი აცივებულია, ეხლა სეზონია „პოდიეზებში“ კურკურ-მურკურისა. მოეშორდით თუ არა, ადგილი უკვე დაიჭირეს.

გადავწყვიტე დაუახლოვდე სახლს, თორემ ასეთი მოგზაურობა ისედაც ცოდვილ სულს უარესად გააბოროტებს.

### კლუბ „ხელოვნება-“ში.

ესეც რკ.-გზის კლუბი „ხელოვნება“!

კავშირის წევრებისათვას უფასო წარმოდგენა მიდის. გარეთ ისეთი წივილ-კივილია გამართული .რომ გეგონებათ ასი მკედრის პირისუფალი ერთად შეგროვილაო. ძლივს მივადექი კარებს, ერთ ხანს მათრიეს განდი-გან, მერე ძლივს მოვხდი კარების პირდაპირ. ერთმა დაიძახა „მივიდეთ შტურმითო“ და როგორ და რაფერად არც ახლა მახსოვს—დარბაზში კი ამომაყოფიეს თავი. რა რჯულის ხალხი არ გინდოდა დარბაზში არ ყოფილიყო: ხარაზი, მეწვრიმალე, მეფურნე, მიკიტანი, მეხილე, მედროგე, ქუჩერი, მეჯღანე და სხვა, რკ.-გზის კავშირის წევრები კი კონტრამარკის რიგში გარეთ თავპირს ამტვრევდენ ერთმანეთს. უბინობის გამო კედელს მივეყუდე და უცდი—როდის აიხდება ფარდა. უცებ ყვირილი შემომესმა—„არიქა წყალიო!“ მივცვინდით კარებთან, იქვეა გაშხლართული ჩემი ცოლი, გადადის ფეხებით ხალხი. შემოვითრიე შიგნით, ნახევარი „რუბაშკა“ შერჩენოდა და მეოთხედი კაბა. ცალი ჩუსტი სად დაკარგა დღესაც არ მინახავს. ვეიტატე და მივიყვანე შინ და ძლივს მოვასულიერე. ჩემი ჯაპაგირის საქმე ჯერ არ გამოუკეთხავს, რადგან იმ ღამინდელი გალახული დღეს მეხუთე დღეა და ჯერ კიდევ არ არის თავის არხებაზე მოსული.

კოსტაიდი.



შეეიყარნეთ მეგობები:
მე, ეანო და კიდევ სხეები.
მოვვედინა ტრემლი თვალზე,
—და დაეიწყეთ გპობა მაზედ,
რომ შორაპანს, ამ ჩვენს დამას,
უკულტუროდ სულს რომ ჰლაფავს—

ჰქონდა ერთი მუშათ-კლუბი;
რეკვიზიტშიც ერთი შუბი.
დაფლეთილ დეკორაციებს
მნახველსა რომ გააციებს
განაგებდა გამგეობა;
ჰქონდა ჩვენგან დიდი ნდობა;

ჰყავდა სცენის მოყვარენი:
მუშა, გლეხი, მღვდელი ბერი...
მიდიოდა საქმე წინა,
შრომით არვის არ ეძინა—
მაგრამ ერთხელ შავსა დღესა
—გამგეობის ყველა წევრსა—

გააცივა, გააცხელა,
დაიკარგა მთლად სუყველა.
მივადექით ადგილკომსა
და მივმართეთ იაკობსა:
„სად ყოფილხარ? რა გინახავს?
ჩვენი კლუბი არ გინახავს?"

იაკობმაც ტკბილი ენით
ჩვენ გადმოგვეცა გულის ტკენით:
„მიიცვალა, როგორც ვიცი,
აღარ უნდა ამას ფიცი..."
...და მოვაწყვეთ გასვენება,
როგორც არის უფლის ნება.

რადგან ძვირი არ დაჯდება
გვეაკარით განცხადება:
**ბედმა გულში გვასო შუბი—**
**ალარ არის ან მუშკლუბი**

წყეული.

# ყბადასაღები წყალწასაღები

## კოოპერატივისთვის არაქელა, თავის კუჭისთვის—ბარაქელა

სამეგრელოს სოფელ პანძაში კოოპერაციაზე უნაყოფო მუშაობა ყოფილა, ხოლო კოოპერატორთა კუჭებზე—ნაყოფიერი ზრუნვა.

გლეხკორი კირ. ფანცულაია სწერს:

„კოოპერატივს სათავეში მოექცენ ისეთი პირები, რომლებიც ზრუნავდენ მხოლოდ პირად კეთილდღეობისათვის და კოოპერატივის აღორძინებაზე თავსაც არ იწუხებდენ. მათ დაშრიტეს კოოპერატივის ქონება და გააუარესეს მისი მდგომარეობა, რის გამო ადგილობრივმა გლეხობამ დიდი უნდობლობით დაუწყო ყურება კოოპერატივს".

აზირებული ხალხი ყოფილა ბანძაში. მაინც და მაინც მათ სურთ—„ავი ძაღლი არც თვითონ სჭამდეს და არც სხვას აჭმევდეს" და ამიტომ უმადურობენ, როცა—ბანძელი კოოპერატორები მართლაც კოოპერატივს არაფერს აჭმევენ, მაგრამ თვითონ დოვლათიანათ სჭამენ! რას უშლით ხელს თქვენი უნდობლობით ამ „კეთილშობილ მოღვაწეთ"?

ბარაქალა მათ მადას, რომ ასეთი ჭამა სცოდნიათ, ხოლო თუ ჯდომაც ასევე ეხერხებათ—ეს სენაკის სამაზრო ალმასკომმა უნდა გამოარკვიოს.

## „ეპო" ვერ გვაკმაყოფილებს

ასე სწერს გომბორის თემიდან გლეხკორი მურა და თან დასძენს:

„უნდა აღინიშნოს, რომ გომბორის „ეპო"-ს წინათ ჰქონდა წითელი სასადილო, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა გლეხობას. გაუმჯობესების მაგივრათ „ეპო"-მ ხსენებული სასადილო იჯარით გადასცა კერძო ვაჭარს, რომელიც უმოწყალოთ ატყავებს გლეხებს!"

რავუყოთ მერე—თუ სასადილოს კერძო ვაჭარზე გადაცემა გლეხებს არ აკმაყოფილებს?

ვაჭარს ხომ აკმაყოფილებს! ესეც არ იყოს რას ნიშნავს:—გლეხებს ატყავებს? თუ ატყავებენ—ტყავი ამერიკაში ხომ არ მიაქვთ? იქვე რჩება ისევ—გომბორელი ვაჭრის ხელში და ხომ გაგიგონიათ ანდაზა:—გამბორელი ვაჭარი, რომ გადაჭხიკო—გომბორელი კოოპერატორი გამოჩნდებაო.

დარწმუნებული ვართ: გომბორის ალმასკომს მათ გამოსაჩენათ გამადიდებელი შუშა არ დასჭირდება—კუდი ჩვეულებრივი საბჭოთა სათვალებითაც დაინახება.

## დევდარიანი წონის,—დევდარიანს აწონიან თუ არა?

დღემდი მუკუზნის ლეინოს იცნობდენ, ეხლა მუკუზანის სადგურის მწონავი დევდარიანიც გაიცანით, რომლის შესახებ მუშკორი № 2809 გვატყობინებს:

„კარგი ხანია, რაც დევდარიანი ბოროტად იყენებს თავის სამსახურს; მაგრამ ეს დღემდე არავის შეუმჩნევია.

სამი თვის წინათ ის ასაღებდა ერთგვარ მარკებს ბარგისა და ტვირთვის გამგზავნელებზე.

თითო მარკა ღირს 5 შაური.

მართალია მარკები გამოილია, მაგრამ ის მაინც განაგრძობს ხუთ-ხუთ შაურის გადახდევინებას!"

ამ საქმის შესახებ შევეკითხეთ მუკუზნის სადგურის უფროსს და მან სთქვა იგავ-არაკი:—ერთმა მეფემ ყვავილს „ჩასავოი" დაუყენა, მაგრამ გამოცვლა დაავიწყდა. განვლო ხანმა, ყვავილი დაჭკნა და „ჩასავოიც" ზედ დააკვდაო.

მუკუზანში მარკები მომკვდარა და ნუ თუ სადგურის უფროსი ეხლა მწონავი დევდარიანის სიკვდილს ელოდება? შეიბრალეთ „პატიოსანი" მწონელი და ნუ გაიმეტებთ მას (იქნებ ცოლ-შვილიანიც არის) ცოცხლათ მოხსენით ადგილიდან!

## ჭკუაც ხომ მოლას ფლავი არაა!

„— სამტრედიის დეპოო, სურვილითა გნახეო, ჩემი კოსტა მანდარის, კარგა შემინახეო"—ასე მღერიან სამტრედიაში და ამ სიმღერას მუშკორი „ოტელლო" შემდეგნაირათ უკრიმანჭულებს:

„სამტრედიის დეპოს კანტორაში მსახურობს კოსტა კვანტალიანი, რომელიც აწარმოებს შეშისა და ნავთის ჰვითარების გამოწერას. ამ კაცთან საქმისათვის ვერ მისულხართ, მუდამ ყვირის და ილანძღება. მოაჭკვიანეთ ეს ვაჟბატონი?".

ძალიან ბევრს მოითხოვს ჩვენგან მუშკორი „ოტელლო", როცა კოსტას მოჭკვიანებას გვთხოვს. შე დალოცვილო, სამტრედიაში ხშირად სასმელი წყალის შოვნაც სჭირს და თბილისში ამდენი ჭკუა სადაა, რომ იგი სამტრედიელ სულელებს ვურიგოთ?

## პლომბა ცვივა,—მწყრები თავის ადგილზე არიან!

ზოგიერთ მემანქანეს სამტრედიაში ტვინის მანქანა მოშლია. მუშკორი გადანკიათელი გვწერს:

„ზოგიერთი თავზე ხელაღებული მემანქანე ისე აჯახებს ორთქლმავალს შემადგენლობას მანევრების დროს, რომ ვაგონს პლომბა სცვივა!".

ჩვენ სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ამ ზოგიერთთაგან—ზოგიერთი ორთქლმავალს კი არა, თავსაც ძალიან მაგრა აჯახებს, მაგრამ მწყრები მაინც მშვიდათ არიან და პლომბა რაღა ჯანაბათ ცვივა.

## ალმასკოპის საათი





— მაკრინე, ხომ ტყუილი ყოფილა, რომ ამბობენ ქალაქში ღმერთი არავის სწამს და ეკლესიები ყველა დაკეტილიაო. ხედავ, სალაცა აქ ეკლესია ყოფილა და წირვის დირეკებ. უყურე—ორშაბათსაც კი ლოცულბენ.

ღმერთო, ამ [illegible]ის რეკმა მადლი შეეწიოს ჩ[illegible]ოჯახს.

## ჩვენი ფოსტა

ტყის ასულს. თქვენ გვწერთ:

ყოვლის შემძლევ ტარტაროზო,
ერთი მეც მაქვს სათხოვარი,—
და თუ მორთოთ, გენაცვალე,
შეაშინეთ ჩემი ქმარი.

უთხარით, რომ მაზე ჩემგან
თქვენ მიიღეთ საჩივარი:
ჯამაგირსა სადღაც ჰფანტავს,
(ეს პირველი სატკივარი

მეორე კი—სარდაფებში
სირაჯების მართებს ვალი,
და მესამედ—ჩემს კარებთან
სულ სდგას ვილაც უცხო ქალი.

როცა ვკითხავ:—თქვენ რა გნებავთ?
მიპასუხებს: „თქვენი ქმარი...
„თუ სახლშია სთხოვეთ მოსვლა.
„ასე ითხოვს საქმე ჩქარი".

ტარტაროზო, გენაცვალე,
ჰქენი შენი სამართალი:
ჯოჯოხეთში გადაგზავნე
ჩემი ქმარი და ის ქალი.

ჩვენ შევასრულებდით თქვენ თხოვნას—თქვენს ქმარს და იმ ქალს ორივეს ერთად გადავაგზავნიდით ჯოჯოხეთში,—მაგრამ ეს თქვენ უფრო გეწყინებათ, რადგან ისინი ერთად მგზავრობის დროს უფრო მეტ თავისუფლებას ნახავენ—და სწორედ ეს უნდათ იმათაც.

**ნიკო პანტაძეს:** „მიასოტორგი"-ს კამეჩია ხორცი უკეთესია, ვიდრე ლვდლისა. ამიტომ ლვდლებზე ტარტაროზმა კარგი ხანია აიღო ხელი.

იუსტინემ და თეოდოტიმ თავი ახალონ ერთმანეთს და ამით მოგვარდებიან.

დან—ელს. (ქუთაისი, ერისთავის ქუჩა), როგორც სჩანს, ძალიან გეშინიათ

**ერემიას ძაღლების**

ჩვენ, მცხოვრებლები აღარ ვართ შიშით
და წელიც გვტკივა ქვების ალებით.
ეს შავგულიძე ვილაც ერემო
თუ არ მოგვშორდა თავის ძაღლებით.

თუმც ქალაქს გარედ აქვს ერემს სახლი,
მაგრამ რად უნდა თორმეტი ძაღლი,
და თუ ჰყავს—უნდა ჰყავდეს დაბმული,
არ უსკდებოდეს გამვლელებს გული.

თქვენ თხოულობთ ძაღლების განიარაღებას და დაპატიმრებას. ასეთი საკითხი არა ერთხელ დასმულა სხვადასხვა კონფერენციებზე, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ დამთავრებულია. ძაღლი თუ დააბი და მას წაართვი კბენის საშვალება, მაშინ ის რაღა ძაღლია და როგორ შეუძლია შეასრულოს თავისი ვალდებულება? ყოვალ შემთხვევაში ჩვენ ამ საკითხს ევროპის განიარაღების საკითხის განხილვის დროს განვიხილავთ.

„ალალს". „ააფრინეს ალალიო, რაც არ არის არ არიო".

რათა თქვენ ხალისი მოგემატოს წერისა, იწერებით—აუცილებლად ეს წერილი დაბეჭდოთო. ეს წერილი იქნებ არ გადაგვეგზავნა გოდრისკენ, მაგრამ რომ დაგვებეჭდა, თქვენ ისე წახალისდებოდით, რომ კიდევ გამოგვიგზავნიდით ასეთ წერილს.

**ვარდენ ლვანკითელს.** თქვენ გვწერთ:

„გიგზავნით შარადას და ნაჩხაპნ ნაწერებს. კი ვიცი თქვენი გაზეთის ფურცელზე ვერ იშოვნის ადგილს, მარა მე იმედი მაქვს იმდენს შევსძლებ—წიგნათ გამოვსცემ და თქვენს საცინლად აგდებასაც გამოვაცხადებ იმ წიგნში, რადგანაც ეხლა არ გვაქვს ისეთი ნეიტრალური გაზეთი, რომ გინება გინდოდეს კაცს კაცის და ეს შეგეძლოს.

თქვენი **მაინც კეთილად მხსენებელი:** ვარდენ ლვანკითელი.

ჩვენ არც ერთ თანამშრომელისათვის არ დაგვიცინია. „უფსკერო გოდორში" თუ მოვათავსეთ თქვენი მასალა, ეს არ ნიშნავს დაცინვას. განა მარტო თქვენი ხვედრია ეს?

რაც შეეხება „ნეიტრალურ გაზეთს", რომელშიც გინება შეიძლება, მართლაც რომ დღეს, არსებულ ხელისუფლების დროს, არ არსებობს, ვინაიდან პრესა დღეს ჩვენში მშრომელთა ხელშია და ნურასუკაცრავად, თუ ამის საშვალება არავის არ ჰქონდეს.

თქვენ გვემუქრებით-ჩემს წიგნში გამოვაცხადებ თქვენს საქციელსო.

ჩვენ ვესალმებით თქვენს ასეთ განზრახვას, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი წიგნის ყველა მკითხველი (თუ კი ასეთი გეყოლებათ) გაამართლებს ჩვენი „უფსკერო გოდრის" თქვენს შეფასებას.

რადგან, მიუხედავად ყველა ამისა, „მაინც კეთილად მხსენებელი" ხართ ჩვენი, ამიტომ ჩვენზე დიდად იმოქმედა თქვენმა ასეთმა გულკეთილობამ და ვათავსებთ თქვენი მასალების ნაწილს.

### ერთობა

ერთობის იდეისათვის
პარასკევს ნასადილევსო,
(კიდევ კარგი, რომ სადილის ჰამა მოუსწრია).
იესო ქრისტე ჯვარს ცვეს
სიკვდილამდე აცოდვილესო.
მაშ გაუმარჯოს ერთობას
შემოვსძახოთ ყველამ ურა,
თუ არ გინდათ შესაქმელად
დაგვესიოს მგელი-ტურა.

**გიორგიშვილს.** შემოიარეთ რედაქციაში.



არც ერთი მუშა-მოსამსახურე, არც ერთი მშრომელი არ უნდა დარჩეს, რომ არ იწერდეს და კითხულობდეს თავის გაზეთ

# „მუშა“-ს,

რომელსაც აქვს უფასო დამატებად ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალი

# „ტარტაროზი“

გაზ. „მუშა“, „ტარტაროზი“-თ თვეში ღირს თოთხმეტი შაური.

პროვინციის ხელისმომწერლები გაზეთს მიიღებენ გაზეთის გამოსვლის დღეს, ხოლო ქალაქის — წინა საღამოს.

გაზ. „მუშა“-ს მთავარ კანტორას საქართველოს ყველა ადგილებში აქვს თავისი განყოფილება, სადაც მიიღება გაზეთზე ხელისმოწერა.

უკვე დაიწყო დეკემბრისათვის ხელისმოწერა.

არ დარჩეთ დეკემბერში უგაზეთოდ.

რედაქცია და კანტორა:
რუსთველის პროსპექტი № 24.




საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა. თბილისი, კამოს ქუჩა № 68.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით! ფასი ორი შაური

№ 28 ქვირა, 13 დეკემბერი, 1925 წელი. № 28

# „მ ფ ა რ ვ ე ლ ი ფ რ თ ე ბ ი"

„გაიხსნა ერთა ლიგის სესია, რომელზედაც განხილული იქნება გერმანიის და ოსმალეთის ერთა ლიგაში მიღების საკითხი".

გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ



კრუხი: სამშვიდობო ადგილი უკეთესი სად არი?
დამერწმუნეთ—თქვენთვის ვარ მშობელ დედის სადარი.

გერმანია: ეჰხ! მოვდივარ, თუმც ვიცი რაც მანდ ჩემთვის მზად არი.

ოსმალეთი: მესმის, ვიცი და ვხედავ ჩემი მტრობიც მანდ არი.

# ბრძანება № 8

ყველა ჩვენს აგენტს,
ტარტაროზკორებს;
შეუპოვრებსა
და სულის სწორებს,—

ჯერ ჩვენ ვუცხადებთ
მადლობას, დიდსა,—
კარგად იცავენ
პატივს და რიდსა.

სწამთ დისციპლინა
და უყვართ შრომა...
მათ თავზე იდევს
ჩვენი გამლოცვა.

ხუმრობა საქმე
როდია გახა
ყოველ კვირაში
ტარტაროზთანა

—აგზავნონ ძლევენი,
ისიც როგორი?!
აუცილებლად:
მართალი, სწორი

და თანაც კიდევ,
რომ ჰქონდეს ქონი.
(შოვნა არ არის
ადვილი მგონი)

ბოლო აართვით
ჩვენს კეთილ გემოს
(ვითარცა გამგეთ
გლეხკომს და ე. მო. ს.)

თუმცა ბრძანება
არა თუ ხშირი,
არამედ არის,
პირიქით, ძვირი,—

მაგრამ თქვენ მაინც
გვიგზავნით კერძსა;
(ისიც ბევრს ხშირად,
და არა ერთსა).

და სჩანს აქედან,
მაშასადამე.
—გასწორებული
გაქვთ დღე და ღამე.

არც ერთი კუთხე,
და არე-მარე
არ არის ეხლა
თქვენს თვალთა გარე.

იქ სადაც უწინ
გაელა გვიჭირდა—
დღეს თქვენი რიცხვი
მეტად გახშირდა

არ იცით დაღლა,
არც ძილის რული;
მიტომ გვაქვს თქვენი
ჩვენ სიყვარული.



აგენტების და
რწმუნებულების,
ვინც კვლავ ადგილზე
ჩვენ გვეგულების,—

უნდა ვიცოდეთ
ჩვენ: ვინაობა
და მთელი მისი
შინა რაობა,..

მიტომც ცხადდება
**რეგისტრაცია**
რათა გავიგოთ:
თუ რა კაცია

ჩვენი აგენტი,
თანამშრომელი;
ვინ არის იგი:
მუშა, მშრომელი,

ან თუ „სწავლილი“
მასწავლებელი
(ჩვენი მარადის
მაწვალებელი)

სადაც თქვენს წერილს
აქვს დასასრული,—
იქ გვამცნეთ თქვენი
„მე“-ობა სრული:

**სახელი, გვარი
და მისამართი**
(ქუჩა,. პროსპექტი,
აღმართ-დაღმართი)

ეს ჩვენ გვჭირია;
რად გინდათ—რათა.
გრწამდეთ: არ არის
ეს თქვენთვის ხათა.

პირიქით, იქნებ
უკეთესია.
(თანაც ასეთი
არის წესია).

—:—

ეხლა სხვა კიდევ:
თქვენც ხედავთ კარგად:—
მიდამო თოვლით
რომ მოიქარგა.

ღვდელ-დიაკვნების
დადგა სეზონი.
(თუმცა არ შერჩათ
მათ ძველი ქონი)

გამოაგზავნეთ,
არ ვეტყვით ვარსა.
(გამსაღებელი
სხვა არის არსად).

კარგიც იქნება
ეხლა დესერტად,
ჩავახრამუნებ
მე მრავალს ერთად.

ეს მისამართი
თამამად კმარა,
რომ მოგვაწოდოთ
წერილი ჩქარა.

რათა წერილი
არ დაიკარგოს,—
ნუ გამოგზავნით
წერილს უმარკოს.

ტარტაროზი.

13—XII 25 წ.
ჯოჯოხეთი
ტარტაროზის სასახლე.

P-7141

# „ზ ე რ ო“

(„რევოლიუციონური“ კინო-პოემა)

რ რ რ
ო
რ
ე
ვ
ო
ლ ი უ ც ი ა
რ ო რ რ რ რ რ
ც ც ც ც ც ი ა!..

(მიბაძვა არ გეგონოთ; საკუთარი ორიგინალური ნაშრომია)

რა ხართ თქვენ,
ან და ტფილისი,
როდისაც—აგერ
მეხუთე თვეა
წავიდა ივლისი,
და კვირით უკან,
როდესაც თეთრი
დაეფარა მიწაზე
ქუდი,
კალოშებისთვის
რეზინტრესტთან
გაცოცხლდა კუდი...
ტიროდენ ტუფლები,
როგორც კლავიშები:
ახ, ღმერთო, ჩქარა...
ჩქარა.. კალოშები!
და ლამე წყვილები
მოწყენილები,
თითქოს ყნოსავდენ
ნიორს,
უიმედოთ შესცქერიან
ფუნი კუ-
ლიორს.
ქუჩაში ბნელა...
კინოსთან სინათლეა.
რასაც არ ამბობენ
ყველაფერი სიმართლეა...
როგორც პაქები,
შესცქერიან ქალებს
ვაჟები,
ქალები კი
კინო-აფიშებს,
(ეკრანზე უკეთესს
ნახავენ არშიყებს)...
დაიფიცეთ,
თუ გაქვთ მოცლა,
გინახავთ როდისმე სურათი
სადაც არ იყოს
კოცნა?!.

# ნიშანი ზერო

გინდა ბრაზისგან
კარებს ეძგერო...

და შესძვრე ებილეთიოთ...
და რა ცუდია,
თუ დაგავლეს
კისერში ხელი
არ გაუოგიჩნდა
ახლომახლოს
განცირულს მხსნელი

სხვაში ქი მღერიან:

რა კარგია კონტრამარკა,
ცხონდეს მისი მომგონიო,
არ კითხულობ, თუ გაქვს იგი:
სურათია როგორიო.
როცა გინდა, მაშინ შეხვალ,
არ სჭირდება ლოდინიო;
ერთი სკამი მუდამა გაქვს,
როგორც სახლში ლოგინიო!..

მიქრის პოემა,
როგორც ოცნება;
სტრიქონი ერთი
კოხტად ილ დება...
მოსდევს აზრებს რითმები,
როგორც პაკ ცხენს კვიცია.
პოეტად რომ ვითვლები
ბუ ნიკაშიაც იციან...
და მითხარით, გეთაყვათ,
თუ გულს გული უცვნია,
რისთვის იყო საჭირო
თავში რრრრევო-
ლ
ი
უ
ც
ი
ა!..

# რეკლამისთვის

ხი... ხი... ხი... ხი!..

არ ეწყინოს არავის,
ხუმრობაა უმანკო,
რა ვქნა, თუა ეს ლექსი
უეტიკეტ-უმარკო,

გამართული, როგორც ბზა,
და ცეცხლ უკიდებელი,
ის და მხოლოდ მიბაძვა
და-მ--უ-კი-დე-ბე-ლი!..

გამოიღვიძა ქუჩამ,
მოდის სიმღერით ზერო,
და შუკებს იქით-აქეთ
ათვალ-თვალებს, ზვერავს...
ჩამოფხატული კეპკა
რით არ სჯობია „მასკას“,
მარტო შეხედვა ერთი
დააფრთხობს ერთად ას კაცს.
ჯიბეში დანა ბასრი
ხმალს ჩამორჩება რაში,
მარდ ფეხებს გაქცევაში
რითი სჯობია რაში?..
გვარდია გამოცდილი,
თან რომ სდევს უკან მწყობრად,
სანდოა როგორც რკინა,
თავდასხმის მოსაწყობად.
იყოს სიმღერა მტრისთვის
ყიჟინა თავზარმცემი...
მეეზოვეს და „მილტონს“
გავბერავთ ხანგრძლივ ცემით!..
მოდის სიმღერით
ზერო,
და მოსახვევებს
ზვერავს...

კეთილმოწყობილ შუკაში,
როგორც ორმოში ბნელა:
კუთხეში ვაჟი ქალწულს
ფიცით აბრუებს ნელა:
დამერწმუნე...
სატრფოვ ჩემო,
გამიქარვე დარდები!..
მითხარ, თუ გსურს,
ეხლავე
მტკვარში გადავარდები!..
აეტოს
წინ დავუდგები
შენით ასე მშიერი,
რომ ვიყო მთელ სიცოცხლეს
მერე მე ბედნიერი!..
— წადი, თუ გსურს,
თქვა ალმა,
არ ვარ ხელის შემშლელი,
მხოლოდ, რომ გადავარდე,
ვინ იქნება
მშველელი?..
არც შოფერი შეგნიშნავს,
(ის მიჰქრის და იხარის)
და მერე მე...
შლიაპას,
ვინ მიყიდის... მითხარი?!,
ყრუ მოსახვევში
უთოსავით ხურდება
ვნება,
და სიყვარულის

ცხელ ტაფაზე
  ყმაწვილი დნება...
მოფრი ავს ზერო,
როგორც ძერა,
ეძებს საკბილოს.
შენიშნა უცბად
ლანდები შუკაში,
(შეიპრა „მილტონი"
ცახცახით დუქანში)
წააწყდა ზერო
შე თხვევას იღბლიანს
(ხ სთან „დვორნიკი"
გაინაბა, როგორც ნიბლია)...
ზეროსაც მიჯნურებს,
სიბრელე სუოდათ,
და, რა თქმა უნდა,
ყველაფერი
მოსჩანდა ბუნდათ.
მოუდო ყიჟინი
მხლობელ ეზოებს,
და როგორც ფოთოლი
თრთოდა მეეზოვე
დასრულდა კონცერტი,
დამთავრდა ნომერი,
და ხტუნვა ხტუნვით,
როგორც მოზვერი,
გამარჯვებული
ბრუნდება ზერო..
გვარდია ერთგული
სდ ვს უკან მწყობრად
უფრო უკეთესს
ნომრის მოსაწყობად...
  გამოდით, ვისაც სურთ,
თუნდ მთელი თბილისი
  კატლეტად ვაქციო
  მე ცხვირი იმისი!..
ვინ არის—ეს რომ
ხესთან ატუხულა?!.
—მტერია!.. გვარდიამ
ერთხმად დაიზმუვლა.
—ვინ არის, აქ რომ
წამომდგარა
კონბალით ხელში,
და ჩაუყვია
თავი ქურქში,
როგორც ციყვს ხვრელში!..
დაგვასაჩუქრა,
ძმებო, ჩვენ ვინ
ასეთ მეწობლით!?.
...ერთგულ გვარდიამ
მეეზოვე დაზილა
  კომბლით...
ქუდმოგლეჯილი
გადიკარგა მილიციელი,
და დარჩა ზეროს
სამფლობელოდ
ბრძოლისა ველი.
—გვარდიავ ჩემო,



ქუდმოგლეჯილი გადიკარგა მილიციელი

იძახის ზერო,
ისმინეთ რადგან
მართველობის
ჩვენცა გვაქვს გემო,
ხელისუფლების
შეგვიცვლია შუკაში
  წესი,
და მოგვიცია ეს ბრძანება
  უსასტიკესი:
შებინდებიდან რიჟრაჟამდე
  ამ ჩვენ შუკაში
დაუხელავათ არ გატარდეს
  არც ერთი ჟაკი,
და ქალებ ხედაც შესაფერი
  დაწე დეს ბაჟი!..
ეხლა წადით და
მსწრაფლ შეკარით
ყოველმხრით შუკა.
სირცხვილი ვინაც
დაიხიოს ნაბიჯით უკან!...
იმ „მილტონებზე" უარესი
რითი ვართ ვითომ?..
გახდეს ეს შუკა
სხვებისავით სამჯგალითო!..
  (დასასრული I სერიის)

**სინჯმატო.**

## „თავო ჩემო"
(გაფლანგველთა სიმღერა)



თავო ჩემო—ბედი არ გიწერია!
ხელო ჩემო— მართლით არ გიწერია!
ყელო ჩემო—ერთი კ არ გიმღერია!
და გინახვეს სატუსაღოს მტვერია!

ვინ რა იცის, რომ ეს გული მკვდარია,
ფულის ფლანგვა, რომ შხამივით მწარეა
რომ კანონი, ჩემი ბედის ბარია
და აქ ყოფა, მკვდრობის თანაბარია!




თუ ჯამაგირს უხვად მისცემს
და „პენსიას“ ჯაგლაგ ხასებს?!?

—

ტარტაროზო! მიიღო რა
უტყუარი ესე ცნობა,—
დად გ ყალყზე, დატრიალდი
შენებურად, თუ გწამს ძმობა,
ბეტუზე გვერდით ფინკომს,
ან მას, ვინც დგას სათავეში
და უთხარი:—ამ „პენსიას“,
რისთვის იღებს დღეს ეს ლეში?!
ხო და, ჩემო ტარტაროზო,
თუ ამ თქმისთვის გიყონ ჩხუბი...
შენ იყავი არხეინად,
მე მათხოვე, მხოლოდ შუბი.
და უყურე შორით სეირს
ვის და როგორ ჩავჭკრა „პიკი“
მაშინ ენახოთ,—ვის აეწევის
ჩვენ, თუ იმათ კუდის რიკი?!!

ბიჭია.

## გაცრუებული იმედები

(ტყიბულიდან)

კუჭის საკითხს სწყვეტს ქანქარი,
ქანქარის საკითხს კუჭია,
თუ ჯამაგირებზე მწყრალათ ხარ—
მაშინ ორთავე ფუჭია.
აქ შრომის ჯილდო ჩვენს მუშეს
აქვს ძალზედ მეტის მეტია;
„უბით ვატარებთ ჩერვონცებს,
ჯიბეში არ ჩაგვეტია“.
ჭთქვათ, რომ ეს ასე არ არის,
აქ სხვაც აწუხებს მუშებსა:
რაცედენი დაპირებებით
მათ სევდას დააშუშებსა?!
მუშებო, ოცი პროცენტი
აბა რა საკადრისია?!
მალაროების მუშები
უფრო ზედმეტის ღირსია.
თქვენ ჯავრი ნუ გაქვთ,—ბატონ-
კებს
შავ-წითელს, ძვირფასს, მაგარსა—
„ჩვენ გამოვგზავნით საჩქაროთ,
არ გრძნობდეთ წვიმას და ქარსა,
პროცენტებს, დიახ, პროცენტებს
ოცს არ გაკმარებთ გჯეროდეთ.
ბატინკებს, პლაშებს, სხვა მრა-
ვალთ
სულ ორ-სამ დღეში ელოდეთ.
ასეთი ტკბი ქათებით
„იმათმა“ კვებეს მრავალი,
ბოლოს გვიცხადებს გიორგი:
„არ გვეყო შემოსავალი“.
„ათი პროცენტი გეყოფათ,—
ახეა გადაწყვეტილი“.
მუშები ხაზა გამშრალი
უცქერენ ხმაგაკმედილი.
განაგრძობს:— „ჩვენს წარმოებას
მეტი არა აქვს შეძლება“.
(რა სათქმელია თუ „ხპეცებს“
ოცი ჩვენდენი ეძლევა).

„—იკო“.

## დ. ჩოხატაური

ხან ესფერი, ხან ესდეკი,
ხან „წითელი“, ხანაც შავი,
როგორც მოეპრიანება...
გაჰყავს რაღა—თავისთავი!..

—

ენით ტკბილი, გულით ფლიდი,
გაიძვერა—შემპარავი,
ვაჟი ფრიად დანაყუდი,
შურით „რუმპო“ ნაბერავი.

—

ფეხში მკბენი, ვითა გველი,
ცელილი რომ აქვს ასჯერ ტყავი...
სხვას ეით ზოგავს, როცა არ სწამს,
არც ძმა, არც სხვა ნათესავი?!

—

ვინ არ იცნობს ამ ბედოვლათს,
ქვეყანა, რომ უჩანს პრასათ
ჰგონია, თუ „ნესტანს“ ჰკოცნის
დედაბერი რომ ჰყავს ხასათ!..

—

ბებრუხანას კი არ ვსტირით,
დე, თუ უნდა გასკდეს ასათ...
რომ ჩვენ ღარიბ სახელმწიფოს
ის არ უჯდეს კარგ დიდ ფასათ!..

—

„ბარონესობს“ „ბოხორიკა“
რაღათ უნდა ბალჩა-ყანა,—
„დონჟუანმა“ ვით „მოლვაწე“
„პენსიაში“ გაიყვანა!!.

—

აშენდება, მაშ რას იზამს
სახელმწიფო ასეთ ვაჟებს.

# მენშევიკთა „ბრძოლა"

„რამიშვილმა პარიზში გაზეთი „ბრძოლა" გამოუშვა.
კარლო ჩხეიძე კურდღლის ბაჭიებს აშენებს ლიოვილის ფერმაში".

გაზეთებიდან.



წინ ნოე თავის ნაფურთხით...
ახ, უკაცრავათ—„ბრძოლითა"!
უკან ჩხეიძის რაზმები
მსვლელნი „შიშით და ძრწოლითა"!

კურდღელთა მთელი კრებული—
რაზმია, მა, რა ოხრობა!
არც თუ ადვილი საქმეა
ამდენ ყურგრძელთა მომხრობა!

ჩხენკელის —ჟორდანიასი
„სარდალს" წინ უვლის არშია!
... და ისმის განუწყვეტელი
აწ ლიოვილის მარშია:

ერთი, ორი! ერთი, ორი!
მოხალისენი!
(უხალისოთ გამორეკეს თავლით
ისენი!)
შესდექ! წყნარა! ფეხი სწორა ჩვენო
არმია,
(ჰმევა ურჩი ბაჭიების დღეს
ნაარმია!)
დიდი ნოე წინ მიუძღვის ნოეს
პატარას!
(პირს ნუ აღებთ, არ მიიღებთ დღეს
თქვენ აქ არას!)
ბრძოლით წავალთ და სულ ძცირე,

მოკლე ხანშია—
მე გადმოგსხამთ თქვენ დესანტათ
შორაპანშია!
იქ დაგვხდება ყურპანტურა თავისი
რაზმით!
ერთი მღვდელით, ორი ბერით და
აიაზმით!
ერთი, ორი! ერთი, ორი!
მოხალისენი
ემიგრანტთა აწ ეს რაზმი—ღმერთო
იხსენი!

# კიდევ ზმუკს

რაღა დროს ჩემი სტვირია,
როცა სიბერემ მიწია—
მაგრამ რა ვქნა არ მასვენებ
ვიღაც ხარ ჩემო ბიძია.

ეს როხროხაძე ვინ არის
და მისი მსმენელთ კრებული?!
ან ლეიარსიე რო აქვს
სახელად წაკერებული.

განა ცოტაა ამ ქვეყნად
პეტრიები და თომები?
დარჩება გაუყიდავი
შენი ლექსების ტომები.

ავის და კარგის გარჩევა
როგორც სჩანს ფეხზე გკიდია,
ტყუილით სავსე გუდები
მხარ-იღლივ დაგიკიდია.

საწყალი ბერი კაცი ვარ
ვცხოვრობ საკუთარ ჯაფითა,
ყანაში თოხს ვატრიალებ
წყალი ამომაქვს ჩაფითა.

ხვნა, თესვა, მარგლა სიმინდის,
ძებნა გაბნეულ ხარისა,
და შუა მიწაზე მუდამ ჟამს
ცემა თოხის და ბარისა.

ადვილი საქმე როდია
ჩემო ბიძავ.. თუ ძამიავ,
ტფილის ქალაქში მცხოვრებო
და თეთრი პურის ჭამიავ.

მე ერთი ლუკმა მჭადისთვის
ათასი შრომა მჭირდება,
და როცა წარსულს ვიგონებ
გულღვიძლი ამიტირდება.

„ათი ათასი ფრანკი გადმომცა „ნიკოლაი ნიკოლაევიჩ-
მა კორდანიას დასტურით“.

**მაზნიაშვილის წერილიდან.**

„ფრანკის კურსი საშინლად დაეცა“.

**გაზეთებიდან.**



ფრანკი დაეცა, მაგრამ ქართველი ემიგრანტებიც ისე დაეცნენ, რომ წყალწაღებული ფრანკს უკან მისდევენ და ნიკოლაი ნიკოლაევიჩისაგან ჯილდოს იღებენ.

დიახ, მიყვარდა ღვინის სმა
დღეობა, ცხენის ჭენება,
და მაშინდელი ყმაწვილები
დღეს ქვევრად მოგეჩვენება.

ტანითაც ზორბა ვიყავით
შეგვეტყობოდა სხვაობა,
სულ გადაგვარდა ის ხალხი
და დაჩიავდა თაობა.

არ მიყვარს გულის გატეხა
ცხოვრებას ვუცქერ ბრუნდადა,
და აღარ ვიცი ეს ზმუკი
რად ამეკიდა მტრულადა.

ჰაუ, ტარტაროზ ისმინე
გურული გლეხის ძახილი,
შენ თვალიც გიჭრის ძლიერად
და კბილები გაქვს მახვილი.
მაგრამ ლევარსიმ არ იცის
თუ რაა შიში, კანკალი,
მას თოფიც ისე მეგობრობს,
როგორც თოხი და ნამგალი.

ჩამოვშორდები დროებით
ნიშას, ნიკორას, ყანასა,
და აქვე ქვაზე ავლესავ
ამ ჩემს დაბლაგულ დანასა.

შევჭრი თემს, დიდს და პატარას,
რომ გავერკვიო ამითა.
და „რობრობაძეთ“ თუ მცნობენ
მოვკვდები ჩემივ დანითა.

**სპილო ლოლანი.**

**ს. შემოქმედი.**

## კიდევ სპილო ლოლანს

მართლაც არ ვიცი: სპილო ლოლახი
„რად ამეკიდა“ ასე „მტრულადა“?!

მართლაც ეტყობა, რომ ამ ქვეყანას
იგი „უცქერის“ ისე „ბრუნდათა“—

რომ ველარ არჩევს თავისთავს სხვისგან;
(რა გაეწყობა,—ნება მისია).

მისაყვედურებს ლევარსის ავტორს—
არ მაქვს ზრდილობა და სინდისია.

აბა მითხარი: შენი სახელი
არავის ჰქვია შენს მეტსა განა?—
და თუ კი ჰქვია, მაშინ, მითხარი;
თვითმკვლელობისთვის რად გინდა
დანა?!?

ამბობ: რატომ მე მაინც და მაინც
და არა პეტრე; ან არც თომა?!
(ო, თუ ხათრი გაქვთ—თომას ნუ იტყვით;
მის ხსენებაზე დაგვეტყო კრთომა.

ერთხელ თქვენსავით როცა ვახსენეთ—
ისე გაბრაზდა და აგვეხირა,—
რომ დადიოდა ყოველდღე ჩვენთან,
არ მოგვასვენა მან სამი კვირა)

თქვენებრ იტყოდენ მაშინ ისინიც:
„რატომ ჩვენზე და არა ლევარსზე?“
რა ექნათ? აქ ვცხოვრობთ დედამიწაზე.
გმირის საძებნათ ვერ წავალთ მარსზე.

ჩამოიარეთ ჩვენი ქვეყანა
და თუ თქვენ ნახავთ ამნაირ გვარსა,
ბოდიშს მოვიხდი, პატიებას გთხოვ
და შემოგწირავ ბატკნიან ცხვარსა

ნუ აღელდები, სპილო ლოლანო,
(სპილო სიმშვიდით არის ქებული)
რობრობაძეზე თქვენი სახელი
შემთხვევით არის „წაკერებული“.





# ლევარსის ლოხოლიკა

## აქა ამბავი ლევარსის ტყეში წასვლისა ხის მოსაჭრელად, სქის ნახვისა და დათვების შემოსევისა



„ლევარსი მოდის, ლევარსი... რკინის ჰამია“...
ეს დაიძახეს—და ხელად გაეარდა ბიჭი სამია.
წინ მიეგებენ... ლევარსი ოფლითა დანანამია...
მოკრძალებითა მიართვეს საჯდომად იქვე სკამია.

„ლევარსი, ხომ არ მოხუცდი?.. ხომ არ გლალატობს ჯანია?
„მოგვენატრეეი სუყველას; ვერ გხედავთ დიდი ხანია“...

— ეჰხ! ბიძიებო!, რაღა ვარ აწ ძველი ამირანია..
სამ დათვით ძირეული ხე მთიდან აქ მომიტანია.

„რას ამბობ, კაცო!?! ო-ხო-ხო... უყურეთ ერთი ამასა!?
„მე ტურის ნახვაც მაშინებს, მიმწარებს სმა და ჭამასა,
„ეს კაცი დათვსა ერევა, დათვი უძახის: „მამა“ სა
„ბარემ გვიამბე, ლევარსი... ნუ დაიზარებ მის თქმასა

—.—

აღარ მახსოვს იყო რა თვე; მხოლოდ იყო ზამთარი კი.
გამითავდა უცბათ შეშა... გამიციედა კუდის რიკი.
ავდექ დილით, და არაყი გადავკარი ერთი ტიკი;
შემდეგ ტყეში გავუყევი, როგორც ცხენი თოხარიკი.

მხარზე თოფი მიკიდია და ცული მაქვს გარჭობილი.
(თოფი, ცული ტყეში არის ჩემი მამა და ძმობილი).
ვარ შეშის და სანადიროდ ორივესთვის მოწყობილი.

და წავაწყდი ერთს წიფელას, თვით ცამდინა რომ ასულა.
თურმე ღმერთი ზეციდანა ამ წიფელით ჩამოსულა.
როცა ქრისტე დაიბადა, ეს ხე მაშინ აშოსულა.

შევხედე და მისი წვერო:—ებჯინება თვითონ მზესა.
ასი კაცის ასი ხელი ვერ მოუვლის ირგვლივ ხესა.
გამიკვირდა:—ღმერთო, ღმერთოო, რა არის ნეტა ესა.

ვფიქრობ:—მოვსჭრი და დავაპობ, დავურიგებ მეზობლებსა.
ქვრივებს მივსცემ ერთს საჟენსა და ორს საჟენს კი ობლებსა,
რაც დამრჩება, დავურიგებ ჩემს ნაცნობებს, მახლობლებსა.

თოფი იქვე ხეზე შევდე, მოვიმარჯვე ხელში ცული;
დავაპირე მოჭრა, მაგრამ მესმა რაღაც მე ჩურჩული:
„ხელი სტაცე, ამოგლიჯე“—მეუბნება ამას გული.

და დავავლე ხელი ხესა, რომ მიწიდან ამოვთხარო.
ამ დროს თაფლი ხის წვეროდან გადმოდინდა როგორც წყარო.
გავიქანე როგორც ჩქოლა, რომ სკა ქვემოდ გადმოვყარო...

მაგრამ სკა არ ჩამოვარდა—ტოტზე იყო მიბაწრული.
ვაშჯობინე ზევით ასვლა; ავიტანე თოფი, ცული.
ფუტკრები გარს მეხვეოდა, და სკა იყო თავდაცული.

ცასთან ვიყავ მეტად ახლოს, ღვთის ხმა მესმა ზეციდანა.
დავაპირე სკის ალება, გადმოვხედე ზემოდანა,
სიზმარივით მომეჩვენა დედამიწა და ქვეყანა.

ჰო-და, როცა გადმოვხედე—ქვეშ დათვები დავინახე.
ბმოცოცდენ ხეზე ყველა,—არ მეცვალა მაინც სახე.
(ლონეს სჯობნის ხშირად ხერხი თუ კი ჩქარა გამონახე)

საით გინდა რომ წახვიდე? რას დააკლებ მტერს მრავალსა?
შეგჭამენ და—ვერ იპოვნის თვით პატრონიც შენსა კვალსა;
მერე წადი და უჩივლე, სადც გინდოდეს თაფლით მთვრალსა.

ერთი იყოს, ანდა ორი, მაშინ ვიცი: ვსტაცებ ხელსა
და ორივეს ერთად შევკრავ, შემოვახვევ ხვანჯარს გრძელსა,
ისე მაგრად მოვუჭირებ, რომ გავსწყვეტ შუაზე წელსა.

—:—

ხიდან ხეზე გადავედი; დათვებმა ვერ დამინახეს.
რა მიწაზე ჩამოვედი—მოვეფარე კლდესა და ხეს.
(აწ ლევარსიმ კარგად იცის—მათ დაუდგამს თუ რა მახეს).

ისევ მივედ ამ ხის ძირად, ცული მაგრად შემოვკარი.
ამ დროს ზღვიდან ამოვარდა ჩვენს საშველად მძლავრი ქარი
და წიფელა წამოიქცა, დავახვედრე მას ეს მხარი.

გავიდევი ის ხე მხარზე თვისი სკით და დათვებით.
დათვებს ვსცინი, ვეკითხები:—აბა, ეხლა რას შვრებითა?
აბა ვნახოთ: თქვენ სოფელში თაფლით როგორ დათვრებითა.

შემვედრენ!—შეგვიბრალე და ნუ დაგვჭრი ყველას თავსა.
სულსა და ხორცს თუ შეგვარჩენ—გიფეშქაშებთ ყველა ტყავსა.
ნუ შეგვარცხვენ და ნუ მოჰფენ მთელს ქვეყანას ამ ამბავსა.

მაგრამ არა, არ ვისმინე მათი თხოვნა და ვედრა.
ვუპასუხე: მე არა მრწამს პატიება თქვენი, არა..
რომ ვიყავი ამ ბაასში—ერთი დათვი გამეპარა.

ეს შევნიშნე და გავბრაზდი, დავედევნე უკან ჩქარა.
მაგრამ დათვმა თავს უშველა—მთის გადაღმა გადიარა;
როს დავბრუნდი ისევ უკან—აღარ დამხვდა ერთიც არა.

—:—

„ხა—ხა—ხა—ხა“...

ნუ იცინით!.. აწი არის ეს ამბავი...

დავიფიცე: ო, დათვებო, თქვენ მოგიკვდეს ჩემი თავი
არ გავაძლო ძალლი თქვენით, არ ჩავიცვა თქვენი ტყავი.

დავედევნე... ულრან ტყეში გავათენე მთელი ღამე...
როს გომშივდა—მოვკალ შველი, შევწვი მწვადი და შევსჭამე...
დავიჭირე ორი დათვი, იქვე ახლოს გავასამე.

„ოჰ—ხო—ხო—ხო.. ყოჩაღ, ყოჩაღ“.

ჰო-და სახლში მოვიყვანე...

გადმოვიდენ მეზობლები: დავით, გიგო და ივანე
და თითეულს იმათაგანს თითო დათვი გავატანე.

ზმუკი.



## ზაკტკო-ს არჩევნები



გვარელიძე. ჩემო აკიმოვო, მართალია შეგზავნი დასავლეთ საქართველოს რკინის გზის ხაზზე მოხსენების გასაკეთებლათ, მაგრამ რა უნდა ესთქვა, როცა არაფერი გაკეთებულა, გარდა კოოპერატივებში ფულის შეჭმისა?

აკიმოვი. წადი, ნუ გეშინია. გამოაცხადე, რომ: ეხლა ჰალე დარიგდება ფართლეულობა.

## უშადილობა ჯობია თუ სადილი?

„უსადილობას-სადილი ჯობია ათი ათასჯერ“-ეს ღრმა აზროვანი გამოთქმა განსვენებულ სოლომონს ქკუთენის და მისი სიმართლე უდაო იყო აქამდე, მაგრამ თელავის მაგალითმა ეს უდაო საკითხიც სადაოთ გახადა და აი, რატომ. მუშკორი „დარდუბალა“ იწერება:—

„თელავში არსებობს შინა მრეწველ-ხელოსანთა სასადილო. ამ სასადილოში საჭმელს ისე არ მოგიტანენ თუ შიგ ბალანი არაა (ეტყობა მზარეული თმა ხუჭუჭა ბიჭი ყოფილა!) და იმასაც, ისე ვერ მიიღებ თუ არ გამოიძინე“

საჭმლის ფასათ, რომ ძილს მოითხოვდენ—ეს მხოლოდ პირველად გვესმის და ისიც თელავიდან. წვრილ ხელოსანთა სასადილო ამგვარი საქმიანობით კერძო სამიკიტნოებს, რომ კონკურენციას ვერ გაუწევს—ეს ვიცით, რადგან ბალანი ძალიან ცუდი ღირსების საკმაზია საჭმელისათვის, ხოლო ღამის გასათევი სასტუმროები რომ მოისპობა თელავში, ეს კი ცხადია:—რადგან ხელოსანთა სასადილოში იოლათ, იაფ-ფასიანი და თითქმის სრულიად უფასო ყოფილა ღამის თევა!

### „მალადეც“ ბიჭებო!

როგორც მუშკორი „კადრელი პროლეტარი“ გვატყობინებს, ჭიათურაში საჭირო სიმაღლეზე მდგარა „სმა-ჭამა ფრიად შესარგი“. „კადრელი პროლეტარი“ გვწერს:—

„ეაგონის მტეირთველი მუშების ადგილკომმა ბრეგვაძემ და მისმა ტეხნიკურმა თანამშრომელმა კოლიამ ქეიფს მიყვეს ხელი. სამიკიტნოები დაალალეს, ცოლები გაპრანჭეს და როგორც რევიზიამ აღმოაჩინა—ადგილკომების ფულებით უწარმოებიათ ყველაფერი ეს!“

ადგილკომ ბრეგვაძეს და მის ტეხნიკურ თანამშრომელს, ფულების გაფლანგვაში იშვიათი შეგუებული მუშაობა და თანამშრომლობა ჰქონიათ! „მალადეც“ ბიჭებო, არის მიზეზი თუ რით იამაყონ ბრეგვაძემ და კოლიამ, მაგრამ ცოლებს მაინც რაღა აქეთ გასაპრანჭავი? ალბათ, მათ ის უხარიათ, რომ ქმრები სატუსაღოშიაც შეგუებული წაბრძანდებიან, ხოლო მათი „წაბრძანების“ საქმეს ტეხნიკურათ ალბათ პროკურორი უკეთ მოაწყობს!

## ყბადასაღები—წყალწასაღები

### აი, სოფ ლ. სად.-ზღვიართის ტაძრის გაკირულ ია

რა დანიშნულება აქვს სოფლათ საკითხველოს? არ იცით ხომ? სოფელ გაკირულში კი საუ ხოვით სცოდნიათ, აი, ძაგალითად მუშკორი ი. ჩაილურიძე გვწერს: —

„ჩვენი საკითხველოს შენობაში „გუშინდლამ“ ერთ ამბავს შევხვდი:- ერთი ახალგაზრდა ქალი მარჩიელს აკითხინებდა?“

საინტერესოა ვიცოდეთ ახალგაზრდა ქალი მარჩიელს რას აკითხინებდა გაზეთს თუ საკითხველოს გამგის ახალდამსვლელს და გადაკვალსულ ჯანას ნელის გასაგებათ არჩილი ... პიუსუხებიათ; გაკირულის სამკითხველოს გამგე კაი ხანია გაკირულ ყუთში ჩასვეს და...სად წაიღეს, ალბათ ეს მარჩიელზე უკეთ ადგილობრივ თემაღმაცკოის ეცოდინება!

### „სიღნაღისა „ეპოქო,“ ყალთაბანდობა ბეყოვო!“

სიღნაღის „ეპოქა“-ში მშვენიერი წესი ქონიათ შემოღებული. მუშკორი „ოინბაზის“ სიტყვით:-

„სიღნაღის „ეპოში“ საქონელი დამალულია „სტოიკის“ ქვეშ. როდესაც წევრი შევა, თუ ხაცობა -მისცემენ და თუ არა-უარს ეტყვიან“.

რაღა სიღნაღის „ეპო,“ სიღნაღის მაზრაღმასკომი, რაღას აკეთებს?. თუ „ეპო“-ყალთაბანდობა ნაცნობია მისთვის, აღმასკომი მას მისცემს...პასუხის გებაში, თუ არა და რას ერჩის.

### მის რა აწუხებს!

არის სოფელი ქაგანი და არის ქაგანში სპირიდონ ხვიჩია—კაცი, რომელიც სიხარულით უნდა სტიროდეს და ის კი ლექსით წუწუნებს:—
„არა გვაქვს საკითხველო გაზეთით,
არც მღვდელი—დიაკონია,
ლანირ-ქაგანმა დაგვცანცლა
საქონელი და ფულია.

თუ „ლანირ-ქაგანმა“ ღვდელი და დიაკონი დაგცანცლათ—მართლაც კაი საქონელი დაუცანცლია! „ბარაქალა“ მათ ხელებს! მაგრამ მოქალაქე ხვიჩია—თქვენ რაღა გაწუწუნებთ? ღვდელ-დიაკონის შეძენისთანა ადვილი ახლა არაფერია—ერუსალიმში ვირები არაა ისე იაფი, როგორც ჩვენში უადგილო მღვდელ-დიაკონი! ინებეთ შესი ქირიძე, მიირთვით ჩემო ბატონო, ოღონდ... ლექსების წერას ანებე თავი, ხაშეტანი ძვირი უჯდება თვალებს მათი კითხვა!

## ხოსოს ჯორი

(ნაადვილი ამ ავი)

ერთხელ ხოსო მაყრად იყო
სუფრის გაღმა—გურიანთას,
—და იმ ღამეს ისე დათვრა:
ველარ სწევდა სუფრიდან თავს.

ხოსოს ჯორს კი სხვა ცხენებთან
აძროვებდენ მასპინძლები,
ხოსომ დილით ველარ ნახა
ვერც ჯორი და ველარც ძვლები.

სხვა მაყრები ცხენზე შეჯდენ,
მოუხადეს მას ბოდიში.
ხოსომ ზურგზე წამოიგდო
უნაგირი და ბალიში.

მესამე დღეს თავის სახლში
როცა იჯდა მოწყენილი,—
მას მიართვეს მასპინძლიდან
სამძიმარი მოწერილი:

ჩემო ხოსო, აღარ არის
აწ ცოცხალი შენი ჯორი;
თურმე ღამით თავს დაესხა
შეაპმელად ტურა ორი.

ჩემი მურა ლოცავს ტურებს,
რომ აჭამეს მას ხადილი;
მე კი ვსწყევლი, ჯორის ლეშმა
მომისვარა რომ ადგილი.

იგი მაინც მოკვდებოდა,
რადგან იყო სენიანი;
აწ კი სტუმარს არ მივიღებ
თუ არ არის ცხენიანი.

ხუშტური.

## გადაწარმოება



— ...სხვა. როგორაა თქვენი წარმოების საქმე?..
— ვაწარმოებთ კი არა, მეტიც მოგვივიდა მგონი...
— როგორ?...
— გაზეთში წაიკითხავთ ხვალ... ხ.

## „მუშაობის გადატანა“



„ქედის მაზრის აგრონომიული პუნქტის გამგემ ამ ზამთარში თავისი მუშაობა გადაიტანა ყავახანაში“.
ნეტავ იყოს მარადი ამნაირი ზამთარი;
არე-მარე, მთა-ბარი თეთრი თოვლის კაბაში.
აქ ხუჯობს ყოფნახ დახაში, ხაქმე კი ჯანდაბაში.

# კომპარტიის ყრილობა



—მაგათი დღეები დათვლილია მალე მოვესწრები მათ დამხობას.
—დღ ში რომ 3.650 ამდე დაითვალო, გამოვა ათი წელიწადი. რვა წლის განმავლობაში სულ ითვლი დღეებს; ყოველ დღიურად ათი წელიწადის დათვლით, გამოვა დაახლოვებით ოცდაათი ათასი წელიწადი.

მაშასადამე შენივე გამოანგარიშებით ოცდაათი ათას წელიწადს მაინც იქნებიან კომუნისტები, —და შენ რისი იმედი გაქვს, რომ მოესწრები მათ დამხობას.

# „...მაგრამ ბოლოს გამწარდების"



„...ჯამაგირის მიღების დღეს მიკიტნები მოდიან სადარომში ნისიების ახდებად... მუშა ჯიბე ცარიელი მიდის სახლში"
მენ გეგონა—ნისია
ვინც წაიღებს მისია?

# გომბორი

ტარტაროზო, რაღას უცდი
გელოდება შენ გომბორი.
ბევრი არის „ავათმყოფი"
(არა ერთი, არა ორი)
და იცოდე—მათ მოარჩენს
შენი ნახვა და აბბორი.

ჩუმად ძოდი და ნუ ასტეხ
აქ მოსვლის დროს ხმაურსაო.
ინახულებ თავმჯდომარეს,
გვარად ტატიაურსაო.
(თუ გაიგო ჩემი გვარი,
ასტეხს აურ-ზაურსაო)

ჯერ არის და—ავად არის,
აქვს ხელება საშინელი
თუ რამ უთხრა იმას გლეხმა,
პასუხი აქვს მეტად ხული.

ერთხელ ვანომ განიზრახა:
სოფლის გზების შეკეთება;
ამიტომაც მოიწვია
ერთად ყველა კუთხის კრება

დაადგინეს:—გაკეთდესო—
და წავიდა ყველა სახლში...
(ამიტომაც ალმასკომზე
საყვედური ისმის ხალხში).

ალმასკომში სხვასაც ნახავ
შენს საკეთის—საქმთმართველსა,
კარგს იზამდი, ტარტაროზო,
დაუმოკლებ თუ მას ხელსა.

სიგუამ მილიციელსა
კვერცხი ესროლა თავშია,—
მილიციელმა მოჰკრიფა
ძალლონე ორთავ ჭკლავშია
და ისე მაგრად გაარტყა
მან სილა ორთავ ყბაშია,
—რომ მოეჩვენა სიგუას
ზებია მაღლა ცაშია.

ეს ითაკილა სიგუამ,
გამოიწვია კარშია:
„თუ ვაჟკაცი ხარ,—გამოდი,
ვიჩხუბოთ ბარდაბარშია".

მილიციელიც გავიდა,
სიგუამ დასცხო თავშია.
თურმე ძალ-ღონე სიგუას
მეტი აქვს მუხლს და მკლავშია.

ჰო-და ასეთი ამბები
გომბორში მეტად ხშირია
და ამიტომაც, ტარტაროზ,
შენი ჩასვლა გვჭირია.

ოხერა.

# „ნადირობა"

იქნებ ბევრს ეს ამბავი ზღაპრად მოეჩვენოს, მაგრამ შეცდება.

მართალია ამერიკაში შვიდ სულზე ერთი ავტომობილი მოდის, მაგრამ იმათ არა აქვთ იმისი შნო და უნარი, რომ სანადიროდ ავტომობილით იარონ..

აქ, ჩვენში, მიუხედავად იმისა, რომ 100.000 სულზე ძლივს-ღა მოდის ერთი ავტომობილი, მაინც შესძლეს ამ სიძნელის დაძლევა..

ავტომობილებით ნადირობის პირველი ცდა მოახდინეს ბელანთუშის ტრიალ-მინდორზე, თელავის რკ.-გზის სადგურის შესაყურებმა.

ცდამ კარგი შედეგი გამოიღო: კინაღამ მოჰკლეს ერთი კურდღელი, რომელმაც თავი შეაფარა ბუჩქებს, თორემ რომ დასწევოდნენ და დაეჭირათ, აუცილებლად მოჰკლავდნენ

როგორც პირველი ცდა, ავტომობილს ვერ მისცეს დიდი სისწრაფე. (ამ შემთხვევაში კურდღლის სისწრაფე მეტი იყო ავტომობილის სისწრაფეზე).

ამ მიღწევამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მხეცებ ნადირებში, რომლებმაც მოიწვიეს სრულიათ თელავის რაიონის კონფერენცია. მხეც-ნადირთა.

თავმჯდომარეობდა დათუნია. მდივნობდა მელიკო კუდაგრძელიძე. გამოიტანეს დადგენილება, რომელშიაც პროტესტს უცხადებენ თელავის სადგურის მმართველობას.

რეზოლიუცია სრულდება ასე: „ვინ მოგცათ ნება ჩვენზე ნადირობისა? რაკი ასეა, აბა ვნახოთ ვინ აიღებს მეტ მსხვერპლს. ჩვენ თუ ავტომობილი".

ბაბუნჯი



ამ შემთხვევაში კურდღლის სისწრაფე მეტი იყო ავტომობილის სისწრაფეზე



ამ მიღწევამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მხეცებ ნადირებში.

# გამოცანა

(საჯევახოსათვის)

ხელში ტროსტი, ზურგზე პლაშჩი,
ულვაშები აბზეკილი;
მუდამ დადის, ვერ ისვენებს,
იპრანჭება, არ აქვს ძილი.

სადაც იყო ის უფროსად,
საქმეს ძირი გამოუთხარა,
ბლომად ფული „ჩაიმასქნა",
და ესეც კი არ იკმარა,

სხვებსაც ბევრი დაუთიშა;
მეგობრებში უყვარს ლხენა;
უნდა: ყველას „პატივი სცეს"
და არ უნდა არვის წყრომა

თუმცა ხნობით დიდი არის
(ჭაღარაც კი ურევია),
მაგრამ ბნელი ღამეები
ქალებისთვის უთევია..

ეხლა ყველა მიხვდებოდით,
გამოცნობა ადვილია
(თვით წერილის სათაურშიც
მიგითითოთ ადგილია).

პროვინციის ტარტაროზი.

# სამტრედია

მსურს: ეს წერილი შევწირო
ქალაქის არე-მარესა!
რა ვქნა, როდესაც მრავალი
ნაკლი აქვს ამა მხარესა.
(ამბობენ: თურმე თაყვანს სცემს,
ზოგი მზეს — ზოგიც მთვარესა).

—:—

ყოველგან, სადაც მივწვდები,
ვიქნები დაუდობელი;
და ამა ფიცის, ამ სიტყვის,
(ვით საყვარელი მხმობელი)
გაებედეპით მკურნალად, ტარტაროზ!
აზრს ვინ შეიცვლის, რომელი?!

—:—

დავიწყოთ: გაგვიქალაქდა
წელმოწყვეტილი დაბაბი!
გახსოვს: „მინისტერი" ჩხენკელმა
რომ შექმნა ერთი ამბავი —

—:—

სამტრედიამაც მიიღო
„სხვათაშორისო" წოდება!
მაგრამ რა? გული მიკვდება,
რომ ვისმენ იმის დიდებას.
(ათასნაირი ფიქრები
გარშემო ჩუმად გროვდება).

—:—

არ იქნა მის წინ წაწევა —
ისეა, როგორც გუშინ,
ვინ არა ყავდა პატრონი,
მაგრამ ყველამ ქვა უშინა.
და ამის გამო უკანსვლას
თანდათანობით უხშირა.

# თელავი

## ელექტრონი



ელექტრონის სინათლე
ხან არ არის, ხან არი,
ამიტომაც სჯობია
მას ჭრაქი და ფანარი.

## ,,ბ ა ღ ი"



აქ არა ჰყვავის
ვარდი-იები,
მაგრამ ნავარდობს
ღორუტუნიები.

---

ნეტავი, როდის მიხედვენ,
ამ უპატრონო საწყალსა?!
გეგმა ბევრია, საქმე კი
მიაქვს ნიაღვარს და წყალსა.—
ვინმე განკურნავს სიცოცხლით
ასე უდროოდ დამწვარსა?!

—:—

თუმც დახლეჩილი გახლავარ,
მაინც სიფრთხილე მჭირია—
დღეს ეს ანდაზა ნათქვამი,
ჩემზეა გამოჭრილია—
აწ ვექილები მოვნახოთ:
ზესო და ჩვენი ილია.

—:—

სტუმრებად იყვენ მოსული
აქ მკვიდრად ჩაითვლებიან;
მე აღარ ვიტყვი, ისე კი
დადის მწუხარე ხმებია.
(იმათ შესახებ, ნამდვილი
საბუთი ჯერ არ მხლებია).

—:—

კარგი ცხოვრება ვისა სძულს?
ვინ არის ბრიყვი, სულელი!?
როცა პატივი და განძი
ირგვლივ გეფრქვევა ულევი
და მუდამ განცხრომაში ხარ,
ყოველდღე ქეიფს რომ ელი!

—:—

გრიშა ეკუთნე ასეთ ტიპს,
(გველესიანი გვარითა)
და ამიტომაც ქალები,
ესეა ექიმს ჯარათა.
(საფლავში აღარ ჩაყვება
მას არაფერი ჯავრათა)

—:—

ბევრი რამ მინდა დავწერო,
როგორც რიგი და წესია!
ცოცხალი ჩემთან ვიგულო
და გადავაგდო ლეშია—
შვილი რომ სჯობდეს მამასა,
ხომ კარგზე უკეთესია?!

—:—

ორი თეატრის შენობა
ცად აყუდული წვერებით
გვაქვს—და ნეტავი არც გვქონდეს—
ასე არ გვეწვალებით—
მის არე-მარე გამრავლდა
შემოდგომისა მწერებით.

—:—

რაც უნდა ცუდათ ახსენო,
შიუძლენა საყვედურები—
თუ კაცსა თავის ადგილას
აღარ აბია ყურები—
მისგან ვერაფერს მიიღებ,
ამაზე დამერწმუნები.

—:—

ასეა ჩვენი ექიმი,
სანიტარული ორდერით!
თუ მოვიყვანე ჰკუაზე
ჟურნალში გადაგორებით—
თორემ ის ისევ დაგვრჩება:
სენით, სუნით და ღორებით!..

ბზიკი.

# რას გვწერენ

(ტარტაროზის საკუთარ აგენტებისაგან)

## ქედის მარრაში (აჭარისტანი)

დაარსდა ღვინის მოყვარულთა ხუთეული, რომლის სხდომები იმართება ყოველ საღამოს გლეხკომის სამზარეულოში.

**ხუთეულის მიზანია** საუკუნეების განმავლობაში ღვინის სმას შეჩვეულ აჭარლებს შეაყვარონ ღვინო (ამგვარად მეორე კარგ საქმესაც აკეთებენ: ებრძვიან ანტირელიგიურ კომპანიას).

ხუთეულის წევრებად არიან: კოლა, სოსო, ვილო, მიხო და ზარამო.

გლეხკომის სამმართველოში აღმოჩნდა პატიმარი ძაღლები, რომლებსაც ბრალდებათ გლეხკომის გაფლანგვა. „ბოროტი ენები" ამბობენ, რომ გამფლანგველები მიიმალენ და მათ ნაცვლად დაიჭირეს ძაღლები, რომლებიც მართალნი არიანო.

კარბუქი.

# ქუთათური ივანოვსკი ანუ

„ტაბტრესტში მოხსნილ ბუღალტერ ივანოვსკის ნაზეუმწიფო ბანკში უკეთესი ადგილი მისცეს“

შიდა.




ახალი ტექნიკური გამოგონება თუ როგორ შეიძლება ბოროტმოქმედებისათვის „ტრესტის დაბალი სკამიდან გადმოზრძანდე“ და... ბანკის მაღალ სკამზე დამკვიდრდე.

## დ. ჩხოროწყუ

ცხვირი. ბაზარზე ქურდულად სეირნობის დროს გრიგორ ჩუბინიძეს მოპპარეს ცხვირი. ადგილობრივმა ფერშალმა დიდი მუშაობის შემდეგ დაამტკიცა ჩუბინიძის ზარალის სერიოზულობა. მიღებულია ზომები ბოროტმოქმედების აღმოსაჩენად. მილიცია და ალმასკომი ფეხზე სდგას. ეჭვი სამ ქალზეა მიტანილი. „ეპოს“ ყარაულს დაუნახავს, რომ ვიღაც ქალი გარბოდა და ხელში ჩუბინიძის ცხვირი ეჭირა. ყარაულს შეშინებია: ეგეც არ წამართვან ცხვირიო—და ფურნეში მიმალულა. ალმასკომი და მილიცია „საგარანტიო ხელშეკრულება“-ს ადგენს და მოლაპარაკებას აწარმოებს, რათა ყარაული გარედ გამოვიდეს და ჩვენება ჩამოართვან.

ადგილობრივი ინტელიგენციაც დამფრთხალია ამ ამბის შემდეგ და როცა ქალებს დაინახავენ, თავიანთ ცხვირებს ორივე ხელებით იცავენ.

არც მოარშიყე ეპკრებს ადგილათ ხეირი. თომაძეს თავისი ცხვირი ჯიბით დააქვს. საერთოდ შიში დიდია. გლეხკომსაც დასჭირდა საქმეში ჩარევა.

აწ შენ იცი—რა ზომებს მიიღებ, ტარტაროზო.

მიუაშელი.

## გამოჩინებულის თემი*)

„ჩამოუღება რჯულზე უმტკიცესია“.

ნიკო დედელმა პრილასტის ყური მოსჭამა**). დაზარალებულმა სასამართლოში იჩივლა.

ბრალდებულმა მიუგო: გოჭის ყურის ჭამაზე ვიყავი დაჩვეული და შემცდა. ნიკო გაამ[illegible] სასჯელად მიუსაჯეს ყოველ კვირაუქმე დღეებში სოფ. ოქეთში სწირონ.

ტინტრავა.

## შორაპანი

დასვენება. მუშათა კლუბის გამგეობამ გადასწყვიტა: იძინოს მთელი ზამთრის განმავლობაში, რადგან ღამეები დიდია და დასვენება უფრო მოსახერხებელია ეხლა.

„ეპიდემია“. გახშირდა თავის მოწამლვა მხოლოდ წმინდა წყალით და თავის მოკვლის განზრახვა დანით, როცა უზრუნველყოფილია, რომ ხალხი მოუსწრებს.

„მოციქული“.

*) მართლაც გამოჩინებული ყოფილა თქვენი თემი.

**) ყურის მოჭმის გამომწვევი მიზეზების დასაბუთება ინახება ჩვენთან და გამოქვეყნებული იქნება ახლო მომავალში.

ტარტაროზი.

ტ.

## ქვემო-ჭალადიდი

„ალმასკომი“. ადგილობრივმა გლეხებმა ალმასკომს გამოუნახეს შესაფერი სახელი: „დალმასკომი“. ამბობენ: ეს იმიტომ, რომ ჩვენი ალმასკომი ალმის ნაცვლად, უფრო დალმა მიდისო—წითელი სასადილოსკენო.

„მიმყვლებული“.

## ტობანიერის თემი

„ურწმუნო თომები“. საბჭოს სარევიზიო კომისიამ ვერ დაარწმუნა „ურწმუნო“ გლეხები, რომ სკოლის სააღმშენებლო თანხიდან გრიშამ კანონიერის გზით მიიღო ბინის ქირა და შეშის ფასი.

„დატვირთვა“ (იქიდანვე). გლეხკომის მდივანს—ბიქტორს ერთის ხმით დაუდგენია: შეაჩერონ სამი თვით ლენინის და არაყის სმა, რადგან უსაქმობით ძლიერ დატვირთულია.

კიკო

## დუშეთი

„იაფ-ფასიანი სწავლა“. დუშეთში არსებობს მუშა-მოსამსახურეთა კლუბი, სადაც ხელმისაწვდომ ფასებში ასწავლიან: კარტის, კამათლის, ნარდის, დომინოს და სხვების თამაშს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ერთი წლის შემდეგ ჩვენში არ იქნება არც ერთი კარტ ნარდ-კამათლის თამაშის უცოდინარი.

ი. ვ.




საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა. თბილისი, კამოს ქუჩა № 68.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ფასი ორი შაური.

# ნიანგი

№ 29 | კვირა. 20 დეკემბერი. 1925 წელი. | № 29



1905—1925

ოც წლის წინათ ასე იყო:
ძირს მუშა და, ზევით ნიკო!

ოც წლის შემდეგ ასე მოხდა:
ნიკო მუშის — ფეხქვეშ მოხვდა!

# 1905—1925

(მოგონებანი რითმებში)

1905 წელი!
აჯანყება. ცეცხლი მწველი!
ნიკოლოზი, ალექსანდრა.
პურიშკევიჩი, ვიტე, ახ და
ტრეპოვი ან ადმირალები:
—მოარჩინე თ ტახტი კლიზმით!
გაიყინა ტახტზე ტვინი:
ალექსანდრას—რასპუტინი,
ნიკოლოზს კი
პირში ლოლო!
ხალხის დრტვინვას არა აქვს ბოლო.
შეხედეთ, ბიჭო—
ლობეს ჩხირი:—
პროექტები ფრიად ხშირი!
გაიარა ტვინში ვერსტი
—გაჩნდა ვიტეს მანიფესტი.
ავედრებენ თვის თავს უფალს,
პირდებიან თავისუფალს:—
სიტყვას, კრებას,
ბეჭდვას, ჭამას,
სიარულს და ყველას ამას.
და ბევრ სხვასაც ამის გარდა.
ხალხი მაინც არ დაწყნარდა.
გაცხოველდა ბრძოლის მადა,
გაჩნდა ბევრგან ბარიკადა!
ისმის ხმები ტყვიამტყორცნის,
მუშა ქუჩებს ტყვიით კოცნის,
ბრძოლებით მთა და ბარად,
ბრძოლის ჟინი—თავ-საყარად!
მაგრამ უცებ—
ტახტის მუკელს
ამოავსებს ფრანკით ფრანგი,
ტახტს შერყეულს გაამაგრებს
ეს ყაჩაღი და აბრაგი!
აქ ეძლევა ტრეპოვს ნება—
რეაქციის შემეცნება
გამოხატოს ორი სიტყვით:—
ზარბაზნებით შემოვირტყმით!
არ გვნებდება მუშა ნებით?—
არ დაზოგოთ პატრონები!"
და ჩაიხრჩო სისხლის ზღვაში
ფოლ-მაგარი ბრძოლის რაში.
გაიყინა ტახტზე ტვინი.
უკვე გაჩნდა სტოლიპინი.
ასახლებენ—ყველგან ყველას,
გზა ფართო აქვს სახრჩობელას.
აღარ უჩანს,
ბოლო ციმბირს,
რეაქციის ფეხმარდ სირბილს
და წამებულ რიგებს ძმათა:
—გაისტუმრა
რეაქციამ რაც ისესხა,
რაც ემართა!

## 1925

დაკეტილი
გახსნათ ყუთი.
ჩავიხედოთ, ვნახოთ ცხრილი
აქ რაი არის თავერო რილა:
—ჯვირგვინია პირველად მეფის,
საპეოანგე შეიდეკ მეფის—
რასპუტინის „წერი" და მაშის"
ახლ უკვე „დიდი ხარი".
ფეხძოძძვ—ალი მეფის ტახტი.
(ალექსანდრას გადავახტით!)
დიდოფალი ალე სანდრა—
საყვარელი მისი ივა, და
მე ხრე კიდევ უცხო კურო:
—უ ტატო, უმანიფესტო.
უტახტო, უსა სახურო!
ხსოვნის ყუთი ძველის იტევს:
—ათას ძაღლს და ას ერთ ვიტეს,
ათი ათას მამაძაღლებს
ისტორია ზიზღით აშხეფს.

მკითხველმება ხომ იციან-
აქ იქნება პოლიციაც,
ჟანდარმები, მღვდლები, ბერი,
ქოფაკები ბევრის ბევრი...
ერთი სიტყვით მავნე სულნი,
რეაქციის მოციქულნი-
ცალ-ცალკე და ერთად ყველა
ისტორიამ გადაპელა!
და რა დაგვრჩა?
ბატონობა-საუკუნო გლეხის, მუში
დღის ჩვენ სირცხვილს და ჩვენ ...
ვე ... ხელს ვერ შეუშლის!
დღეს ქარხნები—მუშისაა!
და ... ძიწა—გლეხისა!
ბურჟუებს კი თუ არ მოსწონთ,
გასკდნენ გულზე—ამ ჩვენ ფეხებს
ბრახდებიან „ჟუჟკილები"
მწარე დღეთა მწარე ხახვით?
კისერზე არ გადაგვაპრან
დაგვიღლული მათი ხაპი!

ია.

# „მიეჩვია".

მეხუთე წელიწადია, რაც გრიშას საპასუხისმგებლო ადგილი უჭირავს



მეხუთე წელიწადია, რაც გრიშ საპასუხის-მგებლო ადგილი უჭირავს

და მართალი უნდა ითქვას: მისგან ცუდი არავის ახსოვს.

მკლავებით მუშაობას იყო მიჩვეული



მკლავებით მუშაობას იყო მიჩვეული

როცა იგი ამ თანამდებობაზე ... ნიშნეს, ძალიან ეშინოდა. ზურგი



როცა გრიშა დაინახავდა ჩინოვნიკს, ანუ ფრაკიან და „კრახმალიან" კაცს ქალ... მოზუტიალეს, განზე გაუდურთხებდა და ზიზღით ჩაილაპარაკებდა:

და ამიტომაც: კალმით და გონებით მუშაობის არაფერი ესმოდა.

— ვაი, თუ რამეში მოვსტყუვდე და ბურჟუების გასახარელი საქმე გავაკეთო?!—ფიქრობდა იგი.

მაგრამ გრიშა მალე შეეჩვია თავის საქმეს, და მეორე წელიწადს უკვე გრიგოლი გახდა.

მართალია პარტიული სტაჟი გრიშას პატარა ჰქონდა, მაგრამ, როგორც მუდამ მუშებში მყოფს და კომუშავეს, კარგად ჰქონდა შეგნებული მუშების მდგომარეობა და ყოველთვის მათი ინტერესების ქომაგი იყო; მოწინააღმდეგე კლასის—ბურჟუაზიის მიზნებიც კარგად ესმოდა.

როცა გრიშა დაინახავდა ჩინოვნიკს, ან ფრაკიან და „კრახმალიან“ კაცს ქალებთან მოხეტიალეს, განზე გააფურთხებდა და ზიზღით ჩაილაპარაკებდა:

— როდის დადგება ის სანეტარო დრო, როცა ბოლო მოეღება თქვენს თარეშს და ცხოვრებას სათავეში მშრომელი ხალხი ჩაუდგება?—

გრიშას საშინლად ეჯავრებოდა: „დიდ კაცების“ და „განათლებულთა“ ჩვეულება: ქალებისთვის ხელზე კოცნა, ქათინაურები, ალერსი, სალამობალები და სხვა ასეთები.

პირველ წელიწადს გრიშამ მართლა პირნათლად შეასრულა მისი წინანდელი შეხედულება: მის კაბინეტში თქვენ ვერ ნახავდით უსაქმოდ შემოსულ მოსამსახურეს და ნაცნობ ქალებს, როგორც ეს ბევრთან ხდება.

მაგრამ...

ერთ დღეს თანაშემწემ, ძველმა „სპეცმა“ გრიშასთან შემოიყვანა „მშვენიერი არსება“, გააცნო და საქმისმ არმოებლის თანამდებობაზე დანიშვნა სთხოვა; თანაც ყურში რაღაც საიდუმლოდ გადუჩურჩულა.

ბრძანებაზე ხელი გრიშამ ღიმილით მოაწერა.

ვერა მაგიდას მიუჯდა, რედიკული უჯრაში ჩადო, სარკე ამოიღო, შეილოროგან-შეიპომად-კრასკა ტუჩები და „საქმეებს“ თვალიერება დაუწყო.

მეორე დღეს დილით ვერა მოსახსენებელი ქაღალდებით შევიდა გრიშასთან.

წითელი მელნით აწერდა გრიშა რეზოლიუციებს; ერთხელაც არ შეუხედია ვერასათვის, მაგრამ...

როცა თავისდაუნებურად თვალი მოჰკრა ვერას ღია „ბროლის“ გულმკერდს, თავბრუ დაესხა და კალამი ხელში გაუქვავდა.

გრიშა შეეჩვია ახალ ცხოვრებას.

მუშები ინტელიგენციით შეიცვალა, ფეხით სირბილი—ავტოთი და გრიშა—„გრიგოლით“.

— ცხოვრების სილამაზეა, ჩემო კარგო, ხელზე კოცნა—უთხრა გრიშამ ვერას, როცა ქუჩის შესახვევში შეხვდა და ხელზე აკოცა.

— კომუნისტებს რომ არ მოგწონდათ ხელზე კოცნა?!—ნიშნით მოგებით გაუპასუხა ვერამ.

თუ სადმე გაიმართებოდა „სალამო“ და სახელობის დღე, ჩვენი „გრიგოლი“-ც იქ იყო.

მალე შეეჩვია „დარბაისლურ“ ცხოვრებას და „დიპლომატიურ“ მიხვრა-მოხვრას.

მართალია ამხანაგებთან ვერ ბედავდა ასეთ საქციელს, მაგრამ სალამო მოაწევდა თუ არა, მაშინვე ავტოთი მიჰქროდა პაემანზე.



სალამო მოაწევდა თუ არა, მაშინვე ავტოთი მიჰქროდა პაემანზე.

— უხეირო ჩვეულება გვაქვს: ყოველ წელიწადს ხელახალი არჩევნები. ეს სამი წელიწადი ზედიზედ მოვხვდი და გავედი, მაგრამ ეხლა როგორ წავა საქმე, ეს კი არ ვიცი... რა კარგი იქნებოდა, რომ ეს არჩევნები არ იყოს!.. მაშინ სადარდელი არაფერი მექნებოდა.

ასე ფიქრობდა გრიშა. როცა მომავალ კონფერენციისათვის მუშაობის ანგარიშს ამზადებდა.

* *
*

მუშათა კლუბის დარბაზი გაჭედილი იყო მუშებით.

„გრიგოლი“ მოხსენებით გამოვიდა.

გახსნა თავისი დიდი პორტფელი და ამოალაგა საბუთები...

მაგრამ დარბაზი უკმაყოფილოა.



მაგრამ დარბაზი უკმაყოფილოა.

— რა გიჯდებოდა ავტოს შენახვა?
— რა დახარჯეთ „ქალბატონებ-თან გასეირნების“ დროს?
— რამდენი ირიცხება თქვენზე ბვანსი?
— რატომ ეპყრობოდით მუშებს უხეშად?

გრიშა ბრაზისაგან ცახცახობდა.

* * *

რა უყვეს ამის შემდეგ „გრიგოლი-“ს-არ ვიცი.

მე იგი შემხვდა სოფლისკენ მიმავალი თავისი ძველი ხურჯინით. თურმე

მიზიბისლ სოფუსულ ლოზუმგისა.



„გრიგოლი“ ისევ გრიშათ გამხდარიყო და, ისევ სოფლისაკენ ექნა პირი

მ. ობოლი.

# „ზერო“

(II სერია)

**I ხერიის შინაარსი.** ერთ ღამეს ზერო თავის ერთგულ გვარდიით თავს ესხმის თბილისის ერთ ჩაბნელებულ მუკას. თავზარდაცემული მილიციელი წყვდიადში გადაიკარგება. გამარჯვებული ზერო დაპყრობილს მუკას აცხადებს თავის სამფლობელოდ და სცემს ბრძანებას გამვლელებზე განსაკუთრებულ ბაჟის დაწესების შესახებ.,

მკაცრია ბრძანება... რომელი ურჩი გაბედავს გაძალებას?!. გაუსწორდება მას ზერო მუშტებით. (საქონელს ასეთს კი ცოტა ყავს მუშტრები).



მკაცრია ბრძანება... რომელი ურჩი გაბედავს გაძლებას? გაუსწორდება მას ზერო მუშტებით, (საქონელს ასეთს კი ცოტა ყავს მუშტრები).

—ო, უძლეველო,
შესძახა გვარდიამ.
მიიღე ძალ-ღონე
რაც კი გვაბადია!..
დაისვა საკითხი
სწრაფი და მწვავე,
რა სასჯელს მისცენ
„დვორნიკი“ მაჩე...
გაიყო საკითხში
გვარდია ორად...
და ამბობს ზერო
ყველას გასაგონად:
—ერთგულნო ჩემნო,
მტერნო მუდამ
ყოველ ზავისა!.
აღსანიშნავად საუკუნოდ
ამ ღამისა,
შედგით რა ფეხი
ტახტსა ჩვენსა
მოპოვილს ძალით.
და მოვულრიცხეთ
სამუდამოთ
მტრებს ყბების ძვალი,
საკეთილდღეოდ
ჩვენს შუკისა,
და საზრუნავად,
რომ არ ჰვახსენოს
ისტორიამ
შემდეგში ავად,
დარჩეს ეს ღამე
დასრულებულ
და მთლიან რგოლად,
ვუშვებ მანიფესტს
და ვაცხადებ
ყველას საგონად,
რომ ეპატიოს
მეეზოვეს
სასჯელი მძიმე,
თუ ის ყოველ ღამ
პატიოსნად,
ტკბილად იძინებს...
ქონდეს კომბალიც
(მოწყალება
დე, ჩვენი იცნას)
თუ ერთგულებას
იგი ებლავ
ჩვენ შემოგვფიცავს.
არის შემცდარი
ის სწორ გზიდან
ჩვენს მტერთა ძიერ!..
და
ერთხმად გვარდიამ
შემოსძახა

მოპაპალუპამიერ

წამოიჩოქა
„დვორნიკმა“ წამსვე
და ერთგულება
შეფიცა ასე:



აი ამ საფეხურზე უნდა ავიდეს და ჩამოვიდეს მოქალაქე, რომ თავისი საქმე გამოარკვიოს კანცელიარიაში

ფიცი და რაინდათ
შეწირვა მეეზოვისა.

ო, უძლეველო
უსადარო,
რაინდო დიდო,
შენი სახელი
ასე მცირომ
ვით არ ვადიდო?!..
არ არის ქუჩა,
სად შემეძლოს
შენგან გაქცევა,
და დიდ წყალობათ
მიმაჩნია
მე შენგან ცემა!..

ვფიცავ ამ სასტვენს,
ამ გრძელ კომბალს,
გამოთლილს თქვენთვის,
იყოს საწინდრათ
ეს ფართუკი
ბროლივით თეთრი,
თუ რომ ყოველ ღამ
დაჭყებული შელამებიდან
სადარაჯოზე
არ მეძინოს
როცა თქვენ გინდათ!..

და თუ ოდესმე
ვინმე ურჩსა
ქინჩში უბოძეთ,
ვფიცავ გადვიქცე
მე იმ წამსვე
ელსმენის ბოძათ!..
დავმუნჯდე, ვით ქვა,
არ წამომცდეს
თუნდ ინჩიკ ერთი,
და აყალმაყალს
შევეჩვიო
როგორც ჩინეთი!..

| |
|---|
| ამ ნამდვილ ამბავში უცნაური ისაა, რომ მეეზოვესაც კი სცოდნია ჩინეთის ამბები. |

და კიდევ დიდხანს ფიცულობდა
სიმშვიდის მცველი
გადმოდიოდა თვალებიდან
ცრემლებზე ცრემლი.
ერთგულ გვარდიას შემოერტყა
გარშემო ალყა,
დაადვა ზეროს თავს კომბალი
„დვორნიკს“ ამაყათ.
— შეწირული ხარ აწ რაინდათ,
წარმოსთქვა ზერომ,
წადი და ეხლა მოარშიყე
კატები ზვერე.
ესეც საქმეა, ძილს უფრთხობენ
წყნარ მოქალაქეთ,
და ვაი შენს ტყავს, თუ იცქირე,
ვით უჭინ აქეთ!..

გამშვლელები
ქუჩას ვერ გადიან...
გამაგრდა პოსტებზე
ერთგული გვარდია.
და როცა ზერო
მათ რიგებს უვლიდა,
მოფრინდა შიკრიკი
მახლობელ უბნიდან.

იქ თურმე შიშისგან
„დვორნიკი“ ილტვოდა,
და ხუთი კბილი
დასტოვა „მილტონმა“...

და, ამნაირად
გამარჯვება
იყო მთელ ხაზზე,
მოდის არმია
ყოველ მხრიდან
ზეროს ერთ ხმაზე...

და, მეორე დღეს
გამოვიდა როცა გაზეთი,
ამბავი მოკლე
წავიკითხეთ ყველამ ასეთი:

| |
|---|
| წუხელის სიმშვიდის და საზოგადოებრივ წესრიგის დარღვევისათვის დატუსაღებულ იქმნა 60 კაცი. |

დასრულდა ასე
ვით სიზმარი
ამბავი ესე,
გამეორდება თუმცა იგი
ამაღამ ისევ...

**სინემატო.**

## ნაქურდალს კუდი უჩანს!



— ამ ქალბატონს გრძელი კუდი
დღეს ვინ რატომ გამოაბა?

## მე და ივანიკო სავიზიტოთ

— წავიდეთ!

— წავიდეთ!

უპასუხე მე ჩემს ძვ-ლ მეგ-ბარ ივანიკოს და წავედით.

წავედით, ვიარეთ, ვიარეთ და მივადექით ერთ დიდ შენობას, რომელიც მოთავსებულია ჩვენი ქალაქის ერთ განაპირა უბანში.

მივადექით ერთ დიდ შენობას, რომელიც, როგორც დაყუდებული ბერი, ისე გადაჰყურებს თბილისის არე მარეს.

— შევიდეთ!

— შევიდეთ!

უპასუხე მე ჩემ ძველ მეგობარ ივანიკოს და შევედით.

შევედით... რას შევხედე, შევხედე და სად შევხედე, ვისთან შევხედე. როგორ შევხედე ან რით შევხედე!

თამბაქოს კვამლით ისეა ყველაფერი დაფარული, როგორც თბილისის ქუჩები ზაფხულობით, მტვერში გამოხვეული.

მეორე:

არის ისეთი გუგუნი და ყვირილი როგორც ჩვენს კოოპერატივებში ფართლეულობის საყიდლად მისულ საზოგადოების ღრიანცელი.

მესამე:

გამართულია ისეთი ფლირტი, როგორც... როგორც არსად.

მეოთხე:

უშველებელ დერეფნის სარკმელების მოაჯირებზე ისეა წყვილი ქალვაჟი შემწკრივებული, როგორც გაზაფხულში ქანდარაზე გამოფენილი გვრიტები.

მეხუთე:

დერეფნის ერთკუთხეში გაჩაღებულია ისეთი „მრავალ ჟამიერ“, როგორიც არ ყოფილა თვით იმ ქორწილშიაც, სადაც ერთხელ ლევარსი როხრობაძემ ერთი ტუჩზე მოდგმით გამოსცალა ორმოც ჩაფიანი ქვევრი.

მეექვსე: დერეფნის იატაკზე იმდენი ქაღალდი ყრია, რომ მის გასაწმენდათ და გასატანად საჭირო იქნება განსაკუთრებული რაზმის შედგენა.

მეშვიდე: იმავე იატაკზე იმდენი ნაფურთხია, რომ დაგჭირდება დიდი სიმამაცე, რომ ფეხი არ დაგიცდეს და შიგ არ ჩაეცე.

— გავიაროთ!

— გავიაროთ!

უპასუხა მე ჩემს ძველ მეგობარ ივანიკოს და გავიარეთ.

ბევრი ვიარეთ თუ ცოტა ვიარეთ, მივადექით ერთ კედელს, სადაც მიკრული იყო კარგა მოზრდილი ქაღალდი. ქაღალდზე ჩამოწერილი იყო რაღაც რაღაცაები მუხლობრივად.

— წავიკითხოთ!

— წავიკითხოთ!

უპასუხე მე ჩემს ძველ მეგობარ ივანიკოს და წავიკითხეთ:

ქაღალდზე ეწერა:
(მოგვყავს შემოკლებით)
ცხადდება ს...ს საყურადღებოთ:

„აკრძალულია:

1. თამბაქოს მოწევა, საამისოდ დანიშნულ ადგილის გარეშე.

2. ხმა-მაღლა ლაპარაკი და ხმაურობა.

3. სარკმლის მოაჯირზე ჩამოჯდომა.

4. სიმღერა.

5. იატაკზე პაპიროსის ნამწვავების და ქაღალდების დაყრა.

6. დაფურთხება.

ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს გამორიცხება...“

— საიდან?



— თურმე მიტომ, რომ ამ კუდით
შეეკერა ოთხი კაბა!

— უნივერსიტეტიდან! უპასუხე მე ჩემს ძველ მეგობარ ივანიკოს!

— ეს დადგენილება ვისთვის იწერება?

— აი ამ ხალხისთვის, რომლებიც აქ მოსულა სწავლის მისაღებათ!

მიპასუხა დაღონებით ჩემმა ძველმა მეგობარმა ივანიკომ.

ტერსიტი.




— სად კოფილხარ, კაცო?

— აქ ვიყავი აფთიაქში; წამალი გამოვიტანე.

— ეჰეხ! აქ ზემოთაც წამალია და ქვემოთაც. ჩემი წამალი კი აფთიაქის ქვეშ არის,—რესტორანში და მეც იქ მიედივარ.

# ვის აკლია?

დიდი ხნის კაცი არა ვარ, მაგრამ რა ხნისაც ვარ ისიც საკმარისია მისთვის, რომ ცოტათ თვალი გადაევლოთ ჩემს მოკლე ცხოვრებას.

საცნობელია ჩემი ცხოვრების თავგადასავალი არც ისე საჭირო იყოს ვისმეათვის, (როგორც ეს მე მგონია), მაგრამ ვინცობაა ღ ერთი გაჭირეს და მე ერთ მშვენიერ დღეს აღარ ვიყო, ვის შეეძლება ჩემზე სთქვას ან და რაიმე დასწეროს, რომელსაც ჩვენს საზოგადოებას ჩემი წარსულის საბუთი ხელთ არ ექნება.

ამ-და აქისათვის მოვახსენებთ, რომ სხვა არა ჩემი ცხოვრების მოკლე ბიოგრაფიის მიეაწოდო საზოგადოებას.

პაპა ჩემი ძველი ნიკოლოზის კაცი იყო და, რასაკვირველია: მისი შვილი, ე. ი. მამა ჩემიც მისი შთამომაელობის იყო

წამოვიზარდე თუ არა და ცხოვრებას გავეცანი, მეტი მოთხოვნილება წარმომიდგა თვალ წინ. ყველაფერს ანგარიშის გაწევა უნდა და მეც იძულებული ვიყავი ჩემი მოთხოვნილებისათვის ანგარიში გამეწია.

ცხონებული ბამაჩემი, რომელიც ჩემს სიყმაწვილეშივე გარდაიცვალა, (ისიც დიდი იცოცხლა ჩემმა შემხედვარემ), რაღას დამეხმარებოდა.

ჩემი თავის პატრონობა ისევ ჩემზედ იყო დამოკიდებული.

თავიდგანვე დაგონილი მქონდა, შრომას და უფულობას-ტყუილად კოფნა და ფულიანობა სჯობიაო. რა საკვირველია თუ ასე ვიცხოვრებდი ამას რაღა სჯობდა. ისიც ვიცოდი თუ სამსახურში დავდგებოდი ყველა ჩემს ნაბიჯს ანგარიშს გაუწევდენ და ოდესმე პასუხს მომთხოვდნენ. მთელი ბათომის საბაჟო ჩემს განკარგულებაში ითვლებოდა. გასატან-გამოსატანი ყველა კი რამე იქნებოდა, ჩემს ხელში იყო და —ლირებიც ბლომად მქონდა. ლხინი ქეიფი, არშიყობა, ძმა ბიჭებში დროს ტარება აბა ვის მოწყენია დაეს მე კი არ მაკლდა.

მაგრამ დახე უბედურებას ერთ მშვენიერ დღეს საბაჟოს კარები დამიხურეს და რამოდენიმე მეგობარს თბილ ადგილს ამოგვაყოფინეს თავი.

დიდი ხანი არ დამიყვია იქ, და მალე თბილისს ვესტუმრე. ნათქვამია: კაცს ბედი სულ არ გასწირავსო და რადგან ჩემი „საქმეები თბილისში აღარ იყო, სამსახური ვამჯობინე.

მალე ესეც ვიშოვნე, და ისიც საჩემო.

დავიწყე მუშაობა. ძველი მეგობრები ჩვეულებისამებრ არ შივიწყებდენ.

„როგორც ფული აღარ გვაქვს-"

და მე მათთან ქეიფში და ლხინში ერთად მყოფი როგორ დავზოგავდი საზოგადო ფულს და მით უფრო, როცა ხელის უფლების ლოზუნგია:

**ფართო მასის დახმარება.** ამრიგად მეც ფართოდ ვიყენებდი ხელისუფლების ლოზუნგს და საზოგადო ფულს ფართოდ ვარიგებდი.

ერთ მშვენიერ დღეს დაწესებულებაში მეწვია ორი დაუპატიჟებელი მოქალაქე, რომლებმაც თავაზიანად მომმართეს და საზოგადოდ ფულის ანგარიში მომთხოვეს.

მეც რიხიანად დავხედი, ანგარიში ანგარიშზედ მივაწოდე, ყველაფერი მოვაწესრიგე, არაფერს არ დავრიდებივარ, მაგრამ მათ უცნაურ-უცნაური ციფრებით დამიწყეს ლაპარაკი.

ა ხანაგო, მეუბნებიან-ათასი, ათას ხუთასი და სულ კი შვიდი ათას მანეთამდე გაკლიათ.

მე შევეცადე დარწმუნებას, რომ—არაფერი მაკლდა; აბლა რა უნდა დამკლებოდა, პირიქით, კიდეც მომემატა.

მაგრამ ჩემი სტუმრები თავისას გაიძახოდნენ, ჩემი არა სჯეროდათ.

ასტყდა ორთავე ცხარეს დავა და კამათი გამოსარკვევად იმისა, თუ ვის აკლდა.

რადგან ის ამხანაგები ჩემსას არ იჯერებდენ და თავისას გაიძახოდენ, მე კი ჩემსას უდასტურებდი, ამ საკითხის გამორკვევა გადასცეს სასამართლოს, მე კი ამ საკითხის გამორკვევამდე უფასო გამსახლში მომათავსეს. მოთმინებაც კარგი საქონელია, დაველოდი უკანასკნელ სიტყვას: ვინ არის ჩვენ შორის მართალი? ისინი თუ მე, და ვის აკლია?!?

**სოფოკლი.**



„სადგურ რკინაში უკვე გამოზავრებული მატარებელი ... დიდ რევიზორი რაჭიანი დარჩენილიყო და მას ...

# ჩვენც და სხვაც

მკითხველმა ბევრჯერ არ იცის (თუმცა ყოველდღე კითხულობს) რომ გაზეთებს აქვთ თავისი მუდმივი განყოფილებები.

მაგალითად მეთაური წერილი.

რას ნიშნავს მეთაური წერილი?

უკეთ მიხვდებით ნიმუშით.

დავიწყოთ.

## პროფკავშირების საქმიანობის ძირითადი მიზეზების გამოკვლევის ირგვლივ

ყველას მოეხსენება, რომ ამჟამად ბევრს ლაპარაკობენ ჩვენი პროფკავშირების საქმიანობის გამოცოცხლების ძირითადი მიზეზების გამოკვლევის ირგვლივ.

ეს საკითხი, არც პატარა საკითხია. ეს საკითხი ძალიან დიდი საკითხია და ამიტომაა ნათქვამი:—კამეჩი წყალ და იცურის, ალაგალაგობს საქმე გაკეთებული გონია“.

სრულია მართალი, რომ ესთქვით ჩვენ წინ მდებარე კითხვა დასმული მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ისე, რომ აქ ყოველი პერიოდებაცია მას თავის და მოვლის ვერ მოუვლის ისევე, როგორც ნათქვამია:

— ჩიტიკი მინდორისი ძალშიაც მინდორისს ჭამდა და ბულბულის ხელს ჰნებდობა!

ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ საკითხთან გადახლართულია კოოპერაციული საქმიანობის ძირითადი საძირკვლების შესახებ.

მოგეხსენებათ, რომ ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში იყო ნათქვამი:

— ერთ და იმავე კვერცხსაო,

დედალი არ დებს ორჯერო!

როდესაც თვალს გადავავლებთ ჩვენი კოოპერატიული ამოცანების შესახებ დებულებას, დავინახავთ, რომ ჩვენი კოოპერატორები ხშირად ჩვენთან კაკანებენ, თორემ კვერცხს სპეკულიანტთან დებენ.

ჩვენ უნდა გადაჭრით განვაცხადოთ, რომ საჭიროა: 1) კოოპერატივში საქონელს ნოქარი ზომავდეს, გამგეობა სინჯავდეს და გადამყიდველი სჭამდეს 2) საჭირო არაა საქონელი ქალაქიდან სოფლად მიდიოდეს, საკმარისია კოოპერატივის გამგეობამ იაროს სოფლიდან ქალაქში.

კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი, მაგრამ ამაზე შემდეგ.

## რადიო დეპეშები

ფუ—ტა—ტუ—ცი მა—მა — ძალ—ლი—ნის წინააღმდეგ.

როგორც გავისის სააგენტო იუწყება ორივე მხარეს გაუმართავს მო—ქმ—ები—ლის პროვინციაში.

შეთქმულება მუსოლინის წინააღმდეგ *)

„ეპოქა“, „იდეა ნაციონალე“ „ეკოჩე რეპუბლიკანე“, „ილ მონდო“ „ჯიორნალედ, იტალია“ და ყველა ხალხური წყაროებიდან იუწყებიან, რომ მუსოლინის თავზე დასხმას (წყლისას კი არა!) უპირებდნენ. მდგომარეობა სერიოზულია.

## მუშათა ცხოვრება

### ამახ მიხედით

მარგოთუბანი მერტოთუბნის რკინის გზის სადგურის საპირფარეშოს ლორები ესევიან, დაგვიცავით ლორებისაგან!

ბზეკი

დაგვიცავით ახეთ რევიზორისაგან.

გორი. რევიზორმა გადეშილიაქ ერთ მგზავრს არ გაუცანი და ბილეთიც შუას ნაგლეჯად შეერში გაუშვა. მიაქციეთ ყურადღება.

ფუჭარი.

ეს საქმე მოსაგვარებელია.

ქუთაისი. მარცოლეიშვილის შესახვევს მარცხენა ნაპირის ქვედა ბოლოში ქვა ამოვარდა ქვაფენილზე ერთი ქალიანი უკვე დაიხრჩო. ვეთხოვით ქვაფენილისაგან.

იაგ-ხანი.

*) მესაიდუმ-ბადეგლაა. შეკითხვების—ფრალაიდურ, ვა ჭა:თაღ ბუასოვი სახეობის და შინსეურს წლის ნომერში.

რედ.



სადგურს — სახელი რქმევია რკვია,
რატიონისას საქმეს რა ქვია?
სად მოუნახვენ რატიონთ ბინებს —
მას სამართველო გაგვაგებინებს!

## ახალი ამბები

— ერთიანი მომხმარებელი საზოგადოების მე-15 მაღაზიამ ამ დღეებში მიიღო ერთი დისტა მეში, სამი ოზმა ქილოლდი და 11 ცალამდე ლამპის მუშა. ამ დღეებში მიიღებს 9 ცალ ფინჯანს.

### შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა ნ ი

გამხედრებული ქურდი ვილაც უცნობმა გუშინ ვერის დილმარინზე, საღამოს 7 საათსა და 17 წუთზე ქალაქიდან ერთი კონა ხახვი მოპარა დედაბერს, რომელიც დაახლოვებით 70 წლისა იქნებოდა და სახლში ფეხით მიდიოდა. ბოროტმოქმედი მილიციამ დღემდე ვერ აღმოაჩინა.

დაკრა, ზიზო უქმადმ შემთხვევით ძარცხენა ხელის სალოკ თითის წვერში დაკრა ცინცარ ფშნიკაძე. გამოძიება სწარმოებს.

## ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო

### იშვიათი საქმე.

გუშინ მეტად საინტერესო საქმე არჩეულ იქნა მე-36 უბნის სასამართლოში პროფესორ არხიეტიანის შესახებ.

საქმე შემდეგშია.

ერთ დღეს, როდესაც პროფესორი სადილად იყო, პროფესორი ბიჭმა გაუწყრა. ცოლმა კი პროფესორს ამის გამო ყურში უქნია.

პროფესორმა ჰკითხა:

— რატომ სცემე ამას ქალო!

ქალმა საპასუხოთ პროფესორ არხიეტიანს ერთი ქოთანი ლობიო გადაასხა თავზე.

ცხადია ამის შემდეგ ბიჭები ქმარს დაუმბრუნებს.

## ნ ა რ ე ვ ი

### იშვიათი აღმოჩენა.

ეგვიპტის ქალაქ ტუტილ-კონკილის მიდამოებში იშვიათი მამალი აღმოაჩინეს ინგლისელმა მეცნიერებმა. მამალი გარდაცვლილა ქრისტეს დაბადებამდე ორმოცდაათის წლის წინეთ. მიბილო მთლად ხალასი მარგალიტებითაა მოქედილი, საყურეებად ორმოცდა ორმოც ფუთიანი მარგალიტები კიდია და კუდიც ინგლისელი არქეოლოგების სიცრუის სიგრძისა მაინც იქნება.

## განცხადება

„1-ლი უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი აცხადებს, რომ დასაკმაყოფილებლად სარჩელისა მისისა აწ გარდაცვალებულისა სარჩელის მიმღებლისა"...

— მამისა და ძისა და სულისა მისისა ამინ!

დედანთან სწორია.—

უ—დია.

## უწინ და ეხლა



მენშევიკების დროს ასე იყო „გამსდარი" ინგლისელთა ჯარები, ხოლო „გასუქებული" გლეხის მეურნეობა.

ამჟამად ასეა „დამშვრეული" საბჭოთა სოფელი.

# ლოკარნოს ხელშეკრულების შედეგი



იმპერიალისტური კოფაკები ყეფენ, საბჭოთა გუთანი ხნას განაგრძობს.

## ქ. ჭიათურისათვის

(სურათები)

აბა ბიჭო, ჩარი... ჩარი,
ჩამოკარი დიდი ზარი,
ჭიათურას დაუარე,
გადაავლე ყველას თვალი!..
პროვინციას მიმალულა
ერთი დიდი „ძველი გვარი“,
გლეხებისთვის დამწვარია,
ვით ბორჯომის ფიჭვის კვარი;

—

ამხანაგო, ჩარი-რამა,
მენშევიკო, კარგი, კმარა!
ტყუილებით გაბერილი,—
ეს ტიკები რა შეყარა!!!
კაცი-კაცათ, თუ არ ფასობს,
შეარცხვინოს მისი ფარა,
„მებრძოლები“ სხვაც გვინახავს,
შენისთანა მეტიჩარა!

—

აგერ მოდის, მოციბიკობს,
პარმენ, სერგო, ევგენი—ა;
ჭიათურას ღვინის წვეთი,
რომ გააწყვეს ესენი!?!
აბააა... ერთი დაუაროთ,
დელი, დელი, დელი, დელი...
აგერ, თავიც დაგიკარით,
გადმომყევით თქვენ სულ ყველა!

ევგენ! რიგზე, ნუ იჩქარი,
დაუარე ნელა-ნელა,
შემიყვარდა შენი კოცნა,
ლამაზ ტუჩებზედაც კბენა!
მართალია ნოტაროს ხარ,
მაგრამ გიყვარს „ცოტა“ ლხენა!!!
ოჰო, ჰოჰოოო! რა ბურჟუა!
გიორგის გადაემტერა
საქმეში, თუმც მტყუანია,
დეკრეტები მოიშველა,
ქარხნის ერთი მეხუთედი,—
სააქციოს მიასევნა;
„ეს ხომ უსამართლობაა“,
გაიძახის აქ სულყველა.

შემიყვარდა მე კაცკაცი,
კაცი ფრიად ცქვიტი, მარდი,
ჭიათურაში გახშირდა,—
ბილიარდი კამათ-ნარდი,
ფეხს კიდით პირ-ვარამი,
ქვეყნიური რამე დარდი...
ძმაო ცინცქლა, რათ გაბრიყვდი
დარდში რატო გადავარდი!
გუშინ ჯამაგირს ავკარი
ჩემი გამხდარი ხელია,
წამსვე გავარდი სავაჭროთ,
შეშა ვიყიდე ხმელია.

ვთვალე და ვთვალე ნაპობნი,—
სამი თუ ოთხი ღერია,
უფულობითა საღამოს
ნამეტნათ მომიწყენია
და, ცოლმა „პუდრის“ გულსთვის
სულ მაწყევლინა დღენია!!!

—

აგერ მიდის, მიცქრიალობს,
ნინო, თებრო, ქეთო, მარო,
ყვინჩილები თან მისდევენ,
სულ წინ გარბის ჩვენი დარო,
სალიეთის მოსახვევში...
ვაი ქალო!.. ვაი, ქმარო!...
გენაცვალეთ პატარძლებო,
სხვა არავინ შეიყვარო!...

საჩხერელი პიპკა.

# ფოთი

ჩვენ. შარშანდელმა ზამთარმა
ლამის მოგვწყვიტა წელია:
გაგვყინა, დაგვაჩიავა,
მაგრად მოგვკიდა ხელია.

—

შეშა გაძვირდა ისე, რომ—
საშოვნად გახდა ძნელია.
ღმერთმა დასწყევლოს უკუღმა
დამფარცხველი და მწვნელია.

—

ტარტაროზისთვის ლექსებს ვწერ.
არ მსურს სხვა სამსახურია...
სატყეო ტრესტმა წელს მაინც
დროით გვათხოვოს ყურია.
კარზე მოგვადგა ზამთარი—
არ არის ნიახურია.

—

ქალაქს სინათლე მოაკლდა
აგერ ეს სამი წელია.
ელმნათის სადგურს დაადგა
რაღაც განსაცდელია.

გასკდა დინამო მანქანა.
ახლის შეძენა ძნელია.
მგზავრობის დროსა ხშირად ვართ
ცხვირით ქუჩების მხვნელია.

ბევრია ქვეყნად ცხოველი:
მგელი, ტურა და მელია.
ვერ ვიტყვი: ყბადასაღები
თითქოს მე შემომელია...

კოპერატივსა აკლია
სათბური და ფანელია.
(იქნებ არ ყოფნის მარაგის
სახარჯო-საფანელია).

ძველი ბელახანი.




— მოდი აქ ეტლით წაგიყვან.
— ვაჰხ!... შენს ეტლს აქ ყოფნა მირჩევნია... ვერა ხედავ...

# ბ ო რ ა ნ ზ ე

— კაცო, რომ წამოწვები და ხვრინავ, იცი რომელი საათია? დამჩხავლა ვილაცამ ლოგინზე.

უცბათ თვალები გავაჭყიტე!

— რატომ იცი ხ ლმე ასე უცბათ დაყვირება, მასე შეიძლება გული გაუქანდეს ადამიანს, უთხარი მე გაბრაზებით ჩემს მეუღლეს და გადავბრუნდი მეორე გვერდზე.

ადაებრუნდი თუ არა, როგორც ჯორი, ისე მეძგერა ჩემი ქალბატონი და საბანს სტაცა ხელი.

საბანის გადაძრობა გნებავს? ვე მოგართვი პატრიჯანი, აბა ვნახოთ, ვინ ვის! შევძახე მე გაბრაზებულმა და რაც ძალი და ღონე მქონდა საბანი შემოვიხვიე.

ილად გალვიძებულ კაცს, როგორც მოგეხსენებათ, ბევრი ძალა არა აქვს, ამიტომ ჩემმა ცოლმა, უფროსი ვაჟის დახმარებით ჩქარა გამომგლიჯა საბანი და კუთხეში მიაგდო.

— ჩურც ახლა აბრძანდები ვაჟბატონო! გაილე ბიჭო ფანჯარა, ერთი ქარმა შემოიქროლოს, ვნახოთ კიდევ თუ დაეძინება მაგ ზარმაცს.

ალას გავაწყობდი! ცადე ზეწრის დახვევა, მაგრამ არაფერი მიშველა. სიცივემ ამიტანა და მეც ზინტად შეუდექი ტანზე ჩაცმას.

— აი, ვაჟბატონო, ნახე რომელი საათია, მოიტანა ჩემმა ცოლმა საათი. დავხედე, გული გამისკდა. 9 საათს 25 წუთი და უკლდა.

ციცხლავ გადავიცვი ტანისამოსი და პირისაბანა ვეძგერე. 10 წუთის განმავლობაში უკვე სამსახურის ადგილისაკენ მოვრბოდი.

— ახია შენზე, მომძახოდა უკან ჩემი ქალბატონი, მიდექი და იხვრინე!

მე ყურს აღარ უგდებდი. დაღმართი უცებ ჩამოვირბინე და ვერის ხიდის ქვევით რომ ბორანია, იმას მივადექი. ისეთი გამალებული მივრბოდი ბორანისაკენ, რომ წყალში დამხრჩობი საზოგადოების მიერ „მოწყობილ პუნქტიდან (რომელიც იქვეა მოწყობილი) ორი მცურავი გამოვარდა და წყალში გადასახტომად მოემზადა, როგორც შევატყვე, მათ წყალში დახრჩობის მსურველი ვეგონე.

მე ისინი მაშინვე დავამშვიდე და უთხარი, რომ სამსახურში მიმეჩქარება, მტკვარში ბანაობის სურვილი კი სრულებით არა მაქვს.

თითქოს განგებ, ბორანი მტკვრის მეორე ნაპირას გასულიყო და გულდამშვიდებით მოელოდა მგზავრებს.

ბორანზე ორიოდე მოქალაქე მოკუნტულიყო და უცდიდა სხვების გამოჩენას.

გაეიდა 5 წუთი, 6, 7, 9, და 12 წუთი, მაგრამ პატივცემული ბორანი ადგილიდან არ იძვროდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაიძრა და მოადგა ნაპირს.

მკვირცხლავ ბორანზე გავჩნდი. ჩემთან ერთად მოვიდა ოთხიოდე მოქალაქე, რომელთაც ჩემსავით დაგვიანებოდათ სამსახურში ამოსვლა.

— რაღას უყურებთ მეგობარო, წავიდეთ, მიუბრუნდა ერთი მგზავრთაგანი ბორანის პატრონს.

ბორანის პატრონმა აუღელვებლათ პაპიროსი გააბოლა და მგზავრს შეხედა.

— მოითმინეთ ამხანაგო, ხალხი უნდა შეგროვდეს და მერე გაგიყვანთ, ეგრე ცარიელი-ტარიელი რომ ვაცურაოთ ბორანი იქით-აქეთ, ჩვენ არაფერი დაგვრჩება.

მოვიცადეთ. კიდევ გავიდა რამოდენიმე გამოვრძელებული წუთი. ბორანზე უკვე 12-ოდე კაცი შეგროვდა.

— ახლა კი შეიძლება წავიდეთ! სთქვა ბორანის მფლობელმა და საჭე მოიმარჯვა. ყველამ სიხარულით ამოვისუნთქეთ; ხუ რობა ხომ არ იყო, ნახევარი საათის ლოდინის შემდეგ მეორე ნაპირზე გველირსებოდა გასვლა.

უცებ მესაჭემ თვალი მოჰკრა რაღაცას და საჭეც შეაჩერა.

— მოითმინეთ, ვილაც მოდის სთქვა მან.

ყველამ იქით გაიხედა, საითკენაც მესაჭე იცქირებოდა. დავინახეთ, რომ შორს ფერდობზე ჩამორბოდენ ვილაცა ორი და პირდაპირ ჩვენსკენ მოისწრაფებოდენ.

— კაცო, გაგვიყვანე და მერე გამოიყვანე ის ხალხი! აღელდენ მგზავრები.

ბორანის პატრონმა ყურიც არავის ათხოვა და იობის მოთმინებით დაუწყო ლოდინი შორიდან მომავალ მგზავრებს.

ორიოდე წუთის შემდეგ გამოირკვა, რომ ერთი მათგანი იყო ვირი და მეორეც მისი პატრონი,—მენახშირე.

როგორც შემდეგში გავიგეთ, ვირს გაფიცვა მოეხდინა, უარი ეთქვა ნახშირის ზიდვაზე და მტკვრისაკენ გამოქცეულიყო (შეიძლება თავის დასახრჩობათ). გაბრაზებული მენახშირე როგორც იქნა დაეწია ვირს და კინწისკვრით გაიგდო წინ.

გული მოგვივიდა ჩვენც. არა ნაკლებ გაჯავრებულა ბორანის პატრონიც, რომელიც მოსტყუედა 6 კაპიკის შოვნაში. ერთი საჭის მოსმით გაასრიალა ბორანი და ნაპირზე გაგვიყვანა.

თურმე ასეთი ყოფილა ამ ბორანის ჩვეულება: სანამ ხალხით არ გაჭიჭკნის მოედანს, მანამ ძვრასაც არ იზამს. ამ „გაჭიჭკნას" კი ხანდისხან საათიც უნდება.

ასე იყო თუ ისე, იმ ვერანა ბორანის, ვირის და მენახშირის წყალობით იმ დღეს ორი ზამეჩანია (ივილე: ერთი განყოფილების გამგის თანაშემწის კომოშნიკიდან და მეორეც უფროს რეგისტრატორისაგან.

ალარი—უნცროსი რეგისტრატორი.




## მიხედეთ უბედურს!

ხონის რაიონის ღანირ-გვაზაურში გაუმართავთ საქველმოქმედო სალამო ვახშმით (ფვახშმოთ ქველმოქმედებას ალბათ გემო დაეკარგებოდა!) და აი, მუშკორი გვაზაურელი ამის შესახებ გვწერს:—

„წარმოდგენა დაიშალა,
ხალხიც კმაყოფილი დარჩა —
მაგრამ კასის მილების დროს—
ფული შიგნით აღარ დარჩა!“

აი, მეოცე საუკუნის სასწაულიც სწორედ ეს არის! ფული შიგნით აღარ დარჩენილა! იქნებ გარეთ გავიდა? საოცარია—სად წავიდოდა? საწყალი ფული—წყალში არ დაიხრჩოს თავი, დროზე მიეშველე და გადაარჩინე თემ-ალმასკომო, თორემ საცოდაობა დატრიალდება.

## უცნაური მელია!

უცნაურ ამბავს იწერება სოფელ ზემოხეთიდან გლეხკორი „დათუნია“. ამ თემში თურმე დაცოცავს ქურდი—მელია, რომელსაც „ლარიბთა იდეალში“ გაუკეთებია ხვრელია! რა გაგამოაქვს მერე ამ „იდეალიდან“ ამ წუწკ მელიას? ვალაპარაკოთ მუშკორი:—

„იქიდან კი ხაიტანა „პუგაჩი“ თოფის წამალი—
ორიოდ გირვანქა მატყლი და ხუთი თავი ტარანი“.

როგორც ეტყობა, ამ მელიას საქონლის შერჩევა ბევრ ჩვენს კოოპერატორებზე უკეთ სცოდნია—მას წმინდა გლეხური საქონელი შეურჩევია—მატყლი და ტარანი!

მიუხედავათ ამისა გლეხკორი დათუნია ამ მელიათი მაინც უკმაყოფილოა და ჩვენ გვთხოვს:—

„ასეთი ქურდი „ტარტაროზ“ არ შემოუშვია მიდლემში,
გთხოვთ უცდით თქვენს ჩამოსვლას და თქვენსა განკარგულებას!“
თორემ ეს ქურდი მელია გვიქადის განადგურებას!“

როგორც ხედავთ, მდგომარეობა არც ძალიან სახუმარო ყოფილა—ტარტაროზს იწვევენ ზემოხეთელ მელიასთან საბრძოლველათ! ჩვენ მაინც ვფიქრობთ—ჩვენი ჩასვლა საჭირო არაა, თვით ზემოხეთლებმა გამოარკვიონ ხსენებული მელია-ოთხფეხია თუ ორფეხი? თუ ორფეხია, მაშინ ზემოხეთელი მილიციის ხაფანგითაც იოლათ დაიჭერენ ამ წუწკ ცხოველს!

## ფულმა შემოაჭამა თავი

ბათომის სამხედრო კომისარიატში სამხედრო მაგიდის გამგეთ ყოფილა შურა მაჰაყარიანი. ამ სამხედრო პირს ჩვეულებრივი მოქალაქის მადა ქონია და ჭამაც ჩვეულებრივი სცოდნია. სულ მცირეოდენი თანხით უსარგებლნია თავისი კურთხეული მადის დასაკმაყოფილებლად. მოუთხოვიათ პასუხი.. მუშკორი „კრონის“ სიტყვით შურამ:

„სცნო და სთქვა: „მდგომარეობამ
მე ასთე მაიძულაო...
შეჭმულ ფულს ამ ორ-სამ დღეში
იქ ჩავაბარებ სულაო“...

საწყალი შურა, მდგომარეობის მიერ დაჩაგრული შურა და წყეული ფული, რომელმაც ძალით შემოაჭამა თავი ბედკრულ შურას! ამაზე მეტი უსამართლობა გინახავთ:—თავი ფულმა შემოაჭამა და პასუხს მტრედივით უმანკო შურას თხოვენ! „ოო, უსამართლობავ, გამფლანგველი უნდა გერქვას შენ!“ ტყუილა არ წამოცდენია ეს სიტყვები დიდ სოლომონს თავის უკვდავ ტრაგედიაში—„მე და მადა!“.

## „წარღვნის“ ნიშნები!

აი, უბედურება, აი მეორეთ მოსვლა! ჭიათურაში თურმე ზოგიერთი ქალიშვილი ყმაწვილთან ხელი-ხელ გაყრილი დაიარება! მერე სად, რომელ ადგილას ხდება ეს უსაშინელესი ამბავი? მუშკორი „კონ—კას“ სიტყვით;—

„რკინის-გზის ამბულატორიასა
და საზაზინო სახლს შუა სდგას ხე—
ეს ადგილია—სად ჩვენ გოგონებს
ვაჟები ტლოშნის და ხელებს ხვევს!“

რა უტყუარი „ინფორმაცია“, რა დაწვრილებითი ცნობა ადგილ-მდებარეობაზე! იშვიათი ცოდნა გეოგრაფიაში მაგრამ ოდნავ სისუსტე არითმეტიკაში: „კონ—კას“ ორაძლი თვალი არ ცოდნია, თორემ იმ ერთი ხის გარდა, რომელიც ჭიათურელ შეყვარებულთა მუნჯი მოწმეა, ის მეორე ხესაც შეამჩნევდა, რომელიც სხვების „ტლოშნას“ მართალია მუნჯათ უცქერის, მაგრამ „ტლოშნის“ კონზას კორექტურ რიცხვებში გზავნის!

## ქვა-დააბეს, ძაღლები აუშვებულია!

ტყიბულის მაღაროებიდან მუშკორი „შალცირი“ გამწარებული გვეძახის:—დაგვიხსენით ძაღლებისაგან!

„მაღაროების სასადილოში თავისუფლად დანავარდობენ ძაღლები. მუშა საჭმლობს, ძაღლები ღრინავენ, მათი მომგერებელი არავინაა!“

აი, პატარა ამბავი ტყიბულის სასადილოს დიდ უბედურებაზე!

იქნებ გახსოვთ მგზავრს, რომ ძაღლი გამოეკიდა საკბენათ. კაცი დაიკუზა, სურდა ქვა აეღო, მაგრამ ქვა დაყინული აღმოჩნდა. გამწარებულმა მგზავრმა წამოიძახა:—ეს რა ქვეყანაა, სადაც ძაღლები აუშვიათ, ქვა კი დაუბამსთო!

იქნებ ტყიბულშიაც დაბმულია ქვები—ვინ იცის! ყოველ შემთხვევაში ეს კითხვა მაღაროების სასადილოს გამგეობამ დროზე უნდა გამოარკვიოს!

## ფრთხილად ამხანაგებო!

ნათქვამია:

— არავინ იცის უბედურება კაცს საიდან უთვალთვალებსო!

მართლაც — ადამიანი თბილისის ალმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებაში მიდიხართ ჩვ ულებრივი „პასპორტის“, პირადობის მოწმობის მისაღებათ. მიდიხართ და არაფერ ცუდს არ ფიქრობთ. მაგრამ იღებთ პირადობის მოწმობას და თქვენ უკვე... გაუბედურებული ბრუნდებით.

როგორ?

მოუსმინოთ მუშკორ „ალექსანდრეს“:




## იცოდე „ტარტაროზი" გაზ. „[illegible]" დამატებაა
## გამოიწერეთ გაზეთი

„ერთი უბედურება დამმართა ადმინისტრატიული განყოფილებიდან მოცემულმა პირადობის მოწმობამ. ვარ დაბადებული 1694 წელს, მოწმობაში კი კი 1934 წელს დაბადებულათ ჩაწერივარ. ამწესით 89 წლით უფროსი შევიქენი!"

ხომ ხედავთ-როგორ შეიძლება ადამიანი გაუბედურდეს! მაგრამ ამ შემთხვევაში უბედურებას ის ამსუბუქებს რომ წლოვანება მამაკაცისთვის მიუმატებიათ, მაგრამ წარმოიდგინეთ თუ რა იქნებოდა-ადმინისტრაციულ განყოფილებას ასეთ რაოდენობით წლოვანება ქალისთვის რომ მიემატებია? ფრთხილად ამხანაგებო ადმინისტრატიული განყოფილებიდან, თორემ თუ კერძო პირთ89 წლით წინ წევთ, შეიძლება ადმინისტრატიული განყოფილება მთლიანად ასი წლითაც უკან დახიოთ და დააქვეითოთ!

### ნუ ამახინჯებთ სახელს!

ძალიან ცუდი სენი გავრცელებულა ზურიის ნინოშვილის თემში. გლეხკორი „კომიკი" გვწერს:-

„ნინოშვილში კვლავ არსებობს
ძველი ადათი და წესი,
ნათვლაშა და ჯვარის წერამ
კვლავ მაგრად მოიდგა ფესვი!"

ამხანაგებო ნინოშვილის თემიდან! განა ეს საკადრისია? ეგნატე ნინოშ ილი თქვენ თავისი გვარით გამშვენებსთ და თქვენ კი...მის გვარს მღვდელ დიაკვნებით ამახინჯებთ! მოსპეთ ამხანაგებო ძველი „ადათი და წესი", თორემ ნინოშვილი საულავში შეინძრევა და იტყვის-ჩემს თემში დიდი უწესობა ხდებაო!

### შეამოკლეთ შტატები!

— შეამოკლეთ სამისამართლოს ალმასრულებელთა შტატები! სახელმწიფოს ნუ ღუპავთ, ფულს ტყუილა ნუ ხარჯავთ! ან რა საჭიროა ასეთი ალ-

მასრულებელი, როცა დიდი ჯიხაი-შიდან „ძველი“ გვატყობინებს:

„გლეხკომი გამოჯანსაღდა
მიიღო დანაკლისია,
შენ რომ არ მიშველებოდი
მთლად იკარგოდა ნისია!“

ხედავთ—„ტარტაროზმა“ მთლად აღკრეფია ნისია, გაანაღდებია ვალი ჯიხაიშის გლეხკომს, ეს ვალი კაი—დიდ თანხას შეადგენდა! ეს, რომ სა-მოსამართლო აღმასრულებელს ექნა-რა დაჯდებოდა? აბა იანგარიშეთ—სა-ღერბო გადასახადი, „პრაგონის“ ფუ-ლი, „პუბლიკაცია“ და ათასი დავიდა-რაბა, „ტარტაროზი“ კი უდავიდარა-ბოთ და უფასოთ გამოყვება გაზეთ „მუშას“ თქვენი ვალის გასანაღდე-ბელათ თუ—სულ რაღაც 70 კაპეიკს გადიხდით თვეში!

## „გული გულს იცნობს“!

გლეხკორი „კოსდოლის“ სიტყვით:
— მგელი რაც არ უნდა კვებო, მა-ინც ტყისკენ იცქირება! ეს შეეხება უანაფორო მგლებს. ხოლო ანაფო-რიანი მგელი აი, საით იცქირება—გლეხკორის სიტყვით:

„ნაგომრის (გურია) რაიონის გა-ნათლების მუშაკთა კავშირის კონფერენ-ციაზე 6 დეკემბერს ირჩეოდა საკითხი: „კოოპერაცია და ჩვენ“. ხომლეთის მასწავლებელი კოწია შარაშიძე, რომელიც ღვინით იყო გალეშილი, მოუ-რიდებლათ ასაბუთებდა, რომ კოოპე-რატივები ოდნავათაც არ იცავენ მომ-ხმარებელთა ინტერესებს, კერძო ვაჭ-რები კი მუდამ მზათ არიან გაპირვე-ბულ გლეხობას ნისიის მიცემით დაეხ-მარონო.

აღნიშნული შარაშიძე ყოფილი ღვდე-ლია, ეხლა მასწავლებლათ შეპარული“.

რატო უკვირს გლეხკორ „კოსდო-ლის“, რომ ანაფორა გახდილი მგე-ლი,—უკაცრავათ—მღვდელი შარაში-ძე კერძო ვაჭრისკენ იცქირება? ჩვენ, რომ ვამბობთ:„—პირით სოფლისკენ!“ სულაც მღვდლების პირი არ გვაქვს მხედველობაში,—ტარტაროზმა აშო-რის დღევანდელ სოფელს მღვდელის პირი—მაშინ რა ხეირს ჟყრიდა სო-ფელს მათი პირი, როცა ცხვრის ბე-ჰებს ახრამუნებდენ! ისევ ვაჭრების-კენ მიმართონ შარაშიძეებმა თავისი ამყრალებული პირი—ეს უფრო ბუ-ნებრივიც იქნება, რადგან ხომ გაგი-გონიათ:—„გული გულს იცნობსო“! მაგრამ ახალ სკოლაშიც რაგვარი გუ-ლითა და გულმოდგინებით ეპყრობა გაკრეჭილი მღვდელი—ამის ცნობა განათლების განყოფილებამ უნდა მო-გვაწოდოს!

## ცეკვა

„სამხედრო ქართულ დივიზიის კოოპერაციას ქუთაისში ლიკვიდაცია უყვეს და მთავარ სავაჭროს გამგეს საკმაო მოზრდილი თანხა აღმოაჩნდა გა-ფლანგული“.

გაზეთებიდან.



„უვკოგრუზდივის“ სავაჭროს
„კაი“ გამგემ თუ რა უქნა—
ამას ნათლად დაგანახვებსთ
ამ სურათზე—თაგვთა ბუქნა!

## ღანირ-ჭაგანი

სამღურავს მწირენ სოფლიდან—
რატომ არ გვასმენ ენასა!
ნუ თუ დაგვკარგე, ველარ გრძნობ:
ჩვენს ტკივილს, ცრემლის დენასა!?

ქუტირი გადაგვეკიდა
(ეს უმაწდატო თემია)
და გაიძახის: საზღვარი
ესეც და ისიც ჩემია.

კვირა ერთია და ათჯერ
მოდიან კომისიები—
ჩამოივლიან და წავლენ:
რუქით, ოქმით და სიებით.

გალმა ჭაგანი (საწყალი,
წყალწალებული ბედითა)
მოკვდა და ახლა ისევ სურს,
ვით ქრისტე „აღსდგეს მკვდრეთითა“.

კულაშმა აღარ აჭამა,
მუდამ თაფლი და შაქარი—
ჩვენ ვეუბნებით: მობრძანდით
და პურ-მარილიც მზად არი.

ასეა ჩვენი ამბავი—
(შენც კარგად იცი წარსული)
ჩასწერე სადმე—ამას გთხოვ:
ალი, კაცი და ასული.

—:—

მონაწერს ვაძლევ „ტარტაროზ“-ს!
(ის არის სოფლის მეტია!)
და ვთხოვ: მიუზღოს საჩქაროდ,
ვისაც რა დაუთესია.—

ჰაგნელი ბზიკი.

15 დეკ. 1925 წ.

## ჯუმათი

ჩვენც გავიხსენოთ ქამანჩა
და ჩვენი ძველი სტვირია.
მეორე პართულს თუ ვნახავთ,
(თუმც ასელა გასაჭირია)
„მამილო“-ს ჩაუჩურჩულოთ:
„ხალხის ქონება ძვირია“
იქვე „დედილო“ უჯდანა
ცრემლებით ანატირია;
შეილოპილმა და ძმობილმა
სხვისკენ იბრუნეს პირია.-
და მანც საბრალომ ცხელ გულზე
საქმე ჰქნა გასაკვირია:
უშვერი ლანძღვა გინებით
არ დაელალა პირია;
არ არჩევს ბრუდსა და მართალს,
ყველას ადინა ბდღვირია.

—

ტარტაროზ, სადგურის ქალებს
მგონი აწუხებს ქონია.
ქალს რომ ჩაქურით ეხტუნოს,-
აბა თუ გაგიგონია?!
გლეხებს სადგურის შენობა
ცირკის დარბაზი ჰგონიათ.
? ? ? ? ? ? ? ? ? ? ? ?
! ! ! ! ! ! ! ! ! ! ! ! !

—:—

სერგომ თუ იცის, ნეტავი,
ალმასკომს სად აქვს თავია?
დიდხანს ფარავდა შავს საქმეს,
თეთრად მოსჩანდა შავია.
ჩირადაც აღარ მიაჩნდა
ღარიბ და ბედშავია.
ბოლოს ფილიპე ტულუშმა
უჩვენა სანახავია:
დააჯილდოვეს „საქმისთვის“,
პანღურით საცოდავია.

უჩარბასტი.

# მოშლილი არღანი



ხშირად მსმენელებს სმენის უნარი მოშლილი აქვთ, მომხსენებლის „არღანიც“ მოშლილია, მაგრამ თვითონ მომხსენებელი არ იშლის და არა ლაყბობას მაინც განაგრძობს!



# ქაფშა



**კოკორინას.** (ფოთი) თქვენ გვწერთ:

„კუნძულზე წითელ სასადილოში ორი [ამ]ხ.-ვშირელი: ძოკო და კოწო დ[ათ]ვრენ... წავიდენ და გზაში ჩხუბი მოუვიდათ [ს]იყვარულზე. თურმე ძოკოსაც ის ქალი [უ]ყვარებია, რომელიც კოწოს... ერთმანეთს [თ]ელში წვდენ“...

[ა]მხ. კოკორინა, თქვენ ვერ გამო[ა]ქვეყნიათ ძოკოს და კოწოს შორის [მო]მხდარ ჩხუბის ნამდვილი მიზეზი. [ტ]ყუილად აბრალებთ სიყვარულს (და სატრფო ქალს) მათ წაჩხუბე[ბა]ს. ჩვენ გვგონია: მათი ჩხუბის გა[მ]მწვევია ღვინო, რომლითაც ისინი [ნ]ათვრენ.

[ჩ]აქელის.- თქვენი შარადა „Тиресии“-[ს] ადაიდეთ და ისე მიუტანეთ უფ[ე]როს გოდორს საჯაზმოთ.

უკრაინელს. (ქუთაისი *)

„ქუთაისის გამსახლს ჰყავს ერთი მელა, პატარა და ცუგრუმელა; არც ფქვილსა და არც გაძომცხვარს არ დაზოგავს თუ დაჰზელა“.

მაგის წამალი მაქ ძალიან ახლოს [ჰ]ქონია და რაღა აქედან გამოგიგ[ზ]ავნოთ?! ჩვენთვის რომ გამოგეგზავ[ნ]ათ,—ჩვენ ისევ მაქეთკენ გამოვაგზა[ვ]ნიდით გამსახლში მოსათავსებლად.

[„]ფილოსოფოს არუთინ ჰანტურა[შ]ვილს“. თქვენი:

„უჭკუო ფილოსოფოსის ჭკუიანი აზრები“

უფრო გვანან

## უჭკუო ადამიანის სულელურ აზრებს

ალბად თქვენი ნააზრევია ეს „აზრები“:

„ჭკუიანის ტუტუცობა უფრო საზარალოა, ვიდრე უჭკუოსი“

როგორც აქედან სჩანს,—თქვენი ტუტუცობა არ იქნება საზარალო და, მაშასადმე, იტუტუცეთ.

„ჭკვიანი ოდეს ტუტუცდება-ძლიერ ბევრს ჰ არგავს,-ხოლო უჭკუო კი არაფერს“

თუ კი მართლაც ასეა, რაღა გიშავთ: იტუტუცეთ რამდენიც გენებოთ, რადგან თქვენ მაინც არაფერი დაგეკარგებათ.

„ჭკუიანი ჭკუას აძალებს, უჭკუო კი-არაფერს“

მაშასადამე თქვენც არაფერს აძალებთ.

„ჭკუიანისათვის ჭკუა არაფერია; უჭკუოსათვის კი იგი მიუწვდომელი და ძვირფასია“,

მაშ თქვენთვისაც მიუწვდომელი და ძვირფასია.

„ჭკუა კაი რამეა, თუ კარგად შეინახავ“

გეტყობათ; თქვენ კარგად ვერ შეგინახავთ. ჩვენ კი თქვენი წერილი კარგად და სტიმელო ადგილას (გოდორში) შევინახეთ.

„მოტყუილებას მიპირებდენ-“ს (გოჩა-ჯიხაიაში) თქვენი წერილიდან სჩანს, რომ თქვენც იმას გვეპირებდით ჩვენ, რასაც თქვენ სხვები გპირებდან. მაგრამ თუ იმათს არ გაუმართლდათ, არც თქვენ გაგიმართლდათ.

მცოდნეს (ბათომი) გიორგი კიკაჩეიშვილზე გვწერთ, რომ მას:

**„ფული უყვარს, ადამიანი სძულს“**

ეს ასედაც უნდა იყოს. ვის გაუგონია ერთსა და იმავე დროს ორის სიყვარული!? მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ის ადამიანები, რომლებიც მას სძულს, ვერ შორდ ბიან მას.

„მეჩხლაჩი“-ის (იანეთი) კარგი ადმინისტრატორი გყოლიათ, და რაღას უსაყვედურებთ? ალბად ამიტომაც შეაქო ხალხმა ... და ... შეთხზა მაზე:

**ეგი რჩეული ...**
**გულზე შემოსაყარი.**
**ჩაფებით ხვამს ღვინოსა**
**როგორც კარგი მაყარი.**

„მოკრიმანჭულეს“ (ჩოხატაური ამაღლება) შე კაი კაცო კრიმანჭული თუ კი იცი—სამსახური რა ჯანდაბათ გინდა?! ის არ გირჩევნია ამ წუთისოფლად ცხოვრება კრიმანჭულში გაატარო? დაჯექი და იკრიმანჭულე; რად გინდა სამსახური?

„ნასაწმენდ ზეთს“. (ფოთი) თქვენი გადაგზავნა გვინდოდა უფსკრულ გოდორში, მაგრამ იქიდან პროტესტი მივიღეთ: ჩვენ ისედაც ჭკუის დეზერტირის ნაყოფი ვართ, და გასაწმენდი ზეთი აღარ გვესაჭიროებაო.

ღ.რ.-ს (ჭიათურა). თქვენს „მესტვირულში“ ერთი კარგი ადგილი აღმოვაჩინეთ:

მომყევით, ჩამოვიაროთ
ეს ჩვენი ჭიათურა.
ერთმანეთს დაუმეგობრდნენ.
ცხვარი, მგელი და მურა.

თუ კი მართლაც ჭიათურაში ცხვარი, მგელი და მურია ერთმანეთ დაუმეგობრდენ და ერთად არიან, რაღა გინდათ მეტი? უკვე გამართლებულა საღვთო წერილის დაპირება „მეორეთ მოსვლა“ უკვე მოსულა მანდ. (აქი საღვთო წერილი ამბობს, რომ: მეორე მოსვლის შემდეგ ცხვარი და მგელი ერთად იქნებიანო და რაღა სჯობია,—თუ კი მურიც მათთან იქნება) მილიციაზე იწერებიან:

ჯერ აქ ვუმღეროთ, ვალხინოთ
ფხიზლო კავალერია,—
ქუჩებში ცხენის ჭენებით
რომ დააყენა მტვერია.

მართლაც ქების ღირსია ის მხედარი-მილიციელი, რომელმაც ამ ზამთარში:

„ქუჩებში ცხენის ჭენებით
რომ დააყენა მტვერია.

ეხლა რომ ასე შვრება, ზაფხულზე რაღას იზამს! ხომ დააყენებს ქუჩებში მტვერის კორიანტელს? შეეცადეთ—ზაფხულამდი მოიშოროთ.

*) გაცნობებთ, რომ ქ. ქუთაისი საქართველოშია და არა უკრაინაში; არც ქუთაისშია უკრაინა.

არც ერთი მუშა-მოსამსახურე, არც ერთი გ[illegible]ოთელი არ უნდა დარჩეს, რომ არ იწერდეს და კითხულობდეს თავის გაზეთ

# „მუშა“-ს

რომელსაც აქვს უფასო დამატებად ყოველკვირეული იუმორისტული

ჟურნალი „ტარტაროზი“ ჟურნალი

გაზ. „მუშა“ „ტარტაროზი“-თ თვეში ღირს

თოთხმეტი შაური

პროვინციის ხელისმომწერლები გაზეთს მიიღებენ

გაზეთის გამოსვლის დღეს.

გაზ[illegible]უშა“-ს მთავარ კანტო-

რა[illegible]ქართველოს ყველა ად-

გ[illegible]ებში აქვს თავისი განყოფილებ[illegible]

სადაც მიიღება გაზეთზე ხელისმოწ[illegible]

უკვე დაიწყო

1926 წლისათვის ხელისმოწერ[illegible]

მისამართი: რედაქციის: კამოს ქ., № 68.
კანტორა: პლეხანოვის პროსპექტი, № 117.





საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, თბილისი, კამოს ქუჩა, № 68.
დეკ. 1925 წ.